ამ წიგნში გადმოცემულია ქართული ანბანის კოსმიური არსის მეტაფიზიკური სიღრმეები და მოიცავს მთლიანად სამყაროს ყველა განზომილებათა ერთიან კოსმიურ პროცესს, წარმოაჩენს ერთიან უწყვეტ გენეტიკურ ჯაჭვს, საქართველოს და ქართული გენის მისიას კაცობრიობისა და სამყაროს წინაშე. ეს ცნობიერება არის საფუძველი მომავლის ცივილიზაციისა, რომელიც კაცობრიობას დაუმკვიდრებს გზას მარადისობაში და შექმნის „მართალის“ ენერგიას.

სამყაროს ყველა საიდუმლოს გასაღები მის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე, კავკასიაში – საქართველოში და ქართულ ცნობიერებაშია. სამყაროს ყოველი საიდუმლო ქართულ ენასა და ქართულ ანბანშია გამოვლენილი. ქართული გენი ყოველთა საწყისთა საწყისია. მომავალ, ახალ ცივილიზაციას ისევ ქართული გენი, ქართულ ენაზე მოაზროვნე ხალხი გააგრძელებს. მოვიდა დრო გაიხსნას სამყაროს საიდუმლოთა „სკივრი“. ჩემი ეს წიგნიც სწორედ ამ საკითხებს ეძღვნება.

ნაზი ხანიაშვილი

წიგნი არ იყიდება - ავტორის საჩუქარია.

ქართული გენი იბერიის ცივილიზაციათა სათავეებთან ნაზი ხანიაშვილი

ნაზი ხანიაშვილი

ქართული გენი
იბერიის ცივილიზაციათა სათავეებთან

წიგნი ეძღვნება ქართველთა **მეფე ფარნავაზის**
მეფობის **4300** წლისთავს.

ნაზი ხანიაშვილი

ქართული გენი იბერიის ცივილიზაციათა სათავეებთან

წიგნი ეძღვნება ქართველთა **მეფე ფარნავაზის**
მეფობის **4300** წლისთავს.

„ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართ-
ლოსის ნათესავითგანი. ამან განავრცო ენა ქართული
და არღარაჲ იზრახებოდა სხუაჲ ენა ქართლსა შინა
თვინიერ ქართულისაჲ და მაშინ შექმნა მწიგნობრობაჲ
ქართული“.

ლეონტი მროველი

თბილისი 2012

„მით ვისწავლებით, მოგვეცეს
შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა“.

შოთა რუსთაველი

ამ წიგნში გადმოცემულია ქართული ანბანის კოსმიური არსის მეტაფიზიკური სიღრმეები და მოიცავს მთლიანად სამყაროს ყველა განზომილებათა ერთიან კოსმიურ პროცესს, წარმოაჩენს ერთიან უწყვეტ გენეტიკურ ჯაჭვს, საქართველოს და ქართული გენის მისიას კაცობრიობისა და სამყაროს წინაშე. ეს ცნობიერება არის საფუძველი მომავლის ცივილიზაციისა, რომელიც კაცობრიობას დაუმკვიდრებს გზას მარადისობაში და შექმნის „მართალის“ ენერგიას.

სამყაროს ყველა საიდუმლოს გასაღები მის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე, კავკასიაში – საქართველოში და ქართულ ცნობიერებაშია. სამყაროს ყოველი საიდუმლო ქართულ ენასა და ქართულ ანბანშია გამოვლენილი. ქართული გენი ყოველთა საწყისთა საწყისია. მომავალ, ახალ ცივილიზაციას ისევ ქართული გენი, ქართულ ენაზე მოაზროვნე ხალხი გააგრძელებს. მოვიდა დრო, გაიხსნას სამყაროს საიდუმლოთა „სკივრი“. ჩემი ეს წიგნიც სწორედ ამ საკითხებს ეძღვნება, რაც დაეხმარება მომავალ თაობებს მეტაფიზიკურ აზროვნებაზე გადასვლაში.

ნაზი ხანიაშვილი

UDC (უაკ) 39(=353.1)+902(479.22)+1(479.22)+141.331.5+2-264
ხ-227

ISBN 978-9941-0-4699-5

წიგნი არ იყიდება – ავტორის საჩუქარია.

გარეკანზე: „ოქროს საწმისი“ – სიღნაღის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ექსპონატი.

ქართული ანბანი

1			ა	ან	1	20			ს	სან	200
2			ბ	ბან	2	21			ტ	ტარ	300
3			გ	გან	3				ვ	ვი-ე	
4			დ	დონ	4	22			უ	უნ	400
5			ე	ენ	5	23			ფ	ფარ	500
6			ვ	ვინ	6	24			ქ	ქან	600
7			ზ	ზენ	7	25			ღ	ღან	700
8			ჱ	ჰ-ე	8	26			ყ	ყარ	800
9			თ	თან	9	27			შ	შინ	900
10			ი	ინ	10	28			ჩ	ჩინ	1000
11			კ	კან	20	29			ც	ცან	2000
12			ლ	ლას	30	30			ძ	ძილ	3000
13			მ	მან	40	31			წ	წილ	4000
14			ნ	ნარ	50	32			ჭ	ჭარ	5000
15			ჲ	ჲ-ე	60	33			ხ	ხან	6000
16			ო	ონ	70	34			ჴ	ჴარ	7000
17			პ	პარ	80	35			ჯ	ჯან	8000
18			ჟ	ჟან	90	36			ჰ	ჰა-ე	9000
19			რ	რა-ე	100	37			ჵ	ოხ(ოჰ)	10000

მსოფლიოს დიდესი მოაზროვნეები ქართული გენის, ქართული ენისა და ანბანის შესახებ

„ქართული ენა არის ღრმა, უნაპირო, თაქმაბალი და მიუწვდომელი, ვითარცა გონება და სიყვარული. მასშია მთელი საქართველო... ზეცაა მისი საწყისი, უფალია მისი მშობელი და მფარველი“. „საქართველო ხვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა. ხვთისმშობლის საშობლოა“.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II

„ქართული ანბანის თვით მოხაზულობა ისეთია, რომ ის არ შეიძლება წარმართობის ხანის არ იყოს. არამცთუ ქართული აძწერლობა წარმართობის ხანის უნდა იყოს, არამედ უძველეს ხანას ეკუთვნის“.

ივანე ჯავახიშვილი

„კაცი, რომელსაც არ ახსოვს თავისი წარსული, ჰგავს იმ მაწანწალას, რომელმაც არ იცის საიდან მოვიდა, საით მიდის“.

ილია ჭავჭავაძე

„ყოველი საიდუმლოჲ ამას ენასა შინა დამარხული არს“.

იოვანე–ზოსიმე

„ქართული ენით ყველაფერი გამოითქმება, რაც შეიძლება გამოითქვას რაგინდრა ენით, აზრი არ მოიბოვება არც ერთ ენაზე, ... რომ არათუ ქართულმა საესებით ვერ გამოთქვას, არამედ მხატვრული ფალიბში ვერ ჩამოასხას... ქართული ენა მსოფლიოში ერთ–ერთი ყველაზე უფრო განვითარებული და ცოცხალი საშწერლობო ენაა“. „ქართული ენის შეუსწავლელად კაცობრიობის ვერცერთი კულტურული სიძველის საკითხი ვერ გადაწყდება“. „... ქართულს ფრიადი პატივისცემა და დიდება მოელის მეცნიერებაში“.

ნიკო მარი

„მხოლოდ კავკასიელ ხალხში აღწევს სული თავის აბსოლუტურ მთლიანობას, ერთიანობას საკუთარ თავთან... და ამით წინ მიმყავს მსოფლიო ისტორია“.

ჰეგელი

„მრავალი ერი აღიხოცება ბირისაგან მიწისა, მაგრამ საქართველო, ხვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა, იარსებებს ქვეყნის დასასრულამდე“.

წმინდა სერაფიმ საროველი

უფლის ანგელოზი გვამცნობს:

„ ...იბერიელთთას არსსნსს ძლიერსს შტოთაგანს ვითარ ქართველთთას წინაპართთას, უფლის ჩანაფიქრთათვსს მომავალსს მშვენიერსსა ადამისსას შვენისსას. მეორედს იერუსალიმს ვითარ ქმნისს“.

ქართული ანბანი სამყაროს გენეტიკური კოდია ბიბლიური კაბალას ცოდნა თავის სამშობლოს – საქართველოს დაუბრუნდა

დედამიწაზე მცხოვრები ყველა ადამიანი ერთი გენეტიკური კოდით ერთნაირადაა შექმნილი, ერთ ნავში ზის, რასაც დედამიწა ჰქვია და ერთ კოსმოსში დაცურავს. ამიტომ, ინფორმაცია, მიღებული ადამიანის შიდა სამყაროდან, დედამიწიდან თუ გალაქტიკიდან, ყველა ადამიანისათვის ერთნაირია. ყოველ ადამიანს მიკრო თუ მაკრო სამყაროს შესახებ ერთნაირი აზროვნება ჰქონდა. ამიტომაა, რომ მითოლოგიური პროცესები სხვადასხვა ხალხში მეორდება, მხოლოდ მოქმედ პირთა სახელებია განსხვავებული. პირველ ადამიანს გახსნილი ჰქონდა ე.წ. „მესამე თვალი“, ისინი ხედავდნენ და აღიქვამდნენ სამყაროს ყველა განზომილებაში. დროთა განმავლობაში ეს „თვალი“ დაიხურა და მეტაფიზიკური თვისებები შემორჩათ მხოლოდ ქურუმებსა და ხელდებულ ადამიანებს. მათი აღქმები სამყაროს მიმართ ყველა კონტინენტზე ერთნაირია.

ჯერ კიდევ ძველ სამყაროში ადამიანებს გაუჩნდათ რწმენა იმისა, რომ ღმერთმა სამყარო შექმნა ასო-ნიშანთა განსაკუთრებული წყობით, რომ ისინი ხვთაებრივი წარმოშობისანი არიან. მათი აზრით, თითოეული ასო-ნიშანი არის დამოუკიდებელი არსება, კოსმოსური ელემენტი, აღნიშნავდნენ რიცხვით და ღმერთის განსაკუთრებული ნიშნით გამოსახავდნენ.

თითოეულ ასო-ნიშანს შეესაბამებოდა არსთა წრებრუნვის კოსმიური სურათი, რომელიც სამყაროში მოქმედებდა იმ ხანგრძლივობით, რა რიცხვიც წერია მის გვერდით ანბანში. ეს არის ცისა და მიწის, ხილულის და უხილავის და რაც არის მათ შორის ერთიანი, ცოცხალი კოსმიური პროცესის ასახვა, მისი ცვალებადობა დროში.

დედამიწის პირველ ადამიანთა და ქურუმთა ცოდნა ღმერთზე, ადამიანსა და სამყაროზე მის ყველა განზომილებაში, როგორც ერთიან კოსმიურ სინთეზზე, დღემდეა მოტანილი. მსოფლიო ამ ცოდნას „კაბალა“-ს სახელწოდებით იცნობს, იგივე ჩინეთის „ი-ძინი“ – „ცვალებადობათა წიგნი“, რომელშიც სამყაროს ქმედება გამოსახულია 6 ხაზით 64 ჰექსაგრამით; ეგვიპტის „ტარო“-ს 78 არკანი, შუმერების „მე“-ს „ხვთაებრივი

კანონები“, „ევროპელთა რუნები“. ყველა ისინი გამოიყენება ადამიანის სამყაროს ბედისწერის განსაზღვრისთვის. „კაბალა“ უშუალოდ ადამიანის სამყაროს გენეტიკურ კოდთან, ანუ ადამიანის ბედისწერასთანაა დაკავშირებული.

„კაბალა“-ს ცოდნის კვალს საქართველოსთან და ქართულ ანბანთან მივყავართ. კითხვაზე, თუ როგორ და ვინ შექმნა ანბანი, შეგვიძლია ვუპასუხოთ, რომ ღმერთმა სამყარო შექმნა ასო-ნიშანთა განსაკუთრებული წყობით, რაც მიგვანიშნებს ანბანის, როგორც გენეტიკური კოდის უდიდეს ფუნქციაზე. თითქმის 27 წელია მეტაფიზიკაში ვმუშაობ. ჩემს „ხილვებში“ არსთა წრებრუნვის კოსმიურ სურათებში ასომთავრული ასო-ნიშნები მამაღმერთს თავზე ადგას, ენერგეტიკულია და მბრუნავია; ამიტომ ჰქვია მას „თავრული“, ანუ „მთავრული“ ანბანი. მამაღმერთი მრავალსახაა. მისი ერთ-ერთი სახეა კოსმიური მხედარი. მხედრული ასო-ნიშნები კოსმიურ მხედარს შუბლზე აწერია, ამიტომ ჰქვია მას მხედრული ანბანი. **როგორც ასომთავრული, ისე მხედრული ანბანი, ხილვით მიღებული კოსმიური ინფორმაციაა**. ღმერთი ამბობს: „მე ვარ **ანი** და **ოხი** (ალფა და ომეგა), პირველი და უკანასკნელი, დასაბამი და დასასრული“ (გამოცხ. იოვ. 22,13). ეს სიტყვები გვეუბნება, რომ ღმერთი არის ანბანი, ხოლო ადამიანს არ შეუძლია ანბანის, ანუ ღმერთის შექმნა.

ხშირად მეკითხებიან, თუ რატომ ვიყენებ 37-ე „ჰოე“ და „ოჰ“-ის ადგილას „**ოხ**“-ს. „ოხ“-ი ქართულ ენასა და ანბანში არსებობდა, როგორც უზენაესი ღმერთის სახელი – „მე-ოხი“. ქართული ანბანის 37-ე ასო-ნიშანს ბერძნულში შეესაბამება „ომეგა“, ანუ „ო-დიდი“. სამხრეთ საქართველოში გვქონდა „დია-ოხი“, რაც „დიდს“, „დიადს“ ნიშნავს. ასევე უძველეს ქართულ ხელნაწერებში სიტყვა „უფალის“ ნაცვლად წერდნენ „ო“ ასო-ნიშანს, ხოლო 37-ოხ ასო-ნიშანი გამოიყენებოდა გრძელი „ო“-ს ადგილას, ანუ, ქართული ცნობიერებით, ის „ო-დიდი“ იყო. ძველ ქართულ ხელნაწერებში 37-ე ასო-ნიშნის ადგილას იხმარება „ოხ“ („ოჰ“). გარდა ამისა, უფლის ანგელოზისგან მიღებულ კოსმიურ ინფორმაციაში 37-ე ასო-ნიშანი „ოხ“-ით მოიხსენიება. ეს ნიშნავს, რომ უფლის „ენით“ „ოხ“-ი 37-ე ასო-ნიშნის „მართალი“ სახელია.

განვიხილოთ თუ რა კავშირი აქვს კაბალას ცოდნას საქართველოსთან და ქართულ გენთან. **„კაბალა“ – „კაბა-ალი“ ძართული სიტყვაა**

და ცეცხლის სტიქიის სამოსს, მატერიას, „კაბა“-ს ნიშნავს. სიტყვა „კაბ“ მაიას ტომებთან დედამიწას – „მატერიას“ ნიშნავს, აქედანაა სიტყვა „მატერიკი“. ქ-ნ ანა მესხის გამოკვლევებით, შუმერებთან „კაბ“ ადამიანის – ქალის სამოსს ნიშნავს, რაც, ჩემის აზრით, დედამიწასთან, მატერიასთანაა გაიგივებული. მაშასადამე, სიტყვა „კაბ“ უძველესი ცივილიზაციის ხალხებთან ერთი და იმავე მნიშვნელობით მოიხსენიება და ოდესღაც არსებული საერთო ენიდანაა შემორჩენილი.

„კაბალა“-ს ცოდნა რომ ქართულია, ამის დასტურია ისიც, რომ აღმოსავლეთ **საქართველოს ჰერეთს–საინგილოს აღმოსავლეთ ნაწილს შირვანამდე ოდითგანვე „კაბალა“ ერქვა.** აზერბაიჯანში დღესაც შემორჩენილია ქ. კაბალა; ასევე აღმოსავლეთ საქართველოში, ლაგოდეხსა და ყვარელს შორის, არის მდინარე „კაბალი“ და სოფელი „კაბალი“. ეს კი „კაბალას“ ცოდნის სადაურობის, ანუ „კაბალა“-ს ცოდნის ძირძველი სამშობლოს მოსაძიებლად მთელი მსოფლიოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ებრაელთა ცოდნა „კაბალა“-ს შესახებ გვეუბნება, რომ **„კაბალა“ არის იგივე „თორა“ და იგივე „ბიბლიის ხუთწიგნეული“, ანუ „ძველი აღთქმა“.**

„კაბალა“-ს უძველესი კოსმოგონიური ცოდნა მსოფლიოში არსებული ყველა ანბანიდან მხოლოდ ქართულ ანბანში აისახება. ეს არის გენეტიკურ კოდში მიმდინარე კოსმიური პროცესის ცვალებადობა დროში და აისახება მთლიანად სამყაროზე. ღმერთმა ჯერ შექმნა ქართული ანბანი, როგორც სამყაროს გენეტიკური კოდი და მის საფუძველზე შეიქმნა სამყარო. ის ყველაფერშია და ყველაფერი მასშია.

ქართული ანბანის მიხედვით, „კაბალა“-ს ცოდნაზე დაყრდნობით, შეგვიძლია განვსაზღვროთ: როდის დაიწყო ადამის ცივილიზაცია, წელთაღრიცხვა „ქართულ ადამს აქათ“ და „დასაბამითგან“, როდის მოხდა წარღვნა, როდის დაინგრა ბაბელონის გოდოლი, რა არის გრალის თასი, ოქროს საწმისი, ნოეს კიდობანი, სამყაროს შექმნის 6 დღე; მასში აისახება სამყარო წარღვნამდე და წარღვნის შემდეგ, სამყაროს ოთხი საწყისის კოსმიური პერიოდები; მასშია სამყაროს ყველა საიდუმლო.

ამ წიგნში განხილული კვლევები დასტურია იმისა, რომ ქართული ანბანი სამყაროს გენეტიკური კოდია, „ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის“

და „ყოველი საიდუმლოᲘ ამას ენასა შინა დამარხულ არს“. „კაბალა“-ს ცოდნა, გამოვლენილი ქართული ანბანით, მსოფლიოს ძველი ცივილიზაციის ყველა ხალხთან ფიქსირდება.

განვიხილოთ კაბალა ქართულ ანბანთან და უძველეს ქართულ კოსმოგონიურ ცნობიერებასთან მიმართებაში.

ჩინური „კაბალა“ „ი-ძინი“-ს სახელით არის ცნობილი. მასში მთლიანი და წყვეტილი 6 ხაზით – ჰექსაგრამით გამოსახულია სამყაროს ცვალებადობის 64 ძირითადი კოსმიური პერიოდი. ქართული ანბანის პირველ „ა-ან“ ასო-ნიშანს შეესაბამება პირველი ჰექსაგრამა, რომლის სახელია ჩინურ ენაზე „ცი-ან“ და მის შესაბამის იეროგლიფურ გამოსახულებაში ქართული ანბანის „Ⲁ“ ასო-ნიშანი შედის, ხოლო ბოლო, 64-ე ჰექსაგრამის სახელია „ვეი-ძი(ჯი)“ („ჯერ არ არის დასასრული“), რომლის შესაბამის იეროგლიფურ გამოსახულებაში ქართული ასომთავრული ანბანის Ⲭ-8000 ასო-ნიშანი შედის. ქართული ანბანის კოდით, ახ.წ.2000 წელს „ქართ ადამს აქათ“ გავიდა 8000 წელი. სამყაროს კოსმიური პროცესის 6 ხაზით გამოსახვა არც ქართველთათვის იყო უცხო. დუშეთის რაიონის სოფ. დავათში, რომელსაც ადრე **„დაო-თი“** ერქვა, 1984 წელს აღმოაჩინეს სტელა, რომელზეც 6 ხაზზე განლაგებულია ქართული ასომთავრული ანბანის 37 ასო-ნიშანი. იკონოგრაფიული ხატწერითი ანალიზით, სტელა უძველესი წარმართობის პერიოდისაა (ძვ.წ.680წ.): ანგელოზები სქესითაა გამოსახული, ხვთისმშობელი შარავანდედის გარეშეა და ფეხზე მდგომი, ხვთაებრივი ბავშვი, მხრებზე დაყრილი გრძელი ლოკონებით, ბიუსტითაა გამოსახული. ერთიანობაში სტელაზე „სამოთხეა“ ასახული (ნახეთ აქვე: „სამოთხე – სამყაროს დედის უძველესი გამოსახულებები“). ჩინური კაბალას 64 ჰექსაგრამა პირდაპირ უკავშირდება ქართველთა 64 ხვთისშვილს და უჯრედის 64 ნუკლეინის მჟავას, რომლებიც არიან სამყაროს ძირითადი შემოქმედნი. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ **ქართველთა წინაპრები სამყაროს ცვალებადობის კოსმიურ პროცესს არა მხოლოდ ექვსი ხაზით გამოსახავდნენ, არამედ თითოეულ ხაზზე განალაგებდნენ გარკვეულ ასო-**

ჰექსაგრამა №19

ჰექსაგრამა №64

ნიშანთა გარკვეულ რაოდენობას.

სოფ. დავათთან, სადაც სტელაა აღმოჩენილი, არის სოფლები „ზემო ჩინთა“ და „ქვემო ჩინთა“. სახელი „ჩინეთი“ დაკავშირებულია „თვალის ჩინთან“, „თვალის სინათლესთან“, ანუ ნათელთან. ჩინეთს ეს სახელი ქართული ენიდან ეწოდა. ჩინელთა „დაო“-ს ფილოსოფია ახლოს დგას ქართველთა კოსმოგონიურ აზროვნებასთან. „დაო“ – „და-ო“ ქართული სიტყვაა და უკავშირდება სამყაროს პირველსაწყისს – უფალს. (ნახეთ აქვე: „დავათის სტელა ქართული ანბანით და მისი პარალელები „დაო“-ს კოსმოგონიურ ფილოსოფიასთან“). **ჩინური „კაბალა“ ქართული ფენომენია და ეს ცოდნა მხოლოდ ქართულ ანბანში აისახება.**

„იძინი“ მდედრს – მატერიას წყვეტილი ხაზით გამოსახავს. დღეს მეცნიერებამ დაამტკიცა, რომ მატერიის ერთ-ერთ ფორმას – ველს, რომელიც უწყვეტი ეგონათ, სინამდვილეში წყვეტილი ფორმა აქვს. ეს საკითხი მსოფლიოს უძველესი ხალხისთვის ოდითგანვე ცნობილი ყოფილა და მათ შორის ქართველთათვის.

შუმერული კაბალა. მსოფლიოს არც ერთ მკვლევარს შუმერთა „მე“-ს „ხვთაებრივი კანონები არ განუხილავს როგორც კაბალა“. ეს სრულიად ახალი აღმოჩენაა. გთავაზობთ ჩემს მოსაზრებებს ამ საკითხთან დაკავშირებით. შუმერში „კაბალა“ წარმოჩენებულია „მე“-ს „ხვთაებრივი კანონების“ სახით, რომლებიც, შუმერი ფილოსოფოსების აზრით, „შექმნის დღიდან განაგებდნენ და აწესრიგებდნენ სამყაროს მუდმივ მიმოქცევას“. „მე“-ები ჩატვირთა ზეციურ ნავში ქალღმერთმა ინანამ და წამოვიდა „ქვესკნელის სამეფოში“. „მე“-ს „ხვთაებრივი კანონების“ ჩამონათვალიდან პირველ 37-ში აისახება ქართული ანბანის 37 ასომთავრული ასო-ნიშნის შესაბამისი „კაბალას“ ცოდნა. ეს არის ქალღმერთ ინანას გენეტიკური კოდით მინიჭებული კოსმიური გზა „ქვესკნელის სამეფოში“. შუმერები ღმერთების სახელებს რიცხვებით მოიხსენიებდნენ. ეს სწორედ ის რიცხვებია, რომლებიც ქართულ ასო-ნიშნებს გვერდით უწერია. მაგ: შუმერთა ღმერთის „სინ“-ის სახელია „30“, რომელსაც ისინი „თევზის ზოდიაქოს“ კოსმიური პერიოდის დასაწყისში გამოსახავდნენ. ამავდროულად, მათი ღმერთების სახელები ემთხვევა ქართული ანბანის მეორად სახელებს: „ან“ – ცის ღმერთი, „ენ“ – წყლის ღმერთი და სხვა. განსაკუთრებით

მნიშვნელოვანია 22-ე კანონი – „წარღვნა“, საიდანაც ქართველებმა დაიწყეს წელთაღრიცხვის ათვლა – „დასაბამითგან“.

აი, რას წერს შუმერული ენისა და ლიტერატურის ცნობილი მკვლევარი სემიუელ ნოა კრამერი „მე“-ს „ხვთაებრივი კანონების“ შესახებ: „მართალია, „მე“-ს „ხვთაებრივი კანონების“ ტექსტი უკვე გამოქვეყნებული იყო, მაგრამ მისი თარგმნისთვის ხელი არავის მოუკიდებია, რადგან უაზრო და არალოგიკურ ნაწარმოებად ეჩვენებოდათ. შუმერულმა ხვთისმეტყველებმა შექმნეს მათთვის სრულიად დამაკმაყოფილებელი მეტაფიზიკური კონცეფცია, რომელიც ხსნიდა, თუ როგორ ურთიერთქმედებაში იყვნენ კოსმოსური და საზოგადოებრივი მოვლენები. მათი აზრით, ეს მოვლენები ჰარმონიულად და განუწყვეტლივ მოქმედებდნენ ერთი მეორეზე ისე, რომ ერთმანეთს სრულიად არ ეწინააღმდეგებოდნენ. ამგვარ წარმოდგენას შეესაბამებოდა **შუმერული სიტყვა „მე“, რომლის ზუსტი აზრი დღემდე დადგენილი არ არის**. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ სიტყვით აღინიშნებოდა წესებისა და კანონზომიერებათა მთელი კომპლექსი, რომლებიც განკუთვნილი იყო ხვთაებათა მიერ შექმნილი საზოგადოებისა თუ ბუნების ყოველი მოვლენისათვის, ვინაიდან ეს მოვლენები ყოველთვის ემორჩილებოდნენ წინასწარ დასახულ გეგმას“.

„მე“-ს „ხვთაებრივი კანონები“, შუმერთა მითოლოგიით, არის „ბედისწერის დაფები“, „ხვთიური მადლნი“, „მე“-ები, ანუ „მენი“. ჩემი გამოკვლევით, თითოეული „მე“ არის ქართული ანბანის ასო-ნიშნის კოსმიურობის გაცხადება გენეტიკური კოდის დონეზე, ხოლო „მენი“ ანუ „მე“-ები ქმნიან მთლიანად ქართულ ანბანს, რომელიც ბიბლიური კაბალას შუმერული ვარიანტია. თვით სიტყვა „მე“-ს მნიშვნელობა შუმერთა ენაზე დადგენილი არ არის. აშკარაა, რომ მათ ეს ცოდნა წინაპრებისგან, ან სხვა ხალხისგან აიღეს. ჩემი გამოკვლევით, „მე“-ს ხვთაებრივი კანონების პირველი „37“ ჩამონათვალი წარმოაჩენს ქართული ანბანის კაბალას ბიბლიურ ცოდნას და შეიძლება მას ვუწოდოთ **„შუმერული კაბალა“ – ბიბლია**, ანუ შუმერული ცოდნა სამყაროს გენეტიკურ კოდში მიმდინარე კოსმიური პროცესების შესახებ. **„მე“-ს „ხვთაებრივი კანონების“ ასეთი კუთხით წარმოჩენა მსოფლიოს მოაზროვნე საზოგადოებისთვის დღემდე უცნობია. შუმერული სიტყვა „მე“ ქართული სიტყვაა და ადამიანის, როგორც სამყაროს პირველი პირის გამომხატველია**, იგი „სამყაროული“

„მე“-ა. კაბალას ბიბლიური ცოდნა არის „ადამიანის“ – „ადამის“ ცივილიზაციის გენეტიკური კოსმიური ცვალებადობის გზა. ისმება კითხვა: ვინ, რომელმა ხალხმა დაარქვა შუმერულ კაბალას „მე“-ს ხვთაებრივი კანონები? სიტყვა „მე“ მსოფლიოს არც ერთ ენაზე არ ითარგმნება. სიტყვა „მე“ ქართულია და მას დღესაც იყენებს ქართული ენა „პირველი პირის“ გამოსახატავად. მაგალითად: მე ვწერ, ვაკეთებ, ვკითხულობ, მე მივემგზავრები. ესეც კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ **შუმერული კაბალას კოსმიური პირველსაწყისის ბიბლიური ცოდნა ქართული ფენომენია და მხოლოდ ქართულ ანბანში აისახება**.

ეგვიპტური კაბალა ცნობილია „ტაროს არკანების“-ს სახელით. იგი შედგება 78 არკანისგან (საიდუმლო). სიტყვა „**არკანა**“ სანსკრიტული სიტყვა „**არჩანა**“-დან მოდის, რაც, ქართული ცნობიერებით, ნიშნავს იმას, რაც „არ ჩანს“, უხილავია, საიდუმლოა. შეგახსენებთ, რომ ძველ ინდურ – სანსკრიტულ ენაში ბევრი ქართული სიტყვაა როგორც წარმოთქმით, ისე მნიშვნელობით. მსოფლიოს მოაზროვნე საზოგადოება ყველაზე ძველ ენას, **სანსკრიტს** შემდეგნაირად წარმოაჩენს: „ძველ ინდუსთა ენა – სანსკრიტი კაცობრიობის სულიერი ენაა. იგი წარმოიშვა ბაბელონის გოდოლამდე დიდი ხნით ადრე“. პირველსაწყისი ინდოეთი – ინდუსთა ქვეყანა კავკასია და საქართველოა (ნახეთ აქვე: „ვარძია, უფლისციხე, დავით გარეჯი – ციკლოპური ცივილიზაციის ქალაქები“).

არკანი №3

არკანი №78

მსოფლიოში არსებული 14 ანბანიდან ტაროს 78 არკანი ზედმიწევნით ზუსტად მხოლოდ ქართული ანბანის 37 ასო-ნიშანში 21+4x14+1=78 აისახება. ამასთან, ყველა არსებულ ანბანთაგან 37 ასო-ნიშანი მხოლოდ ქართულ ანბანშია. ეგვიპტური „კაბალა“-ს ცოდნა კი მხოლოდ იმ ანბანს ერგება, რომელიც 37 ასო-ნიშნისაგან შედგება. „კაბალა“-ს ცოდნაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართული ანბანის თითოეული ასო-ნიშნის მდებარეობას, მის სისტემურ

განლაგებას და გვერდით მიწერილ ციფრებს, ასო-ნიშანთა მეორად სახელებს. მასში აისახება: ბაბელონის გოდოლი, გრალის თასი და ა.შ. მაგალითად: მსოფლიოში არსებული ყველა ანბანიდან მხოლოდ ქართულშია მე-19 ასო-ნიშანი „რ-რა-რაე“, ხოლო კაბალას მე-19 საიდუმლოს სახელია – „მზე“. ეგვიპტეში „რა“ მზეა. თვით სიტყვა „**ტარო**“ – „**ტარ-ო**“ („მეფეთა გზა“) ქართული აზროვნებაა. „**ო**“ – არის უფალი. უძველეს ქართულ ხელნაწერებში სიტყვას უფალი არ წერდნენ და გამოსახავდნენ „**ო**“ ასო-ნიშნით. დაგონების მითოლოგიითაც, შემოქმედმა სამყაროს განსაწმენდად 4 ნომმოდან მხოლოდ „**ო**“ ნომმო (ნოე) წარმოგზავნა, მას გამოსახავდნენ თევზის სახით თავით ქვემოთ; ხოლო „ტარ“ ნიშნავს „ტარებას“, „სიარულს“, „გზას“, ე.ი. ტაროს არკანები არის უფლის კოდირებული გზა, რაც აისახება მხოლოდ ქართულ ანბანში. უძველეს ეგვიპტეში მრავალი სიტყვაა, რომელშიც სხვადასხვა მნიშვნელობითაა წარმოჩინებული ქართული ანბანის მეორადი სახელები. მაგალითად, ფარ-ა-**ონი**, ეხნატონმა (ძვ.წ. XIV ს.) ააგო მზის თაყვანისცემის ახალი ქალაქი „**ონი**“ და სხვა. პირველი არკანის სახელია „ადამი-**ანი**“, ეს უკავშირდება ქართული ანბანის პირველ „**ა-ან**“ ასო-ნიშნის კოსმიურ პერიოდს, საიდანაც ქართველებმა დაიწყეს წელთაღრიცხვა „ქართ ადამს აქათ“. მხოლოდ ქართულ ანბანშია პირველი ასო-ნიშნის მეორადი სახელი „**ან**“, რაც არა აქვს სხვა ანბანებს. კაბალას ცოდნის შეცნობისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართული ანბანის მეორად სახელებს.

ეგვიპტეში ჩასულ ჰეროდოტეს (ძვ.წ.Vს.) ქურუმებმა აჩვენეს 341 ქურუმის ქანდაკება, რომლებიც მონაცვლეობით ფლობდნენ კაბალას საიდუმლო ცოდნას, რაც ნიშნავს იმას, რომ მხოლოდ ერთი ქურუმი ფლობდა მას და სიკვდილის წინ გადასცემდა თავის შემცვლელს. მეცნიერები თვლიან, რომ 341 ქურუმის მონაცვლეობით არსებობა დაახლოებით 10000 წელს ითვლის.

ღმერთმა ადამიანი შექმნა თავის მსგავსად და ხატად. იგი არის ღმერთის შემოქმედების გვირგვინი. ქართულ ენაში მხოლოდ ადამიანია „ვინ“-ი. ქართულ მეტყველებაში მხოლოდ ადამიანის მიმართ დაისმის კითხვა „ვინ?“ ე.ი. სიტყვა „ვინ“ არის სულიერების მატერიაში უზენაესი „ნათელგამოვლენა“. კაბალას ცოდნაში სწორედ ᲥᲕᲘ (ვიე) ასო-ნიშნის კოსმიური პროცესი იწყებს უმცროს არკანთა ჯგუფს, რომელიც ასევე

არის „სამყარო წარღვნის შემდეგ“, ანუ მატერიაში სულის მოგზაურობის საწყისი კოსმიური საფეხური. **ეგვიპტური კაბალა ქართული ფენომენია, ვინაიდან მსოფლიოში არსებული ყველა ანბანიდან იგი მხოლოდ ქართულ ანბანში აისახება.**

ევროპელთა „რუნები“ (საიდუმლო) „კაბალა“-ს ერთ-ერთი სახეა. ევროპელებმა არ იციან, ეს ცოდნა მათთან საიდან მივიდა. ბორჯომის ხეობაში აღმოჩენილია ქურუმ ქალთა 26 გულსაკიდი დისკო (ძვ.წ. II ათ.), რომლებზედაც გამოსახულია რუნები. რუნები ასევე გამოსახულია სარიტუალო ქვებზე ქართველთა მთის ხალხებთან და ჯავახეთში. სიტყვა „**რუნა**“ არის იგივე „**რა-უნ**“, სადაც „**რა**“ ქართული ანბანის **19-რ-რა-რაე** ასო-ნიშანია და ევროპელთა რუნების მიხედვით, მისი სახელია „მზე“, ხოლო „**უნ**“ არის ქართული ანბანის „**22-უ-უნ**“ ასო-ნიშანი და მისი სახელია „დღე“. ქართული აზროვნებით, „მზე“ და „დღე“ ორივე „მზეა“. იოვანე-ზოსიმეს (XI) „ქებაჲ“-ს ტექსტშიც არის მინიშნება – წინასწარმეტყველება ახ.წ. 2000 წლისთვის „ორი მზის“ მოსვლაზე, რომელთაგან ერთი არის „დღე“, ხოლო მეორე – „**100** წელი ანბანისაჲ“, ანუ „მზე“. თუ გავიხსენებთ, რომ ოქროს საწმისს რუსულ ენაზე ჰქვია „золотое руно“, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ “ოქროს საწმისი“, კაბალას ცოდნით, „ორი მზის“ საიდუმლოს ნიშნავს (ნახეთ აქვე: „ოქროს საწმისი – ორი მზის საიდუმლო“).



რუნა №1

მსოფლიოს ყველა ძველი ცივილიზაციის ხალხი „ცეცხლის სტიქიას“, იგივე „მზე“-ს და „ოქრო“-ს გამოსახავდა ორსახა ღმერთის – ქალისა და მამაკაცის სახით. სწორედ ახლა, ახ.წ.2000 წლისთვის, დედამიწაზე მოვიდა „ცეცხლის სტიქია“, „ოქროს საწმისის“ – „ორი მზის“ ენერგია. იგი აისახა ყველაფერზე და ყველაფერში, რამაც გამოიწვია პოლუსების დნობა, შეცვლა და ა.შ. მრავალი სხვა. ამავდროულად, ქართული ანბანის პირველ „ა-ან“ ასო-ნიშანს შეესაბამება პირველი „რუნა“, რომლის სახელია „ადამი-ანი“ და სწორედ აქედან დაიწყეს ქართველებმა წელთაღრიცხვის ათვლა „ქართ ადამს აქათ“. საქართველოში გვხვდება ისეთი

რუნებიც, რომლებიც ევროპელთათვის უცნობია.

უძველესი გადმოცემით, „რა-უნ“ – პირველსაწყისი „მზე“ აფეთქდა და მისი „ნამსხვრევები“ ყოველ მიკრო თუ მაკრო სამყაროში ჩაჯდა. მომავალში ისინი ისევ უნდა შეიკრიბოს და გამთლიანდეს, ანუ **ისევ უნდა შეიქმნას პირველსაწყისი „მზე“**, რაც იმას ნიშნავს, რომ სამყარო უბრუნდება პირველსაწყისს. სწორედ ამას უკავშირდება პირველ ადამიანთა აზროვნება „დიდი აფეთქების“ შედეგად სამყაროს წარმოქმნის შესახებ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **ევროპელთა კაბალა – რუნები ქართული ფენომენია**.

მსოფლიოს უდიდესმა მკვლევარებმა კაბალას უძველეს ცოდნას, სამყაროს გენეტიკური კოდის შესახებ, მიუსადაგეს ფინიკიური და ებრაული ანბანის 22 ასო-ნიშანი. მსოფლიო დღეს კაბალას ცოდნას იცნობს როგორც ებრაელთა ცოდნას „ტაროს არკანების“ სახით. ისინი ამბობენ, რომ კაბალა არის „თორა“ და იგივე ბიბლიის „ძველი აღთქმა“. ებრაელებმა კაბალას უძველეს ცოდნას, სამყაროს გენეტიკური კოდის შესახებ, თავისი 22 ასო-ნიშანი კაბალას 22 არკანს მიუსადაგეს, ტაროს არკანებში კი სულ 78 არკანია. ჩნდება კითხვა: სად არის დანარჩენი? გარდა ამისა, ებრაული 22 ასო-ნიშანი მიწერილი თითოეულ არკანთან, ვერ ასახავს არკანის საიდუმლო კოსმიურ პროცესს: ებრაულ ანბანში პირველი ასო-ნიშანი უნდა იყოს **ა-ან-1**, რომლის მეორადი სახელი აუცილებლად უნდა იყოს „**ან**“-ი; მე-10 უნდა იყოს „**ი-ინ-10**“, რომლის მეორადი სახელი აუცილებლად უნდა იყოს „**ინ**“-ი; მე-12 ასო-ნიშანი უნდა იყოს „**ლ-ლას-30**“, რომლის მეორადი სახელი აუცილებლად უნდა იყოს „**ლას**“ და შესაბამისი ციფრი – „**30**“; მე-13 ასო-ნიშანი აუცილებლად უნდა იყოს „**მ-მან-40**“, რომლის მეორადი სახელია აუცილებლად „**მან**“ და შესაბამისი რიცხვი – „**40**“; მე-16 აუცილებლად უნდა იყოს „**ო-ონ**“ ასო-ნიშანი, მე-19 აუცილებლად უნდა იყოს „**რ-რა-რაე-100**“ ასო-ნიშანი და ა.შ. – შეგვიძლია ჩამოვთვალოთ ქართული ანბანის ყველა ასო-ნიშანი. **კაბალას ცოდნა მსოფლიოს 14 ანბანიდან მხოლოდ ქართულ ანბანში აისახება.** ებრაულმა კაბალამ თავის ანბანში ვერ მოუძებნა ადგილი „0“-არკანს, რომელიც კაბალას ცოდნით აუცილებლად გათვალისწინებულია 21 და 22 არკანთა შორის, ვინაიდან კაბალას ცოდნა გვეუბნება, რომ 22-ე არკანი გამოდის არა 21-ე არკანიდან, არამედ ნული არკანიდან. ეს იცის ქართულმა ანბანმა, ვინაიდან მხ-

ოლოდ ქართულ ანბანშია 21 და 22 ასო-ნიშნებს შორის ასო-ნიშანი „Ძ-**ვი**“, რომელსაც რიცხვითი მნიშვნელობა არა აქვს, ე.ი. ნულია, ამიტომ ჰქვია მას „**0**“ არკანი, რომელიც შუმერული კაბალას „მე“-ს „ხვთაებრივი კანონების“ მიხედვით, არის „წარღვნა“.

განხილულის მიხედვით, შეგვიძლია გავაკეთოთ შემდეგი დასკვნა: **ეგვიპტური „კაბალა“-ს „ტაროს არკანების“ კოსმიურ ცოდნას დღევანდელ ბიბლიურ ცოდნასთან არაფერი აქვს საერთო; არაფერი აქვს საერთო ებრაელთა ანბანთან, ვინაიდან მათი ანბანი არც სისტემურად, არც ასო-ნიშანთა რიგითი ნომრებით, გვერდით მიწერილი ციფრებით, ანბანში ასო-ნიშანთა რაოდენობით, ასო-ნიშანთა მეორადი სახელებით ვერ ასახავს ტაროს არკანების – ბიბლიური კაბალას გენეტიკურ ცოდნას.** ვფიქრობ, **ბიბლიის „ძველ აღთქმაში“ ებრაელი ხალხის ისტორიაა გადმოცემული, რომელსაც კაბალას გენეტიკურ კოსმიურ ცოდნასთან არაფერი აქვს საერთო.**

ჩემი გამოკვლევით, როგორც ებრაული, ისე სხვა ანბანები ადამიანთა მიერ მხოლოდ ყოფითი დანიშნულებისთვისაა შექმნილი.

ბიბლიური კაბალას გენეტიკური კოსმიური ცოდნა ღმერთზე, ადამიანსა და სამყაროზე, როგორც ერთიან კოსმიურ სინთეზზე, მსოფლიოს 14 ანბანიდან მხოლოდ ქართული ანბანის 37 ასო-ნიშანში აისახება, უდიდესი კოსმიური მნიშვნელობა აქვს ქართული ასო-ნიშნების რიგით განლაგებას, მათ გვერდით მიწერილ ციფრებს, მეორად სახელებს – ან, ბან, გან, დონ, და ა.შ. **ᲑᲘᲑᲚᲘᲣᲠᲘ „ᲙᲐᲑᲐᲚᲐ“ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲒᲔᲜᲘᲡ ᲤᲔᲜᲝᲛᲔᲜᲘᲐ. ᲙᲐᲑᲐᲚᲐᲡ ᲙᲝᲡᲛᲘᲣᲠᲘ ᲪᲝᲓᲜᲐ ᲒᲐᲢᲐᲜᲘᲚᲘᲐ ᲛᲗᲔᲚ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲰᲔᲠᲔᲗᲘᲡ – ᲣᲫᲕᲔᲚᲔᲡᲘ „ᲙᲐᲑᲐᲚᲐᲡ“ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲘᲓᲐᲜ.** ეს არის ცოდნა სამყაროს გენეტიკური კოდის შესახებ, რომელსაც მხოლოდ ქართული გენი, ქართული ენა და ქართული ანბანი ერგება სრულყოფილად. ჩვენ, **ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘ, „ᲛᲔ“-Ს ᲒᲔᲜᲔᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲝᲓᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲕᲐᲠᲗ.** შუმერთა კაბალას „მე“-ს – „ხვთაებრივი კანონები“ ეწოდება, რომლებიც შექმნის დღიდან განაგებენ და აწესრიგებენ სამყაროს მუდმივ მიმოქცევას. სიტყვა „მე“ მსოფლიოს არც ერთ ენაზე არ ითარგმნება. ეს არის ქართულ-იბერიულ-კავკასიური გენი. მსოფლიოში არსებობს **„ᲐᲠᲐ-ᲛᲔ“**-ს ხალხიც.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲐᲜᲑᲐᲜᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲒᲔᲜᲘᲡ, ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲔᲜᲐᲖᲔ ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ, ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲙᲣᲗᲕᲜᲘᲚᲔᲑᲐᲐ. ამის დასტურია ის, რომ მსოფლიოს უძველეს ხელნაწერთა ცენტრებში ქართული ანბანით მხოლოდ ქართულ ენაზე შესრულებული ხელნაწერებია დაცული. აღსანიშნავია, რომ ძველ ქართულ ენაზე შესრულებული ტექსტები დღესაც გასაგებია ქართველთათვის, მაშინ, როდესაც მსოფლიოს ყველა სხვა ხალხი თავიანთ უძველეს ხელნაწერებში გამოყენებულ ენას ხელახლა სწავლობს, რაც იმას ნიშნავს, რომ **ქართულ სამეტყველო ენაზე დროის ცვალებადობა არ მოქმედებს. ქართული ენა „მარადიული ჟამის“ ენაა, რასაც პირველსაწყისთან მივყავართ.**

ᲙᲐᲑᲐᲚᲐᲡ ᲑᲘᲑᲚᲘᲣᲠᲘ ᲪᲝᲓᲜᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲐᲜᲑᲐᲜᲨᲘ ᲐᲘᲡᲐᲮᲔᲑᲐ, ᲠᲐᲪ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲘᲛᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲐᲜᲑᲐᲜᲘ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲡ ᲒᲔᲜᲔᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲝᲓᲘᲐ.

სიტყვა „ბედისწერა“ – „ბედი“ და „წერა“, ანუ გენეტიკური კოდი წერასთან, დამწერლობასთან, ანბანთანაა დაკავშირებული.

ეს წიგნი ნათელი მაგალითია იმისა, რომ **ᲙᲐᲑᲐᲚᲐᲡ – ᲙᲐᲪᲝᲑᲠᲘᲝᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲡᲛᲘᲣᲠᲘ ᲪᲝᲓᲜᲐ ᲦᲛᲔᲠᲗᲖᲔ, ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲖᲔ, ᲗᲐᲕᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲡᲐᲬᲧᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ, ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲐᲣᲑᲠᲣᲜᲓᲐ.** დაუბრუნდა იმ ადგილს და გენს, საიდანაც წაიღეს და გაავრცელეს მთელ მსოფლიოში. ეს არის გენეტიკური კოსმიური ცოდნა იმ ხალხზე, რომელთა გენმაც დაიწყო ადამის ცივილიზაცია. **კაბალას ცოდნა თავის სამშობლოს – საქართველოს დაუბრუნდა.** საქართველოს სახელი „გულქართლთან“ და „გულმართალთანაა“ დაკავშირებული.

ეს ყველაფერი უფლის ნებით მოხდა და როგორც **დიდი შოთა რუსთაველი ამბობს: „რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქმნების“.**

მომავალში ცალკე წიგნად გამოიცემა „ქართული ანბანი სამყაროს გენეტიკური კოდია“, სადაც კაბალას ცოდნა წარმოჩინდება სრულყოფილად, თითოეული ასო-ნიშნის მიხედვით.

სინურ მრავალთავში გვაქვს ქართველ წინაპართა უმნიშვნელოვანესი წინასწარმეტყველება: **„მეორედ მოსვლისას მაცხოვარი ამ ენაზე (ქართულ ენაზე) განიკითხავს და ამხილებს ქვეყანას“.** აქედან გამომდინარე, **თუ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲜᲐ ᲑᲝᲚᲝ ᲟᲐᲛᲘᲡ ᲓᲐ ᲣᲤᲚᲘᲡ ᲔᲜᲐᲐ, ᲛᲐ-**

შინ ის პირველი ჟამის ენაც ყოფილა, ვინაიდან სამყაროში ყველა და ყველაფერი პირველსაწყისს უბრუნდება. მაშასადამე, ქართულია ის საერთო ენა, რომელზედაც ბაბელონის გოდოლამდე ხალხი ლაპარაკობდა. ამას ადასტურებს კაბალას ბიბლიური კოსმიური ცოდნაც, რომელიც მსოფლიოში არსებული ყველა ანბანიდან მხოლოდ ქართულ ანბანშია გაცხადებული. სწორედ ამაზე მიგვანიშნებს იოვანე-ზოსიმეს „ქებაᲐ“-ს ტექსტიც: „ყოველი საიდუმლოᲐ ამას ენასა შინა დამარხულ არს“. კაბალას ცოდნა სამყაროს ნებისმიერ უჯრედში გენეტიკური დნმ-ის დონეზეა „განსხეულებული“. შორს არ არის ის დრო, როცა მეცნიერები გენეტიკური კოდის ორ სპირალში ქართული ანბანის ასო-ნიშნებს ამოიკითხავენ. სწორედ ეს არის ადამის ცივილიზაციის ქართულ-იბერიული გენეტიკური საფუძველი, ამიტომ ნებისმიერი საკითხის შესწავლისა და განხილვის დროს, რომელიც ეხება ძველ ცივილიზაციებსა და სამყაროს შემეცნებას, პირველსაწყისი ამოსავალი ქართული ცნობიერება, ქართული ენა და ანბანი, ქართული მითოლოგია, ეთნოგრაფია და არქეოლოგიური მასალა უნდა გახდეს. დღეს მსოფლიო ამ კუთხით საქართველოს, როგორც პირველსაწყისი გენის მატარებელ ერს, არ იცნობს. მალე ამ საკითხების გასაცნობად მსოფლიოს ხალხები საქართველოში ჩამოვლენ. **ეს იქნება საქართველოს გაბრწყინება!**

წინამდებარე კვლევა 2005 წელს თბილისში ჩატარებულ მეცნიერების და რელიგიის პირველ საერთაშორისო კონფერენციაზე წარვადგინე მოხსენებით – **„ქართული ანბანი სამყაროს გენეტიკური კოდია“**.

ზემოთ მოყვანილი კვლევების საფუძველზე აუცილებელია საქართველოში შეიქმნას ქართული კაბალას – ქართული ანბანის მუზეუმი.

მსოფლიოს ხალხთა მითოლოგია გვამცნობს, რომ დედამიწაზე მხოლოდ ღმერთები ცხოვრობდნენ. მოგვიანებით მათი ნაწილი ცაში ავიდა, ხოლო ნაწილი დედამიწაზე დარჩა. სწორედ მათი შთამომავლები არიან „მე“-ს კოდის – ქართული ანბანის გენეტიკური პირველსაწყისი კოდის მატარებელი ხალხი, რომელთაც უფალმა იბერიის ცივილიზაცია უწოდა. ისინი ერთ ენაზე, ქართულ ენაზე აზროვნებდნენ და ლაპარაკობდნენ. **ქართული ენა ღმერთების ენაა. მომავალ, ახალ ცივილიზაციას ისევ ქართული გენი, ქართულ ენაზე მოაზროვნე და მოსაუბრე ხალხი გააგრძელებს**. ყველაფერი უფლის ნებაა, უფლის დიდი გეგმის, უფლის დიდი ჩანაფიქრის ნაწილია და ადამიანი ვერაფერს შეცვლის. სამყაროში ყველა და ყველაფერი პირველსაწყისს უბრუნდება.

ᲛᲐᲜᲐᲗᲝᲑᲔᲚᲘ ᲡᲤᲔᲠᲝ ᲩᲔᲛᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲬᲧᲐᲠᲝᲐ

თანამედროვე მათემატიკოსებმა გონიერი არსებების ყველაზე ოპტიმალური ფორმის მოდელირება რომ გააკეთეს, აღმოჩნდა, რომ **„სუფთა აზროვნების ყველაზე იდეალური ფორმა სფეროა“**.

ადამიანები ხშირად ყვებიან მანათობელ სფეროებთან დაკავშირებულ შეხვედრაზე. 2001 წლის ზაფხულში, შვილიშვილებთან ერთად, დასასვენებლად წავედი აგარაკზე, ფოტოები გადავიღეთ და ჩამოსვლისთანავე დავბეჭდეთ. და აი, საოცრება: ერთ-ერთ სურათზე, რომელზეც გამოსახულია ჩემი უფროსი შვილიშვილი ია ღვინაძე, დაფიქსირდა თვალისთვის უხილავი დიდი მანათობელი სფერო. მნახველებიც გაოცდნენ. ამ ფაქტს ახსნა ვერავინ მოუძებნა. მივხვდი, რომ მანათობელი სფერო შემთხვევით როდი გამოჩნდა. ამ დროისთვის მეტაფიზიკაში მუშაობის დიდი გამოცდილება მქონდა. მის გამოჩენას გარკვეული დატვირთვა გააჩნდა: იგი დიდი ენერგიისა და ინფორმაციის მატარებელია. მისი გამოჩენის შემდეგ ვიგრძენი ინფორმაციის დიდი მოზღვავება.

მანათობელი, თვალისთვის უხილავი სფეროები კიდევ ექვსჯერ აღიბეჭდა ჩემს ოჯახში გადაღებულ ფოტოსურათებზე. ისინი სიდიდით ერთნაირია, ხოლო ვიზუალურად განსხვავდებიან: ზოგი გამჭვირვალეა, ხოლო ზოგი გაუმჭვირვალე და ნათელი.

მას შემდეგ ვცდილობთ ავხსნათ, თუ რასთან გვაქვს საქმე, მაგრამ ამაოდ. ფოტოსურათების, ფოტოფირებისა და ფოტოაპარატის ვიზუალური დათვალიერებისა და პროფესიული გამოცდილების საფუძველზე აზრი გამოთქვეს ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის ფოტოფიქსაციისა და ლაბორატორიის ხელმძღვანელმა გურამ ბუმბიაშვილმა, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრის განყოფილების თანამშრომელმა ომარ ალავიძემ და

მისმა კოლეგებმა, ასევე რამდენიმე ფოტოსალონის თანამშრომელმა. მათი აზრით, ფოტოსურათზე აღბეჭდილი მანათობელი სფეროები არ შეიძლება იყოს და არ არის გამოწვეული ტექნიკური მიზეზით.

რამდენიმე წლის წინ თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებულ ფიზიკოსთა საერთაშორისო სიმპოზიუმზე, რომელსაც ესწრებოდა ბევრი უცხოელი სპეციალისტი, წარვადგინე სფეროებთან დაკავშირებული ფოტომასალა.

საქართველოში დღემდე არც ერთი მეცნიერი არ დაინტერესებულა მანათობელი სფეროების საკითხით.

გამოითქვა ეჭვი იმის შესახებ, რომ **ეს მოვლენა შესაძლოა იმ თემებთან ყოფილიყო დაკავშირებული, რომლებზეც მე ვმუშაობ**. ამან ძალიან დამაფიქრა, რადგანაც ამჟამად ვმუშაობ ეგვიპტის, ჩინეთის, შუმერის და, საერთოდ, მსოფლიოს ძველი ცივილიზაციების მითოლოგია, ეთნოგრაფია, არქეოლოგიურ მასალებზე და მათ პარალელებზე ქართულ ცივილიზაციასთან. გამოქვეყნებული მაქვს 60-მდე სტატია-ნაშრომი.

ქართველ ფიზიკოსთა მიერ ერთ-ერთი ფოტოს ნახვისას, რომელზეც **მანათობელი სფეროს გადაადგილებაა აღბეჭდილი**, გამოითქვა აზრი, რომ ფოტოებზე დაფიქსირებული სფერო „ცოცხალი“ არსებაა და მას შეუძლია გადაადგილება.

ასეთი მანათობელი სფერო თავზე ადგას ეგვიპტელთა ქალღმერთ იზიდას (ისიდას), რომელიც სხვა ხალხებთან არის ვენერა, აფროდიტა, იშთარი-ინანა.

ქურუმთა უძველესი ცოდნა ღმერთზე, სამყაროსა და ადამიანზე ჩვენამდე მოვიდა კაბალას სახით, რომლის ერთ-ერთი სახე არის ეგვიპტის ტაროს არკანები, რომელშიც ქალღმერთ იზიდა-ინანას ასახვაა III არკანი, მასში ზემოხსენებული სამი ასეთი სფერო არის ქალღმერთის თანმხლები.

ეგვიპტური კაბალას III არკანში ქალღმერთი ზის მანათობელ სფეროზე და ხელში უკავია კვერთხი, რომლის თავი ორი მცირე ზომის სფეროა. შუმერთა „ან“-მა და „კი“-მ შექმნეს ჰაერის ღმერთი ენლილი, რომელმაც

შექმნა მთვარე **სინი** – არამყარი, ჰაეროვანი, გამჭვირვალე მანათობელი სფერო. **მეტეხის ტაძრის ერთ-ერთ ხატზე ქრისტეს მარცხენა ხელში მანათობელი, გამჭვირვალე, მოთეთრო ფერის სფერო უჭირავს**. ეკლესიათა კედლებზე გამოხატულ ფრესკებზე ზოგჯერ მანათობელი თეთრი სფერო ხელში უჭირავთ ანგელოზებს.

ეგვიპტე ძვწ. XV ს.

იგივე აზროვნების ასახვაა ეგვიპტის ფარაონ ეხნატონის მზის გამოსახულება.

შუმერების მითოლოგიაში ცნობილია ასეთი მანათობელი სფერო „მელამი“-ს სახელით, რომლითაც შემოსილნი არიან ღმერთები, ღმერთთან წილნაყარი ადამიანები, იგი გაუქრობელია, ერთი ხვთაებიდან გადაეცემა მეორეს. დღემდეა მოსული შუმერთა არქეოლოგიური მასალა, რომელზეც გამოსახულია „სფეროები“.

ეს საკითხი არც ქართველთათვის იყო უცხო.

ქართველების მიერ უძველესი დროიდან „სულეთის ღმერთი“ აღიქმება სავსე მთვარის ნათების მსგავსი მანათობელი დისკოს სახით. საქართველოში, ზესტაფონის რაიონის სოფ. არგვეთის ხვთისმშობლის მიძინების და ზარზმის ეკლესიების კედლებზე, დღემდეა შემორჩენილი დაახლ. 70 სმ-ის წრიული ფორმის გამჭოლი ჭრილი – დისკო, რომლის ჭრილი კედელში წაკვეთილი კონუსის ფორმას ქმნის – გარე წრე მცირეა, ხოლო შიგა წრე – დიდი, რაც გარედან შემოსულ დღის სინათლეს კონუსური ფორმით გაფანტავს ტაძარში. ერთი შეხედვით, ამ ჭრილს დღის სინათლეზე მანათობელი სფეროს სახე აქვს. ასეთ რამეს ტაძარში შემთხვევით არ მოაწყობდნენ; შესაძლებელია, იგი წარმართობის პერიოდისაა და ქრისტიანულ ეკლესიაში მოგვიანებითაა ჩაშენებული. მაშასადამე, ეს საკითხი



შუმერი

ქართველთა უძველესი წინაპრებისთვის უცხო არ იყო და ამ სფეროებს სულეთის ღმერთს უკავშირებდნენ.

ქართველთა მთის უძველესი ხალხის აზრით, ამ სფეროს მფლობელი არის ქალღმერთი „კი“ – „ადგილის დედა“, რომელიც გაცხადებულია ინანა, ვენერა, აფროდიტა, მთიებში – მთის ქალღმერთში, გამოსახავდნენ ხელებაწეულს, ანგელოზის სახით.

1984 წლის ზაფხულში ვისვენებდი სოფელ ტყვიავში. ერთ საღამოს ცაზე ნათლად გამოჩნდა მანათობელი წერტილი, რომელიც დიდი სისწრაფით უახლოვდებოდა დედამიწას. ეს „წერტილი“ დიდდებოდა და სულ რამდენიმე წამში სავსე მთვარის ზომის გახდა: ის იყო ნათელი სფერო, გამჭვირვალე მასა, გამჭოლად ჩანდა ცაზე ვარსკვლავები. ბოლოს, ამ გამჭვირვალე მასამ ცა მთლიანად დაფარა, ე.ი. დედამიწა მთლიანად გაეხვია ე.წ. ბურუსით შექმნილ „სფეროში“. მას შემდეგ მაქვს შთაბეჭდილება, რომ ცის ფერი – მუქი ლურჯი ოდნავ გაფერმკრთალდა და იმ დროს მოხვეული „საბურველი“ – გამჭვირვალე, თეთრი კოსმოსური ნივთიერი მასა, მუდმივად დარჩა დედამიწის ირგვლივ.

ბერძენთა ერთ-ერთ მითში უზენაესი ღმერთი ზევსი ქმნის გიგანტურ გადასაფარებელს – საბურველს, რომელზეც მოქარგა დედამიწის გამოსახულება და აფარებს მას ფრთებიან ხეზე, ანუ სიცოცხლის ხეზე. ზევსი ამ საბურველს ჩუქნის ქალღმერთ ჰერას, რომელიც მის ცოლად ითვლება. ზემოთ აღწერილი სოფ. ტყვიავის შემთხვევა, რომელსაც სოფლის მოსახლეობა უყურებდა, ზუსტად ემთხვევა ამ მითს – უზენაესმა ღმერთმა მართლა გადააფარა დედამიწას თეთრი, გამჭვირვალე საბურველი, ვითარცა პატარძალს – მეუღლეს, რაც მიმანიშნებელია იმისა, რომ უზენაესი ღმერთისგან დედამიწაზე შემოვიდა ახალი ენერგეტიკული ცნობიერება, დედამიწა და მისი მკვიდრნი ხომ ცივილიზაციის ახალ ციკლში გადასვლისთვის ემზადებიან, სადაც ადამიანები და გარე სამყარო მალე სხვა მეტაფიზიკურ ცნობიერებას და სახეს მიიღებს.

მითოსის მიხედვით, სამყაროს ცენტრად მოიაზრება წმინდა მთის შუაში განთავსებული გამოქვაბული, რომელშიც შენახულია სამყაროს გული – მზე, საიდუმლო განძი, ყველაზე დიდი სიმდიდრე – ოქრო. ამ აზრს გამოხატავს ქართული სიტყვები „მზის გული“, „ოქროს გული“.

„მზე“ – სამყაროს გული, ღმერთის სასუფეველი, წმინდა წყლის ალმასი, სიცოცხლის წყაროა, პირველი იწყებს და ამთავრებს სიცოცხლეს. **ადამიანი გულით ფიქრობს, აზროვნებს, მიკროკოსმის ერთგვარი ცენტრი „მზე“ და „ოქროს საწმისია“, უფლისგან შუა სამეფოდ წოდებული.**

აი, რას გვეუბნება **შოთა რუსთაველი** ამ საკითხთან დაკავშირებით:

„გული, ცნობა და გონება ერთმანეთზედა ჰკიდია,
რა გული წავა იგიცა წავლენ და მისკენ მიდიან“.

ყოველთვის მქონდა იმის შეგრძნება და აღქმა, რომ რასაც ვწერ და ვაქვეყნებ, თითქმის 27 წელია, ამ ინფორმაციას ჩემს ოჯახში ფოტოსურათებზე გამოსახული მანათობელი სფეროები მაძლევენ. შესაძლოა, იგი ჩემი სხეულიდან გამოდის დროდადრო და მამცნობს თავის არსებობას. იოგების „დახმარებით“, ჩემი გულის ადგილზე ვიხილე ფოტოებზე აღბეჭდილი, თვალისთვის უხილავი, მანათობელი სფერო; რომელიც გარდაისახა „მზედ“ და ყველა მიმართულებით აფრქვევდა სხივებს.

იმავე საკითხს წარმოაჩენს ნაწყვეტი ვაჟა-ფშაველას ერთი ლექსიდან:

„მთას ვიყავ, მწვერვალზე ვიდექ,
თვალწინ მეფინა ქვეყანა,
გულზედ მესვენა მზე – მთვარე,
ვლაპარაკობდი ღმერთთანა“.

უძველესი დროიდან ადამიანებს სჯეროდათ, რომ მათ დაბადებიდან თან სდევთ მფარველი ანგელოზი – შუმერთა პირადი ღმერთი, რომელიც არის შუამავალი უზენაეს ღმერთსა და ადამიანს შორის. ისინი ზებუნებრივი სულიერი არსებანი არიან, იცავენ ადამიანებს უბედურებისგან, ეხმარებიან ცხოვრების სიძნელეების გადალახვაში, აკონტროლებენ ადამიანთა მთელ ცხოვრებას – ბედისწერის ასრულებას. მათი ურთიერთობა ადამიანებთან ინფორმაციულია.

2009 წლის გაზაფხულზე ჩემთან მოვიდა თბილისელი ქალბატონი ნ. შ. – ქ., რომელმაც მაცნობა, რომ „შთაგონებით, უფლის ნებით მოსულთა ფიქრთა მომდინარეთა“ შედეგად ჩემთვის იწერება წიგნი – „**ეს ეს არს წიგნი პირველად, როგორც მესამედ წოდებულად ერთი საქმისად**“. მოვიყვან ამ „წიგნიდან“ მხოლოდ ორი თემის სათაურს:

„**სახელდებულთა ანდერძთა ბოძებულთა განმხელა**“ და „**მზისგან მომავალთა და აღმომავალთა განსაცდელად მომავალთა შემეცნებისა**“. მთლიანად ეს წიგნი ჯერჯერობით დიდი საიდუმლო ინფორმაციაა სამყაროს და მასში მიმდინარე კოსმიური პროცესების შესახებ.

ამ წიგნიდან მოვიყვანოთ მხოლოდ პატარა ნაწყვეტები, რისი უფლებაც გვაქვს, რომელიც უკავშირდება ზემოთ განხილულ მანათობელი სფეროს თემას: „ნაზი... თუკუოდენ შენ შენს თავს ფარად მიაგებ და საფარს აღახელ და ნახავენ ყოველნი შენს ნამდვილ შინაარს ზეცისგან უზესთაეს სერაფიმთაგან და ანგელოზთაგან. ამინ“. „აღმხელანი არის სწორედ ის ჩანაწერები, რომლებიც აქვს „ქალბატონს“... და ჩვენ კი უფლისგან და ეს არის აღმხელა უფლისგან მომავალთაგან. ჩვენთვის კი ყველა დრონი ერთად არს. ამინ. ესეც არს აღმხელა. ხოლო სხვა განდობანი არს ასევე უფლისგან და ჩვენ კი უფლის ნებით გაცნობებთ. ჩვენ კი ვართ უფლის ანგელოზნი“. „ეს სფეროები არ ჩანს დისკოზე და სინამდვილეში არს როგორც შუქურა და ის წამი, როცა იღებს (ფოტოსურათს) არს იმ დროს, როცა სჩანს დისკო. ეს დისკოები არის შენის ფიქრის განვალი სახეთგან. ხოლო ანგელოზი არასოდეს არ სჩანს. დისკო არს ნათებად მკრთალს ვითარს ჰფერს შენს ფიქრთა განს, ხოლომან ეს განი არს ის სიმაღლე რკალთა შორის განმავალს, რომელსაც შენს გონებითგან გაივლის“.

ამავე ნაწერში მეუბნებიან, რომ მე ვიკვლევ ეგვიპტის ფარაონთა მზის დისკოებს და მირჩევენ, ჩემი მზის დისკო გამოვიკვლიო.

ამ ნაწერების კვლევა მომავლის დიდი და უმნიშვნელოვანესი საქმეა. მასში აისახება ქართველი ერის სულიერი მისია მსოფლიოს და მთელი სამყაროს წინაშე.

ზემოთ აღნიშნულმა გამახსენა ერთი გამოცხადება, რომელიც მქონდა 2004 წლის შემოდგომაზე, სამების ტაძრის კურთხევამდე ორი კვირით ადრე: აღმოვჩნდი სამების ტაძრის ეზოს მთავარი შესასვლელის დიდ კართან, რომლის ორივე ფრთა ღიაა. უცებ, რაღაც ძალამ მიწიდან დაახლოებით ერთი მეტრით ჰაერში ამწია და ამ მდგომარეობაში დავიწყე გადაადგილება. ვგრძნობ, იმავე ძალას მივყავარ სამების ტაძრის მთავარი შესასვლელისკენ. აქაც კარის ორივე ფრთა გახსნილია. როგორც კი შემიყვანეს ტაძარში, დავიწყე გადაადგილება ტაძრის ჭერისკენ – აღსავლის კარის ზემოთ თაღისკენ. როცა ჩემი თმები შეეხო თაღის ცენტრს, დავინახე, რომ აღსავლის კარის თავზე ვარ ზემოთ ჰაერში. გადავიხედე საკურთხეველში. როცა ეს ყველაფერი კარგად აღვიქვი, 180^0-ით შემომატრიალეს ისე, რომ თავით ისევ თაღის ჭერს ვეხებოდი. შიგნით ტაძარს ზემოდან დავყურებ. მომლოცველი ადამიანები ძალიან პატარები ჩანან და ტაძარში მიმოდიან. უცებ, ჩემს სხეულზე ვიხედები, რომელსაც კოპტური ჯვრის ფორმა აქვს: ჯვრის ზედა წრე ჩემი თავი და სახეა, ვერტიკალური ნაწილი – ჩემი სხეული, ხოლო ჯვრის ჰორიზონტალური ნაწილი ჩემი მხრებია. ისევ ზემოდან დავყურებ ტაძრის შიდა მხარეს, გაოცებული ვარ მისი გიგანტური მასშტაბებით (მე ხომ მშენებელ-ინჟინერი ვარ). უცებ, რაღაც „ხმა მეკითხება“ (აქ მიდის უსიტყვო საუბარი): „ხომ არ გეშინია?“ მე ვპასუხობ: „არ მეშინია“. ისევ მახედებენ ჩემს სხეულზე: ვხედავ, თეთრი ქართული კაბა მაცვია, აქა-იქ ვერცხლისფერი ძაფები კიაფობს ქსოვილში, წელზე ქართული კაბისთვის დამახასიათებელი დიდი სარტყელი მიკეთია, თავზე არაფერი არ მახურავს, ჩემი თმები ისევ აღსავლის კარის ზემოთ განთავსებულ თაღის ცენტრს ეხება. უცებ, ამ შეხების წერტილიდან დაიწყო ძლიერი, მთლიანი და წყვეტილი ნათელი ენერგეტიკული სხივების გადმოფრქვევა, რომელიც ქმნიდა კონუსს წვეროთი ზემოთ და იწყებოდა იმ წერტილიდან, სადაც ჩემი თმები ეხებოდა აღსავლის კარის ზემოთ განთავსებულ თაღის ცენტრს. მთელი სხეულით ვიმყოფებოდი ამ ენერგეტიკულ კონუსში. იგივე უხილავი ხმა მეუბნება: „**სამების ტაძარში შემოსული ხვთიური ენერგია შენს გონებაში, გულში და სხეულში გავლით იფრქვევა სამების ტაძარში. ახლა ხდება სამების ტაძრის კურთხევა და შენ ამ რიტუალის უშუალო მონაწილე ხარ**“.

2004 წლის შემოდგომაზე, უფლის ნებით, ორი კვირით ადრე ვიხილე სამების ტაძრის კურთხევა და მე ვიყავი ამის უშუალო მონაწილე. ამ ხილვის არსის ბოლომდე ახსნა შეუძლებელია, ამისთვის დროა საჭირო.

მინდა გაგიზიაროთ კიდევ ერთი საინტერესო შემთხვევა, რომელიც სამჯერ განმეორდა: დაძინების წინ, როცა ტელევიზორის საყურებელ ოთახში ვაქრობ სინათლეს, მიწევს მისაღები ოთახის გავლა სიბნელეში, რათა მივიდე საძინებელ ოთახამდე და ავანთო შუქი. ბნელი ტერიტორიის გავლის დროს მივდივარ გახელილი თვალებით და ვხედავ: ჩემს თავზე

ანთებული რაღაც სინათლის წყაროდან გამოდის ანთებული სანთლის შუქის მსგავსი ყვითელი სხივები, რომლებიც ჩემს თავზე, სახის წინ ქმნიან სხივების კონუსს და ჩემს გადაადგილებასთან ერთად მომყვებიან. ეს ხილვა რამდენჯერმე განმეორდა. დღეს მე ამისი ახსნა არ შემიძლია, ეს მომავალი კვლევის საკითხია.

ზემოთ განხილული მასალის მიხედვით, **მსოფლიოს უძველესი ცივილიზაციის ხალხისთვის და მათ შორის ქართველებისთვის, მანათობელი სფეროების თემა უხსოვარი დროიდან იყო ცნობილი, რაც უდიდესი ფილოსოფიური, მითოლოგიური და ღრმად კოსმიური მოვლენაა**.

რა არის ცივილიზაცია?
„ადამის“ და „იბერიის“ ცივილიზაციები

დღეს მსოფლიოს მოაზროვნე საზოგადოება შემდეგ ცივილიზაციებს მოიხსენიებს: ადამის, იბერიის, ჩინეთის, მაიას, ეგვიპტის და სხვა. როგორც ვხედავთ, ცივილიზაციის ცნება პირობითია.

რა არის ცივილიზაცია?

სამყაროს ცვალებადობა კოსმიური პროცესების ციკლურ განვითარებასთანაა დაკავშირებული, რაც, თავის მხრივ, უკავშირდება სამყაროს გენეტიკური კოდის – „ბედისწერის“ შეცვლას. როდესაც ერთი დიდი ციკლი მთავრდება, იწყება მეორე. ყოველი მიკრო და მაკრო სამყარო ერთი დიდი კოსმიური პროცესის შემადგენელი ნაწილია, ერთი დიდი სხეულია, რომელიც მთლიანი სამყაროს კანონებს ემორჩილება. სამყაროს თითოეულ შემადგენელ ნაწილს, მაგალითად: ჩვენს მზის სისტემას, მის შემადგენელ პლანეტებს, თავისი ციკლური განვითარების წინასწარდასახული „გეგმა“ აქვს, რაც საერთო სამყაროული დიდი გეგმის ნაწილია. ყოველი დროის დიდი ციკლის დასასრულს იწყება ახალი. ეს არ ნიშნავს მხოლოდ დროის განსაზღვრულ ციკლს, არამედ ეს გულისხმობს იმას, რომ დროის ახალ ციკლს, რომელიც უფლის მიერ წინასწარაა „დადგენილი“, ასევე მოჰყვება ცვლილებები გენეტიკური კოდის დონეზე. ჩემი აზრით, მაგალითად, დინოზავრების გადაშენება, ციკლოპური ადამიანების გაქრობა და სხვა, სულაც არ არის დაკავშირებული დედამიწაზე მეტეორიტის ჩამოვარდნასთან, არამედ დროის ყოველი ახალი ციკლი იწვევს დედამიწაზე ახალი კოსმოსური ენერგიების მოსვლას, რასაც მაშინდელი გენეტიკური კოდის დინოზავრებმა და ციკლოპურმა ადამიანებმა ვერ გაუძლეს.

მოვიდა ახალი, ისეთი დნმ-ის მატარებელი ადამის ცივილიზაცია, რომელიც ახალი დროის ციკლის მიერ მოტანილი ენერგიებისგან არის შექმნილი. ადამის ცივილიზაციაში არ იგულისხმება მხოლოდ ადამიანი, არამედ იგულისხმება გარე სამყაროც, რომელიც ადამის კოდზეა აგებული – განსხვეულებული. სწორედ ახლა ვართ დროის ისეთ მომენტში, როცა სულ რაღაც 2000 წელიწადში მთავრდება ადამის ცივილიზაცია, ხოლო მზადება ახალ ცივილიზაციაში შესასვლელად დედამიწაზე ახლა

დაიწყო: პოლუსების შეცვლა, პოლარობის გაქრობა, პოლუსების დნობა, დედამიწის მიზიდულობის ძალის შემცირება, ე.წ. გლობალური დათბობა და სხვა, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია – იბადებიან სხვა დნმ-ის „ინდიგო“ ბავშვები, უსაზღვროა მათი შესაძლებლობები. ერთი ცივილიზაციის მეორეთი შეცვლა პირდაპირ გენეტიკურ კოდზე აისახება. **სამყაროში ერთი „სახის“ დნმ-ის მოქმედების ხანგრძლივობა არის ცივილიზაცია**. ამ ნიშნით, ე.წ. ცივილიზაციათა შორის განიხილება „ადამის“ და „იბერიის“ ცივილიზაციები. ამ ცივილიზაციებს ოდითგანვე ეს სახელები ჰქვიათ. გამოვიკვლიოთ, რა ენაზე მოლაპარაკე ხალხმა უწოდა მათ „ადამის“ და „იბერიის“ ცივილიზაციები. ამ საკითხის კვლევა გვაძლევს საშუალებას დავადგინოთ, თუ ვინაა იმ პირველი გენის მატარებელი ერი, ვის ენაზეც ეწოდა „ადამის“ და „იბერიის“ ცივილიზაციები, რომელი ხალხის ენაშია სიტყვები „ადამი“, „ადამიანი“ და „იბერია“.

ადამის ცივილიზაციის სახელი სიტყვა „ადამიან“-თან არის დაკავშირებული. ყველა საკითხის ამოსავალი წერტილი ბიბლიური კაბალაა, რომელიც მსოფლიოში არსებული ანბანებიდან მხოლოდ ქართულ ანბანში აისახება. ეს არის ცოდნა სამყაროს გენეტიკური კოდის შესახებ, სადაც პირველი კოსმიური საიდუმლოს სახელია „ადამიანი“ – „ადამი–ანი“, რომელიც ქართული ანბანის პირველ „ა-ან“ ასო–ნიშანს შეესაბამება. ის არის „პირველად შექმნილი, რომლისგანაც ყოველივე გამოვალს“. ჩინური კაბალას პირველი საიდუმლოს სახელია „ცი-ან“ – „შემოქმედი“, შუმერების კაბალათი „ან“ არის ცის ღმერთი და „უზენაესი ხელისუფალი“.

ქართველმა მას „ქართ ადამი“ – „ადამიანი“, ხოლო სხვა ხალხებმა უწოდეს „ადამი“. სწორედ აქედან დაიწყეს ქართველებმა წელთაღრიცხვის ათვლა „ქართ ადამს აქათ“. მაშასადამე, აქედან გამომდინარე, **„ადამიანი“ ქართული სიტყვაა და „ადამის“ ცივილიზაციასაც ეს სახელი ქართული ენიდან ეწოდა**. არ მეგულება მსოფლიოში არც ერთი სამეტყველო ენა, გარდა ქართულისა, რომელზეც ადამიანს „ადამიანი“ ჰქვია. ეს იმის მიმანიშნებელია, რომ ბაბელონის გოდოლამდე ხალხი ერთ ენაზე ლაპარაკობდა და ეს იყო ქართული ენა. ამის უდიდესი დასტურია ის, რომ კაბალას ცოდნას, რომელსაც მხოლოდ ქართული ანბანი შეესაბამება, მხოლოდ ქართველთა კუთვნილებაა. ქართული ანბანით მხოლოდ ქართულ ენაზეა დაწერილი უძველესი ქართული ხელნაწერები.

ამასთან, ეს ხელნაწერები დღესაც ჩვეულებრივად იკითხება თანამედროვე ქართულ ენაზე და სრულიად გასაგებია, მაშინ, როდესაც სხვა ხალხები თავის ძველ ენას ხელახლა სწავლობენ, ვინაიდან მათ ენაზე დაწერილი ძველი ხელნაწერები მათთვის დღეს გაუგებარია. ქართულმა ენამ პირველსაწყისიდან დღემდე თითქმის ძალიან მცირედით განიცადა ცვლილება, მასზე დრო არ მოქმედებს, იგი მარადიული დროის მატარებელია და უცვლელია.

ადამის ცივილიზაცია ემსახურება სულიწმინდის – ქალღმერთის მიწიერ მობრძანებას და გამეფებას. ეს კარგად ჩანს შუმერის მითოლოგიიდან: ქალღმერთი ინანა, დედოფალი ცისა, მობრძანდება ქვესკნელის სამეფოში, რათა გახდეს დედოფალი მიწისაც. შუმერის მითოლოგიაში მითი ინანას შესახებ ოთხჯერ მეორდება.

ადამის ცივილიზაცია ოთხი ციკლისგან შედგება, თითოეულის ხანგრძლივობა 10 000 წელია (ქართული ანბანის ბიბლიური კოდით). ადამის ცივილიზაცია 38 000 წლის წინ დაიწყო, დარჩა 2000 წელი. ახ.წ. 4 000 წელს ცივილიზაციის ახალი ციკლი დაიწყება. მსოფლიოს ხალხთა მითოლოგია ადამის ცივილიზაციას ქალის ფენომენის შეცნობას უკავშირებს – სამყაროს ორი ურთიერთსაპირისპირო პირველსაწყისის გამთლიანება-შეერთებას.

ადამის ცივილიზაციის მახასიათებელი მხოლოდ „ადამიანი“ კი არ არის, არამედ, დედამიწაზე ყველა და ყველაფერი, როგორიც არის, მხოლოდ ადამის ცივილიზაციისთვისაა დამახასიათებელი. სხვა ცივილიზაციას სხვაგვარი ფლორა და ფაუნა ახასიათებს, ადამიანიც „სხვაგვარია“, რასაც დედამიწაზე მოქმედი მისი შინაგანი და კოსმოსიდან მოსული ენერგიები განაპირობებენ.

ცივილიზაციათა ცვლა სამყაროში მხოლოდ გენეტიკური კოდის დონეზე ცვლილების შედეგად მიიღწევა.

იბერიის ცივილიზაცია მიკროცივილიზაციათა უსასრულო ჯაჭვია, მარადიული და უწყვეტია, რომლის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია „ადამის“ ცივილიზაცია.

სიტყვა „იბერია“ ქართული ფენომენია და სიტყვა „ბერიდან“ მოდის. ქართველთა 64 ხვთისშვილი სამყაროს ძირითადი შემოქმედნი არიან, ყველა არის „ბერი“. სამყაროს შემოქმედი მამაღმერთი მსოფლიოს ყვე-

ლა ხალხს „ბერი“-ს, თეთრწვერა მოხუცის სახით ეცხადება. ამერიკის უძველესი ტომებიც კი თეთრწვერა მოხუცს სცემდნენ თაყვანს, თუმცა წვეროსანი მამაკაცი არ ენახათ, მათ მამაკაცებს წვერი არ ჰქონდათ. თეთრწვერა მამაღმერთის აღქმა გამოცხადებით მიღებული ინფორმაციაა. „ბერი“ ქართული სიტყვაა. ქართველების გარდა არ მეგულება სხვა რომელიმე ერი, რომელიც თეთრწვერა მოხუცს „ბერს“ უწოდებდეს. ამავდროულად, ქართველებს გვაქვს სიტყვები: ბებერი, დედაბერი, ბერი, ბერდედა, ბერბერი. ამასთან, მხოლოდ ქართველებს ჰყავთ მითოლოგიაში 64 ხვთისშვილი – სამყაროს ძირითადი შემოქმედნი, ყველა ისინი არიან „ბერები“. სწორედ ამის გამო, ანუ ვინაიდან **სამყაროს ძირითადი შემოქმედნი არიან „ბერები“, ცივილიზაციასაც „იბერიის“ ცივილიზაცია ეწოდება. სიტყვა „იბერია“ ქართული ფენომენია. ოდითგანვე საქართველოს „იბერია“ ერქვა. ადამის ცივილიზაციის დასაწყისიდან დღემდე შემორჩენილი სიტყვები „ადამი“ და „იბერია“ მხოლოდ ქართული ენის კუთვნილებაა, რაც ქართველთა ენის და ერის პირველსაწყისობის მიმანიშნებელია**.

მსოფლიოს მეცნიერთა ვარაუდით, პრეისტორიული მსოფლიო იბერიულ-კავკასიური ტომებით იყო დასახლებული. საოცარია შვეიცარიელ და გერმანელ მეცნიერთა აღმოჩენა – ეგვიპტელი ფარაონები და ეგვიპტის მკვიდრთა ნახევარზე მეტი გენეტიკურად კავკასიელები არიან. კავკასიური გენები აქვთ გერმანელთა 45%-ს, შვეიცარიელთა 50%-ს, ესპანელთა 70%-ს. თანამედროვე ევროპის მკვიდრთა ნახევარზე მეტი გენეტიკურად კავკასიელები არიან. ქართველებს ქართველობა შიგნიდან გვაწერია – დნმ-ის ორ სპირალში ქართული ასო-ნიშნების ენერგეტიკული გაცხადებაა სამყაროს ოთხი საწყისისგან (მიწა, წყალი, ჰაერი, ცეცხლი) შედგენილი 64 ნუკლეინმჟავას „ტრიპლეტები“ (სამწნულები). ღმერთმა ჯერ ქართული ანბანი შექმნა, როგორც სამყაროს გენეტიკური კოდი, ხოლო შემდეგ ამის საფუძველზე შექმნა და დღესაც, ყოველ წუთს და ყოველ წამს იქმნება სამყარო. მოვა დრო, როცა შეიქმნება სპეციალური ხელსაწყო „იბერიული“ და კიდევ უფრო ადრეული ცივილიზაციის ადამიანთა გენის გამოსავლენად. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, როგორც „ადამის“, ისე „იბერიის“ ცივილიზაციებს სახელები ქართულ ენაზე მოლაპარაკე ხალხმა დაარქვა. ეს აშკარად მეტყველებს იმაზე, რომ „ბაბელონის გოდოლამდე“ ხალხი ერთ ენაზე – ქართულ ენაზე ლაპარაკობდა. სინურ მრავალთავში ჩვენმა წინაპრებმა ქართველებს ანდერძად დაგვიტოვეს წინასწარმეტყველება: „მეორედ მოსვლისას მაცხოვარი ამ ენაზე (ქართულ ენაზე) განიკითხავს და ამხილებს ქვეყანას“. ვინაიდან ქართული ბოლო ჟამის ენად მოიაზრება, პირველი ჟამის ენაც ქართული იქნებოდა – სამყაროში ყველა და ყველაფერი პირველსაწყისს უბრუნდება.

ბ-ნ ზვიად გამსახურდიას გამოკვლევით, იოანეს გამოცხადებაში მაცხოვარი ეუბნება თავის მოწაფეებს: „**მომავალში სულიწმინდამ უნდა ამხილოს სოფელი ცოდვისათვის და ამავე დროს უნდა მოჰმადლოს რჩეულებს საღვთო სიბრძნე**“.

ქართული წელთაღრიცხვა „ქართ ადამს აქათ“ და „დასაბამითგან“

ისტორიულ ძეგლებსა და უძველეს ქართულ ხელნაწერებში მრავლად მოიპოვება ამა თუ იმ მოვლენათა დათარიღება წელთაღრიცხვით „ქართ ადამს აქათ“ და „დასაბამითგან“. ბევრი ქართველი მეცნიერი მუშაობდა იმის დასადგენად, თუ საიდან იწყებოდა და რასთან იყო დაკავშირებული ქართული წელთაღრიცხვის ათვლის წერტილები – „ქართ ადამს აქათ“ და „დასაბამითგან“, მაგრამ უშედეგოდ. ეს საკითხი დღემდე არ არის გამოკვლეული. წინამდებარე კვლევა დასტურია იმისა, რომ იბერიულ-ქართულ-ხეთური ცივილიზაცია უკვე დახვდა „ადამის ცივილიზაციას“, რომელმაც პირველი ადამის მოსვლის დღიდან დაიწყო წელთაღრიცხვის ათვლა „ქართ ადამს აქათ“. რადგან სამყაროს გენეტიკური კოდი ქართული ანბანია და კაბალას ცოდნა გვეუბნება, რომ „ადამის“ ცივილიზაციის პირველი კოსმიური პერიოდი არის **ა-ან** ასო-ნიშანთან დაკავშირებული, ამიტომ პირველ ადამს ქართველებმა ვუწოდეთ **„ადამი-ანი“**, ხოლო მსოფლიოს ძველი ცივილიზაციის ხალხმა უბრალოდ – **„ადამი“**. ცხადია, წელთაღრიცხვას „ადამს აქათ“ 8000 წლის წინ ვერ დაიწყებდა ის ხალხი, რომელიც საკვების მოსაპოვებლად პირველყოფილივით ტყეში დარბოდა. ბიბლიაში მრავლადაა იბერიულ-ქართულ-ხეთური ცივილიზაციის კვალი, რომლის მიხედვითაც, ხეთებს ადამის ცივილიზაციის დასაწყისში უკვე ჰყავდათ მეფე, ჰქონდათ სახელმწიფო მოქმედი კანონებით.

ებრაელმა ერმა დღევანდელი იზრაელის ტერიტორიაზე პირველი მიწები საჩუქრად ქანაანელი ხეთების „მეფისგან“ მიიღო, როდესაც აბრაამმა მას სარას დასასაფლავებელი ადგილი სთხოვა. სიტყვა „**ქანანი**“ – „**ქან-ა-ანი**“ შედგება „ქან“ და „ანი“-სგან, რაც ქართული ანბანის ასო-ნიშნებია. ჯერ კიდევ პირველი ადამიანები ასო-ნიშნებს შემოქმედ ღმერთებად მიიჩნევდნენ. სიტყვა „ხე-თი“ ქართული სიტყვა „ხე“-დან მომდინარეობს და სიცოცხლის „ხე“-ს უკავშირდება. ცნობილია ქალღმერთ ინანას სიცოცხლის ხე „მე-სი“, აქედან იწარმოება სიტყვა „მე-სი-ა“, რაც ასევე ქართული წარმოშობისაა. „მე“-ს ღვთაებრივი კანონები აქვთ შუმერებს, „მე“-ები აწესრიგებენ სამყაროს შექმნის დღიდან, ხოლო „სი“ – „სი – ონი“, სიბრძნის ქალღმერთის სახელია, რაც, ასევე, უფლის სახელსაც უკავშირდება.

ისტორიული ძეგლების წარწერათა განხილვის შედეგად ვთვლი, რომ შუა საუკუნეებში, როცა ეს წარწერები სრულდებოდა, უკვე დაკარგული იყო ცოდნა იმის შესახებ, თუ საიდან იწყებოდა ათვლა **„ქართ ადამს აქათ“ და „დასაბამითგან“**. მართალია, უკვე შეცდომით, მაგრამ მაინც გრძელდებოდა წელთაღრიცხვის დათარიღება „ქართ ადამს აქათ“ და „დასაბამითგან“. საიდან იწყება ამ წელთაღრიცხვათა ათვლის წერტილები და რასთანაა ეს დაკავშირებული?

ჯერ კიდევ ძველ სამყაროში ადამიანებს ჰქონდათ იმის ცოდნა, რომ ღმერთმა სამყარო შექმნა ასო-ნიშანთა განსაკუთრებული წყობით. მათი აზრით, თითოეული ასო-ნიშანი არის დამოუკიდებელი არსება, როგორც კოსმოსური ელემენტი, აღნიშნავდნენ რიცხვით და ღმერთის განსაკუთრებული ნიშნით გამოსახავდნენ.

თითოეულ ასო-ნიშანს შეესაბამებოდა არსთა წრებრუნვის კოსმიური სურათი, რომელიც სამყაროში მოქმედებდა იმ ხანგრძლივობით, რა რიცხვიც წერია მის გვერდით ანბანში. ეს არის ცისა და მიწის, ხილულისა და უხილავის და რაც არის მათ შორის ერთიანი ცოცხალი კოსმიური პროცესის ასახვა. ცოდნა ამის შესახებ გადმოცემულია მითოლოგიაში, არქეოლოგიურ და ისტორიულ ძეგლებზე სიმბოლური გამოსახულებების სახით.

დედამიწაზე მცხოვრები ყველა ადამიანი ერთი გენეტიკური კოდითაა შექმნილი, ერთ ნაპში ზის, რასაც დედამიწა ჰქვია და ერთ კოსმოსში დაცურავს. ამიტომ მიღებული ინფორმაცია ადამიანის შიდა სამყაროდან, დედამიწიდან თუ გალაქტიკიდან, ერთნაირია. ერთნაირია სამყაროს აღქმა. ამიტომ, ოდითგანვე ყველა ადამიანს მიკრო თუ მაკრო სამყაროს შესახებ ერთნაირი აზროვნება აქვს. მითოლოგიური პროცესები სხვადასხვა ხალხში მეორდება, მხოლოდ მოქმედ პირთა სახელებია განსხვავებული.

ჯერ კიდევ პირველ ადამიანებს გახსნილი ჰქონდათ ე.წ. „მესამე თვალი“. ისინი ხედავდნენ და აღიქვამდნენ სამყაროს ყველა განზომილებაში. დროთა განმავლობაში ეს „თვალი“ დაიხურა და მეტაფიზიკური თვისე-

ბები შემორჩათ მხოლოდ ქურუმებსა და ხელდებულ ადამიანებს. ადამიანები თავის ირგვლივ ყველაფერს აწყობდნენ სამყაროს წრებრუნვის კოსმიური სურათების მიხედვით. ისინი თავის თავს აღიქვამდნენ, როგორც სამყაროს სამყაროში, თავს თვლიდნენ სამყაროს წევრად და ცხოვრობდნენ მისი კანონებით. უძველესი ცოდნა ანბანის შესახებ დღეს ჩვენამდე მოღწეულია „კაბალას“ სახით: ჩინეთის „ი-ძინი“-ს „ცვალებადობათა წიგნი“, რომელშიც სამყაროს ქმედება გამოსახულია 6 ხაზით, შედგენილი 64 ჰექსაგრამით, ეგვიპტის „ტარო“-ს 78 არკანი; შუმერის „მე“-ს „ხვთაებრივი კანონები“ და ევროპელთა „რუნები“.

მსოფლიოში არსებული ყველა ანბანიდან მხოლოდ ქართულ ანბანში აისახება „კაბალას“ უძველესი კოსმიური ცოდნა ღმერთზე, ადამიანსა და სამყაროზე, მის ყველა განზომილებაში. ღმერთმა ჯერ შექმნა ქართული ანბანი, როგორც სამყაროს გენეტიკური კოდი და ამის საფუძველზე შეიქმნა სამყარო. ის ყველაფერშია და ყველაფერი მასშია. მსოფლიო ამ ცოდნას „კაბალას“ სახელწოდებით იცნობს. „კაბალას“ საქართველოსთან და ქართულ ანბანთან მივყავართ. **„კაბალა“ – „კაბა-ალი“ ქართული სიტყვაა და ცეცხლის სტიქიის სამოსს – მატერიას, ანუ „კაბას“ ნიშნავს. „კაბალას“ ცოდნა რომ ქართულია, ამის დასტურია ისიც, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ჰერეთს-საინგილოს ოდითგანვე „კაბალა“ ერქვა. აზერბაიჯანში დღესაც შემორჩენილია ქალაქი „კაბალა“, ასევე საქართველოში, ლაგოდეხსა და ყვარელს შორის, არის მდინარე „კაბალი“ და სოფელი „კაბალი“**. ეს კი „კაბალას“ ცოდნის სადაურობის კვლევისას უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ეს საკითხი მსოფლიოს ხალხისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ებრაელთა ცოდნა „კაბალას“ შესახებ გვეუბნება, რომ „კაბალა“ არის იგივე „თორა“ და ბიბლიის ხუთწიგნეული, ანუ „ძველი აღთქმა“. ქართული ანბანის მიხედვით, „კაბალას“ ცოდნაზე დაყრდნობით, შეგვიძლია განვსაზღვროთ: როდის დაინგრა ბაბელონის გოდოლი, როდის მოხდა წარღვნა, რა არის გრალის თასი, ოქროს საწმისი, ნოეს კიდობანი, სამყაროს შექმნის 6 დღე; მასში აისახება სამყარო წარღვნამდე და წარღვნის შემდეგ; სამყაროს ოთხი საწყისის კოსმიური პერიოდები; მასშია სამყაროს ყველა საიდუმლო.

ღმერთი ამბობს: „მე ვარ ანი და ოხი“, რაც ანბანის უზენაესობას წარმოაჩენს. ეს ნიშნავს, რომ ანბანი თვით ღმერთია, ადამიანს კი არ შეუძლია

ღმერთის შექმნა. ჩემს ხილვებში არსთა წრებრუნვის კოსმიურ სურათებში ასომთავრული ასო-ნიშნები მამაღმერთს თავზე ადგას, ხოლო მხედრული – კოსმიურ მხედარს შუბლზე აწერია. აქედან გამომდინარე, ვთვლი, რომ **ქართული ანბანის ასო-ნიშნები ხილვით მიღებული ინფორმაციაა**.

ზემოთ მოყვანილ „კაბალას“ ცოდნაზე დაყრდნობით, წარმოვაჩინოთ გიორგი მერჩულეს (XI ს.) სიტყვების **„ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის ...“** არსი, სადაც „ქართულ ენა“-ში, ჩემი აზრით, ქართული ანბანი, როგორც სამყაროს გენეტიკური კოდი მოიაზრება. თითოეული ასო-ნიშნის გვერდით მიწერილი ციფრი ასახავს ამ ასო-ნიშნის შესაბამისი კოსმიური ენერგეტიკის მოქმედების ხანგრძლივობას მიკრო თუ მაკრო სამყაროში, დროის ფარდობითობის დაცვით – „ათასი ვითარცა ერთი“ (იოვანე-ზოსიმე).

„კაბალას“ კოსმიურ ცოდნაზე დაყრდნობით, წარმოვაჩინოთ ქართულ ისტორიულ ძეგლებსა და ხელნაწერებში ასახული ჩანაწერები: „ქართ ადამს აქათ“, „ადამს აქათ“ და „დასაბამითგან“. **ვინაიდან ქართული ანბანია გენეტიკური კოდი, წელთაღრიცხვებიც „ქართ ადამს აქათ“ და „დასაბამითგან“ აუცილებლად მასთან უნდა იყოს დაკავშირებული.**

იულიუს აფრიკელის (ახ.წ. 221 წ.) ქრონოლოგიით, 6000 წლის ბოლოსათვის უნდა დასრულებულიყო სამყაროს არსებობა და გახსნილიყო „ათასწლოვანი სულთაობა“, ანუ „ქრისტეს ათასწლოვანი მეფობა მორწმუნეებთან“. ქრისტეს „მეორედ მოსვლის“ თარიღად ადამიდან 6000 წელი იყო მიჩნეული. ეს საკითხი კარგადაა ასახული შუმერ-აქადის ძვ.წ. 3400 წლის ქვის ბეჭედზეც.

ანდრია ბიზანტიელი (ახ. წ. 352 წ.), 200 წლიანი პასქალური ტაბულების შემდგენელი, ქვეყნის გაჩენიდან ქრისტეს დაბადებამდე 5600 წელს ითვლიდა. მიგნებულია ასევე წყარო ქართველთა 5604 წლიანი ერასი.

სამეცნიერო საზოგადოება ათვლის წერტილებს „დასაბამითგან“, „ადამიდან“, ანუ „ადამს აქათ“, დღემდე ერთ ათვლის წერტილად მიიჩნევს. არადა, ზემოთ მოყვანილი მსჯელობითაც თვალსაჩინოა, რომ მათ შორის თითქმის 400 წელია სხვაობა: „დასაბამითგან ქრისტემდე“ 5600 წელი და „ადამიდან ქრისტემდე“ 6000 წელი. აქედან გამომდინარე, ახ.წ. 2000 წელს შეესაბამება „ადამს აქათ“ 8000 წელი. ქართველები დასაბამი-

ქართული ანბანი

1	Շ	Ւ	ა	ან	1	ადამიანი ქართ ადამი
2	Կ	Կ	ბ	ბან	2	
3	Ղ	Ղ	გ	გან	3	
4	Ճ	Ճ	დ	დონ	4	
5	Ղ	Ղ	ე	ენ	5	
6	Դ	Դ	ვ	ვინ	6	
7	Ե	Ե	ზ	ზენ	7	
8	Է	Է	ē	ჰ-ე	8	
9	Թ	Թ	თ	თან	9	
10	Ժ	Ժ	ი	ინ	10	
11	Ի	Ի	კ	კან	20	
12	Լ	Լ	ლ	ლას	30	
13	Խ	Խ	მ	მან	40	
14	Ծ	Ծ	ნ	ნარ	50	
15	Հ	Հ	ჲ	ჲ-ე	60	
16	Ձ	Ձ	ო	ონ	70	
17	Ղ	Ղ	პ	პარ	80	
18	Ճ	Ճ	ჟ	ჟან	90	
19	Մ	Մ	რ	რა-ე	100	
20	Յ	Յ	ს	სან	200	
21	Ն	Ն	ტ	ტარ	300	
	Շ	Շ	ჯ	ჯი-ე		
22	Ոշ	Ոշ	უ	უნ	400	წარღვნა
23	Պ	Պ	ფ	ფარ	500	
24	Ջ	Ջ	ქ	ქან	600	
25	Ռ	Ռ	ღ	ღან	700	
26	Վ	Վ	ყ	ყარ	800	
27	Տ	Տ	შ	შინ	900	
28	Ր	Ր	ჩ	ჩინ	1000	
29	Ց	Ց	ц	ცან	2000	
30	Ւ	Ւ	ძ	ძილ	3000	
31	Փ	Փ	წ	წილ	4000	
32	Ք	Ք	ჭ	ჭარ	5000	
33	Օ	Օ	ხ	ხან	6000	ახ.წ. დასაწყისი ქრისტეს დაბადება
34	Ֆ	Ֆ	ჴ	ჴარ	7000	
35	Ք	Ք	ჯ	ჯან	8000	ახ.წ. 2000 წ.
36	Ղ	Ղ	ჰ	ჰა-ე	9000	
37	Ֆ	Ֆ	ჶ	ოხ(ოჰ)	10000	

დან ქრისტემდე 5604 წელს ითვლიდნენ.

განვიხილოთ ეს საკითხი „კაბალას“ კოსმიური ცოდნის საფუძველზე, ანუ საიდან აითვლებოდა და რას უკავშირდება ათვლის წერტილი „ადამს აქათ“ და „ქართ ადამს აქათ“. განვიხილოთ ევროპელთა „რუნები“, რომელიც არ არის უცხო ქართველთა უძველესი აზროვნებისთვის. „რუნები“ გამოსახულია ხევსურეთის ქვებზე, ბორჯომის ხეობაში ქურუმ ქალთა დისკოებსა (ძვ.წ. XVII-Xს.ს.) და არქეოლოგიურ თუ ისტორიულ ძეგლებზე. ევროპამ დღემდე არ იცის საიდან მივიდა „რუნების“ სიბრძნე მათთან. ყველა „რუნას“ (საიდუმლოს), ანუ კოსმიურ პროცესს, თავისი სახელი აქვს. პირველი „რუნას“ სახელია „ადამიანი“ („Человек“), ე.ი. **„ადამი-ანი“**. ევროპელთა „რუნების“ მიხედვით, იგი ანბანის პირველი

ასო-ნიშნის კოსმიურობის გამოხატულებაა, რაც გვეუბნება, რომ ქართული ანბანის მიხედვით „ა-ან-1“ ასო-ნიშანი არის „ქართული ადამი“, ანუ „ადამი-ანი“. თუ გავითვალისწინებთ, რომ „ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის“, მაშინ **6000 წელი „ადამიდან“, ანუ „ქართ ადამს აქათ“, ემთხვევა ქართული ანბანის „ხ-ხან-6000“-ის შესაბამის კოსმიურ პერიოდს**. ქართულ მეტყველებაში „ხან“ არის „დრო“, ე.ი. ქრისტე არის იგივე „დრო“, „დროის მბრძანებელი“, „დრონი მეფობენ და არა მეფენი“. ყველაფერი დროს ექვემდებარება, სამყარო დროსა და სივრცეშია გაცხადებული.

მაშასადამე, აღნიშნულის მიხედვით, **„ადამს აქათ“, უფრო ზუსტად „ქართ ადამს აქათ“ ათვლის წერტილი „კაბალას“, კერძოდ კი, ევროპელთა „რუნების“ მიხედვით, არის ქართული ანბანის „ა-ან-1“ ასო-ნიშნის შესაბამისი კოსმიურობა.**

განვიხილოთ, თუ რას ნიშნავს ათვლის წერტილი „დასაბამითგან“. ვისარგებლოთ შუმერების „მე“-ს „ხვთაებრივი კანონებით“, სადაც 22-ე არის „წარღვნა“ და მიგვანიშნებს 22-ე „საიდუმლოზე“, რომელშიც მოიაზრება „წარღვნის“ კოსმიური პროცესი სამყაროში. ქართულ ანბანში მას შეესაბამება 22-უ-უნ-400 ასო-ნიშანი. თუ ავითვლით აქედან 5604 (5600წ.) წელს, იგი ემთხვევა ქრისტეს მოსვლის პერიოდს, ანუ „ქართ ადამს აქათ“ 6000 წელს, რაც ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისს, ანუ ახალი წელთაღრიცხვის ნულ წელს შეესაბამება.

აშკარაა, რომ ქართულ წელთაღრიცხვათა ათვლის წერტილები „ქართ ადამს აქათ“ და „დასაბამითგან“ ერთი და იგივე არ არის და მათ შორის 400 წელია სხვაობა.

ათვლის წერტილი „ქართ ადამს აქათ“ შეესაბამება ქართული ანბანის „ა-ან-1“ ასო-ნიშნის კოსმიურობას, რომლის სახელი ევროპელთა „რუნებით“ არის „ადამიანი“, ხოლო „დასაბამითგან“, შუმერების „მე“-ს „ხვთაებრივი კანონების“ მიხედვით, არის ქართული ანბანის უ-უნ-400 ასო-ნიშანი და მისი სახელია „წარღვნა“. მაშასადამე, „დასაბამითგან 5604წ. (5600წ.) ქრისტეს მოსვლამდე“ არის ათვლა „წარღვნიდან“ და ამ ორ ათვლის წერტილს შორის, „ქართ ადამს აქათ“ და „დასაბამითგან“, სხვაობა 400 წელია.

ზემოთ მოყვანილი მსჯელობა კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ

ქართული ანბანი სამყაროს გენეტიკური კოდია, „ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის“ და „ყოველი საიდუმლოჲ ამას ენასა შინა დამარხულ არს“.

დავათის სტელა (ძვ.წ. 680 წ.)

განვიხილოთ რამდენიმე ისტორიული თარიღი ახალი თვალთახედვით:

1. 1984 წ. სოფ. დავათში, რომელსაც ადრე **დაოთი** ერქვა, აღმოჩენილია სტელა, რომელზედაც გამოსახული ასომთავრული ანბანის 37 ასო-ნიშანი განლაგებულია 6 ხაზზე (7,6,5,7,6,5 და 1) ჩაზნექილ-ამოზნექილი ხაზებით ორი ტრიგრამის სახით, რაც გვაძლევს ჩინეთის „ი-ძინი“-ს ერთ-ერთ ჰექსაგრამას. ეს პირდაპირი პარალელია „დაო“-ს ფილოსოფიისა. ლაო-ძი „დაო“-ს სამყაროს დედად აღიარებდა. თვით „და-ო“ ქართული სიტყვაა. დავათის სტელაზე მეცნიერებმა ამოიკითხეს ციფრი 5320, რაც, ჩემი აზრით, ძეგლის შექმნის თარიღს წარმოაჩენს. ზემოთ მოყვანილი მსჯელობის გათვალისწინებით, ამ შემთხვევაში, ათვლის წერტილად არ შეგვიძლია მივიჩნიოთ „დასაბამითგან“, ვინაიდან „უ-400“ ასო-ნიშანზე განსაკუთრებული რაიმე მინიშნება სტელაზე არ გვაქვს, ამასთანავე, ანბანი სრულად არის დაწერილი და მართებული იქნება 5320 ავითვალოთ „ა-ან-1“ ასონიშნიდან, ანუ „ქართ ადამს აქათ“, რაც მოგვცემს ძვ.წ. 680 წელს. (6000-5320=680).

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ქართველთა წინაპრები სამყაროს ქმედებას არა მხოლოდ 6 ხაზით გამოსახავდნენ, არამედ თითოეულ ხაზზე განალაგებდნენ ასო-ნიშანთა გარკვეულ რაოდენობას და გარკვეულ ასონიშნებს, ჩინეთის „დაო“-ს ფილოსოფიის კუთხით ამ ძეგლების შესწავლა მომავლის საქმედ მიმაჩნია.

ДАВАТИС СТЕЛА МСОФЛИОЗИ ЕРТАДЕРТИА, РОМЕЛЗЕДАЦ ЧАРТУЛИ АСОМТАВРУЛИ АНБАНИС 37 АСО-НИШАНИА ГАМОСАХУЛИ. ИГИ АРИС ЧВ.Ш. 680 ШЛИС ЧЕГЛИ.

გულდასაწყვეტია, რომ ჩვენი ერისთვის და არა მხოლოდ ჩვენი ერისთვის უმნიშვნელოვანეს ძეგლს დღემდე არ ეღირსა დღის სინათლე და 20 წელზე მეტია ჯანაშიას სახელმწიფო მუზეუმის საცავშია ჩაკეტილი. დღეისათვის იგი არ არის სამუზეუმო ექსპონატი, რითაც ქართველი ერი სამართლიანად იამაყებდა.

მსოფლიოს ძველი ცივილიზაციის ყველა ხალხის მითოლოგიაში დამწერლობის შემქმნელი ქალღმერთია. ეს აზროვნებაა ასახული დავათის სტელაზეც. მასზე ასახული სამყაროს დედა, გულის ადგილას ხვთაებრივი ბავშვით, გამოსახულია ჯერ კიდევ მატრიარქატის პერიოდის აზროვნებით. იგი ოქროს საწმისის-ცეცხლის სტიქიის ენერგეტიკას ასახავს, რომლის კოსმიური აქტივობის პერიოდი ახ.წ. III ათასწლეულია. საქართველო და ზოგადად ქართული გენი მას „იბერიის ხვთისმშობელს“ უწოდებს. ჩვენ „იბერიის ხვთისმშობლის“ წილხვედრი ქვეყანა



სვეტიცხოველი

და მისი შვილები ვართ. ამასთანაა დაკავშირებული V ს. მოღვაწის პეტრე იბერის სახელი. **საქართველოს ოდითგანვე იბერია ერქვა.**

თბილისში უნდა აშენდეს ქართული კაბალას, ქართული ანბანის მუზეუმი, რომელშიც ცენტრალურ ადგილს დავათის და შარაგასის სტელები დაიკავებს.

2. მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის გარე კედლის წარწერა გვამცნობს: **„ქ. ადამს აქათ შვიდიათას ას ოთხმოცდა ექვსსა...“,** სადაც ასონიშანი **„ქ“** იგივე სიტყვა „ქართ“-ის შემოკლებული ჩანაწერია, რაც გულ-ქართლს, გულ-მართალს, გულ-წრფელს უკავშირდება. სწორედ აქედან იწარმოება სიტყვები „ქართ-ლი“, „ქართ-ველი“, „სა-ქართ-ველო“. შეგახსენებთ, რომ შუმერთა ქრისტე – სინი მითებში ხშირად მოიხსენიება სიტყვით „წრფელი“, ანუ გულწრფელი, გულმართალი. ამ საკითხს უკავშირდება და აქედან მოდის „მართლმადიდებლობა“, ანუ მართალი სიტყვის მადიდებლები, ასევე სიტყვები „სამართალი“ და „სასამართლო“. შუმერი მეფეები და დიდებულები თავს იმით იწონებდნენ, რომ ისინი თავის ყოველდღიურ საქმიანობასა და ადამიანებთან ურთიერთობაში იყვნენ სამართლიანები. ადრექრისტიანული შეხედულებით, ქრისტე მოვიდა ადამიდან 6000 წელს. აქ მოყვანილი სვეტიცხოვლის კედლის წარწერა „ქართ ადამს აქათ“ **7186** წელი იქნება ახ.წ. **1186** წელი (7186-6000=1186). მაშასადამე, სვეტიცხოვლის ტაძრის აღმოსავლეთის გარე კედლის წარწერა შესრულებულია ახ.წ. 1186 წელს (ქვაზე აწერია „მეფობა გიორგისა“).

3. ქართველი მემატიანე ლეონტი მროველი (XI-ს). „ქართლის ცხოვრების“ ქრონოლოგიური კომენტარის მიხედვით, გვამცნობს: **„ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსის ნათესავითგანი. ამან განავრცო ენა ქართული და არღარაჲ იზრახებოდა სხუაჲ ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისაჲ და მაშინ შექმნა მწიგნობრობაჲ ქართული“. „აქა მწიგნობრობა დაიწყეს ქართველთა ქართულ ადამს აქათ „ძლიბ“ (ძვ. წ. 3712) წელს“.**

„კაბალას“ კოსმიური ცოდნის ქართულ ანბანთან პარალელის მიხედვით, გამოვთვალოთ მეფე ფარნავაზის მეფობის პერიოდი: „ქართულ ადამს აქათ“ ქრისტეს მოსვლის პერიოდი 6000 წელია, რის შედეგადაც მივიღებთ 6000-3712=2288. მაშასადამე, **ძვ.წ. 2288 წელს ქართლის მეფე ფარნავაზმა შემოიღო ქართული მწიგნობრობა მთელი მაშინდელი საქართველოს ტერიტორიაზე**.

დღეს სამეცნიერო საზოგადოების აზრით, მეფე ფარნავაზის მეფობის პერიოდი ძვ.წ. III ს. პირველი ნახევარია, რაც არასწორად მიმაჩნია.

ქართულმა საზოგადოებამ უნდა გაითვალისწინოს, რომ ქართველებს ერთი მეფე კი არ ჰყავდა ფარნავაზი, არამედ, საქართველოში მეფობდა

რამოდენიმე ფარნავაზი – ფარნავაზიანთა შტო, ისევე, როგორც ბაგრატიონთა შტო, რომელთაგან ერთ-ერთი ფარნავაზი ძვ.წ. III საუკუნეში ცხოვრობდა და რომელსაც ქართული ენის „განვრცობასთან“ არაფერი აქვს საერთო.

თუ გავითვალისწინებთ, რომ სვეტიცხოვლის ტაძრის წარწერის მიხედვით ახ.წ. XII საუკუნეს შეესაბამება „ქართულ ადამს აქათ“ 7186 წელი, მაშინ ძვ.წ. III საუკუნე ვერავითარ შემთხვევაში ვერ იქნება „ქართულ ადამს აქათ“ 3712 წელი, რადგანაც მათ შორის სხვაობა, ჩანაწერის მიხედვით, 3474 წელია (7186-3712=3474).

მაშასადამე, **ქართველთა მეფე ფარნავაზი, რომელმაც „განავრცო ენა ქართული ... შექმნა მწიგნობრობა ქართული“, მეფობდა ძვ.წ. 2288წ.**

ახ.წ. 2012 წელს სრულიად საქართველომ უნდა იზეიმოს ქართველთა მეფის, ფარნავაზის მიერ ქართული ენის სრულიად საქართველოში „განვრცობის“ და ქართული მწიგნობრის შექმნის 4300 წელი.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნოთ, რომ **ეს წიგნი – „ქართული გენი იბერიის ცივილიზაციათა სათავეებთან“, ეძღვნება ქართველთა მეფე ფარნავაზის მეფობის 4300 წლისთავს.**

ზემოთ განხილულის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართველებმა „ქართ ადამს აქათ“ ათვლა დაიწყეს ადამის ცივილიზაციის IV ციკლის დასაწყისიდან. ამ პერიოდის ადამს უწოდეს „ქართ ადამი“, ანუ „ადამი-ანი“. ე.ი. პირველი „ადამი“ სამყაროს მოევლინა ქართული ანბანის კოდის მიხედვით „ა-ან“ ასო-ნიშნის კოსმიურ პერიოდში. **ახ.წ. 2000 წელს „ქართ ადამს აქათ“ შეესაბამება 8000 წელი.**

ქართველებმა იცოდნენ როდის დაიწყო „ადამის“ ცივილიზაცია, ამიტომაც აქედან დაიწყეს დროის ათვლა „ქართ ადამს აქათ“ და ეს წელთაღრიცხვა თითქმის XIX საუკუნემდე გრძელდებოდა.

ქართველებს გვაქვს მეორე წელთაღრიცხვა – „დასაბამითგან“, ანუ წარღვნიდან. **ქართველებმა იცოდნენ, როდის მოხდა „წარღვნა“ და მას „დასაბამი“ უწოდეს**. ახ.წ. 2000წელს „დასაბამითგან“ შეესაბამება 7600 წელი.

„ქართ ადამს აქათ“ და „დასაბამითგან“ დათარიღებული ისტორიული მოვლენების შესახებ წარწერები მრავლადაა საქართველოში ისტო-

რიულ ძეგლებსა და ძველ ქართულ ხელნაწერებში.

ვფიქრობ, მსოფლიოში არ მოიძებნება უძველესი ცივილიზაციის რომელიმე ერის ხალხი, რომელთაც ასე მყარად, ხაზგასმულად და დამაჯერებლად ჰქონდეს დღემდე მოტანილი საკითხი, იმის შესახებ, თუ როდის დაიწყო „ადამის“ ცივილიზაცია, როდის მოხდა „წარღვნა“ და დედამიწაზე კაცობრიობის ამ უმნიშვნელოვანეს მოვლენებს უკავშირებდეს თავის ორ წელთაღრიცხვას. ეს გვაქვს ქართველებს, რაც გვაძლევს იმის საფუძველს, აღვნიშნოთ, რომ **ქართველი ერი, ანბანის, როგორც სამყაროს გენეტიკური ცოდნის მფლობელი, ჯერ კიდევ ადამის ცივილიზაციის დასაწყისში იყო უდიდესი ცივილიზაციის ერი. სხვაგვარად, ქართველები ადამის ცივილიზაციის პირველივე დღეებიდან წელთაღრიცხვას ვერ დაიწყებდნენ.** ამის დასტურია მთელ საქართველოში მიმობნეული ისტორიული ძეგლები.

ქართველი ერი კავკასიაში არსაიდან მოსული არ არის და ოდითგანვე ადგილობრივი მკვიდრია.

ქართველები და საქართველო იბერიის ცივილიზაციის და დიდი **„ხეთების“** სახელმწიფოს ნაწილი ვართ და რომ არ დაგვეკარგა ჩვენი „ხეთობა“, საქართველოს ყველა კუთხეს ვუწოდეთ „კა-**ხეთი**“, „კუ-**ხეთი**“, „მეს-**ხეთი**“, „ჯავა-**ხეთი**“, „კოლ-**ხეთი**“. გავიხსენოთ გიორგი მერჩულეს (XI.) სიტყვები: „ქართლად ფრიადი (ხუთი) ქვეყანა აღირაცხების...“, საქართველოს დედაქალაქის სახელიც „მც-**ხეთა**“ სიტყვა „**ხეთა**“-სთან არის დაკავშირებული. სიტყვა „იბერია“ ქართული სიტყვაა და ქართველთა ხვთისშვილებს – ბერებს უკავშირდება. ქართულ ენაში გვაქვს სიტყვები: ბებერი, ბერი, დედაბერი, ბერბერი, რაც სხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხისთვის უცხოა. მსოფლიოს ხალხები ოდითგანვე ბერს – თეთრწვერა მოხუცს სცემდნენ თაყვანს. „იბერიის“ ცივილიზაციას ეს სახელი ქართულ ენაზე მოლაპარაკე ხალხმა დაარქვა.

„ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“

**„ბოლოდ ყოვლი დაფარული
საქმე ცხადად გამოცხადდეს“.**

შოთა რუსთაველი

ქართული სასულიერო მწერლობის უმნიშვნელოვანესი ძეგლის „ქებაჲ და დიდებაი ქართულისა ენისაჲ“-ს ოთხი ხელნაწერია დღემდე მოღწეული. ყველა ხელნაწერი გადაწერილია საბაწმინდის ლავრაში, იერუსალიმის მახლობლად და დაცულია სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტერში, სადაც ქართველები ადრიდანვე მოღვაწეობდნენ.

მიჩნეულია, რომ „ქებაჲ“-ს ნუსხები გადაწერილია X საუკუნის ცნობილი მწიგნობარისა და მოღვაწის იოვანე-ზოსიმეს ხელით და მის მიერვე ჩართულია ხელნაწერებში.

ამ ხელნაწერთა შორის ყველაზე ადრეული „ქებაჲ”-ს ტექსტი 1883 წ. ჩამოიტანა ა. ცაგარელმა, რომელიც გამოაქვეყნა 1888 წ. და დღემდე დაცულია პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა ფონდში. 1902 წელს შედგა სამეცნიერო ექსპედიცია სინაზე ნ. მარის და ივ. ჯავახიშვილის მონაწილეობით. მათ მოიძიეს იოვანე-ზოსიმეს ხელნაწერთა კრებული „სინური მრავალთავი“, რომელიც სხვადასხვა სიძველის, ხასიათისა და ლიტურგიული დანიშნულების ხელნაწერებისაგან შედგება და სწორედ აქ აღმოაჩინეს „ქებაჲ“-ს ოთხივე ხელნაწერი, რომელსაც ბოლოში ერთვის საძიებელი-ჩამონათვალი ამ კრებულში შესული ხელნაწერებისა. საძიებელი მიგვითითებს, რომ ხელნაწერთა კრებული მთავრდება 21-23 ნომრით – **„შესხმაჲ ქართველთაჲ და ქართველთა ენისაჲ“**.

იოვანე-ზოსიმეს „ქებაჲ“-ს ოთხივე ხელნაწერის ფოტოასლი დევს თბილისის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდში. ისინი გამოქვეყნდა 1940წ. ნ. მარის და ივ. ჯავახიშვილის მიერ. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული ოთხი ხელნაწერიდან პირველი სამი თითქმის ერთნაირია, დაწერილია ნუსხა-ხუცური ანბანით და მიწერილი აქვს, რომ გადამწერი იოვანე-ზოსიმეა. ხოლო მეოთხე – განსხვავებული ტექსტია, ასომთავრულითაა შესრულებული და არა აქვს მიწერილი გადამწერის ვინაობა, ე.ი. ავტორი

უცნობია. მეცნიერები თვლიან, რომ მეოთხე ხელნაწერი არაა იოვანე-ზოსიმესი.

ბევრმა ქართველმა მწერალმა იმუშავა „ქებაჲ“-ს ტექსტზე. მათ შორის იყო პავლე ინგოროყვა, რომელმაც ძირეულად შეცვალა „ქებაჲ“-ს ზოსიმესეული ტექსტი. სწორედ ამის შედეგად წაიშალა ძირითადი არსი „ქებაჲ“-ს წინასწარმეტყველებისა, თუ ვის, რატომ და როდის უნდა ველოდოთ და როდის უნდა მოხდეს ქართული ანბანის საიდუმლო კოდის გახსნა. შედეგად, ქართველ საზოგადოებას მოევლინა ახალი, XX საუკუნეში დაწერილი „ქებაჲ“, რომელსაც ნამდვილ „ქებაჲ“-სთან მცირეოდენი მსგავსებაღა შემორჩა (იხ. პ.ინგოროყვა „თხზულებათა კრებული“, ტ. III. 1965 წ.). პ. ინგოროყვას „ქებაჲ“-ს ტექსტია დაბეჭდილი „ქართული პროზა“-ს I ტომში და, საერთოდ, ნებისმიერ ქართულ პუბლიკაციაში გამოქვეყნებულია არა იოვანე-ზოსიმეს, არამედ პავლე ინგოროყვას „ქებაჲ“-ს ტექსტი, ხოლო ავტორად ცხადდება იოვანე-ზოსიმე ან საერთოდ არავინ. მეცნიერები შეისწავლიან და განიხილავენ არა იოვანე-ზოსიმეს, არამედ პავლე ინგოროყვას „ქებაჲ“-ს ტექსტს. ქართულ ტაძრებშიც და ლაზარობის სადღესასწაულო წირვაზეც იკითხება არა იოვანე-ზოსიმეს, არამედ პავლე ინგოროყვას „ქებაჲ“-ს ტექსტი, ხოლო ავტორად კვლავ ცხადდება იოვანე-ზოსიმე. **„ქებაჲ“-ს ნამდვილ ხელნაწერებში საერთოდ არაა ნახსენები სიტყვები: „მესიისა“, „ას ოთხი ესე წელი და წილი ანბანისაჲ“ და სხვა.**

მხოლოდ ორი თანამედროვე მეცნიერი და მკვლევარი განიხილავს „ქებაჲ“-ს ნამდვილ ზოსიმესეულ ტექსტს – ზვიად გამსახურდია და მურთაზ ჩახავა.

რა გვიშლის ხელს, რომ დღეს გავრცელებული და საზოგადოებისთვის ცნობილი „ქებაჲ“-ს ავტორად საჯაროდ გამოვაცხადოთ მისი ნამდვილი ავტორი, XX საუკუნის მკვლევარი პავლე ინგოროყვა?! ვის სჭირდება ქართველი ერის ასე მწარედ მოტყუება?! ვიმედოვნებ, რომ ეს შეგნებულად არ ხდება.

შეგახსენებთ, რომ იოვანე-ზოსიმეს „ქებაჲ“-ს ხელნაწერები შეიქმნა და გადაიწერა X საუკუნეში ისეთ წმინდა ადგილას, როგორიცაა იერუსალიმის საბაწმინდის ლავრა და ამჟამად ეს ხელნაწერები ინახება სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის ხელნაწერთა საცავში. **„ქებაჲ“**

არის წინასწარმეტყველება ქართული გენის, ანბანის და ენის უდიდესი კოსმიური და ღვთიური მისიის შესახებ. „სინური მრავალთავი“, გადაწერილი იოვანე-ზოსიმეს მიერ, რომელშიც „ქებაჲ“-ს ხელნაწერებიც შედის, ქართველი ერისთვის და არა მარტო ჩვენთვის, ფასდაუდებელი სულიერი ღირებულებისაა.

ასეთ წმინდა ადგილზე დაწერილ და ერისთვის უდიდესი მნიშვნელობის ტექსტში, როგორიცაა იოვანე-ზოსიმეს „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“, რომელიც დაწერილია „სახელითა ღმრთისაჲთა“ („ქებაჲ“-ს მეორე და მესამე ხელნაწერებს აწერია ზემოთ), არ შეიძლება არამც თუ ტექსტის ძირეული შეცვლა, არამედ ყოვლად დაუშვებელია თუნდაც ერთი ასო-ნიშნის გამოკლება, დამატება ან გადანაცვლება. ძველი სიბრძნე გვეუბნება, რომ **„სახელითა ღმრთისაჲთა“ დაწერილ ტექსტებში ყოველი უმნიშვნელო ცვლილებაც კი „სამყაროს დასასრულს“ მოასწავებს.** იმედს ვიტოვებ, რომ აღნიშნული საკითხის გამოსასწორებლად აქტიურ მონაწილეობას მიიღებს როგორც საპატრიარქო, ასევე ქართული სამეცნიერო საზოგადოება. ქართველმა ერმა უნდა იხილოს იოვანე-ზოსიმეს „ქებაჲ“-ს მართალი ტექსტი, რომელიც სულაც არ არის რთული მოსაპოვებელი – სამივე ხელნაწერის ფოტოასლი თბილისის ხელნაწერთა ინსტიტუტის საცავშია დაცული. გთავაზობთ იოვანე-ზოსიმეს (X-ს) სამივე ხელნაწერის შეჯერებულ ტექსტს ლილი ხევსურიანის და ტარიელ ფუტკარაძის წიგნიდან „ქებაჲ და დიდებაჲ“:

სახელითა ღმრთისაჲთა

„ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“

დამარხულ არს ენაჲ ქართული დღედმდე მეორედ
მოსლვისა მისისა საწამებელად, რაჲთა
ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა.

და ესე ენაჲ მძინარე არს დღესამომდე და სახარებასა
შინა ამას ენასა ლაზარე ჰრქჳან.

ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲛᲐᲜ ᲜᲘᲜᲝ ᲛᲝᲐᲥᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲰᲔᲚᲔᲜᲔ ᲓᲔᲓᲝᲤᲐᲚᲛᲐᲜ, ᲔᲡᲔ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲝᲠᲜᲘ ᲓᲐᲜᲘ, ᲕᲘᲗᲐᲠᲪᲐ ᲛᲐᲠᲘᲐᲛ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲗᲐᲲ.

ᲓᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐᲲ ᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲗᲥᲣᲐ, ᲕᲘᲗᲐᲠᲛᲔᲓ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝᲲ ᲐᲛᲐᲡ ᲔᲜᲐᲡᲐ ᲨᲘᲜᲐ ᲓᲐᲛᲐᲠᲮᲣᲚ ᲐᲠᲡ.

ᲓᲐ ᲝᲗᲮᲘᲡᲐ ᲓᲦᲘᲡᲐ ᲛᲙᲣᲓᲐᲠᲘ, ᲐᲛᲘᲡᲗᲕᲡ ᲗᲥᲣᲐ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲛᲔᲢᲧᲣᲔᲚᲛᲐᲜ, ᲠᲐᲛᲔᲗᲣ „ᲬᲔᲚᲘ ᲐᲗᲐᲡᲘ ᲕᲘᲗᲐᲠᲪᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲦᲔ“.

ᲓᲐ ᲡᲐᲮᲐᲠᲔᲑᲐᲡᲐ ᲨᲘᲜᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲡᲐ, ᲗᲐᲕᲡᲐ ᲮᲝᲚᲝ ᲛᲐᲗᲓᲡᲡᲐ, ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲖᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚ ᲐᲡᲝᲲ ᲐᲠᲡ ᲓᲐ ᲘᲢᲧᲕᲡ ᲧᲝᲕᲚᲐᲓ ᲝᲗᲮ ᲐᲗᲐᲡᲡᲐ ᲛᲐᲠᲐᲒᲡᲐ: ᲓᲐ ᲔᲡᲔ ᲐᲠᲡ ᲝᲗᲮᲘ ᲓᲦᲔ:

ᲓᲐ ᲝᲗᲮᲘᲡᲐ ᲓᲦᲘᲡᲐ ᲛᲙᲣᲓᲐᲠᲘ, ᲐᲛᲘᲡᲗᲕᲡ ᲛᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲕᲔ ᲓᲐᲤᲚᲣᲚᲘ ᲡᲘᲙᲣᲓᲘᲚᲘᲗᲐ ᲜᲐᲗᲚᲘᲡᲦᲔᲑᲘᲡᲐ ᲛᲘᲡᲘᲡᲐᲲᲗᲐ.

ᲓᲐ ᲔᲡᲔ ᲔᲜᲐᲲ, ᲨᲔᲛᲙᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲙᲣᲠᲗᲮᲔᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗᲐ Ო-ᲘᲡᲐᲲᲗᲐ (ᲣᲤᲚᲘᲡᲐᲲᲗᲐ), ᲛᲓᲐᲑᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲬᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ, ᲛᲝᲔᲚᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐ ᲛᲐᲡ ᲛᲔᲝᲠᲔᲓ ᲛᲝᲡᲚᲕᲐᲡᲐ Ო-ᲘᲡᲐᲡᲐ (ᲣᲤᲚᲘᲡᲐᲡᲐ).

ᲓᲐ ᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲐᲓ ᲔᲡᲔ ᲐᲥᲣᲡ ᲝᲗᲮᲛᲔᲝᲪ ᲓᲐ ᲐᲗᲝᲗᲮᲛᲔᲢᲘ ᲬᲔᲚᲘ ᲣᲛᲔᲢᲦᲡ ᲡᲮᲣᲐᲗᲐ ᲔᲜᲐᲗᲐ ᲥᲠᲘᲡᲢᲦᲡ ᲛᲝᲡᲚᲕᲘᲗᲒᲐᲜ ᲕᲘᲓᲠᲔ ᲓᲦᲔᲡᲐᲛᲝᲛᲓᲔ.

ᲓᲐ ᲔᲡᲔ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲬᲔᲠᲘᲚ ᲐᲠᲡ, ᲛᲝᲬᲐᲛᲔᲓ ᲬᲐᲠᲛᲝᲒᲘᲗᲮᲐᲠ ᲐᲡᲘ ᲔᲡᲔ ᲬᲔᲚᲘ ᲐᲜᲑᲐᲜᲘᲡᲐᲲ.

ᲘᲝᲕᲐᲜᲔ-ᲖᲝᲡᲘᲛᲔ (X ს.).

ᲘᲝᲕᲐᲜᲔ-ᲖᲝᲡᲘᲛᲔᲡ „ᲥᲔᲑᲐᲲ“-Ს ᲮᲔᲚᲜᲐᲬᲔᲠᲔᲑᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ, ᲩᲔᲛᲘ ᲒᲐᲛᲝᲙᲕᲚᲔᲕᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲐ ᲬᲘᲒᲜᲐᲓ „ᲨᲔᲡᲮᲛᲐᲲ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐᲲ ᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲔᲜᲘᲡᲐᲲ“ (2004Წ., 2010Წ.). „ᲥᲔᲑᲐᲲ“-Ს ᲮᲔᲚᲜᲐᲬᲔᲠᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲓᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚ ᲓᲐᲨᲘᲤᲠᲣᲚ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ, ᲒᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲗ ᲩᲔᲛᲡ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲐᲡ.

ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲡ ᲛᲘᲐᲩᲜᲓᲐᲗ, ᲠᲝᲛ ᲦᲛᲔᲠᲗᲛᲐ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝ ᲨᲔᲥᲛᲜᲐ ᲐᲡᲝ-ᲜᲘᲨᲐᲜᲗᲐ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲝᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲧᲝᲑᲘᲗ. ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚ ᲐᲡᲝ-ᲜᲘᲨᲐᲜᲡ ᲦᲛᲔᲠᲗᲘᲡ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲐᲡ ᲐᲜᲘᲭᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲪᲘᲤᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲘᲮᲡᲔᲜᲘᲔᲑᲓᲜᲔᲜ. ᲛᲐᲗᲘ ᲪᲝᲓᲜᲐ ᲦᲛᲔᲠᲗᲖᲔ. ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲖᲔ, ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲔᲠᲗᲘᲐᲜ ᲙᲝᲡᲛᲘᲣᲠ ᲡᲘᲜᲗᲔᲖᲖᲔ, ᲓᲐᲨᲘᲤᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲘᲗ ᲒᲐᲓᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲐᲜᲑᲐᲜᲨᲘ. ᲐᲛᲐᲕᲓᲠᲝᲣᲚᲐᲓ, ᲔᲡ ᲪᲝᲓᲜᲐ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲡ �გᲔᲜᲔᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲝᲓᲘᲡ ᲙᲝᲡᲛᲘᲣᲠ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲐ ᲛᲐᲡ ᲑᲘᲑᲚᲘᲣᲠᲘ „ᲙᲐᲑᲐᲚᲐᲡ“ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ ᲘᲪᲜᲝᲑᲡ. Ი�გᲘ ᲛᲝᲘᲪᲐᲕᲡ ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ „ᲘᲫᲘᲜᲡ“, Ე�გᲕᲘᲞᲢᲘᲡ „ᲢᲐᲠᲝᲡ ᲐᲠᲙᲐᲜᲔᲑᲡ“, ᲨᲣᲛᲔᲠᲔᲑᲘᲡ „ᲛᲔ“-Ს „ᲮᲕᲗᲐᲔᲑᲠᲘᲕ ᲙᲐᲜᲝᲜᲔᲑᲡ“ ᲓᲐ ᲔᲕᲠᲝᲠᲐᲠᲗᲐ „ᲠᲣᲜᲔᲑᲡ“. ᲔᲡ ᲪᲝᲓᲜᲐ ᲐᲗᲐᲡᲬᲚᲔᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔ ᲘᲧᲝ ᲥᲣᲠᲣᲛᲗᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲗ ᲘᲪᲝᲓᲜᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲛᲝᲕᲘᲓᲝᲓᲐ ᲓᲠᲝ, ᲠᲝᲪᲐ ᲙᲝᲡᲛᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝ ᲪᲝᲓᲜᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲐᲜᲑᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘᲧᲝ.

ᲰᲔᲠᲝᲓᲝᲢᲔᲡ 341 ᲥᲣᲠᲣᲛᲘᲡ ᲥᲐᲜᲓᲐᲙᲔᲑᲐ ᲐᲩᲕᲔᲜᲔᲡ Ე�გᲕᲘᲞᲢᲔᲚᲛᲐ ᲥᲣᲠᲣᲛᲔᲑᲛᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲛᲝᲜᲐᲪᲕᲚᲔᲝᲑᲘᲗ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ ᲐᲜᲑᲐᲜᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲮᲕᲗᲐᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝ ᲪᲝᲓᲜᲘᲡ ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲔᲑᲘ. ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲑᲘᲑᲚᲘᲣᲠᲘ ᲙᲐᲑᲐᲚᲐᲡ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝ ᲪᲝᲓᲜᲐ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲡ �გᲔᲜᲔᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲝᲓᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ 14 ᲐᲜᲑᲐᲜᲘᲓᲐᲜ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲐᲜᲑᲐᲜᲨᲘ ᲐᲘᲡᲐᲮᲔᲑᲐ ᲡᲠᲣᲚᲧᲝᲤᲘᲚᲐᲓ.

ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲛ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲡ ᲣᲙᲐᲕᲨᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲘᲝᲕᲐᲜᲔ-ᲖᲝᲡᲘᲛᲔᲡ „ᲥᲔᲑᲐᲲ“, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲛᲘᲜᲘᲨᲜᲔᲑᲐᲐ ᲔᲜᲘᲡ, ᲐᲜᲣ ᲐᲜᲑᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝᲡ �გᲐᲮᲡᲜᲘᲡ ᲗᲐᲠᲘᲦᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ. ᲕᲘᲜᲐᲘᲓᲐᲜ „ᲙᲐᲑᲐᲚᲐᲡ“ ᲪᲝᲓᲜᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚ ᲐᲜᲑᲐᲜᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲐᲜᲑᲐᲜᲨᲘ ᲐᲘᲡᲐᲮᲔᲑᲐ, ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲐᲐ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲐᲜᲑᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝᲡ �გᲐᲮᲡᲜᲐ ᲓᲐ ᲔᲡ ᲮᲓᲔᲑᲐ ᲛᲐᲨᲘᲜ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝ �გᲔᲜᲔᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲝᲓᲘᲗ ᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲡ ᲐᲓᲐᲛ ᲓᲐ ᲔᲕᲐᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲘᲬᲧᲔᲑᲡ �გᲐᲓᲐᲡᲕᲚᲐᲡ ᲐᲮᲐᲚ ᲪᲘᲕᲘᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐᲨᲘ.

ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲬᲐᲠᲛᲝᲕᲐᲩᲔᲜ ᲜᲐᲬᲧᲕᲔᲢᲡ ᲬᲘᲒᲜᲘᲓᲐᲜ „ᲨᲔᲡᲮᲛᲐᲲ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐᲲ ᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲔᲜᲘᲡᲐᲲ“:

[2] „ᲔᲡᲔ ᲔᲜᲐᲲ ᲛᲫᲘᲜᲐᲠᲔ ᲐᲠᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲛᲝᲛᲓᲔ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲐᲠᲔᲑᲐᲡᲐ ᲨᲘᲜᲐ ᲐᲛᲐᲡ ᲔᲜᲐᲡᲐ ᲚᲐᲖᲐᲠᲔ ᲰᲠᲥᲔᲐᲜ“

„ᲔᲜᲐ ᲛᲫᲘᲜᲐᲠᲔ ᲐᲠᲡ“ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲔᲜᲐᲛ ᲣᲜᲓᲐ „ᲒᲐᲘᲦᲕᲘᲫᲝᲡ“, ᲠᲝᲪᲐ

ამის დრო მოვა, რათა ქართული ენით ემცნოს ყველას ანბანის ჭეშმარიტი არსი, მისი უდიდესი კოსმიური მნიშვნელობა. ქართული ენა გაიგივებულია „ლაზარესთან“.

ვინ არის „ლაზარე“ წარმართობის პერიოდში და რატომ აიგივებს „ქებაჲ“-ს წინასწარმეტყველება ქართულ ენას, ქართულ ანბანს მაინცდამაინც „ლაზარესთან“?

ქართული მითოლოგიით ლაზარე არის დარისა და ავდრის წარმართობის პერიოდის ხვთაება, თუმცა ცა-ღრუბლის ბატონად ელია ითვლება. ელია ლაზარეს ორეულია, ნაყოფიერების ხვთაებაა.

კახეთში გვალვისას გოგონები აკეთებენ თიხის „ლაზარეს“, კარდაკარ დადიან შესაბამისი სიმღერით და რომელ სახლთანაც მივლენ, „ლაზარეს“ წყალს მიასხამენ.

სამხრეთ საქართველოში ლაზარეს კი არ აკეთებენ, არამედ ქალს ამოირჩევენ და კარდაკარ სიარულის დროს წყალს ასხამენ.

ხევსურებს ცა-ღრუბლის გამგედ „პირიმზეც“ (მდედრია) მიაჩნდათ. სვანურად „ელვაჲ“ ნიშნავს „მზეს“.

აფხაზეთში ამ დღესასწაულს „ლაზარობა“ ჰქვია. გვალვის დროს ქალიშვილები „დედოფალს“ აკეთებდნენ. დასვამდნენ თეთრ მატერიაგადაფარებულ ვირზე და ისე დადიოდნენ კარდაკარ. შემდეგ „დედოფალს“ წყალში ჩააგდებდნენ და თვითონაც ჭყუმპალაობდნენ.

ნაყოფიერების „ღმერთის“ სიმბოლოდ სარიტუალო სამოსს საბოლოოდ მხოლოდ „სარტყელი“ შემორჩა.

მითოლოგიასა და რელიგიურ წეს-ჩვეულებებზე დაყრდნობით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „ლაზარე“ მდედრობითი სქესის ნაყოფიერების „ცა-ღრუბლის“ ხვთაებაა, იგივე „დედოფალი“–„პირი-მზე“ (ზოგიერთი უძველესი ხალხი მზეს „პირის“ სახით გამოსახავდა). „ლაზარობის“ რიტუალში მხოლოდ გოგონები იღებდნენ მონაწილეობას. უძველესი წარმართობის დროს საქართველოში მზე მდედრობითი ხვთაება იყო, რაც ძალიან იშვიათია და ჩვენი ხალხის უძველეს ცივილიზაციაზე მიგვანიშნებს.

ქართულ ლექსიკონებში „ელია“ ნიშნავს „უფალო ღმერთო“-ს.

„ელი“ – „ელია“ – „ელიაზარ“ – „ლაზარე“ მეოხი და „ხვთის შეწევნაა“.

ჩემს აზროვნებაში შემდეგნაირად წარმოჩინდება სიტყვები: „ოხი“ (ოჰი) – „მიოხი“ – „მეოხი“, ანუ „მე-ოხი“.

ვენერა სიყვარულისა და ქორწინების, ნაყოფიერების ქალღმერთია. რომში „ვენია“ იხსენიებოდა ღმერთების წყალობის მნიშვნელობით.

მეტად საგულისხმოა, საქართველოს სამხრეთით, თურქეთის ტერიტორიაზე შემორჩენილი ელიას ხეობის ქართველთა სარიტუალო სიმღერა: „ელია გოგო, ელია, ...წითელ კაბას ჩაგაცვამ, თორმეტ ოქროს შაგაბამ...“ ოდნავი გაანალიზებაც საკმარისია შემდეგი დასკვნის გასაკეთებლად: ქართველები სიტყვებით – „ელია გოგო“, „წითელი კაბა“, „თორმეტი ოქრო“, ცეცხლის სტიქიის ქალღმერთს „ელია“ – „ელი“ – „ელვა“-ს უმღერიან.

ჭადრაკში დიდი კოსმიური საიდუმლო ინფორმაციაა ჩადებული. განსაკუთრებით საინტერესოა ის, რომ ჭადრაკში დედოფალს „ლაზიერი“ – „ლაზი-ერი“ ჰქვია და ორივე სიტყვა – „ლაზი“ და „ერი“ ქართული ენიდან მოდის. ზემოგანხილული საკითხების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ლაზარე – მეოხი – ოხი – დედოფალი – მზე – ვენერა მდედრობითი სქესის ნაყოფიერების ქალღმერთია, რომელიც „ქებაჲ“-ს ტექსტით გაიგივებულია ქართულ ენასთან.

მსოფლიოს ძველი ცივილიზაციის ყველა ხალხთან (შუმერი, ეგვიპტე, ცენტრალური ამერიკა) დამწერლობის შემქმნელი „დამწერლობის ქალღმერთია“.

მაშასადამე, **„ქებაჲ“-ს წინასწარმეტყველება ქართულ ენას და ქართული ანბანის „გაცოცხლება-გაღვიძებას“ აკავშირებს ლაზარესთან, რომელიც ქართველთათვის არის „ცა-ღრუბლის“ ხვთაება, „ნაყოფიერების ქალღმერთი“, დედოფალი, მზე, ვენერა, აფროდიტა, ცისკრის ვარსკვლავი, ქალღმერთი დალი, „ყველა მხარის ქალბატონი“, შუმერების ქალღმერთი ინანა, იზიდა, სამყაროს დედა – იბერიის ხვთისმშობელი.** მსოფლიოს სხვადასხვა ხალხი მას სხვადასხვა სახელით მოიხსენიებს.

„ქებაჲ“-ს წინასწარმეტყველების მიხედვით, ქართული ანბანის „გაღვიძება-გაცოცხლება“ უკავშირდება სამყაროს დედის – ნაყოფიერების ქალღმერთის „მეორედ“ მობრძანებას.

იოანეს სახარებაში მაცხოვარი ეუბნება თავის მოწაფეებს, რომ „მომავალში სულიწმინდამ უნდა ამხილოს სოფელი ცოდვისათვის და მოჰმადლოს რჩეულებს ჭეშმარიტი საღვთო სიბრძნე“. საქართველო არის

წილხვდომილი ხვთისმშობლისა, ხოლო ხვთისმშობელი სულიწმინდის მიწიერი გამოცხადებაა. სულიწმინდის ნების განმცხადებელი, მისი „პირი“ გაბრიელ მთავარანგელოზია. ჯერ კიდევ წარმართულ პერიოდში ქალღმერთ იზიდას გაბრიელ მთავარანგელოზთან აიგივებდნენ.

ქართული ანბანის საიდუმლოს გახსნის თარიღთან დაკავშირებით „ქებაჲ“-ს ტექსტში ერთ-ერთი მინიშნება ასეთია: **„ოთხმეოც და ათოთხმეტი წელი უმეტჱს სხუათა ენათა“**. ვიდრე ამ სიტყვების განხილვას დავიწყებთ, მინდა აღვნიშნო, რომ **როგორც „ასომთავრული“, ისე „მხედრული“ ასო-ნიშნები ხილვით მიღებული ინფორმაციაა, ორივე ანბანი ერთდროულადაა „შექმნილი“,** ვინაიდან ჩემს ხილვებში „ასომთავრული“ ასო-ნიშნები მამა ღმერთს თავზე ადგას, ხოლო „მხედრული“ – კოსმიურ მხედარს შუბლზე აწერია. აქედანაა მათი სახელები – „ასომთავრული“ და „მხედრული“. ორივე ანბანი მონაწილეობს კოსმიურ პროცესში გენეტიკური კოდის სახით, ჩადებულია მიკრო და მაკრო სამყაროში, „ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის“.

დავუბრუნდეთ „ქებაჲ“-ს ზემოთ მოყვანილ სიტყვებს. „უმეტეს სხუათა ენათა“-ში მოიაზრება ქართული „ასომთავრული“ და „მხედრული“ ანბანები. როცა მათი სხვაობა გახდებოდა „94“, მაშინ დადგებოდა ქართული ენის და ანბანის საიდუმლოს გაცხადების ჟამი. ქართული საზოგადოებისთვის დღეს ცნობილი „ასომთავრული“-ს 37 და „მხედრული“-ს 33 ასო-ნიშანი ასეთი სახით XX ს. დასაწყისში ილია ჭავჭავაძემ „დაალაგა“, რაც მოგვიანებით 1984 წელს აღმოჩენილ დავათის სტელას (ძვ. წ. 680წ.) ანბანს დაემთხვა. აღმოჩნდა, რომ „ასომთავრული“ ანბანი „მხედრულზე“ ოთხი ასო-ნიშნით მეტია, რომელთა ანბანთრიგის შეჯამებით, მივიღებთ:

ⲑ+ⲁ+ⲝ+ⲜⲜ=8+15+34+37=94

დღეისათვის „ასომთავრული“ ანბანი მართლაც 94-ით მეტია „მხედრულ“ ანბანზე, რაც მოიაზრება სიტყვებში – „უმეტჱს სხუათა ენათა“. „ქებაჲ“-ს ამ მინიშნებით სწორედ **ახლა, III ათასწლეულის დასაწყისში დადგა ჟამი „ქებაჲ“-ს წინასწარმეტყველების ასრულებისა: უნდა წარმოჩინდეს ის დაფარული საიდუმლო ცოდნა, რომელიც დევს ქართულ ანბანში – ეს არის ბიბლიური კაბალას გენეტიკური კოდის საიდუმლოს გაცხადება.**

ქართული ანბანი

1	Ⲁ	ⲁ	ა	ან	1	20	Ⲗ	ⲗ	ლ	სან	200
2	Ⲃ	ⲃ	ბ	ბან	2	21	Ⲙ	ⲙ	მ	ტარ	300
3	Ⲅ	ⲅ	გ	გან	3		ⲛ	ⲛ	ჯ	ვო-ე	
4	Ⲇ	ⲇ	დ	დონ	4	22	Ⲝ	ⲝ	უ	უნ	400
5	Ⲉ	ⲉ	ე	ენ	5	23	Ⲟ	ⲟ	ფ	ფარ	500
6	Ⲍ	ⲍ	ვ	ვინ	6	24	Ⲡ	ⲡ	ქ	ქან	600
7	Ⲏ	ⲏ	ზ	ზენ	7	25	Ⲣ	ⲣ	ღ	ღან	700
8	Ⲑ	ⲑ	ⲑ	ჰ-ე	8	26	Ⲥ	ⲥ	ყ	ყარ	800
9	Ⲓ	ⲓ	თ	თან	9	27	Ⲧ	ⲧ	შ	შინ	900
10	Ⲕ	ⲕ	ი	ინ	10	28	Ⲩ	ⲩ	ჩ	ჩინ	1000
11	Ⲗ	ⲗ	კ	კან	20	29	Ⲫ	ⲫ	ც	ცან	2000
12	Ⲙ	ⲙ	ლ	ლას	30	30	Ⲭ	ⲭ	ძ	ძილ	3000
13	Ⲛ	ⲛ	მ	მან	40	31	Ⲯ	ⲯ	წ	წილ	4000
14	Ⲝ	ⲝ	ნ	ნარ	50	32	Ⲱ	ⲱ	ჭ	ჭარ	5000
15	Ⲟ	ⲟ	ჲ	ჲ-ე	60	33	Ⲳ	ⲳ	ხ	ხან	6000
16	Ⲡ	ⲡ	ო	ონ	70	34	Ⲵ	ⲵ	ჴ	ჴარ	7000
17	Ⲣ	ⲣ	პ	პარ	80	35	Ⲷ	ⲷ	ჯ	ჯან	8000
18	Ⲥ	ⲥ	ჟ	ჟან	90	36	Ⲹ	ⲹ	ჰ	ჰა-ე	9000
19	Ⲧ	ⲧ	რ	რა-ე	100	37	Ⲻ	ⲻ	ⲝ	ოხ(ოჰ)	10000

ახლა, ა.წ. III ათასწლეულის დასაწყისში, დადგა სამყაროს IV-ცა-ცეცხლის კოსმიური პერიოდი, რომელიც არის „ოქროს საწმისის“ – კოსმიური „და-ძმის“ შეერთების, გამთლიანებული აზროვნების ათასწლეული. ქართველთა მითოლოგიით, კოსმიური და-ძმა არიან ხვთიშვილი იახსარი და სამძივარი, რომლებიც ორი „ნახევარმზეებია“ და უნდა შექმნან მთლიანი „მზე“. „ქებაჲ“-ს ტექსტით, ერთი არის „დღე“ (ქართულ უძველეს ხელნაწერებში სიტყვა „მზე“-ს ნაცვლად ზოგჯერ „დღე“-ს წერდნენ. ქართული ცნობიერებისთვის „მზე“ და „დღე“ ერთია), ხოლო მეორე – „ასი ესე წელი ანბანისაჲ“, ანუ „მზე“. „მზე“, ქართული ცნობიერებით, ქალი-ქალღმერთია. „ასი ესე წელი ანბანისაჲ“ ქართულ ანბანში არის **19-რ-რა(რაე)-100** ასო-ნიშანი, რომლის შესატყვისი სახელი, ბიბლიური კაბალას ცოდნის მიხედვით, არის „მზე“. რ. პატარიძის გამოკვლევით, მსოფლიოში არსებული ანბანებიდან **„რ“** ასო-ნიშანი მე-**19** ადგილზე მხოლოდ ქართულ ანბანშია. ეს ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი მინიშნებაა იმისა, რომ **კაბალას ცოდნა მხოლოდ ქართული გენის ფენომენია**. მაშასადამე, „ქებაჲ“-ს ტექსტი „ორი მზის“ მოსვლაზე მიგვანიშნებს, რომელთაგან ერთი არის „მზე“ და მეორე – „დღე“ (ნახეთ აქვე: „ოქროს საწმისი – ორი მზის საიდუმლო“).

ძველი ქართული სიბრძნე ამბობს: **„არ არს საიდუმლო, რომელიც არ გაცხადდების“, „ყველაფერს თავისი დრო აქვს“.**

აი, რას გვეუბნება ამის შესახებ ერთ-ერთი ქართული ხალხური ლექსი:

„რა ვქნისა ციხე ავაგე, ჯავრი შავაბი კარადა.
საქიოდან მოსულან ამ ციხის სანახავადა;
ბევრი უარეს გარშემო, კარ ვერ შაღეს ძალადა,
თქვეს, რომე დრონი მო-**ალის,** კარ გაიღების თავადა“.

აქ გადმოცემულის მიხედვით, როცა „**ალის**“ – ცეცხლის სტიქიის აქტივობის პერიოდი დადგება, სამყაროს ყველა საიდუმლო ტაძრის კარი თვითონ გაიღება.

ეს დრო უკვე მოვიდა, დადგა „ცეცხლის სტიქიის“ ათასწლეული. დადგა დრო ქართული ენის გენის და ანბანის კოსმიური ცოდნის საიდუმლოს გახსნისა. ბიბლიური კაბალას ცოდნა თავის სამშობლოს, საქართველოს დაუბრუნდა. ქართულ ანბანში სრულად აისახება: როდის დაიწყო ადამის ცივილიზაცია, როდის მოხდა წარღვნა და ბაბილონის გოდოლის დანგრევა, რა არის გრალის თასი და ოქროს საწმისი, სამყაროში „ქართულითა ენითა ჟამი (დრო) შეიწირვის“, დაიწყო „ჰ“ ასო-ნიშნის კოსმიური ათასწლეული და სხვ. **სამყაროს ყველა საიდუმლო ქართულ ანბანსა და ქართულ ენაშია**.

„ქებაჲ“-ს წინასწარმეტყველება ეხება არა მხოლოდ ქართველ ერს, არამედ მთლიანად ადამის ცივილიზაციას. ახლა, როდესაც წინ გვაქვს 2012 წელი და აშკარაა დედამიწაზე მიმდინარე უდიდესი კოსმიური ცვლილებები, „ქებაჲ“-ს ტექსტის წინასწარმეტყველების სწორად გაგებას და წარმოჩინებას უდიდესი ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა აქვს.

ქართველ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა შეფასება იოვანე-ზოსიმეს „ქებაჲ“-ს „საგალობელისა“ შემდეგია: „ქართულის გამორჩეულობას, მის ხვთაებრიობას მრავალი საიდუმლო ნიშანი გვიმოწმებს. ავტორი ჩამოთვლის ქრისტიანულ სიმბოლიკაზე დაფუძნებულ ამ ნიშნებს და ამით გვაუწყებს ქართული ენის საკითხში მესიანისტური კონცეფციის ეზოთერულ საფუძველს. მიუხედავად მეცნიერთა მცდელობისა, დღეს ყველა ამ სიმბოლოს ბოლომდე გახსნა კიდევ ვერ ხერხდება, მაგრამ ძეგლის საერთო ჩანაფიქრი, იდეა, გამოკვეთილია: „**ქართული ენა ყოველთა ენათა უპირატესია, საღმრთო ენაა, რომელიც წმიდად ინახავს თავს მეორედ მოსვლამდე**.“ („ქართული მწერლობა“, ლექსიკონი – ცნობარი, წიგნი I, თბილისი, 1984წ. გ.132).

სწორედ ქართული ანბანი, როგორც სამყაროს გენეტიკური კოდი, იქნება მომავალი 2000 წლის მანძილზე კვლევის უმნიშვნელოვანესი საკითხი.

იოვანე-ზოსიმე „ქებაჲ“-ს „საგალობელით“ წარმოაჩენს ქართული ენისა და ქართული გენის უპირატესობასა და რჩეულობას: კაბალას ბიბლიური კოდის საიდუმლო ცოდნა „ამას ენასა შინა დამარხულ არს“ და „ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა“.

ქართული ანბანი მსოფლიოს ძველი ცივილიზაციის ყველა ხალხის კუთვნილებაა /ანბანი ქართველებს 8000 წლის წინ ჰქონდათ/

დედამიწაზე მცხოვრები ყველა ადამიანი ერთი გენეტიკური კოდით ერთნაირადაა შექმნილი, ერთ ნავში ზის, რომელსაც დედამიწა ჰქვია და ერთ კოსმოსში დაცურავს. ამიტომ, ინფორმაცია, მიღებული ადამიანის შიდა სამყაროდან, დედამიწიდან თუ გალაქტიკიდან, ერთნაირია. ყველა ადამიანს მიკრო თუ მაკრო სამყაროს შესახებ ოდითგანვე ერთნაირი აზროვნება ჰქონდა. ამიტომაა, რომ მითოლოგიური პროცესები სხვადასხვა ხალხში მეორდება, მხოლოდ მოქმედ პირთა სახელებია განსხვავებული. პირველ ადამიანებს გახსნილი ჰქონდათ ე.წ. „მესამე თვალი". ისინი ხედავდნენ და აღიქვამდნენ სამყაროს ყველა განზომილებაში. დროთა განმავლობაში ეს „თვალი" დაიხურა და მეტაფიზიკური თვისებები შემორჩათ მხოლოდ ქურუმებსა და ხელდებულ ადამიანებს. მათი აღქმები სამყაროს მიმართ დედამიწის ყველა კონტინენტზე ერთნაირია.

ჯერ კიდევ სამყაროს პირველ ადამიანებს გაუჩნდათ რწმენა იმისა, რომ ღმერთმა სამყარო შექმნა ასო-ნიშანთა განსაკუთრებული წყობით. მათი აზრით, თითოეული ასო-ნიშანი არის დამოუკიდებელი არსება, კოსმოსური ელემენტი, რომელსაც აღნიშნავდნენ რიცხვით და ღმერთის განსაკუთრებული ნიშნით გამოსახავდნენ.

თითოეულ ასო-ნიშანს შეესაბამებოდა არსთა წრებრუნვის კოსმიური სურათი, რომელიც სამყაროში მოქმედებდა იმ ხანგრძლივობით, რა რიცხვიც წერია მის გვერდით ანბანში. ეს არის ცისა და მიწის, ხილულისა და უხილავის და რაც არის მათ შორის ერთიანი, ცოცხალი კოსმიური პროცესის ასახვა, მისი ცვალებადობა დროში.

დედამიწის პირველ ადამიანთა და ქურუმთა ცოდნა ღმერთზე, ადამიანსა და სამყაროზე, მის ყველა განზომილებაში, როგორც ერთიან კოსმიურ სინთეზზე, დღემდეა მოტანილი. მსოფლიო ამ ცოდნას „კაბალა"-ს სახელწოდებით იცნობს, ესაა ჩინეთის „იძინი" – „ცვალებადობათა წიგნი", რომელშიც სამყაროს ქმედება გამოსახულია **6** წყვეტილი და მთლიანი ხაზებით, 64 ჰექსაგრამით; ეგვიპტის „ტარო"-ს 78 არკანი, შუმერების

„მე"-ს „ხვთაებრივი კანონები", „ევროპელთა რუნები". „კაბალას" ცოდნის კვალს საქართველოსთან და ქართულ ანბანთან მივყავართ.

კითხვაზე, თუ როგორ და ვინ შექმნა ანბანი, შეგვიძლია ვუპასუხოთ, რომ ღმერთმა სამყარო შექმნა ასო-ნიშანთა განსაკუთრებული წყობით, რაც მიგვანიშნებს ანბანის, როგორც გენეტიკური კოდის უდიდეს ფუნქციაზე. ჩემს „ხილვებში", კოსმიური წრებრუნვის სურათებში, ასომთავრული ასო-ნიშნები ქვეყნიერების „მთავარს" – მამაღმერთს თავზე ადგას, ენერგეტიკულია და მბრუნავია, ამიტომ ჰქვია მას „თავრული", ანუ „მთავრული" ანბანი; ხოლო მხედრული ასო-ნიშნები კოსმიურ მხედარს შუბლზე აწერია, ამიტომ ჰქვია მას „მხედრული" ანბანი. როგორც ასომთავრული, ისე მხედრული ასო-ნიშნები გამოცხადებით მიღებული კოსმიური ინფორმაციაა. ღმერთი ამბობს: „მე ვარ ანი და ოხი" („ალფა და ომეგა"). ეს სიტყვები გვეუბნება, რომ ღმერთი არის ანბანი, ხოლო ადამიანს არ შეუძლია ანბანის, ანუ ღმერთის შექმნა.

„კაბალა" – „კაბა-ალი" ქართული სიტყვაა და ცეცხლის სტიქიის სამოსს, მატერიას, ანუ „კაბა"-ს ნიშნავს. „კაბალა"-ს ცოდნა რომ ქართულია, ამის დასტურია ისიც, რომ აღმოსავლეთ **საქართველოს ჰერეთს-საინგილოს აღმოსავლეთ ნაწილს შირვანამდე ოდითგანვე „კაბალა" ერქვა.** აზერბაიჯანში **დღესაც არის შემორჩენილი ქ. კაბალა,** ასევე საქართველოში, ლაგოდეხსა და ყვარელს შორის, არის მდინარე „კაბალი" და სოფელი „კაბალი". ეს კი, „კაბალას" ცოდნის სადაურობის, ანუ „კაბალა"-ს ცოდნის ძირძველი სამშობლოს მოძიების საკითხში მთელი მსოფლიოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან ებრაელთა ცოდნა „კაბალა"-ს შესახებ გვეუბნება, რომ „კაბალა" არის იგივე „თორა" და „ბიბლიის ხუთწიგნეული", ანუ „ძველი აღთქმა".

მსოფლიოში არსებულ ანბანთაგან მხოლოდ ქართულ ანბანში აისახება „კაბალა"-ს უძველესი კოსმიური ცოდნა. ეს არის გენეტიკურ კოდში მიმდინარე კოსმიური პროცესის ცვალებადობა დროში და აისახება მთლიანად სამყაროზე. ღმერთმა ჯერ შექმნა ქართული ანბანი, როგორც სამყაროს გენეტიკური კოდი და ამის საფუძველზე შეიქმნა სამყარო. ის ყველაფერშია და ყველაფერი მასშია.

ქართული ანბანის მიხედვით, „კაბალა"-ს ცოდნაზე დაყრდნობით, შეგვიძლია განვსაზღვროთ: როდის დაიწყო ადამის ცივილიზაცია, წელ-

თაღრიცხვა „ქართ ადამს აქათ“ და „დასაბამითგან“, როდის მოხდა წარღვნა, როდის დაინგრა ბაბელონის გოდოლი, რა არის გრალის თასი, ოქროს საწმისი, ნოეს კიდობანი, სამყაროს შექმნის 6 დღე; მასში აისახება სამყარო წარღვნამდე და წარღვნის შემდეგ, სამყაროს ოთხი საწყისის კოსმიური პერიოდები, მასშია სამყაროს ყველა საიდუმლო.

„კაბალა“-ს საიდუმლო ცოდნა ღმერთზე, ადამიანსა და სამყაროზე, როგორც ერთიან კოსმიურ სინთეზზე, ზედმიწევნით ზუსტად მხოლოდ ქართულ ანბანში აისახება.

ქართველებმა იცოდნენ, როდის დაიწყო „ადამის“ ცივილიზაცია! მათ პირველ ადამიანს „ქართული ადამი“ უწოდეს, აქედან დაიწყეს წელთაღრიცხვა „ქართ ადამს აქათ“.

ქართველებმა იცოდნენ, როდის მოხდა „წარღვნა“, მას „დასაბამი“ უწოდეს და აქედან დაიწყეს ათვლა „დასაბამითგან“, ანუ „წარღვნიდან“.

მსოფლიში არ მოიძებნება უძველესი ცივილიზაციის რომელიმე ერი, რომელსაც ასე მყარად, ხაზგასმულად და დამაჯერებლად ჰქონდეს დღემდე მოტანილი საკითხი იმის შესახებ, თუ როდის დაიწყო „ადამის“ ცივილიზაცია, როდის მოხდა წარღვნა და დედამიწაზე ამ ორ უმნიშვნელოვანეს მოვლენას უკავშირებს თავის ორ წელთაღრიცხვას. ეს გვაქვს ქართველებს, რაც გვაძლევს იმის საფუძველს, აღვნიშნოთ, რომ **ქართველი ერი თავისი ანბანის, როგორც სამყაროს გენეტიკური ცოდნის მფლობელი, ადამის ცივილიზაციის დასაწყისში იყო უდიდესი ცივილიზაციის ერი, რომელსაც „იბერიის“ ცივილიზაციას ვუწოდებთ. სხვაგვარად, ქართველები ადამის ცივილიზაციის პირველივე დღეებიდან წელთაღრიცხვას ვერ დაიწყებდნენ.**

დუშეთის რაიონის სოფ. დავათში, რომელსაც ადრე „დაო-თი“ ერქვა, 1984 წელს აღმოაჩინეს სტელა, რომელზედაც გამოსახულია 6 ხაზზე განლაგებული ქართული ასომთავრული ანბანის **37** ასო-ნიშანი. იკონოგრაფიული ხატწერითი ანალიზით დადგინდა, რომ სტელა უძველესი წარმართობის პერიოდისაა (ძვ.წ. 680წ.): ანგელოზები სქესითაა გამოსახული, ხვთისმშობელი შარავანდედის გარეშეა და ფეხზე მდგომი, ხვთაებრივი ბავშვი მხრებზე დაყრილი გრძელი ლოკონებით წელს ზემოთაა გამოსახული, ერთიანობაში სტელაზე სამოთხეა ასახული. დავათის სტელას შესწავლა გვაძლევს საფუძველს, გავაკეთოთ შემდეგი დასკვნა: ჩინეთის „**დაო**“-ს ფილოსოფია და იძინის – „ცვალებადობათა წიგნის“ კოსმიური ცოდნა, რომელშიც სამყაროს ქმედება 64 ჰექსაგრამით – 6 წყვეტილი და მთლიანი ხაზებით დაშიფრულად წარმოჩინდება, ქართველთათვის უცხო არ იყო (ნახეთ აქვე: „დავათის სტელა ქართული ანბანით...“). ამ საკითხების განხილვისას იქმნება შთაბეჭდილება, რომ სამყაროს კოსმოგონიური ცოდნა ჩინელებმა ქართველებისგან და საქართველოდან წაიღეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ **ქართველთა წინაპრები სამყაროს ცვალებადობის კოსმიურ პროცესს არა მხოლოდ ექვსი ხაზით გამოსახავდნენ, არამედ თითოეულ ხაზზე განალაგებდნენ გარკვეულ ასო-ნიშანთა გარკვეულ რაოდენობას.**

„კაბალა“-ს ცოდნა, წარმოჩინებული ქართული ანბანით, მსოფლიოს ძველი ცივილიზაციის ყველა ხალხთან ფიქსირდება.

ქართული ანბანი მხოლოდ ქართველთა კუთვნილება არ ყოფილა. თქვენს წინაშე წარმოვაჩენ ჩემს ხელთ არსებულ მსოფლიოს უძველესი ცივილიზაციის ხალხების რამდენიმე არქეოლოგიურ და ისტორიულ ძეგლს, რომლებზედაც ქართული ანბანია გამოსახული:

1. ჩინეთის „ი-ძინი“-ს ორი ჰექსაგრამის სახელწოდების გამოსახულებები №1 – „ცი-ანი“ და №64 – „ვეი-ძი(ჯი)“, რომელშიც ქართული ასომთავრული **„Ꭺ“** და **„Ꭾ“** ასო-ნიშნებია ჩართული.



ჰექსაგრამა №1 **ჰექსაგრამა №64**

2. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში განთავსებული შარაგასის სტელა, რომლის ზედა ნაწილში გამოსახულია ქართული ასომთავრული **„S“** და **„ს“** ასო-ნიშნები სტელას შექმნის თრიღს უნდა მიანიშნებდეს, ამაზე მეტყველებს **„S“** ასო-ნიშანზე გაკეთებული ვერტიკალური ქარაგმის ნიშანი. თუ გავითვალისწინებთ, რომ ანბანის მიხედვით ამ ასო-ნიშნების შესაბამისი ციფრებია **S**-ჯ-5000 და **ს**-200, მაშინ სტელას შექმნის თარიღი იქნება „ქართ ადამს აქათ“ **5200**წ, ანუ ძვ.წ. **800** წელი (6000-5200=800, სადაც 6000 ახ.წ.0 წელს შეესაბამება); ხოლო არამეული და ბერძნული წარწერები ბილინგვაზე მოგვიანებითაა შესრულებული. სტელა მეორეჯერ სამარხის სარკოფაგის კედლად ახ.წ. I საუკუნეში გამოიყენეს; ამის გამო

ერთი „ყური“ დაუტოვეს, რომელზედაც **„S“** ასო-ნიშანია გამოსახული, ხოლო მეორე „ყური“ ჩამოაჭრეს, რომელზედაც პ. ინგოროყვას აზრით, მეორე ასო-ნიშანი **„ს“** უნდა ყოფილიყო გამოსახული. აქვე წარმოვაჩენ სამხრეთ ამერიკის, მონტე-ალბანას ტერიტორიაზე ძვ.წ. I ათასწლეულში

შარაგასის სტელა არმაზის ხევიდან

საპოტეკების ღმერთი

მცხოვრები ხალხის – საპოტეკების ღმერთის გამოსახულებას, რომელსაც თავზე ადგას რაღაც ოთხ ყურიანი გვირგვინის მსგავსი. ქვედა ორ ყურზე გამოსახულია ქართული მხედრული **„ბ“** და გადაბრუნებული **„ბ“** ასო-ნიშნები (ეს კაბალას მეთოდია), ხოლო ზედა ერთ ყურზე გამოსახულია ქართული ასომთავრული **„ს“** და მეორეზე – **„S“** ასო-ნიშნები ისევე, როგორც შარაგასის სტელაზეა. საოცარი დამთხვევაა, მაგრამ ფაქტია.

3. თქვენს წინაშეა „დავით გარეჯის“ ერთ-ერთი კლდის სურათი, სადაც ნათლად ჩანს, რომ კლდის წინა ფერდობი საგანგებოდაა დამუშავებული, აქვს გიგანტური თევზის ფორმა თავით ქვემოთ (ისევე, როგორც დავათის სტელაზეა გამოსახული, მასზე დაწერილი 37 ასომთავრული ასო-ნიშნით). კლდეზე, თევზის შუაში, ამოკვეთილია გიგანტური ორი – **„ᒥ“** და **„Ⅹ“** ქართული ასომთავრული ასო-ნიშანი. საერთოდ, დავით გარეჯის კლდეების გამოსახულებები მსგავსია ჩიჩენ-იცას გამოსახულებებისა, რომელიც 8000 წელზე ადრეულია (დაადგინეს სათანადო გამოკვლევებით). აქედან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ დავით გარეჯის ეს გამოსახულებებიც „ადამის“ ცივილიზაციის ადამიანთა შექმნილი არ უნდა იყოს და წინა ცივილიზაციის დანატოვარია. ვფიქრობ, იგი ფიზიკურად გოლიათი ადამიანების მიერაა კლდეში გამოკვეთილი, რომლებიც სხვა სხეულში არსებობდნენ და ამიტომ არ არის მათი კვალი დღემდე დედამიწაზე გამოვლენილი. იგივე შეიძლება ითქვას პერუს გიგანტურ გამოსახულებებზეც. დავით გარეჯის კლდის საგანგებოდ დამუშავებულ ფერდობზე გამოკვეთილ უზარმაზარ თევზზე დაწერილი გიგანტური ქართული ასო-ნიშნები გვაძლევს შემდეგი დასკვნის საფუძველს: **ქართველებს ჯერ კიდევ 8000 წლის წინ ჰქონდათ ანბანი; ქართველები კავკასიის მკვიდრი მოსახლეობაა; ისინი დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ ჯერ კიდევ 8000 წლის წინ და არსაიდან მოსულები არ არიან!**

ქართული ასო-ნიშნებია ჰინდურ დევანაგარის დამწერლობაში, ჩრდილოეთ სპარსეთის ზენდურ (ფეჰლეურ) ანბანში 25 ასო-ნიშანი მსგავსია ქართული მხედრული ანბანის ასო-ნიშნებისა (რ. პატარიძე „ქართული ასომთავრული“, 1980წ. გ.27-28).



დავით გარეჯი

დავათის სტელა (ძვ.წ. 680 წ.)

მექსიკის მონტე-ალბანას არქეოლოგიურ და ისტორიულ ძეგლებზე აღმოვაჩინე ქართული ანბანის ასო-ნიშნები, მაშინ, როცა მათ ტექსტები ნახატ-ნაწერებით – იეროგლიფებით აქვთ შესრულებული, ეს კი მეტყველებს იმაზე, რომ ისინი ქართულ ანბანს არ იცნობდნენ, მაგრამ ფაქტია, რომ ქართული ასო-ნიშნების გამოსახულებებს ღმერთებს უკავშირებდნენ ისევე, როგორც მსოფლიოს სხვა ხალხი. მათ ისტორიულ ძეგლებზე ქართული ასო-ნიშნები გამოსახულია ისეთი ფორმით, ცხადი ხდება, რომ

მათთვის უცხო არ იყო ქართული კაბალას ბიბლიური ცოდნა. ისინი სამყაროში მიმდინარე კოსმიურ პროცესს ტრიგრამებით გამოსახავდნენ ისევე, როგორც ჩინელები, რომელთა წარმოშობის კვალსაც საქართველოსთან მივყავართ: ქართველები სამყაროს ქმედებას არა მხოლოდ სამი და ექვსი ხაზით გამოსახავდნენ, არამედ თითოეულ ხაზზე განალაგებდნენ ქართული ანბანის გარკვეულ ასო-ნიშნებს გარკვეული რაოდენობით.

მონტე-ალბანას ტერიტორიაზე მდებარეობს კამპეჩას ყურე და ქ. კამპეჩა. საქართველოში ქიზიყს ადრე კამბეჩოვანი ერქვა, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს – ალვანეთი (ალბანეთი).

მონტე-ალბანას ტერიტორიაზე ცხოვრობდა ოლმეკების ტომი, რომელთა სახელი „ოლმეკი“ დაკავშირებულია ქართველი ქანაანელი ხეთების ქალღმერთ „ალმეკი“-ს სახელთან. სიტყვაში „ალმეკი“ – „ალ-მეკი“, სამივე მარცვალი ქართული სიტყვაა. ლეგენდის თანახმად, აცტეკების და მათი წინაპრების უზენაესი ღმერთი მათთან მოვიდა „**ამომავალი მზის ქვეყნიდან**“. მას ეცვა გრძელი თეთრი სამოსი და ატარებდა წვერს. მან ასწავლა ადამიანებს მეცნიერება, გონივრეული წეს-ჩვეულებები და კანონები. მან შექმნა სამეფო, სადაც სიმინდის ტარო ადამიანის სიმაღლეს აღწევდა, ხოლო ბამბა უკვე შეღებილი იზრდებოდა. რატომღაც იგი იძულებული გამხდარა, მიეტოვებინა ეს ქვეყანა: აიღო თავისი კანონები, დამწერლობა, სიმღერები და იმავე გზას დაადგა, საიდანაც მოვიდა; შემდეგ გავიდა ზღვის ნაპირას, იტირა და ბოლოს თავი დაიწვა. მისი გული დილის ვარსკვლავად გადაიქცა. აცტეკები და მათი წინაპრები წვეროსანს – ბერს სცემდნენ თაყვანს, თუმცა წვეროსანი მამაკაცი არ ენახათ, ვინაიდან თვითონ უწვერულვაშონი იყვნენ. აცტეკთა უზენაესი ღმერთი კეცალკოატლი მათთან „ამომავალი მზის ქვეყნიდან“ – საქართველოდან მივიდა, რაც ქართული გენის – პირველსაწყისი ცივილიზაციის გამოძახილია (ნახეთ აქვე: „ხვთაებრივი გონის კოსმიური მისია“).

ქართული ანბანის კვალია შუმერშიც. შუმერთა ღმერთების სახელები ქართული ანბანის ასო-ნიშნების მეორადი სახელებია: „ან“ – ცის ღმერთია, „ენ“ – წყლის ღმერთი, ეს მაშინ, როცა არა აქვთ ქართული ანბანი და მათი დანატოვარი ტექსტები ლურსმული დამწერლობითაა შესრულებული. ქალღმერთ ინანას სახელი – „ინ-ან-ა“ ორი ქართული ასო-ნიშნის „ინ“ და „ან“ მეორადი სახელებისგან შედგება. მათ აქვთ „მე“-ს „ხვთაებრივი სჯულდებები“ – „მე“-ები, რომლებიც, შუმერი ფილოსოფოსების აზრით, „შექმნის დღიდან აწესრიგებდნენ სამყაროს მუდმივ მიმოქცევას“. ეს მაშინ, როცა მათ არა აქვთ სიტყვა „მე“, რომელიც ქართული სიტყვაა. ამას უკავშირდება სიტყვა „შუ-მე-ერი“. შუმერული კაბალა – „მე“-ს „ხვთაებრივი სჯულდებები“ მსოფლიოში არსებული ანბანებიდან მხოლოდ ქართულ ანბანში აისახება. ცხადია, ის ხალხი, რომელსაც დღეს ჩვენ ვიცნობთ შუმერის სახელწოდებით, არ არის ნამდვილი შუმერი. მათი წინაპრები ჯერ კიდევ 6 000 წლის წინ კავკასიიდან ჩავიდნენ შუმერში. ისინი ქართული გენისა და დამწერლობის მატარებელი ხალხი იყვნენ. ქართველები კავკასიის ძირძველი მოსახლეობაა და არსაიდან მოსული არ არის.

კავკასიის საქართველო არის ბიბლიური კაბალას ცოდნის სამშობლო. ქართული ანბანი მხოლოდ ქართველი ხალხის კუთვნილებაა. ქართული ანბანით მხოლოდ ქართულ ენაზეა დაწერილი უძველესი ქართული ტექსტები.

ზემოთ განხილული საკითხები მტკიცებულებაა იმისა, რომ **ქართველი ერი, ქართული გენი და ქართული დამწერლობა პირველსაწყისი გენის გამოვლინებაა შუმერში, ცენტრალური ამერიკის, ეგვიპტის, ევროპის და სხვა ძველი ცივილზაციის ხალხთან.**

განხილული მასალა გვაძლევს საფუძველს აღვნიშნოთ, რომ **ქართული ანბანი მხოლოდ ქართველების კუთვნილება არ არის. ქართული ანბანის აღქმა ჰქონდათ ძველი ცივილიზაციის ყველა ხალხს.** ეს იყო მათი უდიდესი საიდუმლო ცოდნა ღმერთზე, ადამიანსა და სამყაროზე, როგორც ერთიან კოსმიურ სინთეზზე. მაგრამ დადგებოდა დრო, როცა ეს საიდუმლო ცოდნა უნდა გაცხადებულიყო. ეს არის ცოდნა ქართული ანბანის, როგორც გენეტიკური კოდის შესახებ. **ეს დრო დადგა, ბიბლიური „კაბალას“ ცოდნა თავის პირველსაწყის საშობლოს – საქართველოს დაუბრუნდა.** ამის აღიარება, შემეცნება და გათავისება დღეს აუცილებელია სწორედ ამ პერიოდის ადამიანების მიერ. ამას წინასწარმეტყველებს იოვანე-ზოსიმეს „ქებაჲ“-ს ტექსტიც.

რას უკავშირდება ყველაფერი ეს?

დღეს კაცობრიობამ დედამიწაზე მიაღწია დროის ისეთ მნიშვნელო-

ვან მომენტს, რომელიც დღემდე არ ჰქონია, ვინაიდან დედამიწა სიცრუემ, ტყუილმა, ბოროტებამ, ვერაგობამ და ა.შ. მოიცვა, რაც დედამიწაზე ქმნის ბნელ, შავ, ბოროტების ენერგიას. სამყარო კი ამას ვერ ეგუება. სწორედ ახლა ვართ, კაბალას კოდით, მნიშვნელოვანი დროის მომენტში. 2012 წელს დაიწყება „განწმენდა“. იმისთვის, რომ ღმერთის „სასამართლო“ წარიმართოს მშვიდად და არა დიდი კატასტროფების ფონზე, ადამიანებმა უნდა შექმნან ნათელის ენერგია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩინური „კაბალა“-ს – „იძინი“-ს პირველ და ბოლო ჰექსაგრამებში ასახულია ქართული ასომთავრული **„Ⴓ“** და **„Ⴟ“** ასო-ნიშნები. ეს იმის მიმანიშნებელია, რომ „იძინი“-ს 64 ჰექსაგრამა მოიცავს რაღაც მნიშვნელოვან კოსმიურ ციკლს. ასევე, დავით გარეჯის კლდეზე ასახული **„Ⴓ“** და **„Ⴟ“** ქართული ასო-ნიშნები იმავეს მიმანიშნებელია. სწორედ ახლა, ახ.წ. 2000 წელს, ქართული ანბანის კოდით, შეესაბამება „ჯ-Ⴟ–**8000**“ ასო-ნიშნის კოსმიური პერიოდი. დავათის სტელაზე გამოსახულ ანბანში „ჯ-Ⴟ–**8000**“ ასო-ნიშანი განსაკუთრებით გამორჩეულადაა გამოსახული. ზემოთ განხილული მასალა მტკიცებულებაა იმისა, რომ ახლა მთავრდება ადამის ცივილიზაციის უმნიშვნელოვანესი ციკლი, რომელიც დროში მოიცავდა 8000 წელს.

„2012 წლის შემოდგომაზე დედამიწა უკუნ წყვდიადში ჩაიძირება“. – ასეთია ამერიკის შეერთებული შტატების მეცნიერებათა აკადემიის დასკვნა.

დედამიწამ დაიწყო გარდამავალი და გადამწყვეტი ეტაპი უსასრულობასა და მარადისობაში გადასასვლელად. დადგა დრო, შევიმეცნოთ ჩვენი თავი და გარე სამყარო; შევიმეცნოთ ჩვენი თავი, როგორც სამყარო სამყაროში. 2000 წლისთვის დედამიწაზე დადგა „ცეცხლის სტიქიის“ ათასწლეული, რომელიც უძველესი ცივილიზაციის ხალხთან „ოქროს საწმისის“ სახელითაა ცნობილი. ცეცხლის სტიქიის ენერგია აისახება დედამიწაზე ყველაფერში: შეიცვალა პოლუსები, ისინი კარგავენ პოლარობას, იბადება ინდიგო ბავშვების თაობა, ე.ი. იცვლება „დნმ“ და აქედან გამომდინარე, მომავალში ცვლილებები დედამიწაზე უფრო თვალსაჩინო გახდება.

თვით ჩვენი პლანეტა და სხვა ციური სხეულებიც უნდა აღვიქვათ, როგორც ცოცხალი ორგანიზმები: მათ შეუძლიათ ინფორმაციის მიღება, შენახვა, გადაცემა. ისინი მუდმივად ურთიერთობენ თავიანთი ინფორმაციული ველით. სამყაროში ყველამ და ყველაფერმა ყველაფერი იცის. სამყარო ქართულ ენაზე ლაპარაკობს (ნახეთ აქვე: „სამყარო ქართულ ენაზე ლაპარაკობს“), ჩვენ კი ამას ვერ ვაცნობიერებთ. **მეცნიერების ყველა დარგი უნდა გადავიდეს მეტაფიზიკურ აზროვნებაზე.**

დღევანდელ ადამიანს კი ვუწოდებთ **„ადამიანს“**, მაგრამ ის ამ ველიდან გასულია. იგი „ადამიანი“ იყო ადამის მოდგმის დასაწყისში, როცა ის იყო „ადამი-ანი“. შემდეგ მან დაკარგა „ადამიანობა“ და თავისი „მე“-ობა. „კაბალას“, ანუ ქართული ანბანის მიხედვით, გენეტიკური კოდის შეცნობა გვეხმარება, შევიმეცნოთ ჩვენი „მე“ და გარე სამყარო, რომელიც არის ერთიანი, დიდი „ორგანიზმი“. მას მართავს ერთი ხელი, ერთი სულიერება – უფალი ღმერთი. ის ყველაფერშია და ყველაფერი მასშია.

ქართველები და საქართველო იბერიის ცივილიზაციის და დიდი ხეთების სახელმწიფოს ნაწილი ვართ. იბერიულ-ქართულ-ხეთური ცივილიზაციის კვალი ბიბლიაში მრავლადაა, რომლის მიხედვითაც, „ქანაანელ“ ხეთებს ადამის ცივილიზაციის დასაწყისში უკვე ჰყავდათ „მეფე“, ჰქონდათ სახელმწიფო თავისი მოქმედი კანონებით. „ქანაანი“ – „ქან-ა-ანი“ ორი ქართული ასო-ნიშნისგან – „ქან“ და „ანი“-სგან შედგება. ეს კი ნიშნავს იმას, რომ აბრაამის პერიოდის ქართველებს ჰქონდათ ანბანი, მათ ღმერთებად აღიქვამდნენ და „ქანაანი“-ს ეს სახელი ქართველებმა – ხეთებმა დაარქვეს.

ზემოთ მოყვანილი მსჯელობა კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ქართული ანბანი სამყაროს გენეტიკური კოდია, „ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის“ და „ყოველი საიდუმლოჲ ამას ენასა შინა დამარხულ არს“.

„კაბალას“, ანუ ქართული ანბანის, როგორც სამყაროს გენეტიკური კოდის შეცნობა საშუალებას მოგვცემს, დედამიწის ხალხი დაუბრუნდეს პირველსაწყის ცნობიერებას, ამისათვის კი აუცილებელია **„იბერიულ-ქართულ-ხეთური“ ცივილიზაციის კვლევის ცენტრისთვის** თბილისში აიგოს განსაკუთრებული არქიტექტურული შენობა. აქვე განთავსდება **ქართული ანბანის – „კაბალას“ მუზეუმი**. ეს ცენტრი საფუძველს ჩაუყრის მეცნიერების სხვადასხვა დარგის გადასვლას მეტაფიზიკურ აზროვნებაზე. ეს არის გადარჩენის გზა.

მომავალში, ახ.წ. 4000 წელს, ანუ 2000 წლის შემდეგ, ქართუ-

ლი ანბანის კოდით, დასრულდება „ადამის“ ცივილიზაცია და ბოროტებისგან განწმენდილი და ჰარმონიული სამყარო გადავა ცივილიზაციის ახალ ციკლში.

ადამიანებმა უნდა დაიბრუნონ „ადამის“ ცივილიზაციის პირველსაწყისი ენერგია და ცნობიერება. ამისთვის უნდა შეიმეცნონ „იბერიულ-ქართულ-ხეთური“ ცივილიზაცია, რაც „ადამის“ ცივილიზაციის პირველსაწყისთან მიგვიყვანს. ამაშია იბერიულ-ქართული ცივილიზაციის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა.

სამყაროს შექმნის 6 დღე

მსოფლიოს მოაზროვნე საზოგადოება საუკუნეების მანძილზე ცდილობს ახსნას „სამყაროს შექმნის 6 დღის“ საიდუმლო. ვინაიდან სამყაროს გენეტიკური კოდი ქართული ანბანია და „ყოველი საიდუმლოꙋ ამას ენასა შინა დამარხულ არს“, სამყაროს 6 დღეში შექმნის საკითხიც ქართულ ანბანში უნდა ვეძიოთ.

ბიბლიური კაბალას პირველი „საიდუმლოს“ სახელია „ადამიანი“ – „ადამი-ანი“ – „მე“, რომელიც ქართული ანბანის პირველ „ა-ან“ ასო-ნიშანს შეესაბამება. ეს გვეუბნება, რომ **ბიბლიური კაბალას ცოდნაში ჩადებული სამყაროული კოდი, პირველ რიგში, ეხება ადამიანს, როგორც სამყაროს**. მაშასადამე, სამყაროს 6 დღეში შექმნის საკითხი ეხება უშუალოდ ადამიანს, როგორც სამყაროს და არა მთლიანად სამყაროს კოსმოსურ სივრცეს.

განვიხილოთ ქართულ ანბანში, როგორც სამყაროს გენეტიკურ კოდში, როგორ აისახება სამყაროს შექმნის 6 დღე. კაბალას ცოდნა გვეუბნება, რომ „ერთმა“ შექმნა „ორი“, „ორმა“ – „სამი“ და „სამმა“ ყველაფერი. დღეს მეცნიერებამ უკვე დაამტკიცა, რომ **ღმერთმა სამყარო ნამდვილად ექვს დღეში შექმნა**. ეს საკითხი რომ უფრო ნათელი გახდეს, საკმარისია განვიხილოთ ადამიანის, როგორც სამყაროს შექმნის პროცესი: **პირველ სამ დღეს ხდება კვერცხუჯრედის განაყოფიერება, ხოლო შემდგომ 6 დღეს ხდება ღეროვანი უჯრედების წარმოქმნა, რომლებიც ძირითადი სასიცოცხლო უჯრედებია და ადამიანს ჩასახვის მომენტიდან სიკვდილამდე მიჰყვება, რაც ნათლადაა ასახული ქართულ ანბანში. სწორედ ეს არის ბიბლიაში მოხსენიებული 6 დღე, რომელიც ეხება ადამიანს, როგორც სამყაროს.**

ექვს დღეში შექმნილი მეშვიდე დღეს, ანუ საწყისიდან მეათე დღეს, რომელიც ქართული ანბანის კოდით ი-ინ-10 ასო-ნიშანს შეესაბამება, იწყებს წრიულ მოწესრიგებულ მოძრაობას, რომლის სახელი, კაბალას ცოდნით, არის „ბედის ბორბალი“. მეტად საინტერესოა ის ფაქტი, რომ ჩასახვიდან მეათე დღეს ადამიანის ჩანასახის „გული“ ფეთქვას იწყებს

და აქვს ერთგვარი „პულსაცია“. ცნობილია, რომ ადამიანში სიცოცხლეს გული იწყებს და გული ამთავრებს. ადამიანში, როგორც სამყაროში, მიმდინარე ყველა გენეტიკური პროცესი მხოლოდ ქართულ ანბანში აისახება. ეს კიდევ ერთი წარმოჩენაა იმისა, რომ სამყაროში „ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის“, ანუ **სამყაროში „დრო“ – ჟამი ქართული ანბანის კოდით „მიედინება“**.

ადამიანი არის უფლის „შესაქმის“ გვირგვინი, რომელიც ღმერთმა თავის „ხატად და მსგავსად შექმნა“, ხოლო ყველაფერი დანარჩენი ამ კოდში აისახება. გავიხსენოთ – ადამიანის ჩანასახი განვითარების პროცესში თავიდან ბოლომდე, დედის „წიაღში“ რამდენ ფორმას იცვლის, ემსგავსება სამყაროში თითქმის ყველა სულდგმულს და ბოლოს ყალიბდება და ჩნდება ადამიანად. ბიბლიური კაბალას კოდით, არა ერთხელ შეიქმნა სამყარო, არამედ ყოველ წუთს და ყოველ წამს ამ კოდით იბადება ყოველი სულდგმული. ქართული ანბანი მთლიანად სამყაროს გენეტიკური კოდია და არა მხოლოდ ადამიანის, სადაც კოსმიური პროცესი დროის ფარდობითობით ხასიათდება.

ტიბეტის, დაგონებისა და სხვა უძველეს ხალხთა მითოლოგიაში სამყარო, ადამიანი და ღმერთები ჩნდებიან კვერცხიდან. ერთ-ერთი ვერსიით, „არმყოფობიდან“ წარმოიქმნება „თეთრი“ სინათლე, რომელიც წარმოქმნის „სრულქმნილ კვერცხს“, რომელსაც მითოლოგია ასე აღწერს: „ის იყო მოელვარე, მას არ ჰქონდა ხელები, ფეხები, თავი, მაგრამ იყო მოძრავი. არ ჰქონდა ფრთები, მაგრამ შეეძლო ფრენა. არ ჰქონდა პირი, მაგრამ მისგან ხმა გამოდიოდა – შეეძლო ლაპარაკი. შემდეგ კვერცხი გატყდა და გაჩნდა ადამიანი, რომელსაც სხვადასხვა სახელს ეძახდნენ. ის ცხოვრობდა შუა ოკეანეში, მატერიკზე, იჯდა ოქროს ტახტზე. მან წესრიგი მისცა სამყაროს, არეგულირებდა დროის დინებას, მოიწვია ღმერთები ადამიანთა დასაცავად და დემონთა დასამარცხებლად“.

სამყაროს შექმნის დიდი აფეთქების თეორია დღეს მეცნიერებისთვის დიდ გამოცანას წარმოდგენს. ამ საკითხის შესასწავლად ქ. ჟენევაში მიწის ქვეშ შეიქმნა კოლაიდერი, რომლის აგებასაც მრავალი მილიარდი დოლარი დასჭირდა. ცდებით მიიღეს „რაღაც“, რაც დიდი აფეთქების თეორიისგან ძალიან შორსაა. ის, რაც მეცნიერებისთვის ძალიან რთულია, უფლისთვის მარტივია, რადგან ბიბლიური კაბალა ეხება ადამიანს,

როგორც სამყაროს. ე.წ. **„დიდი აფეთქების“ პროცესის შესასწავლად საკმარისია ნებისმიერ შესაბამის სამეცნიერო ლაბორატორიაში შევისწავლოთ ადამიანის კვერცხუჯრედის განაყოფიერების პროცესი. სწორედ ეს პროცესი არის სამყაროს „დიდი აფეთქების“ ანალოგი, მხოლოდ ერთხელ კი არ შეიქმნა სამყარო, არამედ, ბიბლიური კაბალას – ქართული ანბანის კოდით, ყოველ წუთს და ყოველ წამს იქმნება მიკრო და მაკრო სამყარო, მათ შორის სხვაობა მხოლოდ დროის ფარდობითობაშია. ყველას და ყველაფერს სამყაროში თავისი „დროის ბორბალი“ და „დროის კოდი“ აქვს. მატერიალური სამყარო „მეტაფიზიკურ დროში გამოვლენილი ხვთაებრივი პირველსაწყისია“.**

რა არის „დრო“ და „განზომილება“

დღეს ფიზიკოსები „განზომილებას“ ასე ახასიათებენ: კოორდინატთა „0“ წერტილიდან – ცენტრიდან გაატარებენ X Y Z ღერძებს, რომლებიც ქმნიან სივრცის კოორდინატთა სისტემას, რომელშიც შეგვიძლია ნებისმიერ მასშტაბში გამოვსახოთ ნებისმიერი მოცულობითი სხეული. ეს არის მათემატიკურ- გეომეტრიული განზომილებები. ფიზიკოსები მას აიგივებენ მეტაფიზიკურ განზომილებებთან, რასაც კატეგორიულად არ ვეთანხმები. მოვიყვანოთ ასეთი მაგალითი: ცოცხალ ადამიანს აქვს მოცულობითი ფორმა. სიკვდილის შემდეგაც მას უნარჩუნდება იგივე სხეული – მოცულობითი ფორმა. მაშინ რა განსხვავებაა ცოცხალ და მიცვალებულ ადამიანს შორის? მათ შორის ის სხვაობაა, რომ ერთი არის მიცვალებული და მეორე – ცოცხალი სხეული. სწორედ ეს განსხვავება არის მეტაფიზიკური განზომილება.

დღეს სამეცნიერო საზოგადოება ვერ აცნობიერებს, რომ როდესაც სამყაროულ – მეტაფიზიკურ განზომილებებზე საუბრობს, არ შეიძლება ვისაუბროთ სუფთა ფიზიკურზე. თუ გვინდა ჩავწვდეთ და შევიმეცნოთ იგი, უნდა ვისაუბროთ და გამოვიკვლიოთ სამყაროს მეტაფიზიკური არსი. მეცნიერება დღეს შორს დგას ჭეშმარიტებისგან და არც აქვს სურვილი, გაეცნოს სამყაროს მეტაფიზიკურ არსს. ამისთვის აუცილებელია, მათ თავისივე სხეულში განივითარონ მეტაფიზიკური თვისებები, რომლებიც ყველა ადამიანშია ჩადებული და აუცილებლად მოხდება მათი „გარეთ გამოტანა“, მომავალში მათი აქტიური გამოყენება, მაგრამ ამას უკვე ახალი – „ინდიგო“ ბავშვების თაობა გააკეთებს.

დღეს სამეცნიერო საზოგადოებამ არ იცის, რა არის სიცოცხლე და სიცოცხლის არსი. ეს ძალიან რთული თემაა, თითქმის შეუცნობელი. თუ ბიბლიური კაბალას დღემდე მოტანილ პირველ ადამიანთა ცოდნას სამყაროს შესახებ გავეცნობით, აშკარაა, რომ „ადამის“ ცივილიზაციის ჯერ კიდევ პირველი ადამიანები სამყაროს მოწყობის და აგებულების საკითხებს ძალიან ღრმად – უჯრედის დნმ-ის ორი სპირალის დონეზე იცნობდნენ. დიდი იყო მათი გონითი ცნობიერება და შესაძლებლობები. შევეცდები, ეს საკითხი ოდნავ მაინც განვმარტო.

საუბარი დავიწყოთ იმით, რომ „ადამის“ ცივილიზაცია იბერიის ცივილიზაციის „დროის დიდი ჯაჭვის“ ერთი რგოლია, რომლითაც შეიძლება დახასიათდეს, საერთოდ, სამყაროს არსებობის უსასრულო გზა. სამყარო მთლიანად უფლის „წინასწარი ჩანაფიქრის“ მიხედვითაა შექმნილი; ყველაფერი უფლის მიერ წინასწარაა დაგეგმილი, ის მართავს მთლიანად სამყაროს. მასში ზედმეტი არაფერია, ყველას და ყველაფერს თავისი ადგილი და მოვალეობა აქვს უფლისაგან მინიჭებული. არ არსებობს დიდი და პატარა საქმე, ყველა და ყველაფერი ერთი მთლიანის ნაწილია, რომელიც შედგება ერთმანეთში „ჩასმულ“ სამყაროთა უსასრულო რაოდენობისგან. ის „ერთი“ სამყაროს გულშიცაა და სამყაროს გარეთაც. ის ყველგანმყოფია. ბოლომდე შეუცნობადია უფლის გზები. ყველა და ყველაფერი სამყაროში უფლის დიდი გეგმის ნაწილია – ყველაფერი მხოლოდ უფალმა იცის.

ცოცხალი ადამიანი მიცვალებულისგან იმით განსხვავდება, რომ ცოცხალ სხეულში „დრო“ მოქმედებს. სხეულში გულის პულსაცია სწორედ ადამიანის „შინაგანი დროის“ წამმზომია, რომელიც ათვლას ადამიანის ჩასახვიდან მე-10 დღეს იწყებს და კაბალას ცოდნით, ამ კოსმიურ მომენტს ჰქვია „ბედის ბორბალი“, რომელსაც კაბალას ბიბლიური კოდით ქართულ ანბანში ი-ინ-10 ასო-ნიშნის კოსმიური პერიოდი შეესაბამება, ე.ი. ადამიანის ჩასახვიდან მე-10 დღეს მისი „ბედის ბორბალი“ უკვე იწყებს ტრიალს და დროის ათვლას. **ადამიანი, როგორც სამყარო, მთლიანად ბიბლიური კაბალას ქართული ანბანის კოდითაა შექმნილი, რომელიც ფიზიკურად განსხეულებულ, ანუ ნათელგამოვლენილ სულს დროის უსასრულო გზაზე ატარებს**. ადამიანმა ამ სხეულით უნდა გაიაროს „ყოფიერების ოკეანე“ – დაიბადება მაშინ, როცა მისი „დრო“ დადგება და გარდაიცვლება მაშინ, როცა მისი „დრო“ მოვა. თითოეულ მიკრო თუ მაკრო სამყაროს თავისი ბედისწერა, ანუ „დროის გრაფიკი“ აქვს. **სიცოცხლე სულის „დროში“ განსხეულებაა**. მაშასადამე, იმ მეტაფიზიკურ „განზომილებაში“, რომელშიც დღეს ჩვენ ვართ და სამგანზომილებიან სამყაროს ვუწოდებთ, ყველაფერი იბადება, იზრდება და კვდება, გარდაიცვლება, გარდაისახება, ე.ი. ერთი მეტაფიზიკური მდგომარეობიდან, რომელიც ფიზიკურის გარდა „დროსაც“ მოიცავს, ადამიანი „ადამის“ ცივილიზაციის შესაბამისი „დრო“ და სივრციდან გადავა სხვა „დროსა“ და სივრცეში, ანუ მატე-

რიაში. **ყველა მეტაფიზიკურ განზომილებას თავისი „დრო და სივრცე“ გააჩნია.** ამას თვალი ვერ ხედავს და ვერც თანამედროვე ტექნიკა აფიქსირებს, მაგრამ ეს ყველაფერი სადღაც კი არ არის, არამედ აქვეა – ჩვენს გვერდით, თვით ჩვენში.

დედამიწაზე სხვა „დრო“ მუშაობს, ხოლო კოსმოსში სხვა „დრო“. აუცილებელია „დროის“ ფარდობითობის შემეცნება. მაგალითად, თუ 20 წლის ადამიანი გავა კოსმოსში და დაბრუნდება 50 წლის შემდეგ, მასზე კოსმოსური „დრო“ მცირედით იმოქმედებს. მაშასადამე, **„დროს“ გააჩნია თავისი მეტაფიზიკური სიჩქარე, რაც ქმნის დროის ფარდობითობას – ე.წ. „დაჩქარებულ“ და „შენელებულ“ დროს. მიკრო თუ მაკრო სამყაროს, ყველას და ყველაფერს თავისი კოსმოსური მეტაფიზიკური „დრო“ გააჩნია.**

ადამის ცივილიზაციის მთავარი მახასიათებელია ხორცშესხმული სული- პირველსაწყისი „მე“, რომელიც გარდაცვალების შემდეგ ტოვებს სულის „სამოსს“ – სხეულს – ხორცს და მეტაფიზიკურ ე.წ. „სპირალურ გვირაბში“ – „მანდალაში“ – „დროის ბორბალში“ გასვლით გადადის სხვა განზომილებაში, ანუ სხვა „დროსა და სივრცეში“ გარდაისახება, გარდაიცვლება, განსხეულდება. **სამყარო უსასრულო მეტაფიზიკურ განზომილებათა ერთიანობაა.** ისინი ერთმანეთთან ე.წ. „შავი – თეთრი ხვრელებით“ – მანდალებითაა დაკავშირებული და, რა თქმა უნდა, ეს „გასასვლელებიც”, ე.წ. „სარკმელებიც”, განზომილების მიხედვით, მეტაფიზიკური არსით ერთმანეთისგან განსხვავდებიან. „შავი ხვრელები“ საათის ისრის მიმართულებით სპირალურად მბრუნავია და შთანთქავს კოსმოსურ ობიექტებს, ხოლო საათის ისრის საწინააღმდეგოდ მბრუნავი ე.წ. „თეთრი ხვრელები“ გამოტყორცნის „შავი ხვრელის“ მიერ „ჩაყლაპულ“ კოსმოსურ ობიექტს უკვე ახალ განზომილებაში განსხეულებულს ან აბრუნებს სამყაროში პირველსაწყისი ენერგიის სახით. ერთი განზომილებისთვის თუ „შავი“ ხვრელია, მეორე განზომილებისთვის იგივე „გვირაბი“ „თეთრი“ ხვრელია (ნახეთ აქვე: „შავი ხვრელი – პარალელურ სამყაროში გასასვლელი სარკმელი“).

სამყაროში ყველა და ყველაფერი „დროის“ კანონს და „დროის“ ციკლურობას ექვემდებარება. სამყარო ღვთიური პირველსაწყისის უსასრულო მეტაფიზიკურ განზომილებათა ერთი მთლიანი სხეულია, ერთიანობაა, სადაც სამგანზომილებიანი სამყაროს კანონები არ ვრცელდება.

მეცნიერები თვლიან, რომ მათ დღეისათვის უკვე ამოწურეს ე.წ. სამგანზომილებიანი სამყაროს შეცნობა და ფიქრობენ, რომ მისი შეცნობის ზღვარზე დგანან. მათი აზრით, სამყაროში სულ 10-11 განზომილებაა. ამავდროულად, მეცნიერებმა არ იციან, რა არის „ერთი“ განზომილება, „ორი“ განმზომილება და „სამი“ განზომილება. მეცნიერები დღემდე უარყოფენ „დროის“ ფენომენს სამყაროში. მათთვის დრო არის საათი, დღე, თვე, წელიწადი, მზე ამოდის და ჩადის და თვლიან, რომ ეს არის ის „დრო“, რომელიც სამყაროში მოქმედებს. ამ საკითხზე ნათელი წარმოდგენისთვის მოვიყვანოთ მაგალითი: ახლად დაბადებულ ბავშვს თუ მოვათავსებთ ისეთ გარემოში, რომელშიც მას ექნება საკვები, ნორმალური საარსებო გარემო პირობები, მაგრამ მის ოთახს არ ექნება სარკმელი, არასოდეს გარეთ არ გამოვა, არ ნახავს მზის ჩასვლას და ამოსვლას – წელიწადის დროთა ცვალებადობას და ა.შ. რა მოხდება თუნდაც 10 წლის შემდეგ? ის გაიზრდება და ფიზიკურად მიიღებს 10 წლის ბავშვის სახეს; 60 წლის შემდეგ მას 60 წლის ხანშიშესული ადამიანის სახე ექნება. რასთან გვაქვს საქმე? რატომ იზრდება, ბერდება და ბოლოს კვდება – გარდაიცვლება ადამიანი?! აშკარაა, რომ მასზე თვითონ მასში, მის გენეტიკაში ჩადებული დრო მოქმედებს, რომელიც უშუალოდ დნმ-ის სახითაა განსხეულებული. გამოდის, რომ ადამიანი თვითონ „კოსმიური“ დროა, მისი განხეულებაა. დროის რა კოსმიური თუ ღვთიური ენერგიაა მიკრო და მაკრო სამყაროში ჩადებული, რომელიც აუცილებელია ზოგადად ცივილიზაციის განვითარებისთვის? გავიხსენოთ ქართული გამონათქვამი „დრონი მეფობენ და არა მეფენი“. ვინ არის „ღვთიური მეფე“ სამყაროში? „დრო“-ის გამომხატველი ქართულ ენაში გვაქვს სიტყვა „ხან“-ი, რომელიც ქართული ანბანის 33-ე ასო-ნიშანია და მისი შესაბამისი რიცხვია 6000.

ბიბლია გვამცნობს: „ ...თავდაპირველად ცა და მიწა დაარსდა ხვთის სიტყვით წყლისგან და წყლით...“ (2 პეტრე, 3,5). ეს საკითხი ქართულ მითოლოგიაში შემდეგნაირად აისახება: უზენაესმა ღმერთმა ხვთისშვილებიდან პირველი ბუქნა ბაადური შექმნა, რომელიც „წყლის ბერის“ სახელით მოიხსენიება, იგივე შუმერთა სინი – ქრისტე (ნახეთ აქვე: „ქრისტიანობა – მართლმადიდებლობა მარადიული და საყოველთაო რელიგიაა“). არსებობს ზეციური და მიწიერი წყლები, რომელიც ხვთიური „ერთის“ სხ-

ვადასხვა გამოვლინებაა. სამყაროში ყველა ქიმიური ელემენტი შეიქმნა წყლისგან, ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ მენდელეევის ქიმიურ ელემენტთა პერიოდულ სისტემაში პირველ ადგილზე წყალბადია. ადამიანის ორგანიზმის დაახლოებით 80% წყალია, რაც უდიდესი ინფორმაციის მატარებელია. შემთხვევითი არ არის წყლის განსაკუთრებული როლი რელიგიაში: წყლით ნათლობა, წყლით კურთხევა. **„დრო“ – „დროის ბორბალი“ მეტაფიზიკური ფენომენია**, რომელიც განაპირობებს პირველსაწყისი ხვთიური ენერგიის მატერიაში ნათელგამოვლენას. ქართული ცნობიერებით, „დრო“, იგივე **„ჟამი“ – „ხანი“ მამაღმერთის და ქრისტეს ხვთაებრივი ენერგიის გამოვლინებაა**. ქრისტე ამქვეყნად მობრძანდა „ადამს აქათ“ 6 000 წელს, რაც, ქართული ანბანის ბიბლიური კოდით, „ხ-ხან-6000“ ასო-ნიშნის ენერგეტიკული გაცხადებაა.

სინამდვილეში ეს საკითხი გაცილებით უფრო ღრმაა, ვინაიდან ადამიანის სამყარო და ყველაფერი ამ სამყაროში მეტაფიზიკურ განზომილებათა უსასრულო „ჯაჭვია“, რომლის ერთი პატარა „რგოლი“ – დროის ციკლი, „ადამის“ ცივილიზაციაა, რომლის ძირითადი მიზანია „ქალის“ – მატერიის, ანუ სამყაროს შეცნობა და ორი პირველსაწყისის კვლავ გამთლიანება.

სამყაროში ყველა განზომილებას თავისი „დრო“ და სივრცე, ანუ მატერია გააჩნია. მხოლოდ „ცათა სასუფეველში“ არ არის „დრო“, ანუ წარსული, აწმყო და მომავალი ერთია.

დროის ფენომენი ქართველთა წინაპრებისთვის უცხო არ იყო, ამას მოწმობს მთის ხალხთა ერთ-ერთი ლოცვა:

„დიდო დედაო,
ცაო მშვენიერო, მომლოცველო ყოველივესი, შამქნელო
და დამბადებელო, სასრულო, სამყაროში ჩაუტეველო,
უმცირესში ჩატეულო... უწონო, უმანძილო, ცარიელავ და
სავსევ, ᲨᲭᲐᲛᲝ, უძრავო წყვდიადო ცაო, სივრცეში, დროში
ნათელგამოვლენილო... ერთო და ერთთა ერთობაო... მომეც
უფლება უფლებათა, დავრჩე მართალი ჩემსავ უფალთან,
და სამართლიანი სხვათა მიმართ, რათა დავიცვა ცის სიწმინდე...“

პირველსაწყისი ხვთაებრივი შემოქმედებითი ენერგია თავის თავში სამყაროს ოთხი საწყისის (მიწა, წყალი, ჰაერი, ცეცხლი) ენერგიას მოიცავს; თავის მხრივ, თითოეულ საწყისში **ინ** და **იან**-ის პირველსაწყისთა ენერგიებია. დროის ბორბალის – მანდალას – შავი ხვრელის საშუალებით პირველსაწყისი ენერგია გამატერიალიზდება დროსა და სივრცეში. ერთი განზომილებიდან მეორე განზომილებაში გასვლა ნიშნავს ერთი „დრო და სივრციდან“ მეორე „დროსა და სივრცეში“ გასვლას. კოსმიური „დრო“ – „დროის ბორბალი“ – „მანდალა“ – „შავი ხვრელი“ ყოველი მიკრო თუ მაკრო სამყაროსთვის სხვადასხვაა – ინდივიდუალურია, ამიტომ არც ერთი მათგანი არ ჰგავს ერთმანეთს და ამის შედეგად მატერიაშიც სხვადასხვა სახით არიან ნათელგამოვლენილნი. მაგალითად: ყველა ადამიანი ადამიანია, მაგრამ ყველა ერთმანეთისგან განსხვავდება, როგორც ფიზიკურად, ისე შინაგანი ბუნებით. ვინაიდან ნებისმიერი განზომილება დროისა და სივრცის გამოვლინებაა, ყველგან არსებობს „წარსული“, „აწმყო“ და „მომავალი“ დრო. ხვთაებრივ პირველსაწყისს დრო არა აქვს, ანუ „წარსული“, „აწმყო“ და „მომავალი“ დრო ერთია, ე.ი. „დრო“ პირველსაწყისს ხვთაებრივ შემოქმედებით ენერგიაშივეა „გაჩერებული“, ანუ „დრო“ პირველსაწყისის ერთგვარი შემადგენელი ნაწილია და როდესაც ამისი „დრო“ დგება, თვითონვე ქმნის ენერგეტიკულ მანდალას – დროის ბორბალს, რათა მოხდეს რომელიღაც განზომილებაში – დროსა და სივრცეში გამატერიალიზება – ნათელგამოვლენა.

„დროის“ ამ ფენომენის კოსმიური პროცესის შეცნობის გარეშე ადამიანი ვერ შეიმეცნებს სამყაროს. **შევიმეცნოთ მეტაფიზიკური „დრო“-ის ფენომენი და შევიცნობთ სამყაროს.**

აი რას გვეუბნება „დროის“ ფენომენის შესახებ XX საუკუნის უდიდესი მასწავლებელი **ოშო** (ბჰვაგან შრი რაჯნიში): **„თქვენს გარშემო დრო მეფობს, თქვენში კი მარადისობაა, აი რატომ ამბობს ყველა რელიგიური ადამიანი, რომ როცა „დროზე“ ამაღლდებით, ... მაშინ შეიცნობთ საკუთარ თავს, მაშინ შეხვალთ ცათა სასუფეველში“. „იესო დროის გარეშე არსებობს, თქვენ კი დროში ცხოვრობთ“.**

სამყაროს „პირველსაწყისი“ ყველა მეტაფიზიკურ განზომილებაში არსებობს დროისა და სივრცის გარეშე, გარდასახვის უნარი მისი ძირითადი მეტაფიზიკური თვისებაა, რაც გვაძლევს „პირველსაწყისის“ სხვა-

დასხვა განზომილებებს – ნათელგამოვლინებებს სხვადასხვა დროსა და სივრცეში.

მრავალი განზომილება ერთის – პირველსაწყისის სხვადასხვა დროსა და სივრცეში გამოვლინებაა. მთელი სამყარო ერთი დიდი მოწესრიგებული ორგანიზმია. იგი ნაწილია უფრო დიდი მოწესრიგებული სამყაროსი.

სამყარო შექმნის დღიდან ციკლურად ვითარდება. ეპოქათა ყოველი ციკლი მსოფლიო კატასტროფით მთავრდება. ყოველი ციკლის დასასრული ახალი ციკლის დასაწყისია ან პირველსაწყისის ქაოტურ მდგომარეობაში დაბრუნებაა, სადაც არ არის დრო და მატერია, სადაც მოიაზრება სამყაროს დაბრუნება მარადისობაში.

არსთა წრებრუნვის კოსმიური სურათები „ღმერთის ბეჭდები“

დღეს მეცნიერება ცდილობს შეისწავლოს და შეიმეცნოს სამყარო, როგორც დროთა უსასრულო ცვალებადობაში გამოვლენილი ერთიანი ცოცხალი ორგანიზმი. ამ საკითხზე მუშაობს მთელი მსოფლიოს მოაზროვნე საზოგადოება, მეცნიერების ყველა დარგი, ტარდება უამრავი ექსპერიმენტი, იხარჯება განუსაზღვრელად დიდი თანხები.

დღევანდელი ადამის მოდგმა მეორედ შექმნილ ადამიანთა თაობას მიეკუთვნება. მასზე ადრე იყო პირველად შექმნილ ადამიანთა თაობა, რომლისთვისაც ცნობილი იყო სამყაროს მოწყობის ყველა საიდუმლო, მასში მიმდინარე ფიზიკური თუ მეტაფიზიკური კოსმიური პროცესების შესახებ, ცნობილი იყო ყველაფერი უჯრედის გენეტიკური კოდის სპირალების დონეზე. ისინი იქიდან ხედავდნენ ყველაფერს, სადაც იყვნენ. დიდი იყო მათი შესაძლებლობები. მიაჩნდათ, რომ არიან მრავალგანზომილებიანი სამყაროს ნაწილი, რომ თვითონ არიან სამყარო სამყაროში; იცოდნენ, რომ მათი სხეული ისევე იყო მოწყობილი, როგორც მთლიანად სამყარო. მათი აზრით, სამყაროში ყველაფერი ცოცხალია, ყველაფერს შეუძლია ინფორმაციის მიღება, შენახვა, გადაცემა. ყველაფერი ერთმანეთთან ქვეცნობიერად–აზროვნების ენაზე საუბრობდა და დღესაც საუბრობს. ეს არის ბოლო ჟამის და საწყისი ჟამის ენა-ქართული ენა. უფალი ბოლო ჟამს ქართულ ენაზე განიკითხავს და ამხილებს ქვეყანას. დიდი იყო მათი ცოდნა და შესაძლებლობები. როცა ღმერთმა შექმნა პირველი შესაქმის ხალხი და ნახა მათი უსაზღვრო შესაძლებლობები, გადაწყვიტა შეეზღუდა ისინი და გონით თვალზე „საფარველი“ გადააფარა, რის შემდეგაც მივიღეთ თანამედროვე ადამის მოდგმა. მაგრამ პირველად ქმნილმა ადამიანებმა დაგვიტოვეს უსაზღვრო ცოდნა სამყაროს და მასში მიმდინარე ფიზიკური თუ მეტაფიზიკური პროცესების შესახებ და ეს ცოდნა დღეს ჩვენამდე მოტანილია მითოლოგიის, ეთნოგრაფიული წეს-ჩვეულებების, არქეოლოგიური სიმბოლიკის „ენით“. მოვიდა დრო გაიხსნას სამყაროს საიდუმლოთა „სკივრი“. ჩემი ეს წიგნიც სწორედ ამ საკითხებს ეძღვნება.

სამყაროს პირველ ადამიანთა ცოდნა ღმერთზე, ადამიანსა და სამყაროზე, როგორც ერთიან კოსმიურ სინთეზზე, ჩვენამდე მოტანილია ბიბ-

ლიური კაბალას საიდუმლო ცოდნით, რომელიც, დაშიფრული სახით, ჩადებულია მხოლოდ ქართულ ანბანში.

თითოეულ ასო-ნიშანს არსთა წრებრუნვის კოსმიური პროცესი – „ღმერთის ბეჭედი“ შეესაბამება, რასაც ექვემდებარება სამყაროში ყველა და ყველაფერი დროის განსაზღვრულ პერიოდში, თითოეული გამომდინარეობს წინამორბედისგან და ქმნის გენეტიკური პროცესის ერთიან ჯაჭვს.

კაბალა ქართული ფენომენია, თუმცა ქართული საზოგადოება დღემდე კარგად არ იცნობს ამ საკითხს, ღირსეულად ვერ შეიმეცნა, ვერ გაითავისა და დააფასა ღმერთის ეს დიდი საჩუქარი. **მომავალში მსოფლიოს ხალხები გაიცნობენ, სათანადოდ შეაფასებენ და ღირსეულ ადგილს მიუჩენენ ქართულ-იბერიულ გენს კაცობრიობის მარადისობისკენ მიმავალ გზაზე. ეს არის ქართველი ხალხის კოსმიური მისია, ეს არის სამყაროს შემეცნების გზა**.

კაბალას ცოდნის მკვლევართა აზრით, ადამიანს, რომელსაც ღმერთის თუნდაც ერთი „ბეჭედი“ მიეცემა, სამყაროს ყველა საიდუმლო ცოდნის კარი გაეღება.

უფალმა ინება ჩემთვის გაეცხადებინა კაბალას – ქართული ანბანის გენეტიკური კოდის სამი ასო-ნიშნის შესაბამისი არსთა წრებრუნვის კოსმიური სურათი: „ჯ-ჯან-8000“, „ჰ-ჰაე-9000“, და „ჶ-ოᲰ-10000“, თითოეულის მოქმედების ხანგრძლივობა 1000 წელია.

აღმოსავლეთი არსთა წრებრუნვის კოსმიურ პროცესებს – „ღმერთის ბეჭდებს“ გამოსახავს „ინ და იან“-ის წრეში ჩახატული ორი თევზის სახით, რომელშიც აისახება ორ ურთიერთსაპირისპირო ენერგიათა ჰარმონიული კოსმიური პროცესი, ხოლო **მათ გამყოფ ხაზში მოიაზრება ამ პროცესის კოსმიური სურათი** (გვრჩება შთაბეჭდილება, რომ არსთა წრებრუნვის კოსმიურ სურათს ერთგვარი „ფარდა“ აქვს ჩამოფარებული). ეს იმდენად დიდ საიდუმლოდ ითვლება, რომ მისი ხილვა-გამოცხადება მხოლოდ ერთეულთა ხვედრია და უფლის ნებით ხდება. გარდა გამოცხადებისა, ის კოსმიურ ინფორმაციასაც გვიმხელს, თუ რატომ გამოგვეცხადა, გვახედებს სამყაროს ამა თუ იმ საიდუმლო პროცესში, გვეუბნებიან, რისთვის მოგვეცა გამოცხადება. თავდაპირველად ნაკლები ინფორმაცია

„ინ“ და „იან“

მოდის, შემდეგ თანდათან „იხსნება“, შესაძლებელია ეს პროცესი ათწლეულები გაგრძელდეს და ბოლოს ისეთი შთაბეჭდილება დაგეუფლოს, რომ „ბეჭდის“ შეცნობის პროცესი უსასრულოდ გეჩვენოს. თითოეული ასო-ნიშნის კოსმიური პროცესი, ზოგადად, მოიცავს მიღმიური სამყაროს ოთხ მხარეს – სამყაროს ჯვარს, სადაც სამხრეთ-აღმოსავლეთით ღმერთთა სამყოფელია, სამხრეთ-დასავლეთით მიწიერი სამყარო, ჩრდილოეთით – სიცოცხლის ხე, ცენტრში – უფსკრულში არის გოგირდის და ცეცხლის ტბა.

„ჯ-ჯან-8000“ ასო-ნიშნის კოსმიური სურათის შესაბამისი „ღმერთის ბეჭედი“ შემდეგნაირად წარმოჩინდება: კოსმოგონიური ჯვრის ფორმის სამყაროს ცენტრში არის გოგირდის და ცეცხლის ტბა, მის ერთ მხარეს – სამხრეთით, მთელ სიმაღლეზე, ცამდე აღმართულია კოსმიური მთა, რომელსაც, ერთი შეხედვით, ნაბადმოსხმული მთა-კაცის სახე აქვს, რომლის წვერო თეთრწვერა მოხუცია, სახით მარჯვნივ – ეს მამაღმერთია. იგი მრავალსახაა, რომლებიც ერთმანეთშია ჩასმული. მისი ერთ-ერთი სახეა ახალგაზრდა, უწვერულვაშო, თეთრ ცხენზე – ბედის ბედაურზე მჯდომი მხედარი – თეთრი გიორგი, რომელიც მიემართება ჩვენგან მარცხნივ – აღმოსავლეთისკენ. ცხენის კუდი ისევეა გამონასკვული, როგორც ხატებზე.

საქართველოს გერბი (ფრაგმენტი)

მამაღმერთს მკერდზე დიდი გული და დიდი ჯვარი ჰკიდია. გოგირდის და ცეცხლის ტბის პირას, კოსმიური მთის მთელ სიმაღლეზე, ბუდას პოზაში ზის საიქიოს მთავარი „მოსამართლე“, მის მარცხნივ ზეციური კიბეა, რომლის თითოეულ საფეხურს – საზვერეს ქმნიან გველები. ამ კიბეზე ადიან ადამიანები, სადაც მათ „ახარისხებენ“. ზოგი პირველ საფეხურზეც კი ვერ ადის და პირდაპირ გოგირდის და ცეცხლის ტბაში აღმოჩნდება. აქვეა ნავი, რომელსაც მიცვალებული გადაჰყავს სიცოცხლის ხეზე. ტბას მეორე მხრიდან გარს ეხვევა ექვსეშვიანი სპილოსთავიანი

გველ-თევზი, რომლის ზურგზეც დგას სიცოცხლის ხე. კოსმიური წრებრუნვის სურათში წმინდა (თეთრი) გიორგი, რომელიც არის მამაღმერთის ერთ-ერთი სახე, იგი არ არის გველთან – ბოროტებასთან მებრძოლი. მამაღმერთის მარჯვნივ, მისი გულის სიმაღლეზე ქრისტეს სამყოფელია, ხელში გადაშლილი წიგნი უჭირავს, თავზე ნათელი კონუსი – „კარავი“ ადგას. მამაღმერთის მარჯვნივ – მის მოპირდაპირე მხარეს, ანუ სამხრეთ-აღმოსავლეთით სამოთხე–ხვთისმშობელია ხელში ხვთაებრივი ბავშვით, ისე, როგორც ხატებზეა გამოსახული, თავზე ადგას მზის დისკო, ერთი შეხედვით, ანთებული სანთლის სახე აქვს.

კალკი მეუღლით XIX ს. (ინდოეთი)

რამდენჯერმე მქონდა ამ წრებრუნვის სურათის გამოცხადება, რომლის დროსაც გამოსახულება დინამიურია, ცოცხალია და აზრებით გესაუბრება – გაწვდის ინფორმაციას, არ ქრება, ვიდრე იმ პერიოდისთვის საჭირო ინფორმაციას არ მიიღებ. თითოეული გამოცხადების დროს ახალი ინფორმაციით მეცხადება, მახედებს მითოლოგიურ, ეთნოგრაფიულ, არქეოლოგიურ სიმბოლოებში, მამახვილებინებს ყურადღებას საჭირო და აუცილებელ საკითხებზე, მაძლევს თავისებურ დარიგებას, თუ რისთვის მომეცა ყველაფერი ეს. განსაკუთრებულად დამიხასიათეს, როგორ ხდება წრებრუნვა – როგორ მოგზაურობს სული ამქვეყნად და მიღმიურ სამყაროში. ყოფიერების რა ეტაპებს გადის. არსთა წრებრუნვის კოსმიური სურათების დეტალური აღწერა ძალიან შორს წაგვიყვანს. იგი კარგადაა აღწერილი როგორც ქართულ, ასევე სხვადასხვა ძველი ცივილიზაციის ხალხთა მითოლოგიაში, რაც ემთხვევა ჩემს გამოცხადებებს. გექმნება შთაბეჭდილება, რომ ძველი ცივილიზაციის სხვადასხვა ხალხი ერთი და იმავეს ხედავდა და თავისებურად გადმოსცემდა.

ახ.წ. II ათასწლეულის არსთა წრებრუნვის კოსმიურ სურათში ჩემი განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია კოსმიურმა მხედარმა, რომელიც ზეციურ სამყოფელში სახით მარცხნივ – აღმოსავლეთისკენაა მიბრუნებული. დავინტერესდი, რამდენად სწორი იყო ჩემი აღქმა. ბევრი ძიების

შემდეგ მარცხნივ მიმართული კოსმიური მხედარი აღმოვაჩინე 1989 წელს დაბეჭდილ ბიბლიაში, რომლის პირველ გვერდზე დაბეჭდილ საპატრიარქოს „ბეჭედზე“ იყო გამოსახული. იმ პერიოდში სვეტიცხოველში, შუა ტაძარში იდგა პატრიარქის ტახტი, რომლის საზურგეზეც გამოსახული იყო მარცხნივ მიმართული კოსმიური მხედარი. სულ ორიოდე წლის წინ თბილისში, პეტრე-პავლეს ეკლესიის კედელზე, აღმოვაჩინე მარცხნივ მიმართული კოსმიური მხედარის კედლის ფრესკა, რაც ასახვაა ჩემი გამოცხადების. ოდითგანვე დიდი იყო ქართველებში წმინდა გიორგის – თეთრი გიორგის თაყვანისცემა, რომელიც არის სულის ცხენის – ბედის ბედაურის მფლობელი. ქართველთა 64 ხვთისშვილი გიორგი ნაღვარმშვენიერის 64 გაცხადებაა. კოსმიურ მხედარს თაყვანს სცემდა მსოფლიოს უძველესი ცივილიზაციის ყველა ხალხი, ისინიც კი, ვისაც ცხენი ფიზიკურად საერთოდ არ ენახათ. **კოსმიური მხედარი გამოცხადებით მიღებული ინფორმაციაა, რომელიც არსთა წრებრუნვის კოსმიურ პროცესში ცენტრალურ ადგილს იკავებს.**

შუმერი ძვ. წ 5000 წ.

ახ.წ. III ათასწლეულისთვის, რომელიც „ჰ-ჰაე-9000“ ასო-ნიშნის შესაბამისია, შეიცვალა არსთა წრებრუნვის კოსმიური პროცესი, სადაც აღარ არის საიქიო სასამართლო და გველებით შედგენილი ზეციური კიბე, ადამიანები პირდაპირ გადიან გოგირდის და ცეცხლის ტბაზე, რომელზეც გავლენ სუფთა გულის, და არა ბოროტებით და სიცრუით დამძიმებული ადამიანები. გოგირდისა და ცეცხლის ტბის ირგვლივ შემოხვეულ გველ-თევზს პირზე დიდი ბოქლომი ადევს და კოსმიურ პროცესში აღარ მონაწილეობს, ალბათ, ეს დროებითია, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის იქ აღარ იქნებოდა. გოგირდის და ცეცხლის ტბაზე გასული ადამიანები მიემართებიან ღმერთთა სამყოფელის საპირისპირო მხარეს განთავსებული სიცოცხლის ხისკენ, რომელსაც ორი ლომი დარაჯობს. ღმერთთა სამყოფელში სამოთხე – ხვთისმშობელი გადავიდა მამის მარჯვნივ და დაი-

კრეტა

კავა ადგილი ქრისტეს უკან, ქრისტე განთავსდა დედის გულის ადგილას. ძირეულად შეიცვალა თვითონ არსთა წრებრუნვის კოსმიური პროცესიც.

მეტად საინტერესოა ქართული ანბანის 37-ე ასო-ნიშნის შესაბამისი არსთა წრებრუნვის კოსმიური სურათი, რომელიც არის ადამის ცივილიზაციის დასასრულის პერიოდის შესაბამისი და რომლის შემდეგაც ცივილიზაციის ახალი ციკლი იწყება. არსთა წრებრუნვის ამ კოსმიურ სურათში ცალკე აღარ არის სიცოცხლის ხე, იგი შეთავსებულია წმინდა მთასთან, ღმერთთა სამყოფელთან, რაც ნიშნავს, რომ აღარ იქნება საიქიო და საააქაო, იგი იქნება ერთიანი, აღარ იქნება სიკვდილი, ადამიანი თავისივე სხეულით, სულისგან განუცალკევებლად, გააგრძელებს არსებობას სხვა განზომილებებში. ბოლო ჟამის წრებრუნვის კოსმიურ პროცესში აღარ არის გოგირდის და ცეცხლის ტბა, მის ადგილს იკავებს ზეციური ნავი, რომელშიც ფეხზე მდგომი ქალღმერთია შუბლზე დიდი „წერტილით“ – გონითი თვალით, ისეთი, როგორიც აქვთ ინდოელებს შუბლზე, ეს არის ე.წ. „მესამე თვალი“, ამავე ნავშია კურდღელი, რომელიც ქალღმერთს შროშანის ყვავილს აწვდის. მთლიანობაში კოსმიური პროცესი იმის მიმანიშნებელია, რომ **საბოლოოდ იქმნება მართალთა ჰარმონიული სამყარო, რომელიც ცივილიზაციის ახალ ციკლში გადადის და შესაბამისად, ყველა და ყველაფერი დედამიწაზე იქნება ახალი სულიერი გარემოს გამოვლინება.**

ჩინეთი

იმისათვის, რომ ადამის ცივილიზაცია მივიდეს ბოლომდე და გადავიდეს ცივილიზაციის ახალ ციკლში, აუცილებელია ადამიანმა შეიმეცნოს თავისი თავი და გარე სამყარო. ადამიანები ადამის ცივილიზაციის ყველა პერიოდში თავის ყოველდღიურ ცხოვრებას არსთა წრებრუნვის კოსმიურ სურათებს უკავშირებდნენ. ამ ცნობიერების წარმოჩინებაა მათი პირადი ნივთები თუ ტანსაცმელი, მათი რელიგიური დღესასწაულები, ყოფითი სამყარო, საცხოვრებელი სადგომები, სოფლები, ქალაქები, მათ ირგვლივ განლაგებული სალოცავები. ისინი იქმნიდნენ ისეთ გარემო პირობებს, როგორადაც აღიქვამდნენ იმ პერიოდის კოსმიურ სურათებს. არსთა წრებრუნვის კოსმიური სურათების შეცვლისას ხშირ

შემთხვევაში ტოვებდნენ ძველს და ქმნიდნენ ახალს.

სამყაროს შეცნობისთვის ფიზიკური, ე.წ. სამგანზომილებიანი ცნობიერება არ არის საკმარისი, აუცილებელია განვავითაროთ მეტაფიზიკური ხედვა – ე.წ. „მესამე – გონითი თვალი“. სამყარო მრავალგანზომილებიანია, ამიტომ მის შესასწავლად აუცილებელია ყველა განზომილებათა ერთიანი შემეცნება – შესწავლა, **ყველა განზომილება ერთშია, ერთადაა და ნებისმიერი მიკრო თუ მაკრო სამყარო უსასრულო განზომილებათა ერთიანი გამოვლინების შედეგია**.

მსოფლიოს ხალხთა მითოლოგია, ეთნოგრაფია, არქეოლოგიური სიმბოლიკა წარმოაჩენს სამყაროში მიმდინარე კოსმიურ პროცესებს. ამ საკითხების შესწავლა არის საფუძველი იმისა, ვიფიქროთ, რომ მიკრო თუ მაკრო სამყაროს გენეტიკური გზა კოდირებულია, ღმერთისგან წინასწარაა დადგენილი, სამყაროში ყველას და ყველაფერს თავისი ბედისწერა, თავისი გენეტიკური კოდი აქვს. **ბიბლიური „შესაქმის“ კოდით მხოლოდ ერთხელ კი არ შეიქმნა სამყარო („სამყაროს შექმნის ექვსი დღე“), არამედ დღესაც, ყოველ წუთს და ყოველ წამს, იქმნება ახალი მიკრო თუ მაკრო სამყარო.**

მეტაფიზიკური გამოვლინებები ყველა ადამიანის ცხოვრებაშია, მაგრამ ამას სათანადო ყურადღებას არ ვაქცევთ. ახალი ტიპის ადამიანები – ინდიგო ბავშვები ამ საკითხს მეტ ყურადღებას დაუთმობენ.

დაგვრჩა ძალიან ცოტა დრო, სულ რაღაც 2000 წელი. ახ.წ. 4000 წლისათვის ადამის ცივილიზაცია გადავა ცივილიზაციის ახალ ციკლში და შესაბამისად შეიცვლება არსთა წრებრუნვის კოსმიური სურათი – „ღმერთის ბეჭედი“.

სამყარო ქართულ ენაზე ლაპარაკობს

იყო დრო, როცა დედამიწაზე მცხოვრები ყველა ადამიანი ერთ ენაზე ლაპარაკობდა, იყო ერთი ეროვნების ხალხი და „ერთ ღმერთს ერთ ენაზე ადიდებდა“. ბაბელონის გოდოლის შემდეგ „მე“-ს, ანუ „პირველქმნილი სულის“ ენა დავიწყებას მიეცა და ხალხმა სხვადასხვა ენაზე დაიწყო საუბარი და დამწერლობა, ხოლო „მე“-ს ენა და დამწერლობა საიდუმლო გახდა, მისაწვდომი იყო მხოლოდ ხელდებულთათვის, რათა „დრომდე“ არ მომხდარიყო ანბანის ჭეშმარიტი საიდუმლოს, ჭეშმარიტი ცოდნის წარმოჩინება, რადგანაც ეს გამოიწვევდა „დროზე ადრე“ სამყაროს გენეტიკურ კოდში ჩარევას.

„ქებაჲ“-ს საგალობელის ტექსტი ძირითადად წინასწარმეტყველებაა იმისა, რომ მობრძანდება **„ო“** – უფალი, რომელმაც უნდა „გააცოცხლოს ქართული გენი, ქართული ენა და ანბანი“, წარმოაჩინოს მათი ჭეშმარიტი არსი.

ქართული ენა არის „ოთხი დღის მკუდარი“, ნაყოფიერებისა და ჭექა-ქუხილის ქალღმერთი, დედოფალი „ლაზარე“, ამავე დროს, „ელვაჲ“-ში, ერთ-ერთი „**და**“ – დედოფალი (არსებობს სამყაროს ოთხი საწყისის ოთხი „**და**“) თავისივე სურვილით ჩასული ქვესკნელის სამეფოში, რათა გახდეს, აგრეთვე, დედოფალი მიწისაც – ქვესკნელისაც; ამ ქვეყანაზე მოდის განძარცვული, დამცირებული, დაწუნებული, დავიწყებული აქვს წარსული, თან მოაქვს მხოლოდ „მე“-ს „ხვთაებრივი კანონები“, რომელიც, ამავე დროს, „ბედისწერის დაფებია“, „ციური მადლნი“, რომელიც ასევე, არის გენეტიკური კოდი – ქართული ანბანი. თითოეული ასო-ნიშანი დახურული ტაძრის გასაღებია, რომელთა მფლობელიც არის თვით **„ო“** – უფალი ღმერთი, ქალღმერთი ცისა და მიწისა. მისი „მეორედ მოსლვის“, ანუ „აღდგომის“ პერიოდის მიმანიშნებელია „**94** უმეტჱს სხუათა ენათა“ და „ქრისტჱს მოსლვითგან ვიდრე დღესამომდე“, რაც ახ.წ. 2000 წლის დასასრულსა და III ათასწლეულის დასაწყისზე მიგვანიშნებს.

მაშასადამე, ახ.წ. III ათასწლეულის დასაწყისში მოხდება „სულიწმიდის მიწიერი გაცხადება, რომელიც არის მომცემელი ჭეშმარიტი საღვთო სიბრძნისა და, ამავე დროს, ცოდვათაგან განწმენდის მადლისა“. სულიწმიდის ნების განმცხადებელი, მისი „პირი“ არის გაბრიელ

მთავარანგელოზი. წარმართობის უძველეს ხანაში ანგელოზებს სქესით გამოსახავდნენ და დავათის სტელაზე გამოსახული მთავარანგელოზი გაბრიელი ქალია. ბ-ნ ზვიად გამსახურდიას გამოკვლევებით: „სულიწმიდამ უნდა ამხილოს სოფელი ცოდვისათვის და, ამავე დროს, უნდა მოჰმადლოს რჩეულებს საღმრთო სიბრძნე“. მთავარანგელოზთა შორის გაბრიელს წლის პირველი თვე – იანვარი მიეკუთვნება, რომელიც ორსახა ღმერთის, იანუსის სახელს ატარებს.

შუამდინარეთის ქვის ბეჭდის (ძვ.წ. 3400წ.) მიხედვით, იანუსი არის IV „განათლული“ და მისი მობრძანება მინიშნებულია ახ.წ. III ათასწლეულის დასაწყისში. **„ო“** – უფალი იანუსთან ერთად ქმნის მზის სამებას.

„ო“ – უფალი, რომელმაც „ქებაჲ“-ს წინასწარმეტყველებით უნდა გააცოცხლოს ქართული გენი, ქართული ენა და ანბანი, არის იგივე იბერიის ხვთისმშობელი, შუმერების ქალღმერთი ინანა, იშთარი, ვენერა, აფროდიტა, ცისკრის და მწუხრის ვარსკვლავი, მთიები, იზიდა, ქართველთა დალდედოფალი, ყველა მხარის ქალბატონი, ცასა და მიწას შორის მდგომი, ჭექა-ქუხილისა და ნაყოფიერების ქალღმერთი, მიწის შემქმნელ-მომწესრიგებელი, სიბრძნის ხვთაება, ხელოვნების, კანონმდებლობის, დამწერლობის ქალღმერთი. მისი ბუნება შემდეგნაირად ხასიათდება: „ბრწყინვალე, უძვირფასესი ქალბატონი, წყალობა და დედობა, თვითონ ის არის დიდი დედა, ოქროს ქალღმერთი, „ან“-თან ერთად ზის უზენაეს ტახტზე“.

ახლა, 2000 წლის ბოლოს, დამთავრდა ჯ-ჯან-8000 ასო-ნიშნის ათასწლეული ადამ და ევას კოსმიური ცივილიზაციისა. სწორედ ამან განაპირობა ანბანის საიდუმლოს გაცხადება, რაც მდგომარეობს იმაში, რომ დღემდე არსებული 14 ანბანიდან მხოლოდ ქართული ანბანი ასახავს სამყაროს ადამ და ევას ცივილიზაციის გენეტიკურ კოდს. ეს ინფორმაცია აღარ უნდა იყოს საიდუმლო და პირიქით, სამყაროს **შემდგომი განვითარებისთვის აუცილებელია შევიცნოთ გენეტიკური კოდის ჭეშმარიტი არსი**. ადამ და ევას ცივილიზაციის დასრულებამდე დარჩა 2000 წელი. შუმერი ადამის ცივილიზაციას ქალის – მდედრის – მატერიის შეცნობას უკავშირებს.

ახ.წ. 4000 წელს სამყარო მიაღწევს ქართული ანბანის **37-ჶ-ოხ-10000** ასო-ნიშნის კოსმიურ პერიოდს, რის შემდეგაც იგი გადავა ცივილიზაციის ახალ საფეხურზე, რაც სულაც არ ნიშნავს სამყაროს დაღ-

უპვასა და ქაოსს, არამედ იქნება ახალი, ჰარმონიული ურთიერთობები. დღეისთვის ადამიანის ტვინის შესაძლებლობების ძალიან მცირე ნაწილია გამოყენებული – შეცნობილი. ის, რასაც ადამიანი დღეს უდიდესი ტექნიკის საშუალებით და დიდი ძალისხმევით აკეთებს, მომავალში თვით ადამიანის შინაგანი ძალით იქნება შესაძლებელი. მაგალითად: ადამიანს აღარ დაჭირდება ზამთარში გათბობა და ზაფხულში გაგრილება, ანუ გახდება თვითრეგულირებადი, არ დაჭირდება კომპიუტერი, გაზეთი, რადიო და ინფორმაციის სხვა საშუალებები, დაფიქრდება და მიიღებს ყველა საჭირო ინფორმაციას.

ყველასათვის ყველაფერი ცნობილი და ნათელი გახდება. ვფიქრობ, ამის მაგალითია ჩემს მიერ წლების მანძილზე ჩატარებული ადამიანის დიაგნოსტიკის მეთოდი: **დაავადებული უჯრედებიდან მხოლოდ ქართულ ენაზე დასმულ კითხვებზე მხოლოდ ქართულ ენაზე ვღებულობ უჯრედებიდან „პასუხს“ ელექტრო-მაგნიტური იმპულსების სახით, რომელიც მორზეს ანბანის მსგავსია** და მათი ხმა ოთახში მყოფ ავადმყოფსაც და მის ახლობლებსაც ესმით. ეს იმპულსები ინფორმაციის შემცველია. არაერთხელ მივმართე ქართველ ფიზიკოსებს, რათა ავადმყოფის ორგანიზმიდან გამოსული და ჩემთან მოსული ეს ელექტრო-მაგნიტური იმპულსები დაგვეფიქსირებინა და შეგვესწავლა, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდებოდა ნებისმიერ მიკრო თუ მაკრო სამყაროსთან, კოსმოსის ნებისმიერ ციურ სხეულთან და გალაქტიკის გარეთაც ინფორმაციული კავშირის დამყარება, მაგრამ უშედეგოდ – მეცნიერება დღეს არ არის მზად ამ საკითხებთან დაკავშირებით ექსპერიმენტების ჩასატარებლად.

ზღვებსა და ოკეანეებში თევზები ათასობით კილომეტრზე გადასცემენ ინფორმაციას ელექტრო-მაგნიტური იმპულსებით, ვფიქრობ, ამავე მეთოდით აგნებენ თავიანთ ძველ ბუდეს თბილი ქვეყნებიდან დაბრუნებული ჩიტები. ჩვენს მზის სისტემასა და გალაქტიკაში არსებული დიდი კანონზომიერების საფუძველი, ვფიქრობ, მათ შორის ინფორმაციის არსებობაა. სამყაროში ყველას და ყველაფერს შეუძლია ინფორმაციის მიღება, შენახვა და გაცემა. ადამიანებისთვის დღეს ცნობილი ინფორმაციის საშუალებების გარდა, არსებობს ინფორმაციის მიღების მრავალი სხვა საშუალება, რომლებიც მომავალში იქნება აღმოჩენილი. დენი, რადიოკავშირი, ტელეკომუნიკაცია, კომპიუტერი და სხვა იმის მიმანიშნებელია, რომ სამყაროს ცივილიზაციის გზა უსასრულოა.

კალიფორნიის უნივერსიტეტის ქიმიკოსის ჯეიმს ჯიმზესკის მოსაზრებით, ნებისმიერი ვიბრირებადი საგანი, მათ შორის ცოცხალი უჯრედები, აკუსტიკური ტალღების, ანუ ბგერების წყაროს წარმოადგენენ. ბგერას კი ბევრის თქმა შეუძლია. მეცნიერმა შექმნა ხელსაწყო, რომელიც მიკროსკოპულ რხევებს იჭერს. მისი წყალობით, ჯიმზესკი პირველი მკვლევარი იყო, ვინც უჯრედების ნამღერი „არია“ მოისმინა. გაირკვა, რომ უჯრედის გარსი წამში 1 000 ჰერცი სიხშირით ირხევა. მთავარი აღმოჩენა ის იყო, რომ, თურმე, **ავადმყოფი და ჯანმრთელი უჯრედების ხმა სხვადასხვანაირად ჟღერს**. მეცნიერის მტკიცებით, ახლო მომავალში ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობის გარკვევას მეცნიერები დაავადების ადრეულ სტადიაშივე შეძლებენ და შეძლებენ სწორედ უჯრედების ხმების საშუალებით.

ადამიანი შეძლებს საკუთარი ენერგიის გამოყენებით კოსმოსში გადაადგილებას, შეძლებს მიანიჭოს უწონადობის მდგომარეობა საკუთარ სხეულსა და საგნებს, ნებისმიერ ადგილზე გაჩნდეს და გაქრეს, არ დაჭირდება საკვები, რადგანაც მისი საკვები კოსმოსური ენერგია იქნება. ასეთ კოსმიურ პერიოდში, ალბათ, დედამიწაზე სხვა ღირებულებები იარსებებს. დღეს მეცნიერება მუშაობს იმაზე, რომ შეიმეცნოს ჩვენს გვერდით არსებული პარალელური სამყარო.

სამყაროში ყველაფერი ცივილიზაციის რაღაც საფეხურზე იმყოფება, ამის მაგალითია მზისა და ვარსკვლავთ სისტემა. ჩემი აზრით, ყველა პლანეტა თუ ვარსკვლავი ცოცხალი ორგანიზმია და მათზე აუცილებლად არსებობს სიცოცხლე, ოღონდ ჩვენთვის ეს უცნობია და ჯერჯერობით არ გვაქვს უფლება გავაცნობიეროთ. ჩვენი თვალი ვერ აღიქვამს ჩვენს გვერდით არსებულ სამყაროს, არც სათანადო ტექნიკა გვაქვს.

ცივილიზაციის ახალ საფეხურზე უნდა შეიქმნას ჰარმონიული ურთიერთობები. ამის უმნიშვნელო მაგალითია საბერძნეთში, აგვისტოში, მარიამობის დღეს ხვთისმშობლის ხატთან გველების მისვლა. აგრესიული და შხამიანი გველები ამ დროს გადაიქცევიან ჰარმონიულ და უსაფრთხო არსებებად. რა ხდება, რა ველი იქმნება ისეთი, რომელიც გველებზე მოქმედებს. ვფიქრობ, გველების ასეთი ქმედება მიგვანიშნებს იმას, რომ ჰარმონიულობის და სრული თანხმობის სიმბოლო სწორედაც იბერიის

ხვთისმშობელია; იგი იქნება ჰარმონიული კოსმიური პერიოდის საწყისი; მასთანაა დაკავშირებული ცივილიზაციის ახალ საფეხურზე გადასვლა. ეს კი უშუალოდაა დაკავშირებული მის „მეორედ მოსლვასთან“, „აღდგომასთან“. იგი გააცოცხლებს ქართულ ენას, წარმოაჩენს ქართული ანბანის კოსმიურობას, რაც საფუძველს შეუქმნის სამყაროს ცივილიზაციის ახალ საფეხურზე გადასვლას. ქართული ანბანი არის სამყაროს გენეტიკური კოდი. სამყაროში ყველა და ყველაფერი ემორჩილება გენეტიკურ კოდს. ამაშია ქართული ანბანის საიდუმლო, რომლის წარმოჩინებაც გახდება საფუძველი სამყაროს შემდგომი ცივილიზაციისა.

ქართველი ხალხის უძველეს ცივილიზაციაზე მიგვანიშნებს ბევრი რამ მათი ყოფა-ცხოვრებიდან:

ქართველთა ეროვნული ტანსაცმელი, სარტყელი – ნაყოფიერების ღმერთის სიმბოლო, ლეჩაქი და „კავები ჩიხტიკოპით“ – ქალღმერთ ინანას გამოსახულებებზე არის „თმის კავები“, მეფეთა ტანსაცმელი, მათზე ძვირფასი ქვებით, ასახვაა მცხეთის ზოდიაქოს კალენდრისა, სადაც „ორი გენეტიკური სპირალი“ მოიაზრება და, ამავე დროს, ასახვაა დავათის სტელაზე გამოსახული ქართული ანბანისა; სახლებში დედაბოძი და მასზე გამოსახული ორნამენტები; სახლის წინ ნაძვის, ფიჭვის ან მუხის ხის დარგვა; მიცვალებულის კუბოში დაკრძალვა, იგივე კიდობანის გააზრებაა; წეს-ჩვეულებები – თამადა, სადღეგრძელოები, მიცვალებულის დაკრძალვის წესი, იგივე „ზეიმის“ გამომხატველია ყვავილები, მუსიკა, პურმარილი; მიაჩნდათ, რომ იმქვეყნიური ცხოვრება არის „სასუფეველი ცათა“.

ქართველი ხალხის უძველეს ცივილიზაციაზე მიგვანიშნებს, აგრეთვე, „წმიდა მთის“ სახელის მინიჭება და მის ირგვლივ ქალაქის აშენება, ჯვარი, ორი ლომი და სიცოცხლის ხე, წმინდა გიორგის – ცხენზე მჯდომი გამოსახულება რიტუალურ ცულებზე, ქართველები ხვთაებრივ ბავშვს მხრებზე დაყრილი ლოკონებით გამოსახავდნენ და სხვა. შუმერებთან გვარების ნაცვლად ადამიანებს ენიჭებოდათ „ამა თუ იმ ქალაქის შვილი“. შუმერთა მსგავსად, ქართველების გვარების დაბოლოებაა – „შვილი“ და „ძე“. ქართველი ხალხის უძველეს ცივილიზაციებთან პარალელებზე საუბარი ძალიან შორს წაგვიყვანს.

ქართველთა უძველეს ცივილიზაციაზე მიგვანიშნებს

არაერთი ქართული სიტყვა:

„**პაპა**“ ნიშნავს „ღმერთის ნაცვალს დედამიწაზე“. იგი მსოფლიოში არსებული უძველესი სიტყვაა, რომელშიც „პირველსაწყისი“, „პირველქმნილი“, „დიდი წინაპრის“ მნიშვნელობა მოიაზრება, რაც მიმანიშნებელია იმისა, რომ ქართული ენა უძველესი ცივილიზაციის ენაა. შუმერული სიტყვა **„მე“,** რომლის მნიშვნელობა მსოფლიოში უცნობია, მხოლოდ ქართულმა იცის, რომ სიტყვა **„მე“** არის „სამყაროული **მე**“ და მიგვანიშნებს ადამიანის პიროვნულობაზე, რომ ადამიანი თვითონ არის სამყარო. შუმერთა „**მე**“-ს „ხვთაებრივი კანონები“ არის სამყაროს ცვალებადობის გენეტიკური კოდი – შუმერთა ბიბლიური კაბალა, რომელიც აისახება ქართულ ანბანში. ევროპელთა კაბალას – „რუნების“ მიხედვით, პირველი საიდუმლოს სახელია „ადამიანი“, იგივე „**მე**“, რაც დაკავშირებულია ქართული ანბანის ა-ან ასო-ნიშნის კოსმიურობასთან. შუმერებთან **„ან“**-ცის ღმერთია, **„ენ“**-წყლის ღმერთი, რაც ქართული ასო-ნიშნების მეორადი სახელებია და, ამავე დროს, მიგვანიშნებს ქართული ანბანის კოსმიურობის საიდუმლოზე, ანბანის უდიდეს როლზე სამყაროში. სიტყვა **„და“**-ს „სამსახოვნება“: დამაკავშირებელი აზრთა და სიტყვათა, **„და“**-დედმამიშვილი; ამავე დროს, უძველეს ხელნაწერებში ყოველი ახალი აზრი **„და“** სიტყვით იწყებოდა, რაც ნიშნავს იმას, რომ **„და“** საწყისია ყოველივე ახლისა. ეგვიპტეში ცნობილია ფარაონ ეხნატონის „მზის“ ქალაქი – „ონი“.

ქართულ დამწერლობაში ხუთი ხმოვანია:

1. „ა“ – „ან“ – 1 – კაბალას მიხედვით არის „უმაღლესი ხელისუფლება, ზეციური მამა“, ღმერთი ამბობს: „მე ვარ ანი და ოხი“.
2. „ე“ – „ენ“ – 5 – კაბალას მიხედვით არის „ღმერთის ნაცვალი დედამიწაზე“ – პაპა, წყლის ღმერთი.
3. „ი“ – ინ – 10 – კაბალას მიხედვით არის „მდედრი ძალა, სამყაროს შემოქმედი, სიცოცხლის ძალთა მპყრობელი, ბედის ბორბალი, ზევსი – იუპიტერი, დღის სინათლის და ცის ღმერთი, ჭექა—ქუხილის ღმერთი, ღმერთთა მეფე“, „ქალბატონის მუდმივი ხელისუფლება“.
4. „ო“ – ონ – 16 – კაბალას მიხედვით არის უფალი – „ო“ ნომმო (ნოე), „ქალღმერთ ინანას ქვესკნელის სამეფოში შთასვლა“,

„ბაბელონის გოდოლი“.

5. „უ“ – 22 – კაბალას მიხედვით არის „წარღვნა“, შუმერების მზე „უთუ“ – „ქვესკნელის“ კარი.

ამ ასო-ნიშნების სახელი – „ხმოვნები“ მიგვანიშნებს იმაზე, რომ ისინი არიან სამყაროს მთავარი – ძირითადი შემოქმედნი, დანარჩენი ასო-ნიშნები არიან – თანხმოვნები. გენეტიკური ჯაჭვიდან არც ერთი ასო-ნიშნის ამოღება და გადანაცვლება არ შეიძლება. ასევე მნიშვნელოვანია ასო-ნიშნების მეორადი სახელები: ან, ბან, გან..., რაც მხოლოდ ქართული ანბანისთვისაა დამახასიათებელი. ქართული ენის და ანბანის შემეცნება, როგორც სამყაროს გენეტიკური კოდისა, მომავლის საქმედ მიმაჩნია.

ქართული ენა არ არის დაპირისპირებული სამეტყველო ენა, რაც გამოიხატება იმაში, რომ რასაც მეტყველებ, იმას წერ, ე.ი. როგორც გამოითქმება, ისე იწერება. ამასთან, არ არის მდედრისა და მამრის განსხვავება (OH-OHA), ეს იმას ნიშნავს, რომ მასში არ არის „ინ“ და „იან“ ორი ურთიერთსაპირისპირო აზროვნება, ის არის საშუალო – არც მდედრია და არც მამრი; სწორედ ეს არის მთავარი მიმანიშნებელი შტრიხი იმისა, რომ ქართული ანბანი **„ო“** უფლის-ხვთისმშობლის კუთვნილებაა. ამის დასტურად მოგახსენებთ შემდეგს: სამყაროში ერთმა შექმნა ორი, ორმა სამი და სამმა ყველაფერი. ამ კანონს ექვემდებარება ქართული ანბანიც – „**ან**“-მა შექმნა „**ბან**“-ი, „**ან**“-მა და „**ბან**“-მა შექმნეს „**გან**“-ი, ხოლო სამივემ შექმნა სამყაროში ყველაფერი, ე.ი. სამების მესამე წევრი არის **3-გ-გან** ასო-ნიშნის შესაბამისი კოსმიური სული, რომელიც ტაროს არკანებით არის „დედა ბუნება“, ვენერა, აფროდიტა, სიყვარულის ქალღმერთი, ზეციური დედოფალი, შუმერების „**მე**“-ს „ხვთაებრივი კანონებით“ „ამაღლებული და მუდმივი გვირგვინი“. ეს არის იგივე შუმერების ქალღმერთი ინანა, **„ო“**-ნომმო, **„ო“**-უფალი, იბერიის ხვთისმშობელი, მზე, ჭექა-ქუხილის და ნაყოფიერების ქალღმერთი, ქართული ანბანის მფლობელი. **ეს არის დედოფალი არც „ინ“ და არც „იან“, არამედ მათ შორის, „შუ“-შუა, საშუალო რგოლი, რომელიც აერთებს „ინ“ და „იან“ ძალებს, მდედრს და მამრს, დედოფალი, როგორც თავისი დედის შვილი, ამავე დროს, თვითონ არის დიდი დედა, მაგრამ მასში აღარ არის ძველი ხვთაების ბნელი შტრიხები, იგი ღია და გამჭვირვალეა, მზად არის შექმნას რაღაც ახალი გარეგანისა და შინაგანის შეერთებით. ეს არის მიწიერი დედობისა და სიყვარულის**

გაცხადება. ასე ახასიათებს ბიბლიური კაბალას ცოდნა ტაროს მესამე არკანს. ზუსტად ამ აზროვნების ასახვაა „ინ“ და „იან“ ცნობილი ორი თევზის მსგავსი გამოსახულება ნათელი და ბნელი ძალებისა, რომელზეც მათ შორის გამყოფ „შუ“-ა ხაზში, აღმოსავლური ფილოსოფიით, მოიაზრება არსთა წრებრუნვის მარადიული პროცესის კოსმიური სურათი, რომელიც ჩემი გამოკვლევებით არის ქართული ასომთავრული ასო-ნიშნების შესაბამისი კოსმიური პროცესების მონაცვლეობა დროში. იგი, ამავე დროს, არის „ღმერთის ბეჭედი“ იოანეს გამოცხადებიდან.

მსჯელობიდან გამომდინარე, ნათელსა და ბნელს შორის – შუაში დგას დედოფალი ინანა, რომელიც არის ქართული ასომთავრული ანბანის – „**მე**“-ების „ხვთაებრივი კანონების“ მფლობელი.

მაშასადამე, **ქართული ენა და ხალხი, რომელიც ამ ენაზე მეტყველებს და აზროვნებს, არ შეიძლება გენეტიკურად იყოს დაპირისპირებული – კონფლიქტური ბუნების, არამედ ის ერთბუნებოვანი, საშუალო და ჰარმონიულია. ქართული ბუნების ეს შტრიხი დიდ ზოგადსაკაცობრიო როლს შეასრულებს მომავალი ცივილიზაციის ახალ საფეხურზე.**

„ქებაი“-ს ტექსტზე მუშაობისას არაერთხელ აღვნიშნე, რომ „ო“ ასო-ნიშანი არის ღერძი ანბანის, ანუ მთავარი ასო-ნიშანია, რომელზეც აგებულია მთლიანად ქართული ანბანი. აქვე მინდა ვისაუბრო მეცნიერთა მიერ ადამიანში აღმოჩენილი ძირითადი სასიცოცხლო „პირველსაწყისი“ ღეროვანი უჯრედების შესახებ. ისინი უშუალოდ ადამიანის გენეტიკურ კოდთანაა დაკავშირებული. ვფიქრობ, ეს გენეტიკური ღერძული ძირითადი უჯრედები იგივე ქართული ანბანის **„ო“** ასო-ნიშნის შესაბამისი კოსმიური ენერგიაა – შემოქმედი ყოვლისა, ძველ ქართულ ხელნაწერებში სიტყვა „უფალი“-ს ნაცვლად წერდნენ **„ო“** ასო-ნიშანს. ქართული ანბანი როგორც მიკრო, ასევე მაკრო სამყაროს გენეტიკური კოდია. ის ყველაფერშია და ყველაფერი მასშია. თუ მსოფლიოს მეცნიერები და არამეცნიერები ქართულ ანბანს და ქართულ ენას ამ კუთხით შეხედავენ, კაცობრიობა ახალი, დიდი აღმოჩენების წინაშე დადგება.

შეისწავლეთ ადამიანი, როგორც სამყარო და ნათელი გახდება, თუ რა არის „შავი ხვრელები“, რატომ აქვს კოსმოსს პულსაცია, რატომ ფართოვდება სამყარო, ბევრ კითხვას გაეცემა პასუხი; გალაქტიკა ხომ მოწესრიგებული, უსასრულო, მეტაფიზიკური სივრცის დიდი ორგანიზმია.

როგორც ქართული „ასომთავრული,“ ასევე „მხედრული“ ანბანი კოსმიურად განუყოფელია და ავსებენ ერთმანეთს.

ასომთავრული ანბანი ერთადერთია, რომელიც ასახავს სამყაროს გენეტიკურ კოდს და ზუსტად და ზედმიწევნით ემთხვევა ეგვიპტური კაბალას ტაროს არკანებს – უძველეს საიდუმლო ცოდნას ანბანის შესახებ. მხედრული ანბანი ასევე უშუალოდაა დაკავშირებული წმინდა გიორგისთან. კოსმიური წრებრუნვის სურათში ისინი მხედარს შუბლზე აწერია. მსოფლიოში ცნობილია ცხენზე მჯდომი ღმერთი **ტენგრი,** რომელიც ცხოვრობს 33 სამეფოში (ქართული მხედრული ანბანი 33 ასო-ნიშნისაგან შედგება); ამავე დროს, არის „დარხან-გუჯირ ტენგრი“ – ღმერთი მჭედელი. თვით ტიბეტის სახელი „ტენგრი“-დან წარმოდგება.

ქართული ასო-ნიშნებია ჩინეთის „ი-ძინი“-ს ჰექსაგრამების შესაბამის იეროგლიფებში, სამხრეთ ამერიკის საპოტეკების ღმერთის გამოსაულებებზე. ქართული ასო-ნიშნების კვალი ძველი ცივილიზაციის ყველა ხალხთან წარმოჩინდება. ქართული გიგანტური ასო-ნიშნებია გამოსახული დავით გარეჯის ერთ-ერთ კლდეზე, რომელიც ჩემი გამოკვლევებით, 8000 წელზე ადრეულია, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ **ქართველები ჯერ კიდევ 8000 წლის წინ ცხოვრობდნენ დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე**. ქართველები იბერიის და ხეთების ცივილიზაციის ნაწილი ვართ. ამის დასტურია ის, რომ საქართველოს ყველა კუთხეს დავარქვით კა-**ხეთი**, კუ-**ხეთი**, მეს-**ხეთი**, ჯავა-**ხეთი**, კოლ-**ხეთი** და დედაქალაქსაც მც-**ხეთა** ვუწოდეთ, ხოლო საქართველოს ოდითგანვე „**იბერია**“ ერქვა.

ქართველებმა იცოდნენ: როდის დაიწყო „ადამის ცივილიზაცია“ და აქედან დაიწყეს წელთაღრიცხვა „ქართ ადამს აქათ“, ჯერ კიდევ 8000 წლის წინ იცოდნენ; როდის მოხდა წარღვნა, მას „დასაბამი“ უწოდეს და აქედან დაიწყეს „დასაბამითგან“ – წარღვნიდან წელთაღრიცხვის ათვლა. ცხადია, წელთაღრიცხვას ვერ დაიწყებდა ის ხალხი, რომელიც პირველყოფილივით ტყეში საკვების მოსაპოვებლად დარბოდა. ეს იყო მაღალცივილიზებული, ჩამოყალიბებული ერი.

ქართული ცივილიზაციის ფესვები მსოფლიოს ისტორიის ათასწლეულების სიღრმეებში მიდის. იბერიულ-ქართულ-ხეთური ცივილიზაციის კვალი მრავლადაა ბიბლიაში. დადგა დრო დავაფუძნოთ ტერმინი **„იბერულ-ქართულ-ხეთური“** ცივილიზაცია.

აუცილებელია შეიქმნას „იბერიულ-ქართულ-ხეთური ცივილიზაციის საერთაშორისო კვლევის ცენტრი“. აქვე განთავსდება „ქართული ანბანის მუზეუმი“, სადაც წარმოჩინდება ქართული ანბანი, როგორც სამყაროს გენეტიკური კოდი; კაბალას ცოდნის პარალელები ქართულ ანბანთან, რომელიც მოიცავს ჩინეთის „ი-ძინი“-ს, ეგვიპტის „ტაროს არკანების, შუმერების „**მე**“-ს „ხვთაებრივ კანონების“ და ევროპელთა „რუნების“ საიდუმლო კოსმიურ ცოდნას ღმერთზე, ადამიანსა და სამყაროზე, როგორც ერთიან კოსმიურ სინთეზზე, არის პირველ ადამიანთა ცოდნა სამყაროს შესახებ, დღემდე მოტანილი პირველსაწყისი ცნობიერებით.

მხოლოდ ქართული ანბანია ის ჭეშმარიტი გენეტიკური კოდი სამყაროს ცივილიზაციისა, რომელსაც ადამ და ევას ცივილიზაცია ჰქვია.

„მე“-ს, ანუ ადამიანის ჭეშმარიტი სულიერი ენა არის ქართული. ეს არის ენა ქვეცნობიერისა, აზროვნებისა, ენა სამყაროსთან ურთიერთობისა. მსოფლიოს ხალხი უნდა დაუბრუნდეს ამ ენას და ამ დამწერლობას, მაგრამ არა ძალდატანებით, არამედ შემეცნებით. ქართული ასო-ნიშნები გამოსახულია მსოფლიოს უძველეს არქეოლოგიურ ძეგლებზე, ღმერთების გამოსახულებებზე, პირამიდებისა და აკლდამების ნახატებზე, ფარაონთა სამარხების კედლებზე, მსოფლიოს სხვადასხვა სამუზეუმო ექსპონატებზე და სხვა, რაც მეტყველებს იმაზე, რომ ერთ დროს არსებობდა ერთი ენა, ერთი ანბანი და ეს იყო ქართული ენა და ქართული ანბანი. მსოფლიოს უძველესი ცივილიზაციის ხალხთა მეტყველებაში მრავლადაა ქართული ენის კვალი.

სამყარომ უნდა დაიბრუნოს ის კოსმიური მდგომარეობა, როცა ყველა და ყველაფერი ერთ ენაზე ლაპარაკობდა. მსოფლიოს ყველა ხალხი ერთ კოსმიურ ნავში ვზივართ და ვმოგზაურობთ, რასაც დედამიწა ჰქვია. ყველა ადამიანი ერთი გენეტიკური კოდითაა შექმნილი, ერთი ზეციური დედის და მამის შვილები ვართ, ერთი დედა გვზრდის და გვმფარველობს. მოვა დრო, როცა ყველა კვლავ ერთ ენაზე ილაპარაკებს. ამ ენაზე ესაუბრება თავის შვილებს, ყველას და ყველაფერს იბერიის ხვთისმშობელი – დედა ყოველი არსისა. ამას მთელი სამყარო გააცნობიერებს. ქართული ენა არის აზროვნების ენა. იქნება უსიტყვო საუბარი ადამიანებს შორის, წაიკითხავენ ერთმანეთის აზრებს. აღარ იქნება საჭირო დამწერლობა, განათლება, ყველას ყველაფერი ეცოდინება. ადამიანების, როგორც გონებრივი, ასევე

ფიზიკური შესაძლებლობები იქნება უსაზღვრო. ადამიანი დაიწყებს კოსმოსში გადაადგილებას აზრის გავრცელებისა და მხედველობითი აღქმის სიჩქარით. აღარ იარსებებს ტყუილი და დანაშაულის ჩადენის მიზეზი, ყველაფერი ექნებათ, რასაც მოისურვებენ. ხალხი იქნება ზნემაღალი. მათ შორის იქნება უდიდესი ჰარმონია და თანხმობა. თავს იჩენს ახალი, ჩვენთვის ჯერ კიდევ უცნობი ურთიერთობები, რომელიც დამახასიათებელი იქნება ახალი ცივილიზაციისათვის. ამის ნათელი მაგალითია ინდიგო ბავშვების დაბადება, რომელთა შესაძლებლობები უსაზღვროა, მაგრამ მათ ეს ჯერჯერობით არ აქვთ გაცნობიერებული. სამყაროს ცივილიზაციის გზა უსასრულოა.

თავის დროზე კაცობრიობის ყველა დიდი მასწავლებელი გვასწავლიდა, თუ ვინ ვართ, რისთვის მოვედით და რა უნდა ვაკეთოთ აქ, დედამიწაზე.

შეგახსენებთ **ᲓᲔᲓᲐ ᲢᲔᲠᲔᲖᲐᲡ** სიტყვებს: „იყავი ბედნიერი ახლა... ნუ უცდი უნივერსიტეტის დამთავრებას, შეყვარებას, სამსახურის პოვნას, დაქორწინებას, შვილების ყოლას, მათ დაბინავებას, ზედმეტი ათი კილოს დაკლებას. ნუ უცდი პარასკევ საღამოს ან კვირა დილას. ნუ უცდი როდის მოვა გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა ან ზამთარი. ბედნიერებისათვის დღევანდელ დღეზე შესაფერისი მომენტი არ არსებობს. ბედნიერება პროცესია და არა მიმართულება. ისე იმუშავე, თითქოს ფული სულ არ გჭირდება, ისე შეიყვარე, თითქოს გული არასოდეს უტკენიათ, ისე იცეკვე, თითქოს ვერავინ გხედავს. გახსოვდეს, კანი ჭკნება, თმა თეთრდება, დღეები კი წლებად იქცევიან, მაგრამ ის, რაც უმთავრესია, არ იცვლება, შენს ძალასა და აზროვნებას ასაკი არ გააჩნია. შენი სული ის ბუმბულია, რომელიც აბლაბუდებს არღვევს, ყველა დასასრულის უკან ახალი დასაწყისია, ყველა შედეგის უკან – ახალი მიზანი. ვიდრე ცოცხალი ხარ, იცოცხლე. წინ წადი მაშინაც კი, როცა ყველას ჰგონია, რომ დაეცემი“.

ᲬᲛ. ᲛᲐᲙᲐᲠᲘ ᲓᲘᲓᲘ – ᲔᲒᲕᲘᲞᲢᲔᲚᲘ ამბობს: „ადამიანი ყველა სხვა ქმნილებაზე უფრო აღმატებული და ღირსეულია ღმერთისთვის და იმადაც გავკადნიერდები, რომ ვიტყვი, ადამიანი არა თუ ხილულ ქმნილებებზე უფრო აღმატებული და ღირებულია, არამედ, უხილავ სულიერ ქმნილებებზეც, ანუ ღმერთის მსახურ სულებზე, ანგელოზებზეც კი, რამეთუ მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზებზეც კი არ ბრძანა შემოქმედმა ღმერთმა

ჩვენს ხატად და მსგავსად შევქმნათო, არამედ მხოლოდ ადამიანის გონიერ არსებაზე – მის უკვდავ გონიერ სულზე თქვა ასე...“ (დაბ. 1-26).

ᲛᲐᲛᲐ ᲞᲐᲘᲡᲘ ᲛᲗᲐᲬᲛᲘᲜᲓᲔᲚᲘ ამბობს: „სახიერმა ღმერთმა ანგელოზები შექმნა, თუმცა მათი ნაწილი ამპარტავნებისაგან დაეცა და ეშმაკად გადაიქცა, ღმერთმა შექმნა სრულყოფილი არსება – ადამიანი, რათა მას ანგელოზთა დაცემული დასი შეეცვალა“.

ახ. წ. III ათასწლეული არის 36-ჰ-ჰაე-9000 ასო-ნიშნის შესაბამისი ახალი წრებრუნვის კოსმიური პერიოდის ათასწლეული, სადაც ღმერთთა სამყოფელში მამის მარჯვნივ, ქრისტეს უკან, ადგილი დაიკავა იბერიის ხვთისმშობელმა, ხოლო ხვთაებრივი ბავშვი განთავსდა დედის გულის ადგილას, რაც შექმნის ისეთ კოსმიურ ენერგიას, რომელიც დაეხმარება ადამიანს შეიმეცნოს თავი და გარე სამყარო.

ᲕᲐᲨᲐ-ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲐᲡ „გველის-მჭამელი“ გადმოგვცემს ძველ ამბავს ხევსური მინდიას შესახებ, რომელიც 12 წელი ქაჯებს ტყვედ ჰყავდათ, ბოლოს გადაწყვიტა თავის მოკვლა ქაჯების საკვების მიღებით – შეჭამა გველის ხორცი, რის შემდეგაც მოხდა სასწაული:

„ ... და ამ დროს მოწყალეს თვალით
ტყვეს გადმოჰხედა ზეცამა
ახალად სული ჩაედგა,
ახალი ხორცი აისხა;
გულის ხედვა და თვალების,
როგორც ბრმას და ყრუს გაეხსნა.
ესმის დღეიდან ყოველი,
რასაც ფრინველნი გალობენ,
ან მცენარენი, ცხოველნი,
როდის ილხენენ წვალობენ.
რაც კი რამ დაუბადია
უფალს სულიერ უსულო,
ყველასაც თურმე ენა აქვს
არა ყოფილა ურჯულო.
... მას მუსაიფი დაუწყო
ცამ, დედამიწამ, ტყემაო“.

ვაჟა-ფშაველას მეტაფიზიკური ფენომენი მის შემოქმედებაშია წარმოდგენილი, სადაც კარგად ჩანს, რომ მასთან საუბრობს ცა, დედამიწა, ტყე, ბუნება და ყველაფერი. **ვაჟა-ფშაველა აღნიშნავს, რომ სამყარო ერთ ენაზე ლაპარაკობს და მისთვის ეს ენა საყოველთაო და მშობლიურია, რჯულის ენაა, სამყაროში ყველაფერი იმ ენაზე საუბრობს, რომელზეც ქართველი რჯულის კაცი.** მაშასადამე, **სამყაროში ყველა და ყველაფერი აზროვნებს, შეუძლია ინფორმაციის მიღება, შენახვა, გადაცემა და ეს ყველაფერი ერთ ენაზე – ქართულ ენაზე ხდება**.

ქართული ენა და ქართული ანბანი მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენაა. ეს ის ენაა, რომელზეც მსოფლიოს ხალხი „ბაბელონის გოდოლამდე“ ლაპარაკობდა. იბერიის ხვთისმშობელი არის ფუძე ყველა რელიგიისა. თვით მასშია ქართული ენა და ქართული ანბანი. როგორც მიკრო, ასევე მაკრო სამყროს გენეტიკური კოდი ქართული ანბანია. იგი ყველგან მყოფია და ყველაფერი მასშია. **ქართული ენა არის ენა ქვეცნობიერისა, ენა აზროვნებისა, ენა გალაქტიკასთან საუბრისა. ეს არის ენა ყოველი არსისა. ეს არის სამყაროს დედის ენა. „სამყარო ქართულ ენაზე ლაპარაკობს“!**

„სინურ მრავალთავში“ იოვანე-ზოსიმე შეგვახსენებს: „მეორედ მოსვლისას მაცხოვარი ამ ენაზე (ქართულ ენაზე) განიკითხავს და ამხილებს ქვეყანას“.

რატომ აცვეს ანდრია პირველწოდებული დიაგონალურ ჯვარზე?!

წმ. ანდრიას, პეტრე მოციქულის ძმას, უფალმა იესო ქრისტემ პირველს მოუწოდა, ამიტომ მას ეწოდა პირველწოდებული. წმიდა ანდრიამ სიყრმიდანვე შეიყვარა უფალი და როცა ისრაელში ქუხილივით გაისმა წმიდა იოანე ნათლისმცემლის ხმა, ნეტარი მოციქული მისი უახლოესი მოწაფე გახდა.

ანდრია ძმასთან, პეტრესთან მივიდა, მესიის პოვნა ახარებდა, ისიც იესოსთან მიიყვანა და მას დაუმოწაფა. ისინი განუყრელად თან ახლდნენ ძეს ღვთისას და მისი სასწაულების მოწმეებიც გახდნენ.

მაცხოვრის ამაღლების შემდეგ, „რაჟამს წილ იგდეს მოციქულთა“ საქადაგებლად, ხვთისმშობელს იბერიის მოქცევა ხვდა წილად, მაგრამ, რადგან მისი მიცვალების ჟამი მოახლოებული იყო, ძე ხვთისამ უბრძანა, იერუსალიმში დარჩენილიყო, საქართველოში კი ანდრია პირველწოდებული გაგზავნა თავისი ხელთუქმნელი ხატით.

წმიდა ანდრიამ გაიარა საბერძნეთი, მცირე აზია, შემდეგ კი შავიზღვისპირეთს მიაშურა, **„შევიდა ქვეყანასა ქართლისასა, რომელსა დიდაჭარა ეწოდების“**.

სოფელ დიდაჭარაში დღემდეა შემონახული ტაძრის ნანგრევები, რომლებიც, გადმოცემით, თავად წმიდა ანდრია პირველწოდებულს აუშენებია.

ნეტარს მრავალი განსაცდელი დაატყდა თავს ურწმუნოთაგან, მაგრამ ხვთისა და პატიოსანი ხატის მეოხებით ყველაფერი მადლობით დაითმინა, **„ვიდრემდის ყოველივე მოაქცივნა და მოიყვანა სარწმუნოებად“**. წმიდა ანდრიამ აწყურში მოაწყო ეკლესია და მცირე ეკვდერში ხვთისმშობლის

ხელთუქმნელი ხატი დაასვენა, შემდეგ კი ახალმოქცეულ სამწყსოს განეშორა და გზა განაგრძო: იყო კლარჯეთში, არტაანკოლაში, პართეთში, სომხეთში, შემდეგ კი იერუსალიმში წავიდა.

იერუსალიმიდან ანდრია სვიმონ კანანელთან და მატათასთან ერთად ისევ საქართველოში დაბრუნდა. ისინი ქართლში შევიდნენ, განამტკიცეს ქრისტიანობა და **„დაჰყვნენ დასავლეთით, განვლეს ტაოს კერძო ქვეყანა ვიდრე ჭოროხამდე“**, იყვნენ სამეგრელოსა და სვანეთში. სვიმონი და ანდრია აფხაზეთში წავიდნენ.

წმიდა ანდრია მოციქული სკვითთა ქვეყანაში, დღევანდელ რუსეთშიც ყოფილა. მდინარე დნეპრს აჰყოლია იმ ადგილამდე, სადაც ამჟამად ქალაქი კიევი მდებარეობს.

უკანასკნელი ქალაქი, სადაც მოციქულმა იქადაგა, პატრა (საბერძნეთი) იყო. წმიდანის ლოცვით ამ ქალაქში უამრავი ადამიანი მოექცა ქრისტეს სჯულზე, მაგრამ ქალაქის თავი ეგაეტი კვლავ ერთგული რჩებოდა „ცრუ“ ხვთაებისა. უღმრთო ხელისუფალმა ბრძანა, ჯვარს ეცვათ უფლის რჩეული. **წმიდანი სიხარულით შეხვდა განაჩენს და თავისით ავიდა ჯვარზე**.

ღვთისადმი მადლობით აღესრულა წმიდანი. ქალაქის მმართველის ცოლმა მოციქულის ცხედარი ჯვრიდან ჩამოხსნა და პატივით მიაბარა მიწას. რამდენიმე საუკუნის შემდეგ, კონსტანტინე დიდის ზეობისას, წმიდა მოციქულის უხრწნელი ნაწილები პატივით დაასვენეს კონსტანტინოპოლში.

„X“ – დიაგონალური ჯვარი ანდრია პირველწოდებულის სახელითაა მონათლული.

საქართველოს საპატრიარქოს ერთმა თვალსაჩინო წარმომადგენელმა შეკითხვით მომმართა: „როგორ ფიქრობთ, რატომ აწამეს ანდრია პირველწოდებული „X“-დიაგონალურ ჯვარზე?“

ჩემს გამოცხადებაში, მამა ღმერთს, რომელსაც კოსმიური მთის სახე აქვს, ჰორიზონტალურ მდგომარეობაში თავზე ადგას ქართული ასომთავრული „Ⴗ“-(ჯ) ასო-ნიშანი, რომელიც ასევე დიაგონალური ჯვარია. იგი ენერგეტიკულია, მბრუნავია, წაწვეტებულ დაბოლოებებს იკეთებს და ერთი შეხედვით სვასტიკის სახე აქვს.

ტიბეტის შამბალა – კაილასის წმიდა მთის თავზე პერიოდულად

ჩნდება სვასტიკა. ამიტომ მსოფლიოს სამეცნიერო საზოგადოება დაინტერესებულია და იკვლევს, თუ რა არის სვასტიკა. ტიბეტის მკვლევართა აზრით, **სვასტიკა – დიაგონალური ჯვარი ღმერთის და სამყაროს გულის სიმბოლოა**.

მსოფლიოს უძველესი ხალხი მეტაფიზიკური თვალით – ხილვებით ხედავდა და გამოსახავდა სვასტიკას, როგორც კოსმიურ „ნიშანს“, ანუ ქართული ანბანის Ⴗ(ჯ) ასო-ნიშანს, ეს კი ნიშნავს, რომ ქართული ანბანი გამოცხადებით მიღებული კოსმიური ნიშნებია და მიწიერ ადამიანთა შექმნილი არ არის.

სვასტიკა ცეცხლის სტიქიის გაცხადებაა. როგორც შუმერთა ქვის ბეჭედზე (ძვ.წ. 3400წ. ლონდონი, ბრიტანეთის მუზეუმი) ასახული გამოსახულება წინასწარმეტყველებს, ცეცხლის სტიქიის პერიოდი დგება თევზის ზოდიაქოს ბოლოს, ანუ ახ.წ. **2000** წელს. ქართული ანბანის გენეტიკური კოდითაც **„Ⴗ-ჯ-8000“**-ის კოსმიური პერიოდი დადგა „ქართ ადამს აქათ“ **8000** წელს, ანუ ახ.წ. **2000** წელს. ისტორიული ჩანაწერების მიხედვით, ქრისტე ამქვეყნად „ადამს აქათ“ **6000** წელს მობრძანდა, ხოლო ახ.წ. **2000** წელი არის „ადამს აქათ“ **8000** წელი, რაც ემთხვევა ზემოთ აღნიშნულს.

მაიას ცივილიზაცია

მაშასადამე, **დედამიწაზე 2000 წლიდან დადგა ცეცხლის სტიქიის, „ინ“ და „იან“ ურთიერთსაპირისპირო ძალთა შეერთების – „ოქროს საწმისის“, რვაფოთლიანი ლოტოსის, წმიდა ნინოს ჯვრის კოსმიური ენერგიის ათასწლეული**, რომელიც ჩვენს პლანეტაზე ყველაზე და ყველაფერზე აისახება და ეს უკვე საგრძნობლად თვალსაჩინოა.

განვიხილოთ მსხვერპლშეწირვის რიტუალი მაიას უძველეს ტომებთან. თქვენს წინაშეა ბერლინის ეთნოგრაფიული მუზეუმის ექსპონატი, მექსიკიდან ჩამოტანილი სტელა, რომელზეც **ასახულია მზის-ცეცხლის სტიქიის ღმერთისადმი მსხვერპლშეწირვის რიტუალი. ქურუმი შეწირულ**

მსხვერპლს კვეთს გულს, რომელიც არის ადამიანის სამყაროული „მზე“ – კოსმიური ცენტრი და უძღვნის მზის ღმერთს. აქ „გულს“ ადამიანის სახე აქვს. აქვეა ორმაგად გადაბრუნებული „ორმაგი“ ქართული ასომთავრული „Ж“ ასო-ნიშანი, ანუ „Ж“ – დიაგონალური ჯვარი (კაბალას პრინციპით, ამ სამყაროსთან მიმართებაში იქეთა სამყარო ორმაგად გადაბრუნებულია), რომელზეც ჩამოცმულია შეწირული ადამიანის თავი, რაც დიაგონალურ ჯვარზე გაკვრას ნიშნავს. სწორედ ასეთ ჯვარზე გააკრეს ანდრია პირველწოდებულიც.

ქართული ანბანის ასო-ნიშნებია გამოსახული საპოტეკების ღმერთების გამოსახულებებზეც, რომლებიც მექსიკის მონტე-ალბანას ტერიტორიაზეა ნაპოვნი. ეს საკითხი კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ მაიას წინაპრებისთვის ცნობილი იყო როგორც კაბალას ცოდნა, ასევე ქართული ანბანი, როგორც სამყაროს გენეტიკური კოდი; ეს კი უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტია. ასე დიდია პარალელები ქართველთა და მაიას ტომების წინაპართა კოსმოგონიურ აზროვნებას შორის.

დმანისის სტელა

ორმაგად გადაბრუნებული **„ორმაგი“** ქართული ასომთავრული „Ж“ („ჯ“) ასო-ნიშანი, ამავე დროს, ორი სვასტიკის – ორი მზის – ბორჯღალის – ცეცხლის სტიქიის სიმბოლური გამოსახულებაა. „ბორჯღალი“ დაკავშირებულია ცეცხლთან – ცეცხლის სტიქიასთან. სულხან-საბას მიხედვითაც – „ბურჯღული დიდ-დიდი ნაპერწკალია“. სწორედ ამასთანაა დაკავშირებული ორმაგი დიაგონალური ჯვარი, რომელიც არის „ჯ-ორ-ჯ“ („ჯ-ორი-ჯ“) – „გი-ორ-გი“ („გი-ორი-გი“) – ქართველთა წარმართული უზენაესი ღმერთის წმინდა (თეთრი) გიორგის სიმბოლური გამოსახულება. იგივე აზროვნებაა ასახული დმანისის სტელაზე, სადაც რვაფოთლიანი ლოტოსის გვერდით ორი დიაგონალური ჯვარია გამოკვეთილი. ერთმანეთში შეთავსებული ორი დიაგონალური ჯვარი კი, ბოლო ჟამის ცეცხლის სტიქიის, ორი დაპირისპირებული კოსმიური ენერგიის შერწყმა-შეერთების სიმბოლური

გამოსახულებაა. აქ მოყვანილ აზრს ადასტურებს ხალხური სადიდებელი: „ჯვარ-ჯვარის დროშა ვისია? – წმინდისა გიორგისია“, სადაც წარმართობის პერიოდის წმინდა გიორგი ორი ჯვრით არის ნახსენები. მსოფლიოს ყველა ხალხი ქართველებს „გიორგელებს“, ანუ ცეცხლის სტიქიის ხალხს უწოდებს. ამას უკავშირდება ქართველთა მითი, სადაც ამირანს ღმერთების ცეცხლი ჩამოაქვს ხალხთან. იგი მიჯაჭვულია კავკასიონზე. ვინაიდან მითი ამირანის შესახებ ქართული ცნობიერების კუთვნილებაა, ეს ნიშნავს, რომ ამირანს ხვთიური ცეცხლი კავკასიის ხალხთან – ქართველებთან ჩამოაქვს.

ბიბლიიდან ცნობილია, რომ უფალი ბოლო ჟამს ცეცხლის სტიქიის ენერგიით მოახდენს დედამიწაზე „განწმენდას“, ამიტომ „განკითხვის“ ენაც, ქართული ენა იქნება. ამავეს მიგვანიშნებს იოვანე-ზოსიმე (X ს.): „მეორედ მოსვლისას მაცხოვარი ამ ენაზე (ქართულ ენაზე) განიკითხავს და ამხილებს ქვეყანას“. ვინაიდან ქართული ენა ბოლო ჟამის ენად მოიაზრება, მაშინ ის პირველი ჟამის ენაც ყოფილა. ეს კიდევ ერთი მინიშნებაა იმისა, რომ სამყაროში ყველა და ყველაფერი პირველსაწყისს უბრუნდება.

ერთ დროს მსოფლიოს თითქმის ყველა ხალხის რელიგია იყო ცეცხლთაყვანისმცემლობა. ეს არ იყო ცეცხლის თაყვანისცემა პირდაპირი გაგებით, არამედ ისინი თაყვანს სცემდნენ ცეცხლის სტიქიის ღმერთს, რომელშიც გაცხადებული იყო ოთხივე სტიქიის ენერგია (მიწა, წყალი, ჰაერი, ცეცხლი). იგი იყო მატერიალური სამყაროს შემოქმედი, რომელსაც მზესთან და ყველაზე ძვირფასთან – ოქროსთან აიგივებდნენ. ამიტომ **ცეცხლის სტიქიის – მზის ღმერთისადმი შეწირული ყველა ადამიანი ცეცხლის სტიქიის ჯვარზე – ქართული ანბანის Ж (ჯ) ასო-ნიშნის ორმაგად გადაბრუნებულ „Ж“ – დიაგონალურ ჯვარზე უნდა ჩამოეცვათ, რომელიც, ამავდროულად, არის ცეცხლის სტიქიის ღმერთის სიმბოლო.**

ბიბლიის მიხედვით, ბოლო ჟამის განკითხვის მახვილი ცეცხლის სტიქიაა. ვფიქრობ, ამას უკავშირდება ინდოელთა დაკრძალვის – მიცვალებულის ცეცხლზე დაწვის წესიც.

ბოლო ჟამის შესახებ პეტრე მოციქული მეორე წერილში ამბობს: „თავდაპირველად ცანი და დედამიწა დაარსდნენ ხვთის სიტყვით წყლისაგან და წყლით; რომელთა მეშვეობითაც მოისპო მაშინდელი ქვეყნიერება

წარღვნილი წყლით, ხოლო ახლანდელი ცანი და დედამიწა, რომელნიც იმავე სიტყვით ინახებიან, **გამზადებულნი არიან ცეცხლისთვის** უღმერთო კაცთა გასამართლებისა და მოსპობის დღისათვის. ხოლო მოვა უფლის დღე, ქურდივით, და მაშინ ზეცანი გრგვინვით გადაივლიან, **გავარვარებული საწყისები დაიშლებიან**, დედამიწა და მისი საქმენი, რაც მასზეა, **დაიწვებიან**. და ყოველივე ასე დაინგრევა, როგორი-ღა უნდა იყოთ წმინდა ქცევით და ღვთისმოსაობით თქვენ, ღმერთის დღის მომლოდინენი და დამაჩქარებელნი, როცა ალმოდებული ცანი დაირღვევიან, ხოლო საწყისები დაიწვებიან და დადნებიან". (2 პეტრე 3. 5, 6, 7, 10, 11, 12).

უფლის მეორედ მოსვლის ჟამს ცეცხლით განკითხვაზეა საუბარი მოციქულ იოანეს გამოცხადებაშიც.

მაშასადამე, როგორც ევროპასა და აზიაში, ისე ამერიკის კონტინენტზე, **ყველაზე დიდი სასჯელი იყო დიაგონალურ ჯვარზე გაკვრა**. ის, რაც აღმოსავლეთისთვის დასჯის მექანიზმი იყო, მაიას ტომებისთვის იყო მსხვერპლშეწირვის რიტუალის ნაწილი. მაშასადამე, ანდრია პირველწოდებულიც მსხვერპლად შეწირულად უნდა განვიხილოთ. სიცოცხლის სწორედ ასეთი მოწამეობრივი აღსასრული განაპირობებს მოციქულთა წმიდანად აღიარებას. ეს საკითხი კარგად იყო ცნობილი მოციქულთათვის. ანდრია პირველწოდებულის სიცოცხლის ბოლო წუთების შესახებ ცნობილია, რომ წმიდა მოციქული ორი დღე ქადაგებდა ირგვლივ შეკრებილთა წინაშე. ბოლოს, წმიდანის მადლმოსილი სიტყვებით შეძრულმა ხალხმა მოითხოვა, ჯვრიდან ჩამოეხსნათ იგი. უღმრთო ეგაეტმა განკარგულება გასცა, გაეთავისუფლებინათ წმიდანი, მაგრამ **ანდრიამ მხურვალედ შესთხოვა უფალს, ჯვარზე აღსრულების ღირსი გაეხადა**. მეომრები დიდხანს ამაოდ ცდილობდნენ მის ჩამოხსნას. წმიდანმა „აღიხილნა თუალნი ზეცად და მადლობა შესწირა უფალს და აკურთხა მორწმუნენი იგი ჯუარსა დამოკიდებულმან".

უძველეს მონეტებსა და სტელებზე აღმოჩენილი დიაგონალური ჯვარი ხვთაებრივ ნიშნად ითვლებოდა და ორი სამყაროს ერთიანობას განასახიერებდა.

„X" – დიაგონალურ ჯვარზე ანდრია პირველწოდებულის „დაკიდება" შემთხვევითი არ არის. ვინაიდან მას ხვთისმშობლის დავალებით იბერიის ქრისტეს სარწმუნოებაზე მოქცევა ხვდა წილად, ამიტომ მისი საბოლოო

აღსასრულის ჯვარიც აუცილებლად საქართველოსთან და ქართულ გენთან – ქართულ ანბანთანაა დაკავშირებული – **წმიდა ანდრიას დიაგონალური ჯვარი იგივე ქართული ასომთავრული ანბანის X (ჯ) ასო-ნიშანია, რომელიც არის ცეცხლის სტიქიის სიმბოლური გამოსახულება**.

ქართული ანბანი სომხების შექმნილი არ შეიძლება იყოს!

სომხების მიერ გამოთქმულია მოსაზრება, თითქოს, ქართული ანბანი VIს. სომეხმა საზოგადო მოღვაწემ მესროპ მაშტოცმა შექმნა. სომხურ-ქართულ დამწერლობათა ურთიერთმიმართებათა გარკვევისას აღმოჩნდა, რომ სომეხ ისტორიკოს კორიუნის თხზულებაში მაშტოცის მიერ ქართული ანბანის შექმნის ვერსია გვიანდელი ჩანართი აღმოჩნდა (რ. პატარიძე, „ქართული ასომთავრული“, 1980წ. გვ.33). მიუხედავად ამისა, სომეხი მკვლევარები ამ საკითხის ისევ ძველ ვერსიას იმეორებენ, რომ ანბანი ქართველებს ახ.წ. V საუკუნეში მოღვაწე მესროპ მაშტოცმა შეუქმნა. ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაირკვეს ეს საკითხი, რათა ნათელი მოეფინოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას, ზოგადსაკაცობრიო კულტურის უმნიშვნელოვანეს საკითხს, საერთოდ, ქართული ანბანური დამწერლობის წარმოშობის საკითხს.

პირველ ადამიანთა ცოდნა ღმერთზე, ადამიანსა და სამყაროზე, როგორც ერთიან კოსმიურ სინთეზზე, დღემდეა მოტანილი და მას მსოფლიოს მოაზროვნე საზოგადოება კაბალას სახელით იცნობს. ეს არის კაბალას კოსმიური ბიბლიური ცოდნა სამყაროს გენეტიკური კოდის შესახებ, რომელიც, ჩემი გამოკვლევით, მსოფლიოში არსებული ყველა ანბანიდან, მთელი სიღრმით, მხოლოდ ქართულ ანბანში აისახება. კაბალას ბიბლიურ ცოდნას წარმოაჩენს ჩინეთის „იძინი“ –სამყაროს „ცვალებადობათა წიგნი“, შუმერთა „**მე**“-ს „ხვთაებრივი კანონები“, ეგვიპტის „ტაროს არკანები“, ევროპელთა „რუნები“.

„კაბალა“ – „კაბა-ალი“ ქართული სიტყვაა და ცეცხლის სტიქიის სამოსს – „კაბა“-ს ნიშნავს. ამასთანავე, საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილს – ჰერეთს ოდითგანვე „კაბალა“ ერქვა. დღესაც არის იქ ქ.კაბალა, აღმოსავლეთ საქართველოში კი მდ. კაბალი და სოფ. კაბალი.

დავახასიათოთ ქართული ანბანი კაბალასთან მიმართებაში და შემდეგ გავავლოთ პარალელები სომხურ ანბანთან: ქართულ ანბანში **37** ასო-ნიშანია, რაც კაბალასთვის ასო-ნიშანთა აუცილებელი რაოდენობაა, რომელშიც ეგვიპტური კაბალას **78** არკანი (საიდუმლო) აისახება – **21+4x14+1=78**; ქართულ ანბანში „**O**“ არკანი, ანუ ϟ-ვიე ასო-ნიშანი, რომელსაც არა აქვს რიცხვითი მნიშვნელობა, არის გამყოფი–საზღვარი „უფროს“ და „უმცროს“ არკანთა ჯგუფებისა: უფროს არკანთა ჯგუფი მოიცავს **21** არკანს, რომელიც სისტემურად ანბანის **21** ასო-ნიშანზე ვრცელდება, ხოლო უმცროს არკანთა ჯგუფი მოიცავს **4x14+1=57** არკანს, რომელიც სისტემურად ანბანის **15** ასო-ნიშანზე ნაწილდება; შუმერების „**მე**“-ს „ხვთაებრივ კანონებში“ ერთი კოსმიური ციკლი **37** „კანონს“ შეადგენს, რაც ზედმიწევნით შეესაბამება ქართული ანბანის **37** ასო-ნიშანთა მდებარეობას ანბანში; ქართულ ანბანში აისახება ასევე ჩინეთის „იძინი“-ს **64** ჰექსაგრამა და ევროპელთა „რუნები“ (ნახეთ აქვე: „ქართული ანბანი სამყაროს გენეტიკური კოდია“). ქართულ ანბანში ასო-ნიშანთა მდებარეობა, მათი მეორადი სახელები – ან, ბან, გან, დონ ... ა.შ., გვერდით მიწერილი რიცხვები, **21** და **22** ასო-ნიშნებს შორის „**0**“ ასო-ნიშნის მდებარეობა, რომელსაც არა აქვს რიცხვითი მნიშვნელობა, უმნიშვნელოვანესი ფაქტორია იმისთვის, რომ გაკეთდეს დამაჯერებელი და საფუძვლიანი დასკვნა: **კაბალას ბიბლიური ცოდნა ქართული გენის ფენომენია, ქართული კოსმოგონიური ცოდნაა და მხოლოდ ქართულ ანბანში აისახება**.

კაბალას ცოდნის მიხედვით, ყველა ანბანში აუცილებელია:

1. პირველი ასო-ნიშანი აუცილებელია იყოს **ა-ან-1**, რომლის მეორადი სახელი სავალდებულოა იყოს – „**ან**“, ვინაიდან ჩინური კაბალას პირველი ჰექსაგრამის სახელია – „ცი-ან“ და ამავდროულად, მის შესაბამის იეროგლიფურ გამოსახულებაში არის ქართული ასომთავრული „**Ⴓ-ა-ან**“ ასო-ნიშანი, ასევე „**ან**“ არის შუმერთა ცის ღმერთი, რომელმაც შექმნა სამყაროში ყველაფერი. სომხურ ანბანში კი ეს არ არის.

2. ანბანში „**ი-ინ-10**“ ასო-ნიშანი აუცილებლად უნდა იყოს რიგით მე-**10**, რომლის მეორადი სახელი სავალდებულოა იყოს – „**ინ**“, ვინაიდან, კაბალას მიხედვით, ის არის „ქალბატონის მუდმივი ხელისუფლება“. ასევე, აღმოსავლური ფილოსოფიით, „**ინ**“ არის სამყაროს შემოქმედი მდედრის გამოხატულება, რომელიც უდიდეს ადგილს იკავებს სამყაროს გენეტიკური კოდის ორ – „**ინ**“ და „**იან**“ საწყისების სახით. სომხურ ანბანში კი ეს არ არის.

3. კაბალას ცოდნიდან გამომდინარე, აუცილებელია მე-**12** ასო-ნიშანი

ქართული ანბანი

1	Ⴀ	ⴀ	ა	ან	1	20	Ⴓ	ⴓ	ს	სან	200
2	Ⴁ	ⴁ	ბ	ბან	2	21	Ⴔ	ⴔ	ტ	ტარ	300
3	Ⴂ	ⴂ	გ	გან	3		Ⴕ	ⴕ	ჳ	ვი-ე	
4	Ⴃ	ⴃ	დ	დონ	4	22	Ⴖ	ⴖ	უ	უნ	400
5	Ⴄ	ⴄ	ე	ენ	5	23	Ⴗ	ⴗ	ფ	ფარ	500
6	Ⴅ	ⴅ	ვ	ვინ	6	24	Ⴘ	ⴘ	ქ	ქან	600
7	Ⴆ	ⴆ	ზ	ზენ	7	25	Ⴙ	ⴙ	ღ	ღან	700
8	Ⴇ	ⴇ	ᲗᲘ	ჰ-ე	8	26	Ⴚ	ⴚ	ყ	ყარ	800
9	Ⴈ	ⴈ	თ	თან	9	27	Ⴛ	ⴛ	შ	შინ	900
10	Ⴉ	ⴉ	ი	ინ	10	28	Ⴜ	ⴜ	ჩ	ჩინ	1000
11	Ⴊ	ⴊ	კ	კან	20	29	Ⴝ	ⴝ	ც	ცან	2000
12	Ⴋ	ⴋ	ლ	ლას	30	30	Ⴞ	ⴞ	ძ	ძილ	3000
13	Ⴌ	ⴌ	მ	მან	40	31	Ⴟ	ⴟ	წ	წილ	4000
14	Ⴍ	ⴍ	ნ	ნარ	50	32	Ⴠ	ⴠ	ჭ	ჭარ	5000
15	Ⴎ	ⴎ	ᲝᲜ	ო-ნ	60	33	Ⴡ	ⴡ	ხ	ხან	6000
16	Ⴏ	ⴏ	ო	ონ	70	34	Ⴢ	ⴢ	ჯ	ჯარ	7000
17	Ⴐ	ⴐ	პ	პარ	80	35	Ⴣ	ⴣ	ჰ	ჯან	8000
18	Ⴑ	ⴑ	ჟ	ჟან	90	36	Ⴤ	ⴤ	ჰ	პა-ე	9000
19	Ⴒ	ⴒ	რ	რა-ე	100	37	Ⴥ	ⴥ	ჵ	ოხ(ოჰ)	10000

სომხური ანბანი

(მესროპ მაშტოცის შედგენილი „ერკათაგარის“ ანბანი. ახ წ. V ს.)

1	Ա	აიბ	1	ა	19	Խ	ჭა	100	ჭ
2	Բ	ბენ	2	ბ	20	Մ	მენ	200	მ
3	Գ	გიმ	3	გ	21	Յ	ᲘᲐ	300	ᲘᲐ
4	Դ	და	4	დ	22	Ն	ნუ	400	ნ
5	Է	ეჩ	5	ე	23	Շ	შა	500	შ
6	Զ	ზა	6	ზ	24	Ո	ო	600	ო
7	Է	ᲔᲗ	7	ᲔᲗ	25	Չ	ჩა	700	ჩ
8	Ը	ᲘᲗ	8	ᲘᲗ	26	Պ	პე	800	პ
9	Թ	თო	9	თ	27	Ջ	ჯᲔ	900	ჯ
10	Ժ	ჟᲔ	10	ჟ	28	Ռ	რა	1000	რ
11	Ի	ინ	20	ი	29	Ս	სე	2000	ს
12	Լ	ლუნ	30	ლ	30	Վ	ვᲔᲕ	3000	ვ
13	Խ	ხე	40	ხ	31	Տ	ტუნ	4000	ტ
14	Ծ	წა	50	წ	32	Ր	რე	5000	რ
15	Կ	კენ	60	კ	33	Ց	ცო	6000	ც
16	Հ	ჰო	70	ჰ	34	Ւ	ᲣᲜ	7000	Უ
17	Ձ	ძა	80	ძ	35	Փ	ფურ	8000	ფ
18	Ղ	ღატ	90	ღ	36	Ք	ქე	9000	ქ

იყოს „**ᲚᲐᲡ-30**“, რომლის შესაბამისი რიცხვი სავალდებულოა იყოს „**30**“ (ეს საუბრის დიდი თემაა). სომხურ ანბანში კი ეს არ არის.

4. კაბალას ცოდნიდან გამომდინარე, აუცილებელია მე-**16** ასო-ნიშანი იყოს „**Ო-ᲝᲜ**“, რომლის მეორადი სახელი სავალდებულოა იყოს „**ᲝᲜ**“, ვინაიდან, კაბალას ცოდნით, ის არის „ბაბ-ელ-**ონ**-ის“ გოდოლი. სომხურ ანბანში კი ეს არ არის. გამომდინარე აქედან, რომ კაბალას ცოდნა მხოლოდ ქართულ ანბანში აისახება, რომელიც არის სამყაროს გენეტიკური კოდი, ქართული ანბანის მიხედვით შეგვიძლია განვსაზღვროთ, როდის მოხდა ბაბელონის გოდოლის დანგრევა: ეს პროცესი დაიწყო „ქართ. ადამს აქათ“ **60** წელს, „ნგრევა“ გრძელდებოდა **10** წელი და დამთავრდა „ქართ. ადამს აქათ“ **70** წელს. თუ ამ თარიღს ახ. წ. **2000** წლიდან უკან ავითვლით, ბაბელონის გოდოლის დანგრევა დაწყებულა **7940** წლის უკან, ანუ ძვ. წ. **5940** წელს, გრძელდებოდა **10** წელი და დამთავრდა ძვ. წ. **5930** წელს, ანუ **7930** წლის უკან. XII ს-მდე „**ო**“ ასო-ნიშანი სომხურ ანბანს არ ჰქონდა.

5. კაბალას ცოდნიდან გამომდინარე, მე-**19** ასო-ნიშანი აუცილებლად უნდა იყოს „**რ-რა-რაᲔ-100**“, რომლის მეორადი სახელი სავალდებულოა იყოს „**რა-რაᲔ**“ და შესაბამისი რიცხვი უნდა იყოს „**100**“. კაბალას ცოდნით მისი სახელია „მზე“, მსოფლიოში არსებული ანბანებიდან „**რ**“-ასო-ნიშანი მე-**19** ადგილზე მხოლოდ ქართულ ანბანშია. სომხურ ანბანში კი ეს არ არის.

6. კაბალას ცოდნიდან გამომდინარე, აუცილებელია **21**-ე ასო-ნიშანი იყოს „**ტ-ტარ-300**“, რომლის მეორადი სახელი სავალდებულოა იყოს „**ტარ**“. ვინაიდან ის ამთავრებს ეგვიპტური კაბალას უფროს არკანთა ᲯᲒᲣᲤᲡ; სომხურ ანბანში კი ეს არ არის. ამავდროულად, ეგვიპტური კაბალას სახელი „ტაროს არკანები“ სწორედ ქართული ანბანის **21-ტ-ტარ** ასო-ნიშანთანაა დაკავშირებული. სიტყვა „ტარო“ ქართულად „მეფეთა გზა“-ს ნიშნავს. ქართული ცნობიერებით სიტყვა „ტარ-ო“ შემდეგნაირად წარმოჩინდება: „ტარ“–ტარებას, სიარულს, „გზა“-ს ნიშნავს, ხოლო „**ო**“ ასო-ნიშნით გამოსახავდნენ უძველეს ქართულ ხელნაწერებში სიტყვას „უფალი“ – ქვეყნიერების მთავარი. როგორც ვხედავთ, ქართული ცნობიერება ზუსტად გამოხატავს სიტყვა „ტარო“-ს – „მეფეთა გზა“-ს. კაბალას ცოდნით, **21**-ე არკანის სახელია „გრაალი“, რომელიც აუცილებლად

დაკავშირებულია „გრაალის“ თასთან. სიტყვა „**გრალი**“ (მე ამ სიტყვას ასე მოვიხსენიებ) ორი ნაწილისგან შედგება და თუ დავუკვირდებით, მისი საიდუმლო თვით სიტყვაშია – „**გრ**“ და „**ალი**“, სადაც „**გრ**“ უკავშირდება სიტყვებს „ჯ-**გრ**-აგი“ (ვფიქრობ, თავდაპირველად იქნებოდა „ჯგრალი“), „ტენ-**გრ**-ი“, რაც თეთრ ცხენზე მჯდომ ღმერთს, წარმართობის თეთრ გიორგის უკავშირდება, ხოლო „ალი“ – ცეცხლის სტიქიას, მზეს, ოქროს ნიშნავს. მაშასადამე, სიტყვა „გრ-ალი“ – იგივე ოქროს საწმისის ენერგიის გამომხატველია (ეს ცალკე საუბრის თემაა). როგორც „გრალის თასი“, ასევე „ოქროს საწმისი“, ადამიანის სამყაროს უკავშირდება და განიხილება გენეტიკური კოდის – დნმ-ის დონეზე.

7. კაბალას ცოდნაში „**O**“ არკანი განთავსებულია **21** და **22**-ს შორის, ანუ ისეთი ასო-ნიშანია, რომლის რიცხვითი მნიშვნელობა ნულის ტოლია. ქართულ ანბანში **21** და **22** ასო-ნიშნებს შორის სწორედაც არის Ყ-ვიე ასო-ნიშანი, რომელსაც რიცხვითი მნიშვნელობა არ გააჩნია, ანუ ნულის ტოლია. სომხურ ანბანში კი ეს არ არის. იგი ამავდროულად მეორდება **Ու-22** ასო-ნიშანში, რაც კაბალას ცოდნაში ძალიან მნიშვნელოვანია. კაბალას ცოდნა კი გვეუბნება, რომ **22** არკანი არის იგივე „**O**“ არკანი, მაგრამ **22**-ე არკანი გამომდინარეობს არა **21**-ე არკანიდან, არამედ „**O**“-არკანიდან, რაც ნიშნავს იმას, რომ **21**-სა და **22**-ს შორის აუცილებლად უნდა იყოს „**O**“ არკანი, ანუ ასო-ნიშანი, რომლის რიცხვითი მნიშვნელობა ნულია. კაბალას ცოდნით „**O**“, ანუ **22**-ე არკანის სახელია „წარღვნა“, რომლის მიხედვითაც შეგვიძლია განვსაზღვროთ, როდის მოხდა „წარღვნა“ და საერთოდ, კაბალა რომელ „წარღვნაზე“ მიგვანიშნებს, ეს შემდგომი კვლევის საკითხია. კაბალას ცოდნა რომ ქართულია, ამის მიმანიშნებელია ისიც, რომ ქართველებმა კაბალას–ქართული ანბანის კოდით იცოდნენ, როდის მოხდა „წარღვნა“ და აქედან დაიწყეს წელთაღრიცხვის ათვლა „დასაბამითგან“, ანუ „წარღვნიდან“. ქართველები უძველეს ხელნაწერებში „დასაბამითგან“ ქრისტეს მოსვლამდე **5604** (**5600**) წელს ითვლიდნენ, რაც ემთხვევა ბიბლიური კაბალას კოდს–ქართული ანბანის გენეტიკურ კოდს, ვინაიდან ქართული ანბანია სამყაროს გენეტიკური კოდი და „ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის“. შეგვიძლია, ქართული ანბანის მიხედვით, განვსაზღვროთ, როდის მოხდა წარღვნა: წარღვნა დაიწყო „ქართ. ადამს აქათ“ **300** წელს, რომელსაც შეესაბამება ძვ. წ. **5700** წელი,

გრძელდებოდა 100 წელი და დამთავრდა „ქართ. ადამს აქათ“ **400** წელს, რომელსაც შეესაბამება ძვ. წ. **5600** წელი.

8. ქართულ ანბანში, როგორც სამყაროს გენეტიკურ კოდში, აისახება შუმერთა ქალღმერთ ინანას კოსმიური გზა: იგი არის დედოფალი ცისა და სურს გახდეს დედოფალი ქვესკნელისაც. ამ მიზნით მამა აძლევს მას „ბედისწერის დაფებს“ – „მეებს“, რომლებსაც ჩატვირთავს ზეციურ ნავში და მოდის ქვესკნელის სამეფოში. ამ კოსმიურ მომენტს ქართულ ანბანში, ანუ კაბალას კოდით, შეესაბამება მე-**16** კანონი „**ᲛᲔ**“-ს „ხვთაებრივი კანონებიდან“, რომელიც კაბალას ცოდნით არის „ბაბელონის გოდოლი“; შემდეგ გაივლის **7** კარს, სადაც თითოეულ კარში ართმევენ ცის დედოფლის ატრიბუტებს და ბოლოს გონდაკარგულს, რომელსაც უკვე დავიწყებული აქვს ვინ არის და საიდან მოვიდა, „კავზე“ გადაჰკიდებენ, ანუ ჯვარზე გააკრავენ. ეს კოსმიური მომენტი შეესაბამება ქართული ანბანის **24** -†-ქ-ქან-**600** ასო-ნიშანს. სომხურ ანბანში ვერ აისახება ქალღმერთ ინანას კოსმიური გზა, ვინაიდან მე-**16** და **24**-ე ასო-ნიშნები სომხურ ანბანში სულ სხვა ასო-ნიშნებია, ვიდრე ქართულ ანბანში.

9. ქართული ანბანის **37** ასო-ნიშანი გამოსახავს ბიბლიურ **40** ასო-ნიშანს, რომელიც აღნიშნულია წმინდა წერილებში, რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ სამყარო **10**-ის პრინციპით **4** ეტაპად ვითარდება. ვინაიდან სომხურ ანბანში **36** ასო-ნიშანია და მთავრდება **9000**-ით, ქვემოთ მოყვანილი სქემა სომხურ ანბანში ვერ აისახება.

ა – 1	ი – 10	რ – 100	ჩ – 1000
ბ – 2	კ – 20	ს – 200	ც – 2000
გ – 3	ლ – 30	ტ – 300	ძ – 3000
დ – 4	მ – 40	უ – 400	წ – 4000
ე – 5	ნ – 50	ფ – 500	ჭ – 5000
ვ – 6	ჲ – 60	ქ – 600	ხ – 6000
ზ – 7	ო – 70	ღ – 700	ჯ – 7000
ᲩᲔ – 8	პ – 80	ყ – 800	ჰ – 8000
თ – 9	ჟ – 90	შ – 900	ჵ – 9000
ი – 10	რ – 100	ჩ – 1000	ᲩᲔ – 10000

10. ქართულ ანბანში აისახება, ასევე, სამყაროს შექმნის **6** დღე. კაბალას ცოდნა გვეუბნება, რომ „ერთმა“ შექმნა „ორი“, „ორმა“ – „სამი“ და „სამმა“ ყველაფერი. დღეს მეცნიერებამ უკვე დაამტკიცა, რომ ღმერთმა სამყარო ნამდვილად ექვს დღეში შექმნა. ეს საკითხი რომ უფრო ნათელი გახდეს, საკმარისია განვიხილოთ ადამიანის, როგორც სამყაროს შექმნის პროცესი: პირველ სამ დღეს ხდება კვერცხუჯრედის განაყოფიერება, ხოლო შემდეგ **6** დღეში წარმოიქმნება ღეროვანი უჯრედები, რომლებიც ძირითადი სასიცოცხლო უჯრედებია და ადამიანს ჩასახვის მომენტიდან სიკვდილამდე მიჰყვება, რაც ნათლადაა ასახული ქართულ ანბანში. სწორედ ეს არის ბიბლიაში მოხსენიებული „სამყაროს შესაქმის **6** დღე“, რომელიც ეხება მხოლოდ ადამიანს, როგორც სამყაროს.

11. ექვს დღეში შექმნილი მეშვიდე დღეს, ანუ საწყისიდან მეათე დღეს იწყებს წრიულ მოწესრიგებულ მოძრაობას, რომლის სახელი, კაბალას ცოდნით, არის – „ბედის ბორბალი“. მეტად საინტერესოა ის ფაქტი, რომ ჩასახვიდან მე-**10** დღეს ადამიანის ჩანასახის „გული“ ფეთქვას იწყებს და აქვს ერთგვარი „პულსაცია“, რაც ქართული ანბანის **ი-ინ-10** ასო-ნიშნის კოსმიურობის შესატყვისია. ადამიანში, როგორც სამყაროში, მიმდინარე ყველა გენეტიკური პროცესი მხოლოდ ქართულ ანბანში აისახება. **მხოლოდ ერთხელ კი არ შეიქმნა სამყარო, არამედ, ბიბლიური კაბალას კოდით, ყოველ წუთს და ყოველ წამს იქმნება მიკრო თუ მაკრო სამყარო.**

ჩვენ განვიხილეთ ქართული ანბანი კაბალას ბიბლიურ ცოდნასთან მიმართებაში, რაც საკმარისია იმის დასამტკიცებლად, რომ სწორედ ქართულ ანბანში აისახება კაბალას ბიბლიური ცოდნა.

ზემოთ განხილულის მიხედვით, შევადაროთ სომხური ანბანი კაბალას ცოდნას. ამისათვის საკმარისია ქართული და სომხური ანბანების შედარება: სომხურ ანბანში **36** ასო-ნიშანია და არა **37**; ასო-ნიშნები სულ სხვა თანმიმდევრობითაა განლაგებული, ვიდრე ქართულ ანბანში; სომხური ანბანის თითოეული ასო-ნიშნის შესაბამისი რიცხვები თითქმის მთლიანად განსხვავდება ქართული ანბანისგან; სომხური ასო-ნიშნების მეორადი სახელები საერთოდ არ ემთხვევა ქართული ასო-ნიშნების მეორად სახელებს – ან, ბან, გან, დონ...; **21** და **22** ასო-ნიშნებს შორის არ არსებობს ისეთი ასო-ნიშანი, რომლის რიცხვითი მნიშვნელობა ნულის ტოლია და, ამავე დროს, **22**-ე ასო-ნიშანი ორი ასო-ნიშნისგან არ შედგება,

რაც, კაბალას ცოდნიდან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანია. სომხური ანბანი არ მთავრდება **10000**-ით, რაც ასევე მნიშვნელოვანია, ვინაიდან ცივილიზაციათა კოსმიური ციკლი **10000** წელია. კაბალას ბიბლიური ცოდნა იმ ანბანში აისახება, რომელიც **4** ათეულია, ანუ **40** ასო-ნიშნისგან შედგება, რაც არ არის სომხურ ანბანში, რადგან იგი მთავრდება რიცხვით – **9000**.

სომხური ანბანისთვის დამახასიათებელი სისტემური თუ ინდივიდუალური თვისებები, სრულიად აშკარაა, ვერ აკმაყოფილებს იმ აუცილებელ მოთხოვნებს, რომელიც კაბალას ბიბლიურ ცოდნას შეესაბამება, რაც გვაძლევს იმის საფუძველს, გავაკეთოთ შემდეგი დასკვნა: სომხური ანბანში არ აისახება კაბალას კოსმიური ბიბლიური ცოდნა სამყაროს გენეტიკური კოდის შესახებ; სომეხი ხალხისთვის და მესროპ მაშტოცისთვის უცხო იყო კაბალას ბიბლიური კოსმიური საიდუმლო ცოდნა ღმერთზე, ადამიანსა და სამყაროზე, როგორც ერთიან კოსმიურ სინთეზზე, რაც მთელი სიღრმით მსოფლიოში არსებული ყველა ანბანიდან მხოლოდ ქართულ ანბანში აისახება, ამიტომ ქართული ანბანი არ შეიძლება იყოს სომხების შექმნილი.

ქართული ანბანი სომხების შექმნილი რომ იყოს, ისინი ქართულ ანბანს ქართველებს კი არ შეუქმნიდნენ, არამედ თავისთვის დაიტოვებდნენ; აშკარაა, რომ სომხური ანბანი, ისევე, როგორც მსოფლიოს სხვა ანბანები, შექმნილია ყოფითი საქმიანობისთვის და მათ კაბალას ბიბლიურ კოსმიურ ცოდნასთან არაფერი აქვთ საერთო.

კაბალას ღრმა ცოდნაა ასახული, ასევე, ქართველთა მითოლოგიასა და ეთნოგრაფიაში, არქეოლოგიასა და ისტორიულ ძეგლთა სიმბოლოებში.

ქართული ანბანი საქართველოში ჯერ კიდევ წარმართობის პერიოდის ძეგლებზეა ასახული: დავათის სტელა (ძვ.წ. **680**წ.), სადაც ქართული ანბანის **37** ასო-ნიშანია გამოსახული; შარაგასის სტელა (ძვ.წ.**800**წ.); ქართული წარწერები ნეკრესის არქეოლოგიურ ძეგლებზე და სხვ. ქართული ანბანის კვალია მექსიკის მონტე-ალბანას ტერიტორიაზე, ჩინეთში, ინდოეთში, ეგვიპტეში, შუმერში (ეს საკითხი ამ წიგნში მრავალჯერაა წარმოჩენილი).

ღმერთი ამბობს: „მე ვარ **ანი** და **ოხი**“, ეს ნიშნავს, რომ ანბანი არის ღმერთი, ხოლო ადამიანს არ შეუძლია ანბანის, ანუ ღმერთის შექმნა; მაგრამ ეს სიტყვები ყველა ანბანს არ ეხება, არამედ ეხება იმ ანბანს, რომელშიც აისახება ცოდნა სამყაროს გენეტიკური კოდის შესახებ, ანუ კაბალას კოსმიური ბიბლიური ცოდნა, ასეთი კი მხოლოდ ქართული ანბანია. ქართული ანბანი ჯერ კიდევ პირველ ადამიანთა მიერ გამოცხადებით მიღებული კოსმიური ინფორმაციაა. **„კაბალა“ ყველა არსებულ მეცნიერებათა ჯამია.** იგი გამოხატავს ადამიანის ზესვლას სულიერი გასხივოსნებისა და სრულყოფისაკენ. ქართველი ერის X საუკუნის უდიდესი საზოგადო მოღვაწე, მწიგნობარი იოვანე-ზოსიმე „ქებაჲს“-ს ტექსტში ქართული ენის და ანბანის შესახებ ხაზგასმით ამბობს: **„ყოველი საიდუმლოჲ ამას ენასა შინა დამარხულ არს“,** სადაც მოიაზრება როგორც ქართული ენა, ისე ქართული ანბანი.

დავათის სტელა ქართული ანბანით და მისი პარალელები ჩინეთის „დაო“-ს კოსმოგონიურ ფილოსოფიასთან

1984 წელს დუშეთის რაიონის სოფ. დავათის ხვთისმშობლის ეკლესიაში თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომელმა ვანო წიკლაურმა აღმოაჩინა კედლებში ჩაშენებული წარმართობის პერიოდის სტელა, რომელიც ძირითადად სამშენებლო მასალად იყო გამოყენებული. მოგვიანებით ხელოვნებათმცოდნე გ. აბრამიშვილმა სტელაზე ამოიკითხა ქართული ასომთავრული ანბანის 37 ასო-ნიშანი. ამ პერიოდიდან დაწყებული დავათის სტელაზე ბევრი მეცნიერი და მკვლევარი მუშაობს. დღემდე ქვეყნდება გ. აბრამიშვილის, რ. რამიშვილის, რ. პატარაიძის, ზ. ალექსიძის, გ. ნარსიძის და სხვათა მეტად საინტერესო ნაშრომები. დავათის სტელა მეცნიერებმა მიაკუთვნეს ახ. წ. VII-VIII საუკუნეებს; ბოლოს, მოგვიანებით აღიარეს ახ. წ. IV ს. ძეგლად.

დავათის სტელა (ძვ.წ. 680 წ.)

დღეისათვის, დავათის სტელასთან დაკავშირებით, ბევრ კითხვაზე პასუხი ჯერ კიდევ ღიად რჩება. მაგალითად: რას გვეუბნება სტელაზე გამოსახული ერთადერთი ციფრი 5320? რატომაა ასო-ნიშნები ექვს რიგად განლაგებული და ბოლოს, მეშვიდე რიგში „ომეგას“ ბადალი „ოჰ“ – „ოხ“ ასო-ნიშანი? რატომაა თითოეული სტროფი ჩაზნექილი და ამოზნექილი? რატომაა ქართული ანბანი თევზზე დაწერილი, რომელიც თავით ქვემოთაა მიმართული? რატომ აქვს მთავარანგელოზ მიქაელს თვალები ოთხკუთხედად გამოსახული, ხოლო მთავარანგელოზ გაბრიელს წრიულად, როგორც ამავე სტელაზე ხვთისმშობლის თვალებია? რა წინასწარმეტყველებაა ჩადებული დავათის სტელას ხატწერაში?!

იმისათვის, რომ ჩავწვდეთ დავათის სტელას საიდუმლოს, აუცილებელია ამ კითხვებზე პასუხის გაცემა.

ასევე საყურადღებოა, სტელას წახნაგებზე სხვადასხვა გამოსახულებები, რომლებიც გარკვეულ შინაარსს გადმოგვცემენ.

სტელას შესწავლისთვის აუცილებელია გავარკვიოთ, რა კოსმოგონიური ხედვა ჰქონდათ იმ პერიოდის ადამიანებს. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ პირველ ადამიანებს გახსნილი ჰქონდათ ე.წ. „მესამე თვალი“. ისინი ხედავდნენ და აღიქვამდნენ სამყაროს ყველა განზომილებაში. დროთა განმავლობაში ეს თვალი დაიხურა და მეტაფიზიკური თვისებები შემორჩათ მხოლოდ ქურუმებსა და ხელდებულ ადამიანებს. მათი აღქმები, სამყაროს კოსმოსური პროცესების მიმართ, დედამიწის ყველა კონტინენტზე ერთნაირია. მითოლოგიური პროცესები სხვადასხვა ხალხში მეორდება, მხოლოდ მოქმედ პირთა სახელებია განსხვავებული. ადამიანები თავის ირგვლივ ყველაფერს აწყობდნენ სამყაროს წრებრუნვის კოსმიური სურათების მიხედვით. ადამიანი თავის თავს აღიქვამდა როგორც სამყაროს სამყაროში, თავს თვლიდა სამყაროს წევრად და ცხოვრობდა მისი კანონებით.

თითქმის ყველა სახელმწიფოში ქალაქები, მათი სახელწოდებები, განლაგება, საცხოვრებელ – სადგომებში დედაბოძი, მასზე ორნამენტები, სახლის წინ ნაძვის, ფიჭვის ან მუხის ხის დარგვა, ტანსაცმელი და სხვა, ასახვა იყო სამყაროს მთლიანი კოსმოგონიური სურათისა. კოსმოსის აღქმა მსოფლიოს უძველესი ხალხებისა ერთნაირი იყო იმის მიუხედავად, ჰქონდათ თუ არა მათ ერთმანეთთან კავშირი, რაც კარგადაა ასახული სხვადასხვა ხალხთა მითოლოგიაში. მეფეთა მრჩევლები და ღმერთის ნების განმცხადებლები იყვნენ კოსმოგონიის განსაკუთრებული აღქმის ადამიანები – ქურუმები, ნათელმხილველები. სწორედ მათი აღქმის საფუძველზე შეიქმნა ბევრი რამ უძველეს დროში.

ალბათ, დამეთანხმებით, რომ დღეს, მრავალი საუკუნის შემდეგ, მათ მიერ შექმნილ ძეგლებში ჩადებულ საიდუმლოთა გახსნას შეძლებენ მხოლოდ მსგავსი მეტაფიზიკური თვისებების ადამიანები.

დავათის სტელას მთლიანობაში გაანალიზებისას აშკარაა, რომ ხატმწერი ასახავდა კოსმოგონიური პროცესის რაღაც მომენტს, სურათს, ფაქტს, ამავე დროს წინასწარმეტყველებასაც. სტელას შექმნის პერიოდისთვის ჩვენს წინაპრებს ჰქონიათ სამყაროს ღრმად კოსმოგონიური ხედვა, რაც გადმოცემულია ქართულ მითოლოგიაში, ეთნოგრაფიასა და არქეოლოგიურ მასალებში. ქართველთა შორეულ წინაპრებს სცოდნიათ ქართული ანბანის, როგორც სამყაროს გენეტიკური კოდის ნამდვილი არსი და მნიშვნელობა. ისინი ლოცულობდნენ ქართულ ანბანზე და მას სამლოცველოებში განათავსებდნენ.

რა არის ანბანი მსოფლიოს ძველი ცივილიზაციების თვალთახედვით?!

მსოფლიოს ყველა რელიგიამ შეინარჩუნა ხსოვნა ერთ პირველად წიგნზე. ეს არის უძველესი ცოდნა ღმერთზე, ადამიანსა და სამყაროზე დაწერილი იეროგლიფებით სამყაროს პირველივე საუკუნეების ბრძენთა მიერ.

ჯერ კიდევ ძველ სამყაროში ადამიანებს გაუჩნდათ რწმენა იმისა, რომ ღმერთმა სამყარო შექმნა ასო-ნიშანთა განსაკუთრებული წყობით. მათი აზრით, ანბანის ასო-ნიშნები არიან დამოუკიდებელი არსებები, როგორც კოსმოსური ელემენტები, აღნიშნავდნენ რიცხვით და ღმერთის განსაკუთრებული ნიშნით გამოსახავდნენ. თითოეულ ასო-ნიშანს შეესაბამებოდა არსთა წრებრუნვის კოსმიური სურათი, რომელიც სამყაროში მოქმედებდა იმ ხანგრძლივობით, რა რიცხვიც წერია მის გვერდით ანბანში. ეს არის ცისა და მიწის, ხილულისა და უხილავის და რაც არის მათ შორის ერთიანი ცოცხალი კოსმიური პროცესის ასახვა.

უფლის ნებით, ჩემში გაიხსნა ნათლადსმენის და ნათლადხედვის უნარი, რამაც საშუალება მომცა, სამყარო დამენახა „გონების თვალით“ და მესაუბრა იმ საკითხების შესახებ, რომლებიც ამ წიგნშია გადმოცემული; ასევე, გამეხსნა ბიბლიური კაბალას – ქართული ანბანის გენეტიკური კოდის საიდუმლო, გადმომეცა ქართული ანბანის ნამდვილი არსი.

ქართული ანბანის ასო-ნიშნები გამოცხადებით მიღებული ინფორმაციაა.

ნათლად ვხედავ ქართული ასო-ნიშნების შესაბამის ცოცხალ კოსმიურ სურათებს. ისინი არიან ღმერთის ბეჭდები „იოანეს გამოცხადებიდან“, წარმოადგენენ არსთა წრებრუნვის მარადიული პროცესის კოსმიურ სურათებს და იცვლებიან საუკუნეებისა და ათასწლეულების მიხედვით („ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის“ – გ. მერჩულე). ჩემი ხილვები ემთხ-

ვევა უძველეს ეგვიპტურ ცოდნას ანბანის შესახებ – „ტაროს არკანებს“. ერთი სურათიც კი „დახურული ტაძრის გასაღებია“. სწორედ ამ სურათების ხილვა უდევს საფუძვლად იმ გამოსახულებებს, რომლებიც გვხვდება ისტორიულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე. წმ. გიორგის გამოსახულება რიტუალურ ცულებზე, ჯვარი, საიქიოს აღწერილობა, გოგირდისა და ცეცხლის ტბა, სიცოცხლის ხე, საიქიო სასამართლო, გრალის თასის და ოქროს საწმისის აღქმა, ღმერთთა სამყოფელი, ქრისტე მამის მარჯვნივ, მიჯაჭვული ამირანი, ორი ლომის ჭიშკარი, კვირია კარავიანი, ხვთისმშობელი ხვთაებრივი ბავშვით და მრავალი სხვა, ასახვაა სამყაროს გენეტიკური კოდის, ბიბლიური კაბალას, ქართული ასო-ნიშნების შესაბამისი არსთა წრებრუნვის კოსმიური სურათების. სწორედ ხელდებულთა და ქურუმთა ხილვები იყო საფუძველი იმისა, რომ ჩვენამდე მოსულიყო უძველეს ადამიანთა ცოდნა სამყაროს და მასში მიმდინარე საიდუმლო კოსმიური პროცესების შესახებ.

დუშეთის რაიონის სოფ. დავათში აღმოჩენილი სტელა ქართული ანბანით, იკონოგრაფიული ხატწერითა და ფილოსოფიური მსოფლმხედველობით, სრულად ემთხვევა ძველი ცივილიზაციების – ჩინეთის, ეგვიპტის, შუმერის და მაიას ტომების ხალხთა მსოფლმხედველობას.

სტელაზე იკითხება ერთადერთი ციფრი 5320, რაც, ჩემი აზრით, მის შექმნის თარიღზე უნდა მიგვანიშნებდეს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ქრისტეს „განკაცებული“ სახით მობრძანების თარიღად „ადამს აქათ“ 6000 წელი იყო მიჩნეული, მაშინ 5320 არის ძვ. წ. 680 წ. (6000 – 5320 = 680).

დავათის სტელა რომ უძველესი წარმართობის ძეგლია, ამას გვიდასტურებს მისი იკონოგრაფიული ანალიზიც.

დავათის სტელაზე ასახული ყველა გამოსახულება განვიხილოთ ერთიან კომპოზიციაში არა მოცულობით, არამედ გაშლილად, ერთ სიბრტყეზე. მივიღებთ „სამოთხის“ გამოსახულებას (ნახეთ: „სამოთხის – სამყაროს დედის უძველესი გამოსახულებები“). სტელას ერთ წახნაგზე, ზედა რეესტრში, ორი მდედრი და მამრი ანგელოზია გამოსახული, წელთან ფრთებით, თავზე შარავანდედით. ქვედა რეესტრში ორი მამაკაცია. მნიშვნელოვნად კოსმიურია მათი ქუდები. ხელში ოთხივეს „ბედისწერის გრაგნილი“ – „ბედისწერის დაფა“ უკავია და ერთნაირი დრაპირებული

სამოსი აცვია. ასეთივე დრაპირებული სამოსი აცვიათ შუმერთა ღმერთებს. ანგელოზებს ხელში თევზის ფორმის გაშლილი გრაგნილი უკავიათ, რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ ეს მთლიანად სამყაროს „ბედისწერის დაფაა“ და მასზე, 6 ხაზზე, დიდი კანონზომიერებით, განლაგებულია ქართული ანბანი, მისი გენეტიკური კოდი, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

მოპირდაპირე წახნაგზე გამოსახული ხვთისმშობელი ფეხზე მდგომია, შარავანდედის გარეშე და რჩება შთაბეჭდილება, რომ მასაც „დაწნული“ – დრაპირებული სამოსი აცვია, ხელში უკავია ხვთაებრივი ბავშვი.

შარავანდედი ხვთისმშობლის ხატის აუცილებელი ატრიბუტია V საუკუნიდან – ახ. წ. 451 წ. ქალკედონის IV მსოფლიო საეკლესიო კრების შემდეგ. ასევე, ფეხზე მდგომი ხვთისმშობლის გამოსახვა ქრისტიანული იკონოგრაფიისათვის არ არის დამახასიათებელი. დავათის სტელაზე ხვთაებრივი ბავშვის უიშვიათესი გამოსახულებაა: მხოლოდ წელს ზემოთ გამოსახული – ბიუსტით, შარავანდედით, ისეთივე მრგვალი თვალები აქვს, როგორიც დედას, შუბლზე ღარებით – ყრმობის ასაკში, მხრებზე დაყრილი გრძელი ლოკონებით, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ის არ არის ჩვილი ხვთაებრივი ბავშვი. ეს გამოსახულება შუაში ისეა განთავსებული, რომ მისი თავი ხვთისმშობლის გულის ადგილზეა. ხვთაებრივი ბავშვის ასეთი გამოსახვა ადრექრისტიანული იკონოგრაფიისათვის არ არის დამახასიათებელი. მას ხელში წიგნი უკავია, „გულის გული“ კი სიმბოლურად გადაშლილი წიგნია. ხვთისმშობლის გამოსახულება, გულთან ხვთაებრივი ბავშვით, შეესაბამება ახ. წ. III ათ. კოს-

მიური წრებრუნვის სურათში სამყაროს დედის გამოსახულებას, სადაც „სამოთხე“ – სულიწმინდა – ხვთისმშობელი დაბრუნდა „ედემში“ და დაიკავა ადგილი მამის მარჯვნივ, ქრისტეს დაუდგა უკან და ქრისტეს თავი განთავსდა შუაში, დედის გულის ადგილას. **ქრისტე განთავსებული ხვთისმშობლის შუაში, გულის ადგილას, არის ახ. წ. III ათასწლეულის სალოცავი ხატი ქრისტიანული სამყაროსთვის**. კოსმიურად ეს უმნიშვნელოვანესი ფაქტია და ქმნის „ოქროს საწმისის“ კოსმიურ ენერგიას. ესაა დავათის სტელაზე ასახული წინასწარმეტყველება, რაც პირდაპირ მინიშნებულია სტელაზე გამოსახულ ქართულ ანბანში – ერთადერთი ასო-ნიშანი **„ჯ“** ასომთავრულით არ არის გამოხატული და მის ადგილას სკამის – ტახტის გამოსახულებაა, რაც მიგვანიშნებს ტახტზე მჯდომის მოსვლის წინასწარმეტყველებაზე და შეესაბამება ჯ-8000 კოსმიურ პერიოდს; ეს კი არის III ათასწლეულის დასაწყისი.

ქართველები ორ ხვთისშვილს სცემდნენ თაყვანს – გიორგი ნაღვარმშვენიერს და მის დობილს – სამძივარს (სვანური დალის ხევსურული სახე). აქვე შევნიშნავ, რომ გიორგი ნაღვარმშვენიერი გაცხადებულია 64 ხვთისშვილში, იგივე ქართველთა „მორიგე“. ამ შემთხვევაში სტელაზე გამოსახულია არა „ძე“, არამედ „ასული“. ეს მატრიარქატის – პირველსაწყისის აზროვნებაა, როცა სამების მესამე წევრი არის „ასული“ და არა „ძე“ (ბიბლიური კაბალას ეგვიპტის „ტაროს“ III არკანი). ამის საფუძველს მაძლევს ის, რომ ამ სტელაზე „მამრებს“ ოთხკუთხა თვალები აქვთ, ხოლო მდედრებს წრიული. მსოფლიოს ყველა უძველესი ხალხის ცნობიერებაში „კუთხედი“ (გონიო) არის მამაღმერთის, როგორც შემოქმედის „იარაღი“, ხოლო „წრე“ – ქალღმერთის შემოქმედების „იარაღი“. ამასთანავე, კუთხედი არის ქართული ანბანის „ო – Ł“ ასო-ნიშანი. უძველეს ქართულ ხელნაწერებში სიტყვას „უფალი“ არ წერდნენ და მის ადგილას იწერებოდა „ო – Ł“ ასო-ნიშანი. ამ საკითხს უკავშირდება ისიც, რომ სტელაზე გამოსახული ანგელოზებიდან მარჯვენას წრიული თვალები და ქალისთვის დამახასიათებელი მკერდის მოხაზულობა აქვს, ხოლო მარცხენას ოთხკუთხა მოხაზულობის თვალები, სახეზე წვერი, ტანი და სახე მამაკაცის აქვს.

მაშასადამე, **ქართველები წარმართობის პერიოდში ანგელოზებს სქესით გამოსახავდნენ**. ყაჩაღანის ჯვარზეც ანგელოზები სქესითაა გამოსახული. დავათის სტელაზე წარწერები „მიქაელი“ და „გაბრიელი“ მოგვიანებითაა შესრულებული, პირველად მხოლოდ ანბანის 37 ასო-ნიშანი იყო გამოსახული. ეგვიპტური ცოდნა – „მეცნიერება ვარსკვლავების შესახებ“ გვეუბნება, რომ ძველი ხალხი გაბრიელ მთავარანგელოზს ქალღმერთ იზიდასთან აიგივებს.

სტელაზე შარავანდედით შემოსილია მხოლოდ ორი ანგელოზი და ხვთაებრივი ბავშვი. ვფიქრობ, აქ აისახება ხევსურეთის ქართველთა მითი ყუთში ჩასმული სამი ჩიტის შესახებ, რომლებიც განაგებენ სამყაროს უმნიშვნელოვანეს საკითხებს. მსოფლიოს ძველი ხალხი სამყაროს დედის – „სამოთხის“ გამოსახულებებში ხვთაებრივ ბავშვს ანგელოზად გამოსახავდა. მაშასადამე, დავათის სტელაზე სამი ანგელოზია და სამივე შარავანდედით. ე.ი. უძველეს **წარმართულ პერიოდში ქართველები შარავანდედით მხოლოდ ანგელოზებს გამოსახავდნენ**.

„სამოთხის“ – სამყაროს დედის უძველეს გამოსახულებებში სამი ანგელოზის გამოსახულებას ვხვდებით: ორი მათგანი სამყაროს დედას მხრებზე აზის, ხოლო მესამე – ყველაზე დიდი ანგელოზის თავი, დედის გულის ადგილზეა განთავსებული (ნახეთ აქვე: „სამოთხე – სამყაროს დედის უძველესი გამოსახულებები...“). ადამის ცივილიზაციის IV ციკლისთვის, რომელშიც ახლა ჩვენ ვიმყოფებით, დამახასიათებელი „სამოთხე“, დაგონების მითოლოგიით, არის ოთხი მდედრი და სამი მამრის საწყისთა ერთიანობა, რომელთაც ნომმო-ნოეს უწოდებდნენ, რომელიც ქვესკნელის სამეფოში ჩამოდის თევზის სახით, თავით ქვემოთ, რათა შეუერთდეს თავის მეოთხე მამრ საწყისს და გახდეს სრულქმნილი, ანუ შეერთდეს სამყაროს 4 მდედრი და 4 მამრი საწყისი, რაც გვაძლევს ცეცხლის სტიქიის, ოქროს საწმისის, გამთლიანებული მზის, 8 ფოთლიანი ლოტოსის ენერგიას, რის შემდეგაც ადამის ცივილიზაცია უბრუნდება პირველსაწყისს და გადადის ცივილიზაციის ახალ ციკლში. სწორედ ეს კოსმიური პროცესია ასახული დავათის სტელაზე.

სტელაზე სამყაროს დედის – ხვთისმშობლის ეს გამოსახულება – გულთან ხვთაებრივი ბავშვით, **წელს ზემოთ**, ყრმობის ასაკში, უმნიშვნელოვანესი კოსმიური გამოსახულებაა. მეტად დამაფიქრებელია შუმერის ძვ. წ. III ათ. ქვის ბეჭედი, რომელზეც თევზის ზოდიაქოს დასაწყისში გამოსახული ღმერთკაცი წელამდე წყალშია, ე.ი. **წელს ზემოთაა**

გამოსახული და გულზე დიდი ჯვარი ჰკიდია. იგი არის შუმერთა „სინ“-ი, იგივე ქართველთა „ბუქნა ბაადური“ – კვირია–ქრისტე. ჩემს ხილვებში არსთა წრებრუნვის კოსმიურ სურათში, რომელიც ახ. წ. III ათასწლეულს შეესაბამება, მამაღმერთის მარჯვნივ ქრისტე – კვირია კარავიანი, ხელში გადაშლილი წიგნით, ყრმობის ასაკში, **წელს ზემოთ** – ბიუსტითაა ასახული, თავზე განათებული სამკუთხედი ადგას, წვეროთი ზემოთ მიმართული, რაც განათებული ზეციური კარავის შთაბეჭდილებას სტოვებს.

დავათის სტელას (ძვ. წ. 680 წ.) იკონოგრაფიული ანალიზი ადასტურებს, რომ სტელა წარმართობის პერიოდისაა.



გენეტიკური კოდის ორი სპირალი დავათის სტელას მიხედვით

სოფ. დავათის ღვთისმშობლის ეკლესიაში აღმოჩენილ სტელაზე ქართული ასომთავრული ანბანი 6 ხაზზეა განლაგებული (7-6-5-7-6-5 და ბოლოს ცალკე მდგომი 37-ჭ-ოხ-ოჰ), ხაზები ჩაზნექილ-ამოზნექილია და ამავე დროს სპირალს ჰგავს. ჩემ თვალწინ ეს გამოსახულება დატრიალდა, გამოსახულებები დალაგდა და მიიღო „ინ“ და „იან“ – „ნათელი“ და „ბნელი“ ძალების ნახევარწრეებით შექმნილი „დაო“-ს სიმბოლური სახე, რომელიც ჩინეთის ძვ. წ. VI ს. უდიდეს ფილოსოფოსს, „დაო“-ს რელიგიის დამაარსებელს ლაო-ძის ხელში უკავია. ლეგენდის თანახმად, ლაო-ძი დედას ჩასახა არა კაცთან ქორწინებით, არამედ მიწაზე დაშვებული ვარსკვლავისაგან. საიდუმლო ნაყოფს, ცისა და მიწის შეერთებით ჩასახულს, დედა 81 წელი მუცლით ატარებდა და ბოლოს იშვა „ჭაღარა ყრმა“ – ლაო–ძი. მან დაწერა 5000 სიტყვისგან შემდგარი „დაო დე ძინი“ და სამუდამოდ განეშორა ჩინეთს. მას ბოლომდე ემძიმა ჩინელად ყოფნა და გაიქცა აკრძალულ „დასავლეთში“.

ჩინელები სამყაროს გენეტიკურ კოსმიურ ქმედებას მთლიანი და წყვეტილი 6 ხაზით – ჰექსაგრამით (ექვსაგრამით) გამოსახავდნენ, იკითხება ქვემოდან ზემოთ, სულ 64 ჰექსაგრამა, რომელიც ასახავს მთლიანად

სამყაროს ცივილიზაციის კოსმიურ პროცესს, რაც დღეს მეცნიერებმა საფუძვლად დაუდეს ადამიანის და, საერთოდ, სამყაროს გენეტიკურ კოდს.

ჰექსაგრამა, რომელიც შეესაბამება სტელაზე ქართული ასომთავრული ანბანით გამოსახულ კოსმიურ პროცესს, არის 3 მთლიანი და 3 წყვეტილი ხაზი, რომელიც გვაძლევს ჰექსაგრამას „პი“ – „დაცემა“, „დაქვეითება“, „დაკნინება“, „დამცირება“, რაც შეესაბამება ეგვიპტის ტაროს მე-16 არკანს, რომლის შესაბამისი კოსმიური ქმედებაა „ჩამოგდება, ჩამოქვეითება, სიკვდილის წინა აგონია“ და შუმერების „მე“-ს მე-16 „სჯულებას“, რომლის შესაბამისი ქმედებაა „ქვესკნელის სამეფოში შთასვლა“, რაც „სიკვდილის“ ტოლფასია. როგორც ვხედავთ, დავათის სტელაზე ასახული ჩინეთის ჰექსაგრამა – „პი“, შუმერის მე-16 „სჯულდება“ და ეგვიპტის მე-16 არკანი, კოსმიური ქმედებით, ერთია, გამოსახავს ქართული ასომთავრული ანბანის 16-ო-ონ-უფლის, ქალღმერთ ინანას, იბერიის ხვთისმშობლის, „და“ „ო“-ს „ქვესკნელის სამეფოში“ ჩასვლას და მისი მოგზაურობის საწყის კოსმიურ მომენტს – პროცესს. ამას ისიც გვიდასტურებს, რომ სტელა ნაპოვნია ხვთისმშობლის ეკლესიაში და მასზე გამოსახულია ხვთისმშობელი ყრმით.

ხვთისმშობლის ეკლესია, სადაც დავათის სტელა აღმოაჩინეს, მდებარეობს სოფელ დავათიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით. აღსანიშნავია, რომ ჩინელთა და ქართველთა კოსმოგონიური სქემის მიხედვით, სადაც გამოსახულია დაბადებათა და ცვალებადობათა მარადიული კოსმიური პროცესი, „დაბადების“ ადგილი მდებარეობს სამხრეთ-აღმოსავლეთში და, რა თქმა უნდა, იქვეა ხვთისმშობლის ადგილიც.

„დაო დე ძინ“-ის ავტორი **ლაო-ძი** (ქართ. თარგმანი ლ. ალიმონაკისა. 1983 წ.) **„დაო“-ს სამყაროს დედად აღიარებს**. „დაო“ სამყაროს პირველსაწყისის გარდასახვათა გზაა, ისევე, როგორც კაბალას ბიბლიური კოდი, რომელიც მსოფლიოში არსებული ანბანებიდან მხოლოდ ქართულ ანბანში აისახება, ამიტომ **„იძინი“ – „ცვალებადობათა წიგნი“, რომელიც პრაქტიკულად ადამიანის, როგორც სამყაროს ბედისწერის განსაზღვრისთვის გამოიყენება, არის ბიბლიური კაბალას ერთ-ერთი სახე.**

ლაო-ძის მიხედვით, „დაო“-ს წვდომა მხოლოდ გონების ჭვრეტითი შემეცნებით შეიძლება; „დაო“ უფლის მიერ „ჩაფიქრებული“ ადამიანური პირველსაწყისის გარდასახვათა გენეტიკური გზაა. ჩინელთა

აზროვნებაში „დაო“ ლაო-ძიმდე არსებობდა. **„დაო“ უადრესია ყოველ არსთა წინაპრისა**, მაგრამ არავინ იცის, საიდან იშვა იგი. „დაო“-ს ჩინელები განიხილავენ როგორც ლოგოსს, სამყაროს გენეტიკურ გზას, ღმერთს, სამყაროს პირველმიზეზს. „დაო“ არის „დაბადებათა დაუსრულებელი წრებრუნვა“, დაუსრულებელი ცვალებადობა ცისა და მიწის. იგი აბსოლუტური დასაბამია, უძრავია, ცარიელია, არ აქვს არც სახება, არც სხეული, მარტო დგას. ის გარდაიქმნება დასაბამიდან და არ კარგავს არსებობის მარადიულობას. „დაოს“ ერთი კანონი აქვს – „მარადისობის“ კანონი და ამ კანონიდან იშვა ყველა და ყველაფერი. „დაო“ სიცარიელეა, ის უფეროა – ეხები და ვერ წვდები. **„დაო“ იდუმალი მდედრია,** უხმოა – უსმენ და არ გესმის; უცვლელია და ამავე დროს ყველაფერში მიმოიძვრის. მოვლენები, მისი წყალობით, განიცდიან ცვალებადობას, მისი წიაღიდან ამოედინებიან და მის წიაღშივე ინთქმებიან; იგი უფორმოა და მიზეზია ყველა ფორმათა; მარადიულია, ერთიანია, დასაბამიერია, გამოუთქმელია, უწიაღო წიაღია, ამოუწურავია, ყოვლისმომცველია, ყველგან განფენილია და სამყაროს დამბადებელია; ყველა და ყველაფერი მას მორჩილებს; ის ყველაფერშია და ყველაფერი მასშია; „დაო“ გზაა, რაზედაც მიედინება ორგანული და არაორგანული სამყარო. ის მანამდე იყო, ვიდრე სამყარო დროსა და სივრცეში განსხეულდებოდა, ანუ „უწინარეს ყოველთა საუკუნეთა“, ასეთი კი, მხოლოდ „უფალია“.

„დე“, საიდანაც წარმოსდგება ქართული სიტყვა „დე-და“, იგივე „დაო“-ა. „დე“ არის „დაო“-ს სახიერი გამოხატულება, ანუ ნათელგამოვლენა. „დე“ არის ის, რაც ცისა და მიწის წყალობით არის ბოძებული, რითაც ძლიერდება „ინ“ და „იან“ ძალები. „დე“ – აღმზრდელია, რითაც განეკუთვნება ადამიანის ბუნების წვრთნისა და აღზრდის სფეროს. „დე“-თი მკვიდრდება ადამიანის სიცოცხლე. „დე“ არის სათნოება, მშვიდობა, აღორძინება, სიმართლე, ნათლიერება, მეგობრობა, ზნეობა. „დაო“-ს გარეშე არ იშვის ყოველი არსი, რაც „დე“-ს გარეშე არ ვლინდება. დიადი „დე“ „დაო“-დან ამოვლინდება.

ზემოთ მოყვანილის მსგავსად ახასიათებენ სამყაროს დედას ქართველთა წინაპრებიც:

„დიდო დედაო, ცაო მშვენიერო, მომლოცველო ყოველივესი, შამქნელო და დამბადებელო, სასრულო, სამყაროში ჩაუტეველო, უმცირესში ჩატეულო... უწონო, უმანძილო, ცარიელავ და სავსევ, უჟამო, უძრავო წყვდიადო ცაო, სივრცეში, დროში ნათელგამოვლენილო... ერთო და ერთთა ერთობაო... მომეც უფლება უფლებათა, დავრჩე მართალი ჩემსავ უფალთან, და სამართლიანი სხვათა მიმართ, რათა დავიცვა ცის სიწმინდე...“

სწორედ ამას უკავშირდება ქართული სიტყვა „დე-და“, ანუ ახალი სიცოცხლის დამბადებელი. „დაო“ – „და-ო“-ც ქართული სიტყვაა და დაკავშირებულია „იდუმალ მდედრთან“, უფალთან. ამიტომაა სიტყვებში „დე-და“ და „და-ო“, მარცვალი „და“ – მდედრის გამომსახველი. ქართულ ენაში სიტყვა „და“, ამავე დროს, არის სიტყვათა და წინადადებათა დამაკავშირებელი. „და“ არის პირველსაწყისი კოსმიური მდედრი. გავიხსენოთ ქალღმერთი ინანა, რომელიც მითოლოგიაში ოთხ დათაგან ერთ-ერთია, რაც სამყაროს ოთხ საწყისს უკავშირდება. ამას უკავშირდება ქართველთა უძველესი აზროვნება, რომელიც ყველა მითოლოგიურ ზღაპარს იწყებს ასე: იყო **„და“ „არა“**, იყო **„რა“**, ხვთის უკეთესი **„რა“** იქნებოდა, იყო ერთი: კაცი, კურდღელი, მელა, დათვი, გოგონა და ა.შ..... თუ გავიხსენებთ, რომ „დაო“ არის სამყაროს არასახიერი მიუწვდომელი არსი, ანუ აბსოლუტური **„არარა“**, რომელიც ნათელგამოვლინდება „დე-და“-ს საშუალებით, გაგვიადვილდება ქართული ზღაპრის დასაწყისის სიტყვების შეცნობა. სიტყვა – „არარა“ შედგება ორი ნაწილისგან „არა“ და „რა“, სადაც ორივე „რა“ მზესთან არის დაკავშირებული და წარმოაჩენს ორი ნახევარმზისგან შედგენილ პირველსაწყის კოსმიურ „მზე“-ს, ამავე დროს, ის არის „და“ – მდედრი საწყისი, რომელმაც წარმოშვა სამყაროში ყველაფერი.

ევროპელთა ბიბლიური კაბალას ცოდნა – „რუნები“ მოგვითხრობენ პირველსაწყისი მზის შესახებ, რომელიც აფეთქდა და მისი ნამსხვრევებისგან წარმოიქმნა სამყაროში ყველა და ყველაფერი, რომელიც მომავალში ისევ უნდა გამთლიანდეს. ეს ყველაფერი სამყაროს პირველსაწყის ერთიან ღვთიურ „არარა“-ს – „და-ო“-ს ენერგიას უკავშირდება. განვიხილოთ ქართული ზღაპრის შემდეგი სიტყვები: „იყო ერთი: კაცი...“, სადაც

ჩამოთვლილი შეიძლება იყოს როგორც სულიერი, ისე უსულო საგნები, რომელთაგან ყოველი არის ინფორმაციის მატარებელი, ანუ მოსაუბრე ჩვეულებრივ ადამიანურ ენაზე; რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ სამყაროში ყველა და ყველაფერი საუბრობს, შეუძლიათ აზრის გადმოცემა, მიღება, შენახვა და ზოგადად აზროვნება; რომ ყველა და ყველაფერი იმ „ერთის“ – პირველსაწყისის ხვთიური გაცხადებაა და როგორც მიკრო, ასევე მაკრო სამყარო ღმერთად და პირველსაწყის „ერთად“ მოიხსენიება და მოიაზრება. ამ საკითხს უკავშირდება ასევე ის, რომ უძველეს ქართულ ხელნაწერებში ყოველ ახალ აზრს სიტყვა „და“ იწყებს, განსაკუთრებით „სახელითა ღმრთისაჲთა“ დაწერილ ხელნაწერებში. ამის ნათელი მაგალითია იოვანე-ზოსიმეს „ქებაჲ“-ს ხელნაწერიც.

იმისათვის, რომ შეიცნო „დაო“-ს ფილოსოფია სამყაროს პირველსაწყისი არსის და მატერიაში მისი გამოვლენის შესახებ, ადამიანი უნდა ჩაღრმავდეს თავის თავში. ადამიანები თუ შეიმეცნებენ თავის თავს, როგორც სამყაროს სამყაროში, მასში კოსმიური პირველსაწყისის ცვალებადობას დროში, რაც მათთვის უფრო ადვილი და ჭვრეტით მისაწვდომია, ამით შეიმეცნებენ თავის თავში უფალს, რომ ყველაფრის საწყისი უფლის სიტყვაა. ის მარადიული და ყველგან მყოფია. მის გარეშე სამყაროში არაფერი არ ხდება და ყველა კოსმიური პროცესი უფლის „წინასწარდასახული გეგმის“ მიხედვით მიმდინარეობს.



ჰექსაგრამა №1



ჰექსაგრამა №64

ჩინეთის „დაო“-ს ფილოსოფია, რომელიც ასახულია „იძინი“-ს სამყაროს „ცვალებადობათა წიგნში“, ქართული ფენომენია. **სოფელ დავათს ადრე „დაოთი“ – „დაო-თი“ ერქვა,** სადაც „თი“ კუთვნილებითი ნაწილაკია. აქვეა ზემო „ჩინთა“ და ქვემო „ჩინთა“, ქართველები დღის – მზის ნათელს „ჩინ“-ს უწოდებდნენ, აქედან წარმოსდგება სიტყვა „თვალის ჩინი“, ანუ „თვალის სინათლე“. აქედან მოდის სიტყვა „ჩინ-ეთი“ – „ჩინა“-ს სახელიც, რომელიც მას ქართულ ენაზე მოლაპარაკე ხალხმა დაარქვა.

ჩინეთის „იძინი“-ს ერთ-ერთ „ჰექსაგრამას“ ჩინეთის კლასიკური ფილოსოფიური „ცვალებადობათა წიგნი“-დან, სადაც სამყაროს კოსმიური ცვალებადობა „64 ჰექსაგრამით“, ანუ 6 ხაზით არის გამოსახული, რომელთა შესაბამის იეროგლიფებში ქართული ასომთავრული ასო-ნიშნები შეინიშნება. პირველი ჰექსაგრამის შესაბამის იეროგლიფში შედის ქართული ასომთავრული ანბანის Ⴑ **(ა-ან)** ასო-ნიშანი, ხოლო 64-ე ჰექსაგრამის შესაბამის იეროგლიფში, რომლის კოსმიური ქმედებაა „ჯერ კიდევ არ არის დასასრული“, შედის ასომთავრული Ⴟ **(ჯ-ჯან)** ასო-ნიშანი. როგორც ვნახეთ, ქართული ანბანი უშუალოდ უკავშირდება „დაო“-ს ფილოსოფიას.

დავათის სტელა კიდევ ერთხელ გვიდასტურებს, რომ ქართული ანბანი ხვთისმშობლის კუთვნილებაა, მასშია დამარხული, დაფლული და გასაიდუმლოებული სამყაროს დროში ცვალებადობის გენეტიკური კოდის კოსმიური პროცესი.

„იძინ“-ში 64 ჰექსაგრამით გადმოცემული სამყაროს ცვალებადობის პროცესის საფუძველია ქართველთა მითოლოგია, სადაც სამყაროს ძირითადი შემოქმედი 64 ხვთისშვილია, რომლებიც არიან „მორიგე“ ღმერთის „ნასახნი“. 64-ე ჰექსაგრამა ქართველთა 64-ე ხვთისშვილის „მორიგე“-ობის კოსმიურობის შესაბამისი კოსმიური პროცესია, რომელიც ქართული ანბანის „ა-1“ – „ჯ-8000“ ასო-ნიშანთა კოსმიურობას, ანუ ადამის ცივილიზაციის 8000 წლიან დროის კოსმიურ პერიოდს შეესაბამება, რომელიც მთავრდება ახლა, III ათასწლეულის დასაწყისში.

დავათის სტელას აღმოჩენის ადგილას მისი მსგავსი სტელების უამრავი ნამსხვრევია აღმოჩენილი. სრულიად შესაძლებელია, რომ ამ ადგილზე წარმართობის დროს დავათის სტელას მსგავსი 64 ცალი სტელა ყოფილიყო, რომლებზედაც ქართული ანბანით სხვადასხვა ჰექსაგრამები იყო ასახული. ეს საკითხი გამოკვლეული და შესწავლილი არ არის.

დავათის სტელას შესწავლა გვაძლევს შემდეგი დასკვნის საფუძველს: **ქართველთა შორეული წინაპრები სამყაროს ცვალებადობის კოსმიურ პროცესს არა მხოლოდ 6 ხაზით გამოსახავდნენ, არამედ თითოეულ ხაზზე განალაგებდნენ გარკვეული რაოდენობის გარკვეულ ასო-ნიშნებს**.

ქართველთა და ჩინელთა კოსმიური აზროვნების პარალელები შემთხვევითი არ არის. კავკასიის მთიანეთი ისეთივე კოსმიური ენერგიის მატარებელია, როგორც ტიბეტის წმინდა ადგილები. დავათის სტელას

შესწავლა, „დაო“-ს ფილოსოფიის კუთხით, მომავლის საქმედ მიმაჩნია, რაც ჩინეთ-საქართველოს უძველეს ურთიერთობებს უკეთ წარმოაჩენს.

დავათის სტელაზე ქართული ანბანი კაბალას ბიბლიური კოდით – ჩინური ჰექსაგრამით დაწერილია თევზზე. თევზი ქრისტეს სიმბოლური გამოსახულებაა, ხოლო მასზე დაწერილი ქართული ანბანი მიგვანიშნებს იმაზე, რომ ქრისტეს პირველსაწყისი ხვთიური ენერგია ყოველ მიკრო და მაკრო სამყაროში „განფენილია“ ქართული ანბანის გენეტიკური კოდით. ღმერთი ამბობს: „მე ვარ ანი და ოხი“, ე.ი. ანბანი თვით შემოქმედი ღმერთია. ის ყველაფერშია და ყველაფერი მასშია.

დავათის სტელა ერთიანობაში წარმოაჩენს სამყაროს მოწყობის ხვთიურ მოდელს, ანუ წინაპართა მიერ დანატოვარი ინფორმაციაა, თუ როგორ არის სამყარო მოწყობილი, მასზე ასახულია „სამოთხე“.

დავათის სტელა მსოფლიოს ფილოსოფიური აზროვნების გვირგვინია, რომელზედაც ასომთავრული ანბანის 37 ასო-ნიშანია გამოსახული და არის ძვ. წ. 680 წლის ძეგლი.

გულდასაწყვეტია, რომ ჩვენი ერისთვის და საერთაშორისო მნიშვნელობის ამ უმნიშვნელოვანეს ძეგლს დღემდე არ ეღირსა დღის სინათლე და 25 წელზე მეტია ჯანაშიას სახელმწიფო მუზეუმის საცავშია ჩაკეტილი. იგი უნდა იქცეს სამუზეუმო ექსპონატად, რითაც ქართველი ერი სამართლიანად იამაყებდა. ნუთუ დავათის სტელაზე ღირებული და ძვირფასი რამ გააჩნია საქართველოს?! მაშ რასთან გვაქვს საქმე. ეს ხომ ქართველი ერის, ქართული გენის წინააღმდეგ მიზანმიმართული ქმედების ტოლფასია.

ჩინეთის „ცვალებადობათა წიგნი“ გვეუბნება, რომ კოსმიური პროცესის ციკლი 64 ჰექსაგრამით არ მთავრდება. ამაზე მიგვანიშნებს 64-ე ჰექსაგრამის სახელი – „ჯერ არ არის დასასრული“. „დასასრული“ კი ქართულ ანბანში დევს: 64-ე ჰექსაგრამა შეესაბამება ქართული ანბანის „ჯ“ ასო-ნიშნის კოსმიურ პერიოდს, რომელიც როგორც ქართული ანბანის კოდით, ისე მაიას ტომების წინასწარმეტყველებით, ახლა, ახ. წ. III ათასწლეულის დასაწყისში მთავრდება, მაგრამ ეს არ არის ადამის ცივილიზაციის დასასრული. ქართული ანბანის კოდით დარჩა კიდევ 2000 წელი, ანუ ახ. წ. 4000 წელს იქნება ადამის ცივილიზაციის დიდი ციკლის დასასრული, რომლის შემდეგაც კაცობრიობა ცივილიზაციის ახალ

ციკლში გადავა.

ზემოთ მოყვანილი საკითხების განხილვა საკმარისია იმისთვის, რათა დავასკვნათ: **ჩინურ კოსმოგონიურ ფილოსოფიურ აზროვნებას მთლიანად ქართული საწყისები აქვს.**

ქართველი ერის სულიერი კულტურისა და აზროვნების უძველეს ცივილიზაციაზე მიგვანიშნებს მრავალი არქეოლოგიური მონაპოვარი, რომელიც ელოდება იმ ადამიანთა მოსვლას, რომლებიც მათ გააცოცხლებენ, წარმოაჩენენ და დაუმკვიდრებენ ღირსეულ ადგილს მსოფლიოს უძველეს ცივილიზაციათა შორის. მათ ხატწერაში ჩადებულია ქართველ „ხელდებულთა“ და ქურუმთა აზროვნება.

უდიდესი სიამაყით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ქართველთა მითოლოგიასა და ეთნოგრაფიაში, არქეოლოგიასა და მითოლოგიურ სიმბოლიკაში ასახული უძველესი მეტაფიზიკური კოსმიური აზროვნება ღირსეულად დგას უძველესი დიდი ცივილიზაციის ქვეყნების – ჩინეთის, ეგვიპტის, შუმერის, მაიას ტომების და სხვა ხალხთა კოსმოგონიური აზროვნების გვერდით.

საქართველოს მთის ხალხთა უძველესი კოსმოგონიური აზროვნება

მსოფლიოს ყველა უძველესი ხალხი რეალურ ცხოვრებას აწყობდა უხილავ სამყაროსთან შესაბამისად. ხალხის მიწიერი თუ სულიერი ცხოვრების წარმმართველები იყვნენ ღმერთთან დაახლოებული ადამიანები, ნათელმხილველნი და ნათლადმსმენელნი. ისინი ხედავდნენ პარალელურ სამყაროს, საუბრობდნენ ბუნებასთან, ვარსკვლავებთან. მათ სხვადასხვა პერიოდსა და სახელმწიფოში სხვადასხვა სახელი ერქვათ: ქურუმი, ქადაგი და სხვა. სწორედ მათი აღქმების შედეგად შეიქმნა მითოლოგია, რელიგია, რელიგიური მხატვრობა.

ახალ კოსმიურ პერიოდში გადასვლისას, რომელიც დროის მიხედვით იცვლებოდა, სამყაროში იცვლებოდა „ღმერთის ბეჭედიც“, ანუ არსთა წრებრუნვის კოსმიური სურათი. სწორედ ამ სურათების მიხედვით ქმნიდა ხალხი ახალ კოსმიურ გარემოს, ახალ კოსმიურ ენერგიას და ტოვებდა ძველს, ე.ი. ანგრევდა ძველს და აშენებდა ახალს. ეს ტროას მაგალითზეც ჩანს: თითქმის 10 ქალაქია მიტოვებული და აშენებული ერთმანეთის გვერდით. ასეთი შემთხვევები საქართველოშიც ფიქსირდება.

სახელმწიფო, ქალაქი, საცხოვრებელი, თვით ადამიანი, ყოფითი საგნებით და მასზე ორნამენტებით, არსთა წრებრუნვის კოსმიური სურათების მსგავსად ეწყობოდა. ამის მაგალითებია: დედაქალაქი შუაში და ირგვლივ 12 ქალაქი (შუამდინარეთი), შუაში ერთი და ირგვლივ 12 ტაძარი. თვით ტაძარსაც კოსმიური სქემის მიხედვით აშენებდნენ. ზეციური ნავის უძველესი აღქმაა ერთ, ორ, სამ და ოთხ ნავიანი ტაძრები, ეს არის ერთში შეთავსებული რამდენიმე ზეციური ნავის ფორმა; ძველი, ბანიანი სახლები, სახლში დედაბოძი, სახლის წინ მუხის ან სხვა წმინდა ხის დარგვა. დღემდეა შემორჩენილი ახალ წელს (იანუსის – ორსახა ღმერთის საღღესასწაულო დღე) ნაძვის ხის მორთვა, რაც სიცოცხლის ხის ასახვაა და აუცილებლად თოვლის პაპა პატარა თოვლის გოგონათი, ახალ წელს ღორის დაკვლა, რიტუალურ ცხენზე კუდის გამონასკვა კოსმიური ცხენის ასახვაა და ა.შ. ყველაფერი ეს უძველესი კოსმიური რიტუალის გადმონაშთებია.

ღრმად კოსმოგონიურ – ფილოსოფიური აზროვნებისანი იყვნენ ქართველთა წინაპრები. ეთნოგრაფიული მასალა გვიდასტურებს, რომ დიდი იყო ქართველთა ცოდნა სამყაროს შესახებ, ცხოვრობდნენ სამყაროს კანონებით. მიაჩნდათ, რომ სამყაროში ყველა და ყველაფერი სამბუნებოვანია – აქვთ სული, სხეული და აზროვნება (გონი). მათ მითოლოგიაში აღწერილი პროცესებია ასახული სარიტუალო ქვებზე, რომლებიც მოგვიანებით სხვა დანიშნულებით იქნა გამოყენებული. ქართველებს ჰყავთ „კვირია კარავიანი“, მორიგე ღმერთი, 64 ხვთისშვილი გაცხადებულია გიორგი ნაღვარმშვენიერში, იგივე დობილიანი იახსარი, ჰყავთ ორი ხვთისშვილი „ძე“ და „ასული“, რაც უმნიშვნელოვანესი კოსმიური მოვლენაა და ქართველთა უძველეს ღრმა კოსმოგონიურ აზროვნებას წარმოაჩენს. ეს ყველაფერი ადამის ცივილიზაციამდელი პერიოდის აზროვნებაა.

ქართველ მთის ხალხთა სალოცავები, მათზე ასახული გამოსახულებები, უძველესი მითოლოგიური და რელიგიური რიტუალები, უდიდესი კოსმიური მნიშვნელობისაა და ბევრის მთქმელი.

ქართველებს აქვთ „კისტანი“-ს სალოცავები. იგი ადგილის დედის – დედამიწის ქალღმერთის სალოცავია, რომლის სახელია „**კი**“, რაც „სხეულს“ – მატერიას ნიშნავს. შუმერების ცის ღმერთმა „ან“-მა და მიწის ქალღმერთმა **„კი“**-მ შექმნეს სამყაროში ყველაფერი. ამერიკის მაიას ტომები და მათი წინაპრები თაყვანს სცემდნენ „კი“-ს – ღვთაებრივ გონს, რომელიც, ამავე დროს, იყო მზის სიმბოლო. უკრაინის დედაქალაქის სახელიც მითოლოგიურად „კიევი“ – „**კი**-ევა“ მიწის ქალღმერთთანაა დაკავშირებული, ამის მიმანიშნებელია ჩინეთის სახელი „**კი**-ტაი“, მაიას ტომების „**კი**-ჩე“, მცირე აზიური ქალღმერთის სახელი „**კი**–ბელა“ და სხვა. ეს საკითხი საუბრის დიდი თემაა და ერთ დროს ხალხთა ერთ ენაზე მეტყველების მიმანიშნებელია. **მოგვიანებით სამყაროს დიდი დედის სახელი ქრისტიანულმა სამყარომ ხვთისმშობელს დაუკავშირა.**

საქართველო ხვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა. ხვთისმშობელი, ანუ ზეციური დედა, არის დედა მისტერიებისა, ყველა ძველი რელიგიებისა და კულტურებისა, ხოლო „პირველ ქრისტიანთა და ეკლესიის მამათა გაგებით არის სულიწმინდის მიწიერი გამოცხადება, სულიწმინდისა, რომელიც არის მომცემელი ჭეშმარიტი სახვთო სიბრძნისა და ამავე

დროს, ცოდვათაგან განწმენდის მადლისა. სულიწმინდის ნების განმცხადებელი, მისი „პირი“ არის გაბრიელ მთავარანგელოზი“. ქართველები ყველა წმინდა სახელს სამყაროს დიდ დედას უკავშირებდნენ: დედამიწა, დედაქალაქი, დედაბუნება, დედასამშობლო, დედააზრი – მთავარი აზრი, დედაენა, ადგილის დედა, დედაბოძი და სხვა. იოანეს გამოცხადებაში მაცხოვარი უამბობს თავის მოწაფეებს, რომ **„მომავალში სულიწმინდამ უნდა ამხილოს სოფელი ცოდვისათვის და ამავე დროს, უნდა მოჰმადლოს რჩეულებს ჭეშმარიტი საღვთო სიბრძნე“**.

საქართველოში „კისტანი“-ს ერთ-ერთ სალოცავზე გამოსახულია ერთმანეთზე გადაბმული ორი სპირალი, რომელიც ოთხი ხაზითაა შედგენილი, რაც იშვიათი სიმბოლური გამოსახვაა და სამყაროს ოთხ საწყისს

გენეტიკური კოდის ორი სპირალი

უკავშირდება, მიგვანიშნებს იმაზე, რომ გენეტიკური კოდის ორი სპირალი აუცილებლად ერთმანეთთანაა დაკავშირებული და მათი ქმედება კოსმიურ პროცესში ერთიანია. ის გამოსახულია „კისტანის“ – ადგილის დედის, ანუ დედაქალ-ღმერთის სალოცავზე, რაც მიმანიშნებელია იმისა, რომ გენეტიკური კოდის ორი სპირალი პირდაპირ უკავშირდება ადგილის დედის, დედამიწის, მატერიის კოსმიურობას, სულის მატერიაში განსხეულებას. საოცარი ის არის, რომ **ქართველებმა უძველესი წარმართობის დროიდან იცოდნენ გენეტიკური კოდის ორი სპირალის, სამყაროს ოთხი საწყისის შესახებ და სამყაროს ამ დიდ კანონზომიერებას ასე მარტივად და ღრმა ფილოსოფიური თვალთახედვით გამოსახავდნენ**.

თქვენს წინაშეა კისტანის სალოცავის ერთი გამოსახულება – სამყაროს არსთა წრებრუნვის კოსმიური აგებულება და მისი აღწერილობა, რომელიც გადმოცემულია, თითქმის, ყველა ხალხის მითოლოგიაში. უძველესი აზროვნება გვეუბნება, რომ **მითოლოგია არის ცისა და მიწის და მათ შორის არსებულის – ხილულის და უხილავის ერთიანი კოსმიური წრებრუნვა.** ჩინელებმა თავის მითოლოგიაში ეს აზროვნება გადმოგვცეს სქემატური სახით. ჩემს ხილვებში ეს სურათი აისახება უფრო დეტალურად. საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ, თურმე, **ქართველები ამ პროცესს გამოსახავდნენ უფრო მარტივად და უფრო ღრმა ფილოსოფიური გააზრებით, რაც ემთხვევა ჩინელთა სამყაროს კოსმოგონიურ სქემას**. მთლიანად ამ სურათის აღწერა ძალიან შორს წაგვიყვანს. თქვენს ყურადღებას შევაჩერებ ზოგიერთ მათგანზე: ჯვარი სამყაროს ოთხი კუთხის მაჩვენებელია; სქემაზე პირველ მეოთხედში – სამხრეთ-აღმოსავლეთით, მოიაზრება ღმერთთა სამყოფელი. აქ ხვთისმშობელი თითოეულ ადამიანს წარადგენს მამისა და ქრისტეს (კვირიას) წინაშე, სადაც ხდება ბედისწერის „დაფის“ – გენეტიკური კოდის შედგენა, რის შემდეგაც ადამიანი მოდის ამქვეყნად.



სამყაროს კოსმოგონიური სქემა

„კისტანის“ სალოცავზე სამყაროს ეს წინასწარმეტყველური დაშიფრული კოსმოგონიური სქემა მეორე ათასწლეულის არსთა წრებრუნვის კოსმოგონიურ სურათს შეესაბამება, სქემაზე (1) ხვთისმშობლის ადგილია. თავზე მას მზე ადგას, ხოლო ხელში ჩვილი ხვთაებრივი ბავშვი უკავია. ქართულ მითოლოგიაში „მზე“ მდედრობითი სქესის ხვთაებაა, რაც ძალიან იშვიათია და ქართველთა უძველესი ცივილიზაციის აზროვნებაზე მიგვანიშნებს. სქემაზე (2) არის უიშვიათესი კოსმიური გამოსახულება – ადამიანი, რომელიც წრებრუნვის კოსმიურ პროცესში მოგზაურობს.

ქართველთა ღრმა ფილოსოფიურ კოსმიურ აზროვნებაზე მეტყველებს „კისტანის“ სალოცავზე კიდევ ერთი გამოსახულება, ეს არის ხელებაწეული, ადამიანის გამოსახულება, იდაყვებში მოხრილი ხელებით, რომლის თავი მრგვალი წრეა და მიგვანიშნებს „სულეთის ღმერთზე“. ასეთი გამოსახულებები ცნობილია შუმერსა და ეგვიპტეში „კა“-ს და „კი“-ს სახით. „კა“, ძველი ეგვიპტელების წარმოდგენით, არის ადამიანის სული, მისი ორეული – მეორე „მე“, გამოსახავდნენ ზემოთ აწეული ხელებით, რომელსც უჭირავს მზე და ამავე დროს ამ გამოსახულების

თავს წარმოადგენს, რაც ღმერთის ნებით დაჰყვება ადამიანს, იბადება მასთან ერთად და სიკვდილის შემდეგაც თან მიჰყვება. იგი განსაზღვრავს ადამიანის ბედს. გამოსახავდნენ ადამიანთა დამცველი ქალღმერთის სახით. თვით ეგვიპტის ტაროს არკანებშიც, რომელიც წარმოადგენს უძველეს კოსმიურ ცოდნას ანბანის შესახებ და, ამავე დროს, არის შუმერების მიწის დედაქალღმერთის – ინანას კოსმიური გზა. კაბალას ბიბლიურ ცოდნაში **21-ტ-ტარ-300** და **37-ჭ-ოხ-(ომეგა)-10000** ასო-ნიშნების შესაბამის კოსმიურ სურათებს გამოსახავდნენ ხელებაწეული ქალის სახით. შუმერებიც მიწის ქალღმერთ „კი“-ს, იმავე „შუ“-ს გამოსახავდნენ ხელებაწეული ანგელოზის სახით, ანუ ცასა და მიწას შორის მდგომს. სწორედ ამასთან არის დაკავშირებული სიტყვა „შუმერი“ – „შუ-მე-ერი“.

ქალღმერთის გამოსახულება სხვადასხვა ქვებზე



მთის სალოცავების გადახურვის სქემა

„კისტანის“ – ადგილის დედის სალოცავების სახურავი – „ქუდი“ პირამიდის სართულებიანი მოყვანილობისაა. სახურავის ეს ფორმა წარმართობის დროის სალოცავებისთვის მეტად გავრცელებული სახეა, როგორც კავკასიაში, ასევე მსოფლიოში. ასეთი ქუდები ახურავთ შუმერ-აქადის ძვ.წ.III ათასწლეულის ღმერთებს, განსაკუთრებით ქალღმერთ ინანას (იშთარი). „კისტანის“ სალოცავი ბაბელონის გოდოლის ასახვაა. ეს საკითხი მსჯელობის დიდი თემაა, ვეცდები ძალიან მოკლედ ჩამოვაყალიბო:

„კისტანი“ – „კი“-ს „სხეული“ დედა ქალღმერთის სულის ტაძარია.

ტაძარი – უფლის სულის სამყოფელია. განვიხილოთ სიტყვა „ტაძარი“.

„ტა“ – ტარებას, სიარულს ნიშნავს, ყველგან მყოფი. შუმერების წარმოდგენით მზე ხან ეტლით დადის, ხან – ფეხით.

„ძარი“ – ქორის საბუდარი 4-5 სართულიანი გოდორი – გოდოლი. (სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი).

„ქორი“ – იგივე ორბი, გაიგივებულია ფენიქსთან – მზის ფრინველთან, მზის ანგელოზთან. შუმერების ქალღმერთს ხვთაებრივი ბავშვის ადგილზე გულთან ფრთებგაშლილი ორბი ჰყავს გამოსახული. სხვადასხვა სახელმწიფოს გერბზე ერთსახა ან ორსახა ორბია გამოსახული.

თვით სიტყვა „ბაბელონის გოდოლი“ მიგვანიშნებს, რასთან გვაქვს საქმე: სიტყვა „ბაბელონი“, რომელიც ნიშნავს „ღმერთის ჭიშკარს“, წარმოდგება სიტყვიდან „ბაბ-ელ-ონი“. „ბაბ-ონი“ არის იგივე „ბაბ-ო“, ე.ი. დიდი დედა. ხოლო „ელ“ არის ნაყოფიერების ქალღმერთი „ელი“– „ელია“–„ლაზარე“. ამ საკითხს წარმოაჩენს ლაზარობის დღესასწაული საქართველოში, სადაც მთავარი მოქმედი პერსონაჟი ქალია, დედოფალია. „ლაზიერი“ ჭადრაკში დედოფალია. „ო-ონი“ ასო-ნიშნით გამოსახავდნენ სიტყვას „უფალი“. მაშასადამე, მთლიანობაში „ბაბელონის გოდოლი“ არის ჭექა-ქუხილის, ნაყოფიერების ქალღმერთის სულის ტაძარი. მნიშვნელოვანია ისიც, რომ სალოცავები ერთნავიანია, რაც ოთხი საწყისის ერთიანობას – ერთღმერთიანობის აზროვნებას ასახავს. „კისტანის“ სალოცავის არქიტექტურაში ასახულია უძველესი კოსმიური ცოდნა „ბაბელონის გოდოლის“ შესახებ. ზემოთ მოყვანილი მსჯელობიდან გამომდინარე, „კისტანის“ სალოცავი მსოფლიოს უძველესი ქალღმერთის – „კი“-ს სახელთანაა დაკავშირებული და მისი სახურავი – „ქუდი“ ისეთივე მოყვანილობისაა, როგორიც შუმერების ქალღმერთ ინანას ქუდია.

მანათობელი სფერო

ქართველ მთის ხალხთა სულეთის ღმერთი არის მანათობელი სფერო, სავსე მთვარის ნათების მაგვარი. მას აიგივებენ ეგვიპტელთა „თოთ“ – დამწერლობის ღმერთთან. მითოლოგიურად ამ „სფეროს“ მფლობელი არის მიწის ქალღმერთი „კი“ – ადგილის დედა, რომელიც გაცხადებულია ქალღმერთ ინანა, ვენერა, აფროდიტა, მთიებში – მთის ქალღმერთში, ხშირად გამოსახავდნენ ხელებაწეულს, ანგელოზის სახით, ან ხელებაწეულს ხელში მანათობელი სფეროთი. შუმერებს მიაჩნდათ, რომ ჰაერის ღმერთის, ენლილის შვილის – „**სინ**“-ის – მთვარის ღმერთის გამოვლინებაა **სავსე მთვარის მაგვარი კაშკაშა გამჭვირვალე**

სფერო, რომლის შვილია ქალღმერთი ინანა, თვით ქალღმერთ ინანას უწოდებდნენ სულეთის ღმერთს. მითოლოგიურად ცნობილია ქალღმერთ ვენერას დისკო.

სულეთის ღმერთის გამომსახველი მანათობელი სფერო დაფიქსირებულია ჯერ კიდევ ძვ.წ.IV-III ათასწლეულებში შუმერების თიხის ფირფიტებზე, ეგვიპტის პირამიდებისა და სამარხების ნახატებზე, წარმოჩენილია სხვადასხვა ენციკლოპედიებში, ლათინური ამერიკის პირამიდების ნახატებში, ასევე ქრისტიანულ ხატწერაში მთავარანგელოზებს ხელში უჭირავთ თეთრი სფერო. ასეთი სფერო გამოსახულია, აგრეთვე, მცხეთის სვეტიცხოვლის ზოდიაქოს კალენდარზე, ქრისტიანული ტაძრების თავზე ოქროსფერი სფეროა ჯვრით და სხვა.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ამერიკელი მეცნიერის, ექიმ – ფსიქიატრის, ფილოსოფიის დოქტორის, რაიმონდ მოუდის მიერ შესწავლილი 150 კლინიკური სიკვდილის შემთხვევაში პაციენტები აღწერენ, რომ მათ გვირაბის ბოლოს შეხვდათ მანათობელი „სფერო“, რომელიც ეკითხებოდა: „რა გააკეთე“? ისინი ამბობენ, რომ „მათ იხილეს ღმერთი“.

თქვენს წინაშე მინდა წარმოვაჩინო ერთი სასწაულებრივი ფაქტი. ჩემს ოჯახში, უკვე რამდენიმე წელია, ფოტოებზე პერიოდულად ფიქსირდება თვალისთვის უხილავი მანათობელი სფერო. ეს სურათები შეძლებისდაგვარად იქნა შესწავლილი და გამოქვეყნებული პრესაში. ჩემი შეგრძნებით, მისგან ვიღებ იმ ინფორმაციას, რასაც ვწერ, ვაზროვნებ და ვაქვეყნებ.

ბოლოს მინდა აღვნიშნო, რომ უძველეს ხალხთა მითოლოგიაში ცნობილი იყო მზის სისტემის მეათე პლანეტა, რომელიც, მათი აზროვნებით, წარმოადგენდა კაშკაშა ჰაერის მსგავს სფეროს. მას ოდითგანვე უწოდებდნენ „დაკარგულ პლანეტას“, რომლის გამოჩენის შემდეგ (ეს კი, მათი აზრით, აუცილებლად მოხდებოდა) დედამიწაზე დაიწყებოდა კოსმიურად ახალი ათასწლეული. სულ ახლახანს, ამერიკელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს არამყარი, კაშკაშა, სავსე მთვარის მსგავსი პლანეტა.

საკვირველია, მაგრამ ფაქტია, რომ ის საოცრად ჰგავს ჩემს ოჯახში ფოტოსურათებზე აღბეჭდილ მანათობელ სფეროს. მაშასადამე, უძველესი დროიდან „სულეთის ღმერთი“ წარმოჩენილია სავსე მთვარის მსგავსი მანათობელი სფეროს სახით, რაც ხევსურთა უდიდეს ფილოსოფიურ, მითოლოგიურ და ღრმა კოსმოგონიურ აზროვნებაზე მიგვანიშნებს.

განხილული საკითხების შეჯერებით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ქართველ მთის ხალხთა უძველესი წინაპრები „სულეთის ღმერთს“ აღიქვამდნენ სავსე მთვარის მანათობელი სფეროს სახით, ადგილის-დედას, „კი“-ს გამოსახავდნენ ხელებაწეული ადამიანის სახით, რომელიც, ვფიქრობ, სალოცავზე ასახულ „ადგილის დედის“ ხატს წარმოადგენდა. სამყაროს შესახებ უდიდესი კოსმოგონიური ცოდნის მიმანიშნებელია „კისტანის“ სალოცავზე გამოსახული ოთხი ხაზით შედგენილი გენეტიკური კოდის ორი სპირალი, რაც პარალელურად წარმოაჩენს მათ კოსმიურ ცოდნას ქართული ანბანის შესახებ. ამაზე მიგვანიშნებს დუშეთის რაიონის სოფ. დავათში აღმოჩენილი სტელა ქართული ანბანით (ძვ.წ.680წ.), რაც უძველეს ქურუმთა და ხელდებულთა საიდუმლო ცოდნას წარმოადგენდა. ქართველთა უძველეს კოსმიურ აზროვნებაზე მიგვანიშნებს, აგრეთვე, „კისტანის“ სალოცავის სახურავი – „ქუდი“. ქართველები იცნობდნენ არსთა წრებრუნვის კოსმიურ სურათებს და გამოსახავდნენ სამყაროს ერთიან კოსმოგონიურ სქემას. მნიშვნელოვანი და ბევრის მთქმელია ქართველ მთის ხალხთა უძველესი ხალხური თუ რელიგიური რიტუალები.

ქართველ მთის ხალხთა ქვებზე გამოსახულებათა შესწავლის საქმეში უდიდესი წვლილი შეიტანა გიორგი (გივი) გიგაურმა, რომელმაც ფეხით მოიარა საქართველოს მთიანეთი, მოიძია და შეაგროვა ქვებზე ასახული ნახატ-გამოსახულებები, რომლებიც მომავალში უდიდეს როლს შეასრულებენ ქართველი ერის, როგორც პირველსაწყისი გენის მატარებელი ერის კვლევის საქმეში.

ზემოთ განხილული მასალა სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ ქართველთა უძველესი, ღრმად კოსმიური აზროვნების ეს „მარგალიტები“ წარმოჩინდეს ახალი თვალთახედვით, ახალი აზროვნებით. იგი პარალელია შუმერის, ეგვიპტის, ჩინეთის, ამერიკის და სხვა უძველესი ცივილიზაციების კოსმოგონიური აზროვნებისა. მომავალში მან უნდა დაიმკვიდროს თავისი ღირსეული ადგილი მსოფლიოს საზოგადოების წინაშე.

ქალი – მარადიული კოსმიური საიდუმლო

უძველესი დროიდან მითები ეხმარებოდნენ ადამიანებს სამყაროსა და მასში ადამიანის არსებობის გააზრებაში. ისინი დღესაც გვეხმარებიან შევიმეცნოთ სამყაროს საიდუმლოებები. **მითები თითოეულ ჩვენგანში ცხოვრობენ. მითი არის ადამიანის, როგორც სამყაროს გენეტიკურ კოდში მიმდინარე ცოცხალი კოსმიური პროცესის ასახვა.**

ჩიტისთავიანი ქალღმერთი
სიღნაღის მუზეუმი

პირველი, ვისაც პირველყოფილი ხალხი ეთაყვანებოდა, იყო დედაქალღმერთი. ამას ადასტურებს სამარხებში აღმოჩენილი ნივთები. ქალღმერთი არის მთავარი ხვთაება ყველა უძველეს ხალხთა მითოლოგიაში. ეს თაყვანისცემა დაკავშირებული იყო დედამიწასთან, როგორც ნაყოფიერების ქალხვთაება – სიცოცხლის საწყისი, დამბადებელი ღმერთთა და ყოველივესი, რაც არის ამქვეყნად.

ჯერ კიდევ პირველყოფილი ადამიანი ხისგან ან თიხისგან აკეთებდა არა მამაღმერთის, არამედ მიწის დედაქალღმერთის გამოსახულებებს: ძირითადად ეს იყო ქალის ტანის, სხეული დედამიწასავით მრგვალი თავით, სახის გარეშე. ადამიანები თვლიდნენ, რომ ამქვეყნად ისინი სწორედ მან გააჩინა, კვებავდა და ისევ იქ აბრუნებდა, საიდანაც დაიბადნენ. ამიტომ თითქმის ყველა ხალხი მიცვალებულს ემბრიონის პოზით ასაფლავებდა.

ღმერთი პირველად ქალმა შეიცნო. ეს იყო მიწის დედაქალღმერთი. ქალები დიდი ღირსებით იკრძალებოდნენ. პირველ დედა ხვთაებას შუმერები უწოდებდნენ „მამა“-ს. პირველ ადამიანს ერქვა „ლულლა“ და ეს იყო ქალი. მშობელი ყოველთა იყო ქალღმერთი. „დედა და ქალიშვილი“ ამრავლებდნენ სამყაროში თავის მოდგმას. შვილები სახელდებოდნენ თავიანთი

დედის შვილად. ქალღმერთმა ჩაუყარა საფუძველი „დამწერლობას“.

საკულტო მსახურებას ქურუმი ქალები ატარებდნენ, ხოლო ქალის კაბებით შემოსილი მამაკაცები მათი დამხმარე მსახურები იყვნენ. ისინი იყვნენ იზიდას, კიბელას ქურუმი კასტრირებული მამაკაცები, რომლებსაც ერქვათ **„გალები“**. მატრიარქატის დროს თაყვანს სცემდნენ ქალთა სამებას. დიდი დედა, შვილი-ქალი და შვილიშვილი – ქალი. ამ სამებას მოგვიანებით ემატება მეოთხე – მამაკაცი. მატრიარქატი დღესაც შემორჩენილია კუნძულ სუმატრაზე. იქ ქალები ირჩევენ ქმრებს. არსებობს მრავალქმრიანობის წესი. ბევრ ტომში ქალებს მამაკაცები სრულ მორჩილებაში ჰყავთ. ოჯახში ქალის საქმეს მამაკაცები ასრულებდნენ.

ქალღმერთი მიჩნეულია მშენებელ-ინჟინრად. იგი აერთიანებს სამყაროში ყველაფერს, რათა შექმნას ახალი.

ქართველს დედამიწა თავის დედად და მშობელად მიაჩნდა. ამას გვიდასტურებს ქართველთა მიერ „ადგილის დედის“ თაყვანისცემა. მატრიარქატის პერიოდის ქალი საუბრის დიდი თემაა.

სულიწმინდა არის შუამავალი – „ელჩი“ ადამიანსა და ღმერთს შორის. ქართველთა აზროვნებით, იახსარის – გიორგი ნაღვარმშვენიერის დობილია სამძივარი (სამძიმარი) – ელჩი, შუამავალი, მტრედის სახიანი, რომელიც ნათლობის დროს მღვდლის მარცხენა ხელზე ჯდება და ესწრება ნათლობას. ნათლობას ესწრებოდა შუმერთა ქალღმერთიც, რომელსაც ანგელოზის სახით ნათლობის ემბაზთან მდგომს გამოსახავდნენ (შუმერთა ქვის ბეჭედი. ძვ. წ. 3400 წ. ლონდონი, ბრიტანეთის მუზეუმი).

დედაქალღმერთის პირველი გამოსახულებები იყო თიხის ან ხის ხელისგულისოდენა ქანდაკებები, მკვეთრად გამოსახული სასქესო ნიშნებით, რომლებიც ძველი ცივილიზაციის ხალხს ძირითადად საახალწლო რიტუალის დროს ხელში ეკავა. აღმოსავლეთ საქართველოში, შილდის წრიული ფორმის წარმართული პერიოდის სამლოცველოში, ნაპოვნია ქალღმერთის უამრავი პატარა თიხის ქანდაკება (ძვ. წ. XIV – XII ს.ს.).

მოგვიანებით გაჩნდა საწყისი მდედრი და მამრი წყვილის გამოსახულებები, რომლებიც მითოლოგიაში ტყუპი „და-ძმის“ სახით არის წარმოდგენილი, რაც „ოქროს საწმისის“, ცა-ცეცხლის სტიქიის შესაბამის ორსახა ღმერთთან არის დაკავშირებული, იგივე მზე და ოქრო. იგი პრაქტიკულად, მატერიაში გაცხადებულ მდედრ და მამრ, ანუ ორ პირველ-

საწყის „ინ“ და „იან“ ენერგიაზე მიგვანიშნებს. ამასვე ასახავს შუმერთა ქალღმერთ ინანას სახელი – „ინ-ან-ა“.

ქართველები ერთდროულად თაყვანს სცემდნენ ორ ხვთისშვილს – „ძე“-ს და „ასულ“-ს (დობილიანი იახსარი). ეგვიპტურ იკონოგრაფიაში „ძე“ მიწაზე „ძევს“ – მიწაზე მწოლიარეა, ჩრდილია, ხოლო დედას – „ასულს“, ცაში ასულს გამოსახავდნენ. ვფიქრობ, ამასთანაა დაკავშირებული ქართული სიტყვები „ძე“ და „ასული“.

ეგვიპტელები ყოველგვარ ნაყოფიერებას ქალღმერთს უკავშირებდნენ. დედამიწას უნდა მიეცა მათთვის საზრდო, მათი ცხოვრება დამოკიდებული იყო წყალზე, მდინარეების ადიდებაზე. მათი წარმოდგენით, ცის

ზემო ეგვიპტე

თაღი მდედრი იყო, რომლის მკერდიდან რძე ჩამოდიოდა და კვებავდა დედამიწაზე ყველაფერს. თვლიდნენ, რომ სწორედაც ნაყოფიერების ქალღმერთია ყველას დედა, ყველა ხალხის გამაერთიანებელი, რომელიც მუდმივად ნაყოფს იძლევა, ამიტომ ადრეულ ქალღმერთებს მუდმივად ფეხმძიმეს გამოსახავდნენ, მუდმივად ნაყოფის მომცემს. ზემო ეგვიპტეში ნაპოვნია 6000 წლის ქალღმერთის პირველი ქანდაკება, ფრინველის ფრთების მსგავსად გაშლილი ხელებით, ფრინველის სახით, ფეხები ერთად – გასაფრენად გამზადებული.

დედა-ქალღმერთი ითვლებოდა შემოქმედის მეუღლედ, მონაწილეობას ღებულობდა სამყაროს შექმნაში. იგი იყო წყარო სასიცოცხლო ენერგიისა და უკვდავების, როგორც ამ ძალის უზენაესი გამოვლინება. **ზოგიერთ ხალხთან მოიხსენიება მოხუცი დედა-ქალღმერთი.**

მითების მიხედვით, დედა-ქალღმერთი ორბუნებოვანია. დღისით იგი მეომარი, მონადირე – მამრია, ხოლო ღამით – სიყვარულის ქალღმერთია. ასეთია შუმერთა ინანა, აქადელთა იშთარი, მცირე აზიელთა კიბელა, ქართველთა დალი და სხვა. კიბელას ქურუმი ქალები ხელოვნურ წვერს ატარებდნენ.

ქართულ ენაში ორბუნებოვნება შემდეგნაირად აისახება: დედაკაცი და მამაკაცი ორივე „კაცი“-ა, ქალიც და კაციც ორივე ადამიანია; ქართულ ენას სიტყვების დაბოლოებაში არ აქვს მდედრისა და მამრის განმასხვავებელი „OH“ და „OHA“. დამწერლობაში არ გვაქვს დიდი და პატარა ასონიშნები. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ქართველი კაცის ბუნება არ არის დაპირისპირებული, მასში „ინ“ და „იან“ ჰარმონიულადაა შერწყმული.

შუმერებთან „ან“ ცის ღმერთმა და „კი“ მიწის ქალღმერთმა შექმნეს სამყაროში ყველაფერი. ქართველებს ხევსურეთში გვაქვს კისტანის – „კი-ს-ტანი“-ს, ანუ „**კი**“-ს სხეულის (მატერია, სამოსი, კაბა) სალოცავები. „**კი**“-ს სახელს უკავშირდება ქალაქ კიევის სახელიც „**კი-ევა**“, ჩინელთა „**კი-ტაი**“, სამხრეთ ამერიკელთა „**კი-ჩე**“. მაშასადამე, პირველ ადამიანთა წარმოდგენით, მშობელი ყოველთა იყო მიწის, ნაყოფიერების დედა-ქალღმერთი – „კი“. სწორედაც ქალღმერთი იყო ქაოსის მომწესრიგებელი და სამყაროს კოსმოსის შემქმნელი. ქართული ენით სიტყვა „კი“ თანხმობას, „დიახ“-ს ნიშნავს.

შუმერი

ბიბლიური წარმოდგენებით, ადამიანთა მოდგმის მშობლებად ითვლებიან ადამი და ევა. მაგრამ ადამის პირველი ცოლი იყო „ლილითი“. თავიდანვე მათ შორის გაჩნდა უთანხმოება. ლილითი ეუბნებოდა, რომ ისინი თანასწორნი არიან, ვინაიდან ორივე თიხისაგანაა შექმნილი. მან ვერ დააჯერა თავის სიმართლეში ადამი, მისგან გაფრინდა და გადაიქცა ბოროტ ანგელოზად. ამიტომ დედა-ქალღმერთი, გარდა დადებითი, უარყოფითი თვისებებითაც ხასიათდებოდა. ამაში აისახება მისი ორბუნებოვნება, ე.ი. ის არის როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ძალების მფლობელი, რაც სამყაროში ორი ურთიერთსაპირისპიროთი ვლინდება: მდედრი-მამრი, ნათელი-ბნელი, ბოროტი-კეთილი, ინ-იან და ა.შ.

მითების მიხედვით, მოვა დრო, როცა ლილითი ისევ კეთილ ანგელოზად გარდაისახება.

მიაჩნდათ, რომ **ლილითი არამიწიერია და შექმნილია ცეცხლისგან**. ქართული სიტყვა „ქალი“ და ქალღმერთ „დალი“-ს სახელი დაკავშირებულია ალთან, ცეცხლთან.

ფინიკიელთა ენაზე „ხვთ“ – „ევა“ არის დედა ადამის ცივილიზაციისა.

ქართველებში, მთის ხალხში დღემდე შემორჩენილი და დამკვიდრებულია სიტყვები: „ხვთის გულისათვის“, „ხვთაება“, „ხვთის მადლმა“ და სხვა. აქ ძირითადი მარცვალია „ხვთ“ – „ხთ“.

პირველ დედა-ქალღმერთს ტანს ქალისას უკეთებდნენ, ხოლო თავს – ფრინველის ან ცხოველისას.

მითოლოგიაში იკვეთება სამყაროსეული ჩიტი-ფრინველი, რომელიც ათბობს სამყაროს კვერცხს.

ქრისტიანულ ტრადიციაში სულიწმინდის ხილული სახე არის მტრედი. ძველ აპოკრიფებში ქრისტე სულიწმინდას მოიხსენიებს დედად.

ანგელოზებს სქესით საქართველოშიც გამოსახავდნენ. ამის მაგალითია ყაჩაღანის ჯვარი ორი მდედრი და ორი მამრი ანგელოზით. ასევე დავათის სტელაზე ასახულ ორ ანგელოზთაგან ერთი მდედრი და მეორე მამრია. ძველ ეგვიპტელთა აზრით, ანგელოზი გაბრიელი იგივე ქალღმერთი იზიდაა.

„მითოლოგიურმა წარმოსახვამ ზეციური ნავი-გემი ქალურ-მატერიის სიმბოლოებს მიაკუთვნა. ნავი-გემი განასახიერებდა ეკლესიას. აფრიანი ნავი სულიწმინდის ალეგორიაა“. (ზ. აბზიანიძე, „სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედია“, გვ. 28). ხელში ნავი უჭირავს შუმერების ქალღმერთ ინანას – „სამოთხის“ გამოსახულებას. ფარაონთა აკლდამის ინვენტარში ნავი აუცილებელი ატრიბუტი იყო. იგივე **არგხა-არკა-არგოს ზეციური ნავი, რომელიც ადამიანის სხეულს განასახიერებდა**.

ქალღმერთის ტაძარში ზეციურ ნავს სიცოცხლის ხის, ძელის, ჯვრის სახე ჰქონდა. ამ შემთხვევაში ყველა ქართველს მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის ისტორია გაახსენდება. ვფიქრობ, სვეტიცხოვლის სალოცავიც თავიდანვე დედა-ქალღმერთის სახელზე უნდა ყოფილიყო აგებული. ამაზე მიგვითითებს სიტყვა „სვეტიცხოველი“ და გალავნის კედელი, რომლის ზედა ნაწილი „დაკბილულია“ და მიგვანიშნებს ქალღმერთის მზის სადედოფლო გვირგვინზე.

ნაძვის ხე სიცოცხლის ხესთანაა დაკავშირებული. ქართველთა საახალწლო ნაძვის ხე – „ჩიჩილაკი“ („ჩიჩია-კი“) მიწის ქალღმერთ „კი“-ს ხორცის – მატერიის, ანუ სიცოცხლის ხის სიმბოლური ასახვაა.

თვლიდნენ, რომ პირველად „ხე“, იგივე ჯვარი, შეიქმნა როგორც სამყაროს ოთხი კუთხის ასახვა. შუმერთა ქალღმერთი ინანა უვლიდა სიცოცხლის ხეს – „მესი“-ს და ფიქრობდა, როცა გაიზრდება, მისგან სარეცელს და საკვარცხულს გავიკეთებო (საკვარცხული – მცირე მისაყუდებლიანი სკამ-ლოგინი). ჩემი აზრით, სიტყვა „მესია“ დაკავშირებულია სიტყვა „მესი“-სთან. მარადმწვანე ხის ფოთლები ითვლებოდა აფროდიტას, ვენერას სიმბოლოდ.

ამომავალ მზეს უწოდებდნენ დედას უზენაესი ღმერთისას. მიაჩნდათ, რომ როცა ქალღმერთი ხელებს აწევდა, მისი გული ასხივებდა, ხოლო როდესაც ხელებს დაუშვებდა, მისი გული მთვარედ გარდაისახებოდა. ამიტომაა, რომ მას ხშირად ხელებაწეულს გამოსახავდნენ. მიაჩნდათ, რომ მისი ერთი თვალი მზეა, მეორე – მთვარე, რომლებიც დღე-ღამის განმავლობაში იყურებიან ციდან.

საქართველოშიც მრავლადაა ხელებაწეულ ქალ-ხვთაებათა უძველესი გამოსახულებები ხევსურეთის ქვებსა და მთის სხვა ხალხთან. ქართველთა დალის ოქროსფერი თმა მზის სხივთა სიმბოლოა. **ქართული წარმართული აზროვნებით, მზე ქალია, რაც მათ პირველსაწყის კოსმოგონიურ აზროვნებაზე მიანიშნებს.** ამაზე მეტყველებს ქართული სახელებიც: მზექალა, მზევინარი, პირიმზე, მზეო და სხვა.

მითოლოგიურად ქალ-ხვთაება მოკვდავი და აღდგენადია.

მითები აღდგომას უკავშირებენ არა „ძე“-ს, არამედ, „ასულს“ – მზეს, რომელიც მოიტაცა ქვესკნელის სამეფოს ღმერთმა. მას ათავისუფლებს დედა-ქალღმერთი და ხდება დედის და ქალიშვილის-ასულის ხელმეორედ შერწყმა- აღდგომა. მატრიარქატის მესამე წევრი მდედრია „კაბალას“ ცოდნაშიც (ტაროს III არკანი).

ჯერ კიდევ მატრიარქატის დროს თაყვანს სცემდნენ დიდ დედა ხვთაებას, მშობელს ყოვლისას; ქალს, რომელიც აჩენს ბავშვს და არის მხოლოდ „ჭურჭელი“ და ასულს (მდედრი შვილიშვილი). ქალიშვილი იგივეა, რაც დედა; ის მისი გაგრძელებაა. თაყვანს სცემდნენ დედა-ქალღმერთს, რომელსაც უწოდებდნენ „მამა“-ს, დედას და ასულს – მდედრ სამებას. ვფიქრობ, აქედან მოდის სიტყვა „მატრიარხატი“.

პირველსაწყის მამრს უწოდებდნენ „პა“-ს, ამასთანაა დაკავშირებული ქართული სიტყვა „პაპა“. აქედანაა სიტყვა „პატრიარხატი“ და რომის

„პაპა“-ს სახელიც.

დედა-ქალღმერთი მთავარი ქალღმერთია ყველა ხალხის მითოლოგიაში.

დედამიწაზე, თითქმის, ყველა კონტინენტს ჰქვია ქალღმერთის სახელი: აფრიკა-აფროდიტა, აზია-იზიდა, ევროპა, ატალანტა-ატლანტიდა. ჩემი გამოკვლევით, ჩაძირული კუნძული „ატლანტიდა“ დღევანდელი ამერიკის ნაწილი იყო და სახელი „ამერიკა“ ახალი შერქმეულია. ამას მოწმობს ის, რომ ამერიკის კონტინენტს აღმოსავლეთით ესაზღვრება ატლანტიდის ოკეანე.

ყველა სახელმწიფოში „მეფე“ იყო ღმერთის, ხოლო „დედოფალი“ – ქალღმერთის ნაცვალი დედამიწაზე.

ყველა კაცი თავის შეყვარებულში ქალღმერთს ხედავდა.

ქართველი ერი ყველა მნიშვნელოვან საკითხს დედას უკავშირებდა: დედა-მშობელი, ადგილის დედა, დედამიწა, დედა-სამშობლო, დედა ენა, დედაქალაქი და სხვა. ვინაიდან სიტყვის არსი თვით სიტყვაშია, განვიხილოთ თუ რას ნიშნავს ქართული სიტყვა **„დე-და“** აღმოსავლეთის ფილოსოფიური თვალთახედვით. მოვიყვან ნაწყვეტს ლაო-ძის წიგნიდან „დაო დე ძინი“ (ლერი ალიმონაკის ქართული გამოცემა): „ბრძენთაბრძენი ჩინელი ფილოსოფოსი „დაო დე ძინი“-ს ავტორი ლაო-ძი (ძვ.წ. Vს.) „დაო“-ს აღიარებს სამყაროს დედად, მის უხილავ სუბსტანციად, ხოლო „დე“ არის „დაო“-ს ხილული, ანუ ყოფიერი გარდასხეულება. „დაო“ შობს ყოველ არსს, „დე“ ასაზრდოებს მათ. „დე“ არის მასაზრდოებელი, ანუ წიაღი ყოველი არსისა. ეს საკვები იგივე „დე“-ა, ანუ ფაქტიურად „დაო“-ა, რადგანაც მათი დასაბამი ერთია. „დაო“ შეიმეცნება გონჭვრეტით და თავის საკუთარ ყოფიერებაში იგი „უწმინდესი სულია“. „დაო“ შემოქმედია ყოველი არსისა, ის იდუმალი მდედრია. „დაო“ გზაა, რაზეც მიედინება მთელი ორგანული და არაორგანული სამყარო“.

ზემოთ აღნიშნულის სიღრმისეული გააზრებით, სიტყვებში „და-ო“ და „დე“, ქართული აზროვნებაა ჩადებული. სიტყვა „დედა“ სწორედაც ამ ორი სიტყვისგან შედგება. უძველეს ქართულ ხელნაწერებში სიტყვას „უფალი“ არ წერდნენ და მის ნაცვლად გამოსახავდნენ ქართული ანბანის **„ო“** ასო-ნიშანს. ვფიქრობ, ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ დაგონების მითოლოგიით, სამყაროს განსაწმენდად უზენაესმა შემოქმედმა

დედამიწაზე 4 ნომმოდან (იგივე „ნოე“) **„ო“** ნომმო გამოგზავნა, ე.ი. **„ო“** ნიშნავს სიტყვას – „უფალი“. „დაო“-ს და „დე“-ს შეერთებით მივიღებთ „დედა-ო“, ანუ **„დედაუფალი“** – „დედუფალი“.

ზემოთ აღნიშნული მსჯელობა არ უნდა გაგვიკვირდეს, ვინაიდან უდიდესია მსგავსება უძველეს ქართველთა და ჩინელთა კოსმიურ ფილოსოფიურ აზროვნებას შორის სამყაროს შესახებ. ამის წარმოსაჩენად საკმარისია განვიხილოთ დავათის სტელა და მასზე 6 ხაზით – ორი ტრიგრამით, ანუ ჰექსაგრამით გამოსახული ქართული ანბანი. სოფელს, სადაც სტელა აღმოაჩინეს, ერქვა „დაო-თი“. ქართულ ასო-ნიშნებს შეიცავს „იძინის“ ჰექსაგრამების შესაბამისი იეროგლიფები. ქართული და ჩინური ურთიერთობების უძველესი კვალის შესწავლა მომავლის საქმედ მიმაჩნია.

შუმერებთან ქალღმერთი ინანა არის ანბანის – ბედისწერის დაფების, იგივე „მე“-ს „ხვთაებრივი კანონების“ მფლობელი, რომლებიც შუმერი ფილოსოფოსების აზრით, „შექმნის დღიდან აწესრიგებენ სამყაროს მუდმივ მიმოქცევას“. სწორედ „მენი“, ანუ „მე“-ები ჩატვირთა ქალღმერთმა ინანამ ზეციურ ნავში, რომლითაც ჩავიდა „ქვესკნელის სამეფოში“, რათა ეპოვა თავისი კოსმიური მეუღლე და გამხდარიყო დედოფალი მიწისაც.

ეგვიპტელთა მითოლოგიითაც, ქალღმერთმა ჩაუყარა საფუძველი დამწერლობას. მას უწოდებდნენ „წიგნთა დედოფალს, განმანათლებელს და დროის აღმრიცხველს“. იგი იყო ფარაონთა სასახლის, ტაძრების, პირამიდების დამპროექტებელი, აკეთებდა გაანგარიშებებს. მას მშენებელი ინჟინერიც კი უწოდეს.

იოვანე-ზოსიმეს „ქებაᲘ“-ს წინასწარმეტყველებით, ახ.წ. III ათასწლეულის დასაწყისში (სწორედ ახლა ვართ ამ პერიოდში) მობრძანდება იბერიის დიდი დედა-ქალღმერთი, სამყაროს დედა, დედოფალი ცისა და მიწისა, დამწერლობის ქალღმერთი, რომელმაც უნდა წარმოაჩინოს ქართული ენის და ანბანის, როგორც სამყაროს გენეტიკური კოდის საიდუმლო. „ქებაᲘ“-ს მიხედვით, იგი არის „მზე“, ორი ნახევარმზის ერთიანობის გაცხადება, „ოქროს საწმისის“ მფლობელი: ერთი არის **„ასი ესე წელი ანბანისაᲘ“** (19-რ-რაე-100-„მზე“-კაბალას ეგვიპტის მე-19 არკანი) და მეორე არის **„დღე“** (22-უ-უნ-„დღე“ – ევროპელთა კაბალას 22-ე რუნა). ქართველთა უძველეს ხელნაწერებში **„მზე“** და **„დღე“** ერთი და იგივეა. **ქართველთა უძველესი აზროვნებით, „მზე“ მდედრობითი ხვთაებაა.**

ახ.წ. დასაწყისში შეიცვალა არსთა წრებრუნვის კოსმიური სურათი, სადაც „სამოთხე“ – ხვთისმშობელი დაბრუნდა ედემში ადამთან და დაიკავა ადგილი მამის მარჯვნივ. ხვთაებრივი ბავშვი – ქრისტე აღმოჩნდა დედის გულის ადგილას. დავათის სტელაზე (ძვ.წ. 680წ.) გამოსახული ხვთაებრივი ბავშვიც არა „ძე“, არამედ „ასული“-ა (ქართველები და არა მხოლოდ ქართველები, თაყვანს სცემდნენ ორ ხვთისშვილს), გამოსახულია მხოლოდ წელს ზემოთ და განთავსებულია დედის გულის ადგილას, შარავანდედის გარეშეა და ფეხზე მდგომი. სტელაზე სამყაროს დედის გამოსახულების საპირისპირო წახნაგზე ასახულია თევზი თავით ქვემოთ, რომელზეც დაწერილია ქართული ანბანის 37 ასო-ნიშანი. ერთიანობაში სტელაზე გამოსახული კომპოზიცია ასახავს „სამოთხეს“. ზემოაღნიშნული ნიშნავს, რომ ქართველთა უძველესი აზროვნებით, ქართული ანბანი ხვთისმშობლის – სამყაროს დედაქალღმერთის კუთვნილებაა, რადგანაც ქართული ანბანია სამყაროს, ანუ მატერიაში გაცხადებული სულის გენეტიკური კოდი, ხვთიური გეგმა – პროექტი, რის მიხედვითაც წარმოჩინდება, ანუ განსხეულდება სული მატერიაში.

აქ აუცილებლად უნდა შევეხოთ „სამოთხის“ თემას. ვფიქრობ, მსოფლიოს არც ერთი ხალხი „სამოთხეს“ ამ სიტყვით არ გამოთქვამს. ეს გვაქვს მხოლოდ ქართველებს. რიცხვი **7** გამოხატავდა ერთიანი სამყაროს იდეას და სამყაროული „ხი“-ს მუდმივსა და უცვლელ სახეს წარმოადგენდა. ქართველები (და არა მხოლოდ ქართველები) „სამოთხეს“ გამოსახავდნენ 4 მდედრის და 3 მამრის ერთობლიობით – ასეთი სახე აქვს „სამოთხე“-ს არსთა წრებრუნვის კოსმიურ სურათშიც (რისი ხილვაც რამდენჯერმე მქონდა). ამის მაგალითია დავათის სტელა (ძვ.წ. 680წ.). **„სამოთხე“ თვით დედა-ქალღმერთია**. დაგონების მითოლოგიით, „შემოქმედმა“ სამყარო შექმნა ძირითადად 4 საწყისით: მიწა, წყალი, ჰაერი, ცეცხლი. თითოეული 4 მდედრი და 4 მამრი საწყისისგან შედგება. დაგონების მითოლოგიით, მათი სახელია „ნომმო“ (ნოე). ბიბლიის მიხედვითაც, ნოეს კიდობანში 4 მდედრი და 4 მამრი ადამიანია. 4 ნომმოდან შემოქმედმა მაინცდამაინც „**ო**“ ნომმო წარმოგზავნა სამყაროს „განსაწმენდად“. „**ო**“ ნომმოს დაგონები გამოსახავდნენ თევზის სახით თავით ქვემოთ. შუმერთა ქალღმერთი ინანაც ზეციური ნავით „ქვესკნელის სამეფოში“ ჩამოდის ქართული ანბანის „**ო**“ ასო-ნიშნის კოსმიურ პერიოდში (შუმერთა „მე“-ს „ხვ-

თაებრივი კანონებით“ მე-16 „ქვესკნელის სამეფოში შთასვლა“-ა), რათა იპოვოს თავისი კოსმიური მეუღლე. მაშასადამე, დაგონების „**ო**“ ნომმო, რომელიც **შედგება 4 მდედრი და 3 მამრისგან, ანუ „სამოთხე“-სგან, შვიდისგან,** ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, არის „**ო**“ ქალღმერთი, იგი არის დედოფალი ცისა, ხოლო, როდესაც ის იპოვის თავის კოსმიურ მეუღლეს, მოხდება ზეციური სიძის და პატარძლის ქორწინება, ანუ გახდება სრულქმნილი. ეს იქნება 4 მდედრის და 4 მამრის ერთობა. ამას სიმბოლურად გამოსახავდნენ 8 ფოთლიანი ლოტოსით, 8 ქიმიანი ვარსკვლავით, ორსახა ღმერთის სახით, რომლის ერთი სახე ქალია, მეორე – კაცი, ანუ კოსმიური „და-ძმა“ – „ოქროს საწმისი“. ახლა, III ათასწლეულის დასაწყისში მათი შეერთება უკვე მოხდა, რამაც გამოიწვია დედამიწაზე ცეცხლის სტიქიის ენერგიის გააქტიურება, პოლუსების დნობა, პოლუსების შეცვლა, პოლარობის შემცირება, მცირდება დედამიწის მიზიდულობის ძალის შემცირება და სხვა. **2000** წლის შემდეგ, ანუ ახ.წ. 4000 წელს, დასრულდება ადამ და ევას ცივილიზაცია და სამყარო გადავა ცივილიზაციის ახალ ციკლში.

შუმერის ქვის ბეჭდის ფრაგმენტი

შეიცვალა არსთა წრებრუნვის კოსმიური სურათიც. **ამიერიდან ჩვენი სალოცავი ხატი არის ხვთისმშობელი, გულის ადგილას განთავსებული ხვთაებრივი ბავშვით**.

ადამის ცივილიზაცია ემსახურება სულიწმინდის – ქალღმერთის მობრძანებას და გამეფებას. ეს კარგად ჩანს შუმერთა მითოლოგიაში, სადაც ქალღმერთი ინანა, დედოფალი ცისა ჩამოდის ქვესკნელის სამეფოში, რათა გახდეს დედოფალი მიწისაც. ეს მითი მითოლოგიაში 4-ჯერ მეორდება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. შუმერული მითოლოგია ადამის ცივილიზაციას ადამიანის დაბრძენებას, ქალის, ანუ მატერიის შეცნობას უკავშირებს, რის შემდეგაც სიკვდილი აღარ იარსებებს და ადამიანის სული მარადიულად სხეულთან ერთად დარჩება, მას-

თან ერთად გარდაიცვლება – გარდაისახება და ზეცაში ამაღლდება, ანუ მოხდება ორი პირველსაწყისის შეერთება. ქრისტე არის **„სიკვდილისა სიკვდილითა დამთრგუნველი“**. იგი ჩამოვიდა ამქვეყნად – „ქვესკნელის სამეფოში“, რათა შემდეგ სხეულთან ერთად ამაღლებულიყო ზეცაში.

ქრისტიანულ რელიგიაში დედა-ქალღმერთის თაყვანისცემა გადაიზარდა ხვთისმშობლის თაყვანისცემაში.

ქართველთა 64 ხვთისშვილი არის: ნახევარღმერთი, მეომარი, ანუ კოსმიური მხედარი, ბერი, მორიგის ნასახი. ისინი ერთის, გიორგი ნაღვარმშვენიერის 64 სახეცვლილებაა. თითოეული დროის განსაზღვრული ვადით უზენაესი ღმერთის – „მორიგე“-ს ადგილს იკავებს. მხოლოდ ბოლო ხვთისშვილი – 64-ე „მორიგე“ არის „დობილიანი“ იახსარი – ორი პირველსაწყისის ერთიანობა. ამიტომ ქართველები ორ ხვთისშვილს სცემდნენ თაყვანს – „ძეს“-ს და „ასულს“. კოსმიური დის-„ასულის“ სახელია „სამძივარი“ („სამძიმარი“), იგივე „ელჩი“, ანუ წარმოგზავნილი და შუამავალი საიქიოსა და სააქაოს შორის. ქართული სიტყვა „სამძიმარი“ არის გამომხატველი ნუგეშინისცემისა დიდ გაჭირვებაში. სწორედ ახლა, III ათასწლეული, 64-ე ხვთისშვილის „მორიგეობის“ ათასწლეულია. ამავდროულად, ქართული ანბანის კოდით იგი ჯ-ჯან-8000 ასო-ნიშნის კოსმიურობის გაცხადებაა.

თქვენს წინაშე წარმოდგენილია დედა-ქალღმერთის მხოლოდ რამდენიმე ფოტომასალა იმ დიდი არქეოლოგიური მასალიდან, რომელიც ზემოთ განვიხილეთ:

1. ზემო ეგვიპტეში აღმოჩენილი სკულპტურა 6000 წლის, ჩიტის სახიანი, ხელებაწეული, ფეხები ერთად, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ის დაფრინავს.

2. შუმერ-აქადის ქვის ბეჭდის ფრაგმენტი ძვ.წ. 3400 წ. ქალღმერთი ინანა-იშთარი ანგელოზის გაშლილი ფრთებით, ფეხებით ერთად. ის დაფრინავს არა ზეცაში, არამედ „დროში“.

3. ალჟირის ერთ-ერთი გამოქვაბულის კედლის ნახატი (ძვ.წ. 9000-6500წ.) – ხელებაწეული ქალღმერთის უძველესი გამოსახულება.

4. სიღნაღის მუზეუმის ექსპონატი – მელიღელეში აღმოჩენილი ქალხვთაების უიშვიათესი გამოსახულება: ჩიტისსახიანი, მკვეთრად გამოხატული სასქესო ნიშნებით, ფეხმძიმეა, ანუ ნაყოფიერების ქალღმერთია,

ერთი ხელი აწეული აქვს, ხოლო მეორე – დაშვებული, ე.ი. მითოლოგიური გააზრებით, იგი ერთდროულად მზე და მთვარეა, ანუ ორბუნებოვანია. ჩიტისთავიანი ქალღმერთის გამოსახულებები იშვიათია, მაგრამ არა აღმოსავლეთ საქართველოსთვის. თუმცა მელიღელეს არქეოლოგიური მასალა (ექსპედიციის ხელმძღვანელი კიაზო ფიცხელაური) დათარიღებულია ძვ. წ. XV-XII საუკუნეებით. იკონოგრაფიული ანალიზი საშუალებას გვაძლევს, ვიფიქროთ, რომ ქალხვთაების ეს გამოსახულება გაცილებით ადრეული პერიოდისაა.

ფრაგმენტი ალჟირის გამოქვაბულიდან

5. გრაკალის გორის ნამოსახლარის (კასპის რ. სოფ. იგოეთთან ძვ.წ. VI-V ათასწლეული) ხელებაწეული ნაყოფიერების ქალხვთაება იშვიათი გამოსახულებაა. მსგავსი გამოსახულებებია ქვებზე ხევსურეთსა და საქართველოს მთიანეთში.



გრაკალის ნამოსახლარი

ახ.წ. III ათასწლეულის დასაწყისიდან „დრომ და სივრცემ“ უსასრულობასა და მარადისობისკენ მიმავალი გზა დაიმკვიდრა, რაც ძირითადად ორმა გარემოებამ განაპირობა: 1. XX საუკუნის ბოლოს საქართველოში გაცხადდა არსთა წრებრუნვის კოსმიური სურათი – „ღმერთის ბეჭედი“, რომელზეც ასახულია III ათასწლეულის დედა-ქალღმერთის სალოცავი ხატი გულთან განთავსებული ხვთაებრივი ბავშვით; 2. კაბალას ბიბლიური ცოდნა თავის პირველსაწყის ფესვებს – საქართველოს დაუბრუნდა.

რომაელთა იზიდას ერთ-ერთ ტაძარს აწერია: **„მე ვარ ყველაფერი, რაც არის, იყო და იქნება და არცერთ მოკვდავს არ ძალუძს ახადოს ჩემი საბურველი“**.

მეტად საინტერესოა მთაში ჩაწერილი უძველესი ქართული ლოცვა, რომელიც მთელი სიღრმით წარმოაჩენს ქართველთა უდიდეს მეტაფიზიკურ აზროვნებას სამყაროს შესახებ. მეცნიერებს, ალბათ, ათასწლეულები არ ეყოფათ შეიმეცნონ და აღიქვან სამყარო იმ სიღრმეებით, რაც ქართ-

ველთა წინაპრებისთვის უშორეს წარსულში იყო ცნობილი: **„დიდო დედაო, ცაო მშვენიერო, მომლოცველო ყოველივესი, შამქნელო და დამბადებელო, სასრულო, სამყაროში ჩაუტეველო, უმცირესში ჩატეულო... უწონო, უმანძილო, ცარიელავ და სავსევ, უჟამო, უძრავო წყვდიადო ცაო, სივრცეში, დროში ნათელგამოვლენილო... ერთო და ერთთა ერთობაო... მომეც უფლება უფლებათა, დავრჩე მართალი ჩემსავ უფალთან, და სამართლიანი სხვათა მიმართ, რათა დავიცვა ცის სიწმინდე...“**

ქართველ ხალხს ჰქონდა კიდევ ერთი დიდი საიდუმლო ცოდნა, რომელიც ბავშვობიდან ესმოდა ყოველ ქართველს და თაობიდან თაობას ზეპირსიტყვიერად გადაეცემოდა. ყველა ქართული ზღაპარი იწყებოდა ასე: **„იყო „და“ „არა“ იყო „რა“, ხვთის უკეთესი „რა“ იქნებოდა, იყო „ერთი“**... ამ სიტყვების კოსმიური საიდუმლოს ბოლომდე გაშიფვრა მომავლის საქმეა.

ჯერ კიდევ პირველ ადამიანებს მიაჩნდათ, რომ დედამიწა კი არ ემსგავსება ქალღმერთს, არამედ ქალღმერთი ემსგავსება დედამიწას. ადამ და ევას ცივილიზაცია არის კოსმიური პროცესი, რომლის დროსაც „ცის დედოფალი ხდება დედოფალი მიწისაც“.

ქალი მარადიული კოსმიური საიდუმლოა. სამყაროს მატერია არის მდედრი, სულის სამოსი – კვართი, სფინქსი – ოთხი სტიქიის (მიწა, წყალი, ჰაერი, ცეცხლი) გაცხადება, რისგანაც შედგება სამყაროში ყველაფერი.

მსოფლიოს ნებისმიერი მკვლევარი მეტაფიზიკის ნებისმიერ საკითხზე პასუხს საქართველოში იპოვის, ვინაიდან ქართველები ამ ტერიტორიაზე ჯერ კიდევ ადამის ცივილიზაციამდე ცხოვრობდნენ, ქართულმა გენმა დაიწყო ადამის ცივილიზაცია. ამის დასტური მრავლად მოიპოვება საქართველოს ტერიტორიაზე, მხოლოდ საჭიროა ამ საკითხს მესამე თვალით და ქართული გულით შევხედოთ.

ზემოთ განხილული მითოლოგიური, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალა დასტურია იმისა, რომ **ქართველთა უძველესი კოსმიური აზროვნება ღმერთზე, ადამიანსა და სამყაროზე, ღირსეულად დგას ჩინეთის, ეგვიპტის შუმერის, დაგონებისა და სხვა დიდი ცივილიზაციის ქვეყნების ხალხთა კოსმიური აზროვნების გვერდით.**

ქართველთა „კოპალა ... იახსარის“ მითი შუმერების ქვის ბეჭედზე

დედამიწაზე მცხოვრები ყველა ადამიანი ერთი გენეტიკური კოდით ერთნაირადაა შექმნილი, ერთ ნავში ზის, რასაც დედამიწა ჰქვია და ერთ კოსმოსში დაცურავს. ამიტომ, ინფორმაცია მიღებული ადამიანის შიდა სამყაროდან, დედამიწიდან თუ გალაქტიკიდან, ყველა ადამიანისთვის ერთნაირია; ერთნაირია მათი აღქმები სამყაროს მიმართ, მითოლოგიური სიუჟეტები; დამოკიდებულება სამყაროს მიმართ ასახულია მათ რწმენა-წარმოდგენებში, რელიგიურ რიტუალებში; მათი ცხოვრების წესი ხილულ და უხილავ სამყაროთა თანაარსებობით განისაზღვრებოდა.

დღეისათვის საქართველოში ფრაგმენტულადაა მოღწეული უძველესი კოსმიური ცოდნა. ვცდილობ შევავსო იგი დედამიწის ერთ-ერთი უძველესი ხალხის შუმერთა მითოლოგიური, ეთნოგრაფიული, არქეოლოგიური, ისტორიული და სხვა მასალებიდან.

შუმერი (ძვ.წ. 3400 წ.)

თქვენს წინაშეა შუმერ – აქადის ქვის ბეჭედი (ძვ. წ. 3400 წ.), რომელზეც ასახეს და დაგვიტოვეს წინასწარმეტყველება თუ რა უნდა მომხდარიყო სამყაროში ბოლო 4000 წლის მანძილზე – ძვ. წ. 2000 წლიდან ახ. წ. 2000 წლამდე. დროის ამ მონაკვეთში ყოველი 1000 წლის შუალედით წინასწარმეტყველებს სამყაროს ოთხი საწყისის ენერგეტიკის მოსვლას. მათ ღმერთკაცის სახე და სხეული აქვთ და ჰყავთ თანმხ-

ლები „არსებები“: **„მიწა“** – ლომი (ძაღლი, მგელი); **„წყალი“** – „ჩვილი ხბო“ (ირემი, ხარი); **„ჰაერი“** – თეთრი მთის ქორი (არწივი, ორბი); **„ცაცეცხლი“** – ქალი. მათ ყველას ეგებება ქალღმერთი, რომელსაც ფრთებგაშლილი ანგელოზის სახე აქვს. ისინი ყველა წყალზე მცურავ ერთ ნავში სხედან. ბეჭედზე მდინარის სახით ასახულია თევზის ზოდიაქოს პერიოდი, ურთიერთსაპირისპიროდ მცურავი სამ-სამი თევზით და მოიცავს 2000 წელს.

ბეჭედზე ასახული კოსმიური პროცესი ყველა ნიშნით ემთხვევა ხევსურთა „კოპალა... იახსარის“ მითში ასახულ ხვთისშვილთა კოსმიურობას; ასევე ასახულია, ქართული ანბანის ბიბლიური კოდით, ხვთისშვილთა „მორიგეობის“ ათასწლოვანი ციკლები:

I ღმერთკაცი „კოპალაა“ – მონადირე მშვილდისრით, ქაჯებთან ბრძოლაში მოიპოვა ლომი; იგი „მიწის“ სტიქიის გაცხადებაა. დროში შეესაბამება ძვ. წ. 1000 წელი ეს კი, „ქართ ადამს აქათ“ 5000 წელია („ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის“, გ. მერჩულე, X ს.), ხოლო ქართული ანბანით ჭ-ჭარ-5000 ასო-ნიშნის კოსმიურ ენერგეტიკას შეიცავს. **ლომი შუამდინარეთში იშთარს-ინანას განასახიერებდა.**

II ღმერთკაცი „ბუქნა ბაადურია“ (ჩაბუქნული) – ნათლობის ემბაზში ნახევრად წყალშია და გამოსახულია მხოლოდ წელს ზემოთ, **გულზე ჰკიდია დიდი ჯვარი**, შუბნური მათრახით ხელში, თავზე ქალღმერთი ადგას ანგელოზის სახით, ერთ მხარეზე, ანუ მხარზე ირემი აქვს, იგივე „ჩვილი ხბო“, ხოლო მეორეზე – ხე. იგი „წყლის“ სტიქიის გაცხადებაა, თევზის ზოდიაქოს დასაწყისშია და მაშასადამე, შეესაბამება ახ. წ. 0 წელს; ეს კი „ქართ ადამს აქათ“ 6000 წელია და ქართული ანბანით ხ-ხან-6000 ასო-ნიშნის ენერგეტიკას შეიცავს. ქართულ ენაში „ხან“ – „დრო“-ა, ე.ი. „დროის განმგებელია“. ხვთისშვილი ბაადური (ბადრი – მთვარე – ვერცხლი) ქართულ მითოლოგიაში შემდეგნაირადაა დახასიათებული: „უფლის ნასახთა ბატონი“, „ხვთისშვილთა შორის პირველი“, „ადგილის თავ-სვეტის ანგელოზი“, **„წყლის ბერი“**. მისი სალოცავი **„სან“**-ეს მთაზეა. ხვთისშვილთა წინამძღოლად-მეთაურად წარმოჩინდება ასევე კვირია კარავიანი, ხმელთმოურავი, შუამავალი უზენაეს ღმერთსა და ხალხს შორის, ითვლება ნაყოფიერების ხვთაებად. „ღმერთის მოადგილე ანგელოზი“, „მამის მარჯვნივ სამწერლობო აქვს მოწყობილი“; სიმღერებში მას ასე მოიხსენიებენ: „კვირიამ მიცვალებულებს შეუნდოს, ცოცხლებს კი დღეგრძელობა მიანიჭოს“. კვირია წარმოჩინდება, როგორც უზენაესი ხვთაება, რომელიც განაგებს ცას და **„ზეციურ წყალს“**. დღეს, საქართველოში, ქრისტიანულ სივრცეში კვირიას რელიგიური დღესასწაულია **„კვირაცხოვლობა“** – აღდგომის მომდევნო კვირა დღე, **„ახალ კვირად“** წოდებული.

ქვის ბეჭედზე გამოსახული II ღმერთკაცი ქრისტეა, თევზის ზოდიაქოს დასაწყისშია, ნათლობის ემბაზში, თავზე სულიწმინდის ანგელოზი ადგას, გულზე ჰკიდია დიდი ჯვარი, რაც ნიშნავს იმას, რომ **შუმერებმა, ქრისტეს მოსვლამდე 3400 წლით ადრე, იწინასწარმეტყველეს მისი განკაცებული სახით მოსვლის დრო და ეს ინფორმაცია ასახეს ქვის ბეჭედზე.**

შუმერის ქვის ბეჭდის ფრაგმენტი

III ღმერთკაცი „თერგვაულია“, მხრებზე ბადე აქვს მოსხმული, ხელში ფრთებგაშლილი თეთრი მთის ქორით; იგი „ჰაერის“ სტიქიის გაცხადებაა, თევზის ზოდიაქოს შუაშია და შეესაბამება ახ. წ. 1000 წელი, ეს კი „ქართ ადამს აქათ“ 7000 წელია. ხოლო ქართული ანბანით ჴ-ხარ – 7000 ასო-ნიშნის ენერგეტიკას შეიცავს. აქვე შევნიშნავ, რომ სიტყვა „ფაზისი“ ნიშნავს – „არწივ-მდინარე“-ს. ქვის ბეჭედზე გამოსახული III ღმერთკაცია „არწივ-მდინარე“ – ქართველთა „თერგვაული“. აქედან გამომდინარე, **საქართველოში მდ. ფაზისი იქნება მდ. თერგი, რომლის სახელიც ხვთისშვილ „თერგვაულს“ უკავშირდება.**

IV ღმერთკაცი დობილიანი „იახსარია“ – ორსახა იანუსი, ერთი სახე კაცისაა, მეორე სახე ქალის; იგი „ცეცხლის“ სტიქიის გაცხადებაა და ქართულ იკონოგრაფიაში ბორჯღალის სახით აისახება (წებელდის ბარელიეფი). ხევსურთა მითოლოგიით, უნდა მოხდეს ორი ნახევარღმერთის, ორი ნახევარმზის გიორგი ნაღვარმშვენიერის, რომელიც გაცხადებულია 64 ხვთისშვილში და მისი დობილის „სამძივარის“ („სამძ-

იმარის“) შეერთება – გამთლიანება. ეს კოსმიური პროცესი ქვის ბეჭედზე თევზის ზოდიაქოს ბოლოს გამოსახულ IV ორსახა ღმერთშია ასახული და დროში შეესაბამება ახ. წ. 2000 წელს. ეს კი, „ქართ ადამს აქათ“ 8000 წელია, ხოლო ქართული ანბანით ჯ-ჯან-8000 ასო-ნიშნის ენერგეტიკის გაცხადებაა. ამას უკავშირდება „ოქროს საწმისის“ თემა. ვფიქრობ, სწორედ ეს არის დედამიწაზე პოლუსების დნობის, პოლუსების შეცვლის და სხვათა მიზეზი.

ზემოთ მოყვანილი მსჯელობა კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ქართული ანბანი სამყაროს გენეტიკური კოდია და „ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის“.

შუმერ-აქადის ქვის ბეჭედზე გამოსახული წინასწარმეტყველებაა გააზრებული იოვანე-ზოსიმეს „ქებაჲ“-ს ტექსტშიც, სადაც ლაპარაკია „4 დღეზე“ („ათასი ვითარცა ერთი“), „4 დღის მკვდარზე“, „4 ათას მარაგზე“ და სხვა. ავტორს აქცენტი გადატანილი აქვს იმ საკითხის წინასწარმეტყველებაზე, რაც უნდა მოხდეს სამყაროში ახ.წ. 2000 წლისთვის – III ათ. დასაწყისში. თვით ტექსტში ამ თარიღის მიმართ რამდენიმე მინიშნებაა: „ქრისტეს მოსვლითგან ვიდრე დღესამომდე“, „მოწამეთ წარმოგითხარ ასი ესე წელი ანბანისაჲ“. „ქებაჲ“-ს ტექსტიც ორივე შემთხვევაში მიგვანიშნებს სამყაროს მეოთხე საწყისის – „ცა-ცეცხლის“ სტიქიის – „ოქროს საწმისის“ კოსმიური ენერგიის ახ. წ. III ათასწლეულის დასაწყისში მოსვლის წინასწარმეტყველებაზე, რომლის დროსაც უნდა გაიშიფროს ქართული ანბანის, როგორც სამყაროს ბიბლიური გენეტიკური კოდის საიდუმლო.

სამყაროს ოთხი საწყისის გაცხადებაა **სფინქსი (ნახეთ აქვე: „სამყაროს ოთხი საწყისი – სფინქსის ფენომენი საქართველოში“)**: **მიწა** – ლომი, ძაღლი, მგელი (სვანები მგლებს წმინდა გიორგის ძაღლებს ეძახიან); **წყალი** – ხარი, ჩვილი ხბო, ირემი; **ჰაერი** – თეთრი მთის ქორი, არწივი, ორბი; **ცეცხლი** – ქალი. **ლომი, ხარი, არწივი და ქალი** (ადამიანი) დღესაც ქრისტიანული სამყაროს ყოველი ტაძრის საკურთხევლის აუცილებელი შემადგენელია.

ქართველთა წარმართული აზროვნება, სამყაროს ოთხი საწყისის შესახებ, ასახულია ისტორიულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე. მაგ: წებელდის ბარელიეფი და ბაგრატის ტაძრის სვეტის თავის ბარელიეფები,

სადაც გამოსახული „ჩვილი ხბო“ ფიზიკურად ზუსტად ისევეა ასახული, როგორც ზემოთ განხილულ შუმერების ქვის ბეჭედზე, მხოლოდ სახით ქალია.

მართალია, აქ წარმოჩენილი ქვის ბეჭედი შუმერშია აღმოჩენილი და მასზე ასახული გამოსახულებები წარმოდგენილია შუმერთა იკონოგრაფიულ სტილში, ამ **ბეჭედზე ასახული კოსმიური პროცესი და შუმერთა ღმერთები არ შეესაბამება შუამდინარეთის დღევანდელ მითოლოგიას**. ამ ქვის ბეჭედზე ქართველთა ხვთისშვილები – კოპალა, ბუქნა ბაადური, თერგვაული და დობილიანი იახსარია გამოსახული, რომელთაც მხოლოდ ცხოველები ჰყავთ თანმხლები, მხოლოდ ბოლო – 64-ე ხვთისშვილი უერთდება თავის მდედრულ ცალს. ეს პროცესია აღწერილი შუმერთა ქვის ბეჭედზეც. **მაშინ, როცა შუმერთა ხვთისშვილებს ერთდროულად ჰყავთ თავისი ცხოველიც და მდედრული ცალიც, რითაც ირღვევა ადამის ცივილიზაციის კოსმიური არსი: ადამის ცივილიზაციის მიზანია, შეერთდეს ორი ურთიერთსაპირისპირო პირველსაწყისი, რაც შუმერთა დღევანდელ მითებში დარღვეულია.** მაშასადამე, **ამ ქვის ბეჭედზე ასახული მითოლოგიური პროცესი ძვ.წ. VI ათასწლეულში საქართველოდან შუამდინარეთში ჩასულმა ქართველებმა – შუმერთა წინაპრებმა ჩაიტანეს, ხოლო დღეისთვის ცნობილი შუმერთა მითები უკვე იმ კოსმოგონიური ცოდნის კარგად შეცვლილი სახეა, მაშინ, როცა საქართველოში მაშინდელი მითები დღესაც უცვლელია.**

ამის დადასტურებაა ისიც, რომ მითოლოგიურ ენციკლოპედიებში ზემოთ მოყვანილი ქვის ბეჭედი ძვ. წ. III ათასწლეულით თარიღდება, ხოლო ბრიტანეთის მუზეუმი მას ძვ. წ. 3400 წლის ძეგლად ათარიღებს. მიმაჩნია, რომ სინამდვილეში მასზე ასახული მითოლოგიური პროცესი ძვ. წ. III ათასწლეულის ე.წ. შუმერებს უკვე დავიწყებული აქვთ. აქედან გამომდინარე, ზემოაღნიშნული ბეჭედი გაცილებით ადრეული პერიოდისაა. ვიმედოვნებ, ამას მომავალი კვლევები დაადასტურებენ.

ქართველთა ყველა – 64 ხვთისშვილი არის: მორიგის ნასახი, ნახევარღმერთი, ბერი, არიან „ბედის ბედაურის“ მფლობელები. გიორგი ნაღვარმშვენიერი არის ქართველთა მორიგე ღმერთი, რომელიც 64 ხვთისშვილშია გაცხადებული. ყველა ისინი მორიგეობით არიან „ბედის ბედაურის“ მფლობელები, მარადიულნი და უკვდავნი. მეცნიერთა აზრით,

ჩინეთის იძინის 64 ჰექსაგრამა ასახვაა უჯრედის დნმ-ის 64 ნუკლეინის მჟავასი, რომლებიც არიან სამყაროს 4 საწყისის (მიწა, წყალი, ჰაერი, ცეცხლი) 64 კომბინაცია ტრიპლეტების – „სამწნულების“ სახით, რომელთაც ასევე უკავშირდება ქართველთა 64 ხვთისშვილი – სამყაროს ძირითადი შემოქმედნი და „ბედის ბედაურით“ გადაადგილდებიან ზეცაში, ერთი სტიქიიდან მეორეში ან სხვა სამყაროში. კოსმიური მხედარი წარმოედგინათ გველთან მებრძოლი. ყველა წმინდა ხე ჩვენში წმინდა გიორგის სახელით მოინათლა. ეს უკავშირდება სიცოცხლის ხეს, რომელიც გაცხადებაა ადამიანის სხეულის, როგორც სულის მატერიაში გამოვლენა. როგორც მიკრო, ასევე მაკრო სამყარო ერთგვარი სიცოცხლის ხეა.

კოსმიური ცხენი გათანაბრებულია სამყაროს ქვესკნელ-ზესკნელ-შუასკნელთან. სიტყვიდან „ბედაური“ – „ბედ-აური“, მარცვალი „ბედ“ – ადამიანის და სამყაროს ბედთან და ბედისწერასთანაა დაკავშირებული; ხოლო „აური“ – „იქაური“, „აქაური“-ს მიმანიშნებელია. მთლიანობაში „ბედის ბედაური“, ანუ **„ბედის ცხენი“ უკავშირდება თვითონ ადამიანს. „ბედის ბედაური“ და ხვთისშვილები თვით ადამიანშია, მისი გენეტიკური კოდის დნმ-შია, სწორედ ისინი აყალიბებენ ადამიანს ადამიანად და განაგებენ მის ბედისწერას**. მათ გაყავთ ადამიანი ერთი სტიქიიდან მეორეში და სხვა განზომილებებში. ქართველთა წინაპრები საიქიოს ამქვეყნიური ცხოვრების გაგრძელებად აღიქვამდნენ. ამიტომ, მიცვალებულისთვის საუკეთესო ცხენი უნდა დაეკურთხებინათ, რომელსაც „სულის ცხენს“ ეძახდნენ, რომლითაც მიცვალებულს უნდა ევლო საიქიო სამყაროში. სულის ცხენს საგანგებოდ დაბანდნენ, გამოკვებავდნენ, მორთავდნენ, კუდს გაუნასკვავდნენ, უნაგირზე ანთებულ სანთელს დააკრავდნენ, ჩამოკიდებდნენ მიცვალებულის ტანსაცმელს და საგზალს აჰკიდებდნენ. ასე მორთულ ცხენს მიცვალებულის თავთან დააყენებდნენ და ხელზე გამოაბამდნენ. სვანეთში დასაფლავების დღეს საგანგებოდ მორთულ ცხენზე ახალგაზრდა სვანი შეჯდებოდა. იგი სამგლოვიარო პროცესიის წინ იწყებდა ჭენებას მანამ, სანამ ცხენი არ მოკვდებოდა, რათა პატრონთან ერთად საიქიოს გამგზავრებულიყო.

ჩინელმა ფილოსოფოსმა ჩუანციმ შეიმუშავა თავისი თეორია, რომლის მიხედვითაც „ადამიანი წარმოიშვა ცხენისგან“.

ხვთისშვილები, რომლებიც არიან „ბედის ბედაურის“ მფლობელები,

არიან გიორგი ნაღვარმშვენიერის 64 „სახე“ – გამოვლინება, 64 ჯვარი, რომელიც ქართველთა მითოლოგიაში თეთრი გიორგის – წმინდა გიორგის სახელითაა ცნობილი. **მას არაფერი აქვს საერთო IV საუკუნის კაბადოკიელ წმინდა მოწამე გიორგისთან.**

თეთრი გიორგის აღქმა გამოცხადებით მიღებული ინფორმაციაა და მისი თაყვანისცემა ჰქონდათ მსოფლიოს ყველა ძველი ცივილიზაციის ხალხს. აღმოსავლეთში „ტენგრის“ სახელითაა ცნობილი, რომელიც 33 ზეციურ სამეფოში ცხოვრობს. ამას უკავშირდება თვით „ტიბეტი“-ს სახელიც. ამასთანაა დაკავშირებული ქართველთა მხედრული ანბანის 33 ასო-ნიშანი. ჩემს გამოცხადებებში ქართული მხედრული ანბანის ასო-ნიშნები კოსმიურ მხედარს შუბლზე აწერია, რომელიც ზეციური მამაღმერთის ერთ-ერთი სახეა. მსოფლიოს ძველი ხალხი თაყვანს სცემდა კოსმიურ ცხენს. ამერიკის მაიას და უფრო ადრეულ ტომებსაც ჰქონდათ ჯვარი და თაყვანს სცემდნენ კოსმიურ მხედარს, თუმცა მათ ცხენი არასოდეს ენახათ.

ქართველები ორ ხვთისშვილს სცემდნენ თაყვანს – „ძე“-ს და „ასულს“. „ძე“-ში გაცხადებულია გიორგი ნაღვარმშვენიერი, რომელიც არის „სახე“ 64 ხვთისშვილის – „მებურთვალო“, ანუ თვალის „დამბურველი“. „მებურთვალო“ ჰყავდათ მაიას ტომების წინაპრებსაც. ხოლო „ასული“, რაც „ზეცაში ასულს“ მოიაზრებს და ითვლება ღმერთსა და ადამიანს შორის მოკავშირედ, ანუ ცასა და მიწას შორის მდგომი. შუმერთა ქალღმერთი ინანაც ცასა და მიწას შორის მდგომია – ცის თაღის შემკავებელი – „შუ“: „ხელს აწევს – ცას აწვდენს, ნაბიჯით მიწას ზომავს“. ეგვიპტეში ქალღმერთს ცის სახით გამოსახავდნენ, რომლის მკერდიდან რძე ჩამოდიოდა და მიწას კვებავდა, ხოლო მამრი მიწაზე „ძე-ვს“ – წევს.

შუმერებს სწამდათ, რომ არსებობდა გარეგნულად ადამიანთა მსგავსი ცოცხალ არსებათა მთელი პანთეონი, უკვდავებით და ზეადამიანური სიძლიერით დაჯილდოებული, თვალთაგან უხილავი არსებანი, რომლებიც სამყაროს მტკიცე და ურყევი კანონების შესაბამისად წარმართავენ. თითოეული ეს ანდროპომორფული, მაგრამ ზებუნებრივი არსება სამყაროს ამა თუ იმ ნაწილს განაგებდა მკაცრად განსაზღვრული წესების შესაბამისად.

შუმერებს სწამდათ: ქაოსს ცვლის წესრიგი, წესრიგს ქაოსი და ამ მარადიულ მოძრაობაში არის დიდი აზრი, წინსვლის იმპულსი. ახალი სამყარო, ახალი კოსმოსი, ძველისა და იდეალურის მსგავსად, უნდა მოაწყოს ადამიანმა.

შუმერთა წარმოდგენით, ადამიანთა ბედს „ანუნაკები“ განაგებენ და ემორჩილებიან ქალღმერთ ინანას, არჩევენ მკვდართა სამართალს. დედამიწა „ანუნაკთა ველია“, ბალახს ძოვდნენ, არხებიდან წყალს სვამდნენ. ისინი არიან ბედისწერის შემქმნელნი. ანუნაკთა ფუნქციაა ადამიანის ბედისწერის განსაზღვრა. მათი გავრცელებული რიცხვია 50. ანუნაკები თვით ადამიანშია და აქტიურად მონაწილეობენ მასში მიმდინარე კოსმიურ პროცესებში.

ქართველთა გიორგი ნაღვარმშვენიერის შუმერული სახეა **მარდუკი**, ბაბელონის მთავარი ღმერთი, „მზის ხბო“. იბადება როგორც მზე – მის შობას ღმერთები ეგებებიან ჰიმნით: „ძეო მზისავ, მზეო ცისავ“. იგი არის სამყაროსა და ღმერთების მამა. შემოსილია მელამით (შარავანდედით) – 10 ღმერთის ძლიერებით.

ქვეყნის სიმშვიდე მაშინ არის შენარჩუნებული, როცა თავის ტახტზე მშვიდად და პატივით მჯდარ მარდუკს „ცისა და მიწის სადავეები“ უპყრია ხელთ. როგორც კი მარდუკი წამოდგება ტახტიდან, მოვა წარღვნა, გაწყდება ცისა და მიწის კავშირი და სამყარო პირველსაწყის ქაოტურ მდგომარეობას დაუბრუნდება. ქართველების მსგავსად, **შუმერებსაც ჰყავდათ ხვთისშვილები**, **მხოლოდ მათთან არა 64, არამედ 50 ხვთისშვილია**, რომლებიც შუმერთა უზენაესი ღმერთის მარდუკის 50 „სახე“ – გამოვლინებაა. ბაბილონური ხანის პანთეონის ღმერთები მარდუკის სხვადასხვა ასპექტებად არიან დასახული:

ნერგალი – ომის მარდუკი;

ენლილი – უზენაესობის და გადაწყვეტილებათა მარდუკი;

ნაბუ – დამწერლობის და ბედისწერის მარდუკი;

სინი – ღამის განმანათებელი (მთვარის ღმერთი) მარდუკი;

შამაში – სამართლის მარდუკი;

ადადი – მაწვიმებელი მარდუკი...

ზემოაღნიშნული კვლევის მიხედვით, ქართველთა 64 ხვთისშვილი პირდაპირ კავშირშია უჯრედთა 64 ნუკლეინის მჟავასთან – სამყაროს გენეტიკურ კოდთან. მაშინ, როცა შუმერთა ხვთისშვილთა ციფრი 50, ზემოთქმულთან ნაკლებადაა დაკავშირებული. **ამ მინიშნებითაც შუმერთა დღევანდელი მითოლოგია მხოლოდ ნაწილია პირველ შუმერთა (ძვ. წ. VI ათასწლეული) – ქართველთა ნამდვილი და ღრმად კოსმოგონიური მითოლოგიური ცოდნისა.**

შუმერული მითოლოგია ადამიანის დაბრძენებას, მისი ცივილიზაციის გზას ქალის – მდედრის – მატერიის შეცნობას უკავშირებს. იგივეა წარმოჩინებული ქართულ მითოლოგიაში, როდესაც ხვთისშვილთა უკანასკნელი მორიგის – იახსარის შეერთება ხდება თავის დობილთან – სამძივართან. ეს კოსმიური პროცესია ასახული შუმერთა ქვის ბეჭედზე. სამყარო ოთხი სტიქიით იქმნება – მიწა, წყალი, ჰაერი, ცეცხლი. ოთხივე სტიქიის გამთლიანებული ენერგიაა „ცეცხლის“ სტიქია, რომელსაც მსოფლიოს უძველესი ხალხი გამთლიანებული მზის, კოსმიური „და-ძის“ – ქალის სახით გამოსახავდა. მიწის სტიქია წარმოდგენილია ლომის სახით, წყლის სტიქია – „ჩვილი ხბოს“ სახით, ჰაერის სტიქია – არწივით და ცეცხლის სტიქია – ქალით. აქ ჩანს, რომ ქალი – ქალღმერთი „ცხოველებით მოდის“.

ქალის და მამაკაცის ერთ თავში – ერთ სხეულში შერწყმა ცეცხლის სტიქიის კოსმიური ენერგიის გაცხადებაა და დედამიწის დროით ემთხვევა ახ. წ. 2000 წელს. მითოლოგიურად ეს პროცესი, რომელიც ასევე ქვის ბეჭედზეა ასახული, უფრო ნათლადაა წარმოდგენილი ქართველთა კოპალას, ბაადურის, თერგვაულის და იახსარის მითებში. ქართველთა კოპალამ დევებთან ბრძოლაში მოიპოვა ლომი, რომელიც ქაჯთა ძაღლი ეგონა; ბაადურს ერთ მხარზე ირემი აქვს გადებული, ხოლო მეორეზე ხე; თერგვაული თეთრი მთის ქორის მფლობელია, მხრებზე ოქროს ბადე აქვს მოსხმული; ცეცხლის სტიქიის შესატყვისი ქართულ მითოლოგიაში დობილიანი იახსარია. **შუმერთა ქვის ბეჭედზე ასახული უძველესი კოსმოგონიური ცოდნა ქართულ მითოლოგიას დღემდე აქვს შემორჩენილი, ხოლო შუმერულ მითოლოგიაში ეს ცოდნა უკვე დაკარგულია და მხოლოდ ამ ქვის ბეჭედზეა შემორჩენილი, საიდანაც აშკარაა, რომ როგორც ქართული, ისე შუმერული მითოლოგიით, ქალღმერთი უნდა გახდეს დედოფალი მიწისაც. სწორედ ეს არის ქალის, ანუ მატერიის შეცნობა, რომლის შემდეგაც სული და მატერია შეერწყმის ერთმანეთს და სიკვდილი აღარ იქნე-**

ბა. ახლა კი, სული და მატერია თანამედროვე ადამიანში დროებით „ინ და იან“-ის კოდით ერთდება და მერე ისევ სცილდება, ანუ სული ტოვებს სხეულს.

ქართული ანბანის ბიბლიური კოდით, ქალღმერთი ინანა 16-ო-ონ ასო-ნიშნის კოსმიურ პერიოდში ჩადის ქვესკნელის სამეფოში, შვიდი კარის გავლის შემდეგ, სადაც თითოეულ კარში გავლისას მას ართმევენ ცის დედოფლის „ატრიბუტებს“, მიადგება მერვე კარს – ქართული ანბანის კოდით, †-ქ-ქან ასო-ნიშნის შესაბამის კოსმიურ – „ზეციურ კარს“ და „კავზე გადაკიდებენ“, ანუ ჯვარზე გააკრავენ. ამ მომენტისთვის მას გონი – აზროვნება აქვს დაკარგული, ე.ი. არ ახსოვს ვინ არის და საიდან მოვიდა. ქალღმერთ ინანას ეს მდგომარეობა შეიძლება შევადაროთ ადამიანის მდგომარეობას, რომელმაც არ იცის, ვინ არის და საიდან მოვიდა. **პირველ ადამიანთა გაგებით, სიკვდილი სულის გამატერიალიზებაა და ადამიანი, რომელსაც ჩვენ ცოცხალს ვუწოდებთ, მათი გაგებით, მკვდარია.** ამიტომაა, რომ ქართველები ადამიანის სიკვდილს გარდაცვალებას ვუწოდებთ, რაც სულის გარდასახვას, სხვა განზომილებაში გადასვლას ნიშნავს.

იყო დრო, როცა ადამიანის სული და სხეული გამთლიანებული იყო, ასეთ ადამიანს ისტორია ანდროგენს უწოდებს, ხოლო ადამის ცივილიზაციის დასაწყისში ღმერთმა ისინი დააცილა. იმისთვის, რომ ადამიანის სული და სხეული კვლავ და მარადიულად იყოს ერთიანი, აუცილებელია სულმა ადამის ცივილიზაცია გაიაროს, ანუ სული გამატერიალიზდეს.

ახალი ცივილიზაციის ადამიანში სული და სხეული აღარ დაცილდება ერთმანეთს, მარადიულად ერთად იქნება და აღარ იქნება სიკვდილი. განკაცებული სახით მოსული უფლის სხეული სიკვდილის შემდეგ სულს არ დაცილდა და იგი თავისი სხეულით ამაღლდა. სწორედ ეს არის „სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი“. როგორც ქართველთა, ასევე შუმერთა მითოლოგიის მთელი კოსმიური პროცესი წარმოაჩენს ადამის ცივილიზაციის უდიდეს მიზანს – „ინ და იან“ კოსმიური მდედრი და მამრი ენერგიების, გენეტიკური კოდის ორი სპირალის შერწყმა – შეერთება – გამთლიანებას, რომელიც ცეცხლის – ალის სტიქიითაა ცნობილი. ამიტომ მსოფლიოს ყველა ძველი ცივილიზაციის ხალხი ოდითგანვე ეთაყვანებოდა ცეცხლის – ალის სტიქიას – კოსმიურ მეტაფიზიკურ მზეს,

რომელიც არის მიკრო თუ მაკრო სამყაროს სიცოცხლის პირველსაწყისი წყარო. ევროპელთა კაბალას – რუნების ბიბლიური კოსმიური ცოდნა, სამყაროს პირველსაწყისი მდგომარეობის შესახებ, გვეუბნება, რომ „იყო პირველსაწყისი მზე. შემდეგ იგი აფეთქდა, დაიმსხვრა და მისი ნაწილებია რუნები, რომლებიც მომავალში ისევ შეერთდება და მიიღებს პირველსაწყისი მზის სახეს და ენერგიას“.

ზემოთ მოყვანილ შუმერ-აქადის ქვის ბეჭედზე ასახულია „კოპალა ... იახსარის“ მითი, რაც ნიშნავს იმას, რომ ქართველი და შუმერი ხალხი ერთნაირად აღიქვამს და აღწერს თავის მითოლოგიაში სამყაროს და მასში მიმდინარე კოსმიურ პროცესებს გაწერილს დროში, რაც ქართულ ანბანში ჩადებულ ბიბლიურ გენეტიკურ კოდს – ქართულ ანბანს შეესაბამება. ქართულ მითოლოგიას ეს ცოდნა დღემდე აქვს შემორჩენილი, ხოლო შუმერში ეს ცოდნა ნაწილობრივ დაკარგულია. ამის მიზეზია ის, რომ ქართველი ხალხი დღემდე არსებობს და ეს ცოდნა დღემდე მოგვიტანა, ხოლო შუმერ–აქადის ხალხი შეუერთდა სხვა დამპყრობლებს და გადაშენდა. ეს კიდევ ერთი მინიშნებაა იმისა, რომ **დღევანდელი, ძვ. წ. II ათასწლეულების შუმერები არ იყვნენ პირველსაწყისი გენის და ცოდნის მატარებელი ხალხი. მათ ეს კოსმოგონიური ცოდნა, სამყაროს შესახებ, აიღეს უფრო ძველი ხალხიდან – შუმერებიდან, რომლებიც შუამდინარეთში საქართველოდან ჩავიდნენ.**

სამყაროში პირველსაწყისი გენის გადაშენება არ ხდება, სხვაგვარად სამყარო ვერ დაუბრუნდება პირველსაწყისს.

ქართველთა ყველა – 64 ხვთისშვილი არის: „მორიგის ნასახი“, ნახევარღმერთი, ბერი, მორიგეობით არიან „ბედის ბედაურის“ მფლობელები.

ქართველთა ხვთისშვილები არიან „ბერები“, მითოლოგიურად მათ არა ჰყავთ შესაბამისი მდედრული ცალი. ხოლო შუმერ-აქადის თითოეულ ხვთისშვილს შესაბამისად ჰყავთ მდედრული ცალი-ქალღმერთი. მსოფლიოს ხალხთა მითოლოგიით, ღმერთების მდედრული „მეწყვილე“ მოგვიანებით „გაჩნდა“. თავიდან ადამიანი ღმერთის მსგავსად ერთარსი იყო – ანდროგენი, გაყოფა ქალად და კაცად მოხდა ადამის ცივილიზაციის დასაწყისში. შუმერებს, ასევე, 50 ხვთისშვილი ჰყავთ, ხოლო ქართველებს 64 ხვთისშვილი, რაც უკავშირდება სამყაროს ცვალებადობის ჩინურ 64 ჰექსაგრამას და თითოეულ უჯრედში დნმ-ის ორ სპირალში 64 ნუკლეინის

მჟავას, რომლებიც იქმნება სამყაროს 4 საწყისის (მიწა, წყალი, ჰაერი, ცეცხლი) სამეულთა – სამწნულთა 64 კომბინაციით. ეს ორი უმნიშვნელოვანესი საკითხი გვაძლევს საფუძველს, გავაკეთოთ შემდეგი დასკვნა: **ქართული მითოლოგია უფრო ადრეულია, უფრო ღრმად და რეალურად ასახავს სამყაროში მიმდინარე კოსმიურ პროცესებს, ვიდრე ძვ.წ. III-II ათასწლეულების შუმერ-აქადის მითოლოგია**.

შუმერთა უზენაესი ღმერთი მარდუკი, ქართველთა უზენაესი ღმერთი გიორგი ნაღვარმშვენიერი – თეთრი გიორგი – წმინდა გიორგია. შუმერ-აქადის მითოლოგიაში არიან ღმერთები – ხვთისშვილები, რომელთა სახელია **„იგიგი“**. იგიგები არიან „ცის დიდი ღმერთები“, „ზენაღმერთები“, „დიდი ბატონები“: „ან“-ცის ღმერთი, ენლილი, ეია, სინ, შამაში, მარდუკი, ინანა-იშთარი – ყველა ისინი ერთი ღმერთის სხვადასხვა „სახე“ – გამოვლინებაა. **შუმერთა მითოლოგიით, ღმერთებმა ადამიანი შექმნეს „იგიგთა წინამძღოლის სისხლ-ხორცისაგან“. ქართველთა მითოლოგიით, ხვთისშვილები თვით ადამიანის სხეულში ცხოვრობენ, მარადიულნი და უკვდავნი არიან, მათ შექმნეს ადამიანი.** ამ საკითხშიც ქართველი ხალხის წინაპართა მითოლოგიური ცნობიერება უფრო ღრმად კოსმიურია, ვიდრე შუმერ-აქადის. **ხვთისშვილთა სიმრავლე მრავალღმერთიანობას არ ნიშნავს** – ეს არის ერთი ღმერთის მრავალი „სახე“ – გამოვლინება. ქართველთა გიორგი ნაღვარმშვენიერი – თეთრი გიორგი, იგივე შუმერთა მარდუკი, არის ხვთისშვილთა წინამძღოლი – ღმერთების მამა.

სიტყვაში „გი-ორ(ი)-გი“ მარცვალი „გი“ ორჯერ მეორდება. ასევე სიტყვაშიც „ი-გი-გი“ მარცვალი „გი“ ორჯერ მეორდება. ამავდროულად, ყველა ხვთისშვილი უკავშირდება სამყაროს დნმ-ს, გენეტიკური კოდის ორ სპირალს. ადამიანი „ინ“ და „იან“-ის ერთობაა, ყველა ადამიანში მდედრი და მამრი საწყისებია. აქ „ინ“ სუფთა მდედრია, ამიტომ ქალის სისხლში მხოლოდ „X“ ქრომოსომაა, ხოლო „იან“ შედგება, თავის მხრივ, „ინ“ და „ან“ – მდედრის და მამრისგან, ამიტომაა კაცის სისხლში „XY“ ქრომოსომა. მაშასადამე, სიტყვაში „ი-გი-გი“ „ი“-ინ-სუფთა მდედრია; ხოლო „გი-გი“-„იან“—ია, სადაც პირველი „გი“ შეესატყვისება „ი“-„ინ“-ს, ხოლო მეორე „გი“ შეესატყვისება „ან“-ს. მაშასადამე, შუმერთა „ი-გი-გი“ – ქართველთა „გი-ორ(ი)-გი“-ს შეესატყვისება და უკავშირდება ადამიანს, როგორც სამყაროს გენეტიკურ კოდს. სული მატერიაში გამოვლინდება ოთხი საწყისით: მიწა, წყალი, ჰაერი, ცეცხლი, ამიტომ მარცვალი **„გი“** ასახავს მიწას, მატერიას – **„გეო“**-ს. „იგიგი“ – „გიორგი“ – ცეცხლის სტიქიის – „ოქროს საწმისის“ ენერგეტიკული გამოვლინებაა. ეს კარგად აისახება შუმერ-აქადის ზემოთ მოყვანილ ქვის ბეჭედზე: ყველა ღმერთკაცი თავისი შესაბამისი ცხოველით მიდის ნათლობის ემბაზის თავზე ანგელოზის სახით მდგომ ქალღმერთისკენ. იმ კოსმიურ მომენტში, როცა IV ღმერთკაცი მივა ნათლობის ემბაზთან, რიტუალში მონაწილეობას მიიღებენ ქალღმერთი ანგელოზის სახით და IV ღმერთკაცი, რომელიც ორსახაა – ერთი სახე კაცისაა, მეორე ქალის, ე.ი. აღმოჩნდება, რომ მეოთხე განათვლის დროს, რომელსაც დროში შეესაბამება ახ. წ. 2000 წელი, ხოლო ქართული ანბანის ბიბლიური კოდით – ჯ-8000 ასო-ნიშანი, ნათლობის ემბაზთან ორი ქალი და ერთი მამაკაცი აღმოჩნდება. ეს არის ცეცხლის სტიქიის – „ოქროს საწმისის“ ენერგია. გავიხსენოთ როგორ გამოსახავდნენ ბერძნები „ოქროს საწმისიან“ ცხვარს: დედა ნეფელე და კოსმიური და-ძმა, ჰელე და ფრიქსე – ორი ქალი და ერთი მამაკაცი, რაც ემთხვევა „ცეცხლის“ სტიქიის – „ოქროს საწმისის“ ქართველთა და შუმერთა მითოლოგიურ – სიმბოლურ ასახვას.

შუმერთა უზენაესი ღმერთი „იგიგი“ **ოთხთვალა და ოთხყურა** მარდუკია, ხოლო ქართველთა გიორგი ნაღვარმშვენიერი – დობილიანი იახსარი, რომლის შესაწირი ცხოველია **ოთხრქა და ოთხყურა** ცხვარი, ერთი და იგივე მითოლოგიური ღმერთია და „ოქროს საწმისის“ – ცეცხლის სტიქიის კოსმიური ენერგიის გამომხატველია.

ზემოთ განხილული საკითხი კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ **ყველაფრის საწყისი ქართული გენი, ქართული ენა და ქართული ანბანია**.

ქართველთა ყველა 64 ხვთისშვილი არის: „მორიგის“ ნასახი, ნახევარღმერთი, ბერი, მორიგეობით არიან „ბედის ბედაურის“ მფლობელები.

სიტყვა „იბერია“ ქართული ფენომენია, რომელიც სიტყვა „ბერი“—დან მოდის. ქართველთა 64 ხვთისშვილი ყველა „ბერი“-ა, რაც სამყაროს გენეტიკურ კოდთანაა დაკავშირებული და ერთის – გიორგი ნახევარმშვენიერის 64 „სახე“ – გამოვლინებაა. სამყაროს შემოქმედი მამაღმერთი

მსოფლიოს ყველა ხალხს „ბერი“-ს – თეთრწვერა მოხუცის სახით ეცხადებოდა. ამერიკის უძველესი ტომებიც კი, თეთრწვერა მოხუცს სცემდნენ თაყვანს, თუმცა წვეროსანი მამაკაცი არ ენახათ – მათ მამაკაცებს წვერი არ ჰქონდათ. თეთრწვერა მამაღმერთის აღქმა გამოცხადებით მიღებული ინფორმაციაა. „ბერი“ ქართული სიტყვაა. ქართველების გარდა არ მეგულება სხვა რომელიმე ერის ხალხი, რომელსაც მითოლოგიაში ჰყავდეს 64 „ბერი“ ხვთისშვილი – სამყაროს ძირითადი შემოქმედნი. სწორედ ამის გამო, ანუ **ვინაიდან სამყაროს ძირითადი შემოქმედნი არიან ხვთისშვილები – „ბერები“, ცივილიზაციასაც „იბერიის“ ცივილიზაცია ეწოდა**. მას ეს სახელი ქართულ ენაზე მოლაპარაკე ხალხმა დაარქვა. სიტყვა „იბერია“ ქართული ფენომენია. **ოდითგანვე საქართველოს „იბერია“ ერქვა**. მსოფლიოს მეცნიერთა ვარაუდით, პრეისტორიული მსოფლიო იბერიულ-კავკასიური ტომებით იყო დასახლებული.

სამყაროს ჯერ კიდევ პირველ ადამიანებს გახსნილი ჰქონდათ ე.წ. მესამე – გონითი თვალი, სამყაროს უჯრედის გენეტიკური კოდის დონეზე აღიქვამდნენ სამყაროს. ეს ცოდნა ცოცხალი კოსმიური პროცესის სახით გადმოსცეს და დაგვიტოვეს მითოლოგია, ეთნოგრაფია, მითოლოგიური სიმბოლიკის სახით. მათ სწამდათ, რომ დადგებოდა დრო, მოვიდოდა ადამიანთა ისეთი თაობა, რომელიც მათ დანატოვარ კოსმიურ ინფორმაციას გაშიფრავდა – წაიკითხავდა მესამე – გონების თვალით და ახალი თვალთახედვით შეიმეცნებდა სამყაროს, რომელიც არის დავიწყებული ძველი. ეს არის გარანტი იმისა, რომ სამყარო დაუბრუნდება პირველსაწყისს და გადავა ყოფიერების ახალ ციკლში. ეს კარგად ჩანს შუმერის მითოლოგიაში, როცა „ქალღმერთ ინანას“ უბრუნდება გონი – აცნობიერებს, რომ ის არის დედოფალი ცისა და ქვესკნელის სამეფოში ჩამოვიდა, რათა მოძებნოს თავისი კოსმიური მეუღლე და მასთან შეერთებით – ქორწინებაში შესვლით ხდება დედოფალი მიწისაც. იგივეა ასახული ქართულ მითოლოგიაშიც – ბოლო ხვთისშვილია დობილიანი იახსარი. ეს არის ასახული შუმერთა ქვის ბეჭედზეც. მდედრი და მამრი საწყისების შეერთება არის ადამის ცივილიზაციის ძირითადი მიზანი, რომლის დასრულების შემდეგ კაცობრიობა ცივილიზაციის ახალ ციკლში გადადის. ჩემს ხილვებში, ახ. წ. II ათასწლეულის შესაბამის არსთა წრებრუნვის კოსმიურ სურათში,

სამყაროს დედა ქალღმერთი – ხვთისმშობელი იდგა მამის მოპირდაპირე მხარეს და ხელში ეკავა ჩვილი ხვთაებრივი ბავშვი. ახ. წ. III ათასწლეულის შესაბამის არსთა წრებრუნვის კოსმიურ სურათში ხვთისმშობელი – სამყაროს დედა გადავიდა მამის მარჯვნივ და ყრმა **ქრისტე „განთავსდა“ დედის გულის ადგილას**. ეს არის ის კოსმიური მომენტი, როდესაც შუმერთა ქალღმერთი ინანა ხდება დედოფალი მიწისაც. ამ კოსმიურ მომენტს დროში შეესაბამება ახ. წ. 4000 წელი, ხოლო ბიბლიური კაბალას კოდით, ქართული ანბანის 37-ოხ-10000 (ომეგა-„ო-დიდი“, რომელიც ქართულ ხელნაწერებში გრძელი „ო“-ს ადგილას იხმარებოდა) კოსმიური პერიოდი, რომლის შემდეგაც სამყარო გადავა ცივილიზაციის ახალ ციკლში.

ზემოთ განხილული საკითხები ნათლად წარმოაჩენს ქართული გენის და ქართველი ხალხის პირველსაწყისობას, რაც მომავალ თაობებს დაეხმარება უკეთ და უფრო მეტი სიღრმეებით შეისწავლოს, შეიმეცნოს სამყარო და წარმოაჩინოს პირველ ადამიანთა კოსმოგონიური ცოდნა.

„ᲖᲝᲜᲘᲝ“ – ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲐᲓᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲘᲛᲑᲝᲚᲝ

გონიოს – მართი კუთხის გამოსახულება უძველესი რელიგიურ-რიტუალური სიმბოლოა. იგი ასახულია ძველი ცივილიზაციის თითქმის ყველა ხალხის არქეოლოგიურ და ისტორიულ ძეგლებზე.

მცხეთა. სვეტიცხოველი

რას მოიაზრებდა მსოფლიოს უძველესი ცივილიზაციის ხალხი „გონიოს“ – მართი კუთხის სიმბოლურ გამოსახულებაში?!

ჯერ კიდევ 8000 წლის წინ ქართველებმა პირველ ადამს „ქართ ადამი“, ანუ „მართალი ადამი“ უწოდეს და დაიწყეს აქედან ათვლა „ქართ ადამს აქათ“. მაშასადამე, ქართველებს მართლმადიდებლობა ჰქონდათ ჯერ კიდევ 8000 წლის წინ. ეს აღარ გაგვიკვირდება, თუ გავიხსენებთ სიტყვებს მრწამსის ლოცვიდან: „და ერთი უფალი იესო ქრისტე, ძე ღვთისა მხოლოდშობილი, მამისაგან შობილი **უწინარეს ყოველთა საუკუნეთა, ღმერთი ჭეშმარიტი**“, ე.ი. უფალი იყო ჯერ კიდევ მაშინ, ვიდრე სამყარო დროსა და სივრცეში განსხეულდებოდა და ის იყო „**ჭეშმარიტი**“, ანუ „**მართალი**“.

შეგახსენებთ რამდენიმე ადგილს ქრისტეს მოციქულ იოანეს გამოცხადებიდან:

„შევხედე და აი, თეთრი ცხენი და ზედ მჯდომარე, რომელსაც ჰქონდა მშვილდი და მიცემული ჰქონდა გვირგვინი; და გამოვიდა გამარჯვებით და რათა გაიმარჯვოს“ (6.2). „ვიხილე ცა გახსნილი, და აი, თეთრი ცხენი და ზედ მჯდომარე იწოდება ერთგულად და **ჭეშმარიტად და სიმართლით** ასამართლებს და იბრძვის. მის სამოსელზე და მის თეძოზე აქვს დაწერილი სახელი: მეფეთ მეფე და უფალთ-უფალი“ (19.11, 12, 16).

მაშასადამე, „გონიო“-ს არსი უფალთანაა დაკავშირებული, „მართალი“ და „მოსამართლე“ მხოლოდ უფალია.

„გონიო“ – მართი კუთხე უცდომელობის, სიმართლის, სამართლიანობის, მართლმსაჯულების სიმბოლოა.

„მართალი“-ს სიტყვის გამომხატველია ქართული სიტყვები: მართლმსაჯულება, სიმართლე, სასამართლო.

მართლმადიდებლობის არსი მართალი სიტყვის დიდებასთანაა დაკავშირებული. ქრისტიანობა-მართლმადიდებლობა საყოველთაო და მარადიული რელიგიაა.

ქართველი ადამიანი ოდითგანვე გულმართალს, გულწრფელს, გულქართლს უკავშირებდა ქართლის და საქართველოს სახელებს.

სიტყვა „გონიო“ – „გონი—ო“ ღვთაებრივ გონზე, ჩანაფიქრზე, აზროვნებაზე მიგვანიშნებს. ქართულ ხელნაწერში „**ო**“ ასო-ნიშნით გამოსახავდნენ სიტყვას „უფალი“. „**ო**“ ასო-ნიშანი ასევე „└“ – გონიოს სახით იწერებოდა.

საქართველოში „გონიო“ – კუთხედი გამოსახულია სვეტიცხოვლის ტაძრის გარე კედელზე, მცხეთის ჯვრის ეკლესიის შესასვლელი კარის თავზე და კიდევ რამდენიმე ქართული ეკლესიის კედელზე. „გონიო“-ს წმინდა ადგილი გვაქვს აჭარაშიც, გონიოშია დაკრძალული ქრისტეს ერთ-ერთი მოციქული მატათა, რომელიც თან ახლდა ანდრია პირველწოდებულს, როცა ის საქართველოში-აჭარაში შემოვიდა ქართველთა ქრისტეს რჯულზე მოსაქცევად.

ჩინეთი

„გონიო“-ს – მართი კუთხის სიმბოლური გამოსახულებები ჰქონდა ძველი ცივილიზაციის თითქმის ყველა ხალხს: ერთ-ერთ სურათზე ჩანს შუმერთა ქვის ბეჭდის ფრაგმენტი (ძვ.წ. III ათ. ლონდონი ბრიტანეთის მუზეუმი), სადაც გამოსახულია ფარგლისა და მართი კუთხის – „გონიო“-ს ერთიანი კომპოზიცია; ერთ-ერთ სურათზე ასახულია ჩინეთის მითოლოგიური კოსმიური და-ძმა, ქალს ხელში უჭირავს „ფარგალი“-დაკეცილი „მარაო“, – მდედრის სიმბოლო, ხოლო ვაჟს – „გონიო“ – მამრის სიმბოლო; გონიო ჩინეთის იმპერატორთა ერთ-ერთი ემბლემა იყო; ერთ-ერთ სურათზე ასახულია მასონთა სიმბოლო – „ფარგლისა“ და კუთხედის – „გონიო“-ს ერთიანი კომპოზიცია; ძეწკვზე ჩამოკიდებულ „გონიოს“, როგორც ძალაუფლებისა და მოვალეობისადმი ერთგულების ნიშანს, გულზე ატარებდა მასონური ლოჟის მაგისტრი. ჩემი მეტაფიზიკური თვისებებიდან გამომდინარე, მქონდა რამდენიმე არსთა წრებრუნვის

კოსმიური სურათის გამოცხადება, რომელთაც მითოლოგია და ბიბლიური კაბალას ცოდნა „ღმერთის ბეჭდებს“ უწოდებს. კაბალას ცოდნის მკვლევართა აზრით, ადამიანს, რომელსაც ღმერთის თუნდაც ერთი „ბეჭედი“ მიეცემა, მისთვის სამყაროს ყველა საიდუმლო ცოდნის „კარი“ იღება.

შუმერი

მასონთა სიმბოლო

ახ.წ. II ათასწლეულის შესაბამისი არსთა წრებრუნვის კოსმიურ სურათში ცენტრალური ადგილი ეჭირა „საიქიო სასამართლოს“, თვით „მოსამართლე“ იჯდა წმინდა მთის მთელ სიმაღლეზე ბუდას პოზაში – ფეხმორთხმით, გოგირდის და ცეცხლის ტბის პირას. საიქიოს სასამართლოს „საზვერეები“ ქმნიდნენ „ზეციურ კიბეს“, რომლის თითოეულ საფეხურს გველები განაგებდნენ. ასე ხდებოდა გასამართლება და დახარისხება ადამიანთა სულებისა, ხოლო მათ, ვინც ვერც ერთ საზვერეს ვერ გაივლიდა, პირდაპირ გოგირდის და ცეცხლის ტბაში ყრიდნენ.

ახ.წ. III ათასწლეულში, რომელიც ახ.წ. 2000 წელს დაიწყო, წრებრუნვის სურათი შეიცვალა, სადაც აღარ არის საიქიო სასამართლო, ზეციური კიბე. ადამიანები პირდაპირ გადიან გოგირდის და ცეცხლის ტბაზე – განკითხვა ცეცხლით ხდება. ამ ეტაპზე გავლენ მხოლოდ მართალი – სუფთა გულის, გულქართლი, გულმართალი ადამიანები. დანარჩენები ჩაიყრებიან გოგირდის და ცეცხლის ტბაში. ტბაზე გასული ადამიანები აღმოჩნდებიან ორი ლომის ჭიშკართან, რომლებიც სიცოცხლის ხეს დარაჯობენ.

ასეთია ღმერთის სამართალი. **ხვთის ნება სამართლიანობის კანონია**.

ზემოთ წარმოჩინებული საკითხები სწორედ ის აზროვნებაა, რომელსაც მსოფლიოს უძველესი ცივილიზაციის ხალხი მოიაზრებდა „გონიო“-ს – მართი კუთხის სიმბოლურ გამოსახულებაში. **დროა „გონიო“-ს – მართი კუთხის, როგორც მამა ღმერთის შემოქმედების „იარაღის“ სიმბოლურ გამოსახულებას დაუბრუნდეს თავისი ნამდვილი არსი. „გონიო“-ს**

გამოსახულება არის უფლის მართალი სიტყვის და „მართლმადიდებლობის სიმბოლო“, რომელშიც აისახება ქართველთა წინაპრების სამყაროს უდიდესი მითოლოგიურ-კოსმოგონიური ხედვა, რაც პარალელია მსოფლიოს უძველესი ცივილიზაციის ხალხთა კოსმოგონიური აზროვნებისა.

ოქროს საწმისი – ორი მზის საიდუმლო

„გულზე მესვენა მზე-მთვარე
ვლაპარაკობდი ღმერთთანა“.
ვაჟა-ფშაველა

მითი არგონავტების შესახებ მითოლოგიის მთელი რიგი მკვლევარების მიერ განისაზღვრება, როგორც „მოგზაურობა ქვესკნელის სამეფოში“. ზოგიერთები გამოთქვამენ აზრს, რომ ის არის ზღაპარი. მიაჩნიათ, რომ არგონავტების მითი შეიქმნა ძვ.წ. VIII საუკუნეში და უკავშირდება ბერძენთა პირველ მოგზაურობებს შავ ზღვაზე. ძვ. წ. VIII საუკუნე ბერძენი ერის ჩამოყალიბების პერიოდია. მათ ხომ სულ დიდი 3 000 წლის ისტორია აქვთ. ამ პერიოდისთვის მითები უკვე აღარ იქმნებოდა. ეს კი ნიშნავს იმას, რომ **ბერძნებმა „არგონავტები“-ს მითი სხვა ხალხებიდან „ისესხეს“**. 3000 წლის წინ მითები აღარ იქმნებოდა. ძველი ცივილიზაციის ხალხთან შედარებით ბერძნები ახალი ხალხია, ისევე, როგორც ებრაელები.

რამდენიმე წლის წინ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე ბერძნული ცივილიზაციის მკვლევარმა, რისმაგ გორდეზიანმა, „ოქროს საწმისის“ კვლევასთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ „არგონავტების“ მითში საერთოდ არ არის ნახსენები სიტყვა „კოლხეთი“. ამ ინფორმაციამ გააოცა იქ დამსწრე საზოგადოება. მაშ რასთან გვაქვს საქმე?!

ჰეროდოტედან მოყოლებული დღემდე მრავალგზის ცდილა ადამიანი, ჩასწვდომოდა მითოსის რაობას, სინამდვილეში რასთან იყო ეს ყველაფერი დაკავშირებული. დადასტურებულია, რომ მითოლოგიის შესწავლას მიუძღვნა ათასობით გამოკვლევა მეცნიერთა და სპეციალისტთა ასზე მეტმა თაობამ, მაგრამ მითოლოგიის ნამდვილ არსს ვერავინ ჩასწვდა.

ჩემი გამოკვლევით, **მითები არის პირველ ადამიანთა ცოდნა სამყაროს გენეტიკურ კოდში მიმდინარე კოსმიური პროცესების შესახებ. მითი არ შეიძლება იყოს ისტორიული ფაქტი.**

„ოქროს საწმისის“ თემა მსოფლიოს თითქმის ყველა ხალხის მითოლოგიაშია.

მითოსისა და ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, „ოქროს საწმისის“ სიმბოლოს – ცხვრის ტყავს კიდებდნენ სიცოცხლის მარადმწვანე ხეზე, რომელიც გაიგივებულია ნაყოფიერების ქალხვთაება – დედამიწის სიმბოლოსთან, მატერიასთან.

ვინაიდან „ოქროს საწმისი“-ს თემა არგონავტების მითთან ასოცირდება, ვნახოთ, როგორ გამოსახავდნენ თვითონ ბერძნები „ოქროს საწმისს“ სურათზე, რომელიც შექმნილია ბერძნული მითების მიხედვით: ცხვარზე ზის ქალი და უსახო მამაკაცი, შიშველი, ჩრდილის სახით. სურათის წარწერის მიხედვით „ოქროს საწმისი“ არის არა ცხვარი, არამედ მასზე მჯდომი „და-ძმა“, რომელთაც თავზე ადგიათ დედა. მითის მიხედვით, „და-ძმა“ ჰელე და ფრიქსეს დედა ნეფელე გაუჩინარდა. დედინაცვალმა ინომ გერები შეიძულა. თესლი ფარულად მოხალა. მოსავალი გაწყდა. ყალბი ნამისნით ქმარი დააჯერა, შვილები ღმერთებს მსხვერპლად უნდა შესწიროო. ასრულების ჟამს გამოჩნდა დედა ნეფელე, „და-ძმა“ ჰერმესის ნაჩუქარ ცხვარზე შესვა, ღრუბლებით შებურა და აღმოსავლეთისკენ გაისტუმრა. ღრუბლებში გაფრენილ ვერძზე ჰელემ თავი ვერ შეიკავა და ჩავარდა ზღვაში – ჰელესპონტი (დარდანელის სრუტე – ჰეგეოსის და მარმარილოს ზღვებს შორის).

საბერძნეთი. ოქროს საწმისიანი ცხვარი.

ამ სურათმა გამახსენა ერთი გამოცხადება, რომელიც თითქმის 20 წლის უკან ვნახე ცაზე: სამსახურში, შესვენების დროს, ჩემს კაბინეტში ვისვენებდი. უცებ ისეთი შეგრძნება დამეუფლა, რომ იმ წუთში ცაზე რაღაც უნდა მეხილა, რაც მომცემდა მნიშვნელოვან ინფორმაციას. ცა იყო ნათელი, მზიანი, მშვიდი, ხეზე ფოთოლიც კი არ ირხეოდა, აქა-იქ პაწია ღრუბლები მოჩანდა. გავოცდი, როდესაც ღრუბლები დაიძრა, შეგროვდა ჩემი მზერის არეში, თან ბრუნავდა. როცა გამოსახულება გაჩერდა, თვალებს არ ვუჯერებდი – ეს იყო ჩემი პროფილი, მხრები და თავი, სახით მარცხნივ, წელზემოთ. შემდეგ მარცხენა საფეთქელთან თმაზე გამოჩნდა პატარა **მზე** – თითქოს შიგნიდან გამოვიდა, რომლის სხივები ისეთი ძლიერი იყო, რომ ამ მზიან ამინდში თვალისმომჭრელად აფრქვევდა სხივებს. გამოსახულებამ რამდენიმე წუთის შემდეგ ბრუნვა დაიწყო. მოძ-

რაობა რომ დაასრულა, თეთრწვერიანი მამაკაცის სახე მიიღო, ოდნავ აწეული სახით – ცისკენ იცქირებოდა, საიდანაც ღრუბლებისგან წარმოქმნილი თეთრი ცხენი გამოჩნდა და თეთრწვერა მამაკაცის ახლოს გაჩერდა. ჩამომიყალიბდა აზრი, რომ მე ვიხილე ერთარსება, თავისა და მხრების მარცხენა მხარე იყო ჩემი გამოსახულება, ხოლო მარჯვენა – მხარე თეთრწვერიანი მამაკაცისა, რომელთანაც მოვიდა თეთრი ცხენი. წლების მანძილზე ვცდილობდი ამომეხსნა ამ ხილვის საიდუმლო. ახლა უკვე შემიძლია განვაცხადო – **მე მაჩვენეს, თუ რა არის სინამდვილეში „ოქროს საწმისი“**.

განვიხილოთ ტყუპი და-ძმის თემა მსოფლიოს სხვა ხალხებთან:

ჩინური მითოლოგიით, სურათზე გამოსახულია ტყუპი „და-ძმა“, რომლებიც შემდეგ ქორწინდებიან, ისინი წელს ქვემოთ თევზებია, აქვთ გადაგრეხილი ბოლოები, ხოლო მარცხენა წელს ზემოთ ქალია, რომელსაც ხელში დაკეცილი მარაო (ფარგალი) – ქალური სიმბოლო უჭირავს, მარჯვენა კი – მამაკაცია, რომელსაც ხელში „გონიო“ – კუთხოვანი საგანი უკავია. მხრები გაერთიანებული აქვთ და ერთარსება სხეულის შთაბეჭდილებას სტოვებენ – თითოეულის მეორე ხელი არ ჩანს, ორსახა ერთარსებაა. წელს ზემოთ ადამიანის და წელს ქვემოთ თევზის სახით გამოსახავდნენ მერწყულის ზოდიაქოს. ამ სურათზე ჩინური მითოლოგია წინასწარმეტყველებს, თუ როდის უნდა მოხდეს ტყუპი და-ძმის შეერთება-შეუღლება. ეს კი მიგვანიშნებს ახ.წ. III ათასწლეულის დასაწყისზე, როცა დაიწყო მერწყულის ზოდიაქოს კოსმიური ორიათასწლეული.

ჩინეთი. კოსმიური და-ძმა.

შუმერის 5400 წლის ქვის ბეჭდის ფრაგმენტზე, მდინარის ბოლოს ასახულია ორსახა ღმერთი იანუსი, რომლის მარცხენა სახე არის თეთრწვერა მოხუცი, ხოლო მარჯვენა სახე – ქალი. მათ ტანი ერთი აქვთ, ერთარსებაა და აცვიათ ქალღმერთ ინანას ქვედაკაბა. იგი ასახავს სამყაროს მეოთხე საწყისს – ცა-ცეცხლის ენერგეტიკას, რომელიც გამოსახულია „დროის მდინარის“ – თევზის ზოდიაქოს ბოლოს, ეს კი დროში ახ.წ. 2000

წელს შეესაბამება. მაშასადამე, ტყუპი და-ძმის შერწყმა-შეერთება ამ მინიშნებითაც უნდა მოხდეს ახ.წ. III ათასწლეულის დასაწყისში.

ძველი ცივილიზაციის ყველა ხალხში არსებობს მითი ტყუპი და-ძმის შესახებ, რომლებიც შემდგომში ქორწინდებიან. მითების მიხედვით, ძმა წვალებით, ბრძოლით იბრუნებს თავის „და“-ს ზოგიერთი ცხოველის დახმარებით – ქალღმერთი ცხოველებით მოდის და ითვლება მზის შვილად. იგი ასახავს „დღეს“ – „მზეს“, ხოლო „ძმა“ ასახავს „ღამეს“ – „მთვარეს“. ეს არის ორი საპირისპიროს შეერთება. ამ საკითხს რიტუალის დროს ასე გამოხატავდნენ: სახის სხვადასხვა მხარეს სხვადასხვაფრად იღებავდნენ – ერთი მხარე იყო შავი, მეორე – თეთრი; სვანებთან „ადრეკილაის“ დღესასწაულზე ერთი კაცი იყო თეთრი, მეორეს სახეს შავად მურავდნენ; გამოხატავდნენ ორსქესიანი ანდროგენი არსებების გამოსახულებით. ადამიანის კოსმიური ტყუპისცალი მისი ორეულია, მეორე „მე“, ადამიანის კოსმიური ჩრდილია; აგრეთვე უწოდებენ „ტყუპი ღრუბლებში“. ბოლო პერიოდში გადაღებულ ფოტოსურათებზე ფიქსირდება ადამიანის კოსმიური ჩრდილი, რაც, ვფიქრობ, მომავალში მეცნიერთა მიერ სერიოზული შესწავლის საკითხი უნდა გახდეს.

შუმერი. ორსახა ღმერთი.

„ოქროს საწმისი“ რუსულ ენაზე გამოითქმის „Золотое руно“. სიტყვა „რუნო“ რუსულ მეტყველებაში მხოლოდ „ოქროს საწმისთან“ მიმართებაში იხმარება. სიტყვა „რუნ“ ნიშნავს „საიდუმლო“-ს, იგივე „რა-უნ“. ორივე ქართული ანბანის ასო-ნიშნებია: 19-რ-რა-რაე ეგვიპტის ტაროს არკანებით (საიდუმლო) არის **„მზე“**, ხოლო 22-უ-უნ, ევროპელთა რუნების მიხედვით, არის „დღე“. ეგვიპტის ტაროს არკანები და ევროპელთა „რუნები“ არის ანბანის სიმბოლიკით გამოსახული კოსმიური ცოდნა ღრმერთზე, ადამიანსა და სამყაროზე, რომლის ცოცხალი გენეტიკური კოსმიური პროცესი გადმოცემულია მითებში და ყველაზე დიდი სიღრმით მხოლოდ ქართულ ანბანში აისახება – ეს არის ბიბლიური კაბალას ცოდნა. ქართული წყაროების მიხედვით, „მზე“ და „დღე“ ორივე მზეა.

მაშასადამე, **„ოქროს საწმისი“ – „Золотое руно“ ნიშნავს „ოქროს საიდუმლოს“ – „ორი მზის“ საიდუმლოს**.

ქართული მითოსით, 64-დან ბოლო ხვთისშვილი, ბერი, დობილიანი იახსარია. ისინი ყოველთვის ერთ წყვილს წარმოადგენდნენ და თაყვანსაც ერთად სცემდნენ. მითოსის მიხედვით, ისინი **„ნახევარმზეებია“** და წინასწარმეტყველებით „8 დღის“ შემდეგ ერთდებიან – „შეუღლდებიან“, ანუ ორივე „ნახევარმზე“ ერთდება მთლიან „მზედ“. ქართული მითოსით შეუღლებული „და-ძმა“ არის გამთლიანებული „მზე“, ანუ „ოქროს საწმისი“ – ორი ნახევარმზის გამთლიანება ერთ მთლიან „მზედ“.



კახეთი. ოქროს საწმისი. (სიღნაღის მუზეუმი)

ქართველთა ამ აზროვნებას ზუსტად ასახავს არქეოლოგ კიაზო ფიცხელაურის ხელმძღვანელობით კახეთში, ფევრების სამაროვანში აღმოჩენილი ბრინჯაოს ნაკეთობა, რომელსაც აქვს 4 ფეხი, 2 ხელი – ჩიტები, ტანი ერთი, **თავი ორი ნახევარმზეა** – ორი სვასტიკა, მბრუნავი მზე. აშკარაა, რომ ეს არის ორი ნახევარმზის, ორი არსების – კოსმიური „და-ძმის“ შერწყმა. ეს გამოსახავს სწორედ, ქართული აზროვნებით, „ოქროს საწმისს“ – „ორ მზეს“. ბრინჯაოს ეს ნაკეთობა რომ აღმოსავლეთ საქართველოში, კახეთშია აღმოჩენილი და წარმოდგენილია სიღნაღის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში, შემთხვევითი არ არის.

საინტერესო ინფორმაციაა გადმოცემული ენციკლოპედიაში (Мифи народов мира т.1 1980г. „Аргонавты“, ст.99.) არგონავტების მითის შესახებ, რომლის მიხედვითაც, „ოქროს საწმისის“ მოსაპოვებლად ბერძნები „არგოს“ ნავით ორჯერ ჩავიდნენ ქალაქ „Кизики“-ში, რაც ქართულად იკითხება როგორც „ქიზიყი“. შეგახსენებთ, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთ უძველეს ქალაქს – სიღნაღს ადრე „ქიზიყი“ ერქვა. მითის მიხედვით, ის ქვეყანა, სადაც ქ. „ქიზიყი“ მდებარეობდა, „დალიონი“-ს

ქვეყანად იწოდებოდა. სიტყვიდან „დალიონი“ – „დალი-ონი“, „დალი“ ქართველთა ქალღმერთია, ხოლო ქართული ანბანის „ო-ონ“ ასო-ნიშნით გამოხატავდნენ ქართველები უძველეს ქართულ ხელნაწერებში სიტყვა „უფალს“. მაშასადამე, სიტყვა „დალიონი“ ქართული ფენომენია. მითის მიხედვით, „დალიონის“ ქვეყანაში არგონავტები დიდი ზეიმით მიიღეს და გაისტუმრეს. ზღვაში ღამის სიბნელეში მათ თავს დაესხნენ ურჩხულები, რომელთა დამარცხების შემდეგ გზა განაგრძეს. საწინააღმდეგო ქარმა ხომალდი ღამით ისევ ქ. „ქიზიყი“-ში მიიყვანა (არსებობს ინფორმაცია, რომ ერთ დროს შავი და კასპიის ზღვები ერთიანი იყო. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია, ზღვის ნაპირი სწორედაც ქ. სიღნაღთან – ქიზიყთან ყოფილიყო). დალიონის ხალხმა სიბნელეში არგონავტები ვერ იცნო, თავიანთი მტრები – „პელაზგები“ ეგონათ და დაიწყეს მათთან ბრძოლა. დილით კი ყველაფერი გაირკვა. ამ მითის მიხედვით, აშკარაა, რომ ბერძნები და პელაზგები სხვადასხვა ხალხია და ქართველები პელაზგებს თავიანთ დაუძინებელ მტრად თვლიდნენ. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შემთხვევითი არ არის, რომ წმინდა ნინომ ქ. სიღნაღში (ქ. ქიზიყში) დაასრულა თავისი მოღვაწეობა და იქვე ჰპოვა თავისი საბოლოო განსასვენებელი.

მზის თაყვანისმცემელთა რელიგია, ასეთი ხატის მამულად (სატახტო ქალაქად), როგორც წესი, ქვეყნის აღმოსავლეთ პროვინციას ირჩევდა. ახ.წ. I საუკუნეში ცნობილი მოგზაური სტრაბონი აღწერს იბერიის აღმოსავლეთ საზღვარზე სატაძრო მამულს – კამბისენას (კამბეჩოვანს), ანუ ქიზიყს (ადრე ეს სახელი მხოლოდ სიღნაღს ერქვა). აქ მდებარე იბერთა უმთავრეს საკულტო ტაძარს იგი ქალღმერთის საკუთრებად ასახელებს (ქართველთა წინაპრებს მზე ქალღმერთად ჰყავდათ წარმოდგენილი, რაც კაცობრიობის უძველესი ხალხისთვისაა დამახასიათებელი) და დაწვრილებით აღწერს მისთვის მსხვერპლად შეწირვის რიტუალს („საქართველოს ისტორიის ნარკვევები“ 1970წ., ტ. I, გვ. 585).

ჩემი მშობლები წარმოშობით სიღნაღის რაიონიდან – ქიზიყიდან არიან. ბავშვობაში გამიგონია და დღემდეა შემორჩენილი თქმულება იმის შესახებ, რომ ქიზიყს ბატონი არასოდეს ჰყოლია. ეს საკითხი ყოველთვის მაინტერესებდა და ჩემში კითხვებს ბადებდა, თუ რა იყო ამის მიზეზი. ახლა უკვე ნათელია: ვინაიდან ქიზიყი უძველესი წარმართობის

პერიოდიდან ხატის მიწად – მამულად ითვლებოდა, ამიტომ მას ჩვეულებრივი მოკვდავი ვერ დაეპატრონებოდა. ამიტომ ქიზიყს არასოდეს ჰყოლია ბატონი.

სიღნაღის კიდევ ერთხელ დათვალიერებისას გადავხედე გალავანს შიგნით მოქცეულ უძველეს ქალაქს და შემექმნა შთაბეჭდილება, რომ იგი ბორჯღალს ასახავს – მზის, ცეცხლის სტიქიის სიმბოლურ გამოსახულებას, რომლის თითოეულ ბოლოზე ეკლესიაა აშენებული. ეს აზრი გავუზიარე რაიონის კულტურის განყოფილებას და გამგებელს, მოვითხოვე ქალაქისთვის გადაეღოთ აეროფოტო და ეს სურათი ქალაქის ცენტრალურ მოედანზე „ბილბორდის“ სახით წარმოედგინათ. ამითი მთელი სიცხადით წარმოვაჩენდით სტრაბონის მიერ I საუკუნეში აღწერილ მზის – ცეცხლთაყვანისმცემლობის საკულტო ტერიტორიას. ქართველები ცივილიზაციის პირველსაწყისი გენის ხალხი ვართ, ამიტომ ამ საკითხების შესწავლა და წარმოჩინება კაცობრიობის წინაშე ქართველი ხალხის პირდაპირი მოვალეობაა.

განვიხილოთ ხეთების „ოქროს საწმისიანი ცხვარი“: **ორთავა ცხვარზე** დგას ხეთების ქალღმერთი, რომელსაც ხელებით უჭირავს გაშლილი „საჩრდილობელი“ – მოსასხამი – ე.წ. „კრეტსაბმელი“. ერთი შეხედვით, იგი გამჭვირვალე და ჰაეროვანი „მატერიაა“. „საჩრდილობელსა“ და ქალღმერთს შორის გველი ჩანს, რასაც „ადამ და ევას“ ღრმა ფილოსოფიურ კოსმიურ გააზრებამდე მივყავართ. აშკარაა, რომ ხეთებთან უფრო დაშიფრული სიმბოლიკითაა გამოსახული „ოქროს საწმისის“ კოსმიური „ძმა“; ბერძნებთან კოსმიური ძმა ჩრდილის სახითაა, ამიტომ ხეთების „ოქროს საწმისიანი“ ორთავა ცხვრის თემა ქართველთათვის მეტად მნიშვნელოვანი საკითხია. ვინაიდან, სწორედ ქართველები არიან ის ხეთები, რომელთაც დღემდე ვერ მიაგნო მსოფლიოს მოაზროვნე საზოგადოებამ. განვიხილოთ სიტყვა „ხეთი“. „ხე-თი“-ს ფუძეა „ხე“, რომელიც სიცოცხლის ხესთანაა დაკავშირებული. მას ეს სახელი იმ ენაზე მოსაუბრე ხალხმა დაარქვა, რომლის მეტყველებაში სიტყვა „ხე“ ნიშნავს „ხე“-ს, რაც მითოლოგიურად უკავშირდება „სიცოცხლის ხე“ „მესი“-ს, საიდანაც წარმოსდგება სიტყვა „მესია“. ამასთან, საქართველოს ტერიტორიაზეა კა**ხეთი**, კუ**ხეთი**, მეს**ხეთი**, ჯავა**ხეთი**, კოლ**ხეთი** და საქართველოს დედაქალაქის სახელიც – მცხ**ეთა** უკავშირდება „სიცოცხლის ხეს“.



ხეთების „ოქროს საწმიასიანი“ ცხვარი

ბოლო წლებში ოთხრქა და ოთხყურა ცხვრების დაბადება საქართველოში, კერძოდ, ხევსურეთში უდიდესი კოსმიური მოვლენაა – **ხეთებთან „ოქროს საწმისის“ ცხვრის ორი თავი დღეს ერთ თავში შეთავსდა და ამიტომაა ოთხრქა და ოთხყურა.**

სწორედ ეს არის უმნიშვნელოვანესი ნიშანი, დასტური იმისა, რომ „ოქროს საწმისი“ დედამიწაზე – საქართველოში დაბრუნდა.

ერთ-ერთი ქართული მითი გვეუბნება: „დობილიანმა იახსარმა დევები ბრძოლისას ტბაში ჩახოცა, დევების სისხლმა ტბა შეადედა და დობილიანი იახსარიც სისხლით შედედებულ ტბაში ჩარჩა. ქადაგის კარნახით, მოიძიეს „ოთხრქა-ოთხყურა“ ცხვარი და სოფ. „ქალქვისთავიდან“ მოიყვანეს, წმინდა ზვარაკის წმინდა სისხლმა შედედებული ტბა გააწმინდა და დობილიანი იახსარი „ამობრძანდა“. დობილიანი იახსარისთვის შესაწირავად სახელდებული „ოთხრქა-ოთხყურა“ ცხვრების თითო-ოროლი „ეგზემპლარი“ კვლავ გამოჩნდა ფშავ-ხევსურეთის სალოცავებში შესაწირად: გუდანის და ლაშარის ჯვრებში. არის ინფორმაცია, რომ ასეთივე ჯიშის ცხვრები გამოჩნდნენ პირენეებში – ბასკების ქვეყანაში. შეიძლება ამ ცხვრებმა „დროთა კავშირი“ შეკრან და ბასკთა და ქართველ იბერთა ნათესაობის ახალი საიდუმლო გაგვიმხილონ: იბერთა რასის გენურ კოდებს ევროპაში დაემატოს „ჰერალდიკურ ცხოველთა“ ჯიშების გენური კოდი, ეს ჭეშმარიტად სარკვევი თემაა“. („მითი და ტრადიცია“, წიგნი III, მთ. რედაქტორი კობა არაბული).

ხევსურეთის ოთხრქა – ოთხყურა ცხვარი

მსოფლიოს უძველესი ხალხი და მათ შორის ქართველები, ჯერ

კიდევ 3-4 ათასი წლის წინ, მიცვალებულს სამარხში ემბრიონის პოზით კრძალავდნენ, ქალს მარცხენა მხარეს, კაცს – მარჯვენა მხარეს გადაბრუნებულს, ისე, როგორც სურათზეა გამოსახული. ეს იმას მოწმობს, რომ ქართველებმა ჯერ კიდევ შორეულ წარსულში იცოდნენ, რომ ყველა და ყველაფერი პირველსაწყისს უბრუნდება და აქედან გამომდინარე, მიცვალებულს უბრუნებდნენ ემბრიონის მდგომარეობას – ისეთს, როგორიც იყო დედის მუცელში – დაბადებამდე. **ქართველებმა ასევე იცოდნენ, რომ ადამიანის მარცხენა მხარე მდედრია და მარჯვენა – მამრი, ამიტომაა სამარხებში ქალები მაცხნივ გადაბრუნებული, ხოლო კაცები – მარჯვნივ. ასე დიდი და ღრმა იყო ქართველთა კოსმოგონიური ცოდნა.**

ქურუმი ქალის სამარხი
ბორჯომის ხეობიდან

ადამის ცივილიზაცია იბერიის დიდი ცივილიზაციის ნაწილია, სიტყვა „**იბერია**“ ქართული ფენომენია და სიტყვა „ბერი“-დან წარმოსდგება – სიტყვის ძირითადი ფუძეა „ბერი“. ქართველებს მეტყველებაში გვაქვს სიტყვები: ბერი, ბებერი, ბერდედა, დედაბერი. არ მეგულება სხვა ენაზე მოსაუბრე ხალხი, რომელთა ენაში „ბერი“ – „ბებერი“ ღრმად მოხუცს ნიშნავდეს და იხმარებოდეს როგორც ქალის, ისე კაცის მიმართ – ბერიკაცი, დედაბერი.

ბოლო წლებში სიტყვა „იბერია“ ქართველებმა შეცვალეს სიტყვით „ივერია“, რაც ენერგეტიკულად „ვერ“ შემდგარ „ერ“-ს ნიშნავს. ასევე სიტყვა „ივერია“-ს თუ უკულმა წავიკითხავთ, მივიღებთ სიტყვას „აირევი“. ვინაიდან სიტყვის ძალას სამყაროში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, საქართველოსთან მიმართებაში აუცილებლად უნდა ვიხმაროთ სიტყვა „იბერია“ და არა „ივერია“, ვინაიდან ეს სიტყვა საქართველოსთვის დამანგრეველი ენერგიის მატარებელია.

ქართველები იბერიის დიდი ცივილიზაციის საწყისი გენის მატარებელი ერი ვართ. საქართველოს ოდითგან „იბერია“ ერქვა. იბერიის ცივილიზაცია ქართული გენის გამოვლინებაა. ერთ დროს მთელი მსოფლიო იბერიის გენის ხალხით იყო დასახლებული და ყველა ერთ ენაზე – ქართულ ენაზე ლაპარაკობდა.

ქართული სიტყვა **„იბერია“** „ოქროს საწმისის“ სიმბოლური და ენერგეტიკული ასახვაა, სადაც „ი-ინ“ – სამყაროს დიდი დედაა; ბერ-თეთრწვერა მოხუცია, იგივე ქართველთა იახსარი. მსოფლიოს უძველესი ხალხი თაყვანს სცემდა თეთრწვერა მოხუცს. ამერიკის კონტინენტზე უძველესი ტომებიც თაყვანს სცემდნენ თეთრწვერა მოხუცს, თუმცა მათ წვეროსანი მამაკაცი არ ენახათ – მათ მამაკაცებს წვერი არ ჰქონდათ; „ია“ – პატარძალია. შუმერების ქალღმერთი „აია“ პატარძალია, მზე „უთუ“-ს „და“ და მზე „შამაშის“ მდედრული ცალია, რომელიც გაიგივებულია დედა ცხვართან. მაშასადამე, სიტყვა „იბერია“ „ოქროს საწმისის“ გამომხატველია. ხოლო თვით „იბერიის ხვთისმშობელი“ არის მფლობელი „ოქროს საწმისისა“. იგი თვითონ არის „ოქროს საწმისი“, ვინაიდან სიტყვები **„იბერიის ხვთისმშობელი“** განუყოფელია, ერთარსია. მსოფლიოს უძველესი ცივილიზაციის ყველა ხალხი ცეცხლის სტიქიას ქალის – მზის სახით გამოსახავდა. ქართველებს მიაჩნდათ, რომ „მზე“ ქალია, „მზე დედაა ჩემი“. ქალღმერთ დალის თმა მზის სხივთა სიმბოლოა, ცეცხლის მფლობელი უხსოვარი დროიდან იყო ქალი-ქალღმერთი. ამას მოწმობს ქართველ ქალთა სახელები: მზექალა, მზეო, პირიმზე, მზევინარი და ა.შ. შუმერების ქალღმერთ ინანას მსგავსად, იბერიის ხვთისმშობელი იყო დედოფალი ცისა და გახდა დედოფალი მიწისაც. შუმერთა ქალღმერთი „ინ-ან-ა“ არის ერთიანობა „ინ“ და „ან“ ორი საპირისპირო ენერგიისა. შუამდინარული მითოსით, ინანა-იშთარი ორბუნებოვანია – დღისით წვეროსანი, მამრი და მეომარია, ხოლო ღამით ქალია – სიყვარულის ქალღმერთია. კიბელას ქურუმი ქალები ხელოვნურ წვერს ატარებდნენ. ქართული მითოსით, ცისკრის ვარსკვლავი ვენერა – აფროდიტა დღისით მთიებია, მთის კაცია, მონადირეა, მეომარია; ხოლო ღამით სიყვარულის ქალღმერთია. ამ საკითხის ნათელი დადასტურებაა დაგონების (სუდანის) ორი ნომმოს გამოსახულება, რომლის სახის ერთი მხარე წვეროსანი მამაკაცია, მეორე – ქალია.

ჩემი ხილვების უმეტესი ნაწილი თეთრწვერა ბერის ხილვას უკავშირდება. სულეთის ღმერთი, მითოსის მიხედვით, არის თეთრწვერა მოხუცი, რომელიც ზის ოქროს ტახტზე და ხელში ოქროს კვერთხი უკავია.

მითების მიხედვით, სამყაროს ცენტრად მოიაზრება წმიდა მთის შუაში განთავსებული გამოქვაბული, რომელშიც შენახულია სამყაროს გული-მზე, საიდუმლო განძი, ყველაზე დიდი სიმდიდრე – ოქრო. ამ აზრს გამოსახავს ქართული სიტყვები „მზის გული“ და „ოქროს გული“. იოგების დახმარებით, ჩემს სხეულში გულის ადგილას ვიხილე ჩემს სახლში გადაღებულ ფოტოსურათებზე აღბეჭდილი, თვალისთვის უხილავი ნათელი სფერო – სავსემთვარისმაგვარი, რაც ამავდროულად გარდაისახა **„მზედ“**, რომელიც ყველა მიმართულებით აფრქვევდა სხივებს.

„მზე“ – სამყაროს გული, ღმერთის სასუფეველი, წმინდა წყლის ალმასი, სიცოცხლის წყაროა, პირველი იწყებს და ამთავრებს სიცოცხლეს, ადამიანი გულით ფიქრობს, აზროვნებს, მიკროკოსმის ერთგვარი ცენტრი და მზეა. მეტად საინტერესოა ქართული სიტყვა **„გულქართლი“** – იგივე გულმართალი, გულწრფელი, ანუ სუფთა გული. ვფიქრობ, ამასთანაა დაკავშირებული სიტყვები **„ქართლი“**, „მართლმადიდებელი“. რელიგიური რიტუალებიც ხომ იმას ემსახურება, რომ ადამიანებმა „გულები“ განიწმინდონ.

მითოლოგიურ აზროვნებაში მზე ოქროდ, ცეცხლად მოიხსენიება, პლანეტები გაიგივებულია ლითონებთან: მზე ოქროა, მთვარე – ვერცხლი.

ქალღმერთის ეტლი ოქროსია, რომელშიც შებმულია ჩიტები – ბელურები. ეს აზროვნებაა ასახული სიღნაღის მუზეუმის „ოქროს საწმისზე“. ქალღმერთ აფროდიტას ეპითეტია „ოქრომრავალი“.

ოქრო ყველა ვითარებაში ინარჩუნებს სიწმინდეს; იგი სრულყოფილებაა, კეთილშობილებაა. ამიტომ სარიტუალო ნივთები ძირითადად ოქროსგან მზადდება. ეგვიპტეში ოქრო მზის ღმერთის – „რა“-ს სხეულს, ხოლო აცტეკებთან მზის ღმერთის სახეს განასახიერებდა. ზეინფორმაციის მატარებელია ცეცხლი – ალი – კოსმიური მზე. ინდურ ლიტერატურაში ნათქვამია: **„კი არ იბადება ნათელი, არამედ თავისუფლდება“**. უმაღლესი ენერგია უმდაბლესი ენერგიითაა გადაფარებული. ინდუიზმში ის მიწისქვეშა ნათებაა, ბუდიზმში სულიერი გასხივოსნება. ცნობილია **ბუდას 37 გასხივოსნება**, რაც სამყაროს გენეტიკური კოდის – ქართული ანბანის 37 ასო-ნიშანს უკავშირდება. ოქროს ყოველთვის ადარებდნენ

მზეს. მზის შვილებად ითვლებოდნენ ეგვიპტელი ფარაონები. მათი მზის საკულტო ქალაქი იყო „ჰელიოპოლისი“ (ბერძნულად), **„ონი“** (ძველეგვიპტურად), სადაც ფარაონმა ეხნატონმა (ძვ.წ. XIVს.) მზის კულტი უზენაეს ღმერთად აღიარა. ქართველ მეფეთა გვარი **„ბა-გრ-ატი-ონი“** ღრმად კოსმიური სიტყვაა. იგი ცხენზე მჯდომ ღმერთს, თეთრ გიორგის და მზის კულტს უკავშირდება, ისევე როგორც ეგვიპტური სიტყვა „ფარაონი“.

დღეს მკვლევართა ერთი ნაწილი თვლის, რომ ქართველი მეფეები – ბაგრატიონები ებრაული წარმომავლობის არიან. ქართველ მეფეთა ებრაული წარმომავლობა საეჭვოდ მიმაჩნია, ვინაიდან ქართულ სახელმწიფოს ბაგრატიონთა შტომდე ფარნავაზიანთა დიდი შტოს მეფეები მართავდნენ. ქანაანში ებრაელებს – აბრაამს მიწის ნაკვეთი სარას დასასაფლავებლად ქანაანში ხეთების მეფემ აჩუქა. სიტყვაში „ქანაანი“ „ქან“ და „ანი“ ქართული ასო-ნიშნების მეორადი სახელებია. ჯერ კიდევ პირველი ადამიანები ასო-ნიშნებს ღმერთების ფუნქციას ანიჭებდნენ. სიტყვა „ხეთი“ ქართული სიტყვაა და სიცოცხლის ხეს უკავშირდება. ქანაანი იყო იბერიის ცივილიზაციის ნაწილი, რომელმაც დაიწყო ადამის ცივილიზაცია. **იბერიის ცივილიზაციის გენეტიკური ჯაჭვის ერთ-ერთი შემადგენელი რგოლია ადამის ცივილიზაცია**. ქანაანის ხეთების სახელმწიფო იმ პერიოდისთვის იყო ჩამოყალიბებული კულტურული ცენტრი, ჰყავდათ „მეფე“, ჰქონდათ სახელმწიფო შესაბამისი კანონებით, რომლის მიხედვითაც, უცხო ტომის ხალხს მათ ქვეყანაში მიცვალებულის დაკრძალვის უფლება არ ჰქონდათ. ეს საკითხი ბიბლიაშია აღწერილი. მაშასადამე, **ქანაანელთა მიწა-წყალი ოდითგანვე ქართველი ერის და გენის კუთვნილება იყო და პირველი ებრაელი – აბრაამი ე.წ „აღთქმულ მიწაზე“ ქართველმა – ხეთების „მეფემ“ დაასახლა. ხეთის ფინაშე ქანაანი ქართველთა ძირძველი მიწა-წყალია. ქართველები ბიბლიური კაბალას პირველსაწყისი გენის მატარებელი ხალხია, რომელსაც ამ ცოდნის შესატყვისი ქართული ანბანი, მითოლოგია და წეს-ჩვეულებები გააჩნია. შუმერული კაბალას მიხედვით, ქართველები „მე“-ს გენეტიკური კოდის ხალხია, ამიტომ ასეთი ხალხი უცხო გენის – „არა-მე“-ს კოდის ადამიანს არ გაამეფებდა და პირველ ქართველად არ აღიარებდა**. იმ პერიოდისათვის ასეთ საკითხს ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. თვითონ ებრაელებმა აკრძა-

ლეს ქორწინება სხვა ხალხთან და სხვა ქალისგან გაჩენილი შვილები უკანონოდ გამოაცხადეს. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ისტორია ბაგრატოვანთა გვარის ებრაული წარმომავლობის შესახებ მოგვიანებით შექმნილი ზღაპარია ისევე, როგორც თბილისის ისტორიული წარმოშობის ხოხბის ზღაპართან დაკავშირება, რაც თბილისის არქეოლოგიურმა გათხრებმაც დაადასტურა – ქ. თბილისის ტერიტორია დასახლებული ყოფილა ვახტანგ გორგასალის მეფობამდე დიდი ხნით ადრე. თითქმის ყველა სახელმწიფოში მეფეები „მზის“ შვილებად ითვლებოდნენ. „მზე“ ინკების წინაპარი იყო. თითქმის ყველა სახელმწიფოშია აღმოჩენილი მზის და ცეცხლთაყვანისმცემლობის კულტის კვალი. სწორედ ამას უკავშირდება ქართველ მეფეთა გვარი „ბაგრატიონი“.

აუცილებელია შევეხოთ **„არგოს“** ნავის თემას. იგივე „არგ“-„არკა“-„არგხა“ – **ზეციური ნავი**, სიცოცხლის ეტლი, მზის ეტლი, ქალური დამბადებელი ენერგიის შემცველი, დროის ბორბალი, მზის ხილული წრიული გზა, ეტლისმაგვარი კიდობანი, ზეციური ეტლი. გემი განასახიერებდა ეკლესიას. **ზეციური ხომალდი შედარებულია ადამიანის სხეულთან, რომელიც სულის ტაძარია და რომლითაც სულმა ყოფიერების ოკეანე უნდა გადაცუროს**, ამიტომ ფარაონთა აკლდამის ინვენტარში ნავი აუცილებელი რამ იყო. ზოგჯერ თვით სარკოფაგს აძლევდნენ ნავისმაგვარ ფორმას. ვფიქრობ, ამას ასახავს მიცვალებულთა დღევანდელი ჩასასვენებელიც. სამყაროს დედას უძველეს გამოსახულებებში აუცილებლად ხელში პატარა ნავი უჭირავს. ნებისმიერი მიკრო თუ მაკრო სამყარო ერთგვარი ზეციური ნავია. ეს საკითხი არც ქართველთათვის იყო უცხო. ამას მოწმობს საქართველოში, მთა-თუშეთში, სოფ. ფარსმაში აღმოჩენილი ქვა, რომელზედაც გამოსახულია ზეციური ნავი.

ეტლი მზის ასტრალური სიმბოლოა. **სიტყვაში „აიეტი“ „ინ“ და „იან“ – ორი საპირისპირო საწყისის ყოფიერების ბორბალი – ეტლი მოიაზრება.**

ადამიანი თვითონ არის „არგოს ნავი“, „გრალის თასი“, „ნოეს კიდობანი“, „ოქროს საწმისი“; ადამიანის სხეული მისი სულის „ტაძარია“, უფლის სახლია.

სიტყვა „ფაზისი“ ნიშნავს „არწივ მდინარეს“. მითოლოგიურად ხასიათდება, როგორც აბობოქრებული მდინარე, რომელიც ანგრევს და

წალეკვით ემუქრება ყველაფერს. შუმერები „არწივ მდინარეს“ გამოსახავდნენ „დროის მდინარეში“ – თევზის ზოდიაქოს შუაში მდგომი ღმერთკაცის სახით, ხელში „თეთრი მთის ქორით“ (არწივი, ორბი). იგი ჰაერის სტიქიის გაცხადებაა და დროში შეესაბამება ახ.წ. 1000წ. (შუმერის ქვის ბეჭედი, ლონდონი, ბრიტანეთის მუზეუმი. ძვ.წ. 3400წ.). ამ ქვის ბეჭედზე ასახული ჰაერის სტიქიის ღმერთკაცი, ქართველთა მითოლოგიით, არის ხვთისშვილი, ბერი, ნახევარღმერთი, მორიგის ნასახი „თერგვაული“. **თუ ჩვენ საქართველოში მოვიაზრებთ მდინარე „ფაზისს“, რა თქმა უნდა, ეს არის მდინარე „თერგი“, რომლის სახელიც დაკავშირებულია ხვთისშვილ „თერგვაულთან“.**

მთა-თუშეთი. ზეციური ნავი.

შუმერების „ფაზისი“ – „არწივ მდინარე“

არგონავტების მითს უკავშირდება **„მედეა“**-ს სახელიც. სიტყვა „მედეა“ „მე“ და „დე“ მარცვლებისაგან შედგება. „მე“ სუფთა ქართული სიტყვაა და სამყაროულ „მე“-ს ნიშნავს. „დე“- ქართულ სიტყვა „დედას“ უკავშირდება. ამასთან დაკავშირებით გავიხსენოთ აღმოსავლეთის „დაო დე ძინ“-ის ფილოსოფია, სადაც „დე“ ნიშნავს სულიერ აღმზრდელს, დედას – მატერიას. პირველსაწყისი „დაო“ „დე“-თი ნათელგამოვლინდება. სიტყვა „მედეა“ ქართული ფენომენია, სიტყვის საიდუმლო არსი თვით სიტყვაშია. ამაშია ქართული ენის კოსმიურობა.

უძველესმა ხალხმა სიმბოლოების დაშიფრული სახით დღემდე მოგვიტანა ცოდნა „ოქროს საწმისის“ საიდუმლოს შესახებ, რომელიც გამოიხატებოდა ცხენზე ან ცხვარზე მჯდომი და-ძმის სახით, ორსახა ღმერთის

– იანუსის სახით. საქართველოში აღმოჩენილია ორსახა ირმების გულსაკიდები, გამოსახავდნენ 8 ფოთლიანი ლოტოსით, 8 ქიმიანი ვარსკვლავით (4 მდედრი და 4 მამრი საწყისის გაცხადებაა), ბორჯღალით, რომელიც სამყაროს ცა-ცეცხლის სტიქიის გაცხადებაა და აერთიანებს სამყაროს ოთხივე პირველსაწყისს – მიწა, წყალი, ჰაერი, ცეცხლი. ოთხივე საწყისის ასახვაა სფინქსი (გასხივოსნებული) – ლომი, ხარ-ირემი, არწივი – ქორი, ქალი, რომელიც მითოლოგიურად მზის ქალღმერთს განასახიერებს და მისი წმინდა ცხოველია ცხვარი. ფარაონთა სამეფოს სარიტუალო ნივთები ფარაონებს როგორც სიცოცხლეში, ასევე სამარხებში, ხელში უჭირავთ მარცხნივ ნახევარრკალი – ნახევარწრე (ადამიანში მარცხენა მხარე მდედრია), მარჯვნივ-კუთხედი (ადამიანში მარჯვენა მხარე მამრია), რაც „ინ“ და „იან“ ხვთაებრივი საწყისების ერთიანობის სიმბოლოა და რითაც ფარაონები თავის ხვთაებრივ უზენაესობას წარმოაჩენდნენ. ისინი არიან სახე კოსმიური ხვთაებრივი ცეცხლის – მზისა. იმავეს გააზრებაა სვასტიკა, საბჭოთა სიმბოლიკიდან ჩაქუჩი და ნამგალი.

მითოსის მიხედვით, დაკარგული „ოქრო“, განძი, რომელიც გამოქვაბულში არის დამალული, ბრუნდება 8 დღის შემდეგ. „ათასი ვითარცა ერთი“-ს დროის ფარდობითობა მსოფლიოს ყველა ხალხის მითოლოგიაშია გაჟღერებული. მაშასადამე, ქართული წელთაღრიცხვით, ადამის ცივილიზაციის დასაწყისიდან – ადამიდან 8 დღე არის 8000 წელი. ეს კი შეესაბამება ახ.წ. 2000 წელს. ზოგიერთი უძველესი ხალხი ამომავალი მზის წინაშე 8-ჯერ ჩაიმუხლებდა და თაყვანს სცემდა.

ქართული მითების მიხედვით, მორიგე ღმერთმა ხვთისშვილ თერგვაულს ქაჯების ურმით მოტანილი დიდი ოქროს ბურთი მისცა. ზემოთ განხილული მასალის მიხედვით, ხვთისშვილი თერგვაული ჰაერის სტიქიის გაცხადება – არწივ-მდინარე – დროის მდინარე „ფაზისია“, რომელიც ენერგეტიკულად ახ.წ. II ათასწლეულს განაგებს, რის შემდეგაც ახ.წ. 2000 წლიდან მოვიდა ცეცხლის სტიქიის – კოსმიური მზის ენერგია. ეს ემთხვევა ზემოთ მოყვანილ ნაწყვეტს ქართული მითიდან. ერთ-ერთი ქართული მითის მიხედვით, ქაჯებმა ქალს ოქროს საცერი, ხოლო ვაჟს ოქროს ფანდური აჩუქეს. უხსოვარ დროს, როცა ოჯახისა და თემის უფროსი ქალი იყო, ქართველთა უპირველეს ხვთაებად მზე ითვლებოდა.

იოვანე-ზოსიმეს „ქებაჲ“-ს წინასწარმეტყველებით, ახ.წ. III ათ. დასაწყისში მობრძანდება იბერიის ღვთისმშობელი, სამყაროს დედა, დედოფალი ცისა და მიწის, რომელიც ორი მზის გაცხადებაა: ერთი არის „ასი ესე წელი ანბანისაჲ“ – **„მზე“** (19-რ-რა-რაე-100 – ტაროს არკანებით არის „მზე“) და მეორე არის **„დღე“** (რუნებით 22-უ-უნ-„დღე“), რაც ემთხვევა ზემოთ წარმოჩინებულ საკითხს. სწორედ ამასთანაა დაკავშირებული ქართული ანბანის, როგორც სამყაროს გენეტიკური კოდის, უდიდესი საიდუმლოს გახსნის საკითხი.

ამ საკითხთან დაკავშირებით, გიამბობთ თბილისში მომხდარი ერთი მეტად მნიშვნელოვანი შემთხვევის შესახებ: „2002 წლის 2 ნოემბერს, მამა არჩილ მინდიაშვილის კურთხევით, ხვთისმშობლის ხატი ააბრძანეს მახათას მთაზე, სადაც მომლოცველები დაუჯდომელს უკითხავდნენ მას. სწორედ ამ დროს, მრევლმა ცაზე დაინახა საოცრება: გამოჩნდა ორი მზე, რომლებიც, დაახლოებით, ერთი საათის განმავლობაში კაშკაშებდა. აი, რას წერს ამის შესახებ ქ-ნ გულნარა კუკულაძე-ანთაძე: იმ დღეს, როცა ეს მზეები გამოჩნდა, საეკლესიო ნიშს აშენებდნენ. ნიშთან იდგა ჩვენს მიერ აბრძანებული ხვთისმშობლის ხატი. როცა ხატს მივუახლოვდი, ვიგრძენი, რომ ხატმა დამიძახა. ეს ხდება გულისთქმით და არა ხმით: „გამოდი გარეთ, სასწაული უნდა გაჩვენო“. ავიხედე ცაზე და ვხედავ, ძლიერი ნათებაა. ამ დროს გამორბიან ბავშვები და ყვირიან: კარიბჭის ხვთისმშობელია ცაზე, გამოდითო. უცებ საპატრიარქოს თავზეც გამოჩნდა მეორე მზე და იქაურობა საოცრად გაბრწყინდა – **ორი მზე** ჩანდა ცაზე. ეს გრძელდებოდა თითქმის ერთი საათი. ვხედავ, ზეციდან დიდ მასშტაბზე მოხუცი გადმოგვყურებს, რომელსაც მხარზე ხურჯინი აქვს მოკიდებული. ეს იყო **თეთრწვერა კაცის სახე**. ამ დროს ანათებდა ცაზე ორი მზე. გადმოიღო მოხუცმა ხურჯინი და თავზე დამაბერტყა: ხურჯინიდან გადმოვარდა კიდობნისმაგვარი რამ, გზაში გაიხსნა და იქიდან გადმოცვივდა უამრავი ფურცელი. ამ ფურცლებზე ეწერა ძველი ქართული ანბანი. მე შევშინდი, კიდობანი არ დამეცეს თავზე-მეთქი და გვერდზე გავიწიე. ფურცლები აიხვია, აიკრიფა და მეორე მზე რომ ჩანდა (საპატრიარქოს თავზე), იმის ირგვლივ დატრიალდა, მას შემოეხვია და მერე წერტილად იქცა. შემდეგ ყველამ დაინახა, როგორ გაიხსნა ცაზე ორი ცისარტყელა, მცირე ხნის შემდეგ ცისარტყელები შემოიძარცვა და მთელი საათი იხილვებოდა ასეთი Ѡ გამოსახულება“ (ჟურნ. „ფენომენი“ №4 2010წ.).

ყოველივე ზემოთქმული კიდევ ერთი დამოწმებაა იმისა, რომ ქართული ანბანი მეტაფიზიკურ მზესთან და ზესულიერებასთანაა დაკავშირებული, რომელიც თეთრწვერა მოხუცის სახით ეცხადებოდათ ადამიანებს.

ახ.წ. III ათასწლეული არის სამყაროს IV საწყისის ცა-ცეცხლის – „ოქროს საწმისის“ ხვთიური ენერგეტიკის ათასწლეული. ახალ ათასწლეულში შეიცვალა არსთა წრებრუნვის კოსმიური სურათი, რომელშიც აღარ არის კოსმიურ წმინდა მთაზე „მიჯაჭვული ამირანი“. ის იყო ახ.წ. II ათასწლეულის კოსმიურ პროცესში საიქიოს მთავარი მოსამართლე. მან უკვე შეასრულა თავისი კოსმიური მისია და სამყარო მიიყვანა „ცა-ცეცხლის“ ენერგეტიკის ათასწლეულთან. ჩემი აზრით, სწორედ ეს არის მიჯაჭვული ამირანის მიერ „ადამიანებთან ცეცხლის მოტანა“. ქართველთა „დალი“ ცეცხლის სტიქიის ქალღმერთია, ამაზე მეტყველებს მისი სახელი „დალი“ – „და-ალი“, სწორედ ამას უკავშირდება არგონავტების მითში მოყვანილი „დალიონი“-ს ქვეყანა – ქ. ქიზიყი (ქ. სიღნაღი).

ოქროს საწმისის – მზის – ცეცხლის სტიქიის ენერგიის სიმბოლური გამოსახულებები

ახ.წ. III ათასწლეულის არსთა წრებრუნვის კოსმიურ სურათში აღარ არის საიქიო სასამართლო – მიცვალებულთა სულები პირდაპირ გადიან გოგირდის და ცეცხლის ტბაზე, მიემართებიან სიცოცხლის ხისკენ, რომელსაც ორი ლომი დარაჯობს; სამოთხე – ხვთისმშობელი დაბრუნდა ედემში ადამთან და დაიკავა ადგილი მამის მარჯვნივ, რომელიც ამავდროულად არის კოსმიური მხედარი; ხვთაებრივი ბავშვი – ქრისტე აღმოჩნდა დედის გულის ადგილას, ხოლო ბედის ბედაური – კოსმიური ცხენი გარდაისახა ცხვარად. მთლიანობაში, ერთი შეხედვით, კოსმიურ ცხვარზე სახით მარცხნივ – აღმოსავლეთისკენ სხედან კოსმიური მხედარი – გიორგი და სამყაროს დედა ხვთაებრივი ბავშვით. ეს წრებრუნვის სურათი შეესაბამება „ჰ-ჰაე“ ქართული ასო-ნიშნის ათასწლეულის ენერგეტიკას. მოხდა ორი ნახევარმზის, ორი ხვთიშვილის – კოსმიური „და-ძმის“, „ინ“ და „იან“ კოსმიური ენერგიების შერწყმა, რამაც წარმოქმნა გამთლიანებული „მზე“, რომელიც განაპირობებს სამყაროში IV საწყისის, ცა-ცეცხლის ენერგეტიკის **„მორიგეობას“**. სწორედ ამან განაპირობა დედამიწაზე პოლუსების შეცვლა, პოლუსებზე ყინულის საფარის დნობა და სხვა. იბადება ახალი ტიპის ადამიანი ინდიგო ბავშვების სახით, რომელთაც მომავალში განუსაზღვრელი მეტაფიზიკური შესაძლებლობები გაეხსნებათ. ეს ენერგეტიკა აისახება სამყაროში ყველაფერზე. ეს არის „ოქროს საწმისის“ – გამთლიანებული „მზის“ ენერგია. სამყაროში აღარ იქნება ურთიერთსაპირისპიროდ მოქმედი ენერგეტიკა, არამედ ისინი შეერწყმიან ერთმანეთს. დაისადგურებს ცის სასუფეველი – „ოქროს“ ხანა, სამყაროში დადგება დრო დიდი ჰარმონიისა. ეს პროცესი გარდაუვალია და დევს სამყაროს გენეტიკურ კოდში. ყველაფერი ერთიანდება, „მთლიანდება“. სამყარო უბრუნდება პირველსაწყისს და ემზადება ახალ ცივილიზაციაში გადასვლისთვის.

„ოქროს საწმისის“ თემა მსოფლიოს ყველა ძველი ცივილიზაციის ხალხისთვის ოდითგანვე ცნობილია. ეს არის ურთიერთსაპირისპირო „ინ“ და „იან“-ის, მდედრის და მამრის ორი პირველსაწყისის ერთიანობა, რომელსაც კოსმიური და-ძმის სახით გამოსახავდნენ. პირველსაწყისში ორივე ერთიანი იყო, შემდეგ გაიყო. ადამის ცივილიზაციის ბოლოს ისინი ისევ უნდა გამთლიანდეს, რასაც მითოლოგია მზეს, ოქროს, ცეცხლის სტიქიას უწოდებს. ეს ის ხვთაებრივი ცეცხლია, რომელიც, მითის მიხედვით, პრომეთემ მოუტანა ადამიანებს. ხვთაებრივი ცეცხლი არის უხილავი ღმერთის ხილული სახე, რომელიც აღდგომის დღეს ცხადდება იერუსალიმში.

მოვიყვანოთ ნაწყვეტი თომას სახარებიდან: „იესოს ეკითხებიან მოწაფეები: **„შევალთ ჩვენ ცათა სასუფეველში?“ იესომ მიუგო: „როცა ორს გადააქცევთ ერთად, როცა შინაგანს გადააქცევთ გარეგანად, ხოლო გარეგანს შინაგანად და ზემოთას ქვემოთად, როდესაც კაცი და ქალი ერთი გახდებიან ისე, რომ კაცი აღარ იქნება კაცი და ქალი აღარ იქნება ქალი, მაშინ**

თქვენ შეხვალთ ცათა სასუფეველში“ (თომა 27).

დაიწყო ახ.წ. III ათასწლეული, რომელიც არის „ოქროს საწმისის“ – „ცეცხლის სტიქიის“ აქტივობის ხანა დედამიწაზე. ცეცხლის სტიქია თავისთავში მოიცავს ოთხივე პირველსაწყის სტიქიას (მიწა, წყალი, ჰაერი, ცეცხლი). ყველა კატასტროფული მოვლენა, რაც კი დედამიწაზე მოხდება, აუცილებლად დაკავშირებული იქნება ოთხივე სტიქიის მაქსიმალურ გააქტიურებასთან. ამ პროცესში მთელი კოსმოსი იქნება ჩართული და მათ შორის ჩვენი მზის სისტემის პლანეტებიც. დადგა დრო დედამიწა გაიწმინდოს სიცრუის, სიყალბის, ბოროტების ენერგიისგან. შეიმეცნეთ თქვენი თავი და გარე სამყარო. გაითავისეთ, რომ სამყარო ერთიანი ცოცხალი ორგანიზმია. სამყაროში ყველას და ყველაფერს თავისი კოსმიური მისია აქვს. უფალს ზედმეტი არაფერი შეუქმნია. გაიწმინდეთ გულები, გახდით მართალნი და ჰარმონიულები. უფალი დაინახავს თქვენს გულებში ამ ცვლილებას. ეს არის კაცობრიობის გადარჩენის გზა.

თრიალეთის ოქროს და ვერცხლის თასები

გასული საუკუნის 40-50-იან წლებში საქართველოს თრიალეთში, ყორღანულ სამარხებში, აღმოაჩინეს ძვ.წ. XVIII – XVII ს.ს. ოქროსა და ვერცხლის სარიტუალო თასები, რომლებიც ტომის ბელადს ეკუთვნოდა და, რაც ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ ქართველთა წინაპრების მაღალ კოსმოგონიურ ცნობიერებაზე მეტყველებს. მათი აღმოჩენა აკადემიკოს ბორის კუფტინის სახელს უკავშირდება, რომელიც 20 წელზე მეტ ხანს თრიალეთის კულტურას იკვლევდა. იგი საქართველოში თვით ივანე ჯავახიშვილს მოუწვევია.

სიმაღლით 108 მმ და დიამეტრით 99 მმ-ის მქონე მთლიანი ფურცლისგან დამზადებული ვერცხლის თასი ორ იარუსად იყოფა. ზემოთა ნაწილში ცენტრალური ფიგურა ტახტზე მჯდომია, რომლის უკან სიცოცხლის ხეა განთავსებული, ტახტის ფეხებთან X-ს ფიგურაა გამოსახული, რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ ტახტი ცეცხლის სტიქიის ღმერთს ეკუთვნის. თაყვანისცემის ნიშნად მისკენ მიემართება 22 მამაკაცი, სახესა და ტანზე მგლის—ძაღლის ნიღბებითა და კუდით, ხელში უჭირავთ რაღაც ჭურჭელი, ფეხებზე აცვიათ ჭვინტიანი ფეხსაცმელები.

მგლის-ძაღლის, ლომის სახით ყველა ძველი ცივილიზაციის ხალხი მიწის სტიქიას გამოსახავდა. ქართველთა მითების მიხედვით, კოპალამ ლომი მოიპოვა, რომელიც ქაჯთა ძაღლი ეგონა.

ტახტზე მჯდომისკენ მიმავალნი ქართველთა ხვთისშვილები, მითოლოგიის მიხედვით, არიან: ბერები, ნახევარღმერთები, მორიგის ნასახნი, ბედის ბედაურის მფლობელები, ანუ თითოეული დროის გარკვეულ მონაკვეთში ქართველთა უზენაესი ღმერთის – „მორიგეს“ ადგილს იკავებს, ე.ი. განაგებს სამყაროს – იმ პერიოდის „ჭურჭელს“, ამიტომ ამ თასზე გამოსახულ ყველა ხვთისშვილს თავისი ჭურჭელი უჭირავს. ამავდროულად, ის ზეციური ნავია და თავისი სხეულით, ანუ თავისი სულის „ჭურჭელით“ უნდა გაიაროს ყოფიერების, დროის მდინარება. ამ აზრის სიმბოლური გამოხატულებაა ის, რომ თითოეულს ჭვინტიანი, ანუ ზეციური ნავის (არგოს ნავის) მსგავსი ფეხსაცმელი აცვია – ქართველთა ქალამნები. ასეთივე ფეხსაცმელები ეცვათ და ახლაც აცვიათ ტიბეტში კაილასის – შამბალას სარიტუალო დღესასწაულზე. თრიალეთის ვერცხ-

ლის თასზე ასახულ კოსმიურ პროცესში მონაწილეობს 22 მამაკაცი, რაც, კაბალას ცოდნით, ნულოვან არკანს შეესაბამება, რომელშიც ჩატვირთულია და მოიცავს 21 არკანთა კოსმიურ ენერგიას. 21-ე არკანი კი, კაბალას მიხედვით, არის „გრალის თასი“.

თრიალეთის ვერცხლის თასი

ვერცხლის თასის გარე გამოსახულებათა პირველ სართულზე ერთმანეთის მიმდევრობით 9 ცხოველია გამოსახული – 5 ხარ-ირემი და 4 ფურ-ირემი.

სარიტუალო ნივთებზე შემთხვევით არაფერს გამოსახავდნენ; ყველაფერი ერთიანობაში, სიმბოლიკის ენით, კოსმიური პროცესის რაღაც საიდუმლო ინფორმაციას გადმოგვცემს.

ვერცხლის თასს ზედხედში თუ დავხედავთ, ზედა სართულის გამოსახულებები საათის ისრის საწინააღმდეგოდ მოძრაობენ, ხოლო ქვედა სართულის გამოსახულებები – საათის ისრის მიმართულებით. თუ გავითვალისწინებთ, რომ ნებისმიერი მიკრო თუ მაკრო სამყაროს გარე ენერგია მოძრაობს საათის ისრის საწინააღმდეგოდ, ხოლო შიდა ენერგია – საათის ისრის მიმართულებით, რაც ქმნის „ინ“ და „იან“ ენერგიათა ურთიერთსაპირისპირო ენერგიათა მოძრაობას, მაშინ გასაგები ხდება, რომ თასზე ასეთი მიმართულებით განლაგებული გამოსახულებები შემთხვევითი არ არის და იგი თვითონ არის განსაკუთრებული კოსმიური ენერგიის მატარებელი.

თრიალეთის ვერცხლის თასი (ფრაგმენტი)

თრიალეთის ვერცხლის თასი არის სამყაროს მოდელის სიმბოლური გამოსახულება, „ღმერთის ბეჭედი“, „გრალის თასი“, „საწმისი“ – თვით „ადამიანი“-ს კოსმიური ენერგეტიკული ასახვა.

ქართველთა მითოლოგიით, სულის ღმერთი თეთრწვერა მოხუცია, ხელში ოქროს კვერთხით, ზის ოქროს ტახტზე. ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში სტრაბონს აღწერილი აქვს თეთრი გიორგობა კახეთში. სვანები მგლებს წმინდა გიორგის ძაღლებს ეძახიან. მიაჩნიათ, რომ წმინდა გიორგი მგლების მბრძანებელია. ქართველთა სწორედ ეს აზროვნებაა ასახული თრიალეთის ვერცხლის თასზე, რომელზედაც გამოსახულ ხვთისშვილებს სახეზე მგლის ნიღბები აქვთ, ხოლო ტანზე მგლის ტყავის ზედა სამოსი აცვიათ, რომელსაც კუდი აქვს შერჩენილი. ასეთ სამოსს ატარებდნენ სვანეთში მამაკაცები, რაც მიწის სტიქიის – დედამიწის ენერგეტიკული გააზრებაა. ქართველებს გვაქვს გამოთქმები: „ძაღლის ყბები გამომება“, „კაცი და ძაღლი ერთია“ (ქართულ აზროვნებაში დედაკაცი და მამაკაცი ორივე „კაცი“-ა), „ძაღლური ცხოვრება გვაქვს“, „ძაღლივით მშია“, „მგელივით მშია“, „ო, რა ძაღლი ხარ“, რაც ნიშნავს იმას, რომ ადამიანი თავის ყოფას, თავის თავს ხშირად ძაღლს ადარებს და ამ ცხოველს თავის თავში, თავის სხეულში აღიქვამს. მეცნიერებამ დაამტკიცა, რომ დედის სხეულში ჩასახული ბავშვი ბევრი ცხოველის სახეს იღებს, ვიდრე ადამიანად ჩამოყალიბდება და გაჩნდება. ეს იმიტომ ხდება, რომ სამყაროში ყველა და ყველაფერი ერთი გენეტიკური კოდით – ქართული ანბანის კოდითაა შექმნილი.

ოქროს თასი, ისევე როგორც ვერცხლის თასი, არსთა წრებრუნვის კოსმიური პროცესის სიმბოლიკის ენით გადმოცემული, კოდირებული, დაშიფრული ინფორმაციაა.

ოქროს თასი (სიმაღლე 73 მმ, დიამეტრი 78მმ) უნიკალური ტექნოლოგიითაა დამზადებული. იგი ბაჯაღლო ოქროს მთლიანი უნაკერო ფურცელია და დაკეცილია ისე, რომ ძირიდან იწყება და ძირშივე მთავრდება. მაშასადამე, თასის კედელი ორმაგი ოქროს ფურცელია და იქმნება შთაბეჭდილება, რომ ორი თასია ერთმანეთში ჩადგმული, რაც დღევანდელი ტექნიკის პირობებშიც კი განუხორციელებელია. ამ სიმბოლიკით წინაპრები გვაწვდიან ინფორმაციას, რომ „სამყარო“-„ჭურჭელი“ ორმაგი ჭურჭლისგან შედგება: სული და მატერია, „ინ“ და „იან“-ი, რომელიც არის ადამიანის „მე“-ს და მეორე „მე“-ს „ჭურჭლები“,

თრიალეთის ოქროს თასი

„სული“ „მატერიით“ ნათელგამოვლინდება, ანუ **ხორცშესხმული სული ორმაგი ჭურჭელია**, უნაკერო და ერთიანია. სწორედ ამაზე მიგვანიშნებს ის, რომ ოქროს თასი ერთიანი უნაკერო ფურცლისგანაა დამზადებული. მომავალში აღარ იქნება სიკვდილი, ადამიანის სული და სხეული ერთად ამაღლდება. ქრისტე სხეულით ამაღლდა სულთან ერთად, იგი არის „სიკვდილითა სიკვდილისა დამრთგუნველი“, რაც ნიშნავს იმას, რომ **ადამიანის სხეული თავის სულს სამარადჟამოდ მხოლოდ ადამის ცივილიზაციის გავლით უნდა შეუერთდეს.**

ოქროს თასი მოჭედილია ძვირფასი თვლებით, რომლებიც გრეხილ ოქროშია ჩასმული. მეტად საინტერესოა თასზე თვლების განლაგება. ზედა წრეში 30 თვალია ჩასმული. კაბალას მიხედვით, ციფრით „30“ გამოისახება შუმერთა „სინ“-ქრისტე, რომელიც არის 30-ე დღის ღმერთი და მისი სახელია „30“, რაც ქართული ანბანის კოდით, 12-ლ-ლას-30 ასო-ნიშნის კოსმიურობაა და კაბალას ცოდნით, მისი სახელია „ჩამოხრჩობილი“.

კაბალას ცოდნაში 24-ე არკანი ეკუთვნის „მატერიალურ სამყაროს“ – უმცროს არკანთა ჯგუფს. ქართული ანბანის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, თვით შუმერების ქალღმერთ ინანას ქვესკნელის სამეფოში შვიდი კარის გავლის შემდეგ (ერთ-ერთი კარი არის „წარღვნა“) გონდაკარგულს კავზე გადაჰკიდებენ, ანუ ჯვარზე გააკრავენ, რაც ემთხვევა ქართული ანბანის 24-ქ-ქან-600 ასო-ნიშნის შესაბამის კოსმიურ პერიოდს, ამავდროულად, ასომთავრული 24-ე ასო-ნიშანი ჯვრის სიმბოლოთი გამოისახება, რაც იგივე „კავი“ – ჯვარია.

ოქროს თასის ქვედა წრეზე განთავსებული 24 თვალიდან ამოდის 5 ორმაგი სპირალი, თითოეულში 12 თვალით. შეგახსენებთ, რომ სამყაროში 12 ზოდიაქო ქმნის „დროის ბორბალს“, „დროის სპირალს“ – „მანდალას“, რომლითაც ხდება ერთი განზომილებიდან მეორეში გასვლა-გარდასახვა. ხუთი სპირალი თითოეულში 12 თვალით უკავშირდება სამყაროს ოთხ საწყისს (მიწა, წყალი, ჰაერი, ცეცხლი). აღმოსავლეთში „ჰაერის“ სტიქია იყოფა ორად – „ხე“ და „ლითონი“, რაც ჯამში სულ ხუთ სტიქიას მოიაზრებს. ამავდროულად, მითოლოგია გვაუწყებს, რომ სამყარო იმყოფება განვითარების V ციკლში.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ოქროს თასის ძირი, საყრდენი – ფუძე, რომელზედაც გამოსახულია სწორი და ბოლნური ჯვრები, როგორც სამყაროს სიმბოლური გამოსახულება. სამყარო ჯვრის პრინციპით არის განსხეულებული; მის ოთხივე დანაყოფში განთავსებულია ოთხი სამკუთხედი, რომლებიც ერთი წვეროთი უკავშირდებიან ჯვრის ცენტრში მდებარე წრეს და ქმნიან „ბოლნურ“ ჯვარს. სამყაროს თითოეული უჯრედი განსხეულდება 4 საწყისით წარმოქმნილი 64 სამწნულით (ტრიპლეტით), რაც აისახება ჩინური კაბალას 64 ჰექსაგრამაში და ქართველთა 64 ხვთისშვილში, რომლებიც სამყაროს ძირითადი შემოქმედნი არიან. სწორედ ამ კოსმიურ პროცესს გამოსახავდნენ ჩვენი წინაპრები დაშიფრული კოდირებული ინფორმაციის – ბოლნური ჯვრის სახით.

თრიალეთის ოქროს თასით ქართველთა წინაპრები სამყაროში ცეცხლის სტიქიას – „ოქროს საწმისს“ გამოსახავდნენ.

გიამბობთ ერთი შემთხვევის შესახებ, რომელმაც დამარწმუნა, რომ ადამიანის სხეული არის თასი-ჭურჭელი თავისი სულისა. დაახლოებით 25 წლის წინ ჩემთან სტუმრად მოვიდა სამი ახალგაზრდა. ვსაუბრობდით სხვადასხვა საკითხზე. უცებ, საუბრის დროს შემაჩერეს და მთხოვეს აღმეწერა სიტყვიერად, თუ რას ვგრძნობდი. დავუკვირდი ჩემს შეგრძნებას, ვეცადე გამეზიარებინა მათთვის განცდილი: ვგრძნობდი, თავზე მედგა ძაბრის მაგვარი დიდი მბრუნავი კონუსი, ძაბრის ბოლო შემოსული იყო ჩემს ტვინში და მასში სპირალურად მოძრაობდა რაღაც სითხე თუ ენერგია, რომლის შეგრძნება შხაპის – მორბენალი წყლის წვეთების მსგავსი იყო. ამავე დროს, ნათლად ვგრძნობდი, როგორ ივსებოდა ჩემი სხეული ზედა კონუსის ქვედა წვეროდან შემოსული სითხით, რომელიც უკვე ჩემს სხეულში ქმნიდა ქვედა კონუსს, წვეროთი ზემოთ. ქვედა კონუსის სიმაღლე სითხის შევსებასთან ერთად იზრდებოდა სიმაღლეში ზემოდან ქვემოთ, ე.ი. შევსების სიბრტყე თანდათან გადაადგილდებოდა ზემოდან ქვემოთ, რაც ეწინააღმდეგება ფიზიკის კანონს: თუ ჭურჭელში სითხეს ზემოდან ჩავასხამთ, იგი ჩავა ფსკერზე და შევსების სიბრტყე თანდათან აიწევს ზემოთ. შევსების სიბრტყის ზედა და ქვედა ნაწილებში მოქცეულ ჩემი სხეულის მონაკვეთებს შორის ისეთი განსხვავება იყო, როგორც დღე და ღამე; ეს იყო ცარიელი და სავსე ჭურჭლის შეგრძნება. ნათლად ვგრძნობდი, რომ ჩემი სხეული როგორც ჭურჭელი, ივსებოდა ენერგეტიკული „სითხით“ არა ქვემოდან ზემოთ, არამედ პირიქით. ეს

სითხე არ ავსებდა ჩემს კიდურებს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ამ სისავსის შეგრძნება დღესაც მაქვს.

ბოლოს ვკითხე ახალგაზრდებს, თუ რას ხედავდნენ ისინი ჩემს თავზე. მათ აღმიწერეს, თუ როგორ შემოდიოდა ჩემში მამაკაცის „სილუეტი“ ხელში გადაშლილი წიგნით.

მსოფლიოს ხალხთა მითოლოგიით, თასი (ჭურჭელი) არის სამყაროს სივრცითი მიკრო მოდელი, რომელშიც ხორციელდება ხვთაებრივი სუბსტანციის გარდამოვლენა. ამ საკრალური ჭურჭლის მფლობელი თავადაც უკავშირდება ზეციურ ძალებს და იძენს მათ მადლმოსილებას. ამ საკითხთანაა დაკავშირებული „ოქროს საწმისის“ და „გრალის“ თასის არსი.

ადამიანის სული ინფორმაციული ჭურჭელია, ხოლო ადამის ცივილიზაციაში მისი გამოვლენა არის თვით ადამიანის სხეული, რომელიც არის სულის ოთხი საწყისით (მიწა, წყალი, ჰაერი, ცეცხლი) ნათელგამოვლენა, ანუ იმ მატერიაში განსხეულება, რომლის თვალით დანახვაც ადამის ცივილიზაციაშია შესაძლებელი.

ახ.წ. 2000 წელს, ქართული ანბანის გენეტიკური კოდით, დამთავრდა „Ӿ-ჯ-ჯან-8000“ ასო-ნიშნის კოსმიური პერიოდი. დადგა ცეცხლის სტიქიის ათასწლეული, რომელიც თავის თავში ოთხივე სტიქიის ენერგიის აქტიურობას მოიცავს. მაშასადამე, „Ӿ-ჯ-ჯან-8000“ ენერგეტიკულად ცეცხლის სტიქიას შეესაბამება, რომელსაც „ორსახა ღმერთის“, „ოქროს საწმისის“ სახით გამოსახავდნენ.

ადამიანი ყველაზე ძვირფასს, თავის საკუთარ „მე“-ს – „ჯან“-ს აღიქვამდა როგორც საწმისს, თავისი სულის ტაძარს და იმ დროისათვის ყველაზე ძვირფასსა და მბრწყინავს, ოქროს და ვერცხლს ადარებდა.

ქართველი ადამიანის აზროვნებაში ასო-ნიშან „ჯ“-სთან დაკავშირებულია სიტყვები „ჯან“-ი, ჯან-გატეხილი, ჯან-მაგარი, ჯან-მრთელი და სხვა. ე.ი. ადამიანი „ჯ“-„ჯან“ ასო-ნიშნის შესაბამის არსთა წრებრუნვის მარადიული პროცესის კოსმიურ სურათს ქვეცნობიერად უკავშირებდა საკუთარ „მე“-ს, სხეულს, თავისი სულის ტაძარს.

„ჯ“-„ჯან“-8000 ასო-ნიშნის შესაბამისი არსთა წრებრუნვის მარადიული პროცესის კოსმიურ სურათს, ერთი შეხედვით, მაღალი მთის, წმინდა გიორგის ხატის სახე აქვს, სახით მარცხნივ. შუბლზე აწერია მხედრული „ჯ“ ასო-ნიშანი, ხოლო თავზე ადგას ასომთავრული „Ӿ“ (ჯ) ასო-ნიშანი.

იგი ენერგეტიკულია, მბრუნავია, ამის გამო ბოლოები წაწვეტებულია და იღებს სვასტიკის სახეს. სვასტიკა კოსმიურ მთას ჰორიზონტალურ მდგომარეობაში თავზე ადგას, სადაც არის ღმერთთა სამყოფელი – კოსმიური სამხრეთი.

ძველი ხალხები ომისა და სიყვარულის ქალღმერთს გამოსახავდნენ ქვევრში – ჭურჭელში მყოფს, ლომზე მდგომს, ხელებაწეულს, მიმავალს აღმოსავლეთისკენ. თავზე მასაც ისეთივე ქუდი ახურავს, ანუ სარქველი აქვს, როგორიც თვითონ ქვევრს – ჭურჭელს. ეს იმის მიმანიშნებელია, რომ ისიც ქვევრია – ჭურჭელია. ქუდების – ჭურჭლის სარქველის ეს გამოსახულება მსგავსია საქართველოში აღმოჩენილი დავათის სტელას გამოსახულებისა; ასევე მსგავსია აღმოსავლეთ საქართველოში, არქეოლოგიური გათხრებით, აღმოჩენილ (ძვ.წ. XV-XII ს.ს.) ქალღმერთთა თავსაბურავისა (სიღნაღის მუზეუმი). ვფიქრობ, ქართული კაბის ჩიხტიკოპიც ამ აზროვნების გამოსახვაა.

ქალღმერთი ანათუ

ქართული ანბანის თითოეული ასო-ნიშნის შესაბამისი არსთა წრებრუნვის მარადიული პროცესის კოსმიური სურათი არის „ღმერთის ბეჭედი“, სადაც ასახულია ცისა და მიწის და რაც არის მათ შორის – ხილულის და უხილავის ერთიანი კოსმიური პროცესი. ყოველივე ეს საფუძვლად უდევს მსოფლიოს უძველესი ხალხების მითოლოგიას. **მითოლოგია არის ინფორმაცია სამყაროს მოწყობის და მასში მიმდინარე კოსმიური პროცესის შესახებ.** ეს არის ჯერ კიდევ პირველ ადამიანთა კოსმიური ცოდნა, რომელთაც გახსნილი ჰქონდათ ე.წ. მესამე – „გონითი თვალი“, აღიქვამდნენ და ხედავდნენ სამყაროს სხვადასხვა განზომილებაში. **მათ ეს საიდუმლო მომავალ თაობებს კოდირებული ცოდნის სახით დაუტოვეს, როგორც ცნობიერების შუქურა, რათა ადამიანმა შეიმეცნოს თავისი თავი და გარე სამყარო, დაუბრუნდეს პირველსაწყისს.**

თრიალეთის ოქროს და ვერცხლის სარიტუალო თასები, მათზე ასახული გამოსახულებები, წარმოაჩენენ ქართველ-

თა შორეული წინაპრების ღრმა პირველსაწყის კოსმოგონიურ ცოდნას სამყაროს მოწყობის და მასში მიმდინარე კოსმიური პროცესების შესახებ.

ქაოსს ცვლის წესრიგი, წესრიგს – ქაოსი და ამ მარადიულ მოძრაობაში დევს აზრი – წინსვლის იმპულსი. ახალი სამყარო, ახალი კოსმოსი ადამიანმა ძველისა და იდეალურის მსგავსად უნდა მოაწყოს. ეს არის სამყაროს ცივილიზაციის გზა.

ზოგიერთ სიმბოლოთა კოსმიური არსი

ჯერ კიდევ პირველი ადამიანები, რომელთაც გახსნილი ჰქონდათ ე.წ. მესამე – „გონითი თვალი“, სამყაროს აღიქვამდნენ როგორც ერთიან ორგანიზმს, დედამიწა იყო მისი შემადგენელი ერთი უჯრედი. ყოველი მიკრო თუ მაკრო სამყარო ერთი გენეტიკური კოდითაა აგებული. სამყაროს ხედავდნენ და აღიქვამდნენ უჯრედის დონეზე. მოგზაურობდნენ დროში და სხვადასხვა განზომილებებში. სამყაროს აღიქვამდნენ, როგორც დროთა და განზომილებათა ერთიანობას. მათი ცნობიერებით, სამყაროს მართავს ერთი ძალა, ერთი ხელი, უფლის ყოვლისმომცველი ენერგია. თვლიდნენ, რომ ადამიანი ღმერთმა თავის ხატად და მსგავსად შექმნა, ამიტომ სამყაროს შეცნობას თავისი თავის შეცნობით იწყებდნენ. ყველაფერს, რაც სამყაროშია, საკუთარ თავში ხედავდნენ და აღიქვამდნენ. დიდი იყო მათი ცოდნა და ფიზიკური თუ სულიერი შესაძლებლობები. ამ ხალხმა კოსმიური ცოდნა, სამყაროს შესახებ, დაგვიტოვა სხვადასხვა სიმბოლოთა სახით. ჩემი მეტაფიზიკური თვალთახედვით, განვიხილოთ მსოფლიოში ცნობილი და აღიარებული რამდენიმე სიმბოლო.

რუსეთის გერბი

არწივი ბიბლიაში ხვთის დიდებას და ყოვლისშემძლეობას განასახიერებდა, შუა საუკუნეებში კი – ნათლისღებასა და მკვდრეთით აღდგომას. ერთთავიანი ან **ორთავიანი არწივის** სიმბოლო, გარდა მითოლოგიური სფეროსი, გამოიყენება სამხედრო და სახელმწიფოებრივ ატრიბუტიკასა და ჰერალდიკაშიც. ჯერ კიდევ პირველ ადამიანთა წარმოდგენით, ღმერთმა სამყარო ოთხი საწყისი სტიქიისაგან შექმნა (მიწა, წყალი, ჰაერი, ცეცხლი). არწივი ჰაერის სტიქიის სიმბოლური გამოხატულებაა. აღმოსავლეთი ხუთ სტიქიას განიხილავს, სადაც ჰაერის სტიქია იყოფა ორად – ხე და ლითონი. სწორედ ეს მოიაზრება ორთავიანი არწივის სიმბოლიკაში.

ნამგალი და ურო (ჩაქუჩი) – საბჭოთა სიმბოლიკიდან მუშათა კლასის ემბლემას წარმოადგენს და განასახიარებს სამეცნიერო ტექნიკურ ინტელიგენციას. ჩემი მეტაფიზიკური თვალთახედვით, ჩაქუჩი და ნამგალი

საბჭოთა სიმბოლო

„ინ“ და „იან“ პირველსაწყისთა ერთიანი კოსმიური ენერგიის სიმბოლური გამოხატულებაა – ნამგალი ქალური საწყისია, ხოლო ჩაქუჩი (ურო) – მამრი საწყისი. მათი ერთიანობა ცეცხლის სტიქიის ენერგიის სიმბოლური გამოსახულებაა.

რვაქიმიანი ვარსკვლავი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ემბლემაა ორდენებისთვის: ორი ერთმანეთზე დადებული ოთხკუთხა ვარსკვლავი – ორი ჯვარი, ქრისტიანულ სიმბოლოს წარმოადგენს. ჩემი მეტაფიზიკური თვალთახედვით, **რვაქიმიანი ვარსკვლავი სამყაროს ოთხ პირველსაწყისთანაა დაკავშირებული – 4 მდედრის და 4 მამრის პირველსაწყის ენერგიათა ერთიანობაა, ცეცხლის სტიქიის სიმბოლური გამოხატულებაა**. იგი მიეკუთვნება უძველეს სიმბოლოს, რომელიც ჯერ კიდევ შუმერებს ჰქონდათ. საქართველოში დმანისის სტელაზე გამოხატულია რვაფოთლიანი ლოტოსის სახით (უძველესი სტელები საქართველოში მზის თაყვანისცემის სიმბოლოა), თამარ მეფის ორდენი რვაქიმიანი ვარსკვლავია. რვაკუთხედი ხშირად გვხვდება ტაძართა გეგმარებაში, როგორც აღორძინებისა და მარადიულობის სიმბოლო. **მერვე დღე ახალი სამყაროს – „ზეციური იერუსალიმის დასაწყისია“, რაც „ათასი ვითარცა ერთი“-ს გათვალისწინებით, ქართული ანბანის კოდით Ⴢ (ჯ)-8000 ასო-ნიშნის კოსმიურობის შესატყვისია.**

შუმერი

დმანისის სტელა

მასონთა სიმბოლიკა: მასონების უშუალო წინაპრები იყვნენ შუა საუკუნეების კალატოზთა ამქრები. „მასონი“ ინგლისურ ენაზე ნიშნავს კალატოზს. დროთა განმავლობაში ისინი იქცნენ „უხილავი კანონის მსახურთა ყოვლისშემძლე ორგანიზაციად“, რომელიც აქტიურადაა ჩაბმული საზოგადოებრივი პროცესების მართვაში დასავლეთ ევროპაში, რუსეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. კალატოზის სამუშაო იარაღებიდან მათ სიმბოლიკაში გამოიყენეს ძირითადად **გონიო და ფარგალი**. მასონური სიმბოლიკის უმთავრესი ემბლემაა **გონიო** – სამართლიანობის, მართლმსაჯულების, ქედმოუხრელობის სიმბოლო. ძეწკვზე ჩამოკიდებულ გონიოს გამოსახულებას, როგორც ძალაუფლებისა და მოვალეობის ერთგულების ნიშანს, გულზე ატარებდა მასონური ლოჟის მაგისტრი. აღსანიშნავია, რომ მართი კუთხის, როგორც უცდომელობის აღქმა, ჩინურ სიმბოლიკაშიც გვხვდება. გონიო ჩინეთის იმპერატორის ემბლემა გახლდათ. გონიო საქართველოში უძველესი სიმბოლური გამოსახულებაა, ამოკვეთილია ბევრ ტაძარზე. **ფარგალი** – წრე კოსმიური წესრიგისა და ჰარმონიის სიმბოლოდ ითვლება ჯერ კიდევ პირველ ადამიანთა დროიდან. ფარგალი და წრე ყოფიერების და სულიერების უსასრულობას განასახიერებს. ჩინეთში მარაო (ფარგალი) უმწიკლო ზნეობის სიმბოლო გახლავთ.

მასონთა სიმბოლო

ჩემი მეტაფიზიკური თვალთახედვით, გონიო – მართი კუთხე მამრი საწყისის შემოქმედის სიმბოლოა, ხოლო ფარგალი (მარაო) – მდედრი საწყისის. გონიო და ფარგალი ერთად „ინ“ და „იან“ საწყისთა ერთიანი კოსმიური ენერგიის გამოვლინებაა, ორივე ერთად ცეცხლის სტიქიის, კოსმიური გამთლიანებული მზის – ოქროს საწმისის სიმბოლური გამოხატულებაა (ნახეთ აქვე: „ოქროს საწმისი – ორი მზის საიდუმლო“), რომელიც ქართული ანბანის კოდით „Ⴢ-ჯ-8000“ ასო-ნიშნის კოსმიურობის შესატყვისია. ეს ჩანს კაბალას ცოდნაშიც. სწორედ ამიტომაა მასონური სიმბოლიკის ამ უმნიშვნელოვანეს გამოსახულებაში შუაში ჩაწერილია „**G**“ (ჯ) ასო-ნიშანი.

სვასტიკა, ბორჯღალი: უძველესი დროიდან მიიჩნევა მზის სიმბოლოდ. ორი მბრუნავი სვასტიკა (ნახეთ აქვე: „ოქროს საწმისი – ორი მზის საიდუმლო“) **8** ფრთიანი ბორჯღალის სახეს იღებს. საქართველოში მეოთხე – ცეცხლის სტიქიას, რომელიც, თავის მხრივ, ოთხივე სტიქიის ენერგიის გამოვლინებაა, გამოსახავდნენ ბორჯღალის სახით (წებელდის ბარელიეფი). „ბორჯღალი“ ცეცხლთანაა დაკავშირებული სულხან-საბას

მიხედვითაც. საათის ისრის მიმართულებით მბრუნავი სვასტიკა მამაკაცურ ენერგიას განასახიერებდა, პირიქით – ქალურს. ეს ემთხვევა პირველ ადამიანთა შეხედულებებს სამყაროში მიმდინარე კოსმიური პროცესების შესახებ, სადაც ძზე მდედრია, მთვარე – მამრი; ეგვიპტელებთან სამყაროს გამოსახულებებში ქალი ცაა, რომლის მკერდიდან რძე ჩამოედინება და ანაყოფიერებს მიწას, რომელზედაც წევს მამაკაცი. დედამიწის გულში შინაგანი ენერგია საათის ისრის მიმართულებით ბრუნავს, ხოლო დედამიწის გარეთ ზოდიაქოთა ენერგია ბრუნავს საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით, რაც კარგადაა ასახული ეგვიპტის და აღმოსავლეთის ქვეყნების ხალხთა უძველეს კოსმოგონიურ ცნობიერებაში.

ბორჯღალი გერმანელი ნაცისტების სიმბოლო

მითოლოგიურ სამყაროში სვასტიკას სრულიად განსხვავებული ხვთაებანი და გმირები დაეპატრონნენ. სვასტიკას ნეოლითის ხანის გამოქვაბულებში ნახულობდნენ. სვასტიკა გვხვდება კატაკომბებში, ტიბეტში და ყველა იმ ქვეყანაში, სადაც ბუდიზმმა შეაღწია. სვასტიკის გამოსახულებები აღმოჩენილია კავკასიაში, შუა აზიაში, ამერიკაში, რუსეთში, გერმანიაში.

ჩემს „გამოცხადებებში“ არსთა წრებრუნვის კოსმიურ სურათში მამაღმერთს მაღალი მთის სახე აქვს, რომელსაც ჰორიზონტალურ მდგომარეობაში თავზე ადგას ასომთავრული „Ⴗ“ ასო-ნიშანი, ენერგეტიკულია, მბრუნავია და ღებულობს სვასტიკის სახეს. ტიბეტის წმინდა მთის – კაილასის (შამბალას) თავზე პერიოდულად გამოისახება საათის ისრის მიმართულების სვასტიკა. იგი კოსმიური ნიშანია, მას ბევრი დიდი მოაზროვნე იკვლევდა. **ტიბეტის მკვლევართა აზრით, სვასტიკა სამყაროს გულია, ღმერთის სიმბოლოა**.

დავითის ვარსკვლავი – სოლომონის ვარსკვლავი – ებრაელთა რელიგიური სიმბოლო. დღეს დავითის ვარსკვლავად წოდებული ერთმანეთში შეჭრილი ორი სამკუთხედი, რომელთაგან ზედა-წვეროთი ქვემოთ ადამიანის სულიერი სამყაროს სიმბოლოა, ხოლო ქვედა-წვეროთი ზემოთ

მატერიის – სხეულის სიმბოლო, ჯერ კიდევ პირველ ადამიანთა აზროვნებაში აღიქმებოდა, როგორც სულის მატერიაში ნათელგამოვლენის სიმბოლური გამოხატულება.



დავითის ვარსკვლავი

გიამბობთ ჩემი ცხოვრებიდან ერთი შემთხვევის შესახებ, რამაც დამარწმუნა, რომ ადამიანის სხეული არის თასი – ჭურჭელი მისივე სულისა. დაახლოებით 25 წლის წინ ჩემთან სტუმრად იმყოფებოდა სამი ახალგაზრდა. ვსაუბრობდით სხვადასხვა საკითხზე. უცებ, საუბრის დროს, შემაჩერეს და მთხოვეს გადმომეცა სიტყვიერად თუ რას ვგრძნობდი. შევაჩერე საუბარი და დავუკვირდი ჩემს შეგრძნებას, ვეცადე გადმომეცა და გამეზიარებინა მათთვის ჩემი შეგრძნებები: ვგრძნობდი, თავზე მედგა ძაბრისმაგვარი დიდი მბრუნავი კონუსი, ვგრძნობდი, ძაბრის ბოლო შემოსული იყო ჩემს ტვინში და მასში სპირალურად მოძრაობდა რაღაც სითხე თუ ენერგია. შეხების წერტილიდან ჩემს სხეულში შემოდიოდა სითხისმაგვარი უხილავი ენერგია, რომლის შეგრძნება წყლის შხაპის – მორბენალი წყლის წვეთების მიღებისმაგვარი იყო. ამავე დროს ნათლად ვგრძნობდი, როგორ ივსებოდა ჩემი სხეული ზედა კონუსის ქვედა წვეროდან შემოსული სითხით, რომელიც უკვე ჩემს სხეულში ქმნიდა ქვედა კონუსს წვეროთი ზემოთ. ქვედა კონუსის სიმაღლე, სითხის შევსებასთან ერთად, იზრდებოდა სიმაღლეში ზემოდან ქვემოთ, ე.ი. შევსების სიბრტყე თანდათან გადაადგილდებოდა ზემოდან ქვემოთ, რაც ეწინააღმდეგება ფიზიკის კანონს: თუ ჭურჭელში სითხეს ზემოდან ჩავასხამთ, იგი ჩავა ფსკერზე და შევსების სიბრტყე თანდათან აიწევს ზემოთ. შევსების სიბრტყის ზედა და ქვედა ნაწილებში მოქცეული ჩემი სხეულის ნაწილებს შორის ისეთი განსხვავება იყო, როგორიც დღე და ღამე, ეს იყო ცარიელი და სავსე ჭურჭლის შეგრძნება. ნათლად ვგრძნობდი, რომ ჩემი სხეული, როგორც ჭურჭელში შემოსული სითხით – ენერგიით ივსებოდა არა ქვემოდან ზემოთ, არამედ შევსების სიბრტყე გადაადგილდებოდა ზემოდან ქვემოთ. ეს სითხე არ ავსებდა ჩემს კიდურებს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ამ სისავსის შეგრძნება დღესაც მაქვს.

ბოლოს ვკითხე ახალგაზრდებს, თუ რას ხედავდნენ ისინი ჩემს თავზე. მათ აღმიწერეს თუ როგორ შემოდიოდა ჩემში მამაკაცის „სილუ-

ეტი“ ხელში გადაშლილი წიგნით.

მსოფლიოს ხალხთა მითოლოგიით, „თასი“ (ჭურჭელი) არის სამყაროს სივრცითი „მიკრომოდელი“, რომელშიც ხორციელდება ხვთაებრივი სუბსტანციის გარდმოვლენა. ამ საკრალური ჭურჭლის მფლობელი თავადაც უკავშირდება ზეციურ ძალებს და იძენს მათს მადლმოსილებას. ამ საკითხს უკავშირდება „ოქროს საწმისის“ და „გრალის თასის“ არსი.

მაშასადამე, ჩემში წარმოიქმნა ორი კონუსი, ერთმანეთთან წვეროებით – ე.წ. შავი ხვრელით დაკავშირებული. მათგან ზედა კონუსი გამოხატავს სულის გარდასხეულებას ქვედა კონუსში – სხეულში, როგორც სამყაროში. ადამიანის სხეული გადმობრუნებული „ჭურჭელია“. ზედა და ქვედა კონუსები, მატერიისა და სულის კავშირს გამოხატავენ. ე.წ. დავითის ჯვარი ერთმანეთში შესული ორი ენერგეტიკული სამკუთხედია, რომელიც ექვსქიმიან ვარსკვლავად იხატება და უძველესი დროიდან სულისა და მატერიის კავშირს გამოხატავდა; იგი ცისა და მიწის „შეუღლების“ ნიშანია; მატერია „ნათელგამოვლენილი“, ანუ განსხეულებული ინფორმაციაა.

ზემოთ აღნიშნული მეტაფიზიკური გამოცხადება ნათელს ჰფენს უძველეს ქურუმთა ხედვას სამყაროს კიდევ ერთი საიდუმლოს შესახებ, რომ **სული – ინფორმაცია მატერიაში გარდაისახება – ნათელგამოვლინდება და ამის სიმბოლური გამოსახულებაა ექვსქიმიანი ვარსკვლავი**, რომელიც მოგვიანებით ებრაელმა ხალხმა თავის სახელმწიფოებრივ და რელიგიურ სიმბოლოდ გამოაცხადა.

შამბალას – კაილასის სიმბოლური გამოსახულება – მანდალა. შამბალა ის ჯადოსნური ქვეყანაა, რომელსაც ყველა დროში ეძებდნენ როგორც წმინდანები, ისე დამნაშავეები, სპეციალისტები და დილეტანტები. უმეტეს შემთხვევაში ეს ძიებანი ტრაგიკულად მთავრდებოდა – მკვლევარები სრულიად აუხსნელ ვითარებაში უგზო-უკვლოდ იკარგებოდნენ, ზოგს იქვე კლავს, ზოგს იქვე აბერებს და სიცოცხლეს უსწრაფებს, მასთან მიახლოებისას ადამიანთა აზროვნება იცვლება და ბევრი მათგანი სულ სხვა ადამიანი ხდება. ყველაფერი ეს შემთხვევითი არ არის. ბევრი ძლიერი სახელმწიფოს მმართველი ცდილობდა ხელში ჩაეგდო ტიბეტის კაილასის (შამბალას) ტერიტორია. მათი აზრით, ამ ძლიერი ენერგეტიკული ტერიტორიის ხელში ჩაგდებით მიეცემოდათ ისეთი ხვთიური ძალა, რომ გახდებოდნენ მსოფლიოს ბატონები და მმართველები. გარდა

ამისა, ისინი იქ ეძებდნენ საიდუმლო ცოდნას. გერმანელებმა იქ აღმოაჩინეს **რუნების** გამოსახულებები – ბიბლიური კაბალას დაშიფრული ცოდნა სამყაროს გენეტიკური კოდის შესახებ.

შამბალას სიმბოლო

ზემოთ მოყვანილი და განხილული სიმბოლური გამოსახულებებით დედამიწის პირველმა ადამიანებმა დაგვიტოვეს საიდუმლო ცოდნა სამყაროში მიმდინარე კოსმიური პროცესებისა და მოვლენების შესახებ. თავის დროზე ეს გამოსახულებები მხოლოდ სარიტუალო დანიშნულებით გამოიყენებოდა. მოგვიანებით ეს სიმბოლოები გამოიყენეს, გაითავისეს და მათი ენერგია სულიერ „წინამძღოლად“, ანუ სახელმწიფოთა სხვადასხვა რელიგიურ თუ საზოგადოებრივ მიმდინარეობათა სიმბოლოებად აღიარეს. ბევრი მათგანი ამ სიმბოლოებს სხვებზე ძალაუფლების მოსაპოვებლად იყენებდა.

არქეოლოგიური მასალების მოსაპოვებლად მეცნიერებს ხშირად უწევთ სხვადასხვა სამარხის გათხრა. ამით ადამიანები არღვევენ მიცვალებულის სიმშვიდეს, ართმევენ მათ იმ ნივთებს, რომელთა დანიშნულებაა, მოემსახუროს გარდაცვლილს საიქიოს სამყოფელში. მათ ძვლებს ხშირად უდიერად ექცევიან და რამდენიმე სამარხიდან ამოღებულ ძვლებს ერთ ორმოში ყრიან. ხშირ შემთხვევაში არ იციან, ვის საფლავს თხრიან – ანადგურებენ; რას მოიმოქმედებს მიცვალებული ყოველივე ამის შემდეგ, ჩვენთვის ეს პროცესი უცნობი და შეუსწავლელია. იქნებ უფლის თვალში ეს ყოვლად მიუტევებელი საქციელია?! ვინ შეისწავლა ეს საკითხი, ვინმე დაფიქრდა ამაზე?! იქნებ ესა თუ ის მიცვალებული იმ პერიოდის რაიმე უდიდესი ინფექციური დაავადების მსხვერპლია. შესაძლებელია, სამარხის გახსნის დროს ეს ბაქტერიები ჯერ ისევ ცოცხალი იყოს. ამ ყველაფრისაგან არქეოლოგები არ არიან დაცული. შესაძლებელია, ეს ბაქტერიები ხალხის დიდ მასაზე გავრცელდეს. ჩემი აზრით, ამ საკითხს სერიოზული მიდგომა და შესწავლა სჭირდება.

სამარხის გახსნის შემთხვევაში როგორ მოქმედებს გაბოროტებული და გაბრაზებული სული?! ამ საკითხთან დაკავშირებით საკმარისია გავიხსენოთ **თემურ ლენგის სამარხის გახსნის ისტორია**, რასთანაც დაკავშირებულია II მსოფლიო ომი საბჭოთა კავშირსა და გერმანიას

შორის. გავიხსენოთ თუნდაც **ეხნატონის სამარხის გახსნა**, რომელსაც ერთის გარდა სულ მოკლე ხანში ყველა მონაწილე ემსხვერპლა. ასეთ საკითხებთან მიმართებაში სიფრთხილეა საჭირო.

შეგახსენებთ ბერძენთა მითს ოქროს საწმისის შესახებ: როცა იასონმა თავის მამას ჩაუტანა ოქროს საწმისის ცხვრის ტყავი, მან იგი თავზე ჩამოიცვა – თავზე დაიდგა, ოქროს ცხვრის ტყავი მაშინვე გაშავდა.

შეუსაბამობის ფენომენს ადგილი აქვს ადამიანის ცხოვრებაში. ჰარმონიული გარემო ენერგიის შესაქმნელად უნდა მოხდეს ენერგიათა შერჩევა. შესაბამისობის პრინციპით უნდა ხდებოდეს ნივთების, გარემოს, მეგობრების, საცხოვრებელი ქალაქის, ბინების თუ დასასვენებელი ადგილის, მეუღლისა და თითქმის ყველას და ყველაფრის შერჩევა. ჩემი მეტაფიზიკური თვისებები საშუალებას მაძლევს, დავინახო ყველა ზემოთ ჩამოთვლილის ენერგია დადებითია თუ უარყოფითი. ორი უარყოფითის შეერთებით დადებითი ენერგია მიიღება, მესამე უარყოფითის დამატებით, ისევ უარყოფითად გარდაიქმნება. ვფიქრობ, მათემატიკის იმ კანონზომიერებაში, როცა **წყვილი უარყოფითი რიცხვის გამრავლება ან გაყოფა გვაძლევს დადებით რიცხვს, ხოლო კენტი უარყოფითი რიცხვის გამრავლება გვაძლევს უარყოფით რიცხვს, მოიაზრება ბუნების „უხილავი“ კანონი, რომელიც სამყაროში ყველაზე და ყველაფერზე ვრცელდება.**

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, **იმას, რაც არის სარიტუალო დანიშნულების, ყველა არ უნდა შეეხოს, ყველამ არ უნდა ნახოს, ანუ ყველას ხელშესახები არ უნდა გახდეს. სხვადასხვა სიმბოლიკის ტარება – ჯვარი, დავითის ვარსკვლავი, სვასტიკა და სხვა, დიდი პასუხისმგებლობაა, ისინი განსაკუთრებული ენერგიის მატარებელია, ДАКАВШИРЕБУЛИА ХВТИУР ЕНЕРГИАСТИАН ДА МАТ МФЛОБЕЛ АДАМИАНЕБС АМ СИМБОЛОТА ШЕСАБАМИСИ ДА МАСТИАН ХАРМОНИАШИ МОСУЛИ ШИДА САМЧАРО УНДА ХЧОНДЕТ.** წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ სიმბოლიკის მატარებელი ხალხი დაისჯება, განადგურდება, აღიგვება პირისაგან მიწისა, რაც არაერთხელ დაადასტურა ისტორიამ.

ВМИНДА АДГИЛЕБСТИАН, САГНЕБСТИАН ТУ СИМБОЛОЕБСТИАН СУФТА ГУЛИТ ДА ГОНЕБИТ УНДА МИХВИДЕ, ЧОВЕЛГВАРИ ВИНАСВАРИ МИЗНЕБИСА ДА СУРВИЛЕБИС ГАРЕШЕ. АСЕТ САКИТХЕБСТИАН УРТИЕРТОБИСАС ТИТОЕУЛ АДАМИАНС СЕРИОЗУЛИ ДАФИХРЕБА МАРТЕБС.

სამყაროს ოთხი საწყისი – მიწა, წყალი, ჰაერი, ცეცხლი. სფინქსის ფენომენი საქართველოში

დედამიწაზე მცხოვრები ყველა ხალხის მიერ სამყაროს აღქმა უძველესი დროიდან დღემდე ერთნაირია, ერთნაირია მითოლოგიური სიუჟეტები, მათი დამოკიდებულება სამყაროსადმი ასახულია მათ რწმენა-წარმოდგენებში, რელიგიურ რიტუალებში; მათი ცხოვრების წესი ხილულ და უხილავ სამყაროთა თანაარსებობით განისაზღვრებოდა.

დღეისათვის საქართველოში ფრაგმენტულადაა მოღწეული უძველესი კოსმოგონიური ცოდნა. ვცდილობ, შევავსო იგი სხვა უძველესი კულტურის და ცივილიზაციის ხალხთა მითოლოგიური, ეთნოგრაფიული, არქეოლოგიური, ისტორიული და სხვა მასალებიდან.



ალჟირის გამოქვაბულის კედლის ნახატი

მსოფლიოს ძველი ცივილიზაციის ყველა ხალხმა იცოდა, რომ სამყაროში პირველქმნილი ხვთაებრივი სული თითოეულ უჯრედში ოთხი საწყისით – მიწა, წყალი, ჰაერი, ცეცხლის სამეულთა 64 კომბინაციით – 64 ნუკლეინის მჟავათი გამოვლინდება, რაც პირდაპირ აისახება ბიბლიური კაბალას ცოდნაში – ქართულ ანბანში, რომელიც სამყაროს გენეტიკური კოდია. ეს საკითხი, ქართველთა მითოლოგიით, 64 ხვთისშვილში და ჩინური კაბალას – იძინის „ცვალებადობათა წიგნის“ 64 ჰექსაგრამაში აისახება. მსოფლიოს ხალხები სამყაროს ოთხ საწყისს სხვადასხვა სიმბოლიკით გამოსახავდნენ: მიწა – ლომი, ძაღლი, მგელი; წყალი – ხარი, ჩვილი ხბო, ირემი; ჰაერი – თეთრი მთის ქორი, არწივი, ორბი; ცეცხლი – ქალი.

ალჟირში ერთ-ერთი კლდის გამოქვაბულის კედლის ნახატზე (ძვ.წ. 9000-6500წწ.) სამყაროს ოთხი საწყისი შემდეგნაირადაა გამოსახული: მიწა – კატა (ძაღლი – ლომი), წყალი – ხარი, ჰაერი – ფრინველი, ცეცხლი – ქალი და მამაკაცი, რომლებსაც ერთმანეთთან დიდი გველი – ფალოსი აკავშირებთ, ქალის აწეული ხელებიდან – იდაყვებიდან გამოსული

სხივები მიგვანიშნებს, რომ იგი მზეს – ცეცხლს განასახიერებს.

სამყაროს ოთხი საწყისია ასახული ქართველთა ბრინჯაოს სარტყელზე სამთავროდან (ძვ.წ. IX-VIსს.) – ირემი, გველი, ბატი, ადამიანი, რომელსაც ხელში მზე-ვარსკვლავი-ლამპარი უჭირავს.



ბრინჯაოს სარტყელი სამთავროდან. დეტალი

თქვენს წინაშეა შუმერ – აქადის ქვის ბეჭედი (ძვ. წ. 3400 წ.), სადაც შუმერებმა ასახეს და დაგვიტოვეს წინასწარმეტყველება, თუ რა უნდა მომხდარიყო სამყაროში ბოლო **4000** წლის მანძილზე – ძვ. წ. **2000** წლიდან ახ. წ. **2000** წლამდე. ბიბლიური კაბალას ცოდნა სამყაროს დროში ცვალებადობას ასახავს და ეს საკითხი არც ქართველთათვის იყო უცხო. ამაზე მიგვანიშნებს გიორგი მერჩულეს (X ს,) შემდეგი სიტყვები: „ ... ქართულითა ენითა ჟამი შეიწრვის ...“. მაშასადამე, სამყაროში დრო – ჟამი ქართული ანბანის ასო-ნიშნების მიხედვით „მიედინება“. ამ სურათზე

შუმერი (ძვ.წ. 3400წ.)

ასახულია დრო-ჟამის „მდინარე“. შუმერთა ქვის ბეჭედზე ასახული კოსმიური პროცესი ყველა ნიშნით ემთხვევა ქართველთა „კოპალა... იახსარის“ მითში ასახულ ხვთისშვილთა კოსმიურობას:

I ღმერთკაცი „კოპალაა“ – მონადირე მშვილდისრით, მოიპოვა ლომი; იგი „**მიწის**“ სტიქიის გაცხადებაა. დროში შეესაბამება ძვ.წ. 1000 წელი. ეს კი „ქართ ადამს აქათ“ 5000 წელია, ხოლო ქართული ანბანით, „ჭ-ჭარ-5000“ ასო-ნიშნის კოსმიური ენერგეტიკის შემცველია.

II ღმერთკაცი შუმერთა „**სინ**“-ი და ქართველთა „ბუქნა ბაადურია“ (ჩაბუქნული) – ნათლობის ემბაზში ნახევრად წყალშია და გამოსახულია მხოლოდ წელს ზემოთ; შუბნური მათრახით ხელში, თავზე ქალღმერთი ინანა ადგას ანგელოზის სახით, ერთ მხარეს – მხარზე ირემი, იგივე „ჩვილი ხბო“ აქვს გამოსახული, ხოლო მეორეზე – ხე. იგი „**წყლის**“ სტიქიის გაცხადებაა, თევზის ზოდიაქოს დასაწყისშია და მაშასადამე, შეესაბამება ახ. წ. 0 წელს; ეს კი „ქართ ადამს აქათ“ 6000 წელია, ხოლო ქართული ანბანით, „ხ-ხან – 6000“ ასო-ნიშნის ენერგეტიკის გამომხატველია, რაც მიგვანიშნებს, რომ იგი დროის მბრძანებელია.

III ღმერთკაცი „თერგვაულია“, მხრებზე ბადე აქვს მოსხმული, ხელში ფრთებგაშლილი თეთრი მთის ქორით; იგი „**ჰაერის**“ სტიქიის გაცხადებაა, თევზის ზოდიაქოს შუაშია და შეესაბამება ახ. წ. 1000 წელი, ეს კი, „ქართ ადამს აქათ“ 7000 წელია, ხოლო ქართული ანბანით, „ჴ-ხარ-7000“ ასო-ნიშნის ენერგეტიკის შემცველია.

IV ღმერთკაცი დობილიანი „იახსარია“ – ორსახა იანუსი, ერთი სახე კაცისა აქვს, მეორე – ქალის; იგი „ცა – **ცეცხლის**“ სტიქიის გაცხადებაა და ქართულ იკონოგრაფიაში ბორჯღალის სიმბოლოთი აისახება (წებელდის ბარელიეფი). ქართველ მთის ხალხთა მითოლოგიით, უნდა მოხდეს ორი ნახევარღმერთის – ორი ნახევარმზის – გიორგი ნაღვარმშვენიერის, რომელიც გაცხადებულია 64 ხვთისშვილში და მისი დობილის – „სამძივარის“ შეერთება, გამთლიანება. ეს კოსმიური პროცესი ქვის ბეჭედზე თევზის ზოდიაქოს ბოლოს გამოსახულ IV ორსახა ღმერთშია ასახული და დროში შეესაბამება ახ. წ. 2000 წელს. ეს კი „ქართ ადამს აქათ“ 8000 წელია, ხოლო ქართული ანბანით, „ჯ-ჯან-8000“ ასო-ნიშნის ენერგეტიკას შეიცავს. ამას უკავშირდება „ოქროს საწმისის“ თემა. ვფიქრობ, სწორედ ეს არის დედამიწაზე პოლუსების დნობის მიზეზი.

შუმერ-აქადის ქვის ბეჭედზე გამოსახული წინასწარმეტყველებაა გააზრებული იოვანე-ზოსიმეს „ქებაᲘ“-ს ტექსტშიც, სადაც ლაპარაკია „4 დღეზე“, „4 დღის მკვდარზე“, „4 ათას მარაგზე“. ეს კი ნიშნავს იმას, რომ „ქებაᲘ”-ს ტექსტში აღნიშნული ქართული ანბანის კოსმიური საიდუმლოს საკითხი ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობისაა და მხოლოდ ქართველ ხალხს არ ეხება.

ზემოთ მოყვანილი მსჯელობა კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ

ქართული ანბანი სამყაროს გენეტიკური კოდია და „ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის“.

შუმერების ქვის ბეჭედზე მეორე ღმერთკაცი, ყველა მასზე ასახული მინიშნებით, **ქრისტეა:** გამოსახულია თევზის ზოდიაქოს დასაწყისში, ანუ ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში, გამოსახულია წელს ზემოთ, ნახევრად წყალშია, ნათლობის ემბაზში და აქედან გამომდინარე, იგი „წყლის“ სტიქიის გაცხადებაა, **გულზე ჰკიდია დიდი ჯვარი,** მისი თანმხლები ცხოველია **ირემი** – „ჩვილი ხბო“, რომელსაც მაღალი რქები აქვს, თავზე სულიწმინდის ანგელოზი ადგას. მითოლოგიურად იგი არის **„სინ“**, მისი სახელებია **„30“** და **„სავსე მთვარე“** (ვერცხლი), მისი ქალაქია **„ური“** (ბოსელი). ამავდროულად, იგი არის ქართველთა **„ბუქნა ბაადური“** – ბადრი, ანუ **„სავსე მთვარე“**; მისი სალოცავი **„სანე“**-ს მთაზეა, თანმხლები ცხოველია **ირემი**. უძველეს ხალხთა რწმენა-წარმოდგენებით, ასევე ქართულ კულტურაშიც, კოსმიური ირმის თემას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. (ნახეთ აქვე: „ქრისტიანობა – მართლმადიდებლობა კაცობრიობის მარადიული და საყოველთაო რელიგიაა“).

შუმერ – აქადის ქვის ბეჭედი, ქრისტეს გამოსახულებით (ძვ. წ. 3400 წ.), ვფიქრობ, ჯერ-ჯერობით ერთადერთია მსოფლიოში და მტკიცებულებაა იმისა, რომ **შუმერებმა ჯერ კიდევ 5400 წლის წინ იწინასწარმეტყველეს ქრისტეს მოსვლის დრო** და ეს ასახეს ქვის ბეჭედზე. ამ საიდუმლოს აღქმა ჰქონდა მსოფლიოს ყველა უძველეს ხალხს და მათ შორის ქართველთა უშორეს წინაპრებსაც.

სამყაროს ოთხი საწყისის გაცხადებაა სფინქსი. ცეცხლის სტიქიას, რომელიც არის ოთხივე სტიქიის ენერგეტიკული გამოვლინება, **მსოფლიოს უძველესი ხალხი სფინქსის სახით გამოსახავდა: თათები აქვს ლომის, მხრები – ხარის, ფრთები – არწივის, სახე და მკერდი კი – ქალის.** მითოლოგია სფინქსს შემდეგნაირად ახასიათებს: ეგვიპტელები მას „მოელვარეს“, ნებს – **უფალს** უწოდებდნენ; იგი მზის ღმერთს ამონ-რას გამოხატავდა, ქალის თავითა და მკერდით კი – ქალღმერთ იზიდას. სფინქსს ზურგზე ზოგჯერ ჭურჭელი ადგას, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ სფინქსი სამყაროს ოთხი საწყისით შექმნილი ჭურჭელია – მატერიალური სხეულია, რომელშიც სულია შესული, ანუ „სულის სახლია“.

მოგვიანებით ქრისტიანებმა სამყაროს ოთხი საწყისის სიმბოლოები ოთხ მახარებელს დაუკავშირეს: მარკოზს – ლომი, ლუკას – ხბო, იოანეს – არწივი, მათეს ადამიანი (ქალი), ხოლო ქრისტეს თორმეტი მოციქული – თორმეტ ზოდიაქოს.

გიზა. სფინქსის ქანდაკება ძვ.წ. 2500 წ.

როგორ გამოსახავდნენ სფინქსს – სამყაროს ოთხ საწყისს საქართველოში?

სამყაროს ოთხი საწყისი ქართველთა კოსმოგონიური ცნობიერებისთვის უცხო არ იყო და ეს მათს მითოლოგიაშიც აისახა: კოპალა მიწის სტიქიის გაცხადებაა, ბუქნა ბაადური („წყლის ბერი“) წყლის სტიქიისა, თერგვაული – ჰაერის სტიქიის, ხოლო დობილიანი იახსარი – ცეცხლის სტიქიის. ეს საკითხი კარგად ჩანს შუმერთა ქვის ბეჭედზე.

ქართველთა წარმართული აზროვნება, სამყაროს ოთხი საწყისის შესახებ, ასახულია ისტორიულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე. ბაგრატის ტაძრის სვეტისთავის ბარელიეფი წარმოაჩენს სამყაროს ოთხ საწყისს, რომელზეც გამოსახული „ჩვილი ხბო“ ფიზიკურად ზუსტად ისეა ასახული, როგორც ზემოთ განხილულ შუმერების ქვის ბეჭედზე: ორივეს ერთი რქა ზემოაღმართული, ხოლო მეორე – მოხრილი აქვს, ისევეა გამოსახული ფეხების მდებარეობაც; ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ **ქართველები „ჩვილი ხბოს“ სახეს ქალის სახით გამოსახავდნენ** – ამას

ბაგრატის ტაძრის სვეტის თავი

მოწმობს ბაგრატის ტაძრის სვეტის თავი. წებელდის ბარელიეფზე სამყაროს ოთხი საწყისი შემდეგნაირადაა ასახული: მიწა – ძაღლი, წყალი – ირემი, ჰაერი – მტრედი ან ქორი, ცეცხლი – **ბორკიღალი** (მზის სიმბოლო), რაც მზის იშვიათი სიმბოლური გამოსახულებაა.

წებელდის ბარელიეფის ფრაგმენტი

მაშასადამე, **სამყაროს ოთხი პირველსაწყისის არსი, რომლის სიმბოლური გამოსახვაა სფინქსი, ქართველთათვის ოდითგანვე ცნობილი იყო**.

ზემოთ განხილული მასალა კიდევ ერთი მტკიცებულებაა იმისა, რომ **მსოფლიოს ყველა უძველესი ხალხის მიერ სამყაროს აღქმა ერთნაირია**. საჭირო და აუცილებელია ამ პარალელების მოძიება.

ასე ღრმაა ქართველთა შორეული წინაპრების კოსმიური აზროვნება, რომელიც პარალელია მსოფლიოს უძველესი ცივილიზაციის ხალხთა რწმენა-წარმოდგენებისა სამყაროს შესახებ, რაც ქართველთა გენეტიკურ პირველსაწყისობაზე მიგვანიშნებს.

სვეტიცხოველი

დღეს მეცნიერება და მოაზროვნე საზოგადოება „ოთხ საწყისს“ პირდაპირი გაგებით უყურებს: მიწა არის მიწა, წყალი – წყალი, ჰაერი – ჰაერი, ცეცხლი კი – ცეცხლი. ეს არ არის პირველსაწყისი. ამ საკითხის ნამდვილი არსი დღეისათვის უცნობია. ამის დასტურია ამ წიგნში განხილული საკითხები.

სინამდვილეში, „ოთხი საწყისი“ (მიწა, წყალი, ჰაერი, ცეცხლი) მათი პირველსაწყისი მეტაფიზიკური გამოვლინებით მოიაზრება, რაც დღეს მოაზროვნე საზოგადოებისთვის უცნობია. „ოთხი საწყისი“, რომელიც ქმნის გენეტიკური

ჩიტისთავიანი სფინქსი (თბილისის სამხატვრო აკადემია)

კოდის სპირალებს, ანუ თითოეული მიკრო თუ მაკრო სამყაროსთვის ბედისწერის „დაფას“, პირდაპირ უკავშირდება ქართველთა 64 ხვთისშვილს, რომლებიც არიან სამყაროს ძირითადი შემოქმედნი და ერთის – გამთლიანებული პირველსაწყისის 64 გამოვლინება.

იმისთვის, რომ შევიმეცნოთ მეტაფიზიკური სამყარო, დღეისთვის აქტუალური კვანტური ფიზიკა, ნანოტექნოლოგიები, პირველ რიგში, აუცილებელია, მითოლოგიური კოსმიური პროცესები დავუკავშიროთ რეალურ მატერიალურ ცხოვრებას, შევიმეცნოთ მეტაფიზიკური ოთხი პირველსაწყისი (მიწა, წყალი, ჰაერი, ცეცხლი) – სფინქსის ფენომენის ნამდვილი არსი, რაც არის სამყაროს შეცნობის საფუძველი.

ᲕᲘᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲯᲐᲭᲕᲣᲚᲘ ᲐᲛᲘᲠᲐᲜᲘ?!

1987 წლის იანვარში ჩემთან მოვიდა მეგობარი ქალი, რომელმაც მიამბო თავისი შვილის, 15 წლის გიორგის შესახებ: „იგი ორი თვის წინ გახდა ავად, ჰქონდა მაღალი სიცხე, ოთახში მარტო იწვა. უცბად დაინახა, რომ ოთახს ჭერის ნაცვლად ცა ჰქონდა, საიდანაც ჩამოფრინდა ფრთებიანი კაცი, რომელმაც თავზე ხელი დაადო და ისე, როგორც მღვდლები ლაპარაკობენ წირვის დროს – გაბმული ტონით უთხრა: „მცირეა ავადმყოფობა შენი შვილო ჩემო, შენ ჩემი მოსახელე ხარ“. ხელში რაღაც ჩაუდო, შემდეგ აფრინდა. ბავშვს მოესმა ანგელოზთა გალობა: „დიდება მთავარანგელოზ გიორგის, რომელიც აღსდგა და გამეფდა“. გიორგი გამოარკვია ოთახში შემოსულმა დედამ, ბავშვს სიცხე აღარ ჰქონდა. გაოცებულმა უამბო დედას ყველაფერი. განსაკუთრებით დაინტერესდნენ ხელით, რომელზედაც მკაფიოდ ჩანდა რაღაც გამოსახულება და თითქმის ორი კვირის განმავლობაში არ გამქრალა“.

გიორგის დედას ვთხოვე, შეძლებისდაგვარად დაეხატა მისი შვილის ხელზე აღნიშნული გამოსახულება და ჩემდა გასაოცრად, დახატა „ინ“ და „იან“-ის წრეში ჩახატული ორი თევზის ცნობილი გამოსახულება. ჩინურ და საერთოდ, აღმოსავლურ ფილოსოფიაში იგი არის „არსთა წრებრუნვის მარადიული კოსმიური პროცესის გამომხატველი“.

ინ და იანი

ამ დროისთვის უკვე საკმაო გამოცდილება მქონდა მეტაფიზიკურ-ბიოენერგეტიკულ საკითხებში. ჩემი მკურნალობის მეთოდები დამყარებულია ძირითადად არა ბიოელექტრონული ველის მოქმედებაზე, არამედ ინფორმაციის მიღებასა და გაცემაზე. ვღებულობ მორზეს ანბანის მსგავს იმპულსებს, რომელიც ინფორმაციის მატარებელია, ჩემს გონებრივ აპარატში გადამუშავდება ინფორმაციის სახით და ხდება მისი გაცნობიერება. შევეჩვიე, მიმელო ინფორმაცია ადამიანის ორგანიზმიდან, როგორც მიკროკოსმიდან. ასევე ვღებულობ ინფორმაციას კოსმოსიდან – მაკროკოსმიდან.

კოსმოსიდან მივიღე ინფორმაცია, რომ გიორგის ხილვა იყო ძალიან

მნიშვნელოვანი და მე უნდა წარმომეჩინა ეს საკითხი.

რამდენჯერმე მქონდა იმ გამოსახულების გამოცხადება, რაც იხილა გიორგიმ. შევადარეთ ჩვენი ხილვები და დავრწმუნდით, რომ ეს იყო ერთი და იგივე.

ამ პერიოდში მოვხვდი მხატვარ კობა გურულის სახელოსნოში. ამ დროს დამეწყო გამოცხადება. ჩემს თვალწინ აღიმართა გიორგის ნანახი გამოსახულება, საიდანაც მკაფიოდ გამოიხატა და გამოცალკევდა თეთრ ცხენზე მჯდომი წმინდა გიორგის ხატის გამოსახულება. გულზე ეკიდა დიდი ჯვარი. მხედრის ფეხებთან იყო ეშვებიანი სპილოსთავიანი დიდი თევზ-გველი. მხედარს თავზე ჰორიზონტალურ სიბრტყეში ადგას ასომთავრული „Ⲭ“ (ჯ) ასო-ნიშანი, რომელიც ენერგეტიკულია, მბრუნავია და ღებულობს სვასტიკის ფორმას, ხოლო შუბლზე აწერია მხედრული „ⲯ“ ასო-ნიშანი. ხილვის მომენტში თვითონ ხატი იმ იმპულსების საშუალებით მელაპარაკებოდა, რაც ზემოთ აღვნიშნე. მე ვიხილე კაბალას ბიბლიური კოდით „Ⲭ-ⲯ-**8000**“ ასო-ნიშნის კოსმიური პროცესის შესაბამისი ღმერთის ბეჭედი – არსთა წრებრუნვის კოსმიური სურათი.

აქედან დაიწყო ჩემი კვლევა, თუ რა არის წმინდა გიორგის – თეთრი გიორგის ხატი და რომელი პერიოდიდან მომდინარეობს ქართველთა თაყვანისცემა თეთრ ცხენზე მჯდომი ღმერთის მიმართ. კვლევამ დაადგინა, რომ თეთრ ცხენზე მჯდომ ღმერთს აღიქვამდნენ და თაყვანს სცემდნენ არა მხოლოდ ქართველები, არამედ მსოფლიოს სხვა ხალხებიც და ეს კვალი შორეული ათასწლეულებიდან მოდის.

მიხაილ ვადბოლსკი, ქართველთა წარმართობისდროინდელი სიმბოლიკის შესწავლისას, აღნიშნავს, რომ „ცხენი, როგორც მზის კულტის ელემენტი, უკავშირდება წარმოდგენას ცის შესახებ, ზოგჯერ ის გაერთიანებულია ადამიანთან ერთ კომპოზიციაში“.

მითოლოგიის ენციკლოპედიის მიხედვით, აღმოსავლეთის უძველესი ხალხების ცხენზე მჯდომი ღმერთი – „ტენგრი“, რომელიც განაგებს ადამიანთა ბედისწერას, შედარებულია ცასთან და ცხოვრობს **33** სამეფოში, რაც ქართული ანბანის მხედრულ **33** ასო-ნიშანს უკავშირდება. მისი ერთ-ერთი სახელია „დარხან გუჯირ ტენგრი-ღმერთი მჭედელი“. მას უწოდებენ აგრეთვე „ტენგრი-ხან“-ს, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ ის არის დროის გამგებელი – მეფე; გავიხსენოთ ქართული გამოთქმა: „დრონი მეფობენ და

არა მეფენი“. სიტყვა „ტიბეტი“ წარმოქმნილია „ტენგრი“-დან.

ყველასათვის ცნობილია ტიბეტის წმინდა ადგილების უდიდესი მნიშვნელობა, რომლის სახელი დაკავშირებული ყოფილა ცხენზე მჯდომ ღმერთთან, ცასთან. ცენტრალური ამერიკის ძველი ტომები თაყვანს სცემდნენ „ადამიან-ცხენსა და საშინელ ურჩხულს“, თუმცა მათ ცხენი თვალით არ ენახათ.

ქართველთა შორეული წინაპრები ჯერ კიდევ რიტუალური ცულის პირზე გამოსახავდნენ მხედარს, რომელიც ასახვა იყო მითოლოგიურ-კოსმიური სამყაროსი.

ჯერ კიდევ I საუკუნეში სტრაბონმა, საქართველოში მოგზაურობის დროს, აღწერა თეთრი გიორგის რელიგიური დღესასწაული კახეთში.

დიდი ივანე ჯავახიშვილი „ქართველი ერის ისტორია“-ში წერს: „საკვირველი მსგავსებაა! ცხრამეტმა საუკუნემ განვლო მას შემდეგ, რაც სტრაბონმა პირველმა აღწერა მთვარის დღესასწაული. ქართველმა ხალხმა ჯერ ცეცხლთაყვანისმცემლობა მიიღო, შემდეგ ქრისტიანობა. ამ ორმა რელიგიამ ხანგრძლივი, ძლიერი გავლენა იქონია ჩვენს ეროვნულ აზროვნებასა და ზნე-ჩვეულებებზე, მაგრამ მაინც ასე საუცხოოდ არის შემონახული უძველესი სარწმუნოების კვალი. **ქართველი ხალხის აზროვნებაში „წმინდა გიორგის“ ძველი, წარმართობის დროინდელი ქართველების მთავარი ღვთაების, მთვარის ადგილი უკავია... თეთრი გიორგის ხატობის ჩვეულება მთვარის ძველი, წარმართობის დროინდელი დღესასწაულის ნაშთია“.**

მსოფლიოს ხალხთა მითოლოგიაში აისახება სამყაროში მიმდინარე კოსმიური პროცესები.

მთლიანად სამყაროში, ჩვენს პლანეტაზეც და თვით ჩვენშიც, ერთი და იგივე კანონები და კოსმიური პროცესები მოქმედებენ. სამყარო ერთიანი ცოცხალი ორგანიზმია, ცოცხალია მასში ყველა და ყველაფერი, რომელთაც შეუძლიათ ინფორმაციის მიღება, შენახვა, გაცემა.

მეცნიერ ა. მახარაძის აზრით: **„მითოლოგია სხვა არაფერია, თუ არა წარმართობა“**. იგი აღნიშავს, რომ **„წარმართობის წინააღმდეგ მებრძოლი რელიგიები, თავის მხრივ, თვითონ საკმაოდ მარჯვედ იყენებენ წარმართულ კულტურას“**. საქართველოში წარმართული პერიოდის ძეგლების ქვები ჩააშენეს ქრისტიანული ტაძრების კედლებში. ამის კვალი თითქმის

ყველა ძველ ტაძარზეა, ქრიატიანულ რიტუალებში საგრძნობლად დიდია წარმართული რელიგიის რიტუალის კვალი.

ყველა უძველესი ხალხის რელიგია არსთა წრებრუნვის მარადიული პროცესის კოსმიური სურათიდან გამომდინარეობს. დაბადებათა და ცვალებადობათა მარადიული კოსმიური პროცესის სურათს, ერთი შეხედვით, წმინდა გიორგის ხატის სახე აქვს. ამავე დროს, ერთიანობაში აქვს მაღალი მთის სახე. მთის წვერო წარმოადგენს მარჯვნივ მიბრუნებულ ადამიანის თავს, თეთრი წვერით, მარჯვენა ხელში უჭირავს ანთებული ლამპარი, გულზე ჰკიდია დიდი ჯვარი. მთის მთელ სიმაღლეზე – გამოქვაბულში ფეხმორთხმით – ბუდას პოზაში ზის ადამიანი. მის მარცხნივ, მთის მთელ სიმაღლეზე არის კიბე, რომლის თითოეული საფეხური იქმნება გველებით. საფეხურებზე ადიან მიცვალებულები, სადაც ხდება მათი „დახარისხება“ და გამწესება გოგირდის ტბისკენ ან სიცოცხლის ხისკენ. სიცოცხლის ხე მდებარეობს მთის საპირისპირო მხარეს. მათ შორის, ქვემოთ, მოთავსებულია გოგირდის და ცეცხლის ტბა, რომლის ირგვლივაც გაწოლილია ექვსეშვიანი სპილოსთავიანი ურჩხული. კიბეზე დახარისხებულ ადამიანთა სულები ქმნიან „მდინარეს“, რომელიც მიედინება სიცოცხლის ხისკენ, აქედან კი ღმერთთა სამყოფელისკენ, რომელიც მდებარეობს წმინდა მთის აღმოსავლეთით. აქ ხდება თითოეული სულის ხელახალი წარდგინება ღმერთების წინაშე, ხელახალი დაბრუნება მიწიერ ცხოვრებაში და ა.შ. ეს ქმნის წრებრუნვის კოსმიურ პროცესს.

შუმერი ძვ. წ 5000 წ.

თქვენი ყურადღება მინდა შევაჩერო მთის მთელ სიმაღლეზე გამოქვაბულში ფეხმორთხმით, ბუდას პოზაში მჯდომი გიგანტური ადამიანის გამოსახულებაზე, რომლის თავი ერთდროულად არის მთის წვეროზე გამოსახული ადამიანის გული, რომელსაც მარცხნიდან მოკლე მახვილი აქვს გაყრილი. იგი არის მთავარი მოსამართლე და წარმოადგენს არსთა წრებრუნვის კოსმიური პროცესის ცენტრალურ ფიგურას. **მიღებული კოსმიური ინფორმაციით, იგი არის „მიჯაჭვული ამირანი“, რომელსაც ხელში შროშანი უკავია.**

საინტერესოა, როგორ აისახებოდა ეს გამოსახულება უძველეს

ხალხთა ფილოსოფიაში, მითოლოგიასა და ხელოვნებაში.

მიჯაჭვული ამირანი, იგივე შუმერთა გილგამეში, „ქვესკნელის სამეფოს“ მოსამართლეა.

საპოტეკების ღმერთი

ჩინეთში, ბრინჯაოს ჭურჭლებზე ნაპოვნ სიმბოლურ ნიშნებს შორის საგანგებო ყურადღებას იმსახურებს ტაო-ტეს სტილიზებური ნიღაბი. ესაა დევისა თუ ფანტასტიკური ზრაპრული არსების თავი, გადმოკარკლული დიდი თვალებით. იგი განსაკუთრებით ხშირად გვხვდება ინის ეპოქის ხელოვნების ნიმუშებზე, სადაც მას, როგორც წესი, ცენტრალური ადგილი უკავია.

ცნობილია, რომ ბერძნების „პრომეთე“ და ქართველების „მიჯაჭვული ამირანი“ ერთი და იგივე მითიური პიროვნებაა. იგი მიჯაჭვულია კავკასიონის ქედის ერთ-ერთ მთაზე. ელინური მითების მიხედვით, პრომეთემ ღმერთებს ფარულად მოსტაცა ცეცხლი და ადამიანებს ჩამოუტანა. ღმერთების მამამთავარი ზევსი განრისხდა და პრომეთე კავკასიის მთაზე მიაჯაჭვა. უზარმაზარი არწივი ყოველ მესამე დღეს კავკასიის მთების თავზე ეშვებოდა და თავისი მძლავრი კლანჭებით ტანჯულ გმირს მუცელს უფატრავდა, გულ-ღვიძლს უკორტნიდა. ყველაფერს თავისი დასასრული აქვს, დროის მიმდინარეობას მოაქვს ტანჯული გმირის სრული განთავისუფლება.

ბერძენთა მითის ამ სიუჟეტში განხილული არწივი ჰაერის სტიქიის სიმბოლოა, რომელსაც შეესაბამება ახ. წ. II ათასწლეული. სწორედ არწივი არ აძლევს საშუალებას პრომეთეს, რომ დროზე ადრე განთავისუფლდეს. ზემომოყვანილი ბერძნული მითის მიხედვით, პრომეთე ზევსმა მიაჯაჭვა კავკასიონის მთაზე იმიტომ, რომ მან ცეცხლი მოსტაცა ღმერთებს და ადამიანებს ჩამოუტანა. სინამდვილეში მთაზე პრომეთეს მიჯაჭვულობის მთლიანი კოსმიური პერიოდი არის **ცეცხლის სტიქიამდე**, ანუ ახ. წ. III ათასწლეულამდე მისვლის პერიოდი. აქედან გამომდინარე მითის ეს მონაკვეთი ცხადყოფს, რომ ბერძნებს იგი აღებული აქვთ სხვებისგან,

რაც ბოლომდე ვერ გააცნობიერეს და თავისებურად გადააკეთეს. მაგრამ ბერძნულ მითს მაინც შეუნარჩუნეს პრომეთეს ადამიანებთან კავშირის მთავარი არსი – „მან ადამიანებს ცეცხლი მოუტანა“, ანუ კაცობრიობა მიიყვანა ცეცხლის სტიქიის ათასწლეულთან.

თ. ყაუხჩიშვილს წიგნში – „ბერძენი მწერლები საქართველოს შესახებ“, მოყვანილი აქვს ბერძენი ფილოსოფოს – ბელეტრისტის ლუკიანეს (I საუკუნე) ნაწყვეტები თხზულებებიდან. მოვიყვან ერთ ადგილს, სადაც ჰეფესტო ეუბნება ჰერმესს პრომეთეს შესახებ: „შევათვალიეროთ, ჰერმეს, ეგ უნდა ჯვარს ვაცვათ, მიწასთან არც თუ მთლად დაბლა, რომ არ დაეხმარონ მას მის მიერვე შექმნილი ადამიანები, არც მთლად მწვერვალთან, რადგან მას ქვემოთ მყოფები ვერ დაინახავენ, არამედ თუ გინდა **სადმე შუაში ვაცვათ ჯვარს**, უფსკრულის თავზე, ორთავე ხელგაშლილი ამ კლდიდან მის მოპირდაპირემდე“.

არსთა წრებრუნვის მარადიული პროცესის სურათი საკმაოდ კარგადაა გადმოცემული ქართველთა მითსა და ზღაპარში ამირანის შესახებ.

ივანე ჯავახიშვილი თავის გამოკვლევებში აღნიშნავს, რომ ქართულ მითოლოგიაში ამირანის მამა – სულკალმახია, სვანურში კი – დარჯელანი. ფშავურ თქმულებაში კი ამირანის დედას დარეჯანი ერქვა. სვანურ თქმულებაში გველეშაპი, რომელიც ამირანს გადაყლაპავდა, კლდის თავსა ზის და მატყლს ართავს, თითისტრად მას ნაძვის ხე აქვს, ხოლო ჯარად – წისქვილის ქვა. ამირანის მიერ მოტაცებული ქალის მამა ძალიან ძლიერია, თუმცა, ისეთმა ძლიერმა გმირმაც კი, როგორიც ამირანი იყო, ვერ გაუძლო მის შებერვას და **„ჩოქზე დაეცა“**. მამას ქალი კოშკში ჰყავდა გამომწყვდეული, რომელიც ცაზეა ჩამოკიდებული.

ყველა ქართული თქმულება, ერთი მხრივ, მოგვითხრობს, რომ „მიჯაჭვულ ამირანს ზედ თოვლ-ყინულიანი გერგეტი და ყაზბეგის მთა დაახურეს, მას შემდეგ იქ არის მიჯაჭვული“. **ამირანს ცხრილის ტოლა თვალები აქვს**. „ქალი ითვლებოდა სპილოთა ხელმწიფის შვილად“. „სპილოთა ხელმწიფეს ერთი ჩარხი ჰქონდა, თვითონ ატრიალებდა მას და ჯარი სულ მრავლდებოდა და მრავლდებოდა. ხელმწიფეს სპილოს ტანი აქვს. მოუსვა ამირანმა ხმალი ფეხებზე და მოჭრა“. „როცა ამირანმა ბადრი და უსუპი მკვდარი იპოვა, გადაწყვიტა თავის მოკვლა, **ხან ხმალს დაიკრავს თავში, ხან რას, მაგრამ არ კვდება**“.

როგორც ბერძნული მითებიდან ჩანს, ჯვარზე გაკვრა და კლდეზე მიჯაჭვა ერთი და იმავე აზრითაა ნათქვამი. ჯვარი სამყაროს გამოხატულებაა, იგივე სიცოცხლის ხეა. ჯვარის არსებობა მსოფლიოს უძველეს ხალხებში ჯერ კიდევ ქრისტიანობამდეა ცნობილი.

თუ პარალელს გავატარებთ ჩვენს ორგანიზმთან, როგორც მიკროკოსმთან, **მიჯაჭვული ამირანი არის ადამიანის „გული“ – „შუა სამეფოდ ფოდეგული“ კოსმოგონიურ ცასა და მიწას შორის მდგომი**.

შუმერებთან ცის თაღის შემკავებელია ქალღმერთი ინანა, რომელიც „ხელს აწევს – ცად აწვდენს, ნაბიჯით მიწას ზომავს, მზეებრ ანათებს, „ან“-თან ერთად ზის უზენაეს ტახტზე, ენლილთან ერთად ქვეყნის ბედს განაგებს“. იგი ორბუნებოვანია: დღისით მეომარი და წვეროსანი მამრია, ხოლო ღამით მდედრია – სიყვარულის ქალღმერთია. სურათზე გამოსახულ შუმერთა ქალღმერთს ორივე ხელით უკავია ცა-ცეცხლის – მდედი და მამრი საწყისების სიმბოლოები, რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ ორივე საწყისი მასშია, იგი ორივე საწყისის გაცხადებაა.

შუმერი.

სამყაროს ბიბლიური კოდი, ქართული ანბანის მიხედვით, „**ან**“ ასო-ნიშნით იწყება. შუმერული მითოლოგიის მიხედვით, „ანი“ ცის ღმერთია. ამას უკავშირდება ამირანის სახელი (ამირ-ანი).

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ კოსმიურ სურათში თეთრ ცხენზე მჯდომ ცენტრალურ ფიგურას თავზე ადგას ქართული ანბანის ასომთავრული „Ⴟ“ (ჯ) ასო-ნიშანი, რომელიც მოგვაგონებს სვასტიკას, ხოლო შუბლზე აწერია მხედრული „**ჯ—ჯან—8000**“. ამასთანაა დაკავშირებული ამირანის დედის სახელი „დარეჯანი“ (დარე-ჯან-ი).

სვანურად წმინდა გიორგის „ჯგრაგი“ (ჯ-გრაგი) ჰქვია, რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ „**ჯ**“ ასო-ნიშნის შესაბამის კოსმიურ სურათს ქართველები წმინდა გიორგის – თეთრი გიორგის და „გრალის თასს“ – „წმინდა საწმისს“ უკავშირებდნენ. სიტყვები: „ჯ**გრ**აგი“, „ტენ**გრ**ი“ და „**გრ**ალი“ ერთი კოსმიური არსის გამომხატველია.

ზემოთ აღწერილი წრებრუნვის კოსმიური სურათი, რომელიც, ბიბლიური კაბალას ქართული ანბანის კოდით, არის „**ჯ—ჯან—8000**“ ასო-ნიშნის შესაბამისი, სადაც ცენტრალურ ადგილს მიჯაჭვული ამირანი იკავებს, არის თევზის ზოდიაქოს II ათასწლეულის შესაბამისი, რომლის დასასრული არის ახ. წ. 2000 წელი და რომელიც ქართული ქრონოლოგიით, არის „ქართ ადამს აქათ“ 8000 წელი – ცეცხლის სტიქიის ათასწლეულის დასაწყისი. **ამირანმა კაცობრიობა ცეცხლის სტიქიის კოსმიურ პერიოდამდე მოიყვანა. სწორედ ეს არის „ამირანის მიერ ხალხთან ცეცხლის მიტანა“, რის შემდეგაც შეიცვალა დაბადებათა და ცვალებადობათა კოსმიური სურათიც, სადაც აღარ არის ამირანის გამოსახულება, აღარ არის საიქიოს სასამართლო და სხვა. ეს არის ამირანის განთავისუფლება.** ის, რაც ადრე მითოლოგიური ზღაპარი გვეგონა, სრულ ჭეშმარიტებას წარმოადგენს და მიკრო თუ მაკრო სამყაროში მიმდინარე გენეტიკური პროცესის ასახვაა.

„სამოთხე“ – სამყაროს დედის უძველესი გამოსახულებები. „გული“ და „გულისგული“

„ჰკითხე ასთა, ჰქმენ გულისა“

შოთა რუსთაველი

მსოფლიოს ხალხთა მითოლოგიით, სამოთხე სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს. საქართველოს მთიანეთში ქვებზე გამოსახულია არსთა წრებრუნვის კოსმიური სურათის დაშიფრული სქემა, რომელზეც სამხრეთ-აღმოსავლეთში 1-ით აღნიშნულია სწორედაც სამოთხე. ეს დაშიფრული სქემა ემთხვევა ჩემს გამოცხადებაში ნანახ ახ. წ. II ათასწლეულის ქართული ანბანის „ჯ-8000“ ასო-ნიშნის შესაბამის არსთა წრებრუნვის კოსმოგონიურ სურათს, სადაც წმინდა მთის წვერო სამხრეთია, ხოლო სამოთხე განთავსებულია მის აღმოსავლეთით. ეს ინფორმაცია კარგად აქვს შემონახული ჩინეთის მითოლოგიას. ამ სქემებზე აისახება ის კოსმოგონიური ცნობიერება, რომელიც გვამცნობს, რომ ეს სამყარო იქითა სამყაროსთან მიმართებაში ორმაგად გადაბრუნებული სარკის პრინციპზეა მოწყობილი.



ხევსურეთი

ჩინეთი

შეგახსენებთ ქართველთა დიდი მწიგნობრის იოვანე-ზოსიმეს სიტყვებს „ქებაჲ“-დან: „ყოველი საიდუმლოჲ ამას ენასა შინა დამარხულ არს“. მკვლევარი ნებისმიერი საკითხის ძიებას ამ ცნობიერებით უნდა იწყებდეს. ხშირად მიფიქრია, თუ რატომ ჰქვია სამოთხეს „სამოთხე“. ეს სიტყვა ჩემში ყოველთვის „სამი“-სა და „ოთხი“-ს ერთობის ასოციაციას იწვევდა. ჩემი კვლევაც სწორედ ამ საკითხს ეხება და სწორედ ეს საკითხია წარმოჩენილი მსოფლიოს უძველესი ცივილიზაციის ხალხთა მითოლოგიაშიც.

დაგონების (სუდანი) მითოლოგიით, ზეციურ სივრცეში სუფევს უზენაესი ხვთაება „ამმა“. ის იყო ჯერ კიდევ მაშინ, როცა სამყარო არ იყო

განსხეულებული დროსა და სივრცეში, ანუ მატერიაში. ამ სივრცეს ჯვრისმაგვარად ჰქონდა ოთხი მხარე, რომელიც არ მოძრაობდა და იყო აბსოლუტური სიმშვიდის მდგომარეობაში. ამავე დროს, ის თავის თავში მოიცავდა სივრცისა და დროის ყველა ელემენტს, ასევე სამყაროს ოთხ საწყისს. ამას ეწოდებოდა სამყაროს „თესლი“ – **„პა“** (პირველსაწყისი მამრი, საიდანაც მოდის ქართული სიტყვა **„პაპა“** – მამრი წინაპარი), რომლისაგანაც „ამმა“-მ (იგივე „მამა“-პირველსაწყისი მდედრი) შექმნა, ანუ „ააშენა“ სამყარო. დაგონების წარმოდგენით, „ამმა“ არის სპირალური მოძრაობა საათის ისრის საწინააღმდეგოდ თვით „თესლის“ – კვერცხის შიგნით. შემდეგ მოხდა „ამმა“-ს „თვალის“ გახსნა და დაიწყო განსხეულება დროსა და სივრცეში, ამასთან, შეინარჩუნა სპირალური მოძრაობა (სქემაზე ვხედავთ საათის ისრის მიმართულების სპირალს) და სამყარომ დაიწყო განსხეულება, ანუ ვარსკვლავთა სისტემის წარმოქმნა, რომელიც შედგება სპირალზე მოძრავი უამრავი გალაქტიკებისაგან. განსხეულებულმა სამყარომ შექმნა ოთხი მიმართულების (აღმოსავლეთი, დასავლეთი, ჩრდილოეთი, სამხრეთი) ფორმის სივრცითი სამყარო-ჯვარი; ამ დროს შეიქმნა სხვადასხვა მცენარეთა თესლიც. როცა სამყარო გაიხსნა, „ამმა“-მ შექმნა პირველი სულიერი არსება „ნომმო“ (ნოე) – ნახევრად ადამიანი, ნახევრად გველ-თევზი **კიდურების გარეშე**. ეს ნომმო გამრავლდა და წარმოიქმნა ოთხი ნომმო: „დი“, „ტიტიან“, „ო“ და **„ოგო“**, (რაც სამყაროს 4 საწყისს უკავშირდება). ერთი მათგანი – „ოგო“, არ დაელოდა სამყაროს სრულ განსხეულებას და გამოვიდა გარეთ, რათა დაეთვალიერებინა სამყარო, რითაც გამოიწვია უწესრიგობა და დაარღვია „ამმას“-ს გეგმები. გაბრაზებულმა „ამმა“-მ მოკრიბა თავისი შექმნილი ყველაფერი და ჩადო **„პა“**-ში – პირველსაწყისი მამრის თესლში. სამყაროს „განსაწმენდად“ აუცილებელი გახდა ერთ-ერთი ნომმოს მსხვერპლად შეწირვა, ამისათვის არჩეული იქნა „**ო**“ ნომმო (სიტყვა „უფალი“-ს ნაცვლად ქართველები წერდნენ **„ო** – **└**“ ასო-ნიშანს). მისი „აღდგომის“ შემდეგ სამყარომ მიიღო დროითი და სივრცითი ბუნება-სახე და ციურმა მნათობებმა დაიწყეს მოძრაობა. ეს მოხდა ისევე, როგორც „ამმა“-ს მიერ სამყაროს პირველი შექმნის დროს. აქ აუცილებლად გაგვახსენდება ქრისტეს აღდგომა. **„აღდგომის დღესასწაული“** არ უკავშირდება ქრისტეს ხორციელად მოსვლას, არამედ, ის იყო უძველესი წარმართობის პერიოდშიც. ამ მითიდან ირკვევა,

რომ აღდგომის დღესასწაული დაიწყო სამყაროს შექმნიდან, იყო საყოველთაო და დაკავშირებული იყო პირველსაწყის „ო“ ნომმოსთან (ნოესთან) – ქრისტესთან, რომელსაც ქართველები „ო“ ასო-ნიშნით გამოსახავდნენ. გავიხსენოთ სიტყვები მრწამსის ლოცვიდან: ქრისტე იყო **„უწინარეს ყოველთა საუკუნეთა“**, ეს კი ნიშნავს, რომ ქრისტე იყო ჯერ კიდევ მაშინ, ვიდრე სამყარო დროსა და სივრცეში განსხეულდებოდა. სამყაროს მეორედ შექმნის დროს თესლის ნაწილი მოხვდა „აღმდგარი“ ნომმოს კიდობანში – იგივე ზეციურ ნავში, რომელიც მან ააგო. აქ წარმოჩენილი **„ო“** ნომმო იგივე ბიბლიური ნოეა, რომელმაც ააგო სამსართულიანი კიდობანი, მასში მოათავსა ოთხი წყვილი მდედრი და მამრი – თვითონ, თავისი ცოლი,



დაგონები. მოძრაობა კვერცხის შიგნით.



დაგონები. მოძრაობა კვერცხის გარეთ



„ო“ ნომმო (ნოე)

სამი ვაჟიშვილი ცოლებით, „წმინდა პირუტყვი და უწმინდური პირუტყვი, ფრინველი და ყოველი ქვეწარმავალი წყვილ-წყვილად და ყველა თესლი მცენარეთა“. კიდობნის სამი სართული არის სამყაროს ქვესკნელ-ზესკნელ-შუასკნელი, **კიდობანი თვით ადამიანია**, მიკრო და მაკრო სამყაროა. კიდობანს დაგონები, ზოგადად, თევზის სახით გამოსახავდნენ (ქრისტიანული მრწამსითაც, თევზი ქრისტეს სიმბოლოა). ზემოთ აღწერილით ვრწმუნდებით, რომ ქრისტიანობა – მართლმადიდებლობა მარადიული და საყოველთაო რელიგიაა. დედამიწის ყველა დროის ადამიანები ქრისტეს თაყვანისცემას სხვადასხვა ფორმით გამოხატავდნენ.

დაგონების მითოლოგიით, ნომმო წყლის ღმერთია და თევზის სახით გამოსახავდნენ. ქართველთა მითოლოგიით, ხვთისშვილთა შორის ღმერთმა პირველად ბერი ბაადური შექმნა, რომელსაც „წყლის ბერს“ უწოდებდნენ. ჩემი გამოკვლევით, ბერი ბაადური იგივე ქრისტეა. სიმბოლიკის თვალსაზრისით, „თევზი“ წყალთანაა დაკავშირებული, წყლის სიმბოლოა. დავათის სტელაზე გამოსახულია თევზი, თავით ქვემოთ, რომელზეც დაწერილია ქართული ანბანი – „ბედისწერის დაფები“ – გენეტიკური კოდი. ქალღმერთი იანანა ჩამოდის ქვესკნელის სამეფოში და ზეციურ ნავში – ადამიანში „ჩატვირთავს“ „მე“-ს „ხვთაებრივ კანონებს“, გენეტიკურ კოდს და მათთან ერთად ჯდება ზეციურ ნავში (ამ კოდით უნდა განსხეულდეს ქვეყანაზე), რომლისგანაც შეიქმნა ზემოხსენებული ოთხი ნომმო – მეორედ მოსვლის კოსმიური ტყუპები, რაც სამყაროს ოთხ საწყისს უკავშირდება და ყველა ისინი ერთიანად, **ერთ სახედ მოიაზრება, ანუ ოთხივე საწყისი ერთშია**. დაგონები მას განიხილავენ როგორც არსებას, რომელსაც 8 ხელი და 8 ფეხი აქვს. მას არ შეეძლო მეტყველება, მაგრამ ამ რვა მცენარისაგან (შუმერთა მითოლოგიით) სპირალის სახით დაგრიხა ბოლოკაბა თავისი დედისთვის, რომელიც შეიცავდა „სიტყვას“, ანუ გენეტიკურ ინფორმაციას – „უფლის ჩანაფიქრს”. ამ ცნობიერებისაა სიტყვები – **„პირველად იყო სიტყვა“**. ამ არსებას მსოფლიოს უძველესი ხალხი სამყაროს დედის სახით გამოსახავდა, რომელსაც ოთხი გრძელი ნაწნავი ჰქონდა. თითოეული ნაწნავი იწვნება სამი წყება თმისაგან, ანუ სწორედ გენეტიკურ კოდში ოთხი საწყისი ქმნის 64 სამეულთა კომბინაციას – ტრიპლეტს (სამწნულს) – გენეტიკური კოდის 64 ნუკლეინის მჟავას. ამასთანაა დაკავშირებული ქართველთა 64 ხვთისშვილი – სამყაროს ძირითადი შემოქმედი ღმერთები და ჩინური კაბალას 64 ჰექსაგრამა.

ქალღმერთი შაქტი

თითოეული ოთხი პირველსაწყისი შედგება ოთხი წყვილი მდედრი და მამრი პირველსაწყისისგან. ადამის ცივილიზაციის დასაწყისში მდედრი და მამრი განცალკევდა (შუმერთა მითოლოგიით, დედა ქალღმერთმა მიატოვა მიწა-წყლის ღმერთი ენკი, როცა მან ქალღმერთის ბაღის 8 მცენარის ფოთლები შეჭამა, ბიბლიაში კი, პირიქით – ევა იქნა განდევ-

ნილი სამოთხიდან). ადამის ცივილიზაცია ოთხი ძირითადი ციკლისგან – დროის პერიოდისგან შედგება, თითოეულ კოსმიურ პერიოდში ხდება თითოეული წყვილის შეერთება. შუმერთა მითოლოგიით, ქალღმერთი ინანა არის დედოფალი ცისა და სურს გახდეს დედოფალი მიწისაც. ამისთვის ის ჩამოდის ქვესკნელის სამეფოში და თან მიაქვს „მე“-ს ხვთაებრივი კანონები; ეს მითი შუმერებთან 4-ჯერ მეორდება, რაც ნიშნავს, რომ ის 4-ჯერ ჩამოდის ქვესკნელის სამეფოში, რათა შეუერთდეს თავის კოსმიურ მეუღლეს. ყოველ ჩამოსვლაზე ეს კოსმიური აქტი სრულდება. თითოეული ციკლი, ქართული ანბანის კოდით, 10000 წელი გრძელდება. ახლა ჩვენ ადამის ცივილიზაციის მეოთხე მიკრო ციკლში ვართ, სადაც **დაგონების მითოლოგიით, 4 მდედრი და 3 მამრი საწყისი – სულ შვიდი, ანუ „სამოთხე“, ჩამოდის „ქვესკნელის სამეფოში“, რათა შეუერთდეს თავის კოსმიურ მეოთხე მამრს და გახდეს სრულქმნილი, ანუ ხდება პირველსაწყისი ოთხი მდედრის და ოთხი მამრის შეერთება.**

მსოფლიოში არ მეგულება ისეთი ენა გარდა ქართულისა, რომელიც სიტყვა „სამოთხე“-ს გამოხატავდეს შვიდის – სამისა და ოთხის ჯამით. ქართული სიტყვა „სამოთხე“ ზუსტად ასახავს ამ კოსმიური პროცესის არსს. ჩვენ, ამ კოსმიური პერიოდის ადამიანები ვართ. ახ.წ. III ათასწლეულის არსთა წრებრუნვის კოსმიურ სურათში სამყაროს დედა—სამოთხე დაბრუნდა ედემში კოსმიურ „წმინდა მთაზე“ და დაიკავა ადგილი მამაღმერთის მარჯვნივ, ხოლო მამის მარჯვნივ მყოფი ქრისტე აღმოჩნდა დედის გულის ადგილას.

სულიერად ამაღლებული ადამიანები არსთა წრებრუნვის კოსმიურ სურათებში – „ღმერთის ბეჭედში“ ზეციურ სამოთხეს კოსმიურ აღმოსავლეთში ხედავდნენ, რასაც სიმბოლოებით გამოსახავდნენ.

ხევსურეთის სამყაროს კოსმოგონიურ სქემაზე 1-ით აღნიშნულია სამყაროს დედის – სამოთხის სიმბოლური გამოსახულება.

ქრისტიანულ ტაძარში საკურთხეველი განასახიერებს ზეცას და აღმოსავლეთით მდებარეობს, რადგან აღმოსავლეთის მხარეს „დანერგულ სამოთხეს“ წარმოადგენს. სამოთხე კი თვით ხვთისმშობელია. საქართველოში ხვთისმშობლის სალოცავს ქალაქის ან სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით აშენებდნენ.

სამოთხის პრინციპით, სამოთხის ენერგიითაა განსხ-

ეულებული ჩვენი პერიოდის ყველა ადამიანი, ნებისმიერი მიკრო თუ მაკრო სამყარო; დღევანდელი გარემო, ბუნება, ფლორა და ფაუნა მხოლოდ ამ კოსმიური პერიოდისთვისაა დამახასიათებელი. „ადამის“ ცივილიზაცია მხოლოდ ადამიანს არ ნიშნავს და ამ სიტყვაში მოიაზრება ყველაფერი, რაც ადამის ცივილიზაციისთვისაა დამახასიათებელი.

თქვენს წინაშეა სამყაროს დედის – სამოთხის უძველესი გამოსახულებები კომი (VII-VIII ს.ს.) და შუმერი (ძვ.წ. II ათასწლეული), რომლებზეც ერთი შეხედვისთანავე ჩანს შვიდი არსება. ერთ-ერთ კომპოზიციაში: შუა სამი ფიგურა თვით ადამიანის გამოსახულებაა, რომლის

კომი (VII-VIII ს.ს.)

შუმერი (ძვ. წ. III ათ.)

გული ანგელოზის სახითაა წარმოდგენილი ყელსა და ფეხებზე მძივებით (ქართველთა მითოლოგიაში ხვთისშვილ იახსარის დობილი ყელმძივიანი „სამძივარია“), რომლის გულს ადამიანის თავის სახე აქვს. მათი მრგვალი თვალები მიგვანიშნებს, რომ ისინი მდედრ არსებას წარმოადგენენ. მაიას ტომებთანაც ქვის გამოსახულებებზე ადამიანის გულს ადამიანის სახე

აქვს. რჩება შთაბეჭდილება, რომ ერთმანეთში ჩასმული ეს სამი ფიგურა – ერთარსება განასახიერებს სამყაროს ზესკნელ-ქვესკნელ-შუასკნელს, რითაც უძველესი ცივილიზაციის ხალხი გამოსახავდა სამყაროს დედას – სამოთხეს, რომლის ფეხებთან ორი კუდიანი ადამიანის ფიგურაა. თაყვანს სცემენ ცენტრალურ ფიგურას, ხოლო მხრებზე ადგას ადამიანის სახიანი ორი ანგელოზი, რაც მთლიანობაში შვიდი „არსების“ ერთობაა. სწორედ ეს არის სამოთხე – უარყოფითი და დადებითი არსებების ჰარმონიული თანაარსებობა – ასეა აღწერილი სამოთხე შუმერის მითოლოგიაშიც. ირგვლივ შემოვლებული გარე კონტური მიგვანიშნებს იმაზე, რომ ეს ყველაფერი ერთშია და ეს არის სახე თანამედროვე ადამანისა. ამ შვიდეულის – „სამოთხის“ ენერგიითაა გაცხადებული დღევანდელი ადამიანი. ასეა მოწყობილი მიკრო და მაკრო სამყარო შინაგანად, რომლის ყველა „უჯრედი“ ერთ ენაზე, ქართულ ენაზე ლაპარაკობს. ესაა ქვეცნობიერი აზროვნების ენა. ასეთი „სამოთხის“ სახითაა წარმოდგენილი ჩემს გამოცხადებებში სამყაროს დედა – ხვთისმშობელი ხელში ხვთაებრივი ბავშვით, II ათასწლეულის არსთა წრებრუნვის კოსმოგონიურ სურათში, მამაღმერთის – „წმინდა მთის“ აღმოსავლეთით, მას თავზე ადგას მზის დისკო.

სამყაროს შექმნისა და „სამოთხის“ შესახებ იგივე აზროვნება აქვთ აღწერილი თავის მითოლოგიაში ძველი ცივილიზაციის ყველა ხალხს. ამ პრინციპით არის შექმნილი მიკრო და მაკრო სამყარო, **ყველას და ყველაფერს აქვს „გული“ და „გულისგული“**. თავის მითებში „გულისგულს“ შუმერიც მოიხსენიებს.

ზემოთქმული ცნობიერებაა ასახული საქართველოში მოძიებულ დავათის სტელაზეც (ნახეთ აქვე: „დავათის სტელა“), რომელიც აღმოჩენილია დუშეთის რაიონის სოფ. დავათის (დაოთის) ხვთისმშობლის ეკლესიაში, რომელიც მდებარეობს სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით, რაც ემთხვევა არსთა წრებრუნვის კოსმოგონიურ სურათს. სტელას ერთ გვერდზე ორ იარუსად ასახულია: ზემოთ ორი ანგელოზი, რომელთაც ხელში უკავიათ თევზი თავით ქვემოთ (იგივე „**ო**“ ნომმოს – ქრისტეს სიმბოლური გამოსახულება, რომელზეც ამოკვეთილია ქართული ანბანის 37 ასო-ნიშანი), ხოლო ქვედა იარუსზე გამოსახულია ორი მამაკაცი ქართულ ეროვნულ სამოსში, ხელში ყველას გრაგნილი – ბედისწერის ფურცელი

უჭირავთ, რაც ნიშნავს იმას, რომ თითოეულ მათგანს სამყაროში თავისი „ბედისწერის“ სხეული და ფუნქცია აქვს. (გავიხსენოთ შუმერთა მითოლოგია, რომლის მიხედვითაც, რვავე არსებას ბედისწერა განუსაზღვრეს). სტელას საპირისპირო მხარეს გამოსახულია ხვთისმშობელი, გულთან ხვთაებრივი ბავშვით, რომელსაც ხელში წიგნი უჭირავს. აქვე შევნიშნავ, რომ ქართველები „გულისგულს“ დაშიფრულად წიგნის სახით გამოსახავდნენ (გავიხსენოთ ქართული გამოთქმა: „გული გადაშლილი წიგნია“). დავათის სტელაზე შარავანდედით სულ სამი არსებაა შემოსილი – ორი ანგელოზი და ხვთაებრივი ბავშვი. ეს ნიშნავს, რომ **ქართველები შარავანდედით მხოლოდ ანგელოზებს გამოსახავდნენ და ხვთაებრივ ბავშვს – ქრისტესაც ანგელოზად მოიაზრებდნენ**. სწორედ ეს აზროვნებაა ასახული კომის სამყაროს დედის – სამოთხის გამოსახულებაზე, სადაც სამ ანგელოზთაგან ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურის გულია. მაშასადამე, **ქართველები „სამოთხეს“ აღიქვამდნენ და გამოსახავდნენ** უფრო ღრმა კოსმიური აზროვნებით, ვიდრე მსოფლიოს სხვა უძველესი ხალხი.

ქართველ წინაპართა კოსმოგონიური აზროვნებით, „გული“ დამოუკიდებელი ცოცხალი არსებაა, რომელიც ადამიანის ორგანიზმში ცხოვრობს და ყველაფერი, რასაც ადამიანი განიცდის, გულს მიეწერება. გულს ადამიანის ბატონად თვლიდნენ. მიაჩნდათ, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი გულია, თვით ადამიანის პიროვნება კი არაფერია.

ქართველების რწმენა – წარმოდგენებით, ადამიანი გულით აზროვნებს. ამაზე მეტყველებს „გულთან“ დაკავშირებული არაერთი ქართული სიტყვა:

გულ – ქართლი	გულმა არ აპატია
გულ – მავიწყი	გული არ ივიწყებს
გულ – წრფელი	გულს ვერ უბრძანებ
გულ – ზვიადი	გულ – ქვა
გულ – კეთილი	გულ – მხიარული
გულ – ბოროტი	გულით ვატარებ
გულ – ღრძო	უგულო

გულში დავიმარხე	გულს სძულს
გულ – მხურვალე	გულს უყვარს
გულ – ადი	გულ-მართალი
გული მეუბნება	გულ-დახურული
გულმა მითხრა	გული ხედავს
გულმა რეჩხი მიყო	გული ვერ ხედავს
გულ – გრილი	გულით ვიხედები
გულ – ითადი	გული ჩემი თვალებია
გულმა შეიყვარა	გულს ვერ უბრძანებ
გულმა შეიძულა	გულ-ნათელი
გულიანი	მამაცი გული
ფიქრი გულში ჩაიხვია	გამბედავი გული
გულში ბოროტება ჩაიდო	მზის გული
გულში სამაგიეროს გადახდა ჩაიდო	ოქროს გული
გულში ჩაიდო	გულთან ახლოს არის
გულ – მაგარი	გულთამხილავი
გულ – ჩვილი	გული შეუწუხდა
უშიშარი გული	გულის ყური
გულს უნდა	

და, ალბათ, კიდევ ბევრი გაგვახსენდება, რაც აქ გამოგვრჩა ჩამონათვალში. ადამიანი რომ გულით აზროვნებს, მას „ყური“ აქვს და მოსმენაც შეუძლია, ამას გვამცნობს მსოფლიოს უძველესი ხალხი და, მათ შორის, ქართველთა ეთნოგრაფიული მასალაც.

ადამიანის ტვინი მხოლოდ კომპიუტერია – ინფორმაციის შესანახი მოწყობილობა. არსებობენ ადამიანები, რომლებსაც ტვინის ერთი, ან არც ერთი ნახევარსფერო არ აქვთ, მაგრამ ნორმალურად აზროვნებენ. „გულისგულს“ განსაკუთრებული დანიშნულება აქვს. **ყოველ მიკრო თუ მაკრო სამყაროს აქვს „გულისგული“. „გული“ და „გულისგული“ აქვს თვით დედამიწასაც.**

აქ ჩამონათვალითაც საკმარისია დავასკვნათ, რომ ადამიანი თავისი ორგანიზმის უმთავრეს ორგანოდ ყოველთვის გულს თვლიდა. მისი

ფიქრები, საქციელი, ცხოვრების წესი და სხვა გულიდან არის წამოსული, **ადამიანის აზროვნება გულიდან – ცენტრიდან იმართება.**

მსოფლიოს უძველეს ხალხებთან, მათ შორის ქართველებთანაც, ერთ-ერთი სალოცავი საგანი იყო წმინდა ქვა, სახლის კერპი – ქვის გული. საკულტო ანტროპომორფული გამოსახულების ქვა დღესაც აქვთ ზოგიერთ ოჯახში სარდაფში – გომში. ამ ქვას „**კა**“-ს უწოდებდნენ. არსებობს ქვის ჯვრებიც. ამ საკულტო ქვას ხელს შეახებდნენ, თუ „ოფლიანი“ იყო, ე.ი. უწყრებოდათ სალოცავი.

ჯერ კიდევ ქვის ხანიდან მრგვალი ქვის გული მზის ხვთაების სიმბოლოდ მიაჩნდათ. ქვის გულს, მაგარ, მრგვალ ქვას – კლდის წმინდა ლოდს სწირავდნენ ცხვარს, ძროხას.

ერთ-ერთ გამოცხადებაში ჩემი გულის ადგილას ვიხილე სავსე მთვარის ქათქათა თეთრი სფერო, რომელიც შემდეგ „მზედ“ გარდაისახა.

გული სიცოცხლის სიმბოლოდ არის მიჩნეული, ის პირველი იწყებს სიცოცხლეს ორგანიზმში და ბოლოს კვდება.

ყველა რელიგიაში გული ჭეშმარიტების, სინდისის, ზნეობრივი სრულყოფის სიმბოლოა – „ღმერთის სასუფეველი“.

ზემოთ აღწერილი და გამოკვლეული საკითხი ნათელი მაგალითია იმისა, რომ პირველადი ცოდნა, სამყაროში მიმდინარე კოსმიური პროცესების შესახებ, უკავშირდება ქართულ გენს, ქართულ ანბანს, როგორც სამყაროს გენეტიკურ კოდს. **სამყაროს ყოველი საიდუმლო ქართულ ენაში – ქართულ სიტყვებშია ჩადებული. მსოფლიოში არ მეგულება სხვა ენა გარდა ქართულისა, რომელზეც „სამოთხე“ გამოითქმება სიტყვით „სამოთხე“, რაც კოსმიური პირველსაწყისის „სამის“ და „ოთხის“ ერთობას ასახავს და „ღმერთის ბეჭედშიც“ სწორედ „სამოთხის“ სახითაა გამოსახული სამყაროს დედა—ხვთისმშობელი. ეს ყველაფერი მიგვანიშნებს იმაზე, რომ იბერიულ-ქართული გენი ყოველ საწყისთა საწყისია და სამყაროს ყველა საიდუმლოს გასაღები მის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე კავკასიაში – საქართველოში და ქართულ ცნობიერებაშია.**

ცავით გარეჯი, ვარძია, უფლისციხე – ციკლოპური ცივილიზაციის ქალაქები

საქართველო უძველესი კულტურისა და ცივილიზაციის ერია. ქართველ მთის ხალხთა მითოლოგიაში, ეთნოგრაფიულ მასალებზე დაყრდნობით, კავკასიის ტერიტორიაზე XX საუკუნემდე შემორჩენილია ცნობები მატრიარქატის პერიოდის შესახებ. პირველყოფილი ეპოქის ქალმა ჩაუყარა საფუძველი რელიგიას. პირველი ქადაგი ქალი იყო. ღმერთს ზოგადად უწოდებდნენ „ხთ“. აქვე შევნიშნავ, რომ ფინიკიელები ქალღმერთ ევას მოიხსენიებენ „ხვთ“. არ იყო ზღვარი საიქიოსა და სააქაოს შორის, მიცვალებულები თვალისთვის ხილულნი იყვნენ, მხოლოდ მათი სხეული ჩრდილის სახით იყო. მათ იცოდნენ, რომ სულიწმინდა „სამოთხეშია“. მზე ქალის სახით წარმოედგინათ, მოგვიანებით კი ტყუპი და-ძმის სახით, რომლებიც ნახევარმზეებია და მომავალში უნდა გამთლიანდნენ. მამაკაცები დედის ძედ იწოდებოდნენ (ამირანი დარეჯანის ძეა). აღმოსავლეთ საქართველოში ნაპოვნია ანდროგენი ხვთაებების გამოსახულებები. ადამ და ევას შორის გველი მოიაზრებოდა მამაკაცის სასქესო ორგანოს სახით, საიდანაც მოდის ფალოსური კულტის თაყვანისცემა, რაც ნაყოფიერების სიმბოლოს უკავშირდება, ვინაიდან ადამიანები ყველაზე დიდ სასწაულად ადამიანის შექმნას მიიჩნევდნენ. მზის ქალღმერთი „სამძიმარი“ გამოისახება მტრედის, ან ჯვრის სახით. მითოლოგიაში აღწერილი კოსმიური პროცესებია ასახული სარიტუალო ქვებზე, გვყავს ორი ხვთისშვილი – „ძე“ და „ასული“, რაც უმნიშვნელოვანესი კოსმიური მოვლენაა. თაყვანს სცემდნენ მიწის ქალღმერთ „კი“-ს ისევე, როგორც შუმერები. ეს ყველაფერი მატრიარქატის პერიოდის აზროვნებაა.

„კოპალა... იახსარის“ მითია აღბეჭდილი შუმერთა ერთ-ერთ ქვის ბეჭედზე (ძვ. წ. 3400 წ., ლონდონი, ბრიტანეთის მუზეუმი). მსოფლიოში ერთადერთია დავათის სტელა (ძვ. წ. 680 წ.), რომელზეც გამოსახულია ქართული ანბანის 37 ასო-ნიშანი. უძველესი კოსმიური ცოდნა ანბანის შესახებ, რომელიც ასახულია ეგვიპტის ტაროს არკანებში და შუმერების „მე“-ს ხვთაებრივ კანონებში, მსოფლიოში არსებული 14 ანბანიდან მხოლოდ ქართულ ანბანში აისახება. ჩვენ ვართ „მიჯაჭვული ამირანის“, „გრალის თასის“ და „ოქროს საწმისის“ ქვეყანა, რომელიც აღმოსავლეთის წინასწარმეტყველებით, კავკასიაში – საქართველოში ისევ უნდა დაბრუნდეს. ამ წინასწარმეტყველებაში საქართველოში ახალი ცივილიზაციის, „ახალი ტიპის“ ადამიანის დაბადება მოიაზრება. ვინაიდან, **ადამის ცივილიზაცია ქართულ-იბერიული გენით კავკასიიდან დაიწყო, ახალი ცივილიზაციაც მსოფლიოში ისევ საქართველოდან – ქართული გენით დაიწყება.**

ყველა უძველესი ხალხი რეალურ ცხოვრებას აწყობდა უხილავ სამყაროსთან შესაბამისობაში. ხალხის მიწიერი და სულიერი ცხოვრების წარმმართველები იყვნენ ღმერთთან დაახლოებული ადამიანები, ქურუმები, ქადაგები და სხვა.

ახალ კოსმიურ პერიოდში გადასვლისას, რომელიც დროის მიხედვით იცვლებოდა, სამყაროში იცვლებოდა „ღმერთის ბეჭედიც“, ანუ არსთა წრებრუნვის კოსმიური სურათი. სწორედ ამ სურათების მიხედვით ხალხი ახალ კოსმიურ გარემოს, ახალ კოსმიურ ენერგიას ქმნიდა, ე.ი. ანგრევდა ან ტოვებდა ძველს და აშენებდა ახალს. ეს ტროას მაგალითზეც ჩანს: თითქმის 10 ქალაქია მიტოვებული და აშენებული ერთმანეთის გვერდით. ამას გვიდასტურებს ამერიკაში მაიას უძველესი ტომების მიერ მიტოვებული ქალაქები. ეს ფიქსირდება საქართველოშიც.

სახელმწიფო, ქალაქი, საცხოვრებელი სადგომი, თვით ადამიანი, თავისი სამოსით და ყოფითი საგნებით, მასზე ორნამენტებით, არსთა წრებრუნვის სურათების მსგავსად ეწყობოდა. ამის მაგალითებია: შუაში დედაქალაქი და ირგვლივ 12 ქალაქი (შუამდინარეთი). შუაში ერთი ტაძარი და ირგვლივ 12 ტაძარი. თვით ტაძარსაც კოსმიური სქემის მიხედვით აშენებდნენ. ზეციური კოსმიური სურათის აღქმაა 1-2-3-4 ნავიანი ტაძრები, ძველი ბანიანი სახლები დედაბოძით, სახლის წინ მუხის ან სხვა წმინდა ხის დარგვა.

ახალი კოსმიური ენერგეტიკის მოსვლასთან ერთად ახალ სატახტო ქალაქს აგებდნენ. მცხეთა საქართველოს სატახტო ქალაქი იყო, ხოლო უფრო ადრე სატახტო ქალაქი დღევანდელი „ნატახტარის“ ტერიტორიაზე გვქონდა. მოგვიანებით სატახტო ქალაქი თბილისში გადმოიტანეს, რომლის მდებარეობა ბუნებრივად ქმნის ახ.წ. II ათასწლეულის შესაბამის არსთა წრებრუნვის კოსმიური პროცესის სურათს: წმინდა მთა

შუაში გამოქვაბულით, საიდანაც წყარო გამოედინება, მის მოპირდაპირე მხარეს ელიას მთა, მათ შორის გოგირდის „ტბა“ – აბანოთუბანი, მის მარჯვნივ მთა ნარიყალას ციხე-კოშკით, სადაც შემდგომში ქართლის დედის ქანდაკება დაიდგა. ქ.თბილისი უდიდესი მეტაფიზიკური ენერგეტიკული ადგილია, რამაც თავის დროს განაპირობა დედაქალაქის თბილისში გადმოტანა. ამაზე მიგვანიშნებს ქალაქის ძველ უბანში სხვადასხვა რელიგიათა ტაძრების არსებობა. ასეთი რამ შემთხვევით არ ხდება. მამა ღმერთს კოსმიური წრებრუნვის სურათში, ერთი შეხედვით, მთის სახე აქვს. უძველესი ხალხები ბუნებრივ თუ ხელოვნურ პირამიდებს „კოსმიური მთის“ მიხედვით აგებდნენ და მათ წმინდა მთას უწოდებდნენ. ამის ანალოგიაა ქ. თბილისის მთაწმინდა. მის შუაგულში, გამოქვაბულში ცხოვრობდნენ წმინდა მამები. ვფიქრობ, ეს ადგილი წმინდა ადგილად ითვლებოდა ჯერ კიდევ წარმართობის დროს, ვინაიდან ქრისტიანობამ ძირითადად წარმართული პერიოდის წმინდა ადგილები გამოიყენა ტაძრების ასაგებად, ხოლო წარმართული ნიშების ქვები ქრისტიანული ტაძრების კედლებში ჩააშენა. თვით თბილისის მთაწმინდის ტერიტორია განსაკუთრებული კოსმიური ენერგიის მატარებელია. ოქროყანიდან მთაწმინდისკენ მიმავალ დაღმართზე მანქანას თუ გავაჩერებთ, გაჩერებული მანქანა რაღაც ენერგეტიკული ძალების მოქმედებით ზემოთ გადაადგილდება. მქონდა გამოცხადება, რომ **ახ.წ. III ათასწლეულის ბოლოს მთაწმინდაზე მარცხენა მხარეს (არა სატელევიზიო ანძის მხარეს) უნდა აშენდეს წრიული ტაძარი, რომელშიც ყველა რელიგიის ადამიანს შეეძლება შესვლა და ლოცვა.** მთაწმინდა თავისი ენერგიით დღესაც იცავს და იფარავს როგორც თბილისს, ასევე საქართველოს და მთელ დედამიწას, ამიტომ გადმოიტანა მეფე გორგასლანმა სატახტო ქალაქი მცხეთიდან თბილისში და ეს შემთხვევითი არ არის!

ქართველ წინაპართა ღრმა კოსმოგონიური აზროვნებაა ასახული 6-7 ათასი წლის არქეოლოგიურ ძეგლებზე, შორეული წარმართული პერიოდის ქვებზე, რომლებიც უმეტესწილად ჩაშენებულია ქრისტიანული ტაძრების კედლებში.

ქართველთა უშორეს წინაპართა ზემოთ მოყვანილი კოსმიური აზროვნება პარალელია ეგვიპტის, ჩინეთის, შუმერის, მაიას ტომების უშორესი წინაპრების და სხვა იმ პერიოდის ცივილიზაციის ხალხთა კოსმიური

აზროვნებისა; ერთნაირია ეთნოგრაფიულ და მითოლოგიურ მასალაში გადმოცემული კოსმიური პროცესები. სწორედ აქედან გამომდინარე, ხშირად მიფიქრია იმაზე, არის თუ არა საქართველოს ტერიტორიაზე ეგვიპტის პირამიდების, ამერიკაში „ნასკას“ უდიდესი გამოსახულებების, მეხიკოს პირამიდების და სხვა უძველეს ცივილიზაციათა პარალელები. ვფიქრობ, ამ საკითხის წარმოჩინება მართლაც დროულია. ამას ითხოვს კავკასიის უძველესი ცივილიზაციის ძეგლები.

განსაკუთრებით დიდ ყურადღებას იმსახურებს კლდეში ნაკვეთი ვარძია, უფლისციხე და დავით გარეჯი.

პარიზის ხვთისმშობლის ტაძარი 150 წელი შენდებოდა. აქედან გამომდინარე, თამარის მეფობის პერიოდში, თუნდაც 20 წლის მანძილზე, იმ პერიოდის ტექნიკური შესაძლებლობების გათვალისწინებით, ვარძიის კლდეში 600-მდე ოთახის გამოკვეთა, საეჭვოდ მიმაჩნია. ამ ე.წ. მშენებლობას ბევრი მუშა და ხანგრძლივი დრო დასჭირდებოდა. თამარ მეფის

ვარძია

უფლისციხე ძვ.წ. X-V სს.

ჟამთა აღმწერელს ვარძიის კომპლექსის მშენებლობის პროცესი საერთოდ არა აქვს ნახსენები. ამ მშენებლობის შესახებ არავითარი ჩანაწერი არ არსებობს. გარდა ამისა, მრავალსართულიანი კომპლექსი, სართულშუა გადახურვებით, კედლის გარკვეული სისქით და სხვა კონსტრუქციული გადაწყვეტილებებით, ურთულესი საინჟინრო ნაგებობაა, რაც იმ პერიოდის განათლების ადამიანებისთვის ძნელად განსახორციელებელი იქნებოდა. დღესაც კი, თანამედროვე ტექნიკა და სათანადო საინჟინრო ცოდნა არ იქნება საკმარისი, რომ რაღაც 20 წელიწადში ვარძიის მსგავსი კომპლექსი ავაგოთ. და ბოლოს, რაში დაჭირდა ასეთ პატარა სახელმწიფოს მეფეს,

როგორიც საქართველოა და რომელიც მუდმივად თავდაცვით ომებში იყო ჩართული, ასეთი გიგანტური და ურთულესი ქალაქის კლდეში გამოკვეთა?! **ვარძიის კომპლექსი არ არის თამარ მეფის პერიოდში „აგებული“ ნაგებობა! მე, როგორც მშენებელ-ინჟინერს, თამარ მეფის მეფობის დროს ვარძიის 600-მდე ოთახის კლდეში გამოკვეთა საეჭვოდ მიმაჩნია**.

დავით გარეჯი

დავით გარეჯი **ჩიჩენ-იცა**

მოიწვიეთ მსოფლიოს წამყვანი მშენებლები და დაუსვით კითხვა: თანამედროვე ტექნიკის პირობებში რამდენ ხანში „ააშენებენ“ ვარძიის, უფლისციხის და დავით გარეჯის მსგავს კლდეში ნაკვეთ ქალაქებს. ცხადი იქნება, რომ თანამედროვე ტექნიკის პირობებშიც კი თითქმის შეუძლებელია ასეთი ტიპის მასიური ქალაქ-ნაგებობების მშენებლობა. აშკარაა, ეს ძეგლები ციკლოპური ცივილიზაციის ხალხთა დანატოვარია.

ისმება კითხვა – მაინც რა პერიოდის ძეგლებია დავით გარეჯი, ვარძია, უფლისციხე?

ვიდრე ამ კითხვას ნაწილობრივ მაინც ვუპასუხებთ, შევეხოთ საკითხს, რომელიც დღევანდელი ცივილიზაციისათვის აუხსნელი აქტუალური თემაა.

ძველი ცივილიზაციის დანატოვარი ეგვიპტის და ამერიკის პირამიდები ხელოვნურად შექმნილი კოსმიური „წმინდა“ მთებია. ვინაიდან არსებობს ფარაონთა დაკრძალვის ადგილი – „მეფეთა ველი“, მეეჭვება, რომ ფარაონები პირამიდებს ვითომდა თავის დაკრძალვისთვის აგებდნენ. მათ რელიგიური დანიშნულება ჰქონდათ და სახელმწიფოს განსაკუთრებულ აუცილებელ კოსმიურ ენერგიას უქმნიდნენ. ამაზე მეტყველებს სფინქსის ქანდაკებაც. დღეისათვის შეუცნობელია მშენებლობის პროცესი ასეთი გიგანტური ქვების გამოყენებით, მათი ზედაპირების ზუსტი დამუშავების მეთოდი, პირამიდის პარამეტრებში ჩადებული კოსმიური აზროვნება და სხვა. ჩემი აზრით, ეგვიპტის პირამიდების მშენებლობის პერიოდში დიდი იყო ადამიანების ფიზიკური და სულიერი შესაძლებლობები. მათ შეეძლოთ დიდი წონის და მოცულობის ქვებისთვის მიენიჭებინათ უწონადობის მდგომარეობა, გადაეადგილებინათ ნებისმიერი მიმართულებით და ზუსტი სიბრტყით გადაეჭრათ ისინი. **ადამის ცივილიზაციის ადამიანი არ არის ზემოთ აღნიშნული პირამიდების ამშენებელი.**

ცენტრალური ამერიკის – მონტე ალბანას ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ მაიას ტომების წინაპრები, მათ შორის ოლმეკები და საპოტეკები. ისინი თაყვანს სცემდნენ კეცალკოატლის, იგივე იცამნა – ორთავიანი ფრთოსანი გველი, „უძვირფასესი ტყუპი“ (ნახეთ კოსმიური „და-ძმის“ თემა აქვე: „ოქროს საწმისი – ორი მზის საიდუმლო“), სტიქიათა განმგებელი, სამყაროს შემქმნელი, ცისკრის ვარსკვლავის – პლანეტა ვენერას ღმერთი. გამოსახავდნენ თეთრწვერა მოხუცის სახით, სახეზე ნიღბით, ზეციური მფრინავი გველის, ზეციური ურჩხულის სახით, რომელიც დედამიწაზე პერიოდულად მოდის. მან შექმნა დამწერლობა და კალენდარი. იგი იყო ცის მეუფე, რომელიც ღრუბლებში ცხოვრობს. მის სხეულზე გამოსახავდნენ პლანეტათა სიმბოლოებს და ასტრონომიულ ნიშნებს. კეცალკოატლი –

იცამნა ითვლებოდა ორთავიან დრაკონად, რომელიც ითვლებოდა იმპერატორთა სამეფო ხელისუფლების და ძლიერების სიმბოლოდ. მისი თავი არის მიწა, ხოლო ბოლო – ცის შესაკრებელი. სამყარო წარმოედგინათ გიგანტურ ადამიანად, გიგანტურ სახლად, პირამიდად, რომელთა კედლები შექმნილია ოთხი ფრთოსანი გველით, რომლებიც მიმართულია თავით ქვემოთ, მიწისკენ, ხოლო ბოლოებით – ცისკენ. ეს პროცესია ასახული ჩიჩენ-იცას პირამიდაზე, სადაც 21 მარტს, მზის ამოსვლისას, შეინიშნება დრაკონების „ამოსვლა“ მიწიდან ცისკენ, ხოლო 21 სექტემბერს შეინიშნება იგივე დრაკონების ზეციდან „ჩამოსვლა“ ისევ მიწაში.

კეცალკოატლი, იგივე იცამნა, ითვლებოდა ზეციურ ფრთოსან დრაკონად, რომელიც ამოდის „მიწისქვეშა მზიდან“ (დედამიწის გული მზის ტემპერატურის სფერული მასაა და სიმბოლიკაში მას აღმოსავლეთი „ცეცხლის“ – „მზის“ სტიქიის სახით გამოსახავს). კეცალკოატლი არის მექსიკელთა ატლანტი, რომელსაც ძველ ხელნაწერებში ცა ხელით და მხრებით უჭირავს, არის ადამიანთა შემქმნელი, სტიქიების გამგებელი, ცისკრის ვარსკვლავის ხვთაება.

დავით გარეჯშიც კლდეში ამოკვეთილია გიგანტური ორთავიანი დრაკონი, რომელიც ზედმიწევნით მსგავსია ჩიჩენ-იცას პირამიდის დრაკონთა თავებისა. განსხვავება ის არის, რომ ჩიჩენ-იცას დრაკონები ზემოდან ქვემოთ არიან მიმართული, ხოლო დავით გარეჯის დრაკონის თავები მიწიდან ამოსულია და მთის წვეროზეა ცისკენ აღმართული, ანუ იგი ამოდის „მიწისქვეშა მზიდან“. სრულიად შესაძლებელია, ჩიჩენ-იცას გაზაფხულზე დრაკონის მიწიდან „ამოსვლის“ და შემოდგომაზე ისევ მიწაში „ჩასვლის“ ამ ცნობილ „სანახაობას“ დავით გარეჯშიც ჰქონდეს ადგილი. დავით გარეჯის დრაკონებს სხეულზე კოშკი ადგათ, ასე გამოსახავდა უძველესი ხალხი ბაბელონის კოშკს – გოდოლს.

ცენტრალური ამერიკის უძველესი კულტურის შემქმნელთა შორის არიან ოლმეკები და საპოტეკები, რომლებიც ძვ.წ. I ათასწლეულზე ადრე ცხოვრობდნენ დღევანდელი მექსიკის „მონტე ალბანას“ ტერიტორიაზე. გავაანალიზოთ, თუ რა ურთიერთობა და პარალელებია ამ ხალხსა და ქართველთა წინაპრებს შორის. ქართველთა წინაპრები – ქანაანელი ხეთები თაყვანს სცემდნენ ქალღმერთ „ალმეკი“-ს (ალ-მე-კი), სადაც სამივე მარცვალი ქართული სიტყვებია. „ალმეკები“, იგივე მექსიკელთა წინაპარი „ოლმეკებია“. სიტყვაში „ქანაანი“—„ქან-ა-ანი“, ქართული ანბანის „ქ-ქან“ და „ა-ან“ ასო-ნიშნების მეორადი სახელებია. უძველესი ხალხი ყველაფერს ღმერთს უკავშირებდა, ყველაფერში ღმერთს ხედავდა და მათ სახელებს არქმევდა – ანბანის ასო-ნიშნებს უძველესი ხალხი ღმერთებად აღიქვამდა. სიტყვაში „ალბანეთი“ – „ალ-ბან-ეთი“, „ალ“ – ცეცხლია, „ბან“ – ქართული ანბანის „ბ-ბან“ ასო-ნიშანია. ერთ დროს აღმოსავლეთ საქართველოს დიდ ნაწილს ალვანეთი (ალბანეთი) ერქვა. მექსიკის მონტე ალბანას ტერიტორიაზეა „კამპეჩე“, კამპეჩეს ყურე. შეგახსენებთ, რომ საქართველოს ალვანეთის ტერიტორიაზე იყო დღევანდელი ქიზიყი, რომელსაც ადრე კამბეჩა – კამბეჩოვანი ერქვა. ქართული ანბანის და კაბალას ცოდნის კვალია ცენტრალური ამერიკის უძველეს ხალხთა პირამიდებზე, საპოტეკების ღმერთების გამოსახულებებზე, არქეოლოგიურ ძეგლებზე, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ ბიბლიური კაბალას გენეტიკური კოდის – ქართული ანბანის საიდუმლო კოდირებული ცოდნა მაიას ტომების უშორესი წინაპრებისათვის უცხო არ იყო. ეს კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ქართული ანბანი სამყაროს გენეტიკური კოდია და ამისი აღქმა დედამიწის ყველა უძველეს ხალხს ჰქონდა, რასაც გამოსახავდა კიდეც ქვებზე და ასე ტოვებდა შთამომავლობისთვის საიდუმლო ცოდნას სამყაროს „მოწყობის“ შესახებ.

სამხრეთ ამერიკაში, მეხიკოს ტერიტორიაზე მცხოვრები ჯერ კიდევ მაიას ტომების შორეული წინაპრები თაყვანს სცემდნენ დიად და ბრძენ კეცალკოატლის, „ფრთოსან გველს“, ამისთვის აგებდნენ გველებით დამშვენებულ პირამიდებს – ხელოვნურ „წმინდა“ მთებს. მეცნიერთა აზრით, მათი მშენებლობა დაიწყო ახ. წ. IV საუკუნეში. მეხიკოს სამხრეთ გარეუბანში კუიკუილკოს პირამიდაზე ცეცხლოვანი ლავაა გადასხმული. არქეოლოგებმა, გეოლოგების დახმარებით, გაარკვიეს ლავას ასაკი, იგი 8000 წელზე ადრეული აღმოჩნდა. ამ პასუხმა მთლიანად შეცვალა მეცნიერთა შეხედულება ამ საკითხთან დაკავშირებით. საინტერესოა მეხიკოს ჩრდილოეთით „გველის პირამიდა“, რომელიც ერთმანეთში ჩასმული რვა პირამიდისგან შედგება, რაც სამყაროს ოთხ საწყისს უკავშირდება. განსაკუთრებულად გამორჩეული ისტორიული ძეგლებია ჩიჩენ-იცას პირამიდა, „მეომართა ტაძარი“ და სხვა ნაგებობები. ისინი, თავისი სტილით, იმდენად განსხვავებული და გამორჩეულია, რომ ამ ტერიტორიაზე შესწავ-

ლილ არც ერთ ცივილიზაციას არ მიეკუთვნება და ბოლოს, მეცნიერებმა განაცხადეს: „არა, აქ სხვა მუშაობდა, აქ სხვა გავლენა და ცოდნა იგრძნობაო“.

ჩიჩენ-იცას და დავით გარეჯის გიგანტური დრაკონების თავების გამოსახვის უდიდესი მსგავსება გვაფიქრებინებს, რომ ორივე ერთი „ოსტატის“ მიერაა შესრულებული, ანუ ისინი ორივეგან ერთი და იმავეს გამოცხადებით მიღებული ინფორმაციაა. ზემოთ განხილულის საფუძველზე დავით გარეჯის კომპლექსიც შეგვიძლია ჩავთვალოთ 8000 წელზე ადრეულ ძეგლად. დავით გარეჯზე ამოკვეთილი გიგანტური ქართული ასომთავრული ასო-ნიშნები და კლდეში ნაკვეთი დრაკონთა გამოსახულებები შექმნილია გიგანტური ადამიანების მიერ. ცენტრალურ ამერიკაში, ეგვიპტეში და სხვაგან ხალხი ხელოვნურ წმინდა მთებს – პირამიდებს აშენებდა, ხოლო საქართველოში წმინდა მთები – პირამიდები ბუნებრივად იყო უკვე შექმნილი. ბუნებრივი წმინდა მთები – პირამიდებია: დავით გარეჯი, უფლის ციხე და ვარძია. ისინი არ არის ადამის ცივილიზაციის ადამიანის **შექმნილი**. დღეს მეცნიერები ცდილობენ, ეგვიპტის პირამიდები ადამის ცივილიზაციის ადამიანთა აშენებულად ჩათვალონ, მაგრამ ეს დიდი შეცდომაა. საკმარისია გავითვალიწინოთ, რომ პირამიდებში გამოყენებული ზოგიერთი ქვა წონით 200 ტონაზე მეტია, რასაც თუნდაც თანამედროვე რამდენიმე ამწე ვერ ასწევს, ასევე საგულისხმოა მათი იმ სიმაღლეზე ატანა და დაწყობა. მათი ზედაპირები ისეა დამუშავებული და ისეა ერთმანეთზე მორგებული, რომ მათ შორის დანის პირიც კი არ ჩადის. ეს კი, თანამედროვე ტექნიკასაც გაუჭირდება. დავით გარეჯი, უფლისციხე და ვარძია კიდევ უფრო განსხვავებული და კოსმიური აზროვნებით შესრულებული კლდეში ნაკვეთი ქალაქებია, ვიდრე პირამიდები. მეტაფიზიკური თვალთახედვით მათი შესწავლა დიდად წაადგებოდა კაცობრიობას საკუთარი „მე“-ს და მთლიანად სამყაროს შესწავლის და შეცნობის საქმეში.

ჩიჩენ-იცას პირამიდების და დავით გარეჯის კლდეში ნაკვეთი კომპლექსის გაანალიზება, ამ წერილში ზემოთ მოყვანილი მასალის საფუძველზე, აუცილებელ და საჭირო საქმედ მიმაჩნია. ჩემი თვალთახედვით, დავით გარეჯი სწორედაც ჩიჩენ-იცას ცივილიზაციის პარალელია. მათ ერთი კოსმიური პერიოდის ცივილიზაციის ხალხი ქმნიდა. ვფიქრობ,

დავით გარეჯის შემთხვევაშიც საქმე გვაქვს კლდეში ნაკვეთ გიგანტურ გამოსახულებებთან. ამ ძეგლის კოსმოსიდან გადაღებული სურათების განხილვა, ნათელს მოფენს ქართველთა უშორეს წინაპართა ღრმა კოსმოგონიურ აზროვნებას.

ამ წიგნში ბევრი ისეთი საკითხია განხილული, რომელიც ქართველთა და ცენტრალური ამერიკის უძველეს ხალხთა გენეტიკურ თანხვედრაზე მიგვანიშნებს; ეს კი სერიოზული საფუძველია იმისა, რომ მომავალმა თაობამ გააგრძელოს კვლევა ამ მიმართულებით.

საქართველოში ერთ დროს ციკლოპური ადამიანების არსებობაზე მიგვანიშნებს ინდოელთა ხვთაებრივი გმირის **„რამა“**-ს მოგზაურობა, სადაც მოხსენიებულია, რომ **რამა** წამოვიდა კავკასიაში – ინდოეთში. აქ ინდოეთად კავკასია – საქართველო მოიაზრება, ვინაიდან მისი მოგზაურობა ახლანდელ ინდოეთში აღარ არის აღწერილი; ასევე აღსანიშნავია, რომ **მსოფლიოს ხალხთა უძველეს ენად ითვლება ძველი ინდური ენა „სანსკრიტი“, სადაც, ზოგიერთი ქართველი მკვლევარის აზრით, ბევრი ქართული სიტყვაა როგორც წარმოთქმით, ასევე მნიშვნელობით**. მსოფლიოს მოაზროვნე საზოგადოება ყველაზე ძველ ენას – სანსკრიტს შემდეგნაირად წარმოაჩენს: **„ძველ ინდუსთა ენა – სანსკრიტი, კაცობრიობის სულიერი ენაა. ის წარმოიშვა ბაბელონის გოდოლამდე დიდი ხნით ადრე. სანსკრიტი არის უკვდავ ადამიანთა – იოგთა (ადამიანის კავშირი ღმერთთან) ენა“. ზემოაღნიშნულის მიხედვით რამას ბიოგრაფიაში მოხსენიებული ინდოეთი სწორედაც საქართველოა.** აქ მან დახოცა ციკლოპური ადამიანები და ბრძოლით აიღო მათი ქალაქები. სწორედ ამ ციკლოპური ზეადამიანების აგებულია აღმოსავლეთ საქართველოში ვარძია, უფლისციხე და დავით გარეჯი. მათ ჰქონდათ უდიდესი მეტაფიზიკური აზროვნება, თვისებები და შესაძლებლობები, გახსნილი ჰქონდათ მესამე, ე.წ. „გონითი თვალი“, ურთიერთობდნენ სხვადასხვა განზომილებების არსებებთან, გადაადგილდებოდნენ კოსმოსში, სხვა განზომილებებში. მათ დროს არ იყო სიკვდილი, ვინაიდან მათი სხეული ზემატერიებისგან იყო შექმნილი, კოსმოსური ენერგიებით იკვებებოდნენ. დიდი იყო მათი შესაძლებლობები. ისინი დედამიწაზე 8000 წელზე გაცილებით ადრე ცხოვრობდნენ, რომელთა შთამომავლებიც დღეს ჩვენ, ქართული გენით დაბადებული ადამიანები ვართ.

„რამა“-ს პერიოდულად ეცხადებოდა თეთრწვერა მოხ-

უცი თეთრი სამოსით და კვერთხით, რომელიც ეუბნებოდა: „მე ვარ ხვთაებრივი გონი“. რამას და მათ მიმდევართა ცნობიერებით, ინდოეთში წარმოიშვა პირველი დიდი ცივილიზაცია, რომელიც არის თეთრი რასის გამარჯვების გამოვლინება, ფლობდნენ სულიერი ცოდნის დიდ საიდუმლოს. მათ ცოდნას თუ გავყვებით, მიგვიყვანს უფრო შორეულ წარსულთან, როცა ორი ურთიერთსაპირისპირო ენერგია – პირველსაწყისი ხვთიური ძალები იყვნენ შეერთებული დიდი ჰარმონიით. ეს არის პირველყოფილი არიული ეპოქა. **კაცობრიობის თეთრ – არიულ რასას ევროპელები კავკასიურ რასას უწოდებენ**.

აუცილებელია მივიდეთ ორი პირველსაწყისის სათავეებთან, მათი წარმოშობის პირველწყაროსთან, რაც დღეს ძალიან სჭირდება კაცობრიობას. ხვთაებრივი შუქი გაფერმკრთალდა, მაგრამ ეს ხვთაებრივი სიმართლე ხელახლა გამოჩნდება; ის ხელახლა ჩნდება ყოველ ჯერზე, როცა წინასწარმეტყველი, გმირი ან ნათელმხილველი ამაღლებს ადამიანთა ცნობიერებას, მიმართულს პირველსაწყისისკენ, ვინაიდან მხოლოდ პირველსაწყისის გამოსვლის წერტილიდან, სულიერი მეტაფიზიკური მზედან, რომელიც ყოფიერების ცენტრშია, არის შესაძლებელი დაინახო მთელი სამყარო.

მითოლოგიის, ეთნოგრაფიის, არქეოლოგიური სიმბოლიკის ცოდნათა შეჯერებით შეგვიძლია დროის იმ ეპოქაში ჩავიხედოთ. ისინი გამოირჩევა დიდი უბრალოებით და ამავე დროს, დიდი კოსმოგონიური ცოდნის სიღრმეებით, სადაც იხატება რწმენის სისრულე, ძალა და სინათლე, რომლის დაბრუნება კაცობრიობამ დღემდე ვერ შეძლო. ისინი სავსეა მთლიანი ბუნების ხვთაებრიობის შეგძნებით, უხილავი სამყაროს შეცნობით. იმ პერიოდის ხალხი თვლიდა, რომ სამყარო ერთიანი და ცოცხალი ჰარმონიული ორგანიზმია. მათი აზრით, **ეს ცოდნა წარმოიშვა არიული – კავკასიური თეთრი რასის ცნობიერების სიღრმეებში. მათ ხელთ უპყრიათ წმინდა ხვთაებრივი ცეცხლი, რომლისგანაც აინთება სულიერი სინათლე – წმინდა ცეცხლი მსოფლიოს ყველა ხალხისთვის.**

ზემოთ განხილული მასალა მტკიცებულებაა იმისა, რომ **უძველესი ინდოეთი სწორედაც საქართველოა, რომელიც ასევე მოიაზრება ხვთაებრივი წმინდა ცეცხლის სამშობლოდ**; ცეცხლის სტიქია კი იგივე ქალღმერთი და სამყაროს დედაა, რომლის თაყვანისცემა, მოგვიანებით,

ხვთისმშობლის თაყვანისცემაში გადაიზარდა.

მეტად საინტერესოა ქ. სიღნაღის გამოკვლევა, როგორც უძველესი ცივილიზაციის ისტორიული ძეგლისა, ვინაიდან არგონავტების მითში რამდენჯერმე არის მოხსენიებული „ქიზიყი“ (Кизики), ეს კი ძალიან მნიშვნელოვანია (ნახეთ აქვე: „ოქროს საწმისი – ორი მზის საიდუმლო“). სიღნაღის მუზეუმშია განთავსებული ქართული ცნობიერებით ოქროს საწმისის და ჩიტისთავიანი ქალღმერთის ექსპონატები. ქ. სიღნაღი და მის ირგვლივ ტერიტორია ზედხედში ქმნის გიგანტურ მბრუნავ ბორჯღალს – ერთგვარ მზეს. ის ერთადერთი ქალაქია საქართველოში, რომელსაც ირგვლივ უნიკალური ისტორიული გალავანი აქვს შემოვლებული. „ქიზიყი“ ქ. სიღნაღის ისტორიული სახელია. ბერძენი მოგზაური სტრაბონი (ახ. წ.I ს.) აღწერს კავკასიაში – ქიზიყში ცეცხლის – მზის თაყვანისმცემლობის დღესასწაულს. არ არის შემთხვევითი, რომ წმინდა ნინომ ქალაქ სიღნაღში დაასრულა თავისი სიცოცხლე და აქ ჰპოვა სამუდამო განსასვენებელი.

აღმოსავლეთ საქართველოში, ნეკრესში, არის შორეული წარმართობის პერიოდის ცეცხლთაყვანისმცემლობის სალოცავის მთელი კომპლექსი. დღეს ჩვენთვის არ არის ხელმისაწვდომი ძირძველი ქართული კაბალას სამშობლოს – დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მდებარე ქ. კაბალას არქეოლოგიური მასალა.

ბოლო პერიოდის ტიბეტის – შამბალას (კაილასის) და იმ ტერიტორიის მთების გამოკვლევებმა, ეს ტერიტორია ახალი თვალთახედვით დაგვანახა. მიაჩნიათ, რომ ისინი ციკლოპური ცივილიზაციის ხალხთა მიერ ხელოვნურად შექმნილი პირამიდებია. **ტიბეტელთა კოსმოგონიური ცოდნის მიხედვით, შამბალას წმინდა მთა თვით ადამიანშია, ადამიანის შეცნობა თვით შამბალას საიდუმლოს შეცნობას უთანაბრდება, მაგრამ ადამის ცივილიზაციის გენის ადამიანს არ შეუძლია ეს საიდუმლო ცოდნა გააცნობიეროს. უძველესი სიბრძნე გვეუბნება: „შეიცანი თავი შენი და შეიცნობ სამყაროს“.**

ციკლოპურ ადამიანთა ცივილიზაციის დანატოვარია ვარძია, უფლისციხე, დავით გარეჯი, ეგვიპტის, ცენტრალური ამერიკის, ტიბეტის და სხვა უნიკალური ისტორიული ძეგლები. ამ ძეგლებისთვის დამახასიათებელია ხელოვნური ან ბუნებრივი პირამიდები, გიგანტური გველები ზედ

აშენებული კოშკით – ბაბელონის გოდოლით, ორთავა გველები, გველები თავით მიწისკენ ან ზეცისკენ, პირამიდების ცენტრში გამოქვაბულები, სადაც ბინადრობს გიგანტური გველი, პირამიდებში სამკუთხა კარი წვეროთი ზემოთ და სხვა. დავით გარეჯის ერთ-ერთ გამოქვაბულში დიდი ქვის გული აღმოაჩინეს.

ამ უძველესი ძეგლების შემქმნელები ერთი გენეტიკური კოდის ხალხია. ისინი ყოველივე ამას თავისთავში აღიქვამდნენ და აცნობიერებდნენ, რომ მიკრო თუ მაკრო სამყარო ერთნაირადაა მოწყობილი და თვითონ სამყაროა სამყაროში. მთელი სამყარო ერთი დიდი ორგანიზმია, აგებული და განსხეულებული ზეციური შემოქმედის წინასწარდასახული გეგმის მიხედვით.

მსოფლიოს მოაზროვნე საზოგადოება კლდეში ნაკვეთ გამოქვაბულებს პირველ ადამიანთა თავშესაფრად მიიჩნევს. მხოლოდ ქართველი მეცნიერები თვლიან და მთელ მსოფლიოს უმტკიცებენ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე კლდეში ნაკვეთი გამოქვაბულები ქრისტიანობის დროს არის შექმნილი: მთაწმინდა შუაში გამოქვაბულით და დავით გარეჯი – მე-6 საუკუნეში, ხოლო ვარძია – მე-12 საუკუნეში, თამარ მეფის დროს, მიუხედავად იმისა რომ ამ საკითხებზე ისტორიული ჩანაწერები არ არსებობს. რატომ ვცდილობთ საქართველოს უშორესი ისტორია ხელოვნურად „შევამოკლოთ“; ეს მაშინ, როდესაც ყველაზე ახალგაზრდა ევროპაც კი ცდილობს, მათ ტერიტორიაზე არსებული გამოქვაბულები პირველ ადამიანთა საცხოვრისად განიხილოს. ამ საკითხზე ქართველებს სერიოზული დაფიქრება გვმართებს. ქართველები პირველსაწყისი გენის მატარებელი ხალხია. საქართველო და ქართველი ხალხი ოდითგანვე სამოთხედ (გურჯისტანად) და სამოთხის ხალხად (გურჯებად) მოიაზრებოდა. ქართველები არსაიდან მოსულები არ არიან, პირველსაწყისიდანვე აქ, კავკასიაში ცხოვრობდნენ. ეს საკითხები ამ წიგნში მრავალი კუთხითაა წარმოჩენილი.

შორეული წარმართობის კოსმოგონიური აზროვნებაა ასახული იმ პერიოდის სალოცავების ქვებზე, რომლებიც დღეს იმავე ადგილებზე აშენებულ ქრისტიანული ტაძრების კედლებშია ჩაშენებული. აუცილებელია ამ ქვების და მათზე ასახული მეტაფიზიკური კოსმოგონიური აზროვნების შემეცნება-შესწავლა.

საქართველო უძველესი ცივილიზაციის ქვეყანაა, მაგრამ დღემდე, სხვადასხვა მიზეზთა გამო, ჩვენს ისტორიულ ძეგლებს არ მიეცათ სათანადო შეფასება. **აუცილებელ საქმედ მიმაჩნია დავით გარეჯის, უფლისციხის, ვარძიის, ქ. სიღნაღის, ნეკრესის, ქ. კაბალას და სხვა ისტორიული ძეგლების, როგორც ინდივიდუალური, ისე კომპლექსური გამოკვლევა, მეტაფიზიკური კოსმოგონიური თვალთახედვით შესწავლა-შემეცნება, როგორც წინა ცივილიზაციის დანატოვარი ისტორიული ძეგლებისა.**

„ალვანეთი“ კავკასიის ალბანეთის ისტორიული სახელია. თანამედროვე „უძველესი ქართული“ ხელნაწერები. „ქანწილი“

ქ.თბილისში ცხოვრობს და მოღვაწეობს ქალბატონი ნ.შ.-ქ., რომელსაც უფლის ნებით, უფლის ანგელოზის შთაგონებით, ეძლევა თანამედროვე და მომავალი საზოგადოებისთვის მეტად საჭირო და საინტერესო ინფორმაცია, რომლის საკმაოდ დიდი ნაწილი ჩემთვის დაიწერა. აქ არის მითითებები და დავალებები ჩემს მიმართ, თუ როგორ უნდა წარვმართო კვლევები. ძირითადად მიმითითებენ, რომ გამოვიკვლიო ქართული ანბანი, როგორც სამყაროს გენეტიკური კოდი, რათა მეორედ „მოსვლის და განკითხვის ჟამისთვის“, რომელიც ძალიან ახლოსაა, შევქმნა მართალი სიტყვის ენერგია, რომელიც განაპირობებს კაცობრიობის „მშვიდ სანანელს“, გახსნის სამყაროს დიდ საიდუმლოებებს, რელიგიისა და მეცნიერების სხვადასხვა დარგის საიდუმლოთა კუთხით. თავდაპირველად ვერ ავხსენი სიტყვა „სანანელი“-ს – „სან-ან-ელ“-ის მნიშვნელობა, რაც მოგვიანებით გაიშიფრა კაბალას ცოდნიდან: „სან“ ქართული ანბანის 21-ე ასო-ნიშანია, რომელიც, კაბალას ცოდნის მიხედვით, არის „სასამართლო“, „ან“-ცის ღმერთია, რომელმაც შექმნა სამყაროში ყველაფერი, „ელ“-ელია – ელიაზარი – ლაზარე – ლაზიერი – დედოფალი და დამწერლობის ქალღმერთია, რომელიც ყველა ძველი ხალხის მითოლოგიაშია მოხსენიებული. მაშასადამე, სიტყვა „სანანელი“ „უფლის სასამართლოს“ ნიშნავს და იმისთვის, რომ ბოლო ჟამს „უფლის სასამართლო“ წარიმართოს მშვიდად და არა დიდი კატასტროფების ფონზე, ჩემგან ითხოვენ იმ საკითხების ახსნას, რომლებიც ჩემს გამოკვლევებში, გამოქვეყნებულ სტატიებსა და წიგნებშია წარმოდგენილი.

უფლისკენ მიმავალ გზაზე რელიგია ოც საზვერეს განიხილავს. მათგან მეორე „სიცრუის“ საზვერეა, ეს კი ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია. ვინაიდან დღეს, ადამიანთა ცნობიერებაში სიცრუემ შექმნა უდიდესი უარყოფითი ენერგია, რომელშიც გახვეულია ყველა და ყველაფერი დედამიწაზე, რაც უფლის დიდი „გეგმიდან – ჩანაფიქრიდან“ გადახვევას იწვევს, უფალი ამას არ დაუშვებს და მოხდება „განწმენდა“, როგორც

ენერგეტიკულად, ისე ფიზიკურად. „მართლმადიდებლობა“ უძველესი, პირველსაწყისი რელიგიაა, რომელიც მთელ სამყაროში უფლის „კანონებზეა“ მორგებული. სწორედ ამ **სიცრუის ენერგიის „მართალის“ ენერგიად გარდასახვას ითხოვენ** ჩემგან. ეს ჩანაწერები – კონტაქტი ხშირად ჩემს თვალწინ ხდებოდა. ქალბატონი ნ.შ.-ქ., ჩემი თანდასწრებით, მაღალი ხმით იმეორებდა მიღებულ ინფორმაციას და წერდა. მე ვუსმენდი ყოველივე ამას, აზრებით მივყვებოდი მიღებულ ინფორმაციას. ზოგი რამ გაურკვეველი იყო, ვინაიდან ეს ინფორმაციები შერეული ტექსტით იწერება – ძველ და თანამედროვე ქართულ ენაზე. რჩება შთაბეჭდილება, რომ ამ ენისთვის „დრო“ არ არსებობს, წარსული, აწმყო და მომავალი ერთია, ამიტომ ზოგიერთი ძველი ქართული სიტყვები, რომლებიც ჩვენთვის გაუგებარი იყო, ფიქრში გამიელვებდა – ნეტავი რას ნიშნავს-მეთქი. ამ დროს უფლის ანგელოზისთვის ჩემი ფიქრიც კი ცნობილი იყო. ასეთ შემთხვევაში გვიწერდა, რომ „ახლა ნაზიმ ეს... გაიფიქრა და ამის პასუხი არის ეს...“. აქედან გამომდინარე, გამიჩნდა ღრმა რწმენა იმისა, რომ **უფლისთვის არა მხოლოდ ადამიანის საქციელი, არამედ მისი სულ მცირედ გააზრებულიც კი, ცნობილია და არაფერია დაფარული**, ამიტომ რელიგია გვაფრთხილებს: „განიწმინდეთ გულები“, ვინაიდან **ადამიანის მთავარი ინფორმაციის წყარო არა ტვინი, არამედ – გულია**. თითოეულ ადამიანს თავისი ანგელოზი ჰყავს, რომელიც მისი შუამავალია ღმერთთან და ყოველთვის ჩვენთანაა, თვალყურს გვადევნებს, გვისმენს, კითხულობს ჩვენს ნააზრევს.

თითქმის 27 წელია ამ წიგნში გადმოცემულ და კიდევ მრავალ სხვა საკითხებზე ვმუშაობ. პროფესიით მშენებელ – ინჟინერი ვარ და მეგონა, ეს კვლევა ჩემთვის უბრალო ინტერესის სფერო იყო, მაგრამ ქალბატონ ნ.შ.-ქ.-ს მიერ ჩემთან მოტანილმა ინფორმაციამ, რომელიც სპეციალურად ჩემთვის დაიწერა და კვლავაც იწერება, დამარწმუნა, რომ საქმე ასე მარტივად არ ყოფილა და ჩემი კვლევები უფლის „ჩანაფიქრის“ ნაწილია. ეს კი დიდ პასუხისმგებლობას მაკისრებს. ყოველივე ამან რაღაც პერიოდით გამაოგნა, მაგრამ თანდათან გონს მოვეგე და განვაგრძე აღნიშნულ საკითხებზე მუშაობა. ამ ნაწერებიდან ვიგებთ, რომ ყველაფერი, რაც ჩვენ მიგვაჩნია, რომ „სწორია“, არ არის „მართალი“, უფლისთვის „მართალი“ კიდევ სხვაა.

ამ ნაწერების სიტყვებში ხშირად ერთსა და იმავე ასო-ნიშნებს იმეორებენ. განვიხილოთ ჩანაწერის პატარა ფრაგმენტი: **„სახელდებ-ითისა წიგნთთას პირველთაითისადმნსს: ჯუართა, კუართთა, მცხეთადმნს სუეტისა ცხოველისსას იბერიელთა სდროითთისსსდგანს. ამინ, უფლის წყალობანი“.**

ეს ტექსტი, რომელიც დაიწერა სვეტიცხოველთან დაკავშირებით, არის პასუხი ჩემს რვა კითხვაზე და გამოცემულია 2010 წელს პატარა წიგნის სახით. ამ მცირე ტექსტიდან ჩანს, რომ ხშირად მეორდება „თ“, „ს“, „დ“ და ა.შ. ასო-ნიშნები. ჩემს შეკითხვაზე, თუ რატომ ხდება ეს, მოგვცეს შემდეგი განმარტება: **აიღეს რამდენიმე სიტყვა და მიმდევრობით თითოეული ასო-ნიშნის კოსმიური არსი განგვიმარტეს იმის მიხედვით, თითოეულ ასო-ნიშანს სიტყვაში რა მდებარეობა აქვს, ანუ რიგით რომელია ესა თუ ის ასო-ნიშანი, რომელ ასო-ნიშნებს შორის წერია, სიტყვის საწყისია თუ ბოლო**. მაგალითად, „წიგნთთას“, „კუართთა“, „სდროითთისსსდგანს“, თითოეულ სიტყვაში განმეორებულ თითოეულ ასო-ნიშანს თავისი კოსმიური დატვირთვა აქვს და სულ სხვადასხვაგვარი განმარტება ეძლევა. საინტერესოა ამ კუთხით კავკასიის ერთ-ერთი უძველესი ხალხის – ალვანელთა (ალბანელთა) ანბანის 52 ასო-ნიშნის განხილვა.

1937 წელს ქართველმა ენათმეცნიერმა ილია აბულაძემ სომხეთში, ეჩმიაძინის ხელნაწერთა საცავში, აღმოაჩინა XV საუკუნეში გადაწერილი „სომხური ენის სახელმძღვანელო“-ს ხელნაწერი, რომელიც ჩამოტანილია ყირიმიდან – კაფიდან (ფეოდოსია), სადაც ცხოვრობდნენ სომხეთის ქალაქ „ანი“-დან წასული სომხები, რომელთაც უწოდეს უკრაინელი სომხები. ისინი **ყივჩაყთა** ენაზე საუბრობდნენ, წერდნენ და ლოცულობდნენ. „**სომხური სახელმძღვანელო**“ მსოფლიოში **ყივჩაყთა** პირველ წიგნად ითვლება, რომელშიც განთავსებულია შვიდი ანბანი: **ბერძნული, ასურული (სირიული), ლათინური, ქართული, ალვანური (ჰერული), კოპტური და არაბული**. ამ წიგნში წარმოჩენილია **ალვანური** ანბანის 52 ასო-ნიშანი, რომელსაც დღეს საზოგადოება „კავკასიის ალბანეთად“ მოიხსენიებს. დღემდე არ არის აღმოჩენილი არც ერთი ალვანური ხელნაწერი.

ქართული ანბანის მკვლევარები ასო-ნიშანთა სხვადასხვა რაოდენობას განიხილავენ: 35, 37, 38, 40. ეს არასწორია. ქართული ანბანი სრულყოფილად 37 ასო-ნიშნით ასახულია დავათის სტელაზე (ძვ.წ.680); V-VIII საუკუნეების ქართული საგალობელი „იამბიკონნი ქართულსა ანბანსა ძუელნი“ ქართული ანბანის 37 ასო-ნიშანს წარმოაჩენს; X საუკუნის „სომხურ სახელმძღვანელოშიც“ ქართული ანბანი 37 ასო-ნიშნით არის წარმოდგენილი. ამასთანავე, ბიბლიური კაბალას საიდუმლო კოსმიური ცოდნა ღმერთზე, ადამიანსა და სამყაროზე, მხოლოდ ქართული ანბანის 37 ასო-ნიშანში აისახება. მაშასადამე, სადაო არ არის, რომ ქართული ასომთავრული ანბანი 37 ასო-ნიშნისგან შედგება და სხვა ყველა მოსაზრება მცდარია.

ყირიმელი სომეხი **ყივჩაყების** მიერ ახ.წ. X საუკუნეში შედგენილ და XV საუკუნეში გადაწერილ „სომხურ სახელმძღვანელოში“ (ეჩმიაძინის ხელნაწერთა საცავის №7117 ხელნაწერი), შვიდ სხვადასხვა ხალხთა ანბანებს შორის განთავსებულია ქართული და **ალვანური** (ჰერული) ანბანები. ამ ნაშრომზე თავის დროზე მუშაობდნენ ენათმეცნიერები ილია აბულაძე და აკაკი შანიძე. ისტორია ალვანეთს ჰერეთთან აიგივებს, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს ნაწილია, იგივე საინგილო, რომლის დიდი ნაწილი დღეს აზერბაიჯანის ტერიტორიაზეა. **„კავკასიის ალბანეთი“ მოგვიანებით შერქმეული სახელია და მას ჯერ კიდევ ახ.წ. X საუკუნეში „ALვანეთად“ მოიხსენიებდნენ.** სიტყვა „ალვანი“ – „ალ-ვანი“ ქართული ენიდან მომდინარეობს და „**ALი**“-ს – ცეცხლის სავანეს ნიშნავს. ეს იმ ხვთიურ ცეცხლზეა საუბარი, რომელიც დღესაც გადმოდის იერუსალიმში აღდგომის დღეს. სახელი „**ALვანი**“ მას ქართულ ენაზე მოლაპარაკე ხალხმა დაარქვა. აღმოსავლეთ საქართველოში დღემდე არსებობს ზემო ალვანი და ქვემო ალვანი.

ბერძენი მოგზაური **სტრაბონი** (ახ.წ. Iს.) თავის ჩანაწერებში კავკასიის **ალვანეთს „ალბანეთად“**, ხოლო **კამბეჩოვანს** (თანამედროვე ქიზიყს), ასევე შეცდომით – **„კამბისენას“** სახელებით მოიხსენიებს. ბერძნებმა ასე შეცვალეს „ბაბელონი“ „ვავილონი“-თ, „იბერია“ – „ივერია“-თი. ვფიქრობ, თანამედროვე ისტორიკოსებმაც სწორედ სტრაბონის ჩანაწერები გამოიყენეს, როცა კავკასიის ისტორიული „ალვანეთი“-ს სახელი „ალბანეთი“-თ შეცვალეს. ამით შეიცვალა არა მხოლოდ ალვანეთის სახელი, არამედ ამას მოჰყვა ისტორიის მცდარი გააზრებაც, რამაც ძირძველი ქართული ტერიტორია „ალვანეთი“ (ჰერეთი) თავის სამშობლოს – საქართველოს ჩამოაცილა და დღეს მასზე პრეტენზია აქვთ სომხ-

ებს და აზერბაიჯანელებს, რომლებიც კავკასიაში მხოლოდ ახ.წ.IV-VI საუკუნეებიდან ჩნდებიან.

1659 წელს საქართველოს, კერძოდ, კახეთის ყოფნა-არყოფნის საკითხი თურქმანების წინააღმდეგ **ალვანის ველზე** გადაწყდა. ისტორიაში ეს ომი „ბახტრიონის ომის“ სახელითაა ცნობილი.

კავკასიელ ალვანთა ანბანი (ქართული ანბანის მიხედვით)

ქართული ანბანი	ალვანური ანბანი	ქართული ანბანი	ალვანური ანბანი	ქართული ანბანი	ალვანური ანბანი
ა	ალთ (1) არ (25)	მ	მაკ (29)	ყ	—
ბ	—	ნ	ნუც (31)	შ	შა (14) შაქ (33)
გ	გატ (4)	ი	იუდ (11) იაიდ(50)	ჩ	ჩაი (28) ჩატ (39)
დ	დან (18)	ო	ოდეტ (2)	ც	ცოი (26) ცაიან (49)
ე	ენ (7)	პ	პზნ (40)	ძ	ძაი (38)
ვ	ვზზ (44)	ჟ	ჟილ (8) ჟა (12)	წ	წაკ (48)
ზ	ზიმ (3) ზარლ (6) ზოხ (20)	რ	—	ჭ	ჭა (10) ჭი (27) ჭარ (19)
ჱ	ჱბ (5)	ს	სოი (46) სზკ (43)	ხ	ხზნ (17) ხამ (37)
თ	თას (9)	ტ	ტაი (36) ტიჯრ (45)	ჴ	—
ი	ირბ (13) იონ (47) ინა (16)	ჯ	—	ჯ	ჯაი (32) ჯაიან(34)
კ	კარ (21) კარ (30) კატ (42)	უ	უნ (35)	ჰ	ჰზტ (23) ჰაი (24)
ლ	ლან (15) ლიტ (22)	ფ	ფიჯრ (51) ფზს (41)	ჵ	—
		ქ	ქიკ (52)		
		ღ	—		

კავკასიაში „ალბანეთი“ არასოდეს არ არსებობდა. მას ისტორია ჯერ კიდევ ძვ.წ. VI საუკუნეში „ალვანეთად“ მოიხსენიებს. ამის შესახებ არსებობს სათანადო რუკები („საქართველოს ისტორიის ატლასი“, 2002წ. სამეცნიერო რედაქტორები: პროფ. კოტე ანთაძე, აკ. დავით მუსხელიშვილი).

ზემოთ მოხსენიებულიდან სადაო არ არის, რომ **„ალვანეთის“ (ალბანეთი) ხალხი ისტორიულად ქართველები არიან. „ალვანეთი“ კავკასიის ალბანეთის ისტორიული სახელია.**

„სომხური ენის სახელმძღვანელო“-ს ხელნაწერზე მუშაობისას აკაკი შანიძემ ალვანური ანბანის 52 ასო-ნიშანი მიუსადაგა ქართულ ანბანს, რომელიც ქვემოთ მოვიყვანეთ ცხრილის სახით.

აქ მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, რომ ალვანურ ანბანში ასო-ნიშან „ზ“-ს აქვს სამი გამოსახულება და მისი მეორადი სახელებია – „ზიმ“, „ზარლ“, „ზოს“; ასევე ასო-ნიშან „ი“-ს აქვს სამი გამოსახულება და მისი მეორადი სახელებია – „ირბ“, „იონ“, „ინა“; ასო-ნიშან „კ“-ს აქვს სამი გამოსახულება და შესაბამისი მეორადი სახელებია „კარ“, „კარ“, „კატ“; ასო-ნიშან „ლ“-ს აქვს ორი გამოსახულება და მისი მეორადი სახლებია „ლან“, „ლიტ“; ასო-ნიშან „ჟ“-ს აქვს ორი გამოსახულება და მისი მეორადი სახელებია „ჟილ“, „ჟა“; ასევე ორმაგი და სამმაგი გამოსახულებები და მეორადი სახელები აქვთ ასო-ნიშნებს: „ს“, „ტ“, „ფ“, „ს“, „ჩ“, „ც“, „ჭ“, „ხ“, „ჯ“, „ჰ“.

ალვანურ ანბანში ასახული ერთი და იმავე ასო-ნიშნის სხვადასხვა მეორადი სახელი მიმანიშნებელია იმისა, რომ ერთი და იგივე ასო-ნიშანი სიტყვის სხვადასხვა ადგილას შეიძლება გამოყენებული იყოს სხვადასხვა ენერგეტიკული მნიშვნელობით. უძველეს ქართულ ხელნაწერებშიც ერთ სიტყვაში ერთმანეთის მიყოლებით დაწერილი ერთი და იგივე ასო-ნიშნები ამ სიტყვას სხვადასხვა კოსმიურ ენერგიას ანიჭებენ.

ქალბატონ ნ.შ.-ქ.-ს მიერ, უფლის ანგელოზის შთაგონებით, ძველ ქართულ ენაზე დაწერილი ტექსტების სიტყვებშიც ასო-ნიშნები ერთმანეთის გვერდით რამდენჯერმე მეორდება, თავისი ენერგეტიკული დატვირთვა და ერთი გრაფიკული გამოსახულება აქვთ. მაგალითად: „წიგნთთას“, „სრდოითთისსსდგანს“. მაშინ, როცა ალვანურ ანბანშიც 52 ასო-ნიშნიდან ბევრს რამოდენიმე გრაფიკული გამოსახულება და მეორედი სახელი აქვს.

მაგალითად: „ი“ ასო-ნიშნის მეორადი სახელებია „ირბ“, „იონ“, „ინა“ და მათი შესაბამისი გრაფიკული გამოსახულებებიც ერთმანეთისგან განსხვავებულია (ნახეთ ცხრილი – „ალვანთა ანბანი“). ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ქალბატონ ნ.შ.-ქ.-ს მიღებულ **ძველ ქართულ ენაზე დაწერილ ტექსტების სიტყვებში განმეორებული ერთნაირი ასო-ნიშნების და ალვანური ანბანის კოსმიური არსი და ინ-ფორმაციული საწყისი ერთი და იგივეა და შემთხვევითი არ არის**. ალვანური ანბანი მხოლოდ ნაწილობრივ აისახება ქართულ

აღმოსავლეთ საქართველო ძვ.წ VI-II სს.



და სომხურ ანბანებში. ამასთანავე, დღეისათვის ალვანური ანბანით შესრულებული არც ერთი ტექსტი არ არის აღმოჩენილი, რაც ძალიან დაგვეხმარებოდა აღნიშნული საკითხის კვლევაში.

ცენტრალური ამერიკის უძველესი ხალხი დროის 52 წლიან ციკლს განიხილავდა. ვიმედოვნებ მომავალში, რომელიმე მკვლევარი ამ საკითხს დაუკავშირებს ალვანური ანბანის 52 ასო-ნიშანს.

ბოლო პერიოდში მეცნიერებმა თანამედროვე ტექნიკის გამოყენებით

შეძლეს გადაეღოთ ადამიანის მიერ წარმოთქმული სიტყვები და დაადგინეს, რომ მათ მატერიის რაღაც ენერგეტიკული ფორმა აქვთ.

„პირდაპირი კონტაქტით“ დაწერილ ტექსტებში არც ერთი ასო-ნიშნის გამოკლება ან დამატება არ შეიძლება, ასევე არ შეიძლება სიტყვის და წინადადებების გადანაცვლება. ამით ირღვევა ტექსტის საერთო „ენერგეტიკა“. **ამ ტექსტებს ზემოდან ეწერება „სახელითა ღმრთისადთა“, რაც ნიშნავს, რომ ასეთი ტექსტები იწერება უფლის სახელით და მასში არავითარი ცვლილების შეტანის უფლება არა აქვს ჩვეულებრივ მოკვდავს.**

მაგალითად სიტყვა „მცხეთა“ ასე გაგვიშიფრეს:

„**მ** – არს მომავალთა მრავალთა სახელითა მომავალთთა სამეუფოსდა.

ც – არს ცოცხალთა და მკუდართა სამადლობელთა.

ხ – არს ხატთა და ხატებათა სავედრთა ადგილისადმნს მოსაქცევითისა პირველისა წარმართობითგანს იესოს სადიდებელითითისას.

ე – არს იესოს მინიშნებითისადმნს ვითარ მისსა სადიდებელთსა მომავალთსა ქალაქსა სიწმინდისადმნს საყდართსა სდგამნსს.

თ – არს მთათა და გზათა შენაყართა საუკუნოდ მდგომისადმსს.

ა – არს კოდსა სამყაროისა ვითარცა შედგომისისა ამნს სიძველისას თვისისა აღსრულებისისა დანიშნულებისა.“

იმავე ასო-ნიშნებს სხვა სიტყვებში სხვა კოსმიურ-ენერგეტიკული განმარტებები აქვთ.

მოვიყვანოთ ნაწყვეტი ბიბლიიდან, სადაც უფალი გამოეცხადა აბრაამს და ეუბნება: „აღარ გერქვას ამიერიდან სახელად **აბრამი**, არამედ **აბრაამი** იყოს შენი სახელი...“ (დაბ. 17,5), „... სარაის, შენს ცოლს აღარ ერქვას სახელად **სარაი**, არამედ **სარა** იყოს მისი სახელი“ (დაბ.17,15). ზემოთქმულიდან ნათლად ჩანს, რომ უფალმა **აბრამს** უწოდა სახელი **აბრაამი**, ხოლო მის ცოლს **სარაის** უწოდა **სარა**. როგორც ვხედავთ, ეს გამოცვლილი სახელები მხოლოდ ერთი ასო-ნიშნით განსხვავდებიან ადრინდელი სახელებისგან, რაც უფლისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან **სახელებში თითო ასო-ნიშანთა დამატებით ან გამოკლებით იცვლება მათი კოსმიური ენერგია**. ეს საკითხი ნათლად წარმოაჩენს ასევე იმას, რომ ადამიანის კოსმიური ენერგია პირდაპირაა დაკავშირებული ადამიანის სახელთან – **ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲡ**

შემადგენელ ასო-ნიშანთა კოსმიური ენერგიის გაცხადებაა. ამასვე გვიმოწმებს ქართველთა ეთნოგრაფიული მასალაც: როცა ბავშვს ავზნიან ბუნებას შეამჩნევდნენ, ქადაგის რჩევით, მას სახელს უცვლიდნენ, რის შემდეგაც ბავშვი მშვიდდებოდა. როცა ადამიანს გარდაცვლილის სახელს დაარქმევდნენ, მას გარდაცვლილის თვისებები ეძლეოდა და ზოგჯერ ფიზიკურადაც ემსგავსებოდა.

„სახელითა ღმრთისაჲთა“ დაწერილ ტექსტებს ინფორმაციის მიღებისას თავზე წმინდა ნინოს ოქროსფერი ჯვარი (†) აქვს გამოსახული, რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ აღნიშნული ტექსტი უფლის კურთხევით იწერება.

წმინდა ნინოს ჯვარი „ცეცხლის სტიქიის“, მდედრი და მამრი საწყისების ენერგიების შერწყმის, ოქროს საწმისის, სფინქსის – ოთხი სტიქიის (მიწა – ლომი, წყალი – ხარი, ჰაერი – არწივი, ცეცხლი – ქალი), მზის სიმბოლოს – ბორჯღალის – სვასტიკის და ქართული ანბანის კოდით Ⲭ **(ჯ)** ასო-ნიშნის კოსმიური ენერგიის ამსახველია, გაცილებით ადრეული პერიოდისაა და ბიბლიურ კაბალას კოსმიურ ცოდნასთანაა დაკავშირებული.

მოგვიანებით ქართული ხელნაწერების დასაწყისში წმ. ნინოს ჯვარი სწორი ჯვრით (†) შეიცვალა, ხოლო უფრო მოგვიანებით კი, მხედრული „**ქ**“ ასო-ნიშნით.

თანამედროვე მეცნიერებმა უძველეს ქართულ ხელნაწერთა დასაწყისში გამოსახულ ჯვარს ე.წ. „ქანწილი“ უწოდეს, ვინაიდან ის ასომთავრულ † (ქ-ქან) ასო-ნიშნად ჩათვალეს. ამავე დროს, ეს ე.წ. „ქანწილი“ იწერებოდა იმ ქართული ტექსტების დასაწყისშიც, რომლებიც არ იყო „სახელითა ღმრთისაჲთა“ დაწერილი, რაც ნიშნავს იმას, რომ ამ საკითხმა აზრი დაკარგა, ამიტომ მოგვიანებით შესრულბულ ქართულ ხელნაწერებს ტექსტის დასაწყისში დასმული აქვთ სწორი ჯვარი ან მხედრული „**ქ**“ ასო-ნიშანი. მეცნიერთა შეფასება, რომ უძველეს ქართულ ხელნაწერებს ე.წ. „ქანწილი“ აქვთ ტექსტის დასაწყისში დასმული, როგორც ტერმინი, არასწორად მიმაჩნია. **წმ. ნინოს ჯვარი ე.წ. „ქანწილი“ არ არის და მიანიშნებს იმაზე, რომ აღნიშნული ტექსტი უფლის კურთხევით – „სახელითა ღმრთისაჲთა“-ა დაწერილი.**

ქალბატონ ნ.შ.-ქ.-ს მიერ ძალიან მნიშვნელოვანი და დიდი კოსმიური ინფორმაცია დაიწერა. ეს არის ძველ ქართულ ენაზე მიღებული ტექსტები. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ტექსტების მხოლოდ ნაწილი მივიდა „ადრესატამდე“. ვიმედოვნებ, მომავალში სრულყოფილად მივა ეს ინფორმაცია მათთან, ვისთვისაც ისინი დაიწერა და ალბათ, მომავალში გამოქვეყნდება კიდეც, მაგრამ ამისი დრო ჯერ არ დამდგარა. ეს მომავლის საქმეა.

„შავი ხვრელი“ – პარალელური სამყაროში გასასვლელი სარკმელი

კოსმოსის „შავი ხვრელების“ თემა დღევანდელი მსოფლიო მეცნიერების აქტუალური საკითხია. „შავი ხვრელების“ არსებობა გერმანელმა ფიზიკოსმა შვარცშილდმა ჯერ კიდევ 1916 წელს იწინასწარმეტყველა. ამ საკითხზე უფრო ნათელი წარმოდგენისთვის მოვიყვანოთ ნაწყვეტი ბატონ ივერი ფრანგიშვილის წიგნიდან „სისტემური მიდგომა და მართვის ეფექტურობის ამაღლება“: **„შავი ხვრელი“ – ესაა წარმოუდგენილი სიმკვრივის ობიექტი, რომელიც ისრუტავს ნებისმიერ სხვა, ახლო აღმოჩენილ ობიექტებს, მათ შორის ვარსკვლავებს, აგრეთვე სინათლესაც, რის გამოც „შავი ხვრელი“ უხილავია. მისი ზომა მცირეა და პროტონის რადიუსის ტოლია, ხოლო მასა მზის სამ მასაზე უფრო დიდია. კოსმოსური ხომალდი, რომელიც „შავ ხვრელს“ მიუახლოვდება, სიჩქარეს ანელებს და მეცნიერთა შეხედულებით, სივრცეში გაშეშდება. სინამდვილეში კი ხომალდი „შავ ხვრელში“ ჩაინთქმება და იწყებს სულ სხვა სამყაროში მოგზაურობას, სადაც სივრცე არ არის, მხოლოდ „დრო“ არსებობს. ამრიგად, „შავი ხვრელი“ უკვალოდ ნთქავს ნებისმიერ სხეულს, რომელთა შესახებ არანაირი ინფორმაცია არ რჩება. დღეისათვის კოსმოსში უკვე 300-მდე „შავი ხვრელია“ აღმოჩენილი, მათ შორის ჩვენს გალაქტიკაშიც“.**

თანამედროვე ფიზიკის კანონები „შავ ხვრელში“ მიმდინარე პროცესებს ვერ შეიმეცნებს. იგი ამ ფენომენის შესასწავლად უძლურია.

ჯერ კიდევ პირველი ადამიანები ხედავდნენ და აღიქვამდნენ სამყაროს ყველა განზომილებაში ე.წ. „მესამე თვალით“. შემდეგ ეს თვალი ადამიანთა ფართო მასებისთვის დაიხურა და დაფარულის საიდუმლოს შეცნობა მხოლოდ რჩეულთა ხვედრი იყო. ასეთ ადამიანებს მიეკუთვნებოდნენ ქურუმები, ხევისბერები, ქადაგები, წმინდა მამები და სხვა.

ცოდნა ღმერთზე, ადამიანსა და სამყაროზე მის ყველა განზომილებაში დღემდე მოსულია კაბალას სახით: ჩინეთის – „იძინი“, ეგვიპტის – „ტაროს არკანები“, ევროპელთა – „რუნები“, შუმერების „მე“-ს ხვთაებრივი კანონები, რომელიც ცოცხალი კოსმიური პროცესის სახით გადმოცემულია მითოლოგიასა და ეთნოგრაფიულ მასალაში, არქეოლოგიასა და მითოლოგიურ სიმბოლიკაში. ადამიანი თავის თავს აღიქვამდა როგორც

სამყაროს სამყაროში, თავს თვლიდა სამყაროს წევრად და ცხოვრობდა მისი კანონებით. დედამიწაც სამყაროს ნაწილია. შავი ხვრელები აქ, დედამიწაზეც არსებობს. ნებისმიერ მიკრო და მაკრო სამყაროს აქვს ე.წ. შავი ხვრელი, რომელიც თვალისთვის უხილავია.

მეცნიერთა მოსაზრება, რომ „კოსმოსური ხომალდი“, რომელიც „შავ ხვრელს“ მიუახლოვდება, სიჩქარეს ანელებს და სივრცეში გაშეშდება, სინამდვილეში კი „შავ ხვრელში“ ჩაინთქმება და იწყებს სულ სხვა სამყაროში მოგზაურობას, სადაც სივრცე არ არის, მხოლოდ „დრო“ არსებობს, ემთხვევა ზოგადსაკაცობრიო აზროვნებას „მანდალას“ შესახებ.

რამდენიმე წელია, დაინტერესებული ვარ ქურუმ ქალთა გულსაკიდი დისკოების საკითხით. ჩემმა მეტაფიზიკურმა თვისებებმა გამიადვილა ამ საკითხზე მუშაობა. ამასთან დაკავშირებით არა ერთი სტატია-ნაშრომი გამოვაქვეყნე.

ჩემს მიერ მოძიებული მასალების მიხედვით, ქურუმი ქალების გულსაკიდი დისკოები იგივე „მანდალაა“.

„მანდალა“ არის „დროის ბორბალი“, რომელსაც მის ირგვლივ გარე წრეში 12 სეგმენტში ხატოვანი ანბანით დაწერილი 12 „ზოდიაქოთა“ სახელების ენერგეტიკა განაპირობებს. სპირალზე, რომელიც დახვეულია აუცილებლად მარცხნიდან მარჯვნივ, იერარქიულად განთავსებულ ხვთაებათა სახელებია დაწერილი, რომელიც ქმნის სპირალურ მბრუნავ გვირაბს, რომელშიც დიდი სისწრაფით მიმდინარეობს მლოცველის „მე“-ს მიღმიური სულიერი მოგზაურობა-გადაადგილება აუცილებლად სპირალზე გარედან ცენტრისკენ. **მლოცველის „მე“-ს მოგზაურობის ყველა ეს პრინციპი კარგადაა ასახული ფესტოსის დისკოზე. „მანდალას“ პრინციპებს ყველაზე თვალსაჩინოდ ფესტოსის დისკოს გამოსახულება პასუხობს**, რომელიც 100 წლის წინ აღმოაჩინეს საბერძნეთის კუნძულ ფესტოსზე და არის დაახლოებით 4000 წლის წინანდელი ქურუმი ქალის გულსაკიდი დისკო.

უაღრესად მნიშვნელოვანია, თუ საით „იცქირებიან“ ფესტოსის დისკოზე ნახატ-გამოსახულებები. **მსოფლიოს ყველა მკვლევარისთვის და მეცნიერისთვის დადგენილი და აუცილებელი წესია, ნახატ-გამოსახულებიანი წარწერები – იეროგლიფები წაკითხულ იქნას იქედან, საითაც ნახატები იცქირებიან: თუ ისინი იცქირებიან მარჯვნივ, უნდა წავიკითხ-**

ოთ მარჯვნიდან; ხოლო თუ იცქირებიან მარცხნივ, უნდა წავიკითხოთ მარცხნიდან. ამ წესის დაცვა ყველა მკვლევარისთვის სავალდებულოა. (ნახეთ: „ეგვიპტოლოგია“ „როგორ წავიკითხოთ იეროგლიფები“. „მის ემილი სენდსის დღიური 1926 წ. ნოემბერი“. 2007 წ. კონსულტანტი: ეგვიპტოლოგი მანანა ხვედელიძე).

ზემოთ აღნიშნული წესის მიხედვით, ვინაიდან ფესტოსის დისკოს იეროგლიფური ნახატ-ნაწერები იცქირებიან სპირალის გარეთ – მარცხნიდან მარჯვნივ, აუცილებელია ისინი წავიკითხოთ **სპირალზე გარედან ცენტრისკენ**, ანუ თითოეული სეგმენტი უნდა წავიკითხოთ მარჯვნიდან მარცხნივ.



ფესტოსის დისკო

ნებისმიერი ადამიანი რაიმე ნაწერის წაკითხვისას, პირველ რიგში, არკვევს ნაწერი საიდან საით იკითხება. მაგ. ქართული, სომხური, რუსული ნაწერი აუცილებლად იკითხება მარცხნიდან მარჯვნივ; ებრაული, არაბული ნაწერი იკითხება აუცილებლად მარჯვნიდან მარცხნივ. სადაო არ არის, რას მიიღებდა მკვლევარი თუ ქართულად ნაწერს წაიკითხავდა უკუღმა. მაგ: ხელი-ილეხ, ფეხი-იხეფ, თვალი-ილავთ და ა.შ. როგორც ვხედავთ, ტექსტის უკუღმა წაკითხვის შემთხვევაში მივიღებთ რაღაც უაზრობას, აბსურდს, სიყალბეს!

ზემოთ აღნიშნულის მიხედვით, **ფესტოსის დისკო, როგორც მსოფლიოში დადგენილი „მანდალას“ პრინციპიდან, ასევე, იეროგლიფური ნაწერის წაკითხვის წესიდან გამომდინარე, აუცილებლად უნდა იკითხებოდეს სპირალზე გარედან ცენტრისკენ. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი**

უნდა ჩაითვალოს უკუღმა წაკითხულად, რასაც აუცილებლად მცდარ შედეგებამდე მივყავართ.

ჩემი მოსაზრება, ფესტოსის დისკოს წაკითხვის მიმართულების შესახებ, დამიდასტურეს ეგვიპტოლოგებმა: მანანა ხვედელიძემ, ანა კლდიაშვილმა და რამაზ პატარიძემ. შევხვდი ძალიან ბევრ მეცნიერს, რომელთათვისაც იეროგლიფების წაკითხვის ზემოთ მოყვანილი წესი ცნობილია და მათი სიტყვებია: „ეს ხომ ყველამ იცის“.

ფესტოსის დისკოს მსოფლიოში 1500-მდე მკვლევარი იკვლევს, მათ შორის საქართველოშიც. ზოგს მიაჩნია, რომ ის არის „კუნძულ კრეტას საგადასახადო ინსპექტორი“, ზოგიერთი მასზე კითხულობს თანამედროვე მეგრულ ენაზე დაწერილ რაღაც ჰიმნს.

ფესტოსის დისკოს წაკითხვა **სპირალზე ცენტრიდან გარეთ მკვლევართა უდიდესი შეცდომაა,** უკუღმა წაკითხულ ტექსტსა და დასკვნებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, რაც მკვლევართა წინასწარ გამიზნული ცრუ იდეის წარმოჩინების დიდი სურვილისა და უდიდესი ამპარტავნებისაკენ მისწრაფების შედეგია, რასაც სინამდვილესთან არაფერი აქვს საერთო. არაერთხელ მივუთითე პირადად თუ საჯაროდ, რომ მათი ეს გამოკვლევა დასაწყისშივე მცდარია, ვინაიდან ტექსტს კითხულობენ უკუღმა. ფესტოსის დისკოზე უკუღმა და თანაც რომელიღაც ენაზე, არავითარი საგალობელის ტექსტი არ იკითხება. ჩემი კვლევების საფუძველზე თვალსაჩინოა, რომ მათი კვლევები მცდარია და არაფერი აქვს საერთო რეალობასთან.

ქართველებს ოდითგანვე ჰქონდათ თავიანთი ანბანი, რომელიც ღრმად კოსმიურია. მასში აისახება სამყაროს გენეტიკური კოდი, რაც სამყაროს პირველსაწყისშივე იყო ჩადებული და მიჰყვება იბერიის ცივილიზაციათა მთელ ჯაჭვს საწყისიდან სასრულამდე, მარადისობიდან მარადისობამდე. ქართული ანბანის კოსმიური საიდუმლოს წარმოჩინებას ეძღვნება ეს წიგნი. ასე ღრმად კოსმიური ანბანის მფლობელ ქართველ კაცს არაფერში სჭირდებოდა ნახატ-ნაწერების ტექსტის შედგენა. ფესტოსის დისკო რომ ქართული ფენომენი იყოს, მსგავსი ნახატ-ნაწერები აღმოჩნდებოდა დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზეც, რომელიც ოდითგანვე სამყაროს პირველსაწყისი გენის მატარებელ ხალხს – ქართველებს ეკუთვნოდათ, ამას ადასტურებს მსოფლიოს არაერთი მეცნიერის დასკვნაც: **ცივილიზაციის „აკვანი“ კავკასია და საქართველოა!**

ფესტოსის დისკოზე ასახულია მანდალა – დროის ბორბალი, ეს არის ერთი განზომილებიდან – ერთი დრო და სივრციდან მეორე დროსა და სივრცეში გასასვლელი სარკმელი – ე.წ. „შავი ხვრელი“.

ფესტოსის დისკოზე სპირალურადაა დაწერილი 12 ზოდიაქოს და სხვა ხვთაებათა სახელები, რომლებიც ქმნიან „მანდალას“ – დროის ბორბალის სპირალურ ენერგიას და განაპირობებენ მლოცველის „მე“-ს მიღმიურ მოგზაურობას.

ოთხი ათასი წლის წინ კუნძული კრეტა და მთელი ხმელთაშუა ზღვის სანაპირო ტერიტორია ეგვიპტეს ეკუთვნოდა და ფესტოსის დისკოზე გამოსახულებებიც ძველ ეგვიპტელთა ნახატ-ნაწერებია. კუნძულ კრეტაზე ბერძნები ახალი ხალხია და ფესტოსის დისკოც ვერ იქნება ბერძენთა წინაპრების კუთვნილება. მანდალას ცოდნა ბერძნებმა მოგვიანებით ეგვიპტელებისგან და აღმოსავლეთის ხალხისგან შეითვისეს და გაითავისეს. ამას მოწმობს მცხეთის სვეტიცხოვლის ზოდიაქოს კალენდარი.

დისკო ბორჯომის ხეობიდან

ის, რასაც დღეს მეცნიერები „შავ ხვრელს“ უწოდებენ, ქურუმებისთვის და მათი მსგავსი თვისებების ადამიანებისთვის დიდი ხანია ცნობილია „მანდალას“ ფენომენის სახით. ქურუმებს პირადი სარიტუალო ნივთები პარალელურ სამყაროსთან დაკავშირებაში ეხმარებოდათ. ამ მხრივ, მეტად საინტერესოა საქართველოში, ბორჯომის ხეობაში აღმოჩენილი ქურუმ ქალთა სამარხები (ძვ. XIV-X სს). აქ აღმოჩენილ ნივთებს შორის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი სწორედ სარიტუალო დისკოს უჭირავს. გავეცანი გერმანიაში გამოცემულ კატალოგს, რომელშიც სამარხებში აღმოჩენილ სხვა ნივთებთან ერთად დისკოს რამოდენიმე გამოსახულებაა დაბეჭდილი. ამ კატალოგის დათვალიერებისას ჩემი ყურადღება ერთ-ერთ დისკოზე შეჩერდა, რომელმაც მომაწოდა შემდეგი ინფორმაცია: „ხელი დაადე და თვალები დახუჭე“. დისკოდან მიღებული ეს ინფორმაცია არ გამკვირვებია, რადგანაც თითქმის 30 წელია მეტაფიზიკაში ვმუშაობ. მე დავემორჩილე ამ „ბრძანებას“ და

მოხდა სასწაული: ჩემს თვალწინ დადგა ეს დისკო, მასზე გამოსახულმა ყველა ორნამენტმა დიდი სისწრაფით დაიწყო წრიული მოძრაობა სხვადასხვა მიმართულებით, ერთიანობაში ქმნიდა რაღაც „ქარბორბალას“ მსგავს კონუსს, რომელიც გარედან ცენტრისკენ სპირალურად იხვეოდა და დიდი სისწრაფით წინ გადაადგილდებოდა; რაღაც მაგნიტური ღერძით მიმაგრებული ვიყავი დისკოს ცენტრში განთავსებულ პატარა წრესთან და, ყველაფერ ამასთან ერთად, დიდი სისწრაფით წინ გადავადგილდებოდი. უცბად იგივე ხმა მეუბნება: „ახლა დადგა დრო, გამოხვიდე ამ მდგომარეობიდან და თვალი გაახილე“. „ბრძანებას“ დავემორჩილე. მივხვდი, რომ რაღაც უცნობი ძალა მმართავდა, რომელმაც მაჩვენა დისკოს ნამდვილი დანიშნულება – მისი დახმარებით ქურუმი ქალები საკულტო რიტუალის დროს გადიოდნენ სხვა განზომილებაში და უკავშირდებოდნენ უზენაესს. დისკო იყო ის მოწყობილობა, რომელიც მთავარ დამაკავშირებელ როლს ასრულებდა. ეს ისეთი სასწაული შეგრძნება იყო, რომ ჩემი ფიქრები ვერ სცილდებოდა ამ საკითხს; ვგრძნობდი, რომ ამ საკითხის გაცნობიერება ჯერ არ იყო დამთავრებული.

ქურუმი ქალის სამარხი ბორჯომის ხეობიდან

ჩემს მიერ მოძიებული მასალის მიხედვით აღმოჩნდა, რომ **ქურუმი ქალების გულსაკიდი დისკოები იგივე „მანდალაა“**.

მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრი „მანდალას“ ფენომენს შემდგნაირად ახასიათებს: ძველ ინდურ ენაზე ნიშნავს: „მზე“, „წრე“, „დისკო“, „ბორბალი“, „ბეჭედი“, „ორბიტა“, „ზეციური კარიბჭე“, „ყოვლისმომცველი შესაკრებელი“. „მანდალა“ კოსმიური წესრიგის გრაფიკული გამოსახვაა, რომელიც ზეშთაგონებით ამოძრავებულმა სულიერებამ უნდა გაიაროს. **„მანდალა“ „მე“-ს მიღმიური სულიერი მოგზაურობის ხატია“**. ეს არის იერარქიული კიბე, რომელზეც განთავსებულია ღმერთთა პანთეონი. ისინი ციდან ეშვებიან „მანდალას“ ცენტრში ლოტოსის ადგილზე, სადაც ანხორციელებენ ნაყოფიერების, წარმატების, სიუხვის აქტს. ამ მომენტში მას შემოაქვს

„**ვერტიკალური კოორდინატი**“, დამაკავშირებელი ცენტრსა და მლოცველს შორის და ამ მიმართულებით ადგილი აქვს მის გადაადგილებას, როგორც რიტუალის უკანასკნელ აქტს. იგი უკავშირდება „სამყაროს ხის“ ყველა სიმბოლიკას, განთავსებულს ამ ვერტიკალურ ღერძზე, მთლიანად სამყაროს სულიერებას, სამყაროს ვერტიკალურ ნაგებობას. ეს არის მითიური სულიერი სასახლე, რომლის „დაგეგმარების“ მსგავსად აგებდნენ ქალაქებს, სალოცავებს, ტაძრებს, სახელმწიფოს. მათი აშენების პრინციპი არის „მანდალა“, რომელიც არის „სიცოცხლის ხის“ მოდელი. „მანდალას“ მეშვეობით რელიგიური რიტუალის დროს მიიღწევა ქვეცნობიერის სიღრმეები. ამ მდგომარეობას აღწევენ ინდივიდუალურად – რიტუალის დროს „მლოცველი“ (წამყვანის როლში) თავის თავს განათავსებს „მანდალას“ ცენტრში და ელოდება ხვთაებას, ხვთაებრივ სულს, რომელიც ციდან მასზე უნდა გადმოვიდეს. „მანდალა“ განსაკუთრებულ ენერგიას ანიჭებს ცენტრში მყოფ მლოცველს და მასში ამყარებს კავშირს მიკრო და მაკრო სამყაროებს შორის. ცენტრში მოიაზრება ანტროპომორფული ხვთაება. გარე წრეზე განლაგდება 12 სიმბოლური ელემენტი – 12 ზოდიაქო, რომელშიც თითოეული განისაზღვრება წინამორბედით, განსაზღვრავს მის მომდევნოს და განაპირობებს ცხოვრების ნაკადის უწყვეტობას. იგი არის **„დროის ბორბალი“, „ყოფიერების ბორბალი“,** რომელიც **ბრუნავს – ეხვევა სპირალურად მარცხნიდან მარჯვნივ პერიფერიიდან, ცენტრისკენ**, რომლის ცენტრი 8 ფოთლიანი ლოტოსია – კოსმიური სიცოცხლის წყარო, რომელშიც განთავსებულია თაყვანისცემის ხვთაება, რომელიც სამყაროს ოთხივე საწყისის ენერგეტიკის გაცხადებაა.



გენეტიკური კოდის ორი სპირალი დავათის სტელას მიხედვით

ზემოთ აღნიშნული, ყველაზე თვალსაჩინოდ, ფესტოსის დისკოზეა ასახული. გულსაკიდი დისკოები მხოლოდ ქალების სამარხებშია აღმოჩენილი.

ჯერ კიდევ 20 წლის წინ, დავათის სტელაზე მუშაობისას, მასზე გამოსახული ქართული ანბანი შევადარე მცხეთის სვეტიცხოვლის „ზოდიაქოს კალენდარს“. სტელაზე ჩაზნექილ-ამოზნექილ 6 ხაზზე დაწერილი ანბანი ქმნის სურათზე მოცემული გენეტიკური კოდის ორ სპირალს, რომელიც, თავის მხრივ, ქმნის მანდალას და რომლის ცენტრში ქართული ანბანის **37 – ჶ – ოᲮ** – ω (ომეგა) ასო-ნიშანია. ასევე, მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის ზოდიაქოს კალენდრის – მანდალას ცენტრში გამოსახულ ქრისტეს შუბლზე „ω“ ასო-ნიშანი აწერია.

ანბანი, შესაბამისი ციფრებით, ეზოთერული ხილვებით მიღებული ინფორმაციაა და ასახავს სამყაროს გენეტიკურ კოდს. სწორედ ის ქმნის „დროის ბორბალს“, „ყოფიერების ბორბალს“. ჩემი გამოკვლევებით პირველად იყო „დრო“ – „დროის ბორბალი“, რომელმაც შექმნა სამგანზომილებიანი სამყარო. იგივე ცნობიერებაა ასახული დაგონების მითოლოგიაში, რომლის მიხედვითაც, სამყარო განსხეულდება თვით სამყაროულ თესლში – კვერცხში არსებული დროის სპირალური ბორბალით, რომელიც პირველსაწყისში აბსოლუტურ მდუმარებაშია საათის ისრის საწინააღმდეგოდ მბრუნავი ენერგეტიკული სპირალის – „ამმა“-ს ზემოქმედებით, შემდეგ კი, როცა გაიხსნება „ამმა“-ს „თვალი“, გარედან მასზე ზემოქმედებას იწყებს მბრუნავი ენერგეტიკული სპირალი – საათის ისრის მიმართულებით მბრუნავი „დროის ბორბალი“, რის შედეგადაც სამყარო დაიწყებს განსხეულებას. ჯერ კიდევ პირველი ადამიანები თვლიდნენ, რომ თითოეული ასო-ნიშანი კოსმიური „ენერგეტიკის“ გამომხატველია დროის განსაზღვრულ პერიოდში. სწორედ ეს აზროვნებაა ჩადებული სიტყვებში „პირველად იყო სიტყვა“ და „ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის“ (გ. მერჩულე, X ს.). **ქართული ანბანის როლი „მანდალას“ ფენომენში ძალიან დიდია და ამ კუთხით მისი შესწავლა მომავლის საქმედ მიმაჩნია.**



სამყაროული კვერცხი (დაგონები)

მთა-თუშეთში ერთ-ერთ ქვაზე ასახული „ზეციური ნავის“ მარცხენა მხარეს გამოსახულია ერთმანეთში ჩასმული სამი წრე, რაც „მანდალას“,

დროის ბორბალს, „შავ ხვრელს“ ასახავს და მთლიანად გამოსახულება გვეუბნება, რომ იგი დაკავშირებულია გენეტიკურ კოდთან, სულის გასვლასთან პარალელურ სამყაროებში. ნებისმიერ მიკრო თუ მაკრო სამყაროს (არგოს ზეციურ ნავს) აქვს შავი ხვრელი, რომლის საშუალებითაც ხდება სულის გამატერიალიზება, გარდასახვა – მატერიაში ნათელგამოვლენა. ამ სურათსა და ასევე, ბორჯომის ხეობის ქურუმ ქალთა დისკოებზე ასახულია ევროპელთა **რუნები**, რომლის წარმომავლობაც მეცნიერებამ დღემდე ვერ დაადგინა.

მთა-თუშეთი

მაშასადამე, **„დროის ბორბალის“ – „შავი ხვრელის“ ფენომენი ქართველთათვის ოდითგანვე ცნობილი იყო**.

„მანდალას“ გამოსახულებას განათავსებდნენ თაყვანისცემის სხვადასხვა ადგილებზე: ტაძრებში, სამსხვერპლო და სარიტუალო საგნებზე. ამზადებდნენ სხვადასხვა მასალისგან: ქვის, თიხის, ლითონის, ხისა თუ ცომისგან.

წარმართობის პერიოდის სალოცავებს თითქმის ყველა ქვეყანაში „მანდალას“ ფორმა ჰქონდათ. ტიბეტის, ინდოეთის ბევრი საკულტო ნაგებობა „მანდალას“ პრინციპზე შენდებოდა. ამის მაგალითია: „სტოუნხენჯი“ ინგლისში, შუამდინარეთში შუაში ერთი ქალაქი და ირგვლივ 12 ქალაქი; ჩინეთის იმპერატორის სასახლე; აღმოსავლეთ საქართველოში შილდის სამლოცველო ერთმანეთში ჩადგმული ორი წრიული ფორმის ნაგებობაა, შიგნით ოთხკუთხა ფორმის საკურთხევლით; განსაკუთრებით საინტერესოა ყვარლის რაიონში ძველი გავაზი, სადაც თითქმის წრიული ფორმის საკულტო ნაგებობის სახურავზე განთავსებულია ორი ბოლნური ჯვარი ჰორიზონტალურ მდგომარეობაში და ქმნის 8 ფურცლიან ლოტოსის ყვავილს; „მანდალას“ ენერგეტიკას ქმნის აგრეთვე, სამების ტაძარი ირგვლივ 12 პატარა ეკლესიით.

ზემოთ განხილული მასალა დასტურია იმისა, რომ ჯერ კიდევ უხსოვარი დროიდან ქურუმებისთვის ცნობილი იყო „მანდალას“ ფენომენი და

მისი გამოსახვის პრინციპი დედამიწის ყველა კუთხეში ერთნაირი იყო.

სიტყვა „მანდალა“ – „მან-დალა“ ქართული სიტყვაა და პირველსაწყისი ენის ცნობიერებიდან მოდის. ამ სიტყვაში „მან“ ქართული ანბანის **13-მ-მან-40** ასო-ნიშანია და ბიბლიური კაბალას კოდით, ამ ასო-ნიშნის შესაბამისი კოსმიური პროცესის სახელია „სიკვდილი“. ასევე, „დალა“ ქართველთა ქალღმერთ „დალი“-ს სახელია და უკავშირდება მის „ქვესკნელის სამეფოში შთასვლას“, სიკვდილს, გარდაცვალებას, გარდასხეულებას, მატერიალურ სამყაროში ჩამოსვლას. „მანდალა“ სწორედ ის მეტაფიზიკური დროის ბორბალი – კოსმოსური ენერგეტიკული სპირალია, რომლის გავლის დროს ხდება სულის გამატერიალიზება, ერთი განზომილებიდან მეორეში გასვლა. შუმერთა ქალღმერთ ინანას „ქვესკნელის სამეფოში შთასვლა“ და კოსმიურ მეუღლესთან შეერთება – შერწყმაა აღწერილი შუმერთა მითოლოგიაშიც. მდედრის და მამრის საწყისების გაყოფა სამყაროს განსხეულებასთან – გამატერიალიზებასთანაა დაკავშირებული. ადამის ცივილიზაციის კოსმიური პროცესის მიზანია მათი ისევ შეერთება, რის შემდეგაც კაცობრიობა გადავა ცივილიზაციის ახალ ციკლში.

მეცნიერთა აზრით, სამყარო მთლიანობაში არის „მბრუნავი კონუსი“, რომელშიც სპირალურად მბრუნავი კოსმიური ენერგია ციურ სხეულებს გადააადგილებს „შავი ხვრელის“ მიმართულებით, სადაც ისინი შთაინთქმებიან. დღეისთვის უცნობია, რა ხდება „შავ ხვრელში“ და მის იქით, როგორ იტევს „შავი ხვრელი“ ამ მოცულობის მატერიას. დღევანდელი ფიზიკის კანონები ამ მოვლენას ვერ ხსნიან. ჩემი აზრით, **„შავ ხვრელებთან“ მიმართებაში ადგილი აქვს „მანდალას“ ფენომენს, მთლიანად სამყარო არის დიდი „მანდალა“ და „შავი ხვრელი“ არის „მანდალას“ ცენტრი, რომლის მეშვეობითაც ციური სხეულები გადადიან სხვა განზომილებაში**. აქ კი ფიზიკის კანონები უძლურია. აქ მეტაფიზიკა მუშაობს. მეცნიერებს ასევე მიაჩნიათ, რომ ვაკუუმის ფენომენის შესწავლა უაზრობაა, ვინაიდან ის მხოლოდ სიცარიელეა. შეგახსენებთ აღმოსავლეთის ფილოსოფოსთა შეხედულებას ამ საკითხზე: **„აბსოლუტური სიცარიელე აბსოლუტური სისავსეა“.**

ყოველივე ზემოთ აღნიშნულმა გამახსენა ჩემი ცხოვრების ერთი მომენტი. დაახლოებით 20 წლის წინ, ჩემთან მოვიდა სამი ახალგაზრდა.

ვსაუბრობდით სამყაროს კოსმიურობის შესახებ, ქართულ ანბანზე და სხვა. საუბრის დროს ორმა მათგანმა რაღაც იხილა ჩემს თავზე. მთხოვეს, შემეწყვიტა საუბარი და მომეყოლა, თუ რა შეგრძნება მქონდა. დავუკვირდი ჩემში მიმდინარე რაღაც უცნაურ პროცესს: ვგრძნობდი, თავზე მედგა დიდი სისწრაფით მბრუნავი ენერგეტიკული კონუსი და კონუსის წვეროდან ჩემში შემოდიოდა რაღაც ენერგია ძაბრში ჩასხმული „სითხის“ სახით, რომელიც ჩემს ტვინში იყო შემოსული ერთ წერტილში; ჩემს სხეულში შემოსვლის შემდეგ ეს ენერგეტიკული „სითხე“ შხაპის, „წყვეტილი ხაზების“ – წვეთების სახით ქმნიდა ქვედა კონუსს და ჩემი სხეული ივსებოდა „სითხით“ ზემოდან ქვემოთ, როგორც ჭურჭელი და არა ქვემოდან ზემოთ, როგორც ფიზიკის მიზიდულობის კანონია. შევსების სიბრტყის ზედა მოცულობა იყო შეგრძნება სავსე ჭურჭლის, ხოლო ქვედა მოცულობა იყო შეგრძნება ცარიელი ჭურჭლის. ამ სისავსის შეგრძნება დღესაც მაქვს. ჩემს შეკითხვაზე, თუ რა იხილეს ჩემს თავზე, ახალგაზრდებმა მიპასუხეს, რომ მათ იხილეს ჩემში შემომავალი მამაკაცი გადაშლილი წიგნით. მრავალი წლის შემდეგ, სწორედ ახლა, „მანდალას“ ფენომენთან შეხების საიდუმლომ ყველაფერი ნათელი გახადა.



ორი ენერგეტიკული კონუსი

„მანდალას“ ფენომენთან მესამედაც მქონდა შეხება, როდესაც 2004 წელს, სამების ტაძრის კურთხევამდე ორი კვირით ადრე, ვიხილე: აღსავლის კარის თავზე, ჭერზე განთავსებული თაღის ცენტრიდან შემოიჭრა საოცარი სინათლის სხივი, რომელმაც შექმნა წყვეტილი და მთლიანი ენერგეტიკული ხაზების – სხივების კონუსი; იგი მთელ ტაძარში იფრქვეოდა.

ჩემი აზრით, იგივე პროცესს აქვს ადგილი ე.წ. „შავ ხვრელში“. **„მანდალა“ – „შავი ხვრელი“ არის კოსმოსური მოწყობილობა – „სარკმელი“, რომლის საშუალებითაც ხდება გასვლა-გამოსვლა სამყაროს სხვა განზომილებებში, თვალისთვის უხილავ პარალელურ სამყაროებში.**

შეგახსენებთ ბიბლიიდან „შესაქმის“ პირველ დღეს: „სული ხვთისა იძვროდა წყლებს ზემოთ“. „შესაქმის“ მეორე დღეს თქვა ღმერთმა: „იყოს წყალთა შორის მყარი და გაჰყაროს წყლები“. „ ... და გაჰყარა ერთმანეთისგან წყალი, რომელიც არის მყარს ქვემოთ და წყალი, რომელიც არის მყარს ზემოთ“.

ამ საკითხით ბიბლია მიგვანიშნებს პირველ ადამიანთა წარმოდგენას იმის შესახებ, რომ არსებობს მიწიერი და მეტაფიზიკური, ანუ „მიღმა სამყაროს“ წყალი; ვინაიდან მიღმა სამყარო ორმაგი სარკის პრინციპზეა გადაბრუნებული ამ სამყაროსთან მიმართებაში, მაშინ აღარ გაგვიკვირდება,



ქარბორბალა

რომ ჩემი სხეული, როგორც ჭურჭელი, ივსებოდა „ზეციური წყლით“ ზემოდან ქვემოთ. თუ დავუკვირდებით მოვლენას, თუ როგორ ჩადის ძაბრში ან ნიჟარაში მასში დაგროვილი წყალი რაიმე მექანიკური ზემოქმედების გარეშე, აღმოვაჩენთ, რომ წყალი ძაბრის ან ნიჟარის ხვრელში გავლის დროს აუცილებლად ქმნის საათის ისრის მიმართულების სპირალურ მოძრაობას, რაც იგივე „შავი ხვრელის“ თვისების ნაწილობრივი გამოვლინებაა, მაგრამ ამჯერად წარმოქმნილი ეს „შავი ხვრელი“ მოკლებულია დროის ენერგიის ზემოქმედებას, რაც არის ძირითადი ფაქტორი „მანდალაში“ – შავ ხვრელში მიმდინარე კოსმიური პროცესისა, რომელიც განაპირობებს ერთი სახის მატერიის გარდაქმნას სხვა დროსა და სივრცეში. წყალია სამყაროს პირველი ელემენტი, ამას მიგვანიშნებს მენდელეევის ქიმიურ ელემენტთა პერიოდული სისტემა, სადაც პირველი ელემენტი წყალბადია. ამას მიგვანიშნებს მითოლოგიაც, რომ ყველაფრის პირველსაწ-

ყისი წყალია. ყველაფერი სამყაროში წყლისგანაა წარმოქმნილი. უფალიც ხომ წყლის სტიქიის გაცხადებაა (შუმერის ქვის ბეჭედი. ძვ.წ. 3400წ. ლონდონი, ბრიტანეთის მუზეუმი). ქართველთა პირველი ხვთისშვილი ბუქნა ბაადური „წყლის ბერი“-ს სახელითაა მოხსენიებული. შუმერშიც „სინ“ – ქრისტე წყლის სტიქიის გამოვლინებაა. ქართული ანბანის კოდით, ქრისტე „დროა“ – „ხან“ ასო-ნიშნის შესაბამისი ენერგიაა. წყალია ძირითადი ინფორმაციის მატარებელი. სამყაროში ყველაფერი „წყლისგან და წყლით“ შეიქმნა. ადამიანის ორგანიზმი თითქმის 80% წყალია. „შეიცანი თავი შენი და შეიცნობ სამყაროს“, რაც ნიშნავს იმას, რომ ყოველი მიკრო თუ მაკრო სამყაროს შეცნობა წყლის მეტაფიზიკური შემეცნებით უნდა დავიწყოთ. აქ მოყვანილი საკითხები დაეხმარება მეცნიერებს სამყაროს კვლევის საკითხში.

თუ განვიხილავთ ქარბორბალას ზემოდან – კოსმოსიდან, იგი ქმნის საათის ისრის საწინააღმდეგოდ მბრუნავ ბორბალს. თუ მას შევხედავთ დედამიწიდან, ის საათის ისრის მიმართულების სპირალს ქმნის. ერთიანობაში ის ქმნის ე.წ. შავი ხვრელის სპირალს, ამიტომაა, რომ მისი მიწაზე დაშვებული ენერგეტიკული წვერო ისრუტავს და ცაში ააქვს ყველაფერი, რასაც კი შეეხება. ქარბორბალას მიერ ჰაერში ატაცებული ნივთების, მიწის თუ წყლის მასა, განაპირობებს მისი უხილავი მბრუნავი ენერგიის ხილულობას – ნათელგამოვლენას. უხილავი კოსმიური შავი ხვრელი ფიზიკურად ხილული ქარბორბალას მსგავსადაა მოწყობილი. „მანდალა“-სგან განსხვავებით, ქარბორბალაში „დრო“-ის ენერგია არ მოქმედებს, რომელშიც მთავარ გარდასახვას – გარდაქმნას „დროის“ ფენომენი იწვევს.

პერუ (სამხრეთ ამერიკა)

განსაკუთრებით საინტერესოა სამხრეთ ამერიკაში პერუს გიგანტური საათის ისრის მიმართულების სპირალი, რომელიც საგულდაგულოდ პირდაპირ მიწაზეა მოწყობილი და თანდათან გადაადგილდება მიწის

სიღრმისკენ, რაც მოწმობს, რომ „მანდალას“ ფენომენის კოსმიური არსი სამხრეთ ამერიკის ხალხთა უშორესი წინაპრებისთვის უცხო არ იყო. საინტერესოა როგორ არის მოწყობილი ამ სპირალის ცენტრი და რა არის მის ქვემოთ განთავსებული.

მაიას სახელმწიფო იზრდებოდა არა ცენტრიდან პერიფერიისკენ, არამედ პირიქით – პერიფერიიდან ცენტრისკენ. აქ მოიაზრება ის, რომ მაიას ხალხი სახელმწიფოს „მანდალაში“ არსებული დროის ბორბალის პრინციპზე აგებდა – გარედან ცენტრისკენ. ჩვენი სამყაროც ხომ გალაქტიკათა მოძრაობის ერთიანი დიდი სპირალია, რომელშიც არსებული გალაქტიკები ცენტრისკენ გადაადგილდებიან, ხოლო ცენტრთან მიახლოებისას ხვდებიან შავ ხვრელში და გადადიან, ანუ გარდასხეულდებიან სხვა განზომილებაში – სხვა დროსა და სივრცეში და უბრუნდებიან მეგა სამყაროს. მაშასადამე, „შავი ხვრელის“ სპირალური ენერგეტიკული პრინციპი არც მექსიკის უძველესი მოსახლეობისთვის იყო უცხო.



ნახ.1ა



ნახ.1ბ



ნახ.1გ

შავი ხვრელის ენერგეტიკულ გამოვლინებას ხშირად ვხვდებით პრაქტიკაში. მეცნიერებმა შემდეგი ცდა ჩაატარეს: ნახ. 1ა-ზე გამოსახულია სასწორი, რომლის ერთ მხარეს ბზრიალაა მოთავსებული, მეორე მხარეს მისი წონა გაწონასწორებულია; თუ ბზრიალას დავატრიალებთ მარჯვენა მხარეს – საათის ისრის მიმართულებით ნახ.1ბ, ბზრიალა „დამძიმდება“ და სასწორის თეფში ქვემოთ – დედამიწისკენ გადაადგილდება; ხოლო თუ ბზრიალას დავატრიალებთ მარცხენა მხარეს – საათის ისრის საწინააღმდეგოდ ნახ.1გ, ბზრიალა „შემსუბუქდება“ და სასწორის თეფში მაღლა აიწევს. კიდევ ერთ მაგალითს მოვიყვან: ძაბრში, რომელსაც ქვედა გასასვლელი დახშული აქვს, ჩავასხათ სითხე; თუ ძაბრის ქვედა გასასვლელს გავანთავისუფლებთ, წყალი ბუნებრივად დაიწყებს საათის ისრის მიმართულებით სპირალურ მოძრაობას და ქვემოთ, გასასვლელისკენ გადაადგილდება.

ზემოთ მოყვანილი პრაქტიკული მაგალითებიდან აშკარაა, რომ საათის ისრის მიმართულებით ენერგეტიკული სპირალური მოძრაობა იწვევს ცენტრისკენული ძალების წარმოქმნას, რაც ობიექტს გადააადგილებს სპირალის ცენტრისკენ და ცდილობს სპირალის მეორე მხარეს გასვლას. ხოლო საათის ისრის საწინააღმდეგოდ მოძრავი სპირალური ენერგია კი პირიქით – ცენტრიდანულ ძალებს წარმოქმნის და იწვევს სპირალის ცენტრიდან გარეთ გამოსვლას. მაშასადამე, ბუნებრივად თუ ხელოვნურად შექმნილი საათის ისრის მიმართულებით მოძრავი ენერგეტიკული სპირალი აუცილებლად ქმნის ცენტრისკენულ ძალებს, ხოლო საათის ისრის საწინააღმდეგოდ მბრუნავი – ცენტრიდანულ ძალებს. შესაძლებელია ენერგეტიკული სპირალების მექანიკურად შექმნა, რომელთაც სხეულზე მხოლოდ მექანიკური ზემოქმედება აქვთ. აქ მუშაობს მიზიდულობის და განზიდვის ძალები და არა „დრო“. ბუნებრივად, დროის ენერგიით შექმნილი სპირალებია ე.წ. „შავი ხვრელები“, რომლებიც ემსახურება „ობიექტის“ ერთი დრო და სივრციდან მეორე დროსა და სივრცეში გადასვლას – გარდასახვას. „შავი ხვრელის“, ანუ „დროის ბორბალის“ ხელოვნურად შექმნა მომავალში შესაძლებელი გახდება, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, როცა ადამიანი შეიმეცნებს დროის ფენომენს, მის ნამდვილ მეტაფიზიკურ არსს.

დღეს მეცნიერთა მიერ არ არის შესწავლილი, თუ როგორ მოდის ამქვეყნად ადამიანი, რა გზით და როგორ შემოდის მასში დაბადების მომენტში სული – სასიცოცხლო ენერგია. სიკვდილის მომენტში სული „მიფრინავს“ რაღაც გვირაბში, რომლის ბოლოშიც მას ხვდება მანათობელი სფერო – სინათლე და ეკითხება: „რა გააკეთე?“; შემდეგ „ეკრანზე“ მიდის მიცვალებულის ცხოვრების მთელი გზა და ა.შ. ეს გადასვლები ერთი განზომილებიდან მეორეში, ანუ პარალელურ სამყაროში, სწორედაც „შავი ხვრელების“ – „მანდალას“ მეშვეობით ხდება.

მეცნიერთა მოსაზრება, რომ „შავი ხვრელი“ უსაზღვრო სიმკვრივის ობიექტია და მისი მასა მზის სამ მასაზე უფრო დიდია, არასწორად მიმაჩნია.

„შავი ხვრელების“ მიერ „ჩაყლაპული“ ობიექტი მეორე მხარეს სხვა დროისა და სივრცის ენერგიად გარდაისახება და გაიბნევა სამყაროში უხილავი ენერგეტიკული სხივების სახით. ჩემი გამოკვლევით, არსებობს „თეთრი ხვრელები“, რომელთაც შეიძლება ვუწოდოთ „შავი ხვრელის“ მეორე მხარე, როგორც მედლის ორი მხარე: ერთი, რომელიც ციურ სხეულებს „ყლაპავს“; ხოლო მეორე, საიდანაც იგივე ციური სხეული სამყაროს უბრუნდება გარდასახული ენერგიის სახით. ამის მაგალითია კოსმოსში არსებული „კვაზარები“, რომლებიც არიან შავი ხვრელის სპირალის მეორე მხარე, საიდანაც ე.წ. კონუსური ფორმით გამოიტყორცნება იქეთა სამყაროს „მატერია“ გარდასხეულებული სხვა დროსა და სივრცეში.

შევიმეცნოთ „დრო“, როგორც განზომილებათა წინა ეტაპი და არა როგორც მეოთხე განზომილება. ეს შესაძლებელია მხოლოდ მეტაფიზიკის კანონებით. სწორედ ეს არის სხვა განზომილების – პარალელური სამყაროს შეცნობის გზა. „დრო“ გაცხადებულია „ინფორმაციაში“ და „ინფორმაცია“ გაცხადებულია „დროში“. ე.ი. „დრო“ და „პირველადი ინფორმაცია“, ანუ გენეტიკური კოდი, ერთი და იგივეა.

ჩვენი ზეციური კოსმიური სამყარო საათის ისრის მიმართულებით მბრუნავი დიდი სპირალია, დროის ბორბალია, „მანდალაა“, რომლის ცენტრი არის ე.წ. „შავი ხვრელი“ – პარალელურ სამყაროში გასასვლელი სარკმელი; მასში მოხვედრილი ციური სხეულები გადიან ე.წ. „შავ ხვრელში“, გარდაისახებიან – გარდაიქმნებიან და ისევ „მეგა“ სამყაროს უბრუნდებიან.

ყოველ მიკრო თუ მაკრო სამყაროს აქვს ერთმანეთისგან განსხვავებული შავი ხვრელი – დროის ბორბალი; იგი ინდივიდუალურია და განუმეორებელი.

ჩემს მიერ დასმული საკითხი, რომ „მანდალას“ ფენომენი იგივე კოსმოსის „შავი ხვრელია“ – ორივე „დროის ბორბალია“. ჩვენ „შავი ხვრელები“ უნდა შევიმეცნოთ არა კოსმოსში, არამედ აქ, დედამიწაზე. ეს უფრო ადვილი და ხელმისაწვდომია.

განზომილებათა რიცხვი სამყაროში უსასრულოა, ამიტომ უსასრულოა მისი შემეცნების გზებიც. ასევე ბოლომდე შეუცნობადია „მანდალას“ – „შავი ხვრელის“ ფენომენი.

მეტად საინტერესოა მთაში ჩაწერილი ქართველთა უძველესი ლოცვა, რომელიც მთელი სიღრმით წარმოაჩენს ჩვენი ერის უდიდეს მეტაფიზიკურ აზროვნებას სამყაროს შესახებ. მეცნიერებს, ალბათ, ათასწლეულები არ ეყოფათ, შეიმეცნონ და აღიქვან სამყარო იმ სიღ-

რმით, რომელიც ქართველთა წინაპრებისთვის უშორეს წარსულში კარგად იყო ცნობილი: **„დიდო დედაო, ცაო მშვენიერო, მომლოცველო ყოველივესი, შამქნელო და დამბადებელო, სასრულო, სამყაროში ჩაუტეველო, უმცირესში ჩატეულო... უწონო, უმანძილო, ცარიელავ და სავსევ, უჟამო, უძრავო წყვდიადო ცაო, სივრცეში, დროში ნათელგამოვლენილო... ერთო და ერთთა ერთობაო... მომეც უფლება უფლებათა, დავრჩე მართალი ჩემსავ უფალთან, და სამართლიანი სხვათა მიმართ, რათა დავიცვა ცის სიწმინდე...“**

ზემოთ განხილული მასალა კიდევ ერთი მტკიცებულებაა იმისა, რომ დედამიწის პირველმა ადამიანებმა დაგვიტოვეს სიმბოლიკის ენაზე „დაწერილი“ უდიდესი კოსმოგონიური ცოდნა სამყაროს შესახებ. იმისთვის, რომ შევიმეცნოთ სამყარო, რასაც ემსახურება მეცნიერების თითქმის ყველა მიმართულება, აუცილებელია შევისწავლოთ „სიმბოლიკის ენა“, რათა შევიმეცნოთ წინაპართა დანატოვარი ცოდნა სამყაროს შესახებ, გავითავისოთ და მეცნიერების ახალი აღმოჩენებით დავამტკიცოთ მათი ჭეშმარიტება. ბოლო ჟამის ადამიანები უნდა დაუბრუნდნენ ცივილიზაციის პირველსაწყის ცოდნას, რომელიც შექმნის სათანადო ენერგეტიკულ გარემო პირობებს და ხელს შეუწყობს ადამიანების გადასვლას ცივილიზაციის ახალ ციკლში.

ᲙᲝᲜᲢᲐᲥᲢᲘ ᲛᲘᲪᲕᲐᲚᲔᲑᲣᲚᲔᲑᲗᲐᲜ

დღეს სამყარო „თევზის“ ზოდიაქოს კოსმიური პერიოდიდან, რომელიც დადებითი და უარყოფითი ძალების დიდი დაპირისპირებითაა ცნობილი, გადადის ახალ – „მერწყულის“ ზოდიაქოს პერიოდში. ესაა უდიდესი ჰარმონიულობის, სიყვარულის, „ოქროს“ ხანა.

ჩვენი ცხოვრება არსთა წრებრუნვის მარადიული პროცესის პატარა ნაწილია, თუმცა დახურული გონებისა და თვალთახედვის გამო, ამას სათანადოდ ვერ აღვიქვამთ. ჩვენ ამქვეყნად გამოცდას გავდივართ, რის შემდეგაც დამსახურებისამებრ დავიმკვიდრებთ ადგილს არსთა წრებრუნვის მარადიულ პროცესში, რაშიც ჩართულია მთელი კოსმოსი და ჩვენ მისი მცირედი ნაწილი ვართ.

სიკვდილის შემდეგ სიცოცხლე გრძელდება. მიცვალებულები მუდმივად ან პერიოდულად ჩვენთან არიან. მათ სურთ კონტაქტი დაამყარონ ცოცხალ ადამიანებთან სიზმარსა თუ ცხადში, უწევენ მათ სხვადასხვა ხილულ თუ უხილავ დახმარებას, აფრთხილებენ მოსალოდნელი უსიამოვნების ან უბედურების შესახებ.

მრავალი წელი მეტაფიზიკის კუთხით მუშაობამ ჩემში განავითარა განსხვავებული შეგრძნებების თვისებები.

მინდა, ჩემი მოსაზრება გაგიზიაროთ ერთ მათგანზე, კერძოდ, მიცვალებულებთან კონტაქტის დამყარებაზე. ერთ დღეს, ჩემში სრულიად ახალი თვისებები აღმოვაჩინე, რომელიც დღემდე გრძელდება ჩემი სურვილისაგან დამოუკიდებლად.

ყველაფერი კი, ასე უბრალოდ დაიწყო. დაახლოებით 25 წლის წინ მარჯანიშვილის მოედანზე გამოვედი მეტროდან. გადავედი მეორე მხარეს, „ცეკავშირის“ მაღაზიასთან და უცებ, ძალიან უცნაური შეგრძნება დამეუფლა – რაღაც ძალამ ყელის არეში შეხებით შემაჩერა. ვიფიქრე, ცუდად ვარ – მეთქი და... უნებურად შევჩერდი. ჩავუღრმავდი ჩემს მდგომარეობას და ვგრძნობ, რომ არ ვარ ცუდად, რაღაც ახალი ხდება ჩემს თავს. უცებ, ჩემს აზროვნებაში ვიღაც ჩაერთო. მივხვდი, რომ ეს იყო მიცვალებული და ჩემგან რაღაცას ითხოვდა. მიმოვიხედე, მოსაუბრე ვერ შევნიშნე, მივხვდი, რომ რაღაც დაფარულთან – უხილავთან მქონდა საქმე. შევნიშნე ამავე

შენობასთან თავმოყრილი ხალხი და მივხვდი, რომ ამ მიცვალებულზე საუბრობდნენ. რატომღაც, ინტუიციით, საჭიროდ ჩავთვალე მიცვალებულისთვის დამესვა შეკითხვები: რას ითხოვდა ჩემგან – ავსულიყავი და სანთელი ამენთო? (ქვემოთ ჯერ არ ჰყავდათ ჩამოსვენებული); პასუხი ვერ მივიღე. მერე ისევ ვკითხე: ხომ არ სურდა ყვავილები მეყიდა და ამეტანა მასთან? კვლავ დუმილი. ამ დროს ისევ დამყარდა ინფორმაციული კონტაქტი. მითხრა, რომ მე არ უნდა დამესვა კითხვები, არამედ უნდა მომესმინა მისი თხოვნა. გავჩუმდი და დაველოდე. იგი მთხოვდა შემდეგს: „მეთხოვა ღმერთისთვის, რომ ეპატიებინა მისთვის ჩადენილი ცოდვები“. თხოვნა შევუსრულე, რის შემდეგაც თავდაპირველი შეგრძნება მომეხსნა და გზაც თავისუფლად განვაგრძე.

ამ ფაქტისთვის დიდი მნიშვნელობა არ მიმინიჭებია. რამდენიმე კვირის შემდეგ ჩემს სიძეს დაეღუპა მოხუცი ბაბო თეთრიწყაროს რაიონის სოფელ ღოუბანში. რა თქმა უნდა, ჩავედით გასვენებაზე. როდესაც შევედი მიცვალებულის ოთახში, იქაც იგივე შეგრძნება დამეუფლა ყელის არეში, როგორც პირველად. რადგანაც უკვე მქონდა პატარა გამოცდილება, მიცვალებულს „გავესაუბრე“. მანაც იგივე თხოვნით მომმართა. მაგრამ ამჯერად დავსვი კითხვა, მქონდა თუ არა ამისი უფლება? ზემოდან იყო პასუხი, რომ ეს ჩემი საქმე არ იყო. ოთახიდან გამოსვლისას შევხედე, რომ კიბეზე მღვდელი ამოდიოდა. მიმანიშნეს, რომ ეს მისი საქმე იყო.

შემდეგი კონტაქტი მიცვალებულის სულთან რამდენიმე თვის შემდეგ მოხდა. ეს იყო ჩემი ბაბოს – ნინა გოგოლაშვილის სული, რომელმაც შემდგომში ჩემს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. ეს არ ხდებოდა ჩემი სურვილით. ყოველი კონტაქტი მნიშვნელოვანი ინფორმაციის მომცემი იყო.

კიდევ რამდენიმე შემთხვევის შესახებ გიამბობთ.

ერევანში სტუმრობისას ერთ ქალს შევხვდი, რომელსაც დიდი ხნის წინ ახალგაზრდა, გაუთხოვარი ქალიშვილი გარდაეცვალა. მე მის გოგონას არ ვიცნობდი და არც სურათი მქონდა ნანახი. გაუბედურებულ დედას დღემდე შავები აცვია. შეკითხვაზე, თუ რატომ აცვია შავები, მან ღრმა მწუხარებით გამიზიარა თავისი დარდი. ამ ქალმა მითხრა, რომ ჰყავს მეორე ქალიშვილიც, რომელსაც ახლახანს შეეძინა გოგონა და რატომღაც, გარდაცვლილი შვილის სახელი დაარქვეს. ამ საუბარში ვართ და

ისევ ნაცნობი შეგრძნება მოვიდა ყელის არეში. ვგრძნობ, რომ ჩემთან მიცვალებულს სურს საუბარი. მინდოდა თუ არა ეს, მაინც დავყევი მის ნებას. მოვუსმინე და აი, რა მითხრა, რომ მას სურს მისი ნათქვამი დედამისს გადავცე. ამ დროს მან დაიწყო აზრების თანდათანობით გადმოცემა და მაძლევდა იმის საშუალებას, რომ თანამიმდევრობით დედამისისთვის გადამეცა შემდეგი სიტყვები: „ის ხედავს, როგორ იტანჯება დედამისი წლების განმავლობაში. თვითონ მიცვალებულიც შეწუხებულია მისი ტირილით და გოდებით. ის ოჯახში დაბრუნდა უკვე პატარა დისშვილის სახით, რომელსაც მისი სახელი დაარქვეს. დედამისს სთხოვს, რომ სასაფლაოზე აღარ იაროს ასე ხშირად და აღარ იტიროს. ჩათვალოს, რომ ეს პატარა გოგონა მისი შვილია“. მე, რა თქმა უნდა, ამის შესახებ ვუთხარი შავებში ჩაცმულ ქალს. მან არ დაიჯერა, თუმცა კი დიდი ყურადღებით მომისმინა. მე ჩემი მისია შევასრულე, თუმცა არ დამიძალებია, რომ ეს ყველაფერი ერწმუნა.

ამის შემდეგ, რამდენჯერმე შევხვდი ამ ქალს. მისი ცხოვრება საგრძნობლად შეიცვალა. ერთხელაც მეუბნება, რომ მარტო იყო სახლში და მოესმა გარდაცვლილი შვილის ხმა, რომელიც აღშფოთებული ეძახდა. ეს ქალი მაშინ ვერაფერს მიხვდა. მიხვდა რაღაც პერიოდის შემდეგ, რომ შვილი რაღაცას ითხოვდა და მან ვერ შეუსრულა. ჩვენი შეხვედრის დროს ის მომიყვა ამის შესახებ და მთხოვა, გამეგო, აპატია თუ არა მისმა შვილმა ის, რომ თავიდან ვერ გაუგო და თხოვნა ვერ შეუსრულა. მე არ ვიცოდი ამ სიტყვების ნამდვილი არსი, მაგრამ ამ კითხვის დამთავრება და მიცვალებულის პასუხი ერთი იყო – „მე დიდი ხანია, ვაპატიე“. გაკვირვებულმა გავიმეორე მისი პასუხი. ქალს კმაყოფილების ღიმილი მოეფინა სახეზე.

ჩემს მეორე ნაცნობ ქალს, რომელიც თითქმის ორი წელი არ მენახა, ამ პერიოდში გარდაცვლოდა მამა, ვაჟი დაექორწინებინა, შეძენოდა პირველი შვილიშვილი – ვაჟი. ამას ყველაფერს მიყვება და ვგრძნობ, რომ გარდაცვლილ მამას სურს მასთან საუბარი. მე გადავეცი ამ ქალს მამის სურვილი. საუბარი დაახლოებით ასეთი შინაარსისა იყო: მიცვალებული მადლობას უხდიდა ამ ქალს, რომ იგი დედას კარგად ექცეოდა და პატრონობდა, უთხრა, რომ მისი რძალი მეორე ბავშვზე იყო ფეხმძიმედ (რაც ამ ქალის ოჯახისთვის იმ დროისთვის ცნობილი არ იყო), ეს იყო ბიჭი და

მიცვალებული ითხოვდა, რომ ამ ბავშვისთვის აუცილებლად დაერქმიათ მისი სახელი; მიცვალებულს სურდა, ამქვეყნად განმეორებით მოსულიყო ამავე ოჯახში. ეს იყო მისი დაჟინებული თხოვნა.

როცა ყველაფერი ვუთხარი, ქალი გაოცებული დარჩა ამ მომენტით. სულ რამდენიმე დღეში რძალი წაიყვანეს გამოკვლევაზე და მართლაც აღმოჩნდა, რომ ფეხმძიმედ იყო, მაგრამ ბავშვის სქესის დადგენა ჯერჯერობით შეუძლებელი გახდა. მალე ესეც დადგინდა და ოჯახი მიცვალებული მამის ნათქვამის სისწორეში დარწმუნდა. გავიდა ხანი. გაჩნდა ბავშვი და მას პაპის სახელი არ დაარქვეს. გავიდა კიდევ რამდენიმე წელი და ამ ოჯახის ბედი კატასტროფულად სულ უკან და უკან მიდის. ამას თვითონაც ხედავენ, მაგრამ, სამწუხაროდ, სიტუაციის გამოსწორება უკვე აღარაფრით შეუძლიათ.

კიდევ ერთ შემთხვევას გავიხსენებ: მოგვიანებით შეძენილ მეგობართან ვარ სტუმრად. მის სტუდენტ ვაჟთან ერთად ვსხედვართ მაგიდასთან და უცებ, ნაცნობი შეგრძნება დამეუფლა ყელის არეში. მივხვდი, მიცვალებულს სურდა ჩემთან საუბარი. გავარკვიე, რომ ეს იყო მისი მამამთილი, რომელიც დიდი ხნის წინათ გარდაცვლილიყო. მას არ ვიცნობდი და არც სურათი მქონდა ნანახი. ჩემს მეგობარს ხმამაღლა ვუთხარი, რომ მის მამამთილს უნდოდა მათთან საუბარი: პაპა აღშფოთებული იყო იმის გამო, რომ მისი შვილიშვილი, რომელიც ჩვენთან ერთად მაგიდასთან იჯდა, ამ დღეებში აპირებდა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებას, ის სასტიკი წინააღმდეგი იყო ამისი. მან უთხრა შვილიშვილს, რომ თუ ამ გადაწყვეტილებას მიიღებდა, სასტიკად დაისჯებოდა. მიცვალებულმა არ დააკონკრეტა, თუ რაზე იყო საუბარი. ჩემს მეგობარს გაეღიმა და თქვა: ალბათ, მის შვილიშვილს ვინმე გოგონა მოსწონს და პაპა წინააღმდეგიაო. ჩემი მეგობარი რამდენიმე წუთით მეორე ოთახში გავიდა. შეშფოთებულმა ვაჟმა ჩუმად მთხოვა, მომეწყო ისე, რომ მას გავეცილებინე, რადგან რაღაც მნიშვნელოვანზე სურდა საუბარი. მე თხოვნა შევუსრულე და როდესაც მარტო დავრჩით, მითხრა, რომ მას ჰყავს საცოლე, რომელიც მასზე თითქმის 7 წლით უფროსია, რომელსაც ჰყავს უკვე მოზრდილი შვილი და ამ ორ დღეში აპირებს მისვლას მის მშობლებთან ხელის სათხოვნელად, რის შესახებაც მისმა მშობლებმა არაფერი იციან. მან აღნიშნა, რომ გარდაცვლილმა პაპამ სწორედ ამ

საკითხზე ისაუბრა. მე კიდევ ერთხელ განვუმარტე, რომ აუცილებლად უნდა შეასრულოს გარდაცვლილის თხოვნა.

დაახლოებით 20 წლის წინ შემთხვევით უცნობ ოჯახში მოვხვდი. შავებში ჩაცმული ახალგაზრდა დიასახლისი სანდომიანი სახით შემომეგება. მას გაგონილი ჰქონდა ჩემს შესახებ და დიდი სურვილი ჰქონდა ჩემთან შეხვედრისა. კედელზე მისი გარდაცვლილი, ახალგაზრდა მეუღლის და 22 წლის ქალიშვილის გადიდებული სურათები ეკიდა. მან აღნიშნა, რომ ამ საკითხზე საუბარი სხვასთან არ შეუძლია და ამიტომ მოხარულია ჩემთან შეხვედრის. საუბარი საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა, ამიტომ თქვენ ამ საუბრის მხოლოდ პატარა მონათხრობს გაგიზიარებთ: ამ ქალბატონს კიდევ ერთი ქალიშვილი ჰყავს. ორივე ხედავდა, მათი ოჯახის გარდაცვლილი წევრები როგორ დადიან ოთახიდან ოთახში, რა აცვიათ, როგორ სხდებიან მათთან ერთად მაგიდასთან და როგორ სადილობენ. ეს ქალი ამ ყველაფერს დიდი სიმშვიდით, მომღიმარი სახით მიყვებოდა. მან აღნიშნა, რომ მისი სიმშვიდის მიზეზი არის ის, რომ ის ხედავს თავის მიცვალებულ ქმარს და ქალიშვილს, რომლებიც მათთან ერთად ისევ ცხოვრობენ ამ სახლში. ეს ანიჭებს მას სიმშვიდეს.

2001 წლის აპრილში რამდენიმეჯერ მქონდა ცნობილი ბულგარელი ნათელმხილველის ვანგას გამოცხადება და ინფორმაციული კონტაქტი. ამის შესახებ ცალკე ვისაუბრებ.

შუმერთა რწმენა-წარმოდგენებით, სიკვდილის შემდეგ ადამიანის უხორცო სული ბნელ და პირქუშ „სამეფოში“ ეშვებოდა და იქ განაგრძობდა ბეჩავ არსებობას, რაც მისი მიწიერი ყოფის მხოლოდ **აჩრდილი** იყო.

ეგვიპტელთათვის „**კა**“ იყო ადამიანის სასიცოცხლო ენერგია – სული, მისი ორეული, მეორე „მე“, მისი **აჩრდილი**, თვალით უხილავი „კოსმიური ტყუპი“, რომელსაც უწოდებდნენ „ტყუპი ღრუბლებში“. ეგვიპტელთა წარმოდგენით, „კა“ იბადებოდა ადამიანთან ერთად, განსაზღვრავდა მის ბედს, იყო მისგან განუყოფელი სიკვდილის შემდეგაც და განაგრძობდა ცხოვრებას იქითა სამყაროშიც.

ქართველთა ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, გარდაცვლილი ადამიანები საიქიოში ჩრდილების სახით აგრძელებენ არსებობას. ადამიანები თავის გარდაცვლილებს ჩრდილის სახით ხედავდნენ – „არაუჩინონი იყვნენ ისინი თვალისათვის“. თუ სურდათ ადამიანის სიკვდილი,

კლავდნენ მის ჩრდილს, მაგრამ შემორჩენილი არ არის ცნობა იმის შესახებ, თუ როგორ ახერხებდნენ ამას. მიცვალებულის სული, რომელიც საიქიოში ცხოვრობდა, ადამიანის ორეულად, მის მატერიალურ გამოსახულებად ითვლებოდა. ქართველებს სწამდათ, რომ სიკვდილის შემდეგ ცხოვრება გრძელდებოდა. ადამიანთა სულები სქესისა და ასაკის მიხედვით განირჩეოდნენ, თითოეული იმ სახისა იყო, რომელიც ჰქონდა ადამიანს სიცოცხლეში. მიცვალებულებს საიქიოში ჰქონდათ ყველაფერი: პირუტყვი, საქონელი, საბრძოლო იარაღი და სხვა. მიცვალებულის სულს ისეთივე განცდები ჰქონდა, როგორც ცოცხალ ადამიანს: მწუხარება, უსიამოვნება, სიხარული, გულისტკენა, სიცივე, სითბო, დაღლილობა და სხვა. თითქოს იზრდებოდნენ კიდეც. დაჭრილ ადამიანს ჭრილობებიც კი მიჰყვებოდა საიქიოში, იმდენად ხორცშესხმული იყო. სვანების რწმენით, მიცვალებულები მათდამი მიძღვნილ დღეობებზე, ჩრდილების სახით მოდიან ცოცხლების სანახავად. მიცვალებულის ნეტარება დამოკიდებულია სამზეოში (ამქვეყნად) მისი სახელის ხსენებაზე. როცა ბავშვს მიცვალებულის სახელს არქმევენ, მაშინ თვითონ ცხადდება ამ ბავშვში – ამ დროს ბავშვი თავისი წინაპრის სახესა და თვისებებს იძენს. სწამდათ, რომ გარდაცვლილს თავისი აქაური სულის ცხენი იქაც უნდა ჰყოლოდა და ცხენს „თან ატანდნენ". მიცვალებულის მოსახსენიებელ ყველა დღეს – ორმოცი, წლისთავი და სხვა, განსაკუთრებული დადგენილი წესებით მოიხსენიებდნენ. ამ ქვეყანაზე გაჩენილი ადამიანი პირველივე წუთებში ტირის, ხოლო გარდაცვლილი ადამიანის სახეზე ღიმილია აღბეჭდილი. ადამიანი თვლიდა, რომ ამქვეყნად ტანჯვისთვის არის მოვლენილი, ხოლო გარდაცვალების შემდეგ „მშვიდი და საამური" ცხოვრება იწყება. ამიტომ გარდაცვლილ ადამიანებს იმქვეყნად ე.წ. „ზეიმით" აცილებენ. ამ აზრის მატარებელია გარდაცვლილისთვის ქელეხის, ანუ „პურმარილის" სუფრის მოწყობა, სადაც აუცილებლად საკლავი იკვლება. ყვავილების თაიგულით გარდაცვლილის პანაშვიდზე მისვლა, კუბოში აუცილებელი ნივთების ჩალაგება, რომელსაც გარდაცვლილი სიცოცხლეში გამოიყენებდა, განსაკუთრებული ახალი და ლამაზი ტანსაცმლის შერჩევა, ზოგჯერ გაუთხოვარ ქალს საპატარძლო ტანსაცმელში გამოაწყობენ, პანაშვიდზე და ხშირად ღამეც მუსიკა, სიმღერა – გალობა, სანთლების ანთება და სხვა, ნათლად გამოხატავს იმ აზრს, რომ მიცვალებულები საიქიო ცხოვრებას აგრძელებენ.

აქ აუცილებლად გაგვახსენდება **შოთა რუსთაველის** სიტყვები: **„ჩემი ლხინია სიკვდილი, გაყრა ხორცთა და სულისა".**

ადამიანებს გარდაცვალების დროს უბრუნდებათ ის თვალთა და გონითი ხედვა, რაც ჰქონდათ მათ ამქვეყნად მოსვლამდე და ხმამაღლა ეკონტაქტებიან თავიანთ გარდაცვლილ ახლობლებს, რომლებიც სიკვდილის მომენტში მათთან მოდიან, რათა გაუადვილონ სხვა განზომილებაში გასვლის პროცესი. დღეს ბევრი მკვლევარი იკვლევს კლინიკური სიკვდილის ფენომენს, რათა უკეთ შევიმეცნოთ სამყარო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, შევიმეცნოთ, ჩვენი თავი, თუ რა ხდება გარდაცვალების შემდეგ.

დღეს საზოგადოებაში არსებობს ერთი მნიშვნელოვანი კითხვა: ადამიანი ერთხელ მოდის ამქვეყნად, თუ ეს პროცესი განმეორებადია?! ამ საკითხზე კვლევები მიმდინარეობს და ეს ინფორმაცია პერიოდულად ჩნდება პრესის ფურცლებზე. განსაკუთრებით საინტერესოა, ჰიპნოზის გამოყენებით, ადამიანთა დროში უკან მოგზაურობა. კვლევის შედეგი ასეთია: ადამიანი იხსენებს თავისი წინა ცხოვრების დეტალებს, სად და რომელ სახელმწიფოში თუ ქალაქში ცხოვრობდა; რა ენაზეც მაშინ ლაპარაკობდა, იმ ენაზე იწყებს ლაპარაკს და ეს ენა ზოგჯერ უკვე „მკვდარ" ენად ითვლება; ამ საკითხის გასარკვევად იწვევენ „მკვდარი" ენების სპეციალისტებს, ასმენინებენ ჰიპნოზში მყოფი ადამიანის საუბარს, ისმენენ პასუხებს მათ კითხვებზე. ზოგიერთმა თავისი შთამომავლებიც კი იპოვა, ნახა ის სასახლე თუ სახლი, რომელშიც წინა ცხოვრებაში ცხოვრობდა. იხილა თავისი წინა ცხოვრების სურათები და მათ მიერ ნათქვამი სიკვდილის მიზეზი, სახელი და გვარი. ყველაფერი ეს ზედმიწევნით ემთხვევა მათი შთამომავლების მიერ მონათხრობს გარდაცვლილის შესახებ; ზოგიერთმა თავისი წინა ცხოვრების ქალაქი, ქუჩა, ოჯახი და მშობლებიც კი იპოვა. ეს საკითხი საუბრის დიდი თემაა.

თითოეული ადამიანის მოსვლა ამქვეყნად გენეტიკურ კოდშია ჩაწერილი და წინასწარაა განსაზღვრული მისი არჩევანის მიხედვით: როდის დაიწყება და როდის დამთავრდება მისი სიცოცხლე, რომელ ხალხში დაიბადება, რომელი დედის შვილი იქნება და ა.შ.

ყოველი ადამიანი ამქვეყანად თავისი მისიით მოდის და ამ მისიას, ნებით თუ უნებლიედ, მაინც ასრულებს. სამყაროში ყველაფერი უფ-

ლის შექმნილია, ზედმეტი არაფერია, ყველა და ყველაფერი საჭირო და აუცილებელია. მაგრამ რისთვის? ამას ვერ ვაცნობიერებთ. ალბათ, ასეა საჭირო! ასეთია უფლის ჩანაფიქრი!

შეგახსენებთ, რომ უფლის მეორედ მოსვლას ელოდება ქრისტიანული სამყარო.

მეტაფიზიკური ენერგიის გამოყენებით ადამიანთა დიაგნოსტიკის და მკურნალობის დიდი გამოცდილება მაქვს. ჩემს პრაქტიკაში იყო შემთხვევები, როცა მოდიოდნენ ავადმყოფები, რომელთაც მოჭრილი ჰქონდათ ფეხი ან ხელი, ამოკვეთილი ჰქონდათ თირკმელი, ელენთა, ნაღვლის ბუშტი, საშვილოსნო, საკვერცხე. მათ ეს ადგილები ისევე სტკიოდათ, როგორც ოპერაციამდე. ამ ფენომენს ექიმები ვერ მკურნალობენ. ამას „ფანტომურ“ მოვლენას უწოდებენ, ანუ ის, რაც არ არსებობს, ხოლო არ არსებულის მკურნალობა პრაქტიკულად შეუძლებელია.



კირლიანის ფოტოეფექტი

მე ამას ასე არ აღვიქვამდი. ჩემი აზრით, **სხეულის რაიმე ნაწილის მოკვეთისას იჭრება მხოლოდ სხეულის მატერიალური ნაწილი, ხოლო სულიერი – შეგრძნებადი სხეული, რომელიც არის ადამიანის ნამდვილი „მე“, რჩება უცვლელი და მთლიანი**. ასეთ შემთხვევაში ვმკურნალობდი ადამიანის ე.წ. „ფანტომს“ და ვმკურნალობდი უკვე მოჭრილ ფეხს, თირკმელს და სხვას ისევე, როგორც მთლიანს, განსხეულებულს მატერიაში და საკმაოდ კარგი შედეგებით – ავადმყოფები ჩივილებისგან თავისუფლდებოდნენ.

გარკვეული პერიოდის შემდეგ პრესაში გამოჩნდა ინფორმაცია მეცნიერთა დიდი აღმოჩენის შესახებ, რომლებმაც, კირლიანის ფოტოეფექტის გამოყენებით, გადაიღეს ხის ფოთოლი, რომელსაც ერთი ნაწილი ჩამოჭრილი ჰქონდა, მაგრამ კირლიანის აპარატით გადაღებულ ფოტოებზე გამოჩნდა ისევ მთლიანი ფოთოლი, სადაც მოჭრილი ნაწილი უკვე განსხვავებულადაა ასახული. ეს ნიშნავს იმას, რომ **ჩემს მიერ ჩატარებული მკურნალობა ადამიანთა სხეულის მოკვეთილ ნაწილებზე, რეალური მოვლენაა**. იმედი მაქვს, მომავალი თაობა კაცობრიობისათვის ამ უმნიშვნელოვანეს საკითხს უფრო ღრმად შეისწავლის და წარმოაჩენს.

განხილულის საფუძველზე შეიძლება აღვნიშნოთ, რომ **ადამიანი ნამდვილად შედგება ორი – მატერიალური და სულიერი სხეულისგან. გარდაცვალების შემთხვევაში იგი ტოვებს მატერიალურ სხეულს, ხოლო სულიერი სხეულით აგრძელებს იქითა – უხილავ სამყაროში მოგზაურობას.**

პირველ ადამიანთა რწმენა-წარმოდგენებით, უწინ სიკვდილი არ არსებობდა. შემდეგ ადამიანები კვდებოდნენ და ისევ ბრუნდებოდნენ, ბოლოს ეს თვისებაც დაკარგეს, რაც დაკავშირებულია იმასთან, რომ მათ ცოდვა ჩაიდინეს, ამიტომ დაკარგეს ღვთაებრივი უკვდავება. ღმერთები და ხვთისშვილები კი უკვდავები არიან. ქრისტემ, თავისი მობრძანებით, „გამოისყიდა“ ადამიანთა ცოდვები.

მომავალში ადამიანები ისევ უკვდავნი და მარადიულნი იქნებიან.

მე მიცვალებულებს არასდროს ვიძახებ. ეს დაუშვებელია! არ შეიძლება მათი სიმშვიდის დარღვევა. მაგრამ, როცა თვითონ მოდიან და გთხოვენ დახმარებას, შეუძლებელია ზურგი აქციო და არ „გაესაუბრო“. ისინი შემთხვევით არ გეკონტაქტებიან. ასეთ შემთხვევაში შეძლებისდაგვარად უნდა შეასრულო მათი თხოვნა.

დღეს ადამიანთა უმეტესი ნაწილი თვლის, რომ ამქვეყანად მათი ყოფნა დროებითია და აქ სიცოცხლის დამთავრებასთან ერთად ყველაფერი მთავრდება; ცდილობენ, მაქსიმალურად მოასწრონ იმ ცუდი თუ კარგი საქმეების კეთება, რაც მათ დახშულ გონებას მოუვა აზრად. ეს კი მათ მთელი სამყაროს მიმართ დიდი გამოცდის წინაშე აყენებს.

ბუნებაში დიდი კანონი მოქმედებს – **ყველამ ყველაფერი იცის, ყველა ყველაფერს ხედავს, მხოლოდ ვერ აცნობიერებს**. სამ-

ყაროს ამ კანონის შეუცნობელობა ჩვენი საზოგადოების დიდი უბედურებაა, ამიტომ ყველამ უნდა იცოდეს, რომ **ქვეცნობიერის დონეზე აღძრული დაუსჯელი არ რჩება**.

თქვენგან განაწყენებული და გაბოროტებული ადამიანი, პირადად თუ ქვეცნობიერად, გიგზავნით უარყოფით აზრებს და ენერგიას, რომელიც ადამიანზე ძალიან ცუდად მოქმედებს. თუ მას მოკლავ, მიცვალებული ცოცხალზე უფრო საშიშია, ვინაიდან ცოცხალს ხედავ, უყურებ, აკონტროლებ, რეაგირებ, ხოლო მიცვალებულს ვერ ხედავ, ვერ აკონტროლებ და რას დაგიშავებს, არ იცი. ჩვენი წინაპრების აზროვნება ასეთი იყო: მიცვალებული არ უნდა გააბოროტო, შეძლებისდაგვარად უნდა შეუსრულო თხოვნა, პატივი უნდა მიაგო. ადამიანს რომ კლავ, უფლის გზაზე და უფალთან აყენებ, ვინაიდან ის შენი ხელით მოწამეობრივად კვდება; ხოლო ბუნებრივი სიკვდილის შემთხვევაში, ადამიანი უფლის წინაშე თვითონ წარსდგება და პასუხს აგებს თავის ცოდვებზე. **ადამიანმა რომ იცოდეს, სინამდვილეში რა ხდება და რას აკეთებს, არასდროს არავის არ მოკლავდა, არასდროს არც სიტყვით და არც საქმით ბოროტებას არ ჩაიდენდა**. სამყარო თვითონ ცოცხალი „არსებაა“ და ამავდროულად, მასში ყველაფერი თავისებურად ცოცხალია, ყველას და ყველაფერს შეუძლია ინფორმაციის მიღება, შენახვა, გადაცემა, ამიტომ ზემოთ თქმული ეხება არა მხოლოდ ადამიანს, არამედ ყველას და ყველაფერს. **გაუკეთე სხვას ის, რასაც შენს თავს უსურვებ და არასდროს შეცდები**.

ჩვენს ირგვლივ სამყაროს ვხედავთ და ვაცნობიერებთ იმ „დოზით“, რაც აუცილებელია მხოლოდ ადამის ცივილიზაციისთვის. ადამიანმა სწორედ ამ თვალთა და „გონითი“ ხედვით უნდა გაიაროს ადამის ცივილიზაციის კოსმიური ციკლი.

2000 წლიდან შეიცვლება ადამიანთა თვალთა და „გონითი“ ხედვა, შეიცვლება მათი აღქმითი და შეგრძნებითი თვისებები. ეს პროცესი უკვე დაიწყო. ამის დასტურია ახალ ადამიანთა დაბადება, რომელთაც დღეს საზოგადოება „ინდიგო“ ადამიანთა თაობად მოიხსენიებს. მათი „გახსნა“ მოხდება იმ „დოზით“, იმ ზღვრამდე, რაც საჭიროა ცივილიზაციის ახალ ციკლში არსებობისთვის. შეიცვლება მათი და დედამიწაზე ყველაფრის გენეტიკური კოდი , ყველა და ყველაფერი მოერგება იმ მოთხოვნებს, ცხოვრების იმ პირობებს, რომელიც მომავალში, 2000 წლის შემდეგ იქნება დედამიწაზე. ეს უცებ არ მოხდება. დარჩენილი 2000 წელი ახალი „ტიპის“ ადამიანის და დედამიწაზე ახალი გარემო პირობების ჩამოყალიბებას დასჭირდება. **სიკვდილი აღარ იქნება!**

სული მარადიულია, დროსა და სივრცეში გარდასახვადია, პირველსაწყისის ნაწილია და ისევ პირველსაწყის მარადისობას უბრუნდება.

„ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲔᲜᲐᲖᲔ ᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲝᲑᲡ“
/ᲕᲐᲜᲒᲐᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ/

2001 წლის 19 აპრილს რედაქციაში ვესტუმრე ჟურნალ „ფენომენის“ რედაქტორს, გიგლა გობეჩიას. ჩვენი საუბარი, ნაწილობრივ, ბულგარელ ნათელმხილველ ვანგას შეეხო, რომელიც 1996 წლის 11 აგვისტოს გარდაიცვალა.

ჯერ კიდევ ბატონ გიგლასთან ყოფნის დროს ვიგრძენი, რომ კიბესთან, როცა მაცილებდა, გარდაცვლილი ვანგას სულს უნდოდა ჩემთან საუბარი. უფრო სწორად, ის ესწრებოდა ჩვენს საუბარს, ამას ჰქონდა გაცნობის სახე.

და აი, 20 აპრილს, უკვე ჩემს ბინაში, დილას 11 სთ და 13 წთ. გამომელაპარაკა ვანგას სული. მითხრა, რომ „რაღაც უნდა მითხრას – მისი სული შეშფოთებულია“.

შევედი კაბინეტში, ვამზადებ კალამს. ამ დროს დავსვი კითხვა, თუ რა ადგილზე იმყოფებოდა. იქვე, საწერ მაგიდასთან ისურვა დაჯდომა სკამზე.

მოვუბოდიშე, რომ ბევრჯერ ჩავედი ბულგარეთში და არ მივედი მასთან. მან მითხრა, რომ ის არ მაძლევდა ამის უფლებას, რადგან თვითონ უნდოდა ჩვენთან მოსვლა. ვკითხე: „შეშფოთებული რატომ ხარ?“

მიპასუხა: „**იქ არ დამასაფლავეს, სადაც მინდოდ**ა“. ვკითხე: „ამას შენთვის რაიმე მნიშვნელობა ჰქონდა?“ მიპასუხა: „**ძალიან დიდი**“. ვკითხე: „ვუთხრა მათ, რომ გადაგასვენონ?“ მიპასუხა: „**არა, მაგრამ ძალიან უკმაყოფილო ვარ; მე ხალხში მინდოდა დასაფლავება**“.

მინდა, რაიმე გამოსავალი მითხრას, ვაძლევ კითხვებს, თუ რა ეშველება და გამოსავალს ვთავაზობ. მითხრა: „**ნუ მეკითხები, არ მიყვარს, იჯექი ჩუმად, მე უნდა ვილაპარაკო. გიგლამ გამაცნო შენი თავი. კეთილი იყოს, დამილოცნიხარ. (რაღაც წუთები ჩუმად ვიჯექით). გიგლა გთავაზობს, რომ ჩამოხვიდე ჩემთან. არ ჩამოხვიდე, როცა საჭირო იქნება, მე თვითონ გესტუმრები.**“

მომატანინა 2001 წლის ჟურნალი „ფენომენი“ №2 (შევიძინე, მაგრამ ჯერ არ მქონდა წაკითხული), გადამაშლევინა და წამაკითხა სტატია, რომელშიც მოთხრობილია ვანგას შეხედულებები კოსმოსსა და უცხოპლანეტელებზე. შემდეგ ისურვა, წამეკითხა ამავე ჟურნალში დაბეჭდილი წინა სტატია, მთვარეზე კოსმონავტების მოგზაურობის შესახებ. სტატიების წაკითხვის შემდეგ მითხრა: „ახლა შეისვენე“.

ავდექი, გავედი სამზარეულოში, ვგრძნობ, ისიც ადგა, გამომყვა, თან ჩვენი კონტაქტი არ წყდება. ვეკითხები: „რატომ, რატომ მელაპარაკები ქართულად, შენ ხომ ქართული არ იცი?“ მეუბნება: „**მთელი კოსმოსი ქართულად ლაპარაკობს. მოხდება ქართულ ენაზე მოლაპარაკეთა გაწმენდა. ქართულ ენაზე უნდა ილაპარაკონ მხოლოდ იმ ადამიანებმა, რომლებიც კოსმოსთან ჰარმონიაში მოვლენ. მაგრამ ამისთვის დრო არის საჭირო. ეს თანდათან მოხდება**“; ეს სტატიები იმიტომ წამაკითხა, რომ მან (მოშვერილი თითით, რომელიც ფოტოზეა) დაანახა ჩემი თავი კოსმოსს, მთვარეს. მინდა აღვნიშნო, რომ ჟურნალის გადაშლის მომენტშივე ვიგრძენი სურათიდან განსხეულებული, ცოცხალი ვანგა ჩემკენ იშვერდა ხელს. თითქოს რაღაცას მეუბნებოდა. შეწუხებული სახით რაღაცას მევედრებოდა. ამან ძალიან შემაშფოთა, ჩემთვის ეს უჩვეულო შეგრძნება იყო.

მან კიდევ ერთხელ დამიწყო საუბარი იმ უკმაყოფილებაზე, რაზეც წერილის თავშია ნათქვამი. მითხრა, რომ „მას სურდა ხალხში ეპოვა საბოლოო განსასვენებელი, კერძოდ, სოფიის ტაძარში“. მე ვეუბნები: „ეს ხომ ღვთის ნებაა და მან იქ მიგიჩინა ადგილი, სადაც საჭიროდ თვლიდა“ (ამ

საუბრის მომენტში ჩემი სული ძალიან შფოთავდა). რამდენიმე წამში მან წარმოსთქვა: „შენ მართალი ხარ! მართალი ხარ! მართალი ხარ!“, რასაც ძალიან სწრაფად იმეორებდა რამდენიმე წუთის განმავლობაში (თითქოს კოსმოსი ექოს აძლევდა). ვგრძნობდი, როგორ მშვიდდებოდა ჩემი სული და მასთან თვითონ ვანგაც. იგი სრულიად დამშვიდდა და მადლობა გადამიხადა. ვუთხარი, რომ „იგი უნდა შეეგუოს და მოერგოს იმ ადგილს, სადაც ახლა განისვენებს“.

მეგონა ამით ჩვენი საუბარი დამთავრდა, მაგრამ მითხრა, რომ ჯერ არ დამთავრებულა, მას კიდევ სურს საუბრის გაგრძელება. რამდენიმე წუთში თვითონ დაასათაურა ჩვენი საუბრის ჩანაწერი: **„კოსმოსი ქართულ ენაზე ლაპარაკობს”**.

საინტერესო იყო გამომშვიდობება: ვანგამ ისურვა გამომშვიდობება. მე მას ხელი გავუწოდე, ხელის ჩამორთმევა არ ისურვა, უკეთესი შეგრძნებისთვის თვალები დამახუჭვინა, ორივე ხელი გავშალე და სადაც ვგრძნობდი რომ იჯდა, გადავეხვიე ჯერ მარჯვნივ, შემდეგ – მარცხნივ, შემდეგ თავის წინ თავჩაღუნული გამაჩერა. ვგრძნობდი როგორ დამადო თავზე მარჯვენა ხელი და თავის გულში მლოცავდა. შემდეგ ისევ თვალდახუჭულმა თავი მაღლა ავწიე და **დავინახე ვანგა ახალგაზრდა, ქერათმიანი, ხვეული ლოკონებით**, როგორ მიიღო ანგელოზის სახე. ყველაფერი ეს რამდენიმე წუთს გაგრძელდა.

ამ ყველაფრის შემდეგ ვზივარ გაოგნებული საწერ მაგიდასთან, თვალებზე ხელი ავიფარე და გულში ვამბობ: **„ღმერთო, ეს რა ხდება?!...“**

პასუხი ზემოდან: **„შენ შეასრულე ის, რაც მე დაგავალე“**.

უფალმა ჩემთან მოიყვანა ვანგა, რომ მისი შეშფოთებული სული დამეშვიდებინა, საბოლოო გამოცდა მოუწყო და მას ცაში თავისი ადგილი მიუჩინა.

2001 წლის 20 აპრილი.

ამ ჩანაწერის ასლი მეორე დღეს ჟურნალ „ფენომენი“-ს რედაქტორს – გიგლა გობეჩიას მივუტანე. ვუთხარი, რომ გადავწყვიტე ბულგარეთში წასვლა, რათა გამერკვია, რამდენად შეესაბამებოდა რეალობას ის ინფორმაცია, რომელიც ვანგასგან მივიღე. გიგლა ნამყოფი იყო ვანგასთან,

იცნობდა რამდენიმე ბულგარელ ჟურნალისტს და მომცა მათი კოორდინატები.

2001 წლის მაისში გავემგზავრე ბულგარეთში. შევხვდი ბულგარელ ჟურნალისტ ქ-ნ რადა მილევას, რომელიც მეგობრობდა ვანგასთან. მოვინახულე ვანგას სახლი ქ. პეტრიჩში, ვანგას საფლავი და მის მიერ აშენებული ეკლესია სოფ. რუპიში. ბრმა ვანგამ ბევრი ძებნის შემდეგ თვითონ შეარჩია ეს ადგილი საცხოვრებლად. ის გრძნობდა, რომ სწორედ ამ

ვანგას ეკლესია სოფ. რუპიში

ვანგას საფლავთან

ადგილზეა განსაკუთრებულად ძლიერი კოსმიური ენერგეტიკული გარემო. გაოცებული დავრჩი ამ ადგილის ხილვით – გოგირდოვანი წყლების ტბები, რომელშიც შეჭრილია პატარა ნახევარკუნძული, სადაც ვანგას სახლი და ტაძარი დგას. ყველაფერი ეს განთავსებულია მაღალი მთის ძირში, რომელსაც წმინდა მთას უწოდებენ. დანახვისთანავე რჩება შთაბეჭდილება, რომ ეს ადგილი ანალოგიაა ძველი თბილისისა, მთაწმინდისა. მის ძირში გოგირდის წყალი, რომელიც არსთა წრებრუნვის კოსმიური სურათის ანალოგიაა და განსაკუთრებულ ენერგეტიკულ ველს ქმნის. აი, ამიტომ გადმოიტანა ვახტანგ გორგასალმა სატახტო ქალაქი თბილისში.

მთელი ამ მოგზაურობის პერიოდში ვეძებდი შეხების წერტილებს ჩემს ხილვასა (აპრილის თვეში საუბარი ვანგას სულთან) და სინამდვილეს შორის. ვანგას მიერ აშენებულ ტაძარში შევიძინე რუსულ ენაზე გამოცემული წიგნი: „ვანგა – ცხოვრება ხალხისთვის“, რომლის ავტორია ცნობილი ბულგარელი ფსიქოლოგი, ბოიკა ცვეტკოვა, რომელსაც ვანგამ მიანდო თავის შესახებ წიგნის დაწერა. ავტორი 20 წელი აგროვებდა მა-

სალებს და გამოსცა ვანგას გარდაცვალებიდან 2 წლის შემდეგ. ამ წიგნში ვნახე დასტური ჩემი ხილვებისა:

1. ახალგაზრდა, ქერათმიანი, ლოკონებიანი ვანგა ქმართან ერთად (ხილვების დროს ვანგამ ცად ამაღლების მომეტში ასეთი სახე მიიღო).
2. ვანგა სიკვდილის წინ მათ სთხოვდა, რომ წაეყვანათ სოფ. რუპიეში, რათა მისი დაკავშირება იმქვეყნიურ სამყაროსთან განხორციელებულიყო იქ, სადაც იგი ხალხს ღებულობდა და აძლევდა დარიგებებს. წიგნის ავტორი, უკანასკნელი თხოვნის შეუსრულებლობისთვის, პატიებას სთხოვს გარდაცვლილის სულს.
3. გარდაცვალებიდან 40 დღის შემდეგ პარაკლისზე დამსწრე საზოგადოება ელოდა, რომ ვანგას საფლავიდან მისი სულის ცად ამაღლებას იხილავდა, მაგრამ ეს არ მოხდა, ამიტომ იგი წმინდანად ვერ შერაცხეს. (ჩემი ხილვებიდან გამომდინარე, შემიძლია განვაცხადო, რომ სხვადასხვა მიზეზთა გამო მისი ცად ამაღლება მოხდა 2001 წლის 20 აპრილს დილის 11სთ 13 წუთიდან – 12სთ 55 წუთამდე).

ამერიკელმა მეცნიერმა რაიმონდ მოუდიმ შეისწავლა 150-მდე ადამიანის კლინიკური სიკვდილის მდგომარეობა, რომელიც ჩამოაყალიბა წიგნში „ცხოვრება გარდაცვალების შემდეგ“. შეგახსენებთ ნაწყვეტს ამ წიგნიდან: **„როდესაც ფიზიკური სხეული შეიძლება იყოს სუსტი და დამახინჯებული, სულიერი სხეული მშვენიერი და ძლიერია. იყო შემთხვევაც, როდესაც სულიერ სხეულს არ გააჩნდა ასაკი“, ე.ი. მასზე „დრო“ არ მოქმედებდა.**

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩემი ხილვები სრულიად ემთხვევა ბოიკა ცვეტკოვას წიგნში წარმოჩინებულ მასალებს ვანგას შესახებ. მადლობას ვწირავ ბუნების ძალას, რომ ღირსად ჩამთვალა, მეხილა და დავსწრებოდი 2001 წლის 20 აპრილს დიდი ფენომენის – ვანგას ცად ამაღლებას.

2001 წლის 2 სექტემბერი, დილის 11სთ. 30წთ. ფიქრი გადავიდა ვანგასთან, შემდეგ მიეცა საუბრის სახე; „ხმა“ ისმოდა ძალიან შორიდან – კოსმოსიდან, ზემოდან. ის მთხოვს, ვუთხრა ბულგარეთში მის საზოგადოებას, ტაძარს, აღავლინონ ლოცვა – რიტუალი მისი სულის ცად ამაღლებასთან დაკავშირებით ყოველი წლის 23 აპრილს, თბილისის

დროით 11სთ. 13წთ. – 12სთ. 55წთ. დროის მონაკვეთში. ეს ის დროა, როცა მას დართეს ნება წელიწადში ერთხელ დედამიწაზე დასაბრუნებლად. მას ძალიან ენატრება ბულგარეთი და ტაძარში ამ რიტუალის შესრულების დროს ის მოინახულებს ყველას. ტაძარში მას ექნება განსაკუთრებული ადგილი არა მისი ხატის ადგილზე, არც საფლავზე, არამედ, ტაძარში სხვა ადგილას (მიუთითებს შემდეგ) ხატის სახით წარმოადგინონ მისი ახალგაზრდობის სურათი ლოკონებით (ქმრის გვერდით რომ არის), რადგანაც მას ახლა ასეთი სახე აქვს.

ბატონ გიგლა გობეჩიას დახმარებით, ეს მასალები გავუგზავნეთ ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის პრესიდენტს, ბატონ კირსან ილუმჟინოვს, რომელთანაც ვანგა მეგობრობდა და ვანგას საზოგადოებას ბულგარეთში.

სიკვდილის წინ ვანგამ იწინასწარმეტყველა: **„მოვა საოცრებების და დიდი აღმოჩენების დრო არამატერიალურ სამყაროში; იქნება დიდი არქეოლოგიური აღმოჩენები, რომლებიც ძირფესვიანად შეცვლის წარმოდგენას სამყაროზე უხსოვარი დროიდან. ასეა წინასწარ განსაზღვრული“.**

ჩვენთვის, ქართველი ერისთვის მნიშვნელოვანია ვანგას მიერ გაცხადებული ინფორმაცია ბოლო ჟამის შესახებ: **„მთელი კოსმოსი ქართულად ლაპარაკობს. მოხდება ქართულ ენაზე მოლაპარაკეთა გაწმენდა. ქართულ ენაზე უნდა ილაპარაკონ მხოლოდ იმათ, ვინც კოსმოსთან ჰარმონიაში მოვა. მაგრამ ამისთვის დრო არის საჭირო. ეს თანდათან მოხდება“.**

ვინ იბადება საქართველოში?! სალვადორ დალის „გეოპოლიტიკოსის“ მიხედვით

2001 წლის ჟურნალ „ფენომენი“-ს ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნდა აკადემიკოს მერაბ გეგიას წერილი **„სალვადორ დალი ახალი ადამიანის დაბადების ადგილად საქართველოს მიიჩნევს“**. იგი აღნიშნავს, რომ სამყაროს იდუმალი მოვლენების ამოხსნისკენ სწრაფვამ თავის პიკს XX საუკუნის 20-იან წლებში მიაღწია და საზოგადოების წარმოდგენებში რევოლუციური გადატრიალება მოახდინა. სწორედ ამ დროს იშვა ესპანელი მხატვრის სალვადორ დალის ფენომენი სახვით ხელოვნებაში. ერთ-ერთია მისი ფერწერული ნახატი „გეოპოლიტიკოსი, რომელიც აკვირდება ახალი ადამიანის დაბადებას“.

სალვადორ დალი. „გეოპოლიტიკოსი“

ნახატი კომპოზიციურად მარტივია: კვერცხის ნაჭუჭი განასახიერებს დედამიწას, ახალი ადამიანი ამტვრევს ნაჭუჭს და ნელ-ნელა ევლინება ქვეყანას.

სტატიის მიხედვით, „გეოპოლიტიკოსს“ (აშკარად ჰერმაფროდიტს) ვხედავთ კომპოზიციის მარჯვენა ნაწილში, რომელიც მიუთითებს შავი და კასპიის ზღვებს შორის მდებარე ტერიტორიაზე, სადაც უნდა იშვას ეს ახალი ადამიანი, ანუ მიგვანიშნებს ახალი ადამიანის დაბადების ადგილზე.

ბატონ მერაბ გეგიას აზრით, ახალი ადამიანი საქართველოში იბადება, რომელიც კვერცხის „ნაჭუჭს“ ტეხს ამერიკის კონტინენტზე.

„ჰერმაფროდიტის“ ფეხებთან ბავშვის ფიგურაა გამოსახული. იგი ფეხზე ებღაუჭება გეოპოლიტიკოსს, თითქოს შეშინებულია და მისგან დაცვას ითხოვს.

აშკარაა, რომ ახალი ადამიანი სრულიად განსხვავდება ჩვეულებრივი ადამიანისაგან. იქნებ „ზეკაცია“? მართლაც, ახალი ადამიანი აშკარად გიგანტია და რა გასაკვირია, რომ მის დაბადებას დედამიწის ნგრევა მოჰყვეს. ამას გვაფიქრებინებს, აგრეთვე, „ახალი ადამიანის“ მძლავრი ხელის მტევანი, რომლითაც იგი ებღაუჭება პლანეტას, თითქოსდა, მისი ჩაბღუჯვით ცდილობს, თავი დააღწიოს საპყრობილე-ნაჭუჭს, დედამიწის წიაღს.

„გეოპოლიტიკოსს“ სასქესო ორგანოზე ლეღვის ფოთოლი აქვს მიფარებული. მას სხეულის ზოგიერთი ნაკვთი ქალური აქვს, ზოგი კი – მამაკაცური.

ბატონ მერაბს სტატიაში დაწვრილებით აქვს აღწერილი ფერტილო, გამოთქმული აქვს როგორც პირადი, ისე მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა ცნობილი მოსაზრებები.

ვინც იცნობს ჩემს მიერ გამოქვეყნებულ სტატიებს, არ გაუკვირდება ჩემი დაინტერესება ზემოთ აღნიშნული ფერწერული ტილოთი.

მე არ ვაპირებ ბატონ მერაბ გეგიას წერილში გამოთქმული აზრების გაანალიზებას, მხოლოდ იმ საკითხებს შევეხები, რომლებიც ამ ფერტილოსთან დაკავშირებით, ჩემი თვალთა და გონითი ხედვიდან გამომდინარე, პირველად იქნება წარმოჩინებული.

სურათზე დედამიწა განხილულია კოსმოსთან მიმართებაში. ის ერთ-ერთი კვერცხია, კოსმოსის მიკროკოსმია, რომელიც ისეთივეა, როგორიც დედამიწა. ეს არის სამყარო სამყაროში. მასზე იგივე კოსმოსური კანონები მოქმედებენ. მეორე მხრივ, ეს კვერცხი შეიძლება მივაკუთვნოთ იმ „კვერცხუჯრედს“, რომლიდანაც იბადება ადამიანი. სალვადორ დალის ეს ფერწერული ტილო მიგვანიშნებს, რომ ეს „კვერცხუჯრედი“ დედამიწის ანალოგია, დედამიწაც ის „კვერცხუჯრედია“ კოსმოსისთვის, საიდანაც „მესია“ უნდა დაიბადოს.

სურათზე გამოსახულ ყველა საგანს აქვს ჩრდილი, ეს კი იმის მიმანიშნებელია, რომ გადმოცემული კოსმიური პროცესი მატერიაში, ანუ მიწიერ დონეზე ხდება. სულს ჩრდილი არ აქვს. ჩრდილი აქვს მატერიას.

სურათზე კვერცხის მარცხნივ გამოსახულია „არლეკინი“ – მასხარა, რომელიც ბიბლიური კაბალას – ეგვიპტის „ტაროს არკანების“ მიხედვით, ნულოვანი არკანია, დგას 21-ე და 22-ე არკანებს შორის. მას ასე ახა-

სიათებენ: უაზრო, სულელი, შტერი, პირველქმნილი ადამიანი. ქართული ანბანის მიხედვით, მას შეესაბამება ასო-ნიშანი „ჯ“-„ვიე“, რომელსაც არ აქვს რიცხვითი მნიშვნელობა, ე.ი. ნულოვანია და დგას 21-ე და 22-ე ასო-ნიშნებს შორის, მეორდება აგრეთვე 22-ე ასო-ნიშანში. რაც შეეხება არ-ლეკინისა და მეორე ადამიანის ერთად დგომას, ეს ნიშნავს მათ ერთობლივ მზადებას არსთა წრებრუნვის ახალ კოსმიურ საფეხურზე ასასვლელად, რაც ერთხელ უკვე მოხდა – სულიერი სამყაროდან მიწიერ სამყაროში მოსვლის მომენტში, რომელიც ქართული ანბანის 22-ე ასო-ნიშანში აისახა ორი ასო-ნიშნით.

სურათზე კვერცხის მარჯვნივ გამოსახულია სამი ადამიანი: პირველი მოშორებით დგას, მეორე – ბავშვია, მესამე კი – „გეოპოლიტიკოსი“, რომელიც ხელით მიგვანიშნებს საქართველოზე, სადაც, ბატონ მერაბ გე-გიას და არა მარტო მისი აზრით, ისინი ელოდებიან და შიშით თვალს ად-ევნებენ ახალი ადამიანის დაბადებას. ნახატიდან გამომდინარე, როგორც არაერთხელ აღინიშნა, სალვადორ დალი მიგვანიშნებს, რომ ეს უნდა მოხდეს საქართველოში.

იმ მოსაზრებას, რომ „გეოპოლიტიკოსში“ მოიაზრება „ჰერმაფროდი-ტი“, რადგან მასში შერწყმულია ქალისა და მამაკაცის ნაკვთები, მე კატ-ეგორიულად უარვყოფ, რადგანაც მის სასქესო ორგანოზე მიფარებული ფოთოლი იმის მიმანიშნებელი კი არ არის, რომ სქესს ფარავს, არამედ იმისა, რომ აქ „გეოპოლიტიკოსის“ ანატომიური სქესი არაფერ შუაშია.

სალვადორ დალის ამ ფერტილოს მიმართ ყველა მკვლევარი ერთ კითხვას სვამს: „ვინ იბადება?“.

დავაკვირდეთ სურათს: ჩვენი ხედვის არედან კვერცხის ნაჭუჭის ბზა-რის მარცხენა მხარეს ჩანს ადამიანის თავითა და ფეხით ამობურცული კვერცხის ნაჭუჭი, ჩანს მისი ფეხების მოძრაობა – დასავლეთისკენ მკვე-თრად გადადგმული მარჯვენა ფეხი.

მრჩება შთაბეჭდილება, რომ მისი თავი და ფეხები მიმართულია დასავლეთისკენ, ხოლო ტანი აღმოსავლეთისკენ. ამაში ადვილად დარ-წმუნდებით, თუ სურათს ოდნავ მარცხნივ შეაბრუნებთ. ნაპრალის მარ-ჯვნივ ჩანს ზემოთ ამოსული ძლიერი მარცხენა ხელი და ქალის ორივე მკერდი. ქალი მთელი ტანით მიბრუნებულია აღმოსავლეთისკენ, მაგრამ თავი ჯერ კიდევ არ ჩანს. მრჩება შთაბეჭდილება, რომ ნაჭუჭიდან ამოზ-

იდული თავი და ფეხები არ ეკუთვნის ნაჭუჭის ნაპრალიდან ამოსულ ტანს, აქედან გამომდინარე, იგი ორსახა ადამიანია, რომლის ერთი სახე აღმოსავლეთისკენ იყურება, ხოლო მეორე – დასავლეთისკენ. ასეთი ადა-მიანის დაბადებას წინასწარმეტყველებს სალვადორ დალი საქართველოში ახ.წ. II ათასწლეულის ბოლოს.

ვინ იბადება – ორსახა ადამიანი?

შევეხოთ კიდევ ერთ მეტად მნიშვნელოვან საკითხს.

ახალი ტიპის ადამიანი, როგორც „გეოპოლიტიკოსი“ მიგვანიშნებს, იბადება საქართველოში, მაგრამ ამავე დროს, იგი იბადება ატლანტის ოკეანეში. ატლანტის ოკეანეში კი, ცხადია, მხოლოდ ტიტანი „ატალან-ტი“ დაიბადება, რომლის სახელსაც ატლანტის ოკეანე ატარებს.

მითოლოგიურად ატლანტი ცის თაღის შემკავებელი ტიტანია. ცის თაღი მცირე ხნით ჰერაკლემ შეიდგა მხრებზე, შემდეგ მას ატალანტი შეენაცვლა. ატალანტი ხასიათდება, როგორც „ბრძენი ბუმბერაზი“, „სამ-ყაროს გონის სიმბოლო“. ჰერაკლეს კი აიგივებენ დამწერლობისა და სი-ბრძნის ღმერთთან „თოთ“ (ტოტ)-თან.

ენციკლოპედიის მიხედვით, ქართველების ამირანს ბევრი რამ აქვს საერთო ბერძნების ჰერაკლესთან. ამირანის სამშობლო კი, საქართ-ველოა.

ჩვენს მიერ მიღებული კოსმიური ინფორმაციით, „ატალანტის“ და-ბადებით შეიცვლება არსთა წრებრუნვის კოსმიური სურათი, რომელსაც ქართული ანბანის კოდით, „ჯ-ჯან-8000“ ასო-ნიშნის შესაბამის არსთა წრებრუნვის კოსმიურ სურათში ამირანი არის ცის თაღის შემკავებელი, საიქიოს მთავარი მოსამართლე. მას ცეცხლი, ანუ ცეცხლის სტიქია მოაქვს ადამიანებთან. შუმერთა ქალღმერთი ინანაც ცის თაღის შემკავე-ბელია, ცასა და მიწას „შუ“-ა მდგომი – „ხელებით ცას იკავებს, ფეხით მიწას ეხება“.

სალვადორ დალის ნახატის მიხედვით, სამი ადამიანი უკვე დაიბადა, რომლებიც შიშით აკვირდებიან მეოთხე ადამიანის დაბადებას. ვინ არის მეოთხე, რომელიც საქართველოში უნდა დაიბადოს?!!

სალვადორ დალის ფერტილოზე ასახული წინასწარმეტყველება ემთხვევა შუმერების ქვის ბეჭედის (ძვ.წ. 3400წ.) წინასწარმეტყველებას, რომელზეც თევზის ზოდიაქოს ბოლოს ორსახა ღმერთია გამოსახული. ეს

კი, დროში ახ.წ. 2000 წელს შეესაბამება.

ორსახა ღმერთი მეოთხე – ცეცხლის სტიქიის გაცხადებაა და ქალის სახით წარმოჩინდება. შუმერთა ქალღმერთი „ინანა“ – „ინ-ან-ა“ ორბუნებოვანია, დღისით მეომარია და მამრია, ღამე სიყვარულის ქალღმერთია, ანუ „ინ“ და „იან“ ურთიერთსაპირისპირო საწყისთა ერთიანობაა. ქართული სიტყვები „ქ-ალი“ და ქალღმერთი „დალი“ – „და-ალი“-ც თავისი არსით ცეცხლის სტიქიას გამოხატავს. შეგახსენებთ, რომ სიტყვის შემადგენელი ასო-ნიშნები თვით სიტყვის ენერგეტიკულ არსს წარმოაჩენენ.

მაშასადამე, სალვადორ დალის ამ ფერწერულ ტილოზე ასახულია იგივე წინასწარმეტყველება, რაც შუმერთა ქვის ბეჭედზე, რომ 2000 წლისთვის იბადება და **დედამიწიდან ამოდის მეოთხე – ცეცხლის სტიქიის ქალღმერთი, რომელსაც ყველა უძველესი ხალხი კოსმიური „და-ძმის“, ორსახა ღმერთის სახით გამოსახავდა. ამასთანავე, იგი არ არის ჰერმაფროდიტი, არამედ იგი მდედრი და მამრი, „ინ“ და „იან“ საწყისთა გამთლიანებული ენერგიაა, რომელსაც უძველესი ხალხი ცეცხლის სტიქიას, ოქროს საწმისს, გამთლიანებული ორი მზის ენერგიას უწოდებს. ეს უკვე მოხდა – დედამიწაზე დადგა ცეცხლის სტიქიის აქტივობის – „მორიგეობის“ პერიოდი, რომელიც ოთხივე სტიქიის (მიწა, წყალი, ჰაერი, ცეცხლი) აქტივობის გამოვლინებაა.** ამის შედეგია გლობალური დათბობა და აციება, კატასტროფები, მიწისძვრების და ვულკანური ამოფრქვევების გააქტიურება, პოლუსების დნობა, დედამიწა კარგავს პოლარობას. ამ საკითხების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. „ცეცხლის“ სტიქიის აქტივობა დედამიწაზე ყოველ მიკრო თუ მაკრო სამყაროზე აისახება, იცვლება სამყაროს გენეტიკური კოდი. სამყარო ემზადება ცივილიზაციის ახალ ციკლში გადასვლისთვის და ეს ყველაზე და ყველაფერზე აისახება.

შუმერი. ორსახა ღმერთი

სამწუხაროდ, დღეს სამეცნიერო საზოგადოება ვერ აცნობიერებს, რა არის ზოგადად ოთხი საწყისის სტიქია, როგორი სახით ვლინდებიან ბუნებაში. აქ მიწა, წყალი, ჰაერი და ცეცხლი, არ შეიძლება გავიგოთ პირდაპირი მნიშვნელობით. ეს არის ის მეტაფიზიკური ოთხი საწყისი, რომელმაც განაპირობა პირველსაწყისი სულის მატერიაში გამოვლინება.

სალვადორ დალის ფერწერულ ტილოზე სწორედ ამ ოთხი პირველსაწყისის დაბადებაა ასახული, თითოეულში მდედრი და მამრი საწყისები ერთიანდება, **მეოთხე – ქალის დაბადება ცეცხლის სტიქიის გამოვლინებაა, რომელიც ორსახა ღმერთის სახით წარმოჩინდება,** რომელთაგან ერთი ქალისსახიანია, მატერიაა, მეორე – ჩრდილია, სულია მატერიაში გამოვლენილი. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ **ორსახა ღმერთი, სალვადორ დალის მინიშნებით, საქართველოში იბადება.** ეს არის **ახალი ტიპის, ჰარმონიული ადამიანის დაბადება**.

სალვადორ დალის შესრულებულ ფერტილოზე „გეოპოლიტიკოსი, რომელიც აკვირდება ახალი ადამიანის დაბადებას“, გადმოცემული წინასწარმეტყველება, შესრულებული XX საუკუნის 20-იან წლებში, ემთხვევა შუამდინარეთის დიდი ცივილიზაციის უძველესი ხალხის – შუმერების წინასწარმეტყველებას. ეს საკითხი არც ქართველთათვის იყო უცხო. ამაზე მეტყველებს უძველეს ხალხთა მითოლოგია და არქეოლოგიურ ძეგლებზე სიმბოლური გამოსახულებებით გამოხატული კოსმიური ინფორმაცია.

ქართული ანბანის გენეტიკური კოდით, ახ.წ. III ათასწლეულს შეესაბამება „ჰ-ჰაე-9000“ ასო-ნიშნის კოსმიური პერიოდი, სადაც მიჯაჭვული ამირანი აღარ არის ცის თაღის შემკავებელი, საიქიოს მოსამართლე. მან შეასრულა თავისი კოსმიური მისია, რასაც მითოლოგია ასე გადმოგვცემს: **ამირანს ცეცხლი მოაქვს დედამიწაზე ადამიანებთან. მან უკვე მოგვიყვანა ცეცხლის სტიქიის ათასწლეულთან. სწორედ ეს არის ამირანის მიერ ადამიანებთან ცეცხლის მიტანა.** დაიწყო კაცობრიობის ცეცხლის სტიქიით განწმენდის 2000 წლიანი პერიოდი. ახ.წ. III ათასწლეული დედამიწაზე იქნება „ინ“ და „იან“ პირველსაწყისთა შერწყმის, შეერთების, დიდი განწმენდის და ამავე დროს, ჰარმონიულობის ათასწლეული. კაცობრიობა ემზადება ცივილიზაციის ახალ საფეხურზე გადასვლისთვის.

დედამიწის ცენტრში არის ბირთვი, რომლის ტემპერატურა მზის ტემპერატურას უთანაბრდება და წარმოადგენს დედამიწის ერთგვარ გულს –

ცენტრს – მზეს, რომლის ენერგია ახ.წ. 2000 წლისთვის თავისუფლდება და ორსახა ადამიანის, ანუ „ოქროს საწმისის“ სახით ამოდის მიწის ზედაპირზე. რაც ნიშნავს, რომ ახ.წ. 2000 წლიდან დედამიწაზე დაიბადებიან ცეცხლის სტიქიის – ორი პირველსაწყისის გამთლიანებული კოსმიური ენერგიის ადამიანები. სწორედ ეს კოსმიური პროცესია ასახული სალვადორ დალის ფერტილოზე „გეოპოლიტიკოსი“.

საინტერესოა თვით სალვადორ დალის გვარი – „დალი“, რაც ქართველთა ცეცხლის სტიქიის ქალღმერთ „დალი“-ს სახელია. ვფიქრობ, ეს მის ესპანურ – ბასკურ – იბერიულ წარმომავლობასთანაა დაკავშირებული.

სალვადორ დალი თავისი ფერწერული ტილოთი გვეუბნება, რომ ახალი ტიპის ადამიანი დაიწყებს ახალ ცივილიზაციას და ეს ახალი ადამიანი საქართველოში ისევ ქართული გენით დაიბადება. თუ გავითვალისწინებთ ბუნების კანონს, რომ ყველა და ყველაფერი პირველსაწყისს უბრუნდება, აქედან გამომდინარე, ახალი ადამიანი ისევ იქ დაიბადება, სადაც წინა ცივილიზაციები დაიწყო. მაშასადამე, ადამის ცივილიზაციის პირველი ადამიანიც აქ, კავკასიაში, საქართველოში ქართული გენით დაბადებულა.

ყაჩაღანის ჯვარი
ადამიანის სამყაროს შექმნა

ჯვარი, როგორც სამყაროს მოდელის ასახვა, მისი სიმბოლიკის აღქმა, თაყვანისცემა და რელიგიური რიტუალური საგნის სახით გამოყენება, დედამიწის ჯერ კიდევ პირველი ადამიანებიდან მოდის და ძველი ცივილიზაციის ყველა ხალხის არქეოლოგიურ და ისტორიულ ძეგლებზეა გამოსახული. ჯვარი ხშირად ასახავს ადამიანის მოდელს, ან ანტროფომორფულ ხვთაებას და ადამიანის სხეულის ჯვარის ბუნებას – ადამიანი გაშლილი ხელებით იგივე ჯვარია. ჯვარი ასახავს აგრეთვე „სამყაროს ხის“ გეომეტრიულ მოდელს. ადამიანი არის ორივე – ჯვარიცა და სიცოცხლის ხეც. შუმერთა მითოლოგიაში ცნობილია სიცოცხლის ხე „მესი“ (აქედან წარმოსდგება სიტყვა „მესია“), რომლისგანაც ქალღმერთმა ინანამ „ტახტი და საწოლი“ გაიკეთა.

ჯვრის ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ სივრცეთა გადაკვეთა, კოსმიური გააზრებით, არის ხვთაებრივი ცენტრი, საყრდენი სამყაროს მთლიანობისა, ხოლო პიროვნული გაგებით, იგულისხმება ადამიანის გული, როგორც განსახიერება მისი სულიერ-ხორციელი მთლიანობისა. სამყაროს ეს სიმბოლური გამოსახულება გამოხატავდა ქვეყნიერების ოთხ მხარეს, წელიწადის ოთხ დროს, სტიქიის ოთხ ელემენტს, ცხოვრების ხეს და ზოგადად, სამყაროს ორსაწყისიანობას, რაც ასახულია საქართველოში, მარნეულის რაიონში აღმოჩენილ ყაჩაღანის ჯვარსა და მაიას ტომების ერთ-ერთ ქვაზე.

სიცოცხლის ხის სიმბოლოა ასევე ქართველთა „დედაბოძი“, ანუ სამყაროს საფუძველი, რომელიც არის უძველეს წინაპართა რწმენა – წარმოდგენები სამყაროს შესახებ. თვით დედაბოძი ჯვრის განსხეულება და ასახვაა. ჯვრის და დედაბოძის ორნამენტებში ჩადებულია სამყაროს ოთხი მხარის იდეა. ჯვარი განზოგადებული კოსმოგონიური ნიშანია და წარმოადგენს არა საზღვრულ ტერიტორიას, არამედ მთელ ქვეყნიერებას.

„ხატი“ და „ჯვარი“ ენობრივად სიცოცხლის „ხე“-ს და „ძელს“ ენათესავება. არქაული პერიოდის ჯვრის სხვადასხვა ვარიანტი კოსმოგონიური შინაარსისაა. იგი თვით სამყაროს ასახავაა, შემდგომ იქცა ქრის-

ტიანულ სიმბოლოდ. ჯვრის სიმბოლური ნიშანი გამოისახება სათავსებზე, საცხოვრებლებზე, ავეჯზე, რიტუალურ ნივთებზე, რიტუალურ ნამცხვრებზე, როგორც საკრალური ნიშანი. ძველი ხალხების შეხედულებით, ქვეყნიერების აგება ჯვარს უკავშირდება. ეს მათი რელიგიურ კოსმოგონიური წარმოდგენების ანარეკლი უნდა იყოს.

ქართული აზროვნებით, „ჯვარი“ – „ჯ-ვარ-ი“ მიგვანიშნებს, რომ თვით ადამიანი არის „ჯვარი“ და „ჯ“ ასო-ნიშანი კი ცეცხლის სტიქიის სიმბოლური გამოსახულებაა.

დედამიწის ერთ-ერთი უძველესი ხალხის – დაგონების (ეგვიპტე – სუდანი) მითოლოგია გადმოგვცემს მათ რწმენა-წარმოდგენას სამყაროს შექმნის შესახებ, რომლის მიხედვითაც, ზეციურ სივრცეში იმყოფება ღმერთი „ამმა“ – „მამა“ (მდედრი). ის არსებობდა ჯერ კიდევ მაშინ, როცა არ იყო სამყარო, არ იყო დრო და სივრცე. იყო მხოლოდ ოთხი შეკრულ-შეკუმშული „ლავიწი“ (ეს უკავშირდება ჯვრის სიმბოლიკას), რაც დაგონების ენაზე „ამმა“-ს – „ერთ ადგილზე მყოფობას“ ნიშნავს ძლიერად „შეკუმშულ“ მდგომარეობაში. საქმე გვაქვს „სამყაროულ კვერცხთან“. მსოფლიოს ხალხთა მითების მიხედვით, ეს არის კვერცხი, რომელშიც შეკუმშულია ქაოტური სამყარო დროისა და სივრცის გარეშე, ანუ სამყაროს ოთხი საწყისის პირველქმნილი მდგომარეობა. „ამმა“, დაგონების წარმოდგენით, თვითონ არის სპირალური მოძრაობა კვერცხის შიგნით, რის შედეგადაც წარმოიქმნა პაწაწინა თესლი **„პა“** – მამრი საწყისი, **საიდანაც მოდის ქართველთა მამრი წინაპარის „პაპა“-ს სახელი**. ის განთავსებულია კვერცხის ცენტრში, ბრუნავს და ასხივებს მატერიის ნაწილაკებს, იგივე პირველქმნილი „მზე“ – ოთხი საწყისი მბრუნავი საათის ისრის მიმართულებით, რომლებიც განიცდიან ბგერების და სინათლის მოქმედებას, რაც არ ისმის და ვერ შეიგრძნობა. „პა“-ს ნაწილაკში „ამმა“-ს სპირალი აშენებს მთელ სამყაროს. შემდეგ ხდება სპირალის „თვალის“ გახსნა (ე.წ. „შავი“ ხვრელის გახსნა) და მომავალი საგნები – ნაწილაკები სამყაროსი მოძრავი „**პა**“-ს ნაწილაკში სპირალურად იწყებენ გარეთ გამოსვლას, ამასთან ინარჩუნებენ თავიანთ სპირალურ მოძრაობას. ეს განაპირობებს სპირალურად მოძრავი ვარსკვლავთ სისტემების წარმოქმნას, რომლის შემადგენლობაშიც შედის სპირალზე მოძრავი ჩვენი მზის სისტემაც. სპირალური ვარსკვლავთ სამ-

ყაროები ავსებენ კოსმოსის სივრცეს. ამ სპირალური მოძრაობის დროს თავისივე ღერძის გარშემო იხსნება ოთხი ჩაკეტილი „ლავიწი“, ჯვრის ოთხი ფრთა – ოთხი მიმართულება, რომელიც განსაზღვრავს სივრცის ძირითად მიმართულებებს.

მსოფლიოს ხალხთა რწმენა-წარმოდგენებით, ჯვარი განზოგადებული კოსმოგონიური ნიშანია, იგი ზეციური კიბეა – სამსხვერპლო ბოძი. ჯვარი სულის ზეაღსვლის სიმბოლოა. ჯვარი შუმერთა „სინ“ – ქრისტეს სიმბოლოა; ის ერთადერთი ხვთისშვილია, რომელსაც გულზე ჯვარი ჰკიდია (შუმერთა ქვის ბეჭედი ძვ. წ. 3400 წ.) ამ ქვის ბეჭედზე შუმერთა „სინ“-ი წყლის სტიქიის გაცხადებაა. „სინ“ – ქართველთა „ბუქნა ბაადური“ მითოლოგიაში წყლის ბერად მოიხსენიება და ხვთისშვილთა შორის პირველია. წყალბადი (H) მენდელეევის ქიმიურ ელემენტთა პერიოდული სისტემის სათავეში დგას, რაც მას გამოცხადებით მიეცა. ეს კი ნიშნავს, რომ ყველაფერი „სინ“ – ქრისტესგან წარმოიქმნება, ანუ ქრისტეა მამასთან ერთად სამყაროს შემოქმედი, რომელიც მატერიალურ სამყაროს პირველი ელემენტით – წყლით ქმნის. წყალი არის სამყაროს ყველა ქიმიური ელემენტის შემქმნელი. ამას გვიდასტურებს ქართველთა მითოლოგია, სადაც სამყაროს ძირითადი შემოქმედი – 64 ხვთისშვილი ყველა არის ჯვარი – „მორიგის წინაშე 63 ჯვარი იდგა“, ხოლო 64-ე ბოლო „მორიგეა“ და ყველა ერთის – გიორგი ნაღვარმშვენიერის, თეთრი გიორგის, წმინდა გიორგის – ქრისტეს 64 გაცხადებაა, რაც უჯრედის გენეტიკური კოდის სპირალებში აისახება. მაშასადამე, ჯვარი იგივე წყლის სტიქიისა და ქრისტეს ღვთიური ენერგიის მატერიაში ნათელგამოვლენაა, რომელიც მამისაგან – დიდი მამრი პირველსაწყისი წინაპრისაგან „იშობა“. მაშასადამე, წყალი არის ერთის გამოვლენა ყველაფერში. **სამყარო შექმნილია პირველსაწყისი ნივთიერებისგან – წყლისგან. ის ყველგანმყოფია, მთელ სამყაროშია სხვადასხვა ფიზიკური და მეტაფიზიკური ფორმით. კოსმიური სულიერი „მე“-ს გამატერიალიზება – ნათელგამოვლენა ხდება წყლით.**

სამყაროში შობასთან და გამრავლებასთანაა დაკავშირებული ძველი ცივილიზაციის ყველა ხალხთა „ნაყოფიერების“ დღესასწაული. ქართველებთან იგი „ადრეკილაის“, „მურყვაობის“, „ყეენობის“, „ბერიკაობის“ სახელებითაა ცნობილი. ამ საკითხს იკვლევდა ქართველი ერის

უდიდესი მოაზროვნე და მკვლევარი ივ. ჯავახიშვილი.

ყველიერის ხუთშაბათს თითქმის მთელ სვანეთში თოვლისაგან „მურყვამს“, ანუ კოშკს აკეთებენ, რომელსაც შუაში მაღალ ხეს ჩაატანენ. ამ ხის წვერს ძველ კალათას ან საცერს ჩამოაცვამენ, ორ ხის ხმალს და ხისგან გამოთლილ კაცის „ასოს“ ჩამოჰკიდებენ. საცერის ძირი, სვანთა რწმენით, მდედრის – ნაყოფიერების სიმბოლოა. ირჩევენ ორ მეთაურს, რომელთაგან ერთს „ყაინი“ ეწოდება, მეორეს კი – „საქმისაი“. ერთს ჩვეულებრივი კანის ფერი აქვს, ანუ თეთრია, ხოლო მეორეს – „საქმისაი“-ს სახეს ნახშირით უმურავენ, სარტყელზე ხისგან გაკეთებულ მამაკაცის ფალოსს ჩამოჰკიდებენ, რომელიც შთამომავლობით ერთ-ერთ ოჯახში ინახებოდა და თაობიდან თაობას გადაეცემოდა. ამჟამად საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ინახება. ყაინს ორი „დედოფალი“, ანუ ქალი, ნამდვილად კი ქალურად ჩაცმული ორი მამაკაცი ეძლევა. სარტყელით წელზე ხისგან გამოთლილ მამაკაცის ფალოსს „ყაინსაც“ ჩამოჰკიდებენ, ციხის – თოვლის კოშკის მახლობლად ქეჩას დაუგებენ, რომელზეც თავისი „დედოფლებით“ წამოწვება, ვითომ ეარშიყება და ეკურკურება. შემდეგ „ყაინს“ ვითომდა დაეძინება. ამ დროს მას მიეპარება „საქმისაი“ და დედოფლებს მოსტაცებს. „ყაინსა“ და „საქმისაის“ შორის „ბრძოლა“ იმართება. ერთ-ერთის გამარჯვების შემდეგ ცეკვა-თამაში იმართება. მზის ჩასვლისას კოშკს ანგრევენ. ამ მომენტში, საითკენაც კოშკი გადაიხრება, იმ მიმართულებით მდებარე სოფლებში კარგი მოსავალია მოსალოდნელი. „ადრეკილაის“ დღესასწაულის მსგავსი საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში იცოდნენ: „ყეენობა“, „მურყვაობა“, „ბერიკაობა“. ცხადია, ეს დღესასწაულები ნაყოფიერებასთან, შვილიერების მატებასთანაა დაკავშირებული. წარმართობის პერიოდში შვილოსნობის მფარველ ღვთაებად **კვირია** ითვლებოდა. მაშასადამე, „მურყვაობა“ სქესობრივი სიყვარულის და შვილოსნობის მფარველი ხვთაების – „კვირიას“ დღესასწაულის ნაშთი უნდა ყოფილიყო, რომლის რიტუალშიც მთავარი მოქმედი პირი ორი მამრი და ორი მდედრია.

ერთი მამრი ორივე ქალის მფლობელია, ხოლო მეორე მამრი ებრძვის მას თავისი ქალის მოსაპოვებლად – დასაბრუნებლად.

ზემოთ აღწერილი რიტუალი წარმოაჩენს ქართველ წინაპართა ღრმა ცოდნას სამყაროში მიმდინარე კოსმიური პროცესების შესახებ. მათ იცოდნენ, რომ ადამიანის, როგორც სამყაროს ჩასახვის – შექმნის მომენტში, აუცილებელია მოხდეს ქალის და მამაკაცის შეერთება, შეუღლება, შეჯვარება. მათ, ამავდროულად, იცოდნენ, რომ თითოეული ადამიანი „ინ“ და „იან“-ისგან შედგება, ანუ თითოეულ ადამიანს თავისივე სხეულში ჰყავს მეორე „მე“: ქალს – უხილავი მამრი, კაცს – თავისი უხილავი მდედრი და, რა თქმა უნდა, ბავშვის ჩასახვის მომენტში – პროცესში ისინიც თავის კოსმიურ როლს ასრულებენ, ანიჭებენ ადამიანის ჩანასახს სასიცოცხლო ენერგიას, ხოლო მათი გამოვლენა – ნათელგამოვლენა არის ამ ადამიანთა ფიზიკური სხეული. ამიტომ ადამიანთა მეორე „მე“-ს როლი ადამიანის ჩასახვის კოსმიურ პროცესში ძალიან დიდია. მომავალში, ვიმედოვნებ, ამ საკითხს მეცნიერულ დონეზე გამოიკვლევენ.

ყაჩაღანის ჯვარი VII ს.

მითოლოგია განიხილავს ბერძენთა ათენელ გმირს – თეზევსს, რომლის მიწიერი მამა არის ათენის მეფე ეგეოსი, ხოლო დედა – ეთრა. იმავე ღამეს ეთრას სარეცელი გაიზიარა პოსეიდონმაც – შვილი სადაო გახდა. მაშასადამე, თეზევსს ჰყავს „ორი მამა“: ერთი მიწიერი, მეფე ეგეოსი და მეორე – პოსეიდონი, რომელიც არის ზღვათა და ქარიშხალთა მეუფე, დედამიწის შემარყეველი, მცენარეთა და წყალთა ხვთაების მბრძანებელი, უზენაესი ღმერთის – ზევსის უფროსი ძმა. ბერძნებმა ეს მითოლოგიური სიუჟეტი ლიბიელებისგან (ეგვიპტე) გადაიღეს, ანუ მსგავსი შემთხვევები სხვა ხალხთა მითოლოგიაშიც გვხვდება.

იყო დრო, როცა მამაკაცი არ არსებობდა, მაგრამ ადამიანები იბადებოდნენ თვითგანაყოფიერებით, ანუ ადამიანში არსებული „ინ“ და „იანი“

ასრულებდა ამ პროცესს, ჩემი აზრით, ახლაც აქვს ამ პროცესს ადგილი – ნებისმიერი უჯრედის წარმოქმნა სხეულში არსებული „ინ“ და „იან“-ის მიერ ხდება. ამ პროცესს კარგად იცნობდნენ მსოფლიოს პირველი ადამიანები. **ვინაიდან ყველა და ყველაფერი პირველსაწყისს უბრუნდება, მომავალში – ახალ ცივილიზაციაში ისევ მამრის გარეშე მოხდება ადამიანის ჩასახვა.** ეს იქნება ზეადამიანების, ღმერთების დონის ადამიანების ცივილიზაცია, სადაც ყველამ ყველაფერი იცის, ყველას ყველაფერი შეუძლია.

ზემოთ აღწერილი ნაყოფიერების დღესასწაულის ეთნოგრაფიული მასალის გააზრებაა მარნეულის რაიონის სოფ. ყაჩაღანში აღმოჩენილი ჯვრის სიმბოლიკა, რომელიც „ყაჩაღანის ჯვარის“ სახელითაა ცნობილი. ამ ჯვარზე ასახულია ადამიანის, როგორც სამყაროს შექმნის პროცესი, რომელშიც ორი მდედრი და ორი მამრი ანგელოზი იღებს მონაწილეობას. ჯვრის ვერტიკალური ნაწილი პირველსაწყისი მამრის ენერგეტიკული გაცხადებაა და ამიტომ ვერტიკალში ორი მამრი ანგელოზია ასახული, ხოლო ჯვრის ჰორიზონტალური ნაწილი მდედრის ენერგეტიკის გაცხადებაა და ამიტომაა მასზე ორი მდედრი ანგელოზი გამოსახული. როგორც მდედრ, ისე მამრ ანგელოზებზე მკვეთრადაა გამოხატული სასქესო ნიშნები. ორივე მდედრი მიტრიალებულია და გადაადგილდება ჯვრის ქვედა ნაწილში განთავსებული მამრი ანგელოზისკენ, რაზეც მიგვანიშნებს მათი ფეხების მოძრაობის მიმართულება. ხოლო მეორე მამრი ანგელოზი მიემართება ერთ-ერთი მდედრი ანგელოზისკენ. ამ განლაგებით და აქ აღწერილი პროცესით, ოთხივე ანგელოზი მონაწილეობს ახალი ადამიანის შექმნაში. ამაზე მიანიშნებს ის, რომ ოთხივეს აწვდილი აქვს ხელები და უკავიათ ჯვრის ცენტრში განთავსებული წრეში ჩასმული „ბოლნური“ ჯვარი, რომელიც ოთხი სამკუთხედისგან შედგება. მასში სამყაროს ოთხი საწყისი – მიწა, წყალი, ჰაერი, ცეცხლი – მატერიალური სამყაროს ძირითადი „სამშენებლო მასალაა“, ანუ ისინი ქმნიან თითოეული უჯრედის 64 ნუკლეინის მჟავას სამწნულებს – სამეულებს, რაც, ქართული მითოლოგიით, სამყაროს შემოქმედ 64 ხვთისშვილში აისახება. ყაჩაღანის ჯვარზე რომ ახალი სამყაროს – ადამიანის შექმნის კოსმიური „მოდელია“ ასახული, ამაზე მიგვანიშნებს ასევე ისიც, რომ ბოლნური ჯვრის თითოეულ სამკუთხედს შორის გამოსახულია ☥ – ეგვიპტელთა „ანხ“-ი ე.წ. კოპტური ჯვარი. სამკუთხედის ასეთი △ გამოსახულება, შუაში ჩასმული წერტილით, სიმბოლურად გამოსახავს კაბალას – სამყაროს ბიბლიურ კოსმიურ ცოდნას სამყაროს გენეტიკური კოდის შესახებ და მიგვანიშნებს, რომ თითოეული ადამიანი კაბალას ბიბლიური კოდით იქმნება. ყაჩაღანის ჯვარზე ბოლნური ჯვრის შემადგენელი ოთხი სამკუთხედი შუაში წრე-წერტილით არის მატერიალური სამყაროს ოთხი საწყისის ასახვა, ხოლო შუაში „წერტილი“ არის ადამიანის სხეულში შესული პირველსაწყისი ხვთიური სულიერების სიმბოლური გამოხატულება, რომელიც ოთხ საწყისში ტრიალებს და განსხეულდება.



ყაჩაღანის ჯვრის ფრაგმენტი

კოპტური ჯვარი

ბოლნური ჯვრის სამკუთხედებს შორის ე.წ. „კოპტური“ ჯვარი ☥

– სიცოცხლისა და ნაყოფიერების სიმბოლო, ქართველთათვის უცხო არ იყო. ჯვრის ასეთი გამოსახულება პირდაპირ ასახავს „ინ“ და „იან“ საწყისებს. ამ ჯვრის ჰორიზონტალური ნაწილი „ინ“ – მდედრი საწყისი ენერგიის გამოხატულებაა, რაც პრაქტიკულად ქალის X ქრომოსომაშია გამოვლენილი. ჯვრის ვერტიკალური ხაზი მამრი ენერგიის გამომსახველია, მაგრამ მის თავზე წრე მდედრი ენერგეტიკის სიმბოლოა და საერთო ჯამში გამოდის, რომ კოპტური ჯვრის ვერტიკალური ნაწილი, რომელიც შედგება ვერტიკალური – მამრი და მის თავზე წრე-მდედრი ენერგიებისგან, პირდაპირი ასახვაა მამრის ენერგიისა – „იან“-ისა, რომელიც მამაკაცის ქრომოსომაში XY-ით აისახება, სადაც X – მდედრია, ხოლო Y – მამრია. მაშასადამე, ყაჩაღანის ჯვრის ცენტრში ბოლნური ჯვრის შემადგენელ სამკუთხედებს შორის გამოსახული ოთხი კოპტური ჯვარი მიგვანიშნებს, რომ პირველსაწყისი მდედრისა და მამრის ენერგია ოთხ საწყისში განსხეულდება ბიბლიური კაბალას – ქართული ანბანის კოდით. თვით კოპტური ჯვრის არსი ქართველთათვის უცხო არ ყოფილა და მას ჩვენი წინაპრები პირველსაწყის ხვთიურ „ინ“ და „იან“ ერთიან კოსმიურ სულიერებას, სამყაროულ „მე“-ს უკავშირებდნენ. „ინ“ და „ან“ ქართული ასო-ნიშნებია და ქართულ ანბანში, როგორც სამყაროს გენეტიკურ კოდში, უმნიშვნელოვანესი კოსმიური ადგილი უკავიათ.



მაიას ცივილიზაცია

ყაჩაღანის ჯვარი, რომელზედაც ასახულია ადამიანის, როგორც სამყაროს შექმნის – ჩასახვის მომენტი და გადმოცემულია უდიდესი ღრმად ფილოსოფიური კოსმიური ცოდნა სამყაროს წარმოშობისა და „მოწყობის“ შესახებ, მიგვანიშნებს იმაზე, რომ სამყაროს ყველა საიდუმლოს ამოხსნა საქართველოში, მის მითოლოგიაში, ეთნოგრაფიასა და არქეოლოგიურ მასალებში უნდა ვეძიოთ. ყაჩაღანის ჯვარი უნიკალური ძეგლია და დიდად ღირებული მთელი მსოფლიოს მოაზროვნე საზოგადოებისთვის. მართალია, ის დღეს აღარ არსებობს, მაგრამ ამ ძეგლის ფოტომასალა შენარჩუ-

ნებულია და სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ მსოფლიოს მოაზროვნე საზოგადოებამ შეისწავლოს და შეიმეცნოს ქართული გენის ფენომენი.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ის ფაქტი, რომ ჯვარი ქართული ანბანის 24-ე †-ქ-600 ასო-ნიშანია. შუმერული კაბალას მიხედვით, მისი სახელია – „სექსუალური კაჭირი“. ამას უკავშირდება სიტყვები – შეჯვარება, ჯვრისწერა, ქორწინება, რაც კიდევ ერთი დიდი მინიშნებაა იმისა, რომ ყაჩაღანის ჯვარზე აღწერილი კოსმიური პროცესი და ნაყოფიერების დღესასწაულები პირდაპირაა დაკავშირებული როგორც სამყაროს გენეტიკურ კოდთან, ისე სამყაროში მიმდინარე პირველქმნილი სულის მატერიაში გამოვლენის პროცესთან. ზემოთ განხილული მასალა გვეუბნება, რომ **სამყაროში გამრავლების პროცესი და მასთან დაკავშირებული კოსმიური აზროვნება უკვე ქართველთა უშორეს წინაპართათვის იყო ცნობილი.**

ყაჩაღანის ქვა-ჯვარი მიჩნეულია VII ს. ძეგლად. ვფიქრობ, ეს არასწორი დათარიღებაა და ამის ნათელი გამოვლინებაა აქ მოცემული კვლევა – იგი **უძველესი წარმართობის პერიოდისაა, კერძოდ, როცა ქართველები ანგელოზებს სქესით გამოსახავდნენ,** ასევე, ჰქონდათ ჯვრის გამოსახვის სიმბოლიკა. ანგელოზები სქესითაა გამოსახული დავათის სტელაზეც (ძვ. წ. 680წ.).

თითოეული ადამიანის პირველსაწყისი ხვთიური ენერგია გამოვლინდება ☥ – „კოპტური“ ჯვრის სახით. სულიერი ამაღლების რაღაც მომენტში ადამიანმა შესაძლებელია დაინახოს თავისი „კოპტური“ ჯვარი. „კოპტური“ ჯვრის სიმბოლური გამოსახულება გამოცხადებით მიღებული ინფორმაციაა.

სამების ტაძრის კურთხევამდე ორი კვირით ადრე მქონდა გამოცხადება: აღმოვჩნდი სამების ტაძარში, აღსავლის კარის ზემოთ, ჭერზე, თაღის შუაში ჰაერში ვიდექი. ჩემი თმები თაღის ზედაპირს ეხებოდა. ზემოდან დავყურებდი ტაძრის შიდა ნაწილს. როცა ჩემს სხეულს დავხედე, მას „კოპტური“ ჯვრის ფორმა ჰქონდა. მას შემდეგ წმინდა ნინოს ჯვართან ერთად „კოპტურ“ ჯვარსაც ვატარებ. ☥ – **ეს ჯვარი ეგვიპტელ კოპტებზე ადრე ქართველებს ჰქონიათ**. ამის ნათელი დადასტურებაა წარმართობის პერიოდის ყაჩაღანის ჯვარი, რომელზედაც ოთხი კოპტური ჯვარია ასახული.

სამყაროში ყველა და ყველაფერი „ინ“ და „იან“ კოსმიური ენერგიებისგან შედგება. თუ ამქვეყნად ქალად არის გაცხადებული, მისი ანგელოზი „უხილავი მამაკაცია“ და პირიქით. მათ თავი და მხრები (უღელი) ერთი აქვთ, ხოლო სახეები დიამეტრალურად საპირისპირო. აქედან მოდის სიტყვა „მეუღლე“. სულიერი ამაღლების რაღაც საფეხურზე ხდება მისი უხილავი ანგელოზის გაცხადება, რომელიც უხილავი **ჩრდილის** სახით მუდმივად თან დაჰყვება ადამიანს. ეს არის მისი მეორე „მე“. სულიერად ამაღლებულ ადამიანებს ეს საკითხი გაცნობიერებული აქვთ და ამიტომ მათ არ შეიძლება ჰყავდეთ მიწიერი მეუღლე. სვანეთში სანადიროდ წასულ მამაკაცებს ეცხადებათ თავისივე მეორე „მე“ – მდედრი – ქალღმერთი დალი. რამდენიც მამაკაცია ამქვეყნად, იმდენივე ქალღმერთი დალი არსებობს – ყველა მამაკაცს თავისი „დალი“ ჰყავს.

დაახლოებით 25 წლის წინ მქონდა გამოცხადება: ცაზე ვიხილე ღრუბლებით გამოსახული ერთარსებას ბიუსტი (იანუსის სახით). მარცხენა მხარეს ჩემი გამოსახულება იყო, შუბლზე პატარა „მზით“, მეორე მხარეს – თეთრწვერა მოხუცი, რომელთანაც მივიდა თეთრი ცხენი.

ყაჩაღანის ჯვარზე ასახული კოსმიური პროცესი არც მაიას ტომების უშორესი წინაპრებისთვის იყო უცხო. ამის ნათელი მაგალითია მაიას ტომების ქვემოთ მოყვანილი კოსმიური პროცესის ასახვა ადამიანის, როგორც სამყაროს შექმნის შესახებ, სადაც წრეში ურთიერთსაპირისპირო მხარეს, ჯვრის პრინციპით, განთავსებულია ორი მდედრი და ორი მამრი, მკვეთრად გამოსახული სასქესო ორგანოებით, ისევე, როგორც ყაჩაღანის ჯვარზე გამოსახულ ანგელოზებზე. შუა წრეში გამოსახულია „ინ“ და „იან“-ის, ნათელისა და ბნელის ურთიერთსაპირისპირო ენერგიის გამომხატველი ორი სპირალი, რაც ინფორმაციულად ისეთივე მნიშვნელობის სიმბოლური დატვირთვისაა, როგორიც ყაჩაღანის ჯვრის ცენტრში გამოსახული ბოლნური ჯვარი. ორივე გამოსახულება უკავშირდება სამყაროს გენეტიკურ კოდს, რომლისგანაც შედგება მიკრო და მაკრო სამყარო.

აუცილებელია დღეს მეცნიერულ დონეზე გამოვიკვლიოთ თუ რა როლს ასრულებს ბავშვის ჩასახვის მომენტში დედის და მამის მეორე „მე“, რაც ცნობილი იყო როგორც ქართველთა, ასევე მაიას ტომების უშორესი წინაპრებისთვის.

ყაჩაღანის ჯვარსა და მაიას ტომების აქ წარმოდგენილ გამოსახულებებზე ერთი და იგივე კოსმიური პროცესი სხვადასხვა სიმბოლოებით გადმოცემული ინფორმაციაა – როგორ იქმნება ადამიანი, როგორც სამყარო. ეს მიგვანიშნებს იმაზე, რომ მსოფლიოს ყველა უძველესი ხალხი, მათ შორის ქართველთა და მაიას ტომების უშორესი წინაპრები, სამყაროში მიმდინარე კოსმიურ პროცესებს ერთნაირად, გენეტიკური კოდის დონეზე აცნობიერებდნენ. ამის შესახებ ინფორმაცია დაგვიტოვეს ეთნოგრაფიულ და მითოლოგიურ მასალაში, ამასთან სიმბოლური გამოსახულებებით ასახეს ისტორიულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე.

საქართველო – შუმერთა „უფლის ფმინდა გულით არჩეული“ „დიდებულ ფესთა ქვეყანა“

შუმერი არის უცნობი წარმომავლობის ტომი, რომელიც მივიდა შუამდინარეთში (დღევანდელი ერაყის ტერიტორია) ჯერ კიდევ ძვ.წ. VI ათასწლეულში. ამას ადასტურებს იქ აღმოჩენილი სახვითი ხელოვნების ნიმუშები, ხოლო, წერილობითი წყაროებით, შუმერი უკვე ძვ.წ. III ათასწლეულიდან წარმოჩინდება.

ვინ არიან ის უცნობი ტომები, რომლებიც შუამდინარეთში მივიდნენ ჯერ კიდევ ძვ.წ. VI ათასწლეულში და რომლებსაც დღეს მსოფლიოს ხალხი შუმერებს უწოდებს?!!

ისტორიოგრაფიის დღევანდელი გაგებით, შუმერი არ არსებობდა მიუხედავად იმისა, რომ მათ ჰქონდათ მითები და ეპიკური თქმულებები, ღმერთებისადმი მიძღვნილი ჰიმნები და გოდებანი, ანდაზები და იგავ-არაკები; ჰქონდათ ხამურაბის და ლიფით-იშთარის კანონების კრებულები შუმერულ ენაზე; შუმერებს არ ჰყავდათ ერთპიროვნული გამგებლები, ისინი ყველა მნიშვნელოვან საქმეზე რჩევას გავლენიან მოქალაქეებს ეკითხებოდნენ დიდმნიშვნელოვან შეკრებებზე. ერთ-ერთი ასეთი „პარლამენტი“ მოუწვევიათ ჯერ კიდევ 5000 წლის წინ. იმ დროს ამ ქვეყანას შუმერი ეწოდებოდა. ზემოთ აღწერილიც საკმარისია ვიფიქროთ, რომ შუმერი მაღალცივილიზებული ერი ყოფილა, მაგრამ ერთი რამ უცნაურია: შუმერებისთვის უცნობი იყო ისტორიული ლიტერატურის ჟანრი იმ სახით, რა სახითაც იგი ჰქონდათ ძველ ებრაელებსა და ბერძნებს. შუმერში ტაძრებისა და სასახლეების არქივთა მწერლები თიხის ფირფიტებზე იწერდნენ პოლიტიკური, სამხედრო ან რელიგიური ხასიათის ისეთ ცნობებს, რომელთაც თვითონ თვლიდნენ ყურადღების ღირსად, მაგრამ ასეთი ჩანაწერები არ აღმოჩნდა საკმარისი ქვეყნის ისტორიის უწყვეტი და თანმიმდევრული თხრობისთვის. **ისტორიული ჟანრის ჩანაწერები შუმერში არ არსებობდა**.

ასევე ქართველებს, ჯერ კიდევ ადამის ცივილიზაციის დასაწყისში, გვქონდა ქართული ანბანი – ბიბლიური კაბალას პირველსაწყისი გენეტიკური კოდის ცოდნა, რომლის მიხედვითაც, ქართველებმა ადამის ცივილიზაციის დასაწყისში დაიწყეს წელთაღრიცხვა „ქართ ადამს აქათ“ ჯერ კიდევ 8000 წლის წინ. ქართველებმა იცოდნენ, როდის მოხდა „წარღვნა“ და აქედან დაიწყეს წელთაღრიცხვის ათვლა „დასაბამითგან“; მათ იცოდნენ, რომ ქრისტე 2000 წლის წინ მოვიდა და ეს თარიღი იყო „დასაბამითგან“, ანუ „წარღვნიდან“ 5604 წელი. „კაბალას“ სამშობლო, ანუ კაბალას ცნობიერების საწყისის ადგილი აღმოსავლეთ საქართველოა. ქართველებს გვქონდა ჩვენი ინდივიდუალური და განუმეორებელი მითოლოგია, ეთნოგრაფია, არქეოლოგიური მასალა, სამყაროს კოსმიური პროცესების გამოსახვის სიმბოლიკა. ქართული ანბანის კვალია მსოფლიოს ძველი ცივილიზაციის თითქმის ყველა ხალხის ისტორიულ ძეგლებსა თუ მითოლოგიაში; დღეს საქართველოს ისტორიაში არ არის ცნობილი ფარნავაზიანთა დინასტიის მეფობის პერიოდები და ისტორია, რომელთა ერთ-ერთი წარმომადგენელი იყო მეფე ფარნავაზი (ძვ.წ.2288წ), რომელმაც „განავრცო ენა ქართული...“.

ბიბლიის მიხედვით ებრაელ ხალხს პირველი „გოჯი“ მიწა „აღთქმულ მიწაზე“ სწორედაც ქანაანელი ქართველი ხეთების „მეფემ“ აჩუქა. აბრაამის დროს ქანაანელი ხეთების სახელმწიფო იყო მაღალი ცივილიზაციის მქონე: მათ ჰყავდათ „მეფე“, ჰქონდათ სახელმწიფო კანონები, რომლის მიხედვითაც, უცხო ტომის ხალხს ეკრძალებოდა ამ მიწაზე მიცვალებულის დაკრძალვა. **ჩვენ ვართ ის ხეთები, რომელსაც მსოფლიომ დღემდე ვერ მიაგნო; ჩვენ, ქართველები, ვიყავით ქანაანის სახელმწიფოს მფლობელები**. მას ეს სახელი – „ქანაანი“ ქართული ანბანის „ქან“ და „ან“-ის მიხედვით დავარქვით.

აქ მოყვანილი მასალების მიხედვით, ქართველები და საქართველო მაღალცივილიზებული პირველსაწყისი გენის მატარებელი ერია, მაგრამ მიუხედავად ამისა, **შუმერების მსგავსად, არც იმ პერიოდის ქართველები ფერდნენ თავიანთ ისტორიას**. მათ უკეთ ესმოდათ სამყაროში მიმდინარე კოსმიური პროცესები, არ არღვევდნენ ბუნებითობის და ჰარმონიულობის კანონს, ამიტომ არ გვაქვს ქართველებსა და შუმერებს იმ პერიოდის ისტორია.

შუმერის არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოაჩინეს 5000 წლის თიხის ფირფიტა ზომით 23X23 სმ, რომელზეც პაწაწინა ნიშნებით 600

სტრიქონად დაწერილია: **„ენმერქარი და არათას ბატონი“**. აქ მონათხრობის მიხედვით, სამხრეთ შუამდინარეთში იყო ქალაქი ური, რომელსაც მართავდა შუმერთა გმირი ენმერქარი. **მითის მიხედვით, ურუქის ჩრდილოეთით მდებარეობდა სახელმწიფო „არათა“.** ურუქსა და „არათას“ ერთმანეთისგან შვიდი მთაგრეხილი აშორებდა. **„არათა“** განთქმული ყოფილა სიმდიდრით – სხვადასხვა ძვირფასი ლითონითა და წმინდა ქვებით. „ერთხელ, დიდი ხნის წინათ...“ ენმერქარი, მზე უთუს შვილი, შეევედრა თავის დას, შუმერთა ქალღმერთ ინანას, სიყვარულისა და ომის ღმერთის ყოვლისშემძლე ხვთაებას, ექმნა ისე, რომ **„არათას“ წმინდა მიწიდან ჩაეტანათ ურუქში ოქრო, ვერცხლი, ლილაქვა და სხვა ძვირფასი ქვები, რათა ამ წმინდა ქვებით მიწა-წყლის ღმერთის ენკის ტაძარი აეშენებინათ.**

ქალღმერთმა ინანამ, რომელიც მკვიდრობდა „არათას“ ქვეყანაში, გულთბილად მიიღო ენმერქარის გამოგზავნილი მაცნე. ქალღმერთ ინანას დავალებით „არათას“ ბატონმა ურუქში **ოქრო**, ვერცხლი და ძვირფასი ქვები გააგზავნა. ეს ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ **„არათას ქვეყანა“**, რომელიც შუმერული მითის მიხედვით, მდებარეობს ურუქიდან ჩრდილოეთით შვიდი მთაგრეხილის იქით, **არის ქალღმერთ ინანას „განსასვენებელი“, სამკვიდრებელი – სამშობლო**. „არათას“ წმინდა მიწიდან წაღებული **ოქრო**, ვერცხლი და სხვა ქვები ითვლება იმ სიწმინდეებად, რომლისგანაც ენმერქარმა ურუქში ენკის ტაძარი ააშენა და შეამკო.

ქ. ურუქის ქურუმი ენმერქარი მიმართავს ქალღმერთ ინანას:
„... ურუქისთვის ოქრო და ვერცხლი გამომიხურნონ...
... ურუქში, წმინდა მთაში მომიტანონ,
ანშანის სახლი, სადაც შენ დგახარ, ამიშენონ!
... არათას ხალხმა შემიმკოს... დიდი საყდარი, ღმერთების
საყდარი გამომიბრწყინოს, ...
...რათა ჩემი ქურუმობა გაიფურჩქნოს, რათა ...წმინდა გვირგვინი მივიღო,“...
„ინანა, სამყაროთა დედოფალი, ... ეუბნება:
... სიტყვის მცოდნე მაცნე გამოძებნე ...
ინანას დიდი სიტყვები ბრძანებად მიუტანოს! ...
არათას ქურუმს ეტყვის და დასძენს:

... **ოქრო მისი შობის ადგილზე დამიმზადოს**
ვერცხლი ქვიშიდან ამოარიდოს.
... ტაძარი ენლილისა, შუმერის მოყმისა,
უფალ ნუდიმუდის (შუმ. „შემქმნელი“-ენკის ერთ-ერთი სახელი)
წმინდა გულის (გულმართალის) არჩეული,
წმინდა წესების ქვეყანამ (არათამ) ამიშენოს.
... ოდეს გველი არ იყო, მორიელი არ იყო,
აფთარი არ იყო, ლომი არ იყო,
ძაღლი არ იყო, მგელი არ იყო,
შიში არ იყო, ძრწოლა არ იყო,
კაცთა მოდგმას მტერი არ ჰყავდა,
... მაშინ შუმერის მხარე ტკბილმეტყველი
დიადი ქვეყანა დიდებულ წესთა,
ურის ქვეყანა მქონებელი ყოველთა სახსართა,
... მთელი სამყარო, მორჩილი ხალხი
ენლილს ერთ ენაზე ადიდებდა“.
ქურუმი მაცნეს, გამგზავრებულს უცხო ქვეყნად
არათასკენ სიტყვას გაატანს:
„მაცნევ, ღამით ეული ღრუბელივით აწვიმდი,
დღისით პირქარივით აღიძარი!“
მაცნემ თავისი მეფის სიტყვა დაიხსომა,
ღამღამობით ვარსკვლავებს მიჰყვებოდა,
დღისით ციურ მზე-უთუს მიჰყვებოდა,
ბრძენ უთუს დიდი სიტყვა ბრძანებად მიჰქონდა,
ბროლის მთაზე ადიოდა,
ბროლის მთიდან ჩამოდიოდა
... ანშანის ქვეყანას
მცირე მგალობელივით თაყვანს სცემდა.
დიდი მთაგორების გადამლახავმა
მიწის მტვერში გზა გაიგნო.
ხუთი მთა, ექვსი მთა, შვიდი მთა გადაიარა,
თვალი აღაპყრო, არათას მიადგა.
მან გადასცა ქურუმ ენმერქარის და ქალღმერთ ინანას დანაბარები არათას

ბატონს:
„მე ვარ ქურუმი...
... ცისა და მიწის დედოფლისა,
ბევრეულ წესთა დედოფალმა, წმინდა ინანამ
არათაში, წმინდა წესთა ქვეყანაში მომიყვანა...“

შუმერული **მითი „ენმერქარი და არათას ბატონი“** „არათას“ ქვეყანას შემდეგნაირად მოიხსენიებს: **„დიადი ქვეყანა დიდებულ წესთა“, „ოქრო მისი შობის ადგილზე დამიმზადოს“, „წმინდა წესების ქვეყანამ („არათამ“) ამიშენოს“, „ბევრეულ წესთა დედოფალმა, წმინდა ინანამ „არათაში“, წმინდა წესთა ქვეყანაში მომიყვანა...“**.

გავარკვიოთ, თუ რა მოიაზრება სიტყვებში: **„წმინდა წესები“ და „წმინდა წესების ქვეყანა“**.

შუმერულ მითში წარმოჩენილ სიტყვებში: „წმინდა წესების ქვეყანა“ – „არათა“, „დიადი ქვეყანა დიდებულ წესთა“, „ბევრეულ წესთა დედოფალი“, მიგვანიშნებენ იმ ქვეყანაზე, რომელიც არის „წმინდა წესების ქვეყანა“, რომლის სახელია „არათა“. ამავე დროს ეს „წმინდა წესები“ და „ბევრეული წესები“ არის შუმერთა „მე“-ს „ხვთაებრივი კანონები“, რომლებიც თვით ქალღმერთ ინანას კუთვნილებაა და მას მითი მოიხსენიებს „ბევრეულ წესთა დედოფლად“. **„წმინდა წესების ქვეყანა“-ში მოიაზრება სწორედაც „მე“-ს „ხვთაებრივი კანონების“ – კაბალას ბიბლიური ცოდნის სამშობლო – საქართველო**, ვინაიდან „მე“-ს „ხვთაებრივი კანონები“ მხოლოდ ქართული ანბანის შესატყვისი „ქართული კაბალაა“. სწორედ ამ „ხვთაებრივი კანონებით“ – გენეტიკური კოდით მიმდინარეობს სამყაროს ცვალებადობის კოსმიური პროცესი. მითი კაბალას **„წმინდა წესებს“, „დიდებულ წესებს“** უწოდებს და ამ წესების სამშობლო ქვეყანას **„დიად ქვეყანად“** მოიხსენებს. მითის მიხედვით, **„დიადი ქვეყანა დიდებულ წესთა“ არის კაბალას ბიბლიური ცოდნის სამშობლო – საქართველო**. ქართველი ხალხი კავკასიის ძირძველი მკვიდრია და არსაიდან მოსული არ არის. კავკასია – საქართველო ბიბლიური კაბალას სამშობლოა, აღმოსავლეთ საქართველოს დიდ ნაწილს ოდითგანვე „კაბალა“ ერქვა (ნახეთ აქვე: „ქართული ანბანი სამყაროს გენეტიკური კოდია“).

ამ შუმერული მითის მიხედვით, „არათას“ ქვეყანა გაიგივებულია შუმერთან. შუმერი რომ საქართველოს ნაწილია, ამაში ვრწმუნდებით შემდეგი მასალებით: შუმერს „ან“ ცის ღმერთი ჰყავს, „ენ“ – წყლის ღმერთი, მაგრამ შუმერს არა აქვს ქართული ანბანი, საიდანაც აღებულია სიტყვები „ან“ და „ენ“ – ქართულ ასო-ნიშანთა მეორადი სახელები. შუმერს ლურსმული დამწერლობა აქვს, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ქართულ ანბანთან. შუმერს არა აქვს სიტყვა **„მე“**, თუმცა მას **„შუ-მე-ერი“** ჰქვია და, ამავე დროს, აქვს ყველაზე მნიშვნელოვანი **„მე“**-ს „ხვთაებრივი სჯულდებები“, ანუ სჯულის კანონები. მაშასადამე, **შუამდინარეთი არ არის „მე“-ს „ხვთაებრივი სჯულდებების (კანონების)“ – „წმინდა წესების“ სამშობლო და ეს ცოდნა იქ საქართველოდანაა ჩატანილი**. ქართული ენის მიხედვით, სიტყვიდან „შუმერი“ – „შუ-მე-ერი“, „შუ“ – შუაგულს ნიშნავს, „მე“ – სამყაროული „მე“-ა, რომელი სიტყვაც შუმერს არა აქვს, „ერი“ – „ერთი“ – „ერა“ იდენტური ქართული სიტყვებია. თვით ქალღმერთ „ინანა“-ს სახელი „ინ-ან-ა“, ქართული ანბანის მეორადი სახელებისგან შედგება და „ინ“ და „იან“ ორი პირველსაწყისის ენერგიათა ერთობას ასახავს: ქალღმერთი ინანა დღისით მეომარი და კაცია, ხოლო ღამით სიყვარულის ქალღმერთია, ანუ ორბუნებოვანია. ყოველივე ზემოთ აღნიშნული ამავდროულად მიგვანიშნებს იმაზე, რომ ეს **კოსმოგონიური ცნობიერება, ჯერ კიდევ ძვ.წ. VI ათასწლეულში, შუამდინარეთში კავკასიიდან – საქართველოდან ჩასულმა ქართულ ენაზე მოლაპარაკე ხალხმა – შუმერებმა ჩაიტანეს, რომელთა შთამომავლები ის ხალხია, ვისაც დღეს მსოფლიო შუმერებს უწოდებს**.

შუმერი ის ერია, რომელმაც შექმნა კაცობრიობის ყველაზე უფრო ძველი კულტურა. მკვლევარები და ხელოვნების ისტორიკოსები დღემდე წერენ: „ვინ არიან შუმერები? იქნებ სწორედ აქედან უნდა დავიწყოთ ჩვენი ცივილიზაციის ისტორია? ამავე დროს, ჩვენ არაფერი ვიცით მათი წარმომავლობის შესახებ და მათი ენა არა ჰგავს ჩვენთვის ცნობილ რომელიმე მკვდარ ან ცოცხალ ენას“. ამაზე სრულიად თამამად შეიძლება ვუპასუხოთ, რომ შუმერული ენა ჰგავს ამჟამად ცოცხალ ენას – ქართულს. ამ ენით დაერქვა შუამდინარეთის ქალაქ-სახელმწიფოებს, ტბებს, მდინარეებს სახელები: აქადი, ბაბელონი, ბაღდადი, ნიფური, ისინი, ლარსა, ბასრა, მუხთარი, ური, ურუკი, უმა, ქერბელა, მოსული, ვანის ტბა, ურ-

მიის ტბა, მდ. დიალა, კერხე და ა.შ.

მითების მიხედვით, „შუმერად“ „არათას“ ქვეყანა და ხალხი მოიხსენიება.

შუმერი სიტყვა **„მე“**-თი ახასიათებს თავის გენეტიკურ წარმომავლობას. იგი ქალდევის მოსახლეობის ნაწილს **„არა-მე“**-ს უწოდებს, რაც ნიშნავს იმას, რომ **„არამე“**-ს ხალხი შუმერს თავის საპირისპირო გენეტიკური კოდის ხალხად მიაჩნია. სიტყვა „ქალ-დევი“ ორი სიტყვისგან – „ქალ“-ი და „დევი“-სგან შედგება, სადაც „დევი“ ბევრ აღმოსავლურ ენაშია და მათ შორის ქართველებთანაც, ხოლო „ქალი“-ქართული სიტყვაა და შუმერის ენაზეც ეს სიტყვა „ქალს“ ნიშნავს. „არამე“-ს – იზრაელის ხალხს მეტყველებაში არა აქვს სიტყვები „არა“, „მე“, „ქალი“, „დევი“. ეს სიტყვები მათთან სულ სხვაგვარად გამოითქმება. მათ ეს სახელები – „ქალდევი“ და „არამე“, შუმერთა წინაპრებმა – ქართველებმა უწოდეს.

მითის მიხედვით „წმინდა წესების ქვეყანა“ „არათას“ ხალხია. საქართველოს მეფეები მოიხსენიებიან: „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, ჰერთა... “. აქ ნახსენები ისტორიული „რანი“ სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოა, რომელიც ადრე „არანი“-ს სახელით მოიხსენიებოდა. სიტყვა „არა-ნი“ შედგება „არა“ და „ნი“-სგან, სადაც „ნი“ მარცვალი სიტყვათა დაბოლოებაში დამახასიათებელია ქართული მეტყველებისთვის (მაგ: ქართველნი, კახელნი...). თუ განვიხილავთ სიტყვას „არათა“ – „არა-თა“, აქაც მარცვალი „თა“ კუთვნილების მიმანიშნებელი ქართულ სიტყვათა დაბოლოებაა (მაგ: ქართველთა, კახელთა...). მაშასადამე, სიტყვები „არათა“ და „არანი“ ერთი სიტყვის ფუძე „არა“-დან წარმოსდგება და უნდა ვაღიაროთ, რომ **„არათა“-ს ქვეყანა იგივე „არანთა“ ქვეყანა – ისტორიული სამხრეთ-აღმოსავლეთი საქართველოა**. სწორედ ამ ტერიტორიაზეა კაზრეთის და მისგან 15 კმ-ით დაცილებული ბოლნისის რაიონის სოფ. საყდრისის ოქროს საბადო. დღეს აქ მუშაობს საერთაშორისო ექსპედიცია, რომელსაც მეცნიერები ირინა ღამბაშიძე და ანდრეას ჰაუტმანი ხელმძღვანელობენ. საყდრისში გენიალური აღმოჩენა გაკეთდა – **5000 წლის წინანდელ ოქროს საბადოებს მიაგნეს** (ძვ.წ. III ათ.). ასეთი ადრეული საბადოსთვის მსოფლიოში ჯერ არავის მიუგნია. 25-30 მ-ის სიღრმეში აღმოჩნდა ნასახლარიც (ჩემი აზრით, ეს დასახლება 5000 წელზე ადრეულია, ამაზე მიგვანიშნებს ამ სოფლის 25-30 მეტრის

მიწის ფენით დაფარვა), სადაც მოპოვებულ მადანს ამუშავებდნენ. ნახეს ოქროს დასამუშავებელი იარაღები. ჩანს, ძალიან მაღალი ხარისხის წარმოება ჰქონდათ. აღმოჩენილი შახტებიდან აიღეს ოქროს სინჯი და სათანადო ლაბორატორიული ანალიზი ჩაუტარეს. ამ შახტებში აღებული ოქროს მონაცემების მიხედვით, შეამოწმეს მსოფლიოს იმ პერიოდის თითქმის ყველა ძველი ოქროს ნაკეთობა და დაადგინეს, რომ **მხოლოდ შუმერში აღმოჩენილი ოქროს ნაკეთობებია სოფ. საყდრისის ძველი შახტების ოქროსგან დამზადებული**. ეს უმნიშვნელოვანესი მტკიცებულებაა იმისა, რომ შუმერთა მითში „ენმერქარი და არათას ბატონი“ მოხსენიებული მითოლოგიური პროცესი რეალურ ცხოვრებაში გადმოტანილი ნამდვილი ამბავია და ეხება მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს – „არათა“-ს – „არანი“-ს („რანი“-ს) – „რანთა-არანთა ქვეყანას“, საიდანაც ქალღმერთ ინანას დავალებით წაიღეს ოქროს ნაკეთობები შუმერში – „მისი შობის ადგილზე დამზადებული“. ზემოთ განხილულით ირკვევა, რომ **„უფლის წმინდა გულით არჩეული“ „დიდებულ წესთა ქვეყანა“ „არათა“, სწორედაც საქართველოა!**

ერთ-ერთი მითის მიხედვით, „შუმერი“ ასეა დახასიათებული: „ო, შუმერო, დიდო მთავ, ცისა და მიწის ქვეყანავ! მადლიანი შუქით შემოსილო! **მზის აღმოსავლეთიდან მზის დასავლეთამდე „რჯულს“ აძლევ ხალხებს. შენი რჯული უზენაესი რჯულია, შენი წიაღი (გული) ღრმა და მიუწვდომელია**“. აქ მოყვანილის მიხედვით, **„შუ-მე-ერი“ „რჯულს“ აძლევს ქვეყნიერებას**, რომელიც „უზენაესი რჯულია“. „შუ“, „მე“ და „ერი“ ქართული სიტყვებია. ამასთან, სიტყვა **„რჯული“**-ს არსი უკავშირდება ქართულ „კაბალას“, რომელიც სამყაროს ბიბლიური გენეტიკური კოდია და შუმერში მას **„მე“**-ს **„ხვთაებრივი სჯულდებები“** ჰქვია, რაც პირდაპირ ქართულ გენს და ქართულ ანბანს უკავშირდება. მაშასადამე, აქ განხილულის მიხედვით, **შუმერს ქართული გენი, ქართული „რჯული“ მიაჩნია უზენაეს „რჯულად“, ამასთან, პირველსაწყისი შუმერები იგივე ქართველი ხალხია**.

შუმერთა ომისა და სიყვარულის ქალღმერთს განსაკუთრებულად თაყვანს სცემდნენ ხეთებიც, რომლებმაც მსოფლიოში პირველებმა დაიწყეს რკინის მოპოვება და გამოყენება, ცხენების ეტლების დამზადება, პირველებმა შეადგინეს კონსტიტუცია, პირველებმა დადეს სამშვიდობო

ხელშეკრულება, თაყვანს სცემდნენ ნაყოფიერების ღმერთებს. ქართველები ვართ ის ხეთები, რომელსაც მსოფლიომ დღემდე ვერ მიაგნო. ჩვენ ვართ კა-ხეთი, კუ-ხეთი, მეს-ხეთი, ჯავა-ხეთი და კოლ-ხეთი, დედაქალაქსაც მც-ხეთა დავარქვით. სიტყვა „ხეთი“ მომდინარეობს ქართული სიტყვა „ხე“-დან, რომელიც მითოლოგიურად სიცოცხლის ხესთან არის დაკავშირებული. არ მეგულება მსოფლიოში ხალხი, რომელთა ენაშიც „ხე“ იხმარებოდეს ხეს მნიშვნელობით. ზემოთ განხილული მტკიცებულებაა იმისა, რომ **ქართველები, შუმერები და ხეთები ერთი ხალხია**.

„იბერიის“ ცივილიზაციის სახელი „იბერია“ ქართული ფენომენია, რომელიც უკავშირდება სამყაროს გენეტიკურ კოდს, რომლის მიხედვითაც, ძირითადი **შემოქმედნი არიან ქართველთა ხვთისშვილები – ბერები, რომელთაც არა ჰყავთ მდედრული ცალი. ისინი მარადიულნი არიან**. აქედან გამომდინარე, იბერიის ცივილიზაცია დიდი და მარადიულია, რომლის შემადგენელია მიკრო ცივილიზაციები, მათ შორის ერთ-ერთია ადამის ცივილიზაცია. საქართველოს ოდითგანვე „იბერია“ ერქვა (და არა „ივერია“, რომელიც „ვერ შემდგარი ერის“ ენერგეტიკული გამოხატულებაა. თუ უკუღმა წავიკითხავთ, მივიღებთ სიტყვას „აირევი“. სიტყვა „ივერია“ აუცილებლად უნდა შეიცვალოს სიტყვით „იბერია“). დღეს მსოფლიოს მკვლევართა აზრით, ერთ დროს მთელი მსოფლიო იბერიის ცივილიზაციის ხალხით იყო დასახლებული. ალბათ, ეს იყო მაშინ, როცა ყველა ხალხი ერთ ენაზე ლაპარაკობდა. **იბერიის ცივილიზაციის გზა მარადისობაში დაიწყო და ისევ მარადისობას დაუბრუნდება**.

შუმერთა მითი „არათას“ ქვეყანას „სამოთხეს“ ადარებს, სადაც ხალხი „ერთ ღმერთს ერთ ენაზე ადიდებდა”. სინურ მრავალთავში იოვანე-ზოსიმე შეგვახსენებს: **„მეორედ მოსვლისას მაცხოვარი ამ ენაზე (ქართულ ენაზე) განიკითხავს და ამხილებს ქვეყანას“**. მაშასადამე, ქართული ენა ბოლო ჟამის და უფლის ენად განიხილება. თუ ქართული ენა ბოლო ჟამის ენაა, მაშინ ის პირველსაწყისის – პირველი „ჟამის“ ენაც ყოფილა, ვინაიდან სამყაროში ყველა და ყველაფერი პირველსაწყისს უბრუნდება.

არის თუ არა „არათას“ – საქართველოს მიწა-წყალი ბიბლიური „სამოთხის ქვეყანა“? შუმერული მითების გარდა ამაზე მიგვანიშნებს ის ფაქტი, რომ აღმოსავლეთის ხალხი საქართველოს და ქართველებს „გურჯისტანს“ და „გურჯებს“ გვიწოდებს. სიტყვა „გურ-ჯ-ი“ შედგება „გურ“ და „ჯ“ (ჯან)-სგან. ამ სიტყვას უფრო კარგად წარმოაჩენს სიტყვა „გურჯაანი“, სადაც „გურ“ ნიშნავს 33 წლის „მარადქალწულს“, ხოლო „ჯან“ (ჯანუ) ნიშნავს „სამოთხეს“. მაშასადამე, **მსოფლიოს აღმოსავლეთმა ოდითგანვე იცოდა, რომ საქართველოს მიწა-წყალი ბიბლიური „სამოთხის“ ქვეყანაა, ხოლო ქართველები „სამოთხის“ ხალხია, „სამოთხე“ თვით სამყაროს დედა-ქალღმერთია**. ასე გამოსახავდნენ კოსმიურ აღმოსავლეთში სამყაროს დედას (**ოთხი მდედრის და სამი მამრის ერთობას**. ქვესკნელის სამეფოში მეოთხე წყვილი ეძებს ერთმანეთს, რათა შეუღლდეს. ცეცხლის სტიქია ოთხი მდედრი და ოთხი მამრი საწყისებისგან შედგება. უნდა მოხდეს მათი შეერთება – გამთლიანება). ამ მინიშნებითაც **საქართველო „მარადქალწულის“ – „სამოთხის“ წილხვედრი ქვეყანაა**.

ისტორიული საქართველოს – ჰერეთის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილია ძვ.წ.IV ათასწლეულის ყორღანული სამარხები. აქ აღმოჩენილი ჭურჭელი და სხვა ნაკეთობები იდენტურია მესოპოტამიაში, ურუქში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალისა, რომელიც უსწრებს მესოპოტამიაში შუმერების ცივილიზაციას, ე.ი. **შუმერზე ადრეულია. ეს მეტყველებს იმაზე, რომ ამ ორივე – შუმერთა და ქართველთა კულტურის შემქმნელები ერთი ხალხია.** იმ პერიოდის შუმერთა მითების მიხედვით, არათას ქვეყანა ქალღმერთ ინანას სამშობლოდ, მისი „შობის ადგილად მოიხსენიება“. **ქრისტიანული მრწამსითაც საქართველო ხვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა, როგორც აღმოჩნდა, ეს საკითხი შორეულ კოსმოგონიურ ცნობიერებასთანაა დაკავშირებული**. „არათას“ ქვეყანა – საქართველო მოიხსენება **„წმინდა წესების ქვეყანად“**, რომელიც **„უფლის წმინდა გულმა აირჩია“** (სიტყვები: ქართლი, ქართველი, საქართველო – გულქართლი, გულმართალი, „გულთან“ და „გულმართალთანაა“ დაკავშირებული). თვით ქალღმერთი ინანა **„ბევრეულ წესთა“ დედოფალია** და სწორედ **„არათა“ – საქართველო მოიაზრება ინანას სამშობლოდ და „წმინდა წესების ქვეყანად“**.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **საქართველოს მიწა-წყალი, ქართული გენი და ქართველი ხალხი სამყაროს შექმნიდან ითვლება სამყაროს დიდი დედის წილხვდომილად – სამოთხედ, წმინდა მიწად**.

ახლა, ახ.წ. 2000 წელს – „ქართ ადამს აქათ“ **8000** წელს, რომლის შესაბამისი ქართული ანბანის კოდით არის **„ჯ-8000“** ასო-ნიშანი, დაიწყო ცეცხლის სტიქიის ენერგეტიკული კოსმიური ერა, რომლის შესაბამისი არსთა წრებრუნვის კოსმიური სურათი – ღმერთის „ბეჭედი“ საქართველოში გაცხადდა. ამ პერიოდს უკავშირდება საქართველოში კაბალას ბიბლიური ცოდნის დაბრუნებაც. „სამოთხე“ – სამყაროს დედაქალღმერთი დაბრუნდა ედემში „ადამთან“. ეს ნიშნავს, რომ დაბრუნდა „სამოთხის“ კოსმიური დრო. სულ მალე დადგება დიდი ჰარმონიის პერიოდი და ხალხი ისევ ერთ ენაზე, აზროვნების ენაზე, ქართულ ენაზე ალაპარაკდება.

ზემოთ განხილული მასალა მტკიცებულებაა იმისა, რომ **ის ხალხი, რომელსაც დღეს მსოფლიო შუმერის სახელით იცნობს, არ არის ნამდვილი შუმერი და არის მათი წინაპარი, ვინც ქართულ-იბერიული გენის და დამწერლობის მატარებელი ხალხი იყო, რომელიც ჯერ კიდევ ძვ.წ. VI ათასწლეულში კავკასიიდან – საქართველოდან წასულა და განფენილა მთელ მსოფლიოში**.

უფლის ანგელოზი ქართველთა წარმომავლობის შესახებ გვამცნობს: „იბერიელთთას არსსნსს ძლიერსს შტოთაგანს ვითარ ქართუელთთას წინაპართთას, უფლის ჩანაფიქრთათვსს მომავალსს მშვენიერსსა ედემისსას შექმნისსას. მეორედს იერუსალიმს ვითარ ქმნისს“.

„ქართველობა ძნელია, მაგრამ აუცილებელი“
მამა გიორგი

დღეს ყველა ქართველი ოცნებობს მოწამეთას მოძღვარ **მამა გიორგი ბასილაძესთან** შეხვედრაზე. ამის სურვილი განსაკუთრებით მომეძალა წიგნების: „თავნი და ბოლონი იტყვიან გიორგი“ და „„ფეხით მოსიარულე“-ს წაკითხვის შემდეგ. 27 წელზე მეტია ვმუშაობ კაბალას ბიბლიურ ცოდნაზე, ქართულ ანბანზე და სწორედ **მამა გიორგის აზროვნებაში დავინახე ის უდიდესი კოსმოგონიური ღვთიური ცოდნა, რომელიც ჩემი კვლევების მიგნებები და დასკვნებია**. უფლის ნებით, მამა გიორგისთან ტელეფონით სამჯერ საუბრისა და ორჯერ შეხვედრის ბედნიერება მქონდა – ერთხელ თერჯოლის რ-ის სოფ. ჭოგნარში, მის სახლში და მეორედ – მოწამეთას ტაძარში. მქონდა ბედნიერება, მესაუბრა მასთან ჩემი კვლევის საკითხებთან დაკავშირებით, მივართვი ჩემი წიგნები და გამოქვეყნებული რამდენიმე სტატია. მამა გიორგი დიდი ყურადღებით მისმენდა და თითოეულ თემასთან დაკავშირებით, დროდადრო აზრს გამოთქვამდა. მისი ყოველი სიტყვა თუ აზრი დასტურია იმისა, რომ ღმერთმა დღეს საქართველოს მისი სახით უდიდესი წმინდანის სულით დაჯილდოებული ბოლო ჟამის მფარველი მოუვლინა.



მამა გიორგი (ბასილაძე)

ქვემოთ განხილულ საკითხებში წარმოვაჩენ პარალელებს მამა გიორგის ზოგიერთ გამონათქვამებსა და ჩემს გამოკვლევებსა თუ სამეცნიერო მიგნებებს შორის.

თითქმის სამი ათეული წელია ვიკვლევ კაბალას ბიბლიურ ცოდნას, ქართულ ანბანს, როგორც სამყაროს გენეტიკურ კოდს, ქართულ გენს, მის

კოსმიურ და ხვთიურ მისიას ბოლო ჟამისთვის. ამ საკითხებთან დაკავშირებით ვიკვლევ ქართულ და მსოფლიოს მითოლოგიას, ენთოგრაფიასა და არქეოლოგიურ მასალებს, რომელიც მოიცავს ცოდნას სამყაროს გენეტიკურ კოდში მიმდინარე კოსმიური პროცესის შესახებ.

დედამიწაზე მცხოვრები ყველა ადამიანი ერთი გენეტიკური კოდითაა შექმნილი, ერთ ნავში ზის, რომელსაც დედამიწა ჰქვია და ერთი ცის ქვეშ დაცურავს. ამიტომ ინფორმაცია, მიღებული ადამიანის შიდა სამყაროდან, დედამიწიდან თუ გალაქტიკიდან, ყველა ადამიანისთვის ერთნაირია. ყველა ადამიანს მიკრო თუ მაკრო სამყაროს მიმართ ოდითგანვე ერთნაირი აღქმა ჰქონდა. ამიტომაა, რომ მითოლოგიური პროცესები უძველესი ცივილიზაციის სხვადასხვა ხალხთან მეორდება, მხოლოდ მოქმედ პირთა სახელებია განსხვავებული. სამყაროს პირველ ადამიანებს გახსნილი ჰქონდათ ე.წ. „მესამე თვალი“. ისინი ხედავდნენ და აღიქვამდნენ სამყაროს ყველა განზომილებაში. დროთა განმავლობაში ეს „თვალი“ დაიხურა და მეტაფიზიკური თვისებები შემორჩათ მხოლოდ ქურუმებსა და ხელდებულ ადამიანებს. მათ მიერ სამყაროს აღქმა დედამიწის ყველა კონტინენტზე ერთნაირია.

ჯერ კიდევ პირველ ადამიანებს გაუჩნდათ რწმენა იმისა, რომ ღმერთმა სამყარო შექმნა ასო-ნიშანთა განსაკუთრებული წყობით. მათი აზრით, თითოეული ასო-ნიშანი არის დამოუკიდებული არსება, კოსმიური ელემენტი, აღნიშნავდნენ რიცხვით და ღმერთის განსაკუთრებული ნიშნით გამოსახავდნენ. თითოეულ ასო-ნიშანს შეესაბამებოდა არსთა წრებრუნვის კოსმოგონიური სურათი, რომელიც სამყაროში მოქმედებდა იმ ხანგრძლივობით, რა რიცხვიც წერია მის გვერდით ანბანში. ეს არის ცისა და მიწის, ხილულისა და უხილავის და მათ შორის არსებულის ერთიანი, ცოცხალი და ჰარმონიული კოსმიური პროცესის ასახვა, მისი ცვალებადობა დროში.

დედამიწის პირველ ადამიანთა და ქურუმთა ცოდნა ღმერთზე, ადამიანსა და სამყაროზე, მის ყველა განზომილებაში, როგორც ერთიან კოსმიურ სინთეზზე, დღემდეა მოტანილი. მსოფლიო დღეს ამ ცოდნას „კაბალა“-ს სახელწოდებით იცნობს:

1. ჩინური „კაბალა“ – „იძინი“ – „ცვალებადობათა წიგნი“, სადაც სამყაროს ცვალებადობის კოსმიური პროცესი გამოსახულია 64 ჰექსაგრამით, თითოეული მთლიანი და წყვეტილი 6 ხაზით. ქართველები სამყაროს ქმედებას არა მხოლოდ 6 ხაზით გამოსახავდნენ, არამედ თითოეულ ხაზზე განათავსებდნენ გარკვეულ ასო-ნიშნებს და მათ გარკვეულ რაოდენობას. ამის მაგალითია დავათის სტელა (ძვ. წ. 680წ.).

2. შუმერული „კაბალა“ – „მე“-ს „ხვთაებრივი კანონები“, რომლებიც შექმნის დღიდან აწესრიგებდნენ სამყაროს მუდმივ მიმოქცევას, ე.ი. სამყაროს გენეტიკური კოდია. „მე“-ს „ხვთაებრივი კანონები“ უდიდესი სიზუსტით აისახება ქართულ ანბანში. შუმერის მითოლოგიით, ქალღმერთი ინანა არის „მე“-ს „ხვთაებრივი კანონების“ მფლობელი, ეს არის ქალღმერთის კოსმიური გზა „ქვესკნელის სამეფოში“, რის შემდეგაც იგი ხდება როგორც ცის, ასევე ქვესკნელის დედოფალი.

3. ეგვიპტური „კაბალა“ – „ტაროს არკანები“, რომელიც შედგება 78 არკანისგან. მსოფლიოში არსებულ ანბანთაგან მხოლოდ ქართული ანბანის 37 ასო-ნიშანში აისახება, როგორც უფროს არკანთა, ისე უმცროს არკანთა ჯგუფი.

4. ევროპული კაბალა – „რუნები“ (რა-უნ). თვით ევროპელთა აზრით, არ იციან ეს ცოდნა საიდან მივიდა მათთან. უნდა აღვნიშნო, რომ ბორჯომის ხეობაში აღმოჩენილ ქურუმ ქალთა გულსაკიდ დისკოებზე (ძვ. წ. II ათ.) და საქართველოს მთის ხალხთა ქვებზე გამოსახულია რუნები. მათ შორის ისეთი რუნებია, რომლებიც ევროპელთათვის უცნობია. ეს გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ ევროპელთა რუნები ქართული ფენომენია.

როგორც ვხედავთ, **„კაბალას“ კვალს საქართველოსთან და ქართულ ანბანთან მივყავართ.** მსოფლიოში არსებული 14 ანბანიდან იგი ზედმიწევნით ზუსტად, მხოლოდ ქართულ ანბანში აისახება. ასევე მნიშვნელოვანია თითოეული ასო-ნიშნის მეორადი სახელები: ან, ბან, გან, დონ..., მათი მდებარეობა ანბანში – რიგითი ნომერი ანბანში, ასო-ნიშნების გვერდით მიწერილი ციფრები. შუმერები ღმერთების სახელებს იმ ციფრებით მოიხსენიებდნენ, რომლებიც ქართულ ასო-ნიშნებს გვერდით უწერია. **„ქართული ანბანი სამყაროს გენეტიკური კოდია“** – ეს მოხსენება წარვუდგინე „მეცნიერების და რელიგიის“ პირველ საერთაშორისო კონფერენციას, რომელიც 2005 წელს გაიმართა ქ. თბილისში.

კითხვაზე, თუ ვინ და როდის შექმნა ანბანი, შეგვიძლია ვუპასუხ-

ოთ, რომ ღმერთმა სამყარო შექმნა ასო-ნიშანთა განსაკუთრებული წყობით, რაც მიგვანიშნებს ანბანის, როგორც გენეტიკური კოდის უდიდეს ფუნქციაზე. ჩემს გამოცხადებებში, კოსმიური წრებრუნვის სურათებში, ასომთავრული ასო-ნიშნები ქვეყნიერების მთავარს – მამაღმერთს თავზე ადგას, ენერგეტიკულია, მბრუნავია, ამიტომ ჰქვია ასომთავრული. ხოლო მხედრული ასო-ნიშნები კოსმიურ მხედარს შუბლზე აწერია, ამიტომ ჰქვია მას მხედრული ანბანი. როგორც ასომთავრული, ასევე მხედრული ანბანი გამოცხადებით მიღებული ინფორმაციაა. ღმერთი ამბობს: „მე ვარ ანი და ოხი (ალფა და ომეგა)". ეს სიტყვები გვეუბნება, რომ ანბანი თვით ღმერთია, ხოლო ადამიანს არ შეუძლია ანბანის, ანუ ღმერთის შექმნა. ქართული **ანბანის კვალია ყველა ძველი ცივილიზაციის ხალხში. ქართველებს ანბანი ჯერ კიდევ 8000 წლის წინათ გვქონდა**.

„კაბალა" – „კაბა-ალი" ქართული სიტყვაა და ცეცხლის სტიქიის სამოსს, მატერიას, ანუ „კაბა"-ს ნიშნავს. „კაბალა"-ს ცოდნა რომ ქართულია, ამის დასტურია ისიც, რომ **აღმოსავლეთ საქართველოს – ჰერეთს, ამჟამად საინგილოს აღმოსავლეთ ნაწილს შირვანამდე, ოდითგანვე „კაბალა" ერქვა.** აზერბაიჯანში დღესაც შემორჩენილია ქ. კაბალა. ასევე საქართველოში, ლაგოდეხსა და ყვარელს შორის დღესაც არის მდ. კაბალი და სოფ. კაბალი. ეს კი „კაბალა"-ს ცოდნის სადაურობის, ანუ „კაბალა"-ს ცოდნის ძირძველი სამშობლოს მოძიების საკითხში მსოფლიოს ხალხებისთვის დიდად მნიშვნელოვანია, ვინაიდან ებრაელთა ცოდნა „კაბალა"-ს შესახებ გვეუბნება, რომ **„კაბალა" არის იგივე „თორა" და „ბიბლიის ხუთწიგნეული", ანუ „ძველი აღთქმა"**.

ზემოთ განხილული მასალა საფუძველია იმისა, რომ განვაცხადოთ: **„კაბალას ბიბლიური ცოდნა" ქართული ფენომენია და აისახება მხოლოდ ქართულ ანბანში**. ეს ცოდნა არის სამყაროს გენეტიკურ კოდში მიმდინარე კოსმიური პროცესის ასახვა. იგი ყველაფერშია და ყველაფერი მასშია. **ქართული ანბანი ჯერ კიდევ მაშინ არსებობდა, როცა ხალხი ერთ ენაზე ლაპარაკობდა. ქართული ანბანი არის უფლის წინასწარ დასახული „გეგმა" – ჩანაფიქრი, რომლის მიხედვით, დასაბამიდან დღემდე იქმნება მიკრო თუ მაკრო სამყარო ყოველ წუთს, ყოველ წამს, მასშია „კაბალა"-ს ბიბლიური „დაბადების" და „წარღვნის" კოსმიური არსი**.

ქართული ანბანის მიხედვით, „კაბალა"-ს ცოდნაზე დაყრდნობით, შეგვიძლია განვსაზღვროთ: როდის დაიწყო ადამის ცივილიზაცია, წელთაღრიცხვა „ქართ. ადამს აქათ" და „დასაბამითგან", როდის მოხდა წარღვნა, როდის დაინგრა ბაბელონის გოდოლი, რა არის გრალის თასი, ოქროს საწმისი, ნოეს კიდობანი, სამყაროს შექმნის 6 დღე, მასში აისახება სამყარო წარღვნამდე და წარღვნის შემდეგ, სამყაროს 4 საწყისის კოსმიური პერიოდები. მასშია სამყაროს ყველა საიდუმლო.

სწორედ „კაბალა"-ს ბიბლიური ცოდნა არის ის უდიდესი საიდუმლო, რაზეც მიგვანიშნებს იოვანე-ზოსიმე „ქებაჲ"-ს ტექსტის წინასწარმეტყველებაში, რომლის მიხედვითაც ქართული ანბანის საიდუმლო, ყველა მინიშნებით, უნდა გაიხსნას და წარმოჩინდეს ახლა, III ათასწლეულის დასაწყისში.

„კაბალა"-ს ბიბლიური ცოდნა თავის სამშობლოში – საქართველოში დაბრუნდა.

მამა გიორგი ზემოთქმულის შესახებ ამბობს: **„ქართველობა ღმერთიდან გვაწერია". „საქართველოს აღორძინების გასაღები აქ არის. საქართველოს და თითოეული ქართველის ბედი აქ და ზეციურ საქართველოში წყდება". „გამაოგნებელი ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის საიდუმლოებები გამჟღავნდება საქართველოში. ღმერთი მსოფლიოს დაანახებს ქართველების ნამდვილ სახეს და ეს მალე იქნება. ღმერთისგან დაფარული უზარმაზარი ცოდნა, რომელიც საიდუმლოდ გადაეცემა წმინდა ბერებს თაობიდან თაობაში და რომელსაც წიგნებში ვერ ამოიკითხავთ, მალე გაგვეხსნება".**

ქართველებს ორი წელთაღრიცხვა გვქონდა – „ქართ. ადამს აქათ" და „დასაბამითგან". ქართველებმა „ქართ. ადამს აქათ" ათვლა დაიწყეს ადამის ცივილიზაციის დასაწყისიდან, „კაბალა"-ს ცოდნის მიხედვით „ა-ან" ასო-ნიშნის კოსმიური პერიოდიდან, რომლის სახელია „ადამი-ანი". სიტყვა „ქართლი" და „საქართველო" ქართულ მეტყველებაში „გულქართლთან", „გულწრფელთან", „გულმართალთან" არის დაკავშირებული, ამიტომ ქართველებმა „ქართ", „მართალი", „წრფელი" პირველ ადამიანს, ანუ ადამს უწოდეს. ჩვენ, **ქართველები, „მართლმადიდებლები" ვყოფილვართ ჯერ კიდევ ადამის ცივილიზაციის დასაწყისში**, ვინაიდან პირველ ადამიანს დავარქვით „ქართ. – ქართული" (მართალი,

წრფელი, გულქართლი) ადამი და დავიწყეთ წელთაღრიცხვა „ქართ (მართალ) ადამს აქათ“. მაშასადამე, **სიტყვა „ქართველი“ „მართალს“ ნიშნავს, სიტყვა „ქართველი“ გვქონდა უკვე ადამის ცივილიზაციის დასაწყისში**. მსოფლიოს ხალხთა ეთნოგრაფიული მასალა გვეუბნება, რომ ადამიანი გულით აზროვნებს, ღმერთი კი აზროვნებაა. არსებობენ ადამიანები, რომლებსაც ტვინის არცერთი ნახევარსფერო არა აქვთ, მაგრამ ჩვეულებრივად აზროვნებენ. ეს კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ადამიანი გულით აზროვნებს.

მამა გიორგი ზემოთქმულის შესახებ ამბობს: „მართლმადიდებლობა – ეს არის ღმერთის მიერ დადგენილი ცხოვრების წესი. ეს არის სიცოცხლე ღმერთში“.

ქართველებმა იცოდნენ, როდის დაიწყო ადამის ცივილიზაცია. ამას მოწმობს სვეტიცხოვლის აღმოსავლეთის კედლის წარწერა „ქ. ადამს აქათ“ 7186წ, წინარეხის ხვთისმშობლის ტაძრის წარწერა „ქ. ადამს აქათ“ 7190წ., ქართველი მემატიანე ლეონტი მროველი ქართული მწიგნობრობის გავრცელებას სრულიად საქართველოში მეფე ფარნავაზს უკავშირებს და ათარიღებს კიდეც ამ ისტორიულ ფაქტს: „აქა მწიგნობრობა დაიწყეს ქართველთა ქართ. ადამს აქათ **ძლიბ (3712)** წელს,“ ეს კი „კაბალა“-ს ცოდნის მიხედვით **ძვ.წ.2288** წელია. ასეთი მაგალითები მრავლადაა ისტორიულ ძეგლებსა და ქართულ ხელნაწერებში. „ქართ ადამს აქათ“ 8000 წელს შეესაბამება ახ. წ. 2000 წელი.

ქართველებმა იცოდნენ, როდის მოხდა „წარღვნა“. ესეც ქართული ანბანის – „კაბალა“-ს კოდს უკავშირდება. „წარღვნას ქართველებმა“ დასაბამი უწოდეს და „წარღვნიდან“ ათვლილ წელთაღრიცხვას – „დასაბამითგანი“. ქართველები „დასაბამითგან“ ქრისტემდე 5604 (5600) წელს ითვლიდნენ. თუ გავითვალისწინებთ, რომ ქრისტეს მოსვლიდან კიდევ 2000 წელი გავიდა, მაშინ ახ.წ. 2000 წლისთვის ქართული „დასაბამითგან“ 7604 (7600) წელი გასულა. ამის ჩანაწერები მრავლადაა ძველ ქართულ ხელნაწერებში.

მსოფლიოში არ მოიძებნება უძველესი ცივილიზაციის რომელიმე ერი, რომელსაც ასე მყარად, ხაზგასმულად და დამაჯერებლად ჰქონდეს დღემდე მოტანილი საკითხი, თუ როდის დაიწყო ადამის ცივილიზაცია, როდის მოხდა წარღვნა და დედამიწაზე ამ ორ უმნიშვნელოვანეს მოვლენას უკავშირებდეს თავის ორ წელთაღრიცხვას. ეს გვაქვს მხოლოდ ქართველებს. ეს გვაძლევს იმის საფუძველს, აღვნიშნოთ, რომ ქართველი ერი თავისი ანბანის, როგორც სამყაროს გენეტიკური კოდის მფლობელი, ადამის ცივილიზაციის დასაწყისში უკვე უდიდესი ცივილიზაციის ერი იყო, რომელსაც „იბერიის“ ცივილიზაციას უწოდებდნენ. სხვაგვარად ქართველები ადამის ცივილიზაციის პირველივე დღეებიდან წელთაღრიცხვას ვერ დაიწყებდნენ. **ასეთი დიდი და შორეული წელთაღრიცხვის მქონე ხალხი მხოლოდ ქართველები ვართ. მეცნიერთა ვარაუდით, პრეისტორიული მსოფლიო იბერიულ-კავკასიური ტომებით იყო დასახლებული.** ამას ადასტურებს შვეიცარიელ და გერმანელ მეცნიერთა სენსაციური აღმოჩენა – ეგვიპტელი ფარაონები და ეგვიპტის მკვიდრთა ნახევარზე მეტი გენეტიკურად კავკასიელები არიან, კავკასიური გენები აქვთ გერმანელთა 45%-ს, შვეიცარიელთა 50%-ს, ესპანელთა 70-%-ს.

შუმერები შუამდინარეთში კავკასიიდან ჩავიდნენ: ამაზე მეტყველებს სიტყვა „შუ-მე-ერი“; მათ ღმერთებს ქართული ანბანის მეორადი სახელები ჰქვიათ: „ან“-ცის ღმერთი, „ენ“-წყლის ღმერთი. ისინი ღმერთებს იმ ციფრებით მოიხსენიებენ, რომელიც უწერია გვერდით ქართულ ანბანს. ქალღმერთ ინანას კოსმიური გზა „ქვესკნელის სამეფოში“ ზედმიწევნით ზუსტად მისდევს ქართულ ანბანს, როგორც სამყაროს გენეტიკურ კოდს. მათ აქვთ „მე“-ს „ხვთაებრივი კანონები“, რომლებიც შექმნის დღიდან აწესრიგებენ სამყაროს მუდმივ მიმოქცევას – ეს არის შუმერული კაბალა. მათი ეს კოსმოგონიური ცოდნა მხოლოდ ქართულ ანბანში აისახება.

ჩინური „კაბალა“ – „იძინი“ ქართული ანბანის კოდითაა შექმნილი და მის 64 ჰექსაგრამაში აისახება ქართველთა 64 ხვთისშვილი, როგორც სამყაროს ძირითადი შემოქმედნი.

ცენტრალური ამერიკის უძველეს მკვიდრთა შორის ყველაზე ძველი ცივილიზაციის ხალხად ითვლება მონტე-ალბანას მკვიდრი მოსახლეობა-საპოტეკების შთამომავლები. ამ ტერიტორიაზეა კამპეჩეს ყურე. საქართველოს ისტორიული წყაროები აღნიშნავენ, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიას უძველესი დროიდან „ალვანეთი“ (მოგვიანებით „ალბანეთი“) ერქვა, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა „კაბალა“ – ჰერეთი და „კამბეჩა“ – ქიზიყი. აღმოსავლეთ საქართველოში დღესაც გვაქვს ალვანის ველი, ზემო და ქვემო ალვანი. **მექსიკის მონტე-ალბანას**

ტერიტორიაზე აღმოჩენილ არქეოლოგიურ თუ ისტორიულ ძეგლებზე მრავლადაა გამოსახული ქართული ასო-ნიშნები.

ქართული ანბანი მხოლოდ ქართველთა კუთვნილებაა. ქართული ანბანითაა დაწერილი უძველესი ქართული ხელნაწერები და პირიქით. ეს კი ძალიან მნიშვნელოვანია.

იბერიული ცივილიზაცია დახვდა ადამის ცივილიზაციას. **სიტყვა „იბერია“ ქართული ფენომენია, რომელიც სიტყვა „ბერი“-დან მოდის** – ქართველთა 64 ხვთისშვილი – სამყაროს ძირითადი შემოქმედნი, ყველა არის „ბერი“, რომლებიც მარადიულნი და უკვდავნი არიან. სამყაროს შემოქმედი მამაღმერთი მსოფლიოს ყველა ხალხს „ბერი“-ს – თეთრწვერა მოხუცის სახით ეცხადებოდა. ამერიკის უძველესი ტომებიც კი თეთრწვერა მოხუცს სცემდნენ თაყვანს, თუმცა წვეროსანი მამაკაცი არ ენახათ – მათ მამაკაცებს წვერი არ ჰქონდათ. თეთრწვერა მამაღმერთის აღქმა გამოცხადებით მიღებული ინფორმაციაა. სიტყვა „ბერი“ ქართული სიტყვაა. არ მეგულება სხვა რომელიმე ერის ხალხი, რომელიც თეთრწვერა მოხუცს „ბერს“ უწოდებდეს. ამავდროულად, ქართველებს გვაქვს სიტყვები: ბებერი, ბერბერი, დედაბერი, ბერდედა. ბოლო პერიოდში სიტყვა „იბერია“ შეცვალეს სიტყვით „ივერია“, რაც ყოვლად დაუშვებელია, ვინაიდან სიტყვა „ივერია“ – „ვერ-ერი“, ანუ ვერ შემდგარი ერის ენერგიის შემცველია.

მამა გიორგი ზემოთქმულის შესახებ ამბობს: „ჩვენ პირველი ცივილიზაციის, გადარჩენილი ცივილიზაციის ნაწილი ვართ“. „ჯერჯერობით დაფარულია პირველი ცივილიზაცია, ანუ ქართველთა ცივილიზაცია“.

ქართულ ენაში არსებობს სიტყვები, რომლებიც აუცილებლად პირველსაწყისი ენისთვისაა დამახასიათებელი:

„მე“ – შუმერულ კაბალას „მე“-ს ხვთაებრივი კანონები ჰქვია, რომლებიც შექმნის დღიდან აწესრიგებდნენ სამყაროს მუდმივ მიმოქცევას. „მე“-ების მფლობელი არის შუმერთა ქალღმერთი ინანა. მან ისინი ჩატვირთა ზეციურ ნავში და ჩავიდა ქვესკნელის სამეფოში. „მე“-სთან არის დაკავშირებული სიტყვა „შუ-მე-ერი“. სიტყვა „მე“ მსოფლიოს არცერთ ენაზე არ ითარგმნება.

„ხე“ – კოსმიური „ხე“. ამასთანაა დაკავშირებული სიტყვა „ხეთი“. ჩვენ ვართ კა-ხეთი, კუ-ხეთი, მეს-ხეთი, ჯავა-ხეთი, კოლ-ხეთი და გვაქვს ძველი დედაქალაქი მც-ხეთა.

„იბერია“ – რაზეც ზემოთ უკვე ვიმსჯელეთ.

„კაბ“ – „სამოსი“ – მატერია, საიდანაც მოდის სიტყვა „კაბალა“ – ცეცხლის სტიქიის სამოსი. იგივე მნიშვნელობისაა შუმერული სიტყვა „კაბ“ და ცენტრალური ამერიკის „კაბ“.

ქართ. – „მართალი, წრფელი, გულქართლი, საიდანაც მოდის სიტყვა „ქართლი“ და „საქართველო“. კორსიკელები ახლაც „ქართ“-ს უწოდებენ თავიანთ ენას, კუნძულს და ქვეყანას.

კი – შუმერებთან „კი“ მიწის ქალღმერთია, ქართველებს გვაქვს კისტანის – „კი-ს-ტანის“ სალოცავები. ამასთანაა დაკავშირებული: კი-ბელა, კი-ჩე, კი-ტაი, კი-ევა.

დე – დედა – აღმზრდელი. „დე“ – არის ის, რითაც მკვიდრდება ადამიანის სიცოცხლე. ჩინეთში, ჯერ კიდევ ინის ეპოქაში, „დე“-ს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ. „დე“ – არის ის, რაც ცისა და მიწის წყალობით არის ბოძებული, რითაც ძლიერდება „ინ“ და „იან“ ძალები. „დე“ – განეკუთვნება ადამიანის ბუნების წვრთნისა და აღზრდის სფეროს, ადამიანის ზნეობის კანონებს. „დე“-ს ახასიათებენ შემდეგნაირად: მშვიდობა, აღორძინება, სიმართლე, ნათლიერება, მეგობრობა. „დე“ არის „დაო“-ს სხეულებრივი გამოვლენა, მისი სახიერი გამოცხადება. სიტყვაში „და-ო“ – „**ო**“ უფალს ნიშნავს. ძველ ქართულ ხელნაწერებში სიტყვას „უფალი“ არ წერდნენ და მის ნაცვლად წერდნენ „**ო**“ ასო-ნიშანს. „დაო“ – დაფარული დასაბამია და არსია სამყაროსი, რომელიც სამყაროში „დე“-ს გარეშე არ ვლინდება. ასე დიდია სამყაროში „**დე**“-ს და, შესაბამისად, „**დედა**“-ს მნიშვნელობა.

პა – პირველსაწყისი მამრი (იხილეთ ეგვიპტის დაგონების და ტიბეტის მითოლოგია). აქედანაა რომის „პაპა“-ს სახელიც. ქართველებიც პირველსაწყის მამრს „პაპა“-ს, მამის მამას უწოდებენ. ბევრი ერი ინატრებდა, რომ მეტყველებაში ოდითგანვე ჰქონოდა სიტყვა „პაპა“ და „მამა-პაპა“. ბოლო პერიოდში საქართველოში სიტყვა „პაპა“ „ბაბუა“-მ შეცვალა. ქართული ენის უდიდესი მკვლევარის აკაკი შანიძის აზრით, სიტყვა „ბაბუა“ ქართულ ენაში იგივე „ბებია“-ს ნიშნავს და აღმოსავლეთ საქართველოს „ბაბ-ო“-სთან არის დაკავშირებული, რომელიც სიტყვა „ბაბ-ელ-ონ“-იდან მოდის.

ქართული ენის კვალია ყველა ძველ ენაში, ამას მოწმობს ქვეყნების, მდინარეების და ადგილების სახელები.

ქართულ ენაზე დრო არ მოქმედებს – ქართულ ენაზე დაწერილი უძველესი ხელნაწერები ქართველებისთვის დღესაც სრულიად გასაგებია, მაშინ, როდესაც ბერძნები, სომხები და ყველა ძველი ენის მფლობელი ხალხი თავის ძველ ენას ხელახლა სწავლობს.

ქართულ ენაში ყოველი სიტყვის არსი თვით სიტყვაშია, თუ ის ძირძველი ქართული სიტყვაა. სიტყვის თითოეული მარცვალი ცალ-ცალკე სიტყვებად აღიქმება და განიხილება. ქართული ენის თითოეული სიტყვა კოსმიური და ღრმად ფილოსოფიური აზრის და არსის მატარებელია, რაც სხვა ენებისთვის ნაკლებად დამახასიათებელია. მაგ: სამშობლო, მამული, თავისუფალი, გულკეთილი, კეთილშობილება და სხვა (ეს საუბრის დიდი თემაა).

მამა გიორგი ამბობს: „დღეს, დედამიწაზე მცხოვრებ ადამიანებს ყველას არა აქვს ზეციდან ჩამოსული სული“.

ქართველებს ქართველობა შიგნიდან – დნმ-ის ორ სპირალში გვაწერია. სწორედ ქართული გენის ადამიანია ზეციდან ჩამოსული სულის მატარებელი. ისინი მხოლოდ ქართველთა შორის არ არიან, არამედ მთელ დედამიწაზე ცხოვრობენ. დღეს შექმნილია ხელსაწყო, რომლის მეშვეობითაც განისაზღვრება ნებისმიერი ნაკეთობის ოქროს მახასიათებლები და შესაძლებელია იმის განსაზღვრა, თუ დედამიწის რომელ ტერიტორიაზეა მოპოვებული ესა თუ ის ოქრო. მეცნიერებმა სულ ცოტა ხნის წინ ამ მეთოდით დაადგინეს, რომ შუმერში მოპოვებული ოქროს ნაკეთობები საქართველოს – ბოლნისის ოქროთია დამზადებული. **მსგავს ხელსაწყოს მეცნიერები სულ მალე შექმნიან ადამიანის გენის პირველსაწყისობის გამოსავლინებლად**. ცრუ ინფორმაციის გამავრცელებელი ხალხის გადარჩევა მალე მოხდება – ამისთვის სიტყვები „მე ვარ კაცობრიობის საწყისი, ფუძე ერი და ხალხი“, საჭირო აღარ იქნება. ეს დრო სულ ახლოსაა. ზოგიერთს ავიწყდება, რომ საიქიოს ოცი საზვერედან სიცრუის საზვერე მეორეა.

მამა გიორგი ამბობს: „ვაი მას, ვისგანაც მოდის საცდური“.

მამა გიორგის ეკითხებიან: „მამა გიორგი, რატომ არ არის ძველ აღთქმაში ცნობები ქართველ ერზე?“

მამა გიორგი პასუხობს: „ბიბლიას არა მხოლოდ კითხვა, არამედ გაგება და შემეცნება სჭირდება!.. გასაგებია?“

ჩემი გამოკვლევით, ჩვენ, **ქართველები, ვართ იბერიის ცივილიზაციის ხეთები,** ვინაიდან ჩვენ ვართ კა-**ხეთი**, კუ-**ხეთი**, მეს-**ხეთი**, ჯავა-**ხეთი**, კოლ-**ხეთი** და დედაქალაქიც გვქონდა მც-**ხეთა** – „ქართლად ფრიადი (ხუთი) ქვეყანაᲲ აღირაცხების“... (გ.მერჩულე Xს.). ბიბლიაში ნათქვამია, რომ აბრაამმა სარას დასასაფლავებელი მიწა „ქანაანის ხეთების მეფისგან მიიღო“. ხეთები რომ ქართველები არიან, ამის დასტურია ისიც, რომ სიტყვა „ქანაანი“ – „ქან-ა-ანი“ სუფთა ქართული წარმოშობისაა – „ქან“ და „ან“ ქართული ასო-ნიშნების მეორადი სახელებია. ასევე სიტყვა „ქანაანი“-ს მსგავსი გამონათქვამებია აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების და სოფლების სახელები: გურჯაანი, მელაანი, მირზაანი, მაშნაანი და სხვა. **„ხე“** სუფთა ქართული სიტყვაა და აქ სიცოცხლის „ხე“ მოიაზრება. ჩვენ, **ქართველები, ვართ ის ხეთები, რომელსაც მეცნიერებმა და მსოფლიოს მოაზროვნე საზოგადოებამ დღემდე ვერ მიაგნეს**. ხეთები კი ბიბლიაში არაერთხელაა ნახსენები.

შოთა რუსთაველი

მამა გიორგი ამბობს: „სამყაროს მოწყობის საიდუმლოება ნამდვილებს გაცილებით ადრე უფრო ღრმად ჰქონდათ გახსნილი, ვიდრე თანამედროვე მეცნიერებს...“

რამდენიმე წლის წინ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე ერთერთმა ქართველმა მეცნიერმა კონფერენციას წარუდგინა მოხსენება შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ. გაიმართა კამათი. უცხოელი მეცნიერები გამოთქვამდნენ აზრს, რომ მსგავსი შინაარსის ნაწარმოებები აღმოსავლეთის ქვეყნებსაც ჰქონდათ. მეც მომეცა საშუალება გამომეთქვა აზრი და აღვნიშნე შემდეგი: „ვეფხისტყაოსნის“ ჭეშმარიტი შეცნობა ჯერ არ დაწყებულა და ამისი დროც დადგება. „ვეფხისტყაოსანი“, როგორც ნაწარმოები, ქართულ მითოლოგიაში მიმდინარე კოსმიური პროცესის ასახვაა

და ვინაიდან მსოფლიოს თითქმის ყველა ხალხის მითოლოგია სამყაროში მიმდინარე ერთსა და იმავე კოსმიურ პროცესებს გადმოსცემს, გასაკვირი არაა, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ცოცხლად გადმოცემული მითოლოგიური სიუჟეტები მსოფლიოს სხვა ხალხებთანაც აღმოვაჩინოთ.

არცერთ მოკვდავს არ ძალუძს „ვეფხისტყაოსნის“ ენით ასეთი გენიალური ქმნილების, ყოველთა აღმატებული, ხვთაებრივი შედევრის შექმნა, როგორიც „ვეფხისტყაოსანია“. მისი ტექსტი ღმერთთან პირდაპირი კონტაქტით – „სახელითა ღმრთისაჲთაა“ დაწერილი ქართველი ერის ყველა დროის უდიდესი გენიოსის, შოთა რუსთაველის მიერ. **ვეფხისტყაოსანში კაბალას ბიბლიური კოდის მითოლოგიური კოსმიური პროცესია გადმოცემული; ის ქართულ ენაზე დაწერილი ქართველთა ბიბლიაა; მასში „ჩატვირთული“ კოსმიურ კანონზომიერებათა სიბრძნის გადმოცემა მხოლოდ ქართულ ენაზე – ღმერთების ენაზე არის შესაძლებელი.** შორს არაა ის დრო, როცა „ვეფხისტყაოსანი“, როგორც ქართული გენის კოსმიური ცნობიერების შედევრი, ახალი მეტაფიზიკური თვალთახედვით წარმოჩინდება.

მამა გიორგი ზემოთქმულის შესახებ ამბობს: „ვეფხისტყაოსნის“ შაირებში, უდიდესი პოეტური ხელოვნებით, შეფარულია დიდი სულიერი სიბრძნე, საიდუმლო და წინასწარმეტყველება ბოლო ჟამის საქართველოს გაბრწყინებაზე. „ვეფხისტყაოსანი“ არის სულიწმინდით შექმნილი ნაშრომი და შეუძლებელია მის სულიერ სამყაროში შეღწევა ქართული ქრისტიანული სულიერი ხედვისა და ცოდნის გარეშე. ჩვენ ვართ ხვთის რჩეული ერი, რომელსაც ღმერთმა მისცა სამყაროს შექმნისა და მართვის საიდუმლოებების ხვთაებრივი ცოდნა. მტრები აქ მხოლოდ ვაზის ასაჩეხად კი არ მოდიოდნენ, არამედ ისინი აქ დიდ საიდუმლოს ეძებდნენ. ქართული ეკლესია დღეს ბერძნული, რუსული, ებრაული ცნობიერებითაა სახეშეცვლილი. ჟამი ახლოსაა. ჩვენ გაგვეხსნება ნამდვილი „ვეფხისტყაოსანი“ იმ სახით, რა სახითაც შექმნა ის მისმა ავტორმა. მსოფლიო გაოგნდება, როცა ქართველები მათ ჩაახედებენ „ვეფხისტყაოსნის“ ჭეშმარიტ არსში“.

მამა გიორგისთან პირველი შეხვედრისას მას ვკითხე: მამაო, რას ნიშნავს „თავნი და ბოლონი იტყვიან: გიორგი!“ მან ჩემს შეკითხვას მხოლოდ ღიმილით უპასუხა.

ჩემს გამოცხადებებში მამა ღმერთი მრავალსახაა და მისი ერთ-ერთი

სახე არის თეთრ ცხენზე მჯდომი წმინდა გიორგის – თეთრი გიორგის გამოსახულება. კოსმიური ცხენი არის იგივე „ბედის ბედაური“, რომლის მფლობელებიც „მორიგეობით“ არიან ქართველთა ხვთისშვილები. ყოველი მათგანი არის გიორგი ნაღვარმშვენიერის, როგორც „მორიგე“ ღმერთის სხვადასხვა სახე, მისი „მორიგეობა“ დროში. ყოველივე ეს აისახება ქართულ ანბანში, როგორც სამყაროს გენეტიკურ კოდში და გაცხადებულია როგორც მიკრო, ასევე მაკრო სამყაროში. ის ყველაფერშია და ყველაფერი მასშია.

64 ხვთისშვილიდან თითოეული არის ბერი, ნახევარღმერთი, „ბედის ბედაურის“ მფლობელი, ნახევარმზე.

შუმერების ქვის ბეჭედზე (ძვ. წ. 3400 წ.) დობილიანი იახსარი გამოსახულია ორსახა ღმერთის სახით – ერთი სახე კაცისაა, მეორე – ქალის, რომელსაც ახ.წ.2000წ., ანუ „ქართ. ადამს აქათ“ შეესაბამება 8000 წელი. იგი სამყაროს 4 საწყისიდან ცეცხლის სტიქიის, ანუ მზის-ოქროს საწმისის ენერგიის გაცხადებაა და ოთხივე სტიქიას მოიცავს. ქართველები ორ ხვთისშვილს სცემდნენ თაყვანს: „ძე“-ს – გიორგი ნაღვარმშვენიერს, რომელიც 64 ხვთისშვილის გაცხადებაა და „ასულს“ – დობილს – სამძივარს. ისინი ორივე ნახევარმზეებია და მითოლოგიით ხდება მათი შეერთება, შერწყმა, გამთლიანება მთლიან მზედ, ანუ ერთიანდება მზე „შინა“ და მზე „გარეთა“, ერთიანდება „ინ“ და „იან“-ი – გენეტიკური კოდის ორი სპირალი. ეს უმნიშვნელოვანესი კოსმიური მოვლენა ხდება ახლა, III ათასწლეულის დასაწყისში.

ქართველებს მზე ქალის სახით წარმოედგინათ, რაც მათ უძველეს კოსმიურ აზროვნებაზე მიგვანიშნებს. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ცეცხლის სტიქიას – ოქროს საწმისის ენერგიას მსოფლიოს უძველესი ცივილიზაციის ხალხი სიმბოლურად ორსახა ღმერთის სახით გამოსახავდა. ქალღმერთი ინანა დღისით მეომერია და მამრია, ხოლო ღამით – სიყვარულის ქალღმერთია. ასეთივე თვისებებით ხასიათდება ქართველთა დალი, აქადელთა იშთარი, შუმერთა ინანა, აფროდიტა, ვენერა, კიბელა და თითქმის ყველა უძველესი ქალღმერთი. ახლა 64 ხვთისშვილიდან ბოლო, 64-ე ხვთისშვილის კოსმიური პერიოდი მთავრდება. ეს ნიშნავს, რომ მთავრდება „იძინის“ – „ცვალებადობათა წიგნის“ 64-ე ჰექსაგრამის კოსმიური ციკლი. მეცნიერებმა 64 ჰექსაგრამა საფუძვლად დაუდეს სამ-

ყაროს გენეტიკურ კოდს – აღმოაჩინეს, რომ თითოეული უჯრედი 64 ნუკლეინის მჟავასგან შედგება, ხოლო, ქართველთა მითოლოგიით, სამყაროს ძირითადი შემოქმედი 64 ხვთისშვილია – 64 ბერი. ეს ქართული ფენომენია და აქედანაა სიტყვები: „იბერია“ და „იბერიის ცივილიზაცია“.

„მორიგე“ ღმერთი – 64 ხვთისშვილია და ყოველი მათგანი არის გიორგი ნაღვარმშვენიერი, ე.ი. ყველა გიორგია, მხედარი, ბედის ბედაურის მფლობელი. ეს ყველაფერი ნიშნავს, რომ **ადამის ცივილიზაციის კოსმიური პროცესის „თავშიც“ და „ბოლოშიც“ „გიორგია“**, რომელიც მთავრდება ახლა, ახ.წ. III ათასწლეულის დასაწყისში. ამ კოსმიურ მოვლენას მითოლოგია ასე გადმოგვცემს: „მორიგის წინაშე 63 ჯვარი იდგა“. **ჩვენ „ბოლო ჟამის“ თაობა ვართ.**

მამა გიორგი ზემოთქმულის შესახებ ამბობს: „თავნი და ბოლონი იტყვიან: გიორგი!“ „ხვთისშვილები დღესაც დადიან დედამიწაზე, განსაკუთრებით კი, ქართველებში!“ „ხვთისშვილები ჩვენი მსგავსი ფიზიკური სხეულებით არიან ჩვენში“. „უდიდეს წმინდანებსაც უჭირთ დღეს დედამიწაზე „მორიგეობა“ – „მორიგე ღმერთის“ როლის შესრულება. წარმოუდგენელ სულიერ ძალებს მოითხოვს მილიონობით ადამიანის უძლურების, ცოდვა-მადლის თვალყურის დევნება. სწორედ სიყვარულის გამო უჭირთ წმინდანებს „მორიგის“ როლის შესრულება“.

რა გვემართება ქართველებს?! ის კოსმიური ცნობიერება, ენა, მამული, სარწმუნოება, რომელიც ერისთვის ყველაზე დიდი ღირებულებებია და ჩვენმა წინაპრებმა დღემდე მოგვიტანეს, უცხო ტომის ხალხები გვართმევენ. ქართველები გადაგვარების გზაზე ვდგავართ. იქნებ დავსვათ კითხვა: ასეთი „მცირე“ ერი უფალმა რისთვის დაგვიფარა და დღემდე მოგვიყვანა? ამ კითხვას მე ასე ვუპასუხებდი: ქართველ ხალხს უდიდესი კოსმიური მისია აქვს – უნდა ღრმად შეიმეცნოს და გააცნობიეროს კაბალას ბიბლიური ჭეშმარიტი ცოდნა, რომელიც თავის სამშობლოს, საქართველოს დაუბრუნდა. ამავდროულად, შეიმეცნოს თავისი თავი და გარე სამყარო, ქართული გენის საიდუმლო გააცნოს და გაუზიაროს მთელ მსოფლიოს. ამას ქართველები თუ არ გავაკეთებთ, თვითონ ქართველები თუ არ ვისაუბრებთ ამ საკითხებზე საერთაშორისო დონეზე, ჩათვალეთ, რომ ჩვენ უფლისა და ხალხის წინაშე ვერ შევასრულეთ კოსმიური მისია. ბოლო ჟამის ამ ცოდნის წარმოჩინებას და აღიარებას ძალიან ბევრი თვით საქართველოში უშლის ხელს და დღეს ცრუ, ვითომდა ახალი იდეებით აბრუებს ადამიანთა ცნობიერებას. ალბათ, ამითაც ვლინდება, რომ ბოლო ჟამის გადარჩევა მიდის – სიცრუე ხომ უდიდესი ცოდვაა უფლის წინაშე. აი, ამიტომ გვეუბნებიან, რომ ძალიან ცოტანი გადავრჩებით.

მამა გიორგი ზემოთქმულის შესახებ ამბობს: „საქართველო მსოფლიო სულიერი მისიის ქვეყანაა არა იმიტომ, რომ ჩვენ ეს გვინდოდა ასე, არამედ იმიტომ, რომ ღმერთმა ასე ინება“. „მართალი სიტყვა, ეს ღმერთამდე მისვლის უმოკლესი და უტყუარი გზაა“. „ქრისტე ღმერთი ბრძანებს: ვაი იმას, ვისგანაც მოდის საცდური“.

მსოფლიოს მეცნიერთა გამოკვლევებით, პრეისტორიული მსოფლიო იბერიულ-კავკასიური ტომებით იყო დასახლებული, ხოლო **საქართველოს ოდითგანვე იბერია ერქვა,** სადაც დღემდეა შემონახული ციკლოპური ქალაქები: ვარძია, უფლისციხე, დავით გარეჯი, რომლებიც ადამის ცივილიზაციამდელი, ანუ იბერიის ცივილიზაციის ძეგლებია. ამისი კვალი საქართველოში მრავლადაა. ბორჯომის ხეობაში აღმოაჩინეს **3** მეტრი სიმაღლის ადამიანთა სამარხები. დავით გარეჯის კლდეზე გამოკვეთილია გიგანტური ორთავიანი დრაკონი, გიგანტური ქართული ასომთავრული ასო-ნიშნები, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ ქართველები არსაიდან არ მოსულან და არიან ადგილობრივი, მკვიდრი მოსახლეობა, რომ ქართველებს ჯერ კიდევ 8000 წლის წინ ჰქონდათ ანბანი. მითები გვეუბნებიან, რომ არგონავტები „кизики“-ში – ქიზიყი-ში მოვიდნენ ოქროს საწმისის წასაღებად. („Мифы народов мира“, в 2-х томах. 1980г. – „Аргонавты“). ქიზიყი არის ქ. სიღნაღის ისტორიული სახელი. ეს ნიშნავს, რომ ქ. სიღნაღი არის უმნიშვნელოვანესი ენერგეტიკული ადგილი; ალბათ, ამიტომ დაასრულა აქ თავისი სიცოცხლე წმ. ნინომ. ასეთი რამ შემთხვევით არ ხდება. აქვე აღვნიშნავთ, რომ ქ. სიღნაღის მუზეუმში ინახება არქეოლოგიური ექსპონატი, რომელზეც მსოფლიოში ყველაზე დიდი მითოლოგიური სიღრმითაა გამოსახული „ოქროს საწმისი“. ყოველივე ზემოთ აღნიშნული, ქართველ ერს მსოფლიოს ხალხების წინაშე წარმოგვაჩენს, როგორც პირველსაწყის ერს. ნუ დავკარგავთ ქართულ ენას და ქართულ გენს, ქართულ სულს და ტრადიციებს!

ჩვენ ბოლო ჟამის ადამიანები ვართ. 2012 წელი კაცობრიობისთვის დიდი კატასტროფების წელი იქნება. სწორედ ქართულ გენზეა დამოკიდებული ბევრი რამ. უნდა შევქმნათ მშვიდი „სანანელი“ – „სან-ან-ელი“, ანუ ახალ ცივილიზაციაში გადასვლის მშვიდი „სასამართლო“. ამისთვის აუცილებელია დავუბრუნდეთ პირველსაწყის მდგომარეობას – ცნობიერებას. ეს ჩვენში შექმნის ისეთ ენერგიას, რომელიც ადამიანს მიიყვანს იმ სულიერ და ფიზიკურ მდგომარეობამდე, რომელიც გადაარჩენს მას. ბოლო ჟამის განკითხვისთვის მოსული ცეცხლის სტიქიის ენერგია გააქტიურდება, იგი თავის თავში მოიცავს ოთხივე სტიქიას: „მიწა“, „წყალი“, „ჰაერი“, „ცეცხლი“, ანუ გააქტიურდება მიწისძვრები, წყალდიდობები, ზღვებიდან და ოკეანეებიდან საფრთხე, ქარიშხლები, აიწევს ტემპერატურა, შეიცვლება პოლუსები, გაქრება პოლარობა. კაბალას ცოდნა გვეუბნება, რომ ამ დროს ხდება დედამიწის ცენტრის – „გულის“ ენერგიის შერწყმა გალაქტიკის ცენტრიდან, ანუ ე.წ. შავი ხვრელიდან ამოსულ ენერგეტიკულ სპექტრთან. დედამიწაზე ყველა და ყველაფერი ამ გამთლიანებული ენერგიის ზეგავლენის გარემოში მოექცევა. ეს ძალიან მნიშვნელოვანია!!! გადარჩებიან ის ადამიანები, რომელთა ცნობიერება დაუბრუნდება პირველსაწყის ცნობიერებას – ეს არის ქართული გენის, ქართული ანბანის, როგორც სამყაროს გენეტიკური კოდის შეცნობა, რომ სამყაროში **ყველა და ყველაფერი ქართული ანბანის კოდით არის მოწყობილი. ის ყველაფერშია და ყველაფერი მასშია.** ამ გზით შეიცნობთ თქვენს თავს და გარე სამყაროს, ვინ ხარ, საიდან მოხვედი და სად მიდიხარ. უსაზღვრო გახდება თქვენი სულიერი თუ ფიზიკური შესაძლებლობები, სწორედ ასეთები იქნებიან ახალი ცივილიზაციის ადამიანები, სწორედ ისინი გადავლენ ცივილიზაციის ახალ ციკლში, ახალ საფეხურზე. მთავრდება ადამის ცივილიზაცია. ყველა და ყველაფერი სამყაროში უბრუნდება პირველსაწყისს. აღარ იქნება სიკვდილი. ეს ყველაფერი უფლის ჩანაფიქრია, მისი დიდი „გეგმის“ ნაწილია. სამყაროში არც დიდი და არც პატარა საქმე უფლის ნების გარეშე არ ხდება. ასეთია პირველ ადამიანთა ცნობიერება.

სამყარო ცოცხალი სხეულია, რომლის თითოეული უჯრედი მუშაობს ჩვენი გონებისთვის ჯერ კიდევ შეუცნობელი დიდი კანონზომიერებით. სამყაროში თითოეულ უჯრედს შეუძლია ინფორმაციის მიღება, შენახვა, გაცემა. სამყაროში ქვეცნობიერ დონეზე ყველამ ყველაფერი იცის. საინტერესოა იმ მექანიზმის ახსნა, თუ როგორ ხდება მათ შორის ინფორმაციის გადაცემა, რომლის დროსაც მანძილს მნიშვნელობა არა აქვს. უფალმა მიბოძა ნათლადსმენის და ნათლადხედვის უნარი, რამაც საშუალება მომცა ამ თემაზე მემუშავა. კვლევის შედეგი ასეთია: **სამყაროს აზროვნების ენა ქართულია. ყოველი მიკრო და მაკრო სამყარო, ყოველი უჯრედი, მხოლოდ ქართულ ენაზე დასმულ კითხვებზე მხოლოდ ქართულ ენაზე იძლევა პასუხს. დნმ-ის ორ სპირალში ქართული ანბანია ჩაწერილი. ქართული ენა არის ენა ქვეცნობიერისა, სულიერი აზროვნებისა. სამყარო ქართულ ენაზე ლაპარაკობს!**

მამა გიორგი ზემოთქმულის შესახებ ამბობს: „წმინდანები, რომელი ერის წარმომადგენლებიც არ უნდა იყვნენ, ერთმანეთში საუბრობენ ერთი ენით და ეს ენა არის ქართული და ოდითგან იყო სასაუბრო ენა“.

გადავარჩინოთ ჩვენი თავიც და მსოფლიოს სხვა ხალხიც. ისინი ქართული გენის ცნობიერების გარეშე ვერ მივლენ პირველსაწყისთან. გავაცნოთ მათ ქართული ენის და ანბანის პირველსაწყისი კოსმიური არსი. ჩვენ კი ნუ გადავალთ ინგლისურ, რუსულ და სხვა ენებზე, არამედ მსოფლიოს ადამიანებს ვასწავლოთ ქართული ენა, ავუხსნათ ამ ფენომენის შესწავლის და შემეცნების აუცილებლობა, რომ მეორედ მოსვლის ჟამს ისაუბრონ უფლის ენაზე – ქართულ ენაზე. მაშინ ისინი შეძლებენ ისაუბრონ მთელ სამყაროსთან. ყველა და ყველაფერი სამყაროში ცოცხალია და ერთმანეთში უფლის ენაზე „ლაპარაკობს“. ჩვენ, ქართველებმა, ეს უნდა გავაკეთოთ. ეს არის ჩვენი კოსმიური მისია. ამით მოვახედოთ მსოფლიო საქართველოსკენ! **ეს იქნება საქართველოს გაბრწყინება!**

სინური მრავალთავი გვაუწყებს წინაპართა წინასწარმეტყველებას: **„მეორედ მოსვლისას მაცხოვარი ამ ენაზე (ქართულ ენაზე) განიკითხავს და ამხილებს ქვეყანას“.** ბოლო ჟამს უფალი კაცობრიობას მათ პირველსაწყის – ქართულ ენაზე აალაპარაკებს. **ქართული ენა ბოლო ჟამის ენაა, ამავდროულად ის აუცილებლად პირველი ჟამის ენაც უნდა ყოფილიყო**, ვინაიდან, ბუნების კანონით, ყველა და ყველაფერი პირველსაწყისს უბრუნდება. ქართული ანბანის კოდით, 2000 წლის შემდეგ მთავრდება ადამის ცივილიზაცია, მანამდე მოხდება

„განწმენდა“ – „გადარჩევა“ და **ახალ კოსმიურ ციკლში ისევ ქართული გენის ადამიანები გადავლენ. ისინი ჩაუყრიან საფუძველს კაცობრიობის ცივილიზაციის ახალ კოსმიურ ციკლს. ეს იქნება „იბერიის“ ახალი ცივილიზაცია!**

მამა გიორგი ზემოთქმულის შესახებ ამბობს: „ჩვენ ბოლო ჟამის სამყოფი ყველაფერი გაგვაჩნია. ღმერთმა შემოგვინახა ყოველივე“. „უფრო ზუსტად და ფარულად აქვს დაგეგმილი ღმერთს ჩვენი გადარჩენა და გაბრწყინება, თანაც ძალიან დიდი ხნის წინ“. „საქართველოს მსოფლიო სულიერი მისია აკისრია“. „ღმერთი მალე აამაღლებს ქართველებს“. „საქართველო გაბრწყინდება!“

ᲛᲔᲗᲘᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲝᲠᲝᲢᲘᲡ ᲐᲠᲡᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲡ ᲪᲘᲕᲘᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐᲨᲘ

„ვარდთა და ნეხვთა ვინათგან
მზე სწორად მოეფინების“.

შოთა რუსთაველი

მსოფლიოს თითქმის ყველა უძველესი ხალხის მითოლოგიით არსებობდა პირველადი სამყაროული „კვერცხი“, რომელშიც ჩატვირთული იყო დროისა და სივრცის „ნაზავი“ შეკუმშულ მდგომარეობაში და სამყაროს ოთხი პირველსაწყისი ელემენტი (დაგონების მითოლოგიით დრო და სივრცე ცალ-ცალკე არ არსებობს); მასში აისახებოდა სამყაროს 4 მხარე, რომლის ზეციურ სამყოფელში სუფევდა ღმერთი „ამმა“. იგი ქმნიდა კვერცხის შიგნით ერთგვარ ენერგეტიკულ სპირალს. პირველსაწყისში მთელი ეს „ნაზავი“ კვერცხის შიგნით აბსოლუტური უძრაობის – „მდუმარეობის“ მდგომარეობაში იმყოფებოდა. მიუხედავად ამისა, „ამმა“-ს ენერგეტიკულ სპირალს ჰქონდა საათის ისრის საწინააღმდეგო მოძრაობის მიმართულება და თავის ცენტრში ქმნიდა „პა“-ს ენერგეტიკულ მარცვალს – ერთგვარ „თვალს“, რომელიც, დაგონების მითოლოგიით, თავის მხრივ, იყო **კოსმიური ტყუპი (ანდროგენი) – ორი ურთიერთსაპირისპირო ენერგიათა ერთიანობა**. როცა ეს „თვალი“ გაიხსნა, წარმოიქმნა საათის ისრის მიმართულების ენერგეტიკული მოძრაობა. „პა“-მ (ამას უკავშირდება ქართული სიტყვა **„პაპა“** – მამრი წინაპარი) დაიწყო განსხეულება, რის შედეგადაც წარმოიქმნა დღევანდელი სამყაროს სპირალურად მოძრავი ვარსკვლავთ სისტემები, რომელსაც ყველა ხალხის მითოლოგია სიცოცხლის „ხე“-ს უწოდებს.



დაგონები

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, თითოეულ მიკრო თუ მაკრო

სამყაროში ჩადებულია კოსმიური „ტყუპი“-ს ენერგია – ორი ურთიერთ-საპირისპირო პირველსაწყისი „ინ“ და „იან“-ი, რომლისგანაც წარმოიქმ-ნა 4 ტყუპი პირველსაწყისი – სამყაროს ოთხი საწყისი (მიწა, წყალი, ჰაერი, ცეცხლი). თითოეული არის კოსმიური ტყუპი და მითოლოგია მათ განიხილავს როგორც 4 მდედრ და 4 მამრ საწყისთა ერთიანობას, რომ-ლებიც წარმოიქმნა პირველსაწყისი „პა“-ს „ტყუპისგან“ – კოსმიური და-ძმისგან. მსოფლიოს ძველი ცივილიზაციის ხალხთა მითოლოგიაშია ასახული კოსმიური და-ძმის თემა, რომელიც ადამის ცივილიზაციაში ორი ურთიერთდაპირისპირებული პირველსაწყისის – ადამის და ევას სახითაა წარმოდგენილი.

შუმერთა მითოლოგიაში ცნობილია ქალღმერთ ინანას სიცოცხლის ხე „მესი“, რომლისგანაც ქალღმერთმა „საწოლი“ და „ტახტი“ გაიკეთა.

სამყაროს შექმნა და განსხეულება, დაგონების მითოლოგიის თანახ-მად, ხდება „ამმა“-ს წინასწარ დასახული გეგმის – „ჩანაფიქრის“ მიხედ-ვით, მაგრამ მოხდა ამ „გეგმის“ დარღვევა – „გზიდან გადაცდომა“, რამაც გამოიწვია სამყაროს არეულობა და „დაბინძურება“. ამ საკითხის გამოს-წორების მიზნით „ამმა“-მ ოთხი ნომმოდან („ნოე“-დან) შეარჩია და „მსხ-ვერპლად შესწირა“ „**ო**“ ნომმო (ქართველები სიტყვა უფალის ნაცვლად წერდნენ „**ო**“ ასო-ნიშანს), რომლის **აღდგომის** შემდეგ სამყარომ მიიღო მისთვის დამახასიათებელი დროითი – სივრცითი სახე და ციურმა მნა-თობებმა დაიწყეს მოძრაობა. დაგონების მითოლოგიით „ამმა“-მ სამყარო ორჯერ შექმნა. სამყაროს პირველ „შექმნად“ მოიაზრებდნენ სამყაროს პირველსაწყის მდგომარეობას კვერცხის შიგნით, სადაც უძრაობაა – მდუ-მარებაა და ერთი დროა – უცვლელია და არ არსებობს წარსული, აწმყო და მომავალი. მეორედ სამყაროს „შექმნად“ წარმოაჩენენ უკვე კვერცხი-დან დროსა და სივრცეში გამოვლინებულ სპირალურ-ენერგეტიკულ მოძ-რავ სამყაროს, რომელშიც დღეს ჩვენ ვიმყოფებით. ამ სამყაროს შექმნის მიზანია „განიწმინდოს“ ეს სამყარო და დაუბრუნდეს პირველსაწყისს – ერთიან და განუყოფელ მარადისობას.

ღმერთებს არ უნდოდათ, რომ ადამიანები მათ დამსგავსებოდნენ, რომ არ გვაჯობონო, რაც არის ღმერთის უპირატესობა ადამიანთან. ასეა როგორც დაგონების, ისე ცენტრალური ამერიკის ხალხთა მითოლოგია-ში. აქედან გამომდინარე, ღმერთმა პირველად ღმერთის დონის ადამიანე-

ბი შექმნა დედამიწაზე, ხოლო მეორედ შექმნა თანამედროვე ადამიანები, რომელთაც თვალზე ე.წ. „ბინდი“ გადააფარა, ანუ თვალები „დაუბურა“. „მებურთვალო“ ჰყავთ ცენტრალური ამერიკის ხალხებს და ქართველებს – გიორგი ნაღვარმშვენიერი არის იგივე „მებურთვალო“.

დასაბამიდან სამყაროს ორი პირველსაწყისი – „ინ“ და „იან“-ი ერთიანი იყო, შემდეგ ისინი გაიყო და დაუპირისპირდა ერთმანეთს. ად-ამის ცივილიზაციის მიზანია, ისევ გააერთიანოს ეს ორი პირველსაწყი-სი და დააბრუნოს სამყარო მარადიულ სასუფეველში. ორ ურთიერთდა-პირისპირებულ ენერგიაშია გამოვლენილი ძირითადად მატერია და სული კეთილისა და ბოროტის სახით. მდედრი – მატერია არის ბოროტი, ავ-სული, ქაჯი, დევი და ა.შ., ხოლო მამრი სული – კეთილი. სამყაროს ორი პირველსაწყისის გათიშვის, დაპირისპირების, დაახლოების და ისევ გაერ-თიანების გენეტიკური კოსმიური პროცესია აღწერილი ყველა ხალხის მითოლოგიაში.

შუმერული მითოლოგიის მკვლევარები აღნიშნავენ, რომ მთელი მითოლოგია ქალის ფენომენის – მატერიის შეცნობის საკითხს უკავ-შირდება.

სიცოცხლის ხის ერთგვარი სიმბოლური გამოხატვაა „ინ“ და „იან“-ის – ორი თევზის გამოსახულება. ის ერთ-ერთი უძველესი ნიშა-ნია ცენტრალური აზიის და შორეული აღმოსავ-ლეთის ხალხთა კულტურაში და სამყაროს ორი პირველსაწყისის დაპირისპირებულ ერთიანობას განასახიერებს. ჩინური ფილოსოფიის თანახმად, „იან“ – ცა, მზე, სითბო, სინათლე, აქტიური მა-მაკაცური საწყისია, ხოლო „ინ“ – პასიური, ქალური საწყისი.

„ინ“ და „იან“

„იან“-ს თეთრი ფერით გამოსახავენ, „ინ“-ს შავი ფერით. მათში ჩახატული პატარა თეთრი და შავი წრეები გამოხატავს აზრს, რომ ეს ორი პირველსაწყისი ერთმანეთის „მარცვალს“ შეიცავს. ითვლებოდა, რომ განვითარების ზენიტის მიღწევისას „ინი“ „იანად“ გარდაისახება. ორ საწყისს შორის თანაფარდობის შენარჩუნება ჩინური რელიგიურ-ფილოსოფიური სკოლის ერთ-ერთ ძირითად ცნებას წარმოადგენს.

აი, რას გვეუბნება სამყაროს ორი საწყისის დასაბამისეულ ერთიანობაზე სხვადასხვა ხალხთა მითოლოგია: ადამის პირველი ცოლი – ლილითი ღმერთმა შექმნა თიხისაგან. ადამსა და ლილითს შორის გაიმართა დავა. ლილითი უმტკიცებდა, რომ **ისინი, ორივე, თიხისაგან იყვნენ შექმნილები**, რაშიც ვერ დაარწმუნა ადამი, გაბრაზდა და მისგან „გაფრინდა“. რაბინთა მოძღვრებით, ლილითი შეიქმნა ადამთან ერთად, იყო მისი ცოლი, შემდეგ კი გაბოროტდა და გახდა ადამიანთა შემცდენი. ლილითი არის შუმერთა მაცდური, ალი, ავი სული. ლილითმა თავისთავზე მიიღო სასჯელი – ყოველდღე ასი ბავშვი მოკვდებოდა მისი შვილებიდან. ერთერთი მითის მიხედვით, ლილითი ფერფლად იქცა ევას შექმნამდე.

დუგლას ზამთარაძე. „ადამი და ევა“.

იგივე საკითხი შუმერში შემდეგნაირადაა გადმოცემული: დედა ქალღმერთი ნინხურსანგა გაბრაზდა წყლის ღმერთ ენკიზე და მიატოვა იგი, ვინაიდან ენკიმ ედემის ბაღში ქალღმერთის მიერ დარგულ 8 მცენარეს ყლორტები მოაცალა და შეჭამა, ენკი ავად გახდა – კვდებოდა. ღმერთებმა სთხოვეს ნინხურსანგას, დაბრუნებულიყო და მომაკვდავისთვის ემკურნალა. **ნინხურსანგა დაბრუნდა ენკისთან ედემში და იგი სიკვდილისაგან იხსნა**.

შეგახსენებთ ერთ ქართულ ლეგენდას „სამყაროს შექმნაზე“: „ღმერთი კლდიდან გადმოდის, მოიწყენს, ჩამოუვარდება ორი ცრემლი. ერთისგან მთავარანგელოზი მიქაელი წარმოიშობა, მეორისგან – მთავარანგელოზი გაბრიელი, მიდიან ერთად. შორს დაინახავენ თეთრ ქვას. ღმერთს ქვასთან მისვლა უნდა, მაგრამ მთავარანგელოზები გზას უხვევენ. ღმერთი გაუწყრება მთავარანგელოზებს და მივა თეთრ ქვასთან; გადაარტყამს მათრახს, ქვიდან ეშმაკი გამოვარდება და ღმერთის ცხენს აღვირში სტაცებს ხელს.

მთავარანგელოზები სთხოვენ, გაუშვას ხელი. **ეშმაკი ღმერთს ეუბნება: მე და შენ ორივე თეთრ ქვაში ვისხედით, ორივე ერთი წარმოშობისანი ვართ.** მე ვარ ქვის გული, როგორც შენ. ამიტომ გამომიყავი მე რაიმე სამყაროდანო“.

ეგვიპტური მითოლოგიით „რა“ – სამყაროს გული, სამყაროული მზე ქმნის მთელ სამყაროს და ადამიანებს.

„რა“-ს დამცველი არის ცეცხლისმფრქვეველი გველი. „რა“-ს სხეული არის ეგვიპტელთა ატონი – მზის დისკო, იგივე „შუ“ – სამყაროს გული. იგი წარმოშობს კოსმიურ ტყუპებს – ანდროგენს, ორი საპირისპიროს – კეთილისა და ბოროტის მრავალმხრივი გამოვლინებით ქმნის სამყაროს – სიცოცხლის ხეს. **ერთხელ კი არ შეიქმნა სამყარო, არამედ დღესაც, ყოველ წუთს და ყოველ წამს იქმნება მიკრო თუ მაკრო სამყარო იმავე გენეტიკური კოდით, რომელიც იყო ცივილიზაციათა დასაწყისში** (ნახეთ აქვე: „სამყაროს შექმნის 6 დღე“).

მსოფლიოს ხალხთა მითოლოგია ორ პირველსაწყისს წარმოაჩენს, გაყოფილს და ურთიერთდაპირისპირებულს, მაგრამ ამის მიუხედავად, ასევე აღნიშნავს, რომ სამყაროს კოსმიური პროცესისთვის **ორივეს არსებობა აუცილებელია, ორივე თავის ფუნქციას ასრულებს**. მაგ. აღმოსავლეთი განიხილავს მათ ურთიერთდაპირისპირებულ და ჰარმონიულ თანაარსებობას, ხოლო დასავლეთი – ორ ურთიერთსაპირისპირო პირველსაწყისთა ჰარმონიულ თანაარსებობას გვიქადაგებს უკვე ქრისტიანობის პერიოდიდან, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

აი, რას ამბობს ამის შესახებ მსოფლიოს ხალხთა მითოლოგია: შუმერული მითების მიხედვით, ანუნაკები დაბალი რანგის უარყოფითი ხვთაებებია. მათი სამყოფელია ქვესკნელი, სადაც ისინი მკვდართა სამართალს არჩევენ. ბაბილონური კოსმოგონიის მიხედვით, მარდუკმა 300 ანუნაკი ქვესკნელში გაამწესა, 300 – ცაში. ერთ მითში ისინი შედარებულნი არიან პირველყოფილ ადამიანებს – არ იცოდნენ პურის ჭამა, სამოსელით შემოსვა, ცხვრებივით პირით ძოვდნენ ბალახს და არხებიდან სვამდნენ წყალს.

ზოგჯერ ანუნაკები დიდ ღმერთებად არიან მოხსენიებულნი: „ანუნაკები, დიდი ღმერთები, იკრიბებიან: ბედისწერის შემქმნელი ღმერთები მათთან ერთად ბედისწერას გადაწყვეტენ, დაადგენენ სიკვდილ-სიცოცხ-

ლეს, სიკვდილის დღეს არ გააცხადებენ“. „დედამიწა ანუნაკთა ველად იწოდებოდა. „**ან**“ – ცის ღმერთმა ანუნაკები შექმნა ცისა და მიწის მთაზე მაშინ, როცა ჯერ კიდევ არაფერი იყო ქვეყანაზე შექმნილი“. ეს ნიშნავს, რომ ორი პირველსაწყისი, „**ან**“ ცის ღმერთმა, სამყაროს შექმნამდე შექმნა.

შუმერთა რწმენა-წარმოდგენებით, ანუნაკები მარდუკთან ერთად აქტიურად მონაწილეობენ სამყაროს შექმნასა და მასში მიმდინარე კოსმიურ პროცესებში (ცნობილია მარდუკის 50 სახით გამოვლინება – იგივე ქართველთა ხვთისშვილები).

აღმოსავლეთის ზეციური მხედარი ტენგრი, რომელიც ცხოვრობს 33 სამეფოში (რაც ქართული ანბანის მხედრულ 33 ასო-ნიშანს უკავშირდება), იგივე ქართველთა წმინდა (თეთრი) გიორგი, განიხილება, ერთი მხრივ, როგორც კეთილი ღმერთი, ხოლო მეორე მხრივ – როგორც ბოროტი ღმერთი. მაშასადამე, კოსმიური მხედარი მითოლოგიაში არის ორივეს – კეთილის და ბოროტის გამოვლინება, ანუ **ორივე საწყისი ერთშია**.

„ქაჯი“ უპირისპირდება და არ ემორჩილება უზენაეს ღმერთს. ხვთისმეტყველებს უჭირთ ამის ახსნა, ჩვენთვის ეს მიუწვდომელიაო. ეს შეიძლება უბრალოდ აიხსნას: ქვეყნად ორი საწყისია – კეთილი და ბოროტი, მდედრი და მამრი, მატერია და სული და ა.შ. ისინი ერთმანეთს არ ემორჩილებიან, ანუ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მოქმედებენ, მაგრამ თანაარსებობენ და ორივე მონაწილეობს სამყაროს მოწყობასა და მასში მიმდინარე კოსმიურ პროცესებში.

ეს სამყარო იქითა სამყაროსთან მიმართებაში **ორმაგად გადაბრუნებული** სარკის პრინციპითაა მოწყობილი და ორივე ერთად მიკრო თუ მაკრო სამყაროს ქმნის. ეს ნიშნავს იმას, რომ ორმაგად გადაბრუნების შემთხვევაში მათი ენერგიები არა დაპირისპირებული, არამედ ერთ მხარესაა მიმართული. ეს საკითხი გენეტიკური კოდის ორ სპირალში აისახება, სადაც ორივე სპირალი ერთი მიმართულებითაა დახვეული. მაშასადამე, ორივე საწყისი ერთი მიმართულებით მოძრაობს, ანუ „ერთ საქმეს ემსახურება“.

შეგახსენებთ ნაწყვეტს იობის წიგნიდან:

„ერთ დღეს მოვიდნენ ხვთისშვილები უფლის წინაშე წარსადგომად, სატანაც მოვიდა მათ შორის“ (იობ.თ.1.6).

მსოფლიოს ყველა ხალხის ცნობიერებაში ბოროტების სიმბოლოა

გველი – დრაკონი. სიტყვა გველი – ებრაელებთან მამრობითი სქესისაა, რომელიც მინდვრის ყველა გველზე ცბიერი იყო. გველი, შექმნილი იაჰვეს მიერ, აცდუნებს ადამის ცოლს. მან იცის სიმართლე, რომ აკრძალული ხილის ჭამით ადამიანები არ მოკვდებოდნენ, როგორც ემუქრებოდა იაჰვე, არამედ **გახდებოდნენ ღმერთების მსგავსნი, რომელთაც იციან კეთილის და ბოროტის არსი**.

გველი დაცემული ანგელოზია ყურანის და აგადების ლეგენდებითაც.

ქრისტიანული სწავლებით გველი არის იგივე სატანა და ეშმაკი, რომელსაც მიღებული აქვს გველის სახე. გველი არის მაცდურის და ბოროტების გაცხადება.

ერთ-ერთი გადმოცემით, გველმა „იცხოვრა“ ადამის ცოლთან, ამის შემდეგ ორივეს თვალი აეხილა, ხედავდნენ თავიანთ სიშიშვლეს და რცხვენოდათ.

ქართული ცნობიერებით, გველი არის ფალოსი. ერთ-ერთ მღვდელს სძულდა თავისი შვილები, თვლიდა, რომ „ისინი გველის გაჩენილები არიანო“. ამ აზროვნების ანარეკლია ქართულ ენაში შემდეგი გამოთქმა – „შე გველის წიწილო“. ალექსანდრე დიდის, სციპიონის, ავგუსტუსის დედებს ესიზმრათ, რომ შვილები გველთან გააჩინეს. „გველი“ – ფალოსი არის გამანაყოფიერებელი – სიცოცხლის საწყისი, რომლითაც იქმნება ახალი ადამიანი – სიცოცხლის ხე. შეგახსენებთ, რომ წმინდა მარიამს ქრისტე მამის გარეშე ჩაესახა.

მითოლოგიური მასალა გვიდასტურებს, რომ გველის – ფალოსის მფლობელი კაცია. კაცი ცდილობს, გამოისყიდოს დანაშაული ხატის წინაშე – ხატში სალოცავად მხოლოდ კაცები მიდიან, მსხვერპლს სწირავენ, ხოლო ქალს უკრძალავენ ხატთან მისვლას. ქართველ მთის ხალხთა რელიგიურ რიტუალებში დღემდე მხოლოდ მამაკაცები მონაწილეობენ.

მას შემდეგ, რაც კაცმა და ქალმა ერთ სახლში ერთად დაიწყეს ცხოვრება, გველმა მათთან დაისადგურა. გველი ქართველებთან შვილიერების – ნაყოფიერების ხვთაებას უკავშირდებოდა. ზოგჯერ მას ფუძის ანგელოზსაც უწოდებენ. საქართველოში გერგეთის სალოცავის კარის თავზე გამოსახულია რგოლურად მოკეცილი გველი, რომელიც საკუთარ კუდს პირით ეტანება. რგოლში წარწერაა: **„ყველაფერი ერთიანია“**.

მოხვევები სახლის კარებზე კუდებგადაგრეხილ ორ გველს გამოსახავდნენ, ჩინელები „ოქროს საწმისის“ არსს გამოსახავდნენ ქალისა და კაცის სახით, რომლებსაც ხელში მდედრისა და მამრის სიმბოლოები უჭირავთ და წელს ქვემოთ კუდებგადაგრეხილი გველები არიან. ხეთების „ოქროს საწმისის“ ცხვარზე ქალი დგას, კაცს ჩრდილის – „საჩრდილობელის“ სახე აქვს და მათ შორის გველია გამოსახული. გველი რომ ფალოსთანაა დაკავშირებული, ამის დასტურია სამყაროს ოთხი საწყისის სიმბოლური გამოსახულება ალჟირის ერთ-ერთ გამოქვაბულში, რომელზედაც ქალი და კაცი – საკმაოდ დაშორებული ერთმანეთისგან და მხოლოდ ფალოსით არიან დაკავშირებულნი, ქალი მზეა, რაზეც მიგვანიშნებს მისი აწეული ხელები და ხელებზე დაკიდებული სხივები, რომლებიც მითოლოგიით გულიდან გამოდის. ამ სცენაში წარმოდგენილი არსებები სამყაროს ოთხი საწყისის სიმბოლური გამოსახულებებია, ხოლო ფალოსით დაკავშირებული, ანუ შეუღლებული ქალი და კაცი, ცეცხლის სტიქიის – „მზის“ – „ოქროს საწმისის“ სიმბოლური გამოსახულებაა. „ოქროს საწმისის“ ენერგეტიკული გამოხატულებაა პატრიარქის კვერთხი – კადუკეუსი, რომელზეც ბოლოებგადაგრეხილი ორი გველია შემოხვეული.

კადუკეუსის ემბლემატური გამოსახულება

საქართველოში, დავით გარეჯში, ერთ-ერთი კლდის წვერზე ორთავიანი გიგანტური დრაკონია გამოკვეთილი, ზედ ადგას კოშკი. სამყაროს პირველი ადამიანები დრაკონზე დადგმული კოშკის სახით ბაბელონის გოდოლს გამოსახავდნენ.

ორთავიან გველს სცემდა თაყვანს როგორც აღმოსავლეთი, ისე დასავლეთი – ცენტრალური ამერიკის უძველესი ხალხი. მათი უზენაესი ღმერთი კეცალკოატლი – ბუმბულებიანი ორთავიანი გველი – მოვიდა **„ამომავალი მზის ქვეყნიდან“**. მას ეცვა გრძელი თეთრი სამოსი და წვერს ატარებდა. მან ასწავლა ადამიანებს მეცნიერება, გონივრული წეს-ჩვეულებები და კანონები, შექმნა სამეფო, მაგრამ რატომღაც, იძულებული გახდა, მიეტოვებინა ეს ქვეყანა. მან აიღო კანონები, დამწერლობა, სიმღერები და იმავე გზას დაადგა, საიდანაც მოვიდა. მივიდა ზღვის ნაპირზე, კიდევ ერთხელ იქადაგა თავისი სიბრძნე, იტირა და ბოლოს თავი დაიწვა. მისი გული დილის ვარსკვლავად გადაიქცა (ვენერა – აფროდიტა). მას დაბრუნების აღთქმა დაუდვია. კეცალკოატლის ცა მხრებითა და ხელებით უჭირავს, იგივე მექსიკელთა ატლანტი – სამყაროს გონის სიმბოლო. მწვანეფრთებიანი გველი, სამყაროს და ადამიანების შემქმნელი, სტიქიების გამგებელი, ცისკრის ვარსკვლავის ხვთაებაა.

ალჟირის გამოქვაბულის კედლის ნახატი

სული, ნათელგამოვლენილი მატერიაში, არის ადამიანის სხეული. მატერიის და სულის გამოვლინებაა დედაკაციც და მამაკაციც – ორივე კაცია, ორივეშია მდედრის და მამრის ორი პირველსაწყისი. ადამიანის მარცხენა მხარე მდედრია, ხოლო მარჯვენა – მამრი. ადამიანი ათასწლეულების მანძილზე ცდილობდა მხოლოდ მდედრი ან მამრი ყოფილიყო, ანუ მომხდარიყო საბოლოო გათიშვა ქალისა და კაცის; ამიტომ ფიქრობდნენ, რომ წინადაცვეთის დროს კაცი კარგავდა თავის ქალურ საწყისს, ხოლო ქალი ქალწულობის დაკარგვის დროს კარგავდა მამაკაცურ საწყისს, მაგრამ ეს მცდარი შეხედულებები იყო. სამყაროს „ინ“ და „იან“ ორი პირველსაწყისი გენეტიკური კოდის დონეზეა ჩადებული ადამანსა და ყოველ მიკრო თუ მაკრო სამყაროში, რომელსაც ზემოთ მოხსენიებული წესებით ადამიანიდან ვერ ამოშლი.



ხეთების ოქროს საწმისიანი ცხვარი

შუმერში მარადიული სიცოცხლის ბალახის მფლობელი გველია. არსთა წრებრუნვის კოსმიურ სურათში თეთრ ცხენზე მჯდომი მხედარი (მამაღმერთის ერთ-ერთი სახე) სინამდვილეში არ ებრძვის და არ კლავს

ექვსეშვიან სპილოსთავიან გველს, რომელსაც არსთა წრებრუნვის კოსმიურ პროცესში თავისი ფუნქცია აქვს.

სამყაროს ორი საწყისის ურთიერთობა სამყაროს კოსმიურ პროცესში ყველაზე კარგად და თანმიმდევრულადაა წარმოჩენილი ქართულ მითებში, სადაც ორი პირველსაწყისი, მართალია, ურთიერთდაპირისპირებულია, მაგრამ ორივე აქტიურად მონაწილეობს სამყაროში მიმდინარე კოსმიურ პროცესებში, ორივე იკრიბება მორიგე ღმერთთან. ზოგჯერ მორიგე ღმერთი მათ იცავს კიდეც, ბოლოს უარყოფითი ენერგიის მატარებელი სულები კარგავენ თავის ძველ, უარყოფით სახეს და ხდებიან დადებითნი და ჰარმონიულნი. აი, რას გვეუბნება ქართული მითები ყოველივე ამის შესახებ: „ზესკნელი ღმერთებისა და ქალღმერთების სამყოფელი იყო. იქ ასვლის ნება მხოლოდ ხვთისშვილებსა და ავი სულების მბრძანებლებს ჰქონდათ“. „ღმერთები და ხვთისშვილები მორიგე ღმერთთან მზის ჩასვლის შემდეგ იკრიბებიან და ქვეყნიერების ამბებს მოახსენებენ. იქ ბოროტ ხვთაებებსაც შეეძლოთ მისვლა“. „ყველა ხვთისშვილი დევებთან იბრძვის, რათა ქაჯთა ცხოველები მოიპოვონ“. „სუმბათ დევი შავ მთვარეს ჰგავდა, კოპალას ეგონა, ბაადურმა დევის სახე მიიღო და მეხუმრებაო“ (ე.ი. ხვთისშვილებს შეეძლოთ ხანდახან დევის სახე მიეღოთ). „დევებს თავისი დასახლებები ჰქონდათ, ზოგ შემთხვევაში ადამიანები და დევები მეგობრობდნენ, ეძმობილებოდნენ – ვერხველა დევი და უთურგა“. „დევების ქორწილის“ მითის მიხედვით, სიძე არის დევი, სახელად „ბერა“. „ცხრათავიანი ქაჯების მბრძანებელთან და სხვა მავნე სულების მბრძანებლებთან ერთად მორიგე ღმერთის კარზე შეკრებებსაც ესწრებოდნენ ხოლმე. მათ მორიგესთან იმიტომ იწვევდნენ, რომ **ისინიც დამბადებელი ღმერთის მიერ იყვნენ შექმნილები**. ავი სულები ცდილობდნენ, რომ მორიგეს კარზე მეტი ძალაუფლება მოეპოვებინათ და ხვთისშვილები შეევიწროვებინათ, არ ერიდებოდნენ სიცრუეს და ცილისწამებას. ქაჯები, ჭინკები, ალები, კუდიანები და სხვა ავი სულები ცდილობდნენ, რომ ადამიანები დაეშორებინათ თავიანთი მფარველი ანგელოზისთვის, ადამიანური გზიდან აეცდინათ და დაეღუპათ. ამისათვის მრავალ საცდურს იყენებდნენ, მაგრამ მორიგე ღმერთის თანაშემწეები – იასაულები, მეენეები, მეყურადეები მათ ხშირად ამხნევებდნენ და ბოროტ ზრახვას უფუშავდნენ“. ზოგჯერ დევები ადამიანებს სხვა დევისგან იცავდნენ, არაფერი დაუშაოსო (მითი „დევის

ქორწილი“). „ხშირად დევები და ავსულები ერთმანეთში ჩხუბობდნენ“. „ორშაბათობით მორიგე ღმერთის წინაშე წარსდგებოდნენ ავი სულების უფროსები და ხვთისშვილები, სადაც მოახსენებდნენ მას ერთი კვირის განმავლობაში მათ მიერ ჩადენილ კარგ და ცუდ საქმეებს“.

„დავლათი – ზებუნებრივი ძალაა, ვისაც მხარზე დააჯდება, ყოველთვის წარმატებას აღწევს. დავლათიან ადამიანებს ბოროტი ძალების არ ეშინიათ, მიდიან კიდეც მათ დასამარცხებლად და ხვთისშვილების მსგავსად იმარჯვებენ“.

ერთ-ერთი ქართული მითის მიხედვით, ერთხელ დავლათიანი თუში, სახელგანთქმული მონადირე მექობარი სანადიროდ წავიდა, თან 12 ვაჟკაცი მონადირე წაიყვანა. გზაზე გაწოლილ ერთ გველეშაპს მიადგნენ, იმხელა იყო, ვერ გადააბიჯეს – გზას არ აძლევდა, რომ გაევლოთ. ეს გველეშაპი ადამიანთა მოყვარული აღმოჩნდა, ხიდივით გაიდო მდინარეზე და მონადირეებს ანიშნა, ზედ გადამიარეთ და მდინარეზე გადადითო – „ვეშაპ გაიდო ხიდადა, იქნა ბრძანება ხვთისაო“. იქ მეორე გველეშაპი დახვდათ, რომლისთვისაც სულერთი იყო – ვის შეჭამდა: დევს, ქაჯს თუ ადამიანს. ამ ორ გველეშაპს შორის გაიმართა ბრძოლა – „ვეშაპი ვეშაპს შეება, იქნა დაქცევა ცისაო“, კეთილ ვეშაპს დავლათიანი მექობარი მიეხმარა: „მექობარის მახვილი ვეშაპს მორივით ჭრისაო“ (საერთო მტრის წინააღმდეგ ერთად იბრძვიან ვეშაპი და ადამიანი). ტბის დიდი გველეშაპი დაამარცხა პატარა კეთილმა გველეშაპმა და გადაარჩინა დავლათიანი თავისი 12 მეგობრით, შემდეგ წაიყვანა ისინი და უზარმაზარ გამოქვაბულს – დევის სადგომს მიადგა. პატარა გველეშაპმა დიდ გველეშაპს შვილები დაუხოცა; მერე გამოქვაბულიდან საბრძოლო იარაღი გამოიტანა და თავის ქომაგებს დაურიგა...

ერთ-ერთ სვანურ მითში „მონადირე“ ჩორლა შეუყვარდა ერთ-ერთ დალ-დედოფალს. მონადირემ უამრავი ჯიხვი მოკლა, რაც დალ-დედოფალს არ მოეწონა. დალ-დედოფალმა თავისივე შექმნილ უამრავ დალის უბრძანა, შეებოჭათ მონადირე და მასთან მიეყვანათ. ჩორლას თან ჰყავდა ძაღლი. შებოჭეს ჩორლა და კლდეზე გაკიდეს. ძაღლი სახლში გაიქცა მაშველის მოსაყვანად. გზაში ჯგრაგი – წმინდა გიორგი შეხვდა. ჩორლას მფარველი ძაღლი მას გაუძღვა და ერთ-ერთი დალის კლდესთან მიიყვანა. ეს დალი ჩორლას სიყვარულის გამო გამოეძევებინათ სხვა დალებს. იგი

ცხარედ ტიროდა. ჯგრაგი დალებს დაემუქრა ისე, როგორც მოტირალმა დალიმ დაარიგა. **დალებმა მიუგეს – „რას გვერჩი, ჩვენო უფალოო“**. ამ მითის მიხედვით უფალი ერთია ადამიანებისთვის და დალებისთვისაც.

ქართველთა ხვთისშვილები მუდმივად ებრძვიან დევებს, ქაჯებს და სხვა უარყოფით არსებებს, რათა მოიპოვონ ქალღმერთის წმინდა ცხოველები, რომლებიც ქალღმერთის – სფინქსის სხეულის ნაწილებია. ოთხი წმინდა არსება – ლომი, ირემი, არწივი და „ქალი“, სამყაროს ოთხ საწყისს (მიწა – წყალი – ჰაერი – ცეცხლი) უკავშირდება და მათ ერთ კომპოზიციაში სფინქსის სახით გამოსახავდნენ. ბოლო ხვთისშვილი იახსარი მოიპოვებს იმ ქალს – სამძივარს, რომელიც მსოფლიოს ხალხთა მითოლოგიით სფინქსის ქალღმერთია, იგივე მზე, იახსართან ერთად ქმნის გამთლიანებულ მზეს, ცეცხლის სტიქიას, ოქროს საწმისის ენერგიას, რასაც ქართველები ბორჯღალით – მბრუნავი მზის სიმბოლოთი გამოსახავენ.

დღევანდელი საზოგადოებისთვის ცნობილია ე.წ. „სახადი“ დაავადებები, ანუ „ბატონები“: წითელა, ქუნთრუშა, ყბაყურა და სხვა. როგორ იქცევა ამ დროს ადამიანი?! უძველეს ხალხთა რწმენა-წარმოდგენებით ამ დროს მათთან მისული არიან „ბატონები“. იმისთვის, რომ ეს პროცესი – მათი „სტუმრობა“ არ გართულდეს, ადამიანები ატარებენ ერთგვარ ღონისძიებებს: უმღერიან, უმასპინძლდებიან ტკბილეულით, ხმამაღლა საუბარს – ყვირილს და ჩხუბს ერიდებიან, „ბატონების“ გაბრაზება არ შეიძლება, მხიარულობენ, წითლებით იმოსებიან – ავადმყოფს წითელ საბანს ახურავენ, წითლებს აცმევენ. ამ რიტუალში გამოვლინდება დამოკიდებულება **კეთილის და ბოროტის მიმართ, სწორედ აქ ჩანს, რომ ორივეს ერთნაირი პატივით და მოწიწებით ეპყრობიან**.

მოვიყვანოთ ნაწყვეტი ერთ-ერთი ქართული მითიდან – „ჭაბუკი მონადირე და ქაჯავეთის ასული“, სადაც უკვე „გარდასახული“ ქაჯის ქალი ქმართან ერთად ბრუნდება მშობლების სახლში: „წავიდნენ ქაჯავეთში. ვაჟს პირველად ქაჯებთან ყოფნა გაუჭირდა, რადგან ისინი ადამიანებისგან განსხვავდებოდნენ; გაჩეჩილი თმები და ბეჭებზე გამობმული ფრთები ჰქონდათ, ფეხები წვრილი და დაგრეხილი, **ფეხის კოჭები კი შებრუნებული**; მამამისი **ამობრუნებულ ტახტზე იჯდა** და რიყის კენჭებით მოჭედილი **გვირგვინი უკუღმა ეხურა**“. ეს ქართული მითი მიგვანიშნებს

იმაზე, რომ ქართველებისთვის ჯერ კიდევ შორეულ წარსულში, როცა მითები იქმნებოდა, იცოდნენ, რომ **იქითა სამყარო ამ სამყაროსთან მიმართებაში ორმაგად გადაბრუნებული სარკის პრინციპზეა შექმნილი**. ამაზე მიგვანიშნებს შემდეგი სიტყვები: „ამობრუნებულ ტახტზე იჯდა“, „გვირგვინი უკუღმა ეხურა“ და „ფეხის კოჭები შებრუნებული ჰქონდა“. ამ მინიშნებებით ქაჯეთის ქვეყანა იქითა სამყაროსთან მიმართებაში ორმაგად გადაბრუნებულად მოიაზრება.

ღმერთი ზესკნელიდან ამირანის დასასჯელად ჩამოვიდა და საყვედურობს ამირანს: „მჭედლები შეგივიწროებია, კეთილი საქმეების ქმნასაც უშლი და შენი მომრევი ცასა და მიწაზე არავინ მიგაჩნია, შავი ღრუბლების ბატონს უკითხავად ქალიც კი მოსტაცეო“. „ბოლოს დევები ცოტანიღა იყვნენ დარჩენილები, მათი ბოროტი თანამოძმეები ისე ამოეწყვიტათ ხვთისშვილებს, რომ ცოცხლები მოთვინიერდნენ, თავიანთ ძალ-ღონეს შრომაში ხარჯავდნენ და კმაყოფილებიც იყვნენ“. „თვით ქაჯეთელ ქალს ახალგაზრდა, ლამაზი მონადირე ისე შეუყვარდა, რომ **დაიჭრა გრძელი ფრჩხილები და ცეცხლში ჩაყარა**“. აქ ნათელია „ინ“ და „იან“ ურთიერთდაპირისპირებულ ძალთა კოსმიური ცვალებადობა. ქაჯის ქალის მიერ გრძელი ფრჩხილების მოჭრა და ცეცხლში ჩაყრა მიგვანიშნებს იმაზე, რომ ეს კოსმიური პერიოდი დაკავშირებულია „ცეცხლის“ სტიქიასთან – „ოქროს საწმისის“ ენერგიის კოსმიურ პერიოდთან. ამ დროს ისინი აღარ იქნებიან დაპირისპირებულნი, ბოროტი და უარყოფითი ძალები, არამედ იქნებიან მოთვინიერებულნი და ჰარმონიულნი.

შუმერებს სწამდათ, რომ ადამიანთა ყოველგვარი უბედურების მიზეზი მათივე ცოდვები და დანაშაული იყო; და, რომ დედამიწის ზურგზე არ არსებობს უცოდველი ადამიანი. ისინი ასწავლიდნენ, რომ ყოველგვარი ადამიანური ტანჯვა განპირობებულია ამა თუ იმ მიზეზით, რომ ყველაფერში თვით ადამიანები არიან დამნაშავენი და არავითარ შემთხვევაში – ღმერთები. მათი რწმენა-წარმოდგენებით, თითოეულ ადამიანს თავისი „პირადი“ ღმერთი ჰყავდა. ქართველთა ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, ქართველებს სწამდათ, რომ თითოეულს თავისი მფარველი ანგელოზი ჰყავდა, რომელიც დღესაც აკონტროლებს ადამიანის საქციელს და ფიქრებს. თითოეული ადამიანის ავადმყოფობა შედეგია მისი არასწორი საქციელის და აზროვნების, ადამიანის ყოველი უჯრედი ცოცხალი

არსებაა და ისინი კარნახობენ – უბიძგებენ ადამიანებს ამა თუ იმ საქციელისკენ. ამის მიხედვით, ადამიანის ესა თუ ის უჯრედები „ისჯებიან“ ან „ჯილდოვდებიან“. გულწრფელი მონანიების შემდეგ ზოგჯერ მათ ეპატიებათ და ხდება ადამიანის გამოჯანმრთელება. ადამიანმა რომ იცოდეს, უანგარო სიკეთის და სიყვარულის გაცემის დროს უკან რა ოდენობის დადებითი ენერგია უბრუნდება, საერთოდ შეიცვლიდა ცხოვრების წესს და მხოლოდ „ათი მცნების“ და თომას სახარების ცხოვრებისეული კანონებით იცხოვრებდა. **ეს არის მარადისობაში დაბრუნების გზა, სადაც ჰარმონიულადაა შერწყმული ორი ურთიერთსაპირისპირო პირველსაწყისი.**

ორი პირველსაწყისის – მატერიის და სულის გათიშვასთანაა დაკავშირებული ადამიანების სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი. ხალხმა იცოდა, რომ ყოველ დაბადებას სიკვდილი მოსდევდა, მაგრამ ეს როდის მოხდებოდა, არავინ უწყოდა.

უწინდელ დროში ადამიანებს სჯეროდათ, რომ ბედი ცაში იწერებოდა და ამ ბედს ზეციური ბედის მწერლები განაგებდნენ, მაგრამ ადამიანები მაინც ცდილობდნენ, ეძიათ უკვდავება. მსოფლიოს სხვადასხვა ხალხთა მითოლოგიაში მრავლადაა **უკვდავების მაძიებელი გმირები**. ქართული მითი – „უკვდავების მაძიებელი ჭაბუკი“ სწორედ ამ საკითხს ეხება, სადაც იგი მიდის უკვდავების – მარადიული სიცოცხლის მოსაპოვებლად. გზაში ხვდება ირემი, ტახი, ქორი (სამი სტიქია – მიწა, წყალი, ჰაერი), რომლებიც ჰპირდებიან ჭაბუკს ხანგრძლივ, მაგრამ არა მარადიულ სიცოცხლეს. ის მათთან არ რჩება და აგრძელებს გზას. ბოლოს მიადგება ისეთ ქვეყანას, სადაც მხოლოდ ქალები ცხოვრობენ, რომელთაც თავიანთი დედოფალი ჰყავთ. მან უკვდავების მაძიებელ ვაჟს უთხრა: „მე უკვდავება ვარ, მარადიული სიცოცხლე, იგი ჩემშია და ჩემთან არის; მაგრამ შეიძლება აქ ვერ გაძლო, შენი სხეული მიწისგან არის შექმნილიო“. ვაჟმა იქორწინა დედოფალზე. ბოლოს მოენატრა თავისიანები და წავიდა თავის ქვეყანაში (დაბრუნდა დედამიწაზე), მაგრამ აღარავინ და არაფერი დახვდა, ყველა მისიანი გარდაცვლილიყო. ამასობაში დაბერდა, ბოლოს გაახსენდა დედოფლის – მეუღლის მიერ მიცემული ვაშლი, შეჭამა და ისევ გაახალგაზრდავებული დაბრუნდა უკვდავთა ქვეყანაში. ამ მითში მოყვანილი „ვაშლი“ არის „სამოთხის ხის“ ნაყოფი – აკრძალული ხილი, ნაყოფი „ხე ცნობადისა“.

„სამოთხის ხე“ მითოლოგიაში ცნობილია, როგორც კეთილისა და ბოროტის შემეცნების ხე: „აღმოაცენა ღმერთმა ხე ცხოვრებისა და იგი ცნობად კეთილისა და ბოროტისა“ (დაბ. 2-9).

უთხრა ღმერთმა ადამიანს: „ჭამე ყველა ხის ნაყოფი ბაღში, გარდა შემეცნების ხის ნაყოფისა, რამეთუ იმ წუთას მოკვდები“. თუ გავითვალისწინებთ, რომ სიკვდილი არის სულის ჩამოსვლა სხეულში – მატერიაში – „ჭურჭელში“, აქ მოიაზრება ის, რომ ადამიანის სიკვდილი არის ამქვეყნად მოსვლა და მისი სხეული აუცილებლად განსხეულდება ორ ურთიერთსაპირისპირო ენერგიათა თანაარსებობით. ხეთების კოსმოგონიური აზროვნებით, სამყარო არის „ინ“ და „იან“ – მატერიისა და სულის, მდედრის და მამრის ერთიანობა, რომელსაც აკავშირებს გველი. სწორედ გველია შემოხვეული იმ სიცოცხლის და შემეცნების ხეზე, რომლითაც განსხეულებულია ნებისმიერი მიკრო და მაკრო სამყარო, ეს არის ორი პირველსაწყისის – კეთილის და ბოროტის – ინ და იან-ის განსხეულება და სწორედ ამ სხეულში არსებობის, ცხოვრების პერიოდში თუ შეიცნობს ადამიანი კეთილისა და ბოროტის არსს, ის თვითონ ხდება ღმერთი. სწორედ ამ საკითხის შეცნობა აიყვანს და დააბრუნებს ადამიანს ხვთაებრივ ცათა სასუფეველში, სადაც მხოლოდ ღმერთები ცხოვრობენ.

კეთილს და ბოროტს ერთი საწყისი აქვთ. ამის ნათელი მაგალითია ბიბლიის ძველი აღთქმის მეორე წიგნი – „გამოსვლა“, რომლის მიხედვითაც უფალი მიდის მოსესთან, აგზავნის მას ფარაონთან და არიგებს, გადასცეს ფარაონს უფლის სიტყვები: „გაუშვი ჩემი ხალხი (ეგვიპტიდან), რომ დღესასწაული გამიმართონ უდაბნოში“ (გამოს. 5-1). უფალმა მოსე რამდენჯერმე გაგზავნა ფარაონთან მსგავსი თხოვნით და მუქარით, რასაც უფალი მალევე ასრულებდა. საინტერესო ის არის, რომ იგივე უფალი მიდიოდა ფარაონთან, „გულს უსასტიკებდა“ და უარით ისტუმრებდა მოსეს. მეტიც, თვით მოსეს ეუბნება უფალი: „გულს გავუსასტიკებ ფარაონს და უკან დაგედევნებათ“. აქედან ჩანს, რომ ორივე დაპირისპირებულ მხარესთან მიდის უფალი და ორივეს ერთმანეთის საწინააღმდეგოდ განაწყობს. ეს საკითხი ნათელი მაგალითია იმისა, რომ ორივე ურთიერთსაპირისპირო აზრის – კეთილის და ბოროტის უკან უფალი დგას და ეს კარგად იცის მოსემაც და ფარაონმაც, ამასთანავე, ორივე არის უფლის სიტყვის შემსრულებელი.

ანტიქრისტე არის ქრისტეს საპირისპირო, მისი ყალბი ორეული, რომელიც გამოჩნდება დროთა დასასრულს და იქნება დამარცხებული. ქრისტიანული სწავლებით, იგი არის ცოდვილი ადამიანი.

2000 წლიდან დაიწყო ბოლო ჟამი – ცეცხლის სტიქიის ათასწლეული, სახარება გვეუბნება და აღწერს კოსმიურ პროცესს ცეცხლით განწმენდის შესახებ. აქედან გამომდინარე, ახლა არის ანტიქრისტეს მოსვლის ჟამი. ანტიქრისტე არ იქნება ერთ ადამიანში მოსული. იგი მოვა უხილავად, მისი უარყოფითი ენერგია სამყაროში ყველაზე და ყველაფერზე აისახება. ადამიანები მას შეიგრძნობენ შემდეგნაირად: **ანტიქრისტე იმოქმედებს ადამიანთა გულებზე და გონებაზე, რათა გახდნენ მართალზე და სამართლიანობაზე მოქალადე, ეცდებიან, ძალადობით დაამტკიცონ სიცრუე, დაკარგონ ადამიანობა და ყოველგვარი ადამიანური ღირებულება**. ანტიქრისტეს გავლენა ყველაზე მეტად საქართველოზე ექნება, ყველაზე დიდი და ძლიერი სულიერი ბრძოლები იქნება საქართველოში, ყველაზე დიდი და მკაცრი განწმენდა და ზემოქმედება ექნება ქართულ გენზე, ვინაიდან ამ გენის ხალხი იწყებს და ამთავრებს კაცობრიობის ცივილიზაციათა ციკლებს – ეს არის იბერიულ-ქართული გენი. ამ გენის მატარებელი ხალხი არის ხვთისშვილთა პირდაპირი შთამომავალი. ხვთისშვილები კი „უკვდავნი და მარადიულნი არიან“. **ქართული გენი პირველსაწყის მარადისობაში ჩადებული გენეტიკური კოდია და იმავე მარადისობაში მხოლოდ ქართული გენის მატარებელი ხალხი დაბრუნდება**. ამ გენის მატარებელი დღეს მხოლოდ ქართველები არ არიან. ერთ დროს მთელი მსოფლიოს ხალხი ერთ ენაზე ლაპარაკობდა და ეს იყო ქართული ენა, რომელიც, წინასწარმეტყველებით, ასევე ბოლო ჟამის ენაა. სწორედ ამ მიზეზით, **ანტიქრისტეს საქმეთა გამოვლენა საქართველოში იქნება ყველაზე ძლიერი და თვალსაჩინო, უკიდურესად მაქსიმალურად და ძლიერად თავს იჩენს უსამართლობა, ძალადობა, სიცრუე, ადამიანური ღირებულებების მიწასთან გასწორება, ბრძოლა და ძალადობა ყოველგვარი ქართულის, ქართული ენის და ქართველი ხალხის წინააღმდეგ. ეს იქნება მცდელობა მარადიული საწყისი გენის განადგურებისა, რათა ამ გენმა არ მიაღწიოს ცივილიზაციის ბოლომდე**

– ახ. წ. 4000 წლამდე, რათა არ გადავიდეს ადამის ცივილიზაციის ახალ ციკლში.

ამავე პერიოდში ხდება მეორე მნიშვნელოვანი რამ – **დედამიწაზე უფალიც მოვიდა**. როგორც თომას სახარება გვამცნობს, შეიცვალა დამოკიდებულება ბოროტებასთან – მოციქულები და წმინდა მამები გვიქადაგებენ უკვე მანამდე არსებულის საპირისპირო დამოკიდებულებას, პატიების და სიყვარულის გზას, რაც ბოროტებას ძალას უკარგავს. ხვთაებრივი სიყვარულის ენერგია დაიფარავს პირველსაწყის იბერიულ-ქართულ გენს და ეს პროცესიც პარალელურად მიმდინარეობს: ქართველ ერს დავიწყებული ჰქონდა, ვინ იყო, ვინ არის და რა მისია აკისრია კაცობრიობის წინაშე. ეს ცნობიერება საქართველოში უკვე დაბრუნდა – **კაბალას ბიბლიური პირველსაწყისი კოსმიური ცოდნა თავის სამშობლოს – საქართველოს დაუბრუნდა**, გაიხსნა სამყაროს ბევრი კოსმიური საიდუმლო, რაც განაპირობებს ქართული გენის მარადისობაში დაბრუნების საკითხს. ეს უკვე მოხდა – **იბერიულ-ქართულმა გენმა დაიმკვიდრა გზა მარადისობისკენ**. ამ საკითხს ეძღვნება ეს წიგნი.

მათეს სახარება გვეუბნება: „თქვენ გსმენიათ, რომ თქმულა: თვალი თვალისა წილ და კბილი კბილისა წილ. ხოლო მე გეუბნებით თქვენ: ნუ აღუდგებით წინ ბოროტს; არამედ ვინც შემოგკრავს მარჯვენა ყვრიმალში, მიუშვირე მას მეორეც“ (მათე 5-38, 39). „თქვენ გსმენიათ, რომ თქმულა: გიყვარდეს მოყვასი შენი და გძულდეს მტერი შენი. ხოლო მე გეუბნებით თქვენ: გიყვარდეთ თქვენი მტერნი; დალოცეთ თქვენი მაწყევარნი; კეთილი უყავით თქვენს მოძულეთ და ილოცეთ თქვენსავ მდევნელთა და შეურაცხმყოფელთათვის. რათა იყოთ თქვენ შვილნი მამის თქვენის ზეციერისა, ვისაც თავისი მზე ამოჰყავს კეთილთა და ბოროტთათვის და წვიმას უგზავნის მართალთაც და უსამართლოთაც“. „იყავით თქვენ სრულყოფილნი, როგორც სრულქმნილია მამა თქვენი ზეციერი“ (მათე 5-43, 44, 45, 48). „როგორც თქვენ გსურთ მოგექცნენ კაცნი, თქვენც ასევე მოექეცით მათ; ვინაიდან ესაა სჯული და წინასწარმეტყველნი“ (მათე 7-12).

ამ ცნობიერებაში ახლებურად შესვლა არის სწორედაც სამყაროს ღვთიური კოსმიური პროცესების ახალი აღქმა. როგორი ცხოვრებისა და ურთიერთობების წესებიც იყო ადრე, ქრისტეს და მის მოციქულთა მიერ უარყოფილია. აღარ უნდა იყოს დაპირისპირება, არამედ საჭიროა

მტერთან (უარყოფით და დაპირისპირებულ ადამიანებთან) ჰარმონიული თანაარსებობა, მათ გადასარჩენად ლოცვა. ეს გზა, ამავე დროს, არის ყველა ადამიანის ხსნის გზა – უფლისკენ მარადისობაში მიმავალი გზა. მარადისობა კი პირველსაწყისია, სადაც ეს ურთიერთსაპირისპირო ენერგია ერთარსში იყო პირველსაწყისშივე ჩადებული. ყველა და ყველაფერი სამყაროში პირველსაწყისს უბრუნდება. ამაზე მიგვანიშნებს კეთილის და ბოროტის ჰარმონიული თანაარსებობისკენ განვითარებული დინამიკა, გადმოცემული, თუნდაც, ქართული მითოლოგიით. აღმოსავლეთის მითოლოგია ორ პირველსაწყისს განიხილავს არა როგორც ურთიერთდაპირისპირებულს, არამედ, აუცილებელს, რომლებიც ჰარმონიულად, ერთდროულად თანაარსებობენ. **სამყარო ორი პირველსაწყისისგანაა შექმნილი და ორივე ერთად განაპირობებენ მის განვითარებას ადამის ცივილიზაციაში**, რომელშიც სამყაროს პირველსაწყისი ორ ურთიერთსაპირისპიროდაა გამოვლენილი, რაც აუცილებელი და საჭირო ფაქტორია. ამ ორ პირველსაწყის ურთიერთსაპირისპირო ველშია მთელი სამყარო, დედამიწა და ყველაფერი, რაც მასშია. ამის მნიშვნელოვანი მაგალითია ის, რომ ადამიანში მარცხენა მხარე მდედრია, ხოლო მარჯვენა მხარე – მამრი. ლოცვის დროს შეერთებული ხელის მტევნები მდედრი და მამრი საწყისების ენერგიათა შეერთების გამოვლინებაა, რაც ცეცხლის სტიქიის – მზის ხვთიურ ენერგიას ქმნის. იქეთა – საიქიო სამყაროც ამ სამყაროს ორმაგად საპირისპიროა, მაგრამ ორივე ერთიანია და განუყოფელი.

ორი ურთიერთსაპირისპიროს გამომხატველია სიტყვები „კეთილი“ და „ბოროტი“. ზემოთ განხილული მასალა წარმოჩინებაა იმისა, რომ **ORIVE – KETILIC DA BOROTIC UFLISGANAA DAWVebULI CVENS GAMOsacdelad da CVENS SULIERAD „GASAzRdelad“. ar arsebobs „KETILI“ DA „BOROTI“. es PIROBiTi cneba-bia, romelic TviTon adamianma GanacalkeVa da GanasxvaVa**. პირველსაწყისი სამყაროსთვის და ჩვენი სულის ჩამოსაყალიბებლად ორივე აუცილებელი და საჭიროა. ამ საკითხის წარმოჩენაა ზემოთ განხილული მასალა. **„კეთილის“ და „ბოროტის“ ნამდვილი არსის შეცნობა არის უფლისკენ მიმავალ გზაზე სიარული**. ეს არის უფლის ჩანაფიქრი – დიდი გეგმის ნაწილი. უფლის გარეშე არაფერი არ ხდება ქვეყანაზე, არც დიდი და არც პატარა საქმეები.

მხოლოდ მართალი, წმინდა და უანგარო სიყვარულის ცხოვრების წესი მიიყვანს ადამიანს კეთილის და ბოროტის სიცოცხლის ხის „ნაყოფის შეცნობამდე. როცა მიხვდები, რომ სამყაროში უფლის გარეშე არაფერი არ ხდება და ყველაფერი – როგორც კეთილი, ისე ბოროტი – აუცილებელია, უფლის შექმნილია, ყველა და ყველაფერი თავის კოსმიურ მისიას ასრულებს, მაშინ ჩამოგიყალიბდება გამთლიანებული აზროვნება და შენს წინაშე მოსულ როგორც სიკეთეს, ისე ბოროტებას მიიღებ როგორც აუცილებელს შენი სულიერი ჩამოყალიბებისთვის. რაც მეტად იცდები, სულიერების უფრო მაღალ საფეხურზე ადიხარ“.

კოსმიური და-ძმა

ყველა ხალხის რელიგიაში ანდროგენი ხვთაება მოიაზრება როგორც სრული და სრულყოფილი – სიმბოლო ერთიანი, დაუნაწევრებელი „ორი მზის“ ერთიანობისა (ქართველთა ბოლო ხვთისშვილი დობილიანი იახსარია, რომელიც თავის დობილთან ერთად მოიაზრება როგორც ნახევარღმერთები – ნახევარმზეები და ქმნიან მთლიან მზეს). პირველსაწყისში ისინი იყვნენ ერთიანნი, შემდეგ მოხდა მათი გაყოფა. ადამის ცივილიზაციის დასასრულს, ახლა ორი პირველსაწყისი ისევ გამთლიანდა – შეერთდა, ანუ მოხდა კეთილისა და ბოროტის შეცნობა – გამთლიანება, რასაც **მსოფლიოს ყველა ხალხის მითოლოგია კოსმიური „და-ძმის“ სახით წარმოაჩენს და გამოსახავს ცეცხლის სტიქიის – ოქროს საწმისის – გამთლიანებული მზის – ბორჯღალის სახით**.

ადამიანი თვითონ არის სამყარო სამყაროში და არის ორი პირველსაწყისის ერთიანობა. ყოველი ადამიანის მარცხენა მხარე მდედრია, ხოლო მარჯვენა – მამრი. იმისთვის, რომ ადამი, როგორც სამყარო, დაბრუნდეს პირველსაწყისში, მან თავის თავში უნდა შეიმეცნოს სიცოცხლის ხე – „ხე კეთილისა და ბოროტისა“ და დღევანდელი რელიგიური ცხოვრების გზით თავის თავში გააერთიანოს, გაამთლიანოს ორი ურთიერთსაპირისპირო საწყისი – კეთილი და ბოროტი არა ბოროტებით, არამედ სიყვარულით.

ადამის ცივილიზაციის კოსმიური ხვთიური ჩანაფიქრია სამყაროს

პირველსაწყის მარადისობაში დაბრუნება, სადაც არის მარადიული დრო და სივრცე – ორი პირველსაწყისი, რომლისგანაც შეიქმნა სამყარო, სადაც „დრო“ – არის პირველსაწყისი ხვთიური ენერგია, გავიხსენოთ ქართული სიბრძნე – „დრონი მეფობენ და არა მეფენი“; სამყაროს ძირითადი შემოქმედი ხვთიური ენერგია „დროის“ ენერგიაშია გაცხადებული – ნათელგამოვლენილი, ხოლო სივრცე არის მატერია, სული მატერიით ნათელგამოვლინდება – „დრო“ „დაო“-ა, რომელიც „დე“-თი გამოვლინდება, „დაო“ და „დე“ ერთია – „დაო“ იგივე „დე“-ა. ეს საკითხი კარგადაა ჩამოყალიბებული აღმოსავლეთის კოსმოგონურ ცოდნაში, თუმცა სიტყვები „დაო“ და „დე“ – ქართული ფენომენია. ვინაიდან „დაო“ და „დე“ ერთმანეთის გარეშე არ არსებობს და ერთარსია, ამიტომ ჩვენს მიერ „კეთილისა“ და „ბოროტის“ – ორი პირველსაწყისის შეცნობა აუცილებელი და გარდაუვალია, რათა სამყარო დაუბრნდეს პირველსაწყის მარადისობას.

აღმოსავლეთის მითოლოგიაში (ინდოეთი, ვედები) „დევი“ არის სამყაროს დიდი დედაქალღმერთი, რომელშიც გამოვლინებულია პირველსაწყისი მდედრი ენერგია. „დევი“ – ხვთაებრივი ენერგიის დედაქალღმერთია, რომელიც ერთდროულად არის „დედა“ და „მამა“ – ორივე ხვთაებრივი პირველსაწყისის მატარებელია. შუმერთა ქალღმერთი ინანა-იშთარი, შუააზიის კიბელა, ქართველთა დალი, დღისით წვეროსანია – მეომარი და მამრია, ხოლო ღამით სიყვარულის ქალღმერთია, ე.ი. ღმერთი თვით არის ურთიერთსაპირისპირო ორი საწყისის ერთიანობა.

მომავალში ადამიანები თავიანთი ცნობიერებით ავლენ ღმერთების დონემდე და ერთ ენაზე, ღმერთების ენაზე – ქართულ ენაზე ალაპარაკდებიან. ადამიანს გაეხსნება უნარი, ესმოდეს ყველას და ყველაფრის საუბარი – სამყაროში ყველა და ყველაფერი ერთმანეთს აზროვნების ენით უკავშირდება და ეს არის ქართული ენა. ქართულ ენას არა აქვს სიტყვათა დაბოლოებებში მდედრის და მამრის განსხვავება; მაშასადამე, მასში ორი პირველსაწყისი ენერგეტიკულად გამთლიანებული, ერთიანი და ჰარმონიულია. სრულ თანხმობაში მყოფ სამყაროში ყველა და ყველაფერი „თანხმობის და ჰარმონიის“ ერთ ენაზე ისაუბრებს.

თვით სამყარო არის ორ ურთიერთსაპირისპირო, ერთიან და განუყოფელ, ერთმანეთის მიმართ ორმაგად გადაბრუნებულ სამყაროთა

ერთიანობა, რაც კაბალას ბიბლიურ კოდში სრულადაა წარმოჩენილი.

მსოფლიოს ყველა ხალხის მითოლოგია აღიარებს, რომ სამყაროს საწყისი დედაქალღმერთია, მასშია სამყაროს ორივე პირველსაწყისი. ამის კიდევ ერთი დასტურია ეგვიპტის ქალაქ ნაქამადიში ძვ. წ. IV-III ს.ს. აღმოჩენილი ქალღმერთ იზიდას ჰიმნი:

„რამეთუ მე ვარ პირველი და მეორე უკანასკნელი;
მე ვარ პატივცემული და მოძულებული;
მე ვარ მრუში და წმინდანი;
მე ვარ ცოლი და ქალწული;
მე ვარ დედა და შვილი;
მე ჩემი დედის ხელები ვარ;
მე ბერწი ვარ, მაგრამ უთვალავი შვილი მყავს;
მე ბედნიერი ვარ ქორწინებაში და არ ვარ გათხოვილი.
მე ის ვარ, ვინც შვილებს აჩენს და ის, ვინც ვერასოდეს
მოგცემს შთამომავლობას.
მე ვამსუბუქებ მშობიარობის ტკივილებს;
მე ვარ ქმარი და ცოლი და სწორედ მე გავაჩინე ჩემი ქმარი;
მე მამაჩემის დედა ვარ;
მე ჩემი ქმრის **„და“** ვარ, თაყვანი მეცით მარად,
რამეთუ მე ავზნიანი ვარ და დიდსულოვანი“.

რომაელთა იზიდას ერთ-ერთ ტაძარს აწერია: „მე ვარ ყველაფერი რაც არის, იყო და იქნება და არც ერთ მოკვდავს არ ძალუძს ოდნავადაც ახადოს ჩემი საბურველი – პირბადე“.

აქ მოყვანილი ჰიმნი იზიდას შესახებ გვამცნობს, რომ ქალღმერთს კიდევ თავისი დედა ჰყავს. ამაზე მიგვანიშნებს შემდეგი სიტყვები: „მე ჩემი დედის ხელები ვარ“, რაც ნიშნავს იმას, რომ ქალღმერთ იზიდას „ხელებით“ მისი დედა თავის მისიას ასრულებს ამ ქვეყანაზე.

მოგვიანებით ქრისტიანებმა წარმართობის პერიოდის დედა ქალღმერთი ხვთისმშობელ მარიამთან გააიგივეს. ვფიქრობ, ამის საფუძველი არის ის, რომ „ქრისტე იყო უწინარეს ყოველთა საუკუნეთა“, ანუ ის იყო ჯერ კიდევ პირველსაწყისში – ვიდრე სამყარო დროსა და სივრცეში გან-

სხეულდებოდა. ქალღმერთ იზიდასადმი მიძღვნილი ჰიმნი გვეუბნება, რომ ჩვეულებრივი მოკვდავი ვერ ჩაწვდება სამყაროს ორი პირველსაწყისის საიდუმლოს. ეს მოხდება მაშინ, როცა **ადამიანი ავა ისეთ სულიერ დონეზე, როცა გაეხსნება მესამე – გონითი თვალი, ავა ღმერთების ცნობიერების და შესაძლებლობების დონეზე – იქნება უკვდავი და დამკვიდრებული ცათა სასუფეველის მარადისობაში**.

ᲨᲔᲘᲪᲐᲜᲘ ᲗᲐᲕᲘ ᲨᲔᲜᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲘᲪᲜᲝᲑ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲡ ᲒᲔᲜᲔᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲝᲓᲘᲡ ᲡᲐᲛᲘ ᲡᲞᲘᲠᲐᲚᲘ

დღეისათვის მეცნიერებმა აღმოაჩინეს გენეტიკური კოდის ორი სპირალი, რომელებიც თითოეულ უჯრედშია განთავსებული და სამყაროს ოთხი საწყისის 64 კომბინაციითაა შექმნილი სამწნულების – ტრიპლეტების სახით. მათ ზოგადად ნუკლეინმჟავებს უწოდებენ. მეცნიერებმა ტრიპლეტთა 64 კომბინაცია დაუკავშირეს ჩინეთის ბიბლიური კაბალას ცოდნის – „იძინის“, „ცვალებადობათა წიგნის“ 64 ჰექსაგრამას. ჩემი გამოკვლევით, ეს საკითხი პირდაპირი ასახვაა ქართველთა მითოლოგიაში გადმოცემულ 64 ხვთისშვილისა, რომლებიც უკვდავნი და მარადიულნი არიან, ამასთანავე, მოიაზრებიან სამყაროს შემოქმედ ღმერთებად. კაბალას ბიბლიური კოდი სრულყოფილად და ზუსტად მსოფლიოში არსებულ ანბანთაგან მხოლოდ ქართულ ანბანში აისახება და ქმნის გენეტიკური კოდის ორ სპირალს.



ყაჩაღანის ჯვრის ფრაგმენტი **კოპტური ჯვარი**

ქართველთა წინაპრებისთვის გენეტიკური კოდის ორი სპირალის საკითხი, ჯერ კიდევ, შორეულ წარსულში იყო ცნობილი. ხევსურეთში ერთ-ერთ ქვაზე აღმოჩენილია ოთხი ხაზით შედგენილი ორი სპირალი, რაც გენეტიკური კოდის ოთხ საწყისს ასახავს. ყაჩაღანის ჯვარზე ასახულია ოთხი ე.წ. კოპტური ჯვარი – ☥ ეგვიპტელთა „ანხ“-ი, ჩასმული ბოლნური ჯვრის ოთხ სამკუთხედს შორის. ეს გამოსახულება მთლიანად

სამყაროს გენეტიკურ კოდთანაა დაკავშირებული. დღეს მსოფლიოს მოაზროვნე საზოგადოება გენეტიკური კოდის ორ სპირალს „ინ“ და „იან“-ის სახელით მოიხსენიებს. ე.წ. კოპტური ჯვარი ვერტიკალური და ჰორიზონტალური ნაწილებისგან შედგება. ჯვრის ჰორიზონტალური ნაწილი, როგორც ყაჩაღანის ჯვრიდან ჩანს, მდედრ „ინ“ ენერგიას ასახავს, რომელიც ქალის ორგანიზმში „X“ ქრომოსომით გამოვლინდება. კოპტური ჯვრის ვერტიკალური მდგენელი მამრ „იან“ – „ი-ან“ ენერგიას გამოხატავს, რომელიც თავის მხრივ „ინ“ და „ან“ ენერგიათა ერთობაა და მამაკაცის „XY“ ქრომოსომაში აისახება. ეს საკითხი სიმბოლიკის ენით გადმოცემულია შემდეგნაირად: „კოპტური“ ჯვრის ვერტიკალური ხაზი მამრი ენერგიის გამოვლინებაა, ხოლო თავზე წრე-მდედრის; ორივე ერთად „იან“ – მამრის ენერგიის გამომხატველია, რომელიც XY მდედრის და მამრის ქრომოსომებით ხასიათდება.

კოპტური ჯვარი პლანეტა ვენერას – ცისკრის ვარსკვლავის სიმბოლოა, უკვდავ ქალურ საწყისს განასახიერებს, განუყოფელ ტრიადას შეადგენდა მზესთან და მთვარესთან. აცტეკების მითოლოგია ვენერას სიკვდილ-სიცოცხლის მისტერიას უკავშირებდა და თავის მრისხანე ხვთაებასთან კეცალკოატლთან აიგივებდა.

კოპტური ჯვრის სიმბოლური გამოსახულება უხსოვარი დროიდან მოდის. მსოფლიოს უძველესი ხალხი მას „სიცოცხლის საწყისს“ და „სიცოცხლის გასაღებს“ უწოდებდა.

მითოლოგიაში ე.წ. კოპტური ჯვარი „სიცოცხლის ხისა და ნაყოფიერების სიმბოლოა“, რომელიც „ინ“ და „იან“ ურთიერთსაპირისპირო ძალთა ჰარმონიული თანაარსებობით იქმნება. ადამიანიც ერთგვარი სიცოცხლის ხეა. სწორედ ამიტომ, ბიბლიური კაბალას კოდში გადმოცემულია ადამიანის, როგორც სამყაროს შექმნის და დროში ცვალებადობის გენეტიკური გზა. ყოველი ადამიანი ორი – მდედრი და მამრი საწყისებისაგან შედგება, რასაც „ინ“ და „იან“ ძალთა ერთიან კოსმიურ პროცესს უწოდებენ. ადამიანის, როგორც სამყაროს გენეტიკური კოდის **„ინ“ მდედრ საწყისს შეესაბამება გენეტიკური კოდის ერთი სპირალი, ხოლო „იან“ მამრ საწყისს – „ი-ინ“ და „ან“-ის შესაბამისი ორი სპირალი**; მაშასადამე, **ადამიანის გენეტიკური კოდი სულ სამი სპირალისაგან შედგება: ერთი „ინ“ მდედრის სპირალი და ორი „ი-ან“-ის სპირალი,**

რაც ჯერჯერობით მეცნიერებაში არ არის აღმოჩენილი. ეს ცოდნა ქართველთათვის ცნობილი იყო ჯერ კიდევ შორეული წარმართობის პერიოდში. ე.წ. „კოპტური“ ჯვრები ქართველებთან თანამედროვე ქრისტიანობასთან არ არის დაკავშირებული და ეკუთვნის წარმართობის იმ პერიოდს, როცა ქართველები ანგელოზებს სქესით გამოსახავდნენ, ისინი სწორ ჯვარს აღიქვამდნენ გულში ბოლნური ჯვრის გამოსახულებით, როგორც სამყაროს განსხეულებას. თავის მხრივ, ბოლნური ჯვრის სამკუთხედებს შორის მოთავსებული იყო ე.წ. **კოპტური ჯვრები სიცოცხლის პირველსაწყისი ხვთიური ენერგიის ასახვაა, რომელიც ადამიანის, როგორც სამყაროს ჩასახვის მომენტიდან იწყებს სპირალურ მოძრაობას და მატერიის ოთხ საწყისში განსხეულდება. საკითხის ასეთი ღრმა ცოდნა ჰქონდათ ქართველებს და სწორედ ეს კოსმიური პროცესია ასახული ყაჩაღანის ჯვარზე.**



მაიას ცივილიზაცია

ქართველებმა ჯერ კიდევ შორეული წარმართობის დროიდან იცოდნენ, რომ ადამიანი ბიბლიური კაბალას ქართული ანბანის გენეტიკური კოდით ისევე ჩაისახება და ვითარდება, როგორც სამყარო. ქართველები გენეტიკურ

კოდში არა ორ, არამედ სამ სპირალს მოიაზრებდნენ. ეს სამყაროს პირველ ადამიანთა აზროვნებაა. იმ დროს ადამიანები ერთ ენაზე საუბრობდნენ და ეს იყო ქართული ენა. „ინ“-ი და „იან“-ი ქართული ენიდან დარქმეული სახელებია: „ან-1“ ქართული ანბანის პირველი ასო-ნიშანია და კაბალას ცოდნაში მისი სახელია „ზეციური მამა“; „ინ-10“ ქართული ანბანის მეათე ასო-ნიშანია და კაბალას ცოდნით, მისი სახელია „ბედის ბორბალი“, „ქალბატონის მუდმივი ხელისუფლება“.

ბიბლიურ რიცხვთა კაბალას კოსმიური ცოდნა გვეუბნება: „1 ქმნის 2-ს, 2 ქმნის 3-ს და სამი ყველაფერს“. ეს არის ბუნებისა და სამყაროს კანონი. ეგვიპტური ბიბლიური კაბალას კოდის-ტაროს არკანების (საიდუმლოს) მიხედვით, პირველი საიდუმლო არის „ზეციური მამა“ – „ადამიანი“ – „მამა“, პირველი ხვთაებრივი საწყისი, შესაბამისი ციფრია „**1**“ და ქართული ანბანის ბიბლიური კოდით, „**ა-ან-1**“ ასო-ნიშანი შეესაბამება. ღმერთმა ადამიანი თავის ხატად და მსგავსად შექმნა.

მეორე საიდუმლო არის „ქალღმერთი“ იზიდა, „ტაძრის კარიბჭე“, „ქალი“, „დედა“, ჰაერი – ხვთაებრივი მატერია, აზრი – მეცნიერება, შესაბამისი რიცხვია **2** და ქართული ანბანის ბიბლიური კოდით, „**ბ-ბან-2**“ ასო-ნიშანი შეესაბამება.

ტაროს III არკანი არის დედოფალი, დედაბუნება, ვენერა, აფროდიტა, ხვთაებრივი ბუნება, წყალი, ნაყოფი – დაბადება, ოჯახური კერის ბედისწერაზე ზრუნვა. შეესაბამება ციფრი **3**, რაც, ქართული ანბანის ბიბლიური კოდით არის, „**გ-გან-3**“ ასო-ნიშანი.

ბიბლიური კაბალას ცოდნის მიხედვით, კენტი რიცხვები მამრობითი ენერგიის, ხოლო ლუწი რიცხვები – მდედრობითი ენერგიის მატარებლად ითვლება.

ციფრი **3** ამ შემთხვევაში არა „მამრი“, არამედ „მდედრია“ – როგორც გამონაკლისი შემთხვევა. ეს არკანი არის „ასული“ და ხასიათდება როგორც „უსქესო“, ვინაიდან „დედოფალი“ არც „ინ“-ია და არც „იან“-ი, ეს არის „შუა“, დამაკავშირებელი რგოლი, საპირისპიროთა გამაერთიანებელი. გავიხსენოთ ქალღმერთი „ინანა“ – „ინ-ან-ა“, რომელიც აერთიანებს ორ ურთიერთსაპირისპირო „ინ“ – მდედრ და „იან“ – მამრ ენერგიებს. შუმერული მითოლოგიით, ქალღმერთი „ინანა“, იგივე „შუ“, ცასა და მიწას შორის მდგომია, ხელებით ცის თაღის შემკავებელია, ხოლო ფეხებით მიწას ეხება. ამავე დროს, ის დღისით მამრი და მეომარია, ხოლო ღამით სიყვარულის ქალღმერთია, ანუ დამაკავშირებელი „რგოლია“ ორი საპირისპიროსი – ცისა და მიწის.

ბიბლიური კაბალას მესამე არკანის კოსმიური პროცესია ასახული მაიას ტომების ამ სურათზე: **მარცხნივ კოსმიური მდედრი საწყისია გამოსახული ხელში ერთი სპირალით**, რომელიც გენეტიკური კოდის „ინ“ საწყისის მიმანიშნებელია, **მარჯვნივ – კოსმიური მამრი ხელში ორი სპირალით**, რაც გენეტიკურ კოდში „ინ“ და „ან“, ანუ „იან“ მდედრი და მამრი ორი სპირალით გამოვლინდება. შუაში ჩანს მათი დამაკავშირებელი „რგოლი“ – „შუ“, რომელიც კაბალას ცოდნით – უსქესოა, მდედრია, ანუ მასში ორივე სქესი მოიაზრება – „ინ“ და „იან“ საწყისების ერთიანობის გამოვლინებაა. დღეისათვის ცნობილია, რომ მდედრისა და მამრის შეუღლებით – შეჯვარებით – ჯვრისწერის შედეგად – სექსუალური კავშირით ჩაისახება ბავშვი – ნაყოფი, რომელიც პირველი რამდენიმე კვირა უსქესო არსებაა, ანუ მასში ორივე სქესი – მდედრი და მამრი პირველსაწყისია ჩადებული, ბავშვის სქესი მოგვიანებით ვითარდება. სწორედ ეს კოსმიური პროცესია ასახული ბიბლიური ეგვიპტური კაბალას ტაროს მესამე არკანში, რომლის მიხედვითაც, ეს სამი ქმნის ადამიანში ყველაფერს და ამ კოსმიურ პროცესს შეესაბამება ადამიანის კვერცხუჯრედის განაყოფიერებიდან პირველი სამი დღე. მეოთხე დღეს იწყება ღეროვანი უჯრედების წარმოქმნა, რაც არის „შესაქმის“ პირველი დღე. ამ დღის შესაბამისი კოსმიური პროცესი აისახება ტაროს მეოთხე არკანში. ღეროვანი უჯრედების წარმოქმნა გრძელდება ექვსი დღე, ხოლო მეშვიდე დღეს, ანუ საწყისიდან მე-10 დღეს, ეს ექვს დღეში შექმნილი იწყებს წრებრუნვით მოძრაობას, რომელსაც, კაბალას ცოდნით, „ბედის ბორბალი“ და „ქალბატონის მუდმივი ხელისუფლება“ ეწოდება. მას ქართული ანბანის – ბიბლიური კაბალას გენეტიკური კოდით შეესაბამება „**ი-ინ-10**“ ასო-ნიშანი. სწორედ ამ საკითხს უკავშირდება ის ფაქტი, რომ ადამიანის გული ჩასახვიდან მე-10 დღეს იწყებს ფეთქვას. ზემოაღნიშნული საკითხი წარმოაჩენს, ბიბლიის მიხედვით, სამყაროს **6** დღეში შექმნის კოსმიური პროცესის საიდუმლოს, რომელიც ეხება უშუალოდ ადამიანის სამყაროს „შექმნას“.

ბიბლიური კაბალას ცოდნა სამყაროს გენეტიკური კოდის შესახებ, რომელიც მხოლოდ ქართულ ანბანში აისახება, გვაუწყებს, რომ სამყაროს

არსებობა და განვითარება დაიწყო ე.წ. „დიდი აფეთქებით“. ეს საკითხი ნათლადაა წარმოჩენილი კაბალას ცოდნაში, რომელიც გვეუბნება, რომ ე.წ. **„დიდი აფეთქება“ ეხება „ადამიანი“-ს სამყაროს, რომელიც ანალოგია მთელი სამყაროსი**. ამაზე მიგვანიშნებს კაბალას ცოდნის პირველი „საიდუმლო“, რომლის სახელია **„ადამიანი“**.

თუ დავაკვირდებით, შევისწავლით და შევიმეცნებთ ადამიანის კვერცხუჯრედის განაყოფიერების პირველ სამ და მომდევნო ექვს დღეს, შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ სამყაროს ე.წ. „დიდი აფეთქების“ საიდუმლო ამოხსნილია.

ზემოთ მოყვანილი საკითხი ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ როგორც ქართველთა, ისე მაიას ტომების უშორესი წინაპრებისთვის ცნობილი იყო ადამიანის, როგორც სამყაროს განვითარების მთლიანი გენეტიკური პროცესი და ეს ასახულია ქართულ ანბანში გენეტიკური კოდის სახით. ასევე **ოდითგანვე ცნობილია, რომ „ინ“ და „იან“ ურთიერთსაპირისპირო მდედრი და მამრი საწყისები უჯრედში არა ორი, არამედ სამი სპირალით აისახება, რაც მეცნიერებაში ჯერ კიდევ არ არის აღმოჩენილი**. ეს საკითხი რომ ქართველთა წინაპრებისთვის ჯერ კიდევ წარმართობის დროს იყო ცნობილი, გვიდასტურებს ყაჩაღანის ჯვარზე გამოსახული ოთხი ე.წ. **კოპტური ჯვარი** ხილვით მიღებული კოსმიური ინფორმაციაა, რაც სამყაროს „ინ“ და „იან“ ორი პირველსაწყისის – ცეცხლის სტიქიის – „ოქროს საწმისის“ კოსმიური გამოსახულებაა (ნახეთ აქვე: „ყაჩაღანის ჯვარი – ადამიანის სამყაროს შექმნა“), **რომელშიც გენეტიკური კოდის სამი სპირალი აისახება.**

შეიცანი თავი შენი და შეიცნობ სამყაროს!

ქრისტიანობა – მართლმადიდებლობა კაცობრიობის მარადიული და საყოველთაო რელიგიაა

„უახლოეს მომავალში შავი ზღვის სანაპიროზე გაიხსნება ცოდნა ქრისტეს ნამდვილი სწავლების შესახებ“.
სატია საი ბაბა

დედამიწაზე ადამიანის არსებობის ყველა პერიოდში იყო წმინდა სამების – მამის, ძისა და სულიწმინდის აღქმა და თაყვანისცემა. გავიხსენოთ „მრწამსის“ ლოცვა:

„მრწამს ერთი ღმერთი, მამა ყოვლისა მპყრობელი, შემოქმედი ცათა და ქვეყანისა, ხილულთა ყოველთა და არა ხილულთა;

და ერთი უფალი იესო ქრისტე, ძე ღვთისა მხოლოდშობილი, მამისაგან შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა. ნათელი ნათლისაგან, ღმერთი ჭეშმარიტი ღვთისაგან ჭეშმარიტისა, შობილი და არა ქმნილი, ერთ-არსი მამისა, რომლისაგან ყოველი შეიქმნა...“

ეს სიტყვები სამყაროს შესაცნობად ძალიან ბევრის მთქმელია. სამყარო უსასრულო განზომილებათა დროისა და სივრცის უსასრულო ჰარმონიული სხეულია. სიტყვები **„უწინარეს ყოველთა საუკუნეთა“** ნიშნავს, რომ ვიდრე სამყარო დროსა და სივრცეში განსხეულდებოდა, „ძე“ მამასთან ერთად უკვე არსებობდა და მათ ერთად, „წინასწარ დასახული გეგმის“ მიხედვით, შექმნეს სამყარო, რომელშიც ახლა ჩვენ ვიმყოფებით. ამის აღქმა ჰქონდათ ჯერ კიდევ პირველ ადამიანებს დედამიწაზე და ეს თაყვანისცემა კაცობრიობამ დღემდე მოგვიტანა. ამას მეტყველებს მსოფლიოს ხალხთა უდიდესი მითოლოგიური, ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური მასალა. მათ გახსნილი ჰქონდათ ე.წ. მესამე თვალი, ხედავდნენ და აღიქვამდნენ იმას, რასაც დღეს ჩვენ ვერ ვხედავთ და აღვიქვამთ. მათ ზედმიწევნით ზუსტად იცოდნენ, როგორ წარმოიშვა სამყარო და როგორ იყო იგი მოწყობილი. მამაღმერთისა და „ძე“ ღმერთის აღქმა და თაყვანისცემა ჰქონდათ ადამიანებს ყველა პერიოდში. ვეცდები, თქვენს წი-

ნაშე წარმოვაჩინო ეს საკითხი შუმერთა უძველეს აზროვნებათა ანალიზის საფუძველზე. წარმოგიდგენთ შუმერ-აქადის, ქვის ბეჭედს (ძვ. წ. 3400წ.). **შუმერებმა 3400 წლით ადრე იწინასწარმეტყველეს ქრისტეს მობრძანება თევზის ზოდიაქოს, ანუ ახ. წელთაღრიცხვის დასაწყისში და ასახეს იგი ამ ქვის ბეჭედზე.**

შუმერებმა ასევე დაგვიტოვეს წინასწარმეტყველება, თუ რა უნდა მომხდარიყო სამყაროში ბოლო 4000 წლის მანძილზე – ძვ.წ.2000 წლიდან ახ.წ.2000 წლამდე. დროის ამ მონაკვეთში, ყოველი 1000 წლის შუალედით იწინასწარმეტყველეს სამყაროს ოთხი საწყისის მაქსიმალურ ენერგიათა „მოსვლა“, რომელთაც ღმერთკაცის სახე და სხეული აქვთ და ჰყავთ თანხლები არსებები: „მიწა“ – ლომი, ძაღლი ან მგელი; „წყალი“ – ირემი, ჩვილი ხბო, ხარი; „ჰაერი“ – თეთრი მთის ქორი, არწივი, ორბი; „ცა-ცეცხლი“ – ქალი. მათ ყველას ეგებება ფრთებგაშლილი ანგელოზი. ისინი ყველა წყალზე მცურავ ერთ ნავში სხედან. ქვის ბეჭედზე „დროის მდინარის“ სახით ასახულია თევზის ზოდიაქოს პერიოდი ურთიერთსაპირისპიროდ მცურავი სამ-სამი თევზით და მოიცავს 2000 წელს.

ქვის ბეჭედზე ასახული კოსმოსური პროცესი ყველა ნიშნით ემთხვევა ხევსურთა „კოპალა... იახსარის“ მითში ასახულ ხვთისშვილთა კოსმიურობას:

I ღმერთკაცი კოპალა – მონადირე მშილდისრით, მოიპოვა ლომი; იგი „მიწის“ სტიქიის განცხადებაა.

II ღმერთკაცი ბუქნა ბაადურია (ჩაბუქნული) – ნახევრად ნათლობის ემბაზშია და გამოსახულია მხოლოდ წელს ზემოთ, შუბნური მათრახით ხელში, თავზე ქალღმერთი ადგას ანგელოზის სახით, ერთ მხარეზე, ანუ მხარზე ირემი ჰყავს, იგივე „ჩვილი ხბო“, ხოლო მეორეზე – ხე. იგი „წყლის“ სტიქიის განცხადებაა.

III ღმერთკაცი თერგვაულია, მხრებზე ბადე აქვს მოსხმული, ხელში ფრთებგაშლილი თეთრი მთის ქორით; იგი „ჰაერის“ სტიქიის გაცხადებაა.

IV ღმერთკაცი დობილიანი იახსარია – ორსახა იანუსი, ერთი სახე კაცისაა, მეორე – ქალის; კოსმიური „და-ძმა“ „ცა-ცეცხლის“ სტიქიის განცხადებაა და ქართულ იკონოგრაფიაში მზის სიმბოლოს – ბორჯღალის სახით აისახება. ქართველთა მითოლოგიით უნდა მოხდეს ორი ნახევარ

ღმერთის, ორი ნახევარმზის გიორგი ნაღვარმშვენიერის, რომელიც გაცხადებულია 64 ხვთისშვილში და მისი დობილის „სამძივარის“ შეერთება – გამთლიანება, რასაც დროში ახ.წ. 2000 წელი შეესაბამება.

შუმერი (ძვ.წ. 3400წ.)

სამყაროს ოთხი სტიქიის გაცხადებაა სფინქსი: მიწა – ლომი, წყალი – ხარი (ჩვილი ხბო), ჰაერი – არწივი (ქორი), ცეცხლი ქალი – ორსახა ღმერთი (ქალღმერთი ინანა ორბუნებოვანია – დღისით კაცია და მეომარია, ხოლო ღამით სიყვარულის ქალღმერთია); ოთხივე საწყისის გაერთიანებაა სფინქსი: თათები აქვს ლომის, მხრები-ხარის, ფრთები-არწივის და სახე-ქალის. ამის აღქმა და თაყვანისცემა ჰქონდათ ჯერ კიდევ შორეული წარმართობის დროს ყველა ძველი ცივილიზაციის ხალხს და მათ შორის ქართველებსაც. **ქრისტიანული ტაძრების საკურთხეველში დღესაც გვაქვს ოთხი საწყისის – ლომი, ხარი, არწივი, ადამიანის გამოსახულებები.**

შუმერების ქვის ბეჭედზე ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ მასზე ასახულია ქრისტეს მობრძანების წინასწარმეტყველება. ბეჭედზე მეორე ღმერთკაცი გამოსახული თევზის ზოდიაქოს დასაწყისში, ნათლობის ემბაზში, წელამდე წყალშია, **გულზე ჰკიდია დიდი ჯვარი,** თავზე ადგას ქალღმერთი ანგელოზის სახით, გაშლილი ფრთებით. მისი თანმხლები ცხოველია „ჩვილი ხბო“ (ირემი, ხარი). იგი „წყლის“ სტიქიის გაცხადებაა, მისი მობრძანება დროში შეესაბამება ახ.წ. 0 წელს, ანუ „ქართ ადამს აქათ“ 6000 წელს, რასაც ქართული ანბანის კოდით შეესაბამება „ხ“ – „ხან“ – 6000 ასო-ნიშანი. მაშასადამე, **ქრისტე არის „ხან“**

– **„დრო“ – „ჟამი“, ანუ „დროის მბრძანებელი“** („დრონი მეფობენ და არა მეფენი“). „დრო“ არის სამყაროს კოსმიური ფილოსოფიური გზა, მატერია „დროის“ გარეშე არ არებობს. აღმოსავლეთის თითქმის ყველა სახელმწიფოს უმაღლესი პირები „ხან“–ებად იწოდებოდნენ. **„დრო“ არის სამყაროს „მბრძანებელი“ ისევე, როგორც წყალი – სამყაროს შემოქმედი და ყველგანმყოფი. ადამიანის ორგანიზმი 80% წყლისგან შედგება.**

ქვის ბეჭედზე ნათლად ჩანს, რომ **ქრისტე წყლის სტიქიის გაცხადებაა,** რასაც უკავშირდება წყლით ნათლობის ქრისტიანული წესი, წყლის კურთხევა, სიტყვები „უფალო შეგვიწყალე“, ადამიანთა „მოწყალე“ მხოლოდ უფალია, სიტყვა „წყალობა“-ც კი წყლისგან წარმოსდგება.

წყალი, ისევე როგორც ცეცხლი, მუდმივად იცვლის ფორმას და ამ თვისებით საყოველთაო და მარადიული მოძრაობის პრინციპს განასახიერებს. დაოსურ მოძღვრებაში, სადაც წყალი თვინიერად გარს უვლის დაბრკოლებას, მაგრამ საბოლოო ჯამში განლევს და ქვიშად აქცევს ნებისმიერ ბარიერს, განასახიერებს დათმობათა გზით მიღებულ გამარჯვებას. წყალი არის სიცოცხლის სიმბოლო. ყველაფრის საწყისი წყალია და თვით სამყაროც წყლისგან წარმოიქმნა. შემთხვევითი არ არის ის, რომ მენდელეევის ელემენტთა პერიოდულ სისტემაში პირველი ადგილი წყალბადს **(H-ს)** უკავია. წყალი ყველა ხალხის მითოლოგიაში განიხილება, როგორც სამყაროს პირვლსაწყისი სუბსტანცია. **წყალი შორეული წარმართობის დროიდან რელიგიური კულტმსახურების ერთ-ერთი აუცილებელი და შემადგენელი ნაწილი იყო**.

ქვის ბეჭედზე II ღმერთკაცი ქრისტეა, გამოსახული წელს ზემოთ, იგივე ქართველთა „ბუქნა ბაადური“. ფირფიტაზე ერთი შეხედვით მიხვდებით, რომ „ჩაბუქნული“ ბაადური II ღმერთკაცია, ყველა დანარჩენი ფეხზე დგას და მთელი სხეულითაა გამოსახული. ქართველები ხვთაებრივ ბავშვს წელს ზემოთ – ბიუსტით წარმართობის პერიოდში გამოსახავდნენ. ამის მაგალითია ყველასათვის ცნობილი დავათის სტელა (ძვ.წ. 680წ.) ქართული ანბანით, რომლის ერთ წახნაგზე ასახულ ფეხზე მდგომ ხვთისშობელს ხელში უკავია ხვთაებრივი ბავშვი გამოსახული ბიუსტით, მხრებზე დაყრილი გრძელი თმით, შუბლზე ღარებით, რაც მიგვანიშნებს იმას, რომ ამ შემთხვევაში სტელაზე ხვთაებრივი ბავშვი გამოსახულია ისევე, როგორც შუმერების ქვის ბეჭედზე – მასზე ასახულია ქრიტე 30 წლის ასაკში, იგივე ქართველთა ბუქნა ბაადური – „უფლის ნასახთა ბატონი“, ასეთი კი, მხოლოდ კვირიაა, რომელსაც „მორიგის ახლოს კარავი აქვს გაშლილი და სამწერლობო აქვს მოწყობილი“. **კვირია „წყლის ბერად“** იხსენიება. იგი ერთდროულად მზეცაა და მთვარეც. **ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით „კვირია“ უფალს ნიშნავს**.

მორიგე ღმერთი – გიორგი ნაღვარმშვენიერი, იგივე წმინდა გიორგი – წარმართობის თეთრი გიორგია. ქართველთა 64 ხვთისშვილი არის თეთრი გიორგის 64 „სახე“, რომლებიც არიან უშუალოდ ყოველი უჯრედის და სამყაროს დნმ-ის ძირითადი შემოქმედნი. ყველა ხვთისშვილი არის ქართველთა უზენაესი ღმერთის – მორიგის ნასახი, ბერი, **ბედის ბედაურის მფლობელი**, ნახევრად ღმერთი. 64-ე ხვთისშვილი – იახსარი უერთდება თავის „დობილს“ – სამძივარს (სამძიმარს) და ქმნიან გამთლიანებულ მზეს, რომელიც არის დობილიანი გიორგი ნაღვარმშვენიერის 64-ე „სახე“. **ხვთისშვილები არიან თითოეული ადამიანის სხეულში დაბადებიდან სიკვდილამდე**. მითოლოგიურად კი ისინი მარადიულნი და უკვდავნი არიან, რაც ერთის – მამაღმერთის მრავალი სახის გამოვლინებაა; მამა „ძე“-შია გაცხადებული.

ბუქნა ბაადურის სალოცავი ხევსურეთში **„სანე“**-ს მთაზეა. სიტყვა ბაადური, იგივე „ბადრი“, ნიშნავს სავსე მთვარეს. ხვთისშვილები ჯვარხატების სახით მოიხსენიებიან, რომელთა ყოველი ქმედება ხვთის ნებით არის განსაზღვრული. ადამიანთა ბედისწერას, ქართული მითოლოგიით, კვირია განაგებს, მაგრამ ბედის ბედაურის მფლობელი ყველა ხვთისშვილია მორიგეობით; ისინი ყველაფერს მორიგე ხვთის დავალებით ასრულებენ. ქართველთა რწმენა – წარმოდგენათა და ზემოთ მოყვანილი მსჯელობით, **ქრისტე იგივე კვირიაა – ბუქნა ბაადური და წარმართობის თეთრი გიორგია. ბუქნა ბაადური გუდანის წმინდა გიორგის ზედწოდებაა. 64 ხვთისშილთაგან ყველა ჯვარის სახელით მოიხსენიება. ხატი და ჯვარი „სიცოცხლის ხეს“ – ძელს – სვეტს ენათესავება.**

მორიგემ კვირია თავის მრჩევლად დანიშნა და ქვეყნიერების საქმეების მოგვარება ჩააბარა. კვირია სულეთსაც მფარველობდა, მას „ხმელთ მოურავს“ უწოდებდნენ, ადამიანების ბედს განაგებდა. ბრძანებების შესრულება ხვთისშვილისათვის სავალდებულო იყო. მორიგე ღმერთი

ქვეყნის საქმეებში არ ერეოდა, მხოლოდ განკარგულებებს და ბრძანებებს იძლეოდა. კვირია მოსამართლე და შუამავალია უზენაეს ღმერთსა და ადამიანებს შორის, ხვთისშვილთა წინამძღოლია. ხვთისშვილები ჯვარ-ხატების სახით მოიხსენიებიან. გამოკვლეულია, რომ **ქრისტიანობამდე ფხოველნი ჯვარის მსახურნი იყვნენ**.

შუმერთა მითოლოგიით, ქვის ბეჭედზე II ღმერთკაცი არის **„სინ“ – „სავსე მთვარე“, ანუ ვერცხლი**. შუმერებს ჰყავდათ 50 ხვთისშვილი, რომლებიც უზენაესი ღმერთის მარდუკის – ენლილის – „ან“ ცის ღმერთის სხვადასხვა „სახე“ – გამოვლინებებია. „სინ“ არის მარდუკის ერთ-ერთი სახე. მარდუკი არის მზის ღმერთი, ითვლება ღმერთების მეფედ, რომელმაც სძლია ქაოსი, ამყარებს წესრიგს სამყაროში და გააჩინა ადამიანი; ხასიათდება როგორც ბრძენი, მკურნალი, **წყლის ღმერთი**, ღმერთთა მოსამართლე, ღმერთების მამა, მზის ხვთაებრივი ბავშვი, **ბედისწერის დაფების მფლობელი, განაგებს ადამიანთა და სამყაროს ბედისწერას,** განმსაზღვრელია სამყაროს მოძრაობისა და სამყაროული პროცესებისა. მარდუკის მდედრული ცალია ქალხვთაება ცარფანითუ – „ვერცხლოვანი“. „სინ“ – მარდუკი ხასიათდება: „ჩვილი ხბო“ – „ხარი“, „შარავანდედის ბატონი“, „ნათელი შუქის ხბო“, „ცის დიდი ნავი“, „ბრწყინვალე ნამგალი“. **„სინ“ – ნაყოფი, რომელიც თავისთავად იბადება.** უძველესი ცივილიზაციის ხალხი ღმერთებს ციფრებით გამოსახავდა, მათ შორის შუმერიც, გამოსახავდა არა 1, 2, 3, 4 და ... ა.შ., არამედ იმ ციფრებით, რომლებიც გვერდით უწერიათ ქართულ ასო-ნიშნებს ანბანში. „სინ“-ის საკრალური რიცხვია „30“, ამ ნიშნით იწერება მისი სახელი და ითვლება „30“-ე დღის ღმერთად. ქვის ბეჭედზე „სინ“ ნათლობის ემბაზშია, გულზე დიდი ჯვარით, თავზე სულიწმიდის ანგელოზი ადგას, გამოსახულია თევზის ზოდიაქოს დასაწყისში, რომელიც ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისს შეესაბამება. **შუმერთა „სინ“ იგივე ქრისტეა**. ამ ქვის ბეჭედზე ასახულია ქრიტე, რომლის მოსვლაც შუმერებმა 3400 წლით ადრე იწინასწარმეტყველეს. შუმერთა „სინ“, იგივე მთვარე – ვერცხლია, რომლის სახელია „30“. ვფიქრობ, **ბიბლიაში მოხსენიებული ამბავი იუდას მიერ ქრისტეს „30“ ვერცხლად გაყიდვის შესახებ, არასწორი ინფორმაციაა, სინამდვილეში „30“ ვერცხლი ქრისტეს შუმერული სახელია**. ქრისტეს სალოცავი **„სინა“**-ს მთაზე დაკავშირებულია შუმერთა „სინ“-ის სახელთან. ქართულ მეტყველაებაში სიტყვა „უ**სინ**დისო“ უღმერთოს ნიშნავს.

შუმერის ქვის ბეჭდის ფრაგმენტი

ქართული ანბანის კოდით „**30**“ არის **12-ლ-ლას-30** ასო-ნიშანი. ბიბლიურ კაბალას, ეგვიპტის ტაროს მე-12 არკანის სახელია „ჩამოხრჩობილი“, ეს კი ძალიან მიშვნელოვანია და სამყაროს გენეტიკურ კოდს უკავშირდება, რომელიც მსოფლიოში არსებული ყველა ანბანიდან მხოლოდ ქართულ ანბანში აისახება. „ლას“ ძველი ქართული სიტყვაა და „თევზების ღმერთს“ ნიშნავს. მასთანაა დაკავშირებული „ლაშ“ – ლაშარის ჯვარი, რაც იგივე „ლას–არის“ ჯვარია და ასახავს თეთრ გიორგის – წმინდა გიორგის – ბუქნა ბაადურს, თევზს და წყალს. ქართულ მეტყველებაში ხშირად „ს“ ასო-ნიშანს „შ“ ენაცვლება.

თევზს ქრისტიანთა ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია, იგი ყოველთვის წმინდა არსებად ითვლებოდა. თევზი განდობილთა ნიშანი იყო – მონაცვლე ჯვრისა. თევზი იესო ქრისტეს სიმბოლოა. ბერძნულად „თევზი“ ნიშნავს „იესო ქრისტე ძე ღმრთისა და მხსნელი“. ზოგიერთ საუფლო დღესასწაულებზე მარხვა თევზით ხსნილდება. ძველ რომაელთათვის პარასკევი სიყვარულის დღე იყო და ქალღმერთ ვენერას ეძღვნებოდა; თევზი კი, სიყვარულის ქალღმერთის ატრიბუტად ითვლებოდა. ბაბელონის სიყვარულისა და ნაყოფიერების ქალღმერთის – იშთარის სახელი გამოისახებოდა ნიშნით – „სახლი, რომელშიც თევზი ბინადრობს“. ეგვიპტეში თევზი საკულტო მნიშვნელობის იყო და ოსირისის განსხეულებად აღიქმებოდა. მიაჩნდათ, რომ **თევზს ერთ დროს ადამიანის სახე ჰქონდა**. იკონოგრაფიულ გამოსახულებებში თევზი იყო ატრიბუტი ხვთისშშობლისა. დაგონების მითოლოგიურ სიმბოლიკაში ნომმოს-ნოეს კიდობანს თევზის ფორმა აქვს თავით ქვემოთ. დავათის სტელაზე (ძვ.წ.680წ.) ქართუ-

ლი ანბანი დაწერილია თევზზე თავით ქვემოთ.

ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ ქრისტიანული რელიგიის კულტმსახურებაში თევზს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, რაც უძორესი წარმართული სარწმუნოების სიღრმეებიდან მოდის.

ხარს სცემდა თაყვანს ყველა ძველი ცივილიზაციის ხალხი.

შუმერები „სინ"-ს – მარდუკის „მზის ხბოს", „ოქროს ხბოს", „ხარს" სცემდნენ თაყვანს. ებრაელებიც მოსეს დროს „ოქროს ხბოს" სცემდნენ თაყვანს. „ხარი" ხან მზის, ხან მთვარის საკულტო რიტუალთან იყო დაკავშირებული. მეფე აიეტის ცეცხლისმფრქვეველი ხარები მისი „მზიური" წარმომავლობის მიმანიშნებელ სიმბოლოდ აღიქმება. ძველ ეგვიპტეში ხარი ოსირისის განსახიერება იყო. საკულტო ხარს შუბლზე **თეთრ სამკუთხედს** ახატავდნენ, ხოლო სიკვდილის შემდეგ მათ მუმიებს აკლდამაში ინახავდნენ. სფინქსს ხარის მხრები და ზურგი აქვს.

ჩემს გამოცხადებებში, არსთა წრებრუნვის კოსმიურ სურათში, ქრისტე მამის მარჯვნივ – აღმოსავლეთით (ამასთანაა დაკავშირებული ის, რომ კვირიას სახელის წარმოთქმისას მლოცველები სახით აღმოსავლეთისკენ იცქირებიან) ჩანს მხოლოდ წელს ზემოთ, ყრმობის ასაკისა (და არა ჩვილი ხვთაებრივი ბავშვი), ხელში გადაშლილი წიგნით, რომელშიც ადამიანთა ბედისწერა იწერება – მამა და „ძე" ამ წიგნს ერთდროულად დაჰყურებენ. **ქრისტეს თავზე განათებული სამკუთხედი ადგას წვეროთი ზემოთ** და ერთი შეხედვით ზეციური კარავის შთაბეჭდილებას სტოვებს. აქედანაა კვირია კარავიანის სახელიც და ამასთანაა დაკავშირებული ეგვიპტელთა საკულტო ხარის შუბლზე თეთრი სამკუთხედის გამოსახვის ტრადიცია. ხარი მთვარის ხვთაების წმინდა ცხოველად ითვლებოდა. ზევსს წარმოიდგენდნენ თეთრ ხარად გარდასახულს. საქართველოს მრავალი ტაძრის კედლებზე ხარის თავებია გამოსახული. ამის მაგალითია სვეტიცხოვლის გალავნისა და ტაძრის კედლებზე გამოსახული ხარის თავები. ქართველთა უძველესი წინაპრების წარმოდგენით, ქვეყნიერების დამბადებელმა ღმერთმა ადამიანების შემდეგ ცხოველთა სამყარო შექმნა. **ღმერთმა ცხოველთა შორის „ხარი" გამოარჩია: „უპირველეს ცხოველად შენ ჩამითვლიხარო".**

უძველეს ხალხთა რწმენა-წარმოდგენებში, ასევე ქართულ კულტურაშიც, კოსმიური ირმის თემას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. საქართველოს თითქმის ყველა კუთხეშია მითი, ხისბეჭიანი ირმის შესახებ. ცხოველთა მფარველ ქალღვთაება დალის აქვს უნარი პერიოდულად ირმის ან ჯიხვის სახე მიიღოს. ხევსურებთან ირემი ხვთის სიმბოლოს წარმოადგენდა. ნეკრესში აღმოჩენილია ორთავიანი ირმის გამოსახულება, რომელზედაც ქალ-ღვთაება დგას. ბაგრატიონთა ოჯახის ყველა წევრს ეკრძალებოდა ირმის მოკვლა (ლეგენდა თამარ მეფეზე). იმერეთის მეფეთა გერბზე გამოსახულია ირემი მაღალი რქებით და რქებს შორის ჯვრით, თავზე სამეფო გვირგვინით. რომის იმპერატორ ტრაიანეს სტრატისტატს (II ს. დას.) ევსტატე პლაკიდას ნადირობის დროს გამოეცხადა ირემი, რომლისგანაც გამოდიოდა ხმა – „მე ვარ იესო ქრისტე". ბიზანტიურ ხელოვნებაში მას გამოსახავდნენ მუხლებზე დამხობილს ირმის წინაშე. ამავე საკითხს უკავშირდება დღევანდელი თოვლის პაპა და თოვლის გოგონა, რომლებიც გვილოცავენ ახალ წელს, ორსახა ღმერთის იანუსის დღესასწაულის დღეს და მობრძანდებიან მარხილით, რომელშიც შებმულია ირმები.

ხარის და ირმის თაყვანისცემა მსოფლიოს უძველს ხალხს ჰქონდა ჯერ კიდევ შორეული წარმართობის პერიოდში, რაც ქრისტიანობამაც გაითავისა.

შუმერთა მითი, სადაც მარდუკს დამნაშავეებთან ერთად სიკვდილით სჯიან, მას საიქიოში ჩაჰყვება ცოლი, სამოსელს სისხლისგან უწმენდს და მარდუკი მკვდრეთით აღსდგება. სიყვარული სიკვდილზე ძლიერი აღმოჩნდება. ეს მითი ძლიერ გვაგონებს ქრისტეს ჯვარცმას და მკვდრეთით აღდგომას.

ატისი, იგივე ადონისი, მცირეაზიული ჭაბუკი ღმერთი, რეა – კიბელას საყვარელია. ატისი, ადონისის მსგავსად, ნადირობის დროს ტახმა დაგლიჯა, დამარხეს, მერე **მკვდრეთით აღდგა**. მის მოსაგონებელ დღესასწაულებზე **პურსა და ღვინოს შეექცეოდნენ – მისი ხორცისა და სისხლის სიმბოლოებს. იმართებოდა ატისის და კიბელას გამოსახულებათა წყალში განბანვა, რაც ნათლობის მსგავსი რიტუალია**. საკულტო რიტუალი ძლიერ იყო მიმსგავსებული ადონისის და ქრისტეს საკულტო მსახურებას. ძველებრაულად „ადონაი" – „უფალო ჩემო"-ს ნიშნავს. ცენტრალური ამერიკის ინდიელთა ტომებს და არა

მარტო მათ, **მიაჩნდათ, რომ ცოცხალი არსების სული მის სისხლში იყო. სისხლი ადამიანის სხეულში ხვთაებრივ ელემენტს განასახიერებდა.**

ქართულ ხელნაწერებში სიტყვის მაგიას სისხლის ცხოველმყოფელი ძალა უნდა შერწყმოდა და ამიტომაც, ქართულ ხელნაწერთა თავფურცელი და თავსართი (საზედაო – საწყისი) ასოები წითელი მელნით – სინგურით იწერებოდა. გენეტიკური ნათესაობაც სისხლით ნათესავით განისაზღვრება.

გალაქტიონის სიტყვებმა: „წვეთი სისხლი არ არის ჩემში არაქართული...“ გამახსენა ერთი ჟურნალის პუბლიკაცია ქართველი ჯარისკაცის ერაყში ვიზიტის შესახებ: „ის მიჰყავთ მანქანით ადგილობრივ ხალხთან მოსალაპარაკებლად, ტრიალ მინდორზე რამდენიმე ბარაკი დგას, ადამიანები არ ჩანან. მას აუხსნეს, რომ ადამიანები ბარაკებში არიან. იგი გაემართება ბარაკებისკენ. მას კარი დიდი აღფრთოვანებით გაუღეს და შემდეგი შეკითხვით მიეგებნენ – „შენ გურჯი ხარ?!“ ახალგაზრდამ თანხმობით უპასუხა. თურმე, ისინიც გურჯები იყვნენ. ახალგაზრდას შეკითხვაზე, თუ საიდან მიხვდნენ რომ იგი ქართველი-გურჯი იყო, უპასუხეს: ბარაკების ირგვლივ ბევრი გველია, რადგან შენ ბარაკამდე ისე მოაღწიე, რომ არ დაგგესლეს, მაშასადამე, გურჯი ხარ – გურჯის სისხლი გაქვს, რადგან ის გველები, არ გესლავენ მხოლოდ გურჯებს. ჩვენც გურჯები ვართ და ეს ჩვენზე გვაქვს გამოცდილიო“.

სიტყვა „გურჯი“ მარადჟალწულს – „სამოთხეს“ ნიშნავს, ხოლო სამოთხეში გველი არავის გესლავდა.

ეს ამბავი ძალიან ბევრის მთქმელია. ჩვენი, ქართული გენი – სისხლი იმ პერიოდის ადამიანთა მოდგმისაა, როცა დედამიწაზე ყველა სულდგმული სრულ თანხმობასა და ჰარმონიაში ცხოვრობდა. შუმერთა მითოლოგიით, ეს იყო მაშინ, როცა „მთელი სამყარო, მორჩილი ხალხი ენლილს ერთ ენაზე ადიდებდა“. ეს დრო ისევ დაბრუნდება და დედამიწაზე ისევ მხოლოდ ქართული გენის მატარებელი ადამიანები იცხოვრებენ.

მაშასადამე, **პური და ღვინო, როგორც მაცხოვრის ხორცისა და სისხლის სიმბოლო, ასევე წყალი, ჯერ კიდევ შორეული წარმართობის დროს იყო საკულტო რიტუალების ნაწილი და ჰქონდათ უფლის თაყვანისცემა.**

ქართული მითოლოგიით, კვირია იგივე ქრისტეა – უზენაესი მორიგის ძე. სიტყვა „კვირა“ მოდის კვირიას სახელისგან და უფლის დღედ იწოდება. **„ბელ“** – ენლილისა და მარდუკის – „სინ“-ის სახელწოდებაა და ნიშნავს „უფალი“, „ბატონი“. ძველ აღთქმაში უზენაესი ღმერთი „უფალი“-ს სახელით მოისხენიება. ეს მიმანიშნებელია იმისა, რომ **„ძე“-ს – „უფალის“ აღძმა და თაყვანისცემა პირველ ადამიანთა დროიდან მოდის.**

შუმერთა „სინ“-ს წყვდიადის დასამარცხებლად აქვს დაკბილული სატევარი – ხერხისმაგვარი ოქროს ხმალი – „ოქროს ნამგალი“, რომელიც ქართველთა მითოლოგიით, ბუქნა ბაადურის – ბერ ბაადურის – **ბებერი ხატის** „შუბნური მათრახია“.

ქრისტიანული ტაძრები წარმართული სალოცავების ადგილას შენდებოდა. იქ არსებული წარმართული სალოცავების ქვები ტაძრების კედლებში დღემდეა ჩაშენებული. ამის უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება: დავათის სტელა, სვეტიცხოვლის კედლის ქვაზე ამოკვეთილი ფარშევანგი, ქარონი, ხარის თავები, ბოლნური ჯვარი – ყაჩაღანის ჯვარი და სხვა, რაც ნათელი მაგალითია იმისა, რომ თანამედროვე ქრისტიანული რელიგია გაგრძელებაა ქრისტიანობამდელი რელიგიისა, რომელსაც მსოფლიოს ყველა უძველესი ხალხი სხვადასხვა სახის კულტმსახურებით გამოხატავდა.

შუმერთა მარდუკი, რომლის ერთ-ერთი სახეა შუმერთა ხვთისშვილი „სინ“ – წყლის ღმერთი, მითების მიხედვით, ამარცხებს გველეშაპს – ბოროტების სიმბოლოს, აქვს **„ოთხი თვალი“** და **„ოთხი ყური“**. ქართველთა მითოლოგიაში მარდუკის შესატყვისია წარმართობის წმინდა გიორგი – თეთრი გიორგი, რომელიც არის „ბედის ბედაურის“ მფლობელი, „წყლის ბერი“, ასევე ებრძვის გველეშაპს – ბოროტების სიმბოლოს. თეთრი გიორგის ერთ-ერთი სახეა დობილიანი იახსარი, რომლის შესაწირია **ოთხრქა და ოთხყურა ცხვარი**.

შუმერები განსაკუთრებულად აფასებდნენ ჭეშმარიტებას და სიკეთეს, კანონიერებას და წესრიგს, სამართლიანობასა და თავისუფლებას, გულახდილობას, თანადგომასა და გულმოწყალებას. სძულდათ სიცრუე, ბოროტება, უკანონობა და უწესრიგობა, უსამართლობა და ჩაგვრა, ბიწიერება და გარყვნილება, სისასტიკე და შეუბრალებლობა. მეფეები და მმართველები იმით იწონიდნენ თავს, ქვეყანაში კანონიერება და წესრიგი

დავამყარეთო, სუსტი დავიცავით ძლიერისაგან, ბოლო მოვუღეთ ბოროტებას და ძალმომრეობასო. შუმერ ბრძენკაცებს სწამდათ, რომ **ღმერთები უპირატესობას ყოველთვის მაღალზნეობრივ საქციელს ანიჭებდნენ**. სამყაროს აღიქვამდნენ მოწესრიგებულ ერთიან სხეულად, სადაც ყველა და ყველაფერი ერთმანეთთან ჰარმონიაშია.

შუმერები უზენაესი ღმერთის – მარდუკის ერთ-ერთ „სახეს“ – „სინ“-ს ასე მიმართავდნენ:

„მეფევ, მაღლა ცაში მიუწვდომელო,
მეფევ, **სიწრფელის** მოყვარულო,
სინ, **სიწრფელის** მოყვარულო, ბოროტის მოძულევ,
სინ, **სიწრფელის** მოყვარულო, ბოროტის მოძულევ,
გააცამტვერე ბოროტება, როგორც გველი...“

აქ ნათლად ჩანს, რომ შუმერთა მარდუკი – „სინ“-ი არის „სიწრფელის მოყვარული“ და „ბოროტების მოძულე“. ეს ყველაზე მნიშვნელოვანია, რადგან ტექსტში ეს სტყვები სამჯერ მეორდება, რაც მიუთითებს იმაზე, რომ **ამ ხალხისთვის გულწრფელობა, ბოროტის სიძულვილი, მართლად ცხოვრება, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო, სწორედ ეს იყო მათი რელიგია.**

ქართველი კაცი ბუნებით ყოველთვის მართლმადიდებელი იყო. მისთვის მართალ სიტყვას და სიმართლეს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ამას ადასტურებს ქართველთა ისტორიული და ეთნოგრაფიული მასალა. ჯერ კიდევ XX საუკუნის შუა წლებამდე ქართველი კაცი კარს საკეტით არ კეტავდა. კახეთში ვენახები ძირითადად ალაზნის ველზე აქვთ, რაც საცხოვრებელი ადგილიდან რამდენიმე კილომეტრითაა დაშორებული, მაგრამ არავის არაფერი ეკარგებოდა – მოსავალი ყოველთვის ხელუხლებელი ხვდებოდათ. ქართველი თვლიდა, რომ მას ყოველთვის თან სდევდა უფლის მიერ მიჩენილი ანგელოზი-შუმერთა „პირადი ღმერთი“. ადამიანი ცდილობდა, უფლის წინაშე მართალი ყოფილიყო, რომლის კრიტერიუმადაც მისი „**სინ**-დისი“ ითვლებოდა, მისთვის „**უსინ**-დისო“ ადამიანი უღმერთოს ნიშნავდა. მაშასადამე, ღმერთის სახელი „**სინ**“ ქართველთათვის უცხო არ იყო. ამ საკითხთან დაკავშირებით, ქართველებს ბევრი რამ გვაქვს სათქმელი.

სიტყვები „ქართული“ და „საქართველო“ იწარმოება სიტყვისგან „ქართ“.

სიტყვა „ქართ“ არსებობდა ადამის ცივილიზაციის დასაწყისში. კაბალას ბიბლიური ცოდნის მიხედვით, ქართველებმა სიტყვა „ქართ“ პირველ ადამს – ადამიანს უწოდეს და აქედან დაიწყეს წელთაღრიცხვა „ქართ ადამს აქათ“.

სიტყვა „ქართ“ უკავშირდება „გულს“: გულქართლი, გულმართალი, გულწრფელი. მაშასადამე, „ქართ“, „ქართლი“, „ქართველი“, უკავშირდება მართალს, წრფელს, წმინდა გულის ადამიანს. ვინაიდან ქართველმა სიტყვა „ქართ“ უწოდა პირველ ადამიანს, ეს ნიშნავს, რომ ქართველებს ადამის ცივილიზაციის დასაწყისიდან ჰქონდათ სიტყვა „მართალი“, რომელსაც მართალი სიტყვის დიდებას – „მართლმადიდებლობას“ უკავშირებდნენ. მართალი სიტყვა ყოველთვის იყო ქართველი ერის ცნობიერების და მრწამსის აუცილებელი თანმდევი. ქართველი გენეტიკურადაა მართლმადიდებელი. მან პირველ „ადამი-ანს“, გენეტიკური კოდის პირველ ბიბლიურ კოსმიურ საიდუმლოს – „ქართ“, გულქართლი, გულმართალი, გულწრფელი უწოდა. სიტყვა „ქართლი“, „საქართველო“ და „ქართველი“ – გულმართალის, გულქართლის, მართალის და „მართლმადიდებლობის“ სინონიმებია. **ქართველმა ჯერ კიდევ 8000 წლის წინათ დაიწყო წელთაღრიცხვა „ქართ ადამს აქათ“ და თავის საშობლოს საქართველო დაარქვა, რაც მართალი სიტყვის დიდებას – „მართლმადიდებლობას“ უკავშირდება**.

„სინ“ – მთვარე მიაჩნდათ კაშკაშა ჰაერისმაგვარ სხეულად, რომელიც როგორღაც შეიქმნა ატმოსფეროსგან. ზემოთ აღწერილი გამოკვლევით, შუმერთა „სინ“-ი იგივე უფალი „იესო ქრისტე“ – „მხსნელი ჯვარი“ გათანაბრებულია ერთდროულად მთვარესთან და მზესთან (ამ შემთხვევაში მეტაფიზიკური „მზე“ და „მთვარე“ მოიაზრება და არა ჩვენი მზის სისტემის მანათობელი ციური სხეულები), მანათობელი სფერო ქრისტეს ერთ-ერთი გაცხადებაა. თბილისში, მეტეხის ტაძარში არის ფეხზე მდგომი მაცხოვრის ხატი, ასაკით **30-33** წლის, მარცხენა ხელში უკავია კაშკაშა ჰაერისმაგვარი, მოთეთრო ფერის სფერო, რაც ქართველთა მითოლოგიით, სულეთის ღმერთის სიმბოლოა. ჩემს ოჯახში გადაღებულ ფოტოსურათე-

ბზე რამდენჯერმე გამოისახა თვალისთვის უხილავი სავსე მთვარისმაგვარი დიდი მანათობელი სფერო.

ერთ-ერთ გამოცხადებაში ჩემი გულის ადგილას ვიხილე სავსე მთვარის გამოსახულება, რომელიც მზედ გარდაისახა. შეგახსენებთ ვაჟა-ფშაველას სიტყვებს: „გულზედ მესვენა მზე-მთვარე, ვლაპარაკობდი ღმერთთანა“.

როგორც ქართველებს, ისე შუმერებს ჰყავდათ ხვთისშვილები. მარდუკი შუმერთა 50 ხვთისშვილის გაცხადებაა, **ყოველ მათგანს ჰყავდა თავისი მდედრული ცალი.** მარდუკი განაგებს ადამიანებისა და სამყაროს ბედისწერას. ქართველთა თეთრი გიორგი 64 ხვთისშვილის გაცხადებაა, ბედის ბედაურის მფლობელია, რაც სამყაროს გენეტიკურ კოდს უკავშირდება. შუმერებისგან განსხვავებით, **ქართველთა ხვთისშვილები ბერები არიან და არ ჰყავთ მდედრული ცალი**. სამყაროს ძირითადი შემოქმედნი არიან ქართველთა ხღვთისშვილები – „ბერები“, რომლებიც, მითოლოგიის მიხედვით, უკვდავნი და მარადიულნი არიან. სწორედ ამას უკავშირდება „იბერიის“ ცივილიზაციის სახელი, რომელიც ქართულ ენაზე მოლაპარაკე ხალხმა დაარქვა. იყო დრო, როცა დედამიწაზე ხალხი ერთ ენაზე ლაპარაკობდა და ეს იყო ქართული ენა. ქართული ენა და გენი პირველსაწყისი მარადიული ფენომენია.

ხვთისშვილთა სიმრავლე მრავალღმერთიანობას არ ნიშნავს. ის არის ერთის – მამის მრავალი „სახე“ – გამოვლინება, რომელიც ყველაფერშია და ყველაფერი მასშია.

ბიბლიის ძველ აღთქმაში სიტყვა „ღმერთის“ ადგილას მოიხსენიება სიტყვა „უფალი“. შუმერთა მარდუკის და კვირიას სახელები „უფალი“-თ იხსენიება. ჯერ კიდევ პირველ ადამიანებს უძველესი დროიდან ჰქონდათ უზენაესი ღმერთის აღქმა, რომელსაც „უფალს“ უწოდებდნენ. „უფალი“ ღმერთი ყოველთვის იყო, არის და იქნება. მას სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ადამიანები სხვადასხვა სახელით მოიხსენიებდნენ. ასევე განსხვავებული იყო თაყვანისცემის რიტუალები, მაგრამ **მსოფლიოს ყველა ხალხი, არსებობის ყველა პერიოდში, ერთ ღმერთს ადიდებდა და თაყვანს სცემდა. მსოფლიოს უძველეს ხალხთა საკულტო რიტუალებში იყო და დღესაც არის ჯვარი, წყალი, თევზი, ხარი, სფინქსი – სამყაროს ოთხი საწყისი, პური და ღვინო**. ასე მოვედით

დღემდე უფლის წყალობითა და მფარველობით.

აქ განხილული კვლევა ნათელი მაგალითია იმისა, რომ **როგორც შუმერები, ისე ქათველები – „მართლმადიდებლები“, ანუ მართალი სიტყვის მადიდებლები იყვნენ ჯერ კიდევ 8000 წლის წინ, რასაც შუმერები უკავშირებდნენ „სინ“ – მარდუკს – შუმერთა ქრისტეს, ხოლო ქართველები კვირია – თეთრ გიორგის – ქართველთა ქრისტეს. მართლმადიდებლობა ადამის ცივილიზაციის მსოფლიოს ხალხთა პირველსაწყისი რელიგიაა**. ქრისტეს – მართალის ენერგია განაგებს სამყაროს იმ დროიდან, როცა სამყარო დროსა და სივრცეში განსხვეულდა.

შუმერებმა ქრისტეს მოსვლა „განკაცებული სახით“ იწინასწარმეტყველეს ჯერ კიდე 3400 წლით ადრე და ეს ინფორმაცია ასახეს ქვის ბეჭედზე.

ყველაზე დიდი ზარალი მითოლოგიასა და საერთოდ წარმართობას (მითოლოგია კი სხვა არაფერია თუ არა წარმართობა) მსოფლიო რელიგიებმა მიაყენეს, თუმცა თავის მხრივ, ეს რელიგიები საკმაოდ კარგად იყენებდნენ წარმართულ რელიგიას. ბიბლიის ძველი აღთქმა ხომ მთლიანად წარმართული პერიოდისაა.

წარმართობის პერიოდის სამყაროს ოთხ საწყისს უკავშირდება ქრისტიანული ეკლესიის ოთხი მახარებელის სახელები: მათე – ადამიანი (ქალი), მარკოზი – ლომი, ლუკა – ხბო (ხარი), იოანე – არწივი, რომელთა გამოსახულებები ქრისტიანული ტაძრების საკურთხevლის აუცილებელი „ატრიბუტებია“. ქრისტეს 12 მოციქული 12 ზოდიაქოსთანაა გათანაბრებული. ქრისტიანულ მსახურებაში წირვის დროს ტაძრის შიგნით საათის ისრის მიმართულებით მოძრაობენ, ხოლო გარედან საათის ისრის საწინააღმდეგოდ უვლიან – ეს ცოდნაც შორეული წარმართობიდან მოდის და სამყაროს დიდ კანონზომიერებას უკავშირდება (ნახეთ აქვე: „რა ელოდება დედამიწას). საკურთხevელში შვიდსანთლიანი შანდალი ხვთისმშობლის – „სამოთხის“ სიმბოლოა.

მამაღმერთმა სამყაროს მეორედ შექმნის პირველსაწყისიდან ჩადო მასში „**აღდგომის**“ არსი, როცა სამყაროს განწმენდის მიზნით შესწირა „**ო**“ ნომმო-ნოე (დაგონების მითოლოგია – „სამყაროს შექმნა“), რომლის აღდგომაც იწვევს სამყაროს განწმენდას. უძველეს ქართულ ხელნაწერებში სიტყვა „უფალის“ ნაცვლად წერდნენ „**ო**“ ასო-ნიშანს. სამყაროს დედას

– სულიწმინდას მტრედის სახით გამოსახავდნენ. პატრიარქის კვერთხზე ბოლოებგადაგრეხილი ორი გველია გამოსახული. **სამყაროს ხვთაებრივი „გონი“ ხვთაებრივი ცეცხლის სახით წარმოედგინათ, რომელიც იყო „ხილული სახე უხილავი ღმერთისა“, რაც ქრისტიანულ რელიგიაში დღესაც ყველაზე დიდ სიწმინდედ ითვლება და აღდგომის დღეს იერუსალიმში ხვთაებრივი ცეცხლის სახით გადმოდის.**

ზემოთ აღნიშნული ცხადყოფს, რომ **თანამედროვე რელიგიებს ბევრი რამ წარმართობიდან აქვთ აღებული**.

შეგახსენებთ მამა გიორგი ბასილაძის სიტყვებს: „მართლმადიდებლობა არის ღმერთის მიერ დადგენილი ცხოვრების წესი. ეს არის სიცოცხლე ღმერთში“.

მართალი სიტყვისა და სამართლიანობის შესახებ შოთა რუსთაველი ამბობს: „ქმნა მართლისა, სამართლისა, ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“.

ქრისტიანობა – მართლმადიდებლობა კაცობრიობის მარადიული და საყოველთაო რელიგიაა.

ნოსტრადამუსის წინასწარმეტყველებით ბოლო ჟამის მოვლენებიდან მხოლოდ საქართველო გადარჩება

ბოლო რამდენიმე წელია მსოფლიოს საინფორმაციო საშუალებები გვამცნობენ დედამიწაზე 2012 წლის 21 დეკემბერს მოსალოდნელი საბედისწერო კატასტროფების შესახებ. ერთნი ფიქრობენ, რომ ჩვენ გველოდება სამყაროს დასასრული; სხვები გვარწმუნებენ, რომ არაფერი ამდაგვარი არ მოხდება.

2012 წლის 21 დეკემბრის მოვლენებთან დაკავშირებით, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, სულ მცირე 16 მიზეზს ასახელებენ. გაგაცნობთ რამდენიმე მათგანს.

მაიას კალენდრის მიხედვით, დედამიწის არსებობა უნდა დასრულდეს 2012 წლის 21 დეკემბერს, ვინაიდან მათი კალენდარი ამ თარიღით მთავრდება.

მაიას კალენდარი



პლანეტა ნიბირუ

პლანეტათა აღლუმი

2012 წლის 21 დეკემბერს დედამიწამ უნდა გაიაროს მზესა და ნიბირუს – მზის სისტემის მე-12 პლანეტას შორის. პლანეტა ნიბირუ დედამიწაზე თითქმის ოთხჯერ დიდია. მზის გარშემო ორბიტის გავლას 3600 წელს ანდომებს. თავისი მიზიდულობის ძალით ისეთი დიდი ზეგავლენა ექნება დედამიწაზე, რომ მისი მაქსიმალური მოახლოვების მომენტში შეიძლება დედამიწა რაღაც პერიოდით გაჩერდეს; ხოლო როცა დაცილდება, განზიდვის ძალა გამოიწვევს დედამიწის ე.წ. ფილების რყევას, რის შედეგადაც მოხდება ძლიერი მიწისძვრები, ვულკანური ამოფრქვევები, ცუნამები, კონტინენტები წყლით დაიფარება, შეიცვლება პოლუსები, შეიცვლება

დედამიწის კლიმატი. პლანეტა ნიბირუს ერთ-ერთი ასეთი მოახლოვებისას გადაშენდნენ დინოზავრები და ჩაიძირა კუნძული ატლანტიდა.

2012 წლის 21 დეკემბერს მოხდება პლანეტათა აღლუმი, ანუ მოხდება პლანეტათა ერთ ხაზზე განლაგება, რომელიც დაემთხვევა გალაქტიკათა სპირალური მოძრაობის ცენტრიდან გამოსულ სხივს. ეს ხდება 26000 წელიწადში ერთხელ, რომლის ზემოქმედებით იღუპება ასეულობით სახის ცხოველი და მცენარე.

2012 წლის შემოდგომაზე დედამიწას გლობალური კატასტროფა დაატყდება თავს. ამ დასკვნამდე მეცნიერები მზის აქტივობის შესწავლის შედეგად მივიდნენ. მზეზე დაიწყება უძლიერესი ამოფრქვევები, რის შედეგადაც სივრცეში მილიარდობით ტონა გამდნარი პლაზმა გაიტყორცნება და მათი ნაწილი დედამიწისკენ წამოვა. მათი სიჩქარე საათში მილიონობით კილომეტრს მიაღწევს. დედამიწამდე მოღწევას სულ რაღაც 17 საათი დასჭირდება. ამით გამოწვეული მაგნიტური ქარიშხალი სულ რაღაც ერთ წუთში გამორთავს ელექტრომომარაგებას მთელს პლანეტაზე, აღარ იარსებებს ელექტროენერგია, **„დედამიწა უკუნ წყვდიადში ჩაიძირება“** – ასეთია ამერიკის შეერთებული შტატების მეცნიერებათა აკადემიის დასკვნა. ყველა დენის წყარო დაიწვება, ისინი, უბრალოდ, დადნებიან. თუ რა მოჰყვება ყველაფერ ამას, ადვილი წარმოსადგენია. ელექტროენერგიის გარეშე აღარ იმუშავებს მეტრო, აღარ ივლიან ელექტრომატარებლები, აღარ იფრენენ თვითმფრინავები, გაითიშება ხელოვნური თანამგზავრები, რადიო, ტელევიზია, კომპიუტერი, ტელეფონები, ლიფტები, დაზარალდება სამედიცინო სფერო, მოკლედ, არ გვექნება ელექტროენერგია და შეიზღუდება ყველაფერი, რაც მასთანაა დაკავშირებული.

ბუნებრივი კატასტროფების შედეგად შეიცვლება დედამიწა და გახდება ადამიანისთვის სრულიად გამოუსადეგარი.

რა ხდება?!! რატომ აღსდგა მთელი სამყარო დედამიწასა და მასზე არსებული სიცოცხლის, ადამიანის მოდგმის წინააღმდეგ?!

სამყარო მთლიანად ერთიანი, უაღრესად მოწესრიგებული ორგანიზმია, რომელშიც ყველა და ყველაფერი ცოცხალი „არსებაა“, ყველას თავისი ბედისწერის გენეტიკური კოდი აქვს. დედამიწაც ცოცხალი „არსებაა“. ვინაიდან დედამიწა სამყაროს ნაწილია, ციკლურ ცვალებადობას ექვემდებარება და ჩართულია მთლიანი სამყაროს გენეტიკურ კოდში.

ყველა და ყველაფერი, რაც დედამიწაზეა შექმნილი, მასზე მიმდინარე კოსმიურ პროცესს ექვემდებარება და ემსახურება – ასრულებს თავის კოსმიურ მისიას. დღემდე არავის გამოუკვლევია, თუ რა ფუნქციას ასრულებს დედამიწისთვის, როგორც ცოცხალი არსებისთვის, მის წიაღში არსებული ნავთობი, გაზი, ტყის მასივები, სხვადასხვა წიაღისეული – ოქროს, ვერცხლის, ქვანახშირის და სხვა საბადოები. იქნებ სწორედ ისინი არიან დედამიწის „სისხლი“, „სასიცოცხლო ორგანოები“, აუცილებელი და საჭირო სასიცოცხლო კომპონენტები ორბიტაზე მისი მოძრაობისთვის; დედამიწა ხომ ამ პერიოდის – ადამის ცივილიზაციის ერთ-ერთი ცოცხალი ორგანიზმია. ჩვენ კი, ადამიანებმა, ყველა და ყველაფერი ჩვენს თავს დავუკავშირეთ.

კაცობრიობამ მიაღწია მნიშვნელოვან მომენტს – დედამიწაზე ბოროტების და სიცრუის უარყოფითმა ენერგიამ მაქსიმალურ ზღვარს მიაღწია, ადამიანი სრულიად დაცილდა სამყაროს, ბუნებასთან ჰარმონიულ ურთიერთობას; ადამიანმა დაივიწყა, რომ ის ამ სამყაროს ნაწილია და არა მბრძანებელი. დედამიწაზე ადამის ცივილიზაცია მთელი კოსმოსისთვის უკიდურესად აუტანელი გახდა. კოსმოსი ამას ვეღარ აიტანს და თვლიან, რომ საჭიროა დედამიწის „გაწმენდა“.

კოსმოსიდან დედამიწისკენ გააქტიურებულია ინფორმაციულ-ვიბრაციული ტალღები, რაც ადამიანების დასახმარებლად ხდება და შემდეგში უფრო გააქტიურდება, ვინაიდან დედამიწამ დაიწყო გარდამავალი და გადამწყვეტი ეტაპი უსასრულობასა და მარადისობაში გადასასვლელად. კოსმოსიდან ერთ-ერთი შეტყობინება ასეთია: „დედამიწის მკვიდრნო ადამიანებო! თქვენს პლანეტას ემუქრება გარდაუვალი კატაკლიზმები, დაკავშირებული მაგნიტური ველის დარღვევასთან. ყველაფერი ეს გამოწვეულია იმ ნეგატიური ვიბრაციებით, რომლითაც თქვენ ურთიერთობთ ერთმანეთთან ათასწლეულების მანძილზედ“... „ჩვენ დიდი ხანია უარი ვთქვით პრობლემების ომით გადაწყვეტაზე“... „ზედაპირზე უნდა ამოვიტანოთ შინაგანი ენერგია შინაგანი სამყაროდან იმ სულებისა, რომლებიც დადიან დედამიწის ნათელში“... (ჩენნელინგი ტ. IV).

სამხრეთ კორეელი ჩენნელინგის (კავშირი სხვა განზომილებების არსებებთან) სფეროს სპეციალისტის ხვი-იონგ იანგის წიგნში: „რა ელოდება დედამიწას 2012 წლისთვის?“, გადმოცემულია გიგანტური კოსმო-

სური პროექტი, რომლის სახელია „Гея“.

2012 წლიდან დედამიწაზე დაიწყება „გაწმენდა“, ანუ ადამიანთა „გასამართლება“. იმისთვის, რომ ეს პროცესი წარიმართოს მშვიდად და არა დიდი კატასტროფების ფონზე, ამ წიგნში მითითებულია, რომ ამისთვის დედამიწაზე გამოაგზავნეს „გიდები“ ფიზიკურ სხეულში. ისინი ზემოდან ეხმარებიან ამ „გიდებს“, შეიმეცნონ თავიანთი თავი, გააცნობიერონ თავიანთი მისია და გააკეთონ შემდეგი: **შექმნან „ნათელის“ ენერგია.**

ამ წიგნში ნათქვამია, რომ „Гея“-ს პროექტის შექმნაში მონაწილეობდა სამყაროს პირველშემქმნელების III წევრი, ე.ი. სამების მესამე წევრი – „ძე“. მაგრამ, ამავდროულად, ნათელი, ანუ „მზის“ – „ოქროს საწმისის“ ენერგია რომ მოვიყვანოთ ადამიანთა სულებში, უნდა შევიმეცნოთ „ოქროს საწმისის“ ნამდვილი არსი, რაც ჩვენ უკვე გავაკეთეთ და ამ საკითხთან დაკავშირებით, რამდენიმე წელია ვაქვეყნებ სტატიებს, ვაწყობ ლექცია-სემინარებს. რას ნიშნავს ეს? – ქართველები ორ ხვთისშვილს ერთდროულად სცემდნენ თაყვანს – ძეს და ასულს. ესენია კოსმიური „და-ძმა“, იგივე, პირველქმნილი სული და მატერია, რომლებიც აქამდე „დაცილებული“ იყვნენ ერთმანეთს და ახლა, ჩვენი ათასწლეულის დასაწყისში შეერთდნენ, რაც მითოლოგიურად არის „ოქროს საწმისი“, იგივე „მზე“ და „ოქრო“, რაც ცეცხლის სტიქიის გაცხადებაა. „ოქრომრავალი“ კი ქალღმერთი აფროდიტაა. მაშასადამე, **ჩვენ საქართველოში შევიცანით „ოქროს საწმისის“ ნამდვილი არსი. ის მთელი მსოფლიოს ხალხთა მითოლოგიაშია და ყველას კუთვნილებაა. ამით ჩვენ მზის, ანუ „ნათელის“ ენერგიასთან მივედით და ჩვენი გონებრივი შემეცნების გზით ჩვენში, ადამიანებში, ეს „ნათელი“-ს ენერგია შემოვიდა. ეს არის „Гея“-ს პროექტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი.**

კოსმოსის „Гея“-ს გეგმის მეორე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ამ დროისათვის დედამიწის ხალხმა უნდა შეიმეცნოს, არის „ადამის“ ცივილიზაციის პირველსაწყისი ენერგიის შექმნა, ვინაიდან ადამიანი მას ძალიან დასცილდა და ახლა, 2000 წლის შემდეგ, ახ. წ. 4000 წელს, „ადამის“ ცივილიზაცია პირველსაწყის კოდირებულ ენერგეტიკულ ველში უნდა დაბრუნდეს და შევიდეს გენეტიკური კოდის ახალ ციკლში, ახალ საფეხურზე. ამისათვის კი, უნდა დაუბრუნდეს და შეიმეცნოს თავისი პირველსაწყისი „მე“.

დღევანდელ ადამიანს, მართალია, ვუწოდებთ „ადამიანს“, მაგრამ ის ამ ველიდან გასულია. „ადამიანი“ იყო „ადამის“ მოდგმის დასაწყისში, როცა ის იყო „ადამი-ანი“. შემდეგში მან თანდათან დაკარგა „ადამიანობა“ და თავისი „მე“-ობა. ბიბლიური კაბალას ჩვენ მიერ შეცნობა და აგრეთვე სვეტიცხოვლის წარწერა „ქართ ადამს აქათ 7186წ.“, გვეხმარება შევიმეცნოთ ჩვენი „მე“. შუმერს აქვს „მე“-ს „ხვთაებრივი კანონები“, „რომლებიც შექმნის დღიდან აწესრიგებენ სამყაროს მუდმივ მიმოქცევას“. სიტყვა „მე“ არის რუნების და ტაროს არკანების პირველი კოსმიური პროცესის შესაბამისი მდგომარეობა, რაც, ქართული ანბანით, „ან“ ასო-ნიშნის კოსმიურობის შესაბამისია და მისი სახელია „ადამიანი“.

მაშასადამე, სიტყვა „მე“ არის მხოლოდ ადამ და ევას ცივილიზაციის ადამიანის პირველსაწყისი კოსმიური მდგომარეობა. ამავდროულად, შევიცანით, რომ სახელი „ადამი“ ქართული ენიდან – სიტყვა „ადამი-ანი“-დან მომდინარეობს, ე.ი. მას ეს სახელი ეწოდა მაშინ, როცა ყველა ერთ ენაზე ლაპარაკობდა, ეს იყო იბერიულ-ქართული ენა. ამიტომ, ქართველმა ადამიანებმა ჯერ კიდევ „ადამის“ ცივილიზაციის დასაწყისში პირველ ადამს „ქართ ადამი“ უწოდეს, ვინაიდან ის იყო არა მხოლოდ „ადამი“, არამედ პირველი „ადამი-ანი“. მაშასადამე, ქართველებს ჯერ კიდევ „ადამის“ ცივილიზაციის IV ციკლის დასაწყისში, დაახლოებით 8000 წლის წინ, გვქონდა ქართული ანბანის საიდუმლოს აღქმა. ამ დროს დავიწყეთ ქართველებმა წელთაღრიცხვა „ქართ ადამს აქათ...“. სიტყვები „ქართ“ – „ქართული“ – „ქართველი“ გულქართლთან და გულმართალთანაა დაკავშირებული.

სამყაროს ყველა საიდუმლო ქართულ ანბანში და ქართულ ენაში აისახება: როდის დაინგრა „ბაბელონის გოდოლი“, როდის მოხდა „წარღვნა“, რა არის „გრალის თასი“ და „ოქროს საწმისი“, ნოეს კიდობანი; ანბანში აისახება სამყარო წარღვნამდე და წარღვნის შემდეგ, სამყაროს შექმნის 6 დღე; ქართულ ანბანში აისახება შუმერების ქალღმერთ ინანას კოსმიური გზა „ქვესკნელის სამეფოში“; მასში აისახება ქართულ წელთაღრიცხვათა ათვლის წერტილები „ქართ ადამს აქათ“ და „დასაბამითგან“; მასშია ასახული სამყაროს ოთხივე საწყისის საიდუმლო. ბიბლიური კაბალას ცოდნა სამყაროს უდიდესი კოსმიური საიდუმლოა. ეგვიპტელმა ქურუმებმა ჰეროდოტეს (ძვ. წ. Vს.) აჩვენეს 341 ქურუმის ქანდაკება, რომ-

ლებიც მონაცვლეობით იყვნენ ანბანის საიდუმლო ცოდნის მფლობელები. ეს არის ბიბლიური კაბალას საიდუმლო ცოდნა, რომელიც მსოფლიოში არსებული 14 ანბანიდან მხოლოდ ქართულ ანბანში აისახება, რაც სამყაროს გენეტიკური კოდის – დნმ-ის გამოვლინებაა.

ზემოთ განხილული მასალა ნათელი საფუძველია იმის გასაცხადებლად, რომ ჩემი, როგორც „კოსმოსის გიდის“ მისია შესრულებულია: **გაცხადებულია „ოქროს საწმისის“, ანუ „ნათელის“ ენერგიის საიდუმლო, ამავდროულად, ქართველმა ერმა დაიბრუნა და გააცნობიერა ბიბლიური კაბალას საიდუმლო ცოდნა. ამ კვლევამ მიგვიყვანა ქართულ ენასთან, ქართულ ანბანთან, ქართული გენის პირველსაწყის საიდუმლოსთან. სწორედ ეს შექმნის დედამიწაზე „ნათელის ენერგიას“, სამყაროს მეოთხე საწყისის – ცეცხლის სტიქიის ენერგიას, რაც კოსმიური ცოდნის და აზროვნების ხვთიური ენერგიაა.**

2012 წლის კატასტროფები არის არა სამყაროს დასასრული, არამედ დიდი ცვლილებების დასაწყისი. მოხდება ადამიანში „მიძინებული“ უდიდესი უნარების, მასში ჩადებული ბუნებითი ძალების გამოღვიძება. ადამიანი იფიქრებს განავითაროს სულიერი საწყისი და ჰარმონიული ცხოვრება ბუნებასთან. იგი თავის თავში აღმოაჩენს და გახსნის ხვთაებრივ ცეცხლს, სამყაროს ჰარმონიულობისა და ბედნიერების კანონებს, მოერგება გარე სამყაროს. ამ დროისათვის ადამიანს ეძნება „იმუნიტეტი“ სიცრუის წინააღმდეგ.

ბევრი ადამიანი იგრძნობს „დროის ცვალებადობას“, რაც მათში გააღვიძებს ადრე დაკარგულ ზებუნებრივ თვისებებს. მათთვის ნათლადხედვა, სივრცესა და დროში, ანუ „განზომილებებში“ თავისუფლად გადაადგილება, ჩვეულებრივი ამბავი იქნება. ისინი წარსულს, აწმყოსა და მომავალს ერთდროულად აღიქვამენ. ავადმყოფობისგან განიკურნებიან მათშივე არსებული შინაგანი ძალების დახმარებით. სწორედ უსაზღვრო მეტაფიზიკური თვისებების შეცნობა და პრაქტიკაში გამოყენება იქნება მათი ცხოვრების და არსებობის საფუძველი. გადარჩენილები იცხოვრებენ არა როგორც დღეს, არამედ სხვაგვარად, სხვაგვარ გარემოში – მომავლის ადამიანები დაკავებული იქნებიან ადამიანთა ახალ თვისებათა განვითარებით. თანდათან შეიცვლება თვით ადამიანის და ზოგადად სამყაროს დნმ – გენეტიკური კოდი, რის შედეგადაც უკვე იბადებიან ინდიგო ბავშვები. ისინი ჯერ პატარები არიან და მომავალში თავის თავში აღმოაჩენენ და გააცნობიერებენ უდიდეს მეტაფიზიკურ შესაძლებლობებს.

ბიბლია გვამცნობს: **„ ... მოველით ახალ ცას და ახალ მიწას, რომელზედაც დამკვიდრებულია სიმართლე“**. (2 პეტრე, 3, 13).

მოვიყვან ნაწყვეტს იან პარამონოვის წიგნიდან – „ნოსტრადამუსიდან გლობამდე“ (1992წ.): „ადამიანები, რომლებიც ტექნიკას და საერთოდ მეცნიერებას ჩაეჭიდებიან, რათა ცხოვრება გააგრძელონ, ჩანთქმულნი და განადგურებულნი იქნებიან დედამიწის და კოსმოსის ენერგიების მორევში, ვინაიდან ისინი ხელს უშლიან ევოლუციის ბუნებრივ პროცესებს, სულიერ განვითარებას, ბუნებასა და მასში ადამიანის როლის შემეცნებას. ისინი იქნებიან დამრღვევი სამყაროს ჰარმონიისა, მათ არა აქვთ მომავალი. გაიხსნება ცისა და მიწის საზღვრები და გახდება ერთიანი. ადამიანები შეიცნობენ, თუ საიდან მოვიდნენ კოსმოსიდან დედამიწაზე მათი შორეული წინაპრები. განვითარების ახალ საფეხურზე ასასვლელად დაგვეხმარება არა ტექნიკა, არამედ სულიერება და აზროვნება, სწორედ ეს არის კოსმოსის სამყარო, რეალური გარდასახვის რეალური ძალა“.

ამქვეყნად მოსულ ადამიანს დავიწყებული აქვს ვინ არის, რატომ და საიდან მოვიდა ამქვეყნად, სად მიდის გარდაცვალების შემდეგ. ნოსტრადამუსი თვლიდა, რომ **ადამიანი კოსმოსის ნაწილია, რომ ადამიანი ბედისწერის ხელში სათამაშოა და წინასწარ განსაზღვრული ბედისწერის შეცვლა არავის ძალუძს**. ადამიანმა უნდა შეიცნოს თავისი თავი და დანიშნულება – მისია დედამიწაზე მოსვლისა.

ბოლო ჟამის შესახებ არსებობს მნიშვნელოვანი წინასწარმეტყველებები.

ინდოელმა პროფესორმა და გასხივოსნებულმა ოსტატმა ქ. ბანგალოდან, კრიშნამურტიმ, გაშიფრა ნოსტრადამუსის წინასწარმეტყველება, თუ რა ელოდება დედამიწას და ადამის ცივილიზაციას. ის არც ისე დამამშვიდებელია. ნოსტრადამუსის წინასწარმეტყველებით, 2012 წლის შემოდგომაზე დაიწყება ომები მთელ დედამიწაზე, გამოყენებული იქნება მასობრივი განადგურების იარაღი. იფეთქებს კონფლიქტები ახლო აღმოსავლეთში, აზიასა და ჩრდილო აფრიკაში. აღწერილი აქვს საშინელე-

ბათა სცენები. 2012 წლის ბოლოსთვის „სუპერ“ სახელმწიფოების მიერ გამოყენებული იქნება მასიური განადგურების ახალი იარაღი, რომელიც დიდ კლიმატურ კატასტროფებს გამოიწვევს. ბუნება გადაირევა, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, ათასობით ადამიანი გახდება ამ კატასტროფათა მსხვერპლი, ბევრი დასახლებული პუნქტი აღიგვება პირისაგან მიწისა. **ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში მხოლოდ ერთი ქვეყანა გადარჩება. ამ ქვეყანას ნოსტრადამუსი ასე ახასიათებს: „უძველესი ამაღლდება, მოაქვს ადამიანებისთვის იმედი, ის არ ისწრაფვის ბატონობისკენ“. ამასთან, ნოსტრადამუსი ამ ქვეყანას მდედრობითი სქესით მოიხსენიებს. ასევე, ამ ქვეყანას „დიდი ქალბატონი“, ანუ ქალღმერთი ჩუქნის სიყვარულის ძალას. სწორედ ის დაიფარავს ამ ქვეყანას დიდი კატასტროფებისგან. ნოსტრადამუსი ამ სიტყვებში მოიაზრებს აღმოსავლეთის უძველეს ქვეყანას. შემდეგ დედამიწაზე დაეშვება „ცის ხვთაებრივი ნათელი“.**

კრიშნამურტი ვარაუდობს, რომ ეს ქვეყანა შეიძლება იყოს ინდოეთი, მაგრამ, ამავდროულად, ეს აზრი ეეჭვება, ვინაიდან ინდოეთი დიდი ქვეყანაა, ხოლო **ნოსტრადამუსი კი პატარა ქვეყნის გადარჩენას წინასწარმეტყველებს**. კრიშნამურტის ამის საფუძველს აძლევს ის, რომ მსოფლიოს ყველაზე ძველი ინდოეთის ენა „სანსკრიტია“. სინამდვილეში პირველსაწყისი ინდოეთი კავკასია და საქართველოა. გავიხსენოთ **რამას** მოგზაურობა საქართველოში – კავკასიის ინდოეთში. მსოფლიოს ყველაზე ძველ ენაში – „სანსკრიტში“ ბევრი ქართული სიტყვაა როგორც წარმოთქმით, ისე მნიშვნელობით. თუმცა, მეცნიერთა გამოკვლევით, სანსკრიტული ენის – დევანაგარის წარმოშობას ძვ.წ. I ათასწლეულს მიაკუთვნებენ. ეს კი ნიშნავს, რომ დევანაგარის ენა წარმოქმნილია უფრო ძველი ენიდან – ქართულიდან. ამავდროულად, სამყაროს „დიდი ქალბატონი“-ს, სამყაროს დიდი დედის სამშობლო, წილხვედრი ქვეყანა, ამ წიგნში განხილული კვლევების მიხედვით, ოდითგანვე კავკასია და საქართველო ყოფილა.

ნოსტრადამუსის წინასწარმეტყველებით, ბოლო ჟამის მოვლენებს გადაურჩება მხოლოდ ცივილიზაციის პირველსაწყისი პატარა ქვეყანა, სადაც ცხოვრობს ის ხალხი, რომლის გენმაც დაიწყო დედამიწაზე ადამის ცივილიზაცია. ამ ხალხს სამყაროს „დიდი ქალბატონის“ – ხვთისმშობლის სიყვარული დაიფარავს და გადაარჩენს, რათა ისევ ამ გენმა გააგრძელოს გზა სიცოცხლისა მარადისობაში. ადამის ცივილიზაცია ერთ-ერთი

შემადგენელი „რგოლია“ იბერიის ცივილიზაციის დიდი „ჯაჭვისა“.

მე-20 საუკუნის უდიდესმა ნათელმხილველმა და წინასწარმეტყველმა ვანგამ სიკვდილის წინ უცებ შემდეგი სიტყვები წარმოთქვა: „მოვა საოცრებების და დიდი აღმოჩენების დრო არამატერიალურ სამყაროში. იქნება დიდი არქეოლოგიური აღმოჩენები, რომლებიც ძირფესვიანად შეცვლის ჩვენს წარმოდგენას სამყაროზე უხსოვარი დროიდან. ასეა წინასწარ განსაზღვრული“.

ჩვენთვის, ქართველი ერისთვის, მნიშვნელოვანია **ვანგას** მიერ გაცხადებული ინფორმაცია ბოლო ჟამის შესახებ: **„მთელი კოსმოსი ქართულად ლაპარაკობს. მოხდება ქართულ ენაზე მოლაპარაკეთა გაწმენდა. ქართულ ენაზე უნდა ილაპარაკონ იმათ, ვინც კოსმოსთან ჰარმონიაში მოვა. მაგრამ ამისთვის დრო არის საჭირო. ეს თანდათან მოხდება“.**

ქუთაისის მოწამეთას ტაძარში მოღვაწე **ბერი, მამა გიორგი ბასილაძე,** ამბობს (2008წ.): „საქართველო მსოფლიო დონის აღმოჩენების წინა პერიოდშია. გამაოგნებელი ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის საიდუმლოებები გამჟღავნდება საქართველოში. ღმერთი მსოფლიოს დაანახვებს ქართველობის ნამდვილ სახეს. ღმერთისგან დაფარული უზარმაზარი ცოდნა, რომელიც საიდუმლოდ გადაეცემოდა წმინდა ბერებს თაობიდან თაობაში და რომელსაც წიგნებში ვერ ამოიკითხავთ, მალე გაგვეხსნება. საქართველო განსაკუთრებული მისიის ქვეყანაა. ჩვენი ერი იმუშავებს ბოლო ჟამს სხვა ერების გადარჩენაზე. ამისთვის კი ჯერ ჩვენ უნდა გამოვჩნდეთ მსოფლიოს რუკაზე, მერე უნდა გავაცნოთ თავი, მერე უნდა დავუმტკიცოთ, ვინცა ვართ, რომ დაგვიჯერონ, ისწავლონ და გადარჩნენ. და ყველაფერ ამაზე სხვადასხვა ძალის, მადლის და დანიშნულების წმინდანები მუშაობენ, როგორც მოქმედი, ისე დაფარული. ჩვენ საწყალი ერი კი არა, უბედნიერესი ერი ვართ!... უდიდესი საიდუმლოებები გაგვეხსნება, ამიტომ ღმერთი წინასწარ ტანჯვითა და ტკივილებით გვწმენდდა და გვიმზადებდა სულს. ამიტომ ვართ ყველა ერზე ნატანჯი ერი და ამიტომაც **გაგაბრწყინებს ხვთისმშობელი ჩვენს ერს ბოლო ჟამს. ხვთისმშობელს ეს აღთქმა თვით ქრისტე ღმერთმა დაუდო“.**

ქართველი ერი კავკასიის ძირძველი, მკვიდრი მოსახლეობაა, რომელსაც ჯერ კიდევ 8000 წლის წინ ჰქონდა ანბანი. იგი არსაიდან მოსული არ არის. ამას გვიდასტურებს ბიბლიური კაბალას ცოდნა, რომელ-

იც მსოფლიოში არსებული ყველა ანბანიდან, მხოლოდ ქართულ ანბანში აისახება. სიტყვა „კაბალი“ – „კაბა-ალი“ ქართული წარმოშობისაა და ცეცხლის სტიქიის სამოსს – კაბას, მატერიას ნიშნავს. ამასთანავე, აღმოსავლეთ საქართველოს ჰერეთ -კახეთს ოდითგანვე „**კაბალა**“ ერქვა. დღესაც არის იქ სოფ. კაბალი, მდ. კაბალი, ქ. კაბალა. დავით გარეჯის ერთ-ერთ კლდეზე გამოსახულია გიგანტური ქართული ასომთავრული ანბანის „Ⴓ“ და „Ⴣ“ ასო-ნიშნები, რომელსაც მინიმუმ 8000 წლით ვათარიღებ. ქართული ასო-ნიშნები უდიდესი კოსმიური მნიშვნელობით წარმოჩინებულია ჩინეთში, შუმერში, მაიას ტომების პირამიდებსა და არქეოლოგიურ ძეგლებზე. ქართული ანბანი კოსმიური ნიშნებია და გამოცხადებით მიღებული ინფორმაციაა. **ღმერთი ამბობს: „მე ვარ ანი და ოხი“, ანუ ანბანი თვით ღმერთია, მაგრამ ამ სიტყვებში მოიაზრება ის ანბანი, რომელშიც აისახება კაბალას კოსმიური ცოდნა ღმერთზე, ადამიანსა და სამყაროზე, როგორც ერთიან კოსმიურ სინთეზზე. ასეთი კი მხოლოდ ქართული ანბანია**, რაც ასევე აისახება ქართულ მითოლოგიაში, ეთნოგრაფიასა და არქეოლოგიაში, როგორც სამყაროს პირველ ადამიანთა კოსმიური ცოდნა. ქართული ანბანის კვალია ყველა ძველი ცივილიზაციის ხალხთან. **სამყარო განსხეულებულია ქართული ანბანის გენეტიკური კოდით, რომელიც თითოეული უჯრედის დნმ -ის ორ სპირალშია „ჩატვირთული“**.

გავიხსენოთ მამა გიორგი ბასილაძის სიტყვები: „ქართველობა ძნელია, მაგრამ აუცილებელი“, „ქართველობა ნახევარი ცხონებაა“, „ყველას როდი აქვს ზეციდან ჩამოსული სული?!“ რაზე მიგვანიშნებს ასე დამაჯერებლად მამა გიორგი?

მსოფლიოს ხალხთა მითოლოგია გვამცნობს, რომ იყო დრო, როცა დედამიწაზე მხოლოდ ღმერთები ცხოვრობდნენ. მოგვიანებით მათი ნაწილი ცაში ავიდა, ხოლო ნაწილი დედამიწაზე დარჩა. სწორედ მათი შთამომავლები არიან „მე“-ს კოდის – ქართული ანბანის გენეტიკური პირველსაწყისი კოდის მატარებელი ხალხი, რომელსაც უფალმა იბერიის ცივილიზაცია უწოდა. ისინი ერთ ენაზე, ქართულ ენაზე აზროვნებდნენ და ლაპარაკობდნენ. **ქართული ენა ღმერთების ენაა.** სინურ მრავალ თავში (XIს.) იოვანე-ზოსიმე გვამცნობს წინასწარმეტყველებას: „მეორედ მოსვლისას მაცხოვარი ამ ენაზე (ქართულ ენაზე) განიკითხავს და ამხილებს ქვეყანას“.

ქართული გენით, ქართველი ხალხით დაიწყო ადამის ცივილიზაცია. 2000 წლის შემდეგ, ახ. წ. 4000 წელს კაცობრიობა ცივილიზაციის ახალ ციკლში ისევ პირველსაწყისი გენით – ქართული გენის მატარებელი ხალხით უნდა გადავიდეს. ადამის ცივილიზაცია ერთ-ერთი შემადგენელი „რგოლია“ იბერიის ცივილიზაციის დიდი „ჯაჭვისა“.

სამყაროში ყველაფერი უფლის ნებაა, უფლის დიდი გეგმის – დიდი ჩანაფიქრის ნაწილია და ადამიანი ვერაფერს შეცვლის. სამყაროში ყველა და ყველაფერი პირველსაწყისს უბრუნდება.

ინდიგო ბავშვები – ახალი ტიპის ადამიანები

უკანასკნელ წლებში დედამიწაზე იბადებიან ჩვეულებრივი ადამიანებისგან განსხვავებული ახალი ტიპის ბავშვები. მათ შესახებ ინფორმაცია პირველად ამერიკის შეერთებულ შტატებში გავრცელდა ლი კეროლისა და იან ტროუბესის წიგნით „ინდიგო ბავშვები – ახალი ბავშვების დაბადება“.

ინდიგო ბავშვების შესახებ საინტერესო მოსაზრებებს გვთავაზობს ამერიკელი მეცნიერი, ეზოთერიკი, მკურნალი და მოძღვარი დრუნვალო მელქისედეკი. მისი აზრით, ადამიანის გენეტიკაში მოხდა გადახალისება, ანუ დნმ-მა განიცადა ცვლილებები და ეს აისახა ბოლო წლებში დაბადებულ ბავშვებზე. დედამიწაზე სამი ტიპის ბავშვები იბადებიან: ინდიგო ბავშვები, შიდსის ბავშვები და ექსტრასენსი ბავშვები. მიუხედავად კანის ფერისა, ადამიანებს ერთნაირი სისხლი აქვთ. შეიცვალა ადამიანის კვების რაციონი – ხორცს დაემატა ხილი და ბოსტნეული, შეიცვალა კლიმატი, რამაც სისხლში რეაქციები გამოიწვია. ადამიანები, რომელთა სისხლშიც დნმ-ის ცვლილებებია შემჩნეული, არიან ახალი ტიპის ინდიგო ბავშვები. **ამ ბავშვების მისია გახლავთ, რომ გადაარჩინონ კაცობრიობა უახლოეს მომავალში მოსალოდნელი უდიდესი განსაცდელის ჟამს.**

1974 წელს ჩინეთში პირველად დააფიქსირეს გენეტიკურად სახეშეცვლილი ბავშვი: პატარა ბიჭს შეეძლო დაენახა ყურებით, ზუსტად ისე, როგორც ჩვენ თვალებით ვხედავთ. როგორც დრუნვალო აღნიშნავს, უკეთესადაც კი. ამერიკაში ინდიგო ბავშვების დაბადება 1984 წლიდანაა დაფიქსირებული. დღეს ასეთი ბავშვები იბადებიან მთელ პლანეტაზე და დაბადებულთა 80-90% უკვე ინდიგო ბავშვებია. ასეთი ბავშვები უფრო იმ ქვეყნებში იბადებიან, სადაც ფართოდ გამოიყენება კომპიუტერები. მათი ღვიძლი მკვეთრად განსხვავდება ჩვენისგან, რაც იმის დასტურია, რომ უნდა მომხდარიყო ცვლილებები დნმ-ში. ზოგიერთი მეცნიერი ფიქრობს, რომ ეს გამოიწვია ეკოლოგიურად მოწამლულმა საკვებმა. ადამიანის დნმ-მა განიცადა მუტაცია (ჩემი აზრით, ეს მცდარი დასკვნებია).

ასეთ ბავშვებს ახასიათებთ ბრწყინვალე გონებრივი შესაძლებლობები, მათთვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს კომპიუტერული პროგრამები. კომპიუტერი თითქოს მათი ტვინის გაგრძელებაა. დღევანდელი განათლების სისტემა ძნელად ერგება მათ. პედაგოგები, ექიმები, აღმზრდელები მათ მიიჩნევენ რთულ ბავშვებად. მათ არ შეუძლიათ ერთ რაიმეზე დიდხანს შეაჩერონ ყურადღება. ზოგ მათგანს შეუძლია მშობლების ფიქრის გამოცნობა.

ადამიანი ცხოვრების მანძილზე თუ განიწმინდებოდა და სულიერად გაცისკროვნდებოდა, მის აურაში ჩნდებოდა იასამნისფერი (ინდიგო) ფერი. ახალი ტიპის ბავშვების აურაში კი დაბადებიდანვე ჭარბობს ინდიგო ფერი. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ეს ბავშვები დედამიწაზე ცნობიერების ძალიან მაღალი, არამიწიერი დონიდან ჩამოდიან. დრუნვალოს აზრით, მათი მისია სამყაროს შეცვლაა.

აუცილებლად უნდა გადახედოთ ამ ბავშვებთან დამოკიდებულების საკითხს. მოსკოვის ერთ-ერთ არხზე ფსიქოლოგი მშობლებს აძლევდა რჩევებს, თუ როგორ უნდა მოექცნენ ასეთ ბავშვებს, როგორ აღზარდონ ისინი. მისი რჩევით, ამ ბავშვებთან არ შეიძლება ჯიბრი, დაპირისპირება, არ არის აუცილებელი მშობლის და აღმზრდელის აზრის გაზიარება. მათ უნდა მიეცეთ არჩევანის სრული თავისუფლება, შეიძლება მისცეთ რჩევა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დააძალოთ.

ახალ ბავშვებს განეკუთვნებიან ე.წ. „შიდსის ბავშვები“, მათი იმუნური სისტემა ისეთი მაღალი დონისაა, რომ შიდსის თანდაყოლილი ვირუსი ორგანიზმში მოსპო. ასეთი ბავშვები დღეს მრავლად იბადებიან და სხვა ინფექციებით არ ავადდებიან.

ინდიგო ბავშვებში ძლიერია ექსტრასენსული თვისებები. მათი ცნობიერება არის არა სამგანზომილებიანი, არამედ უკვე გასულია სამი განზომილებიდან. რასაც კი ეს ბავშვები გაიფიქრებენ, რეალობად იქცევა ხოლმე. მათ შეუძლიათ დაინახონ ყურებით, მუხლებით, ენით, ხელისგულებით. მექსიკაში უკვე ათასამდე ასეთი ბავშვია დაფიქსირებული. ჩინეთში მათი რიცხვი 100 ათასს აჭარბებს. მათ ასეთი ბავშვებისთვის სპეციალური სკოლებიც კი გახსნეს. ჩინეთში ჩატარდა ექსპერიმენტი: აუდიტორიაში მყოფ ათასამდე კაცს შესვლისას ვარდის კოკრები დაურიგეს; 6 წლის პატარა ჩინელმა, რომელიც სცენაზე გამოვიდა, ხელი ზემოთ ასწია და აუდიტორიაში მჯდომთა ხელში დაჭერილი ვარდის კოკრები სულ რაღაც ერთ წამში გაიფურჩქნა უმშვენიერეს ვარდებად. ასევე, ამ ბავშვებმა შეძლეს აზრის ძალით გამოეღოთ ნებისმიერი ნივთი, რომელიც მასიურ

სეიფებში იყო ჩაკეტილი. მათ ამისთვის სეიფის გაღება არ დასჭირვებიათ – ფიქრი მომენტალურად მატერიალიზდება, ანუ სინამდვილეში ხდება. ეს ბავშვები მაღალი განზომილების შესაძლებლობების არიან, ჩვეულებრივი ადამიანები კი ე.წ. „სამგანზომილებიან“ შესაძლებლობებს ფლობენ. ადამიანთა რაოდენობამ დედამიწაზე 6 მილიარდს გადააჭარბა; თუ ჩავთვლით, რომ მოსახლეობის 1% ინდიგო ბავშვები არიან, მაშინ მათი რიცხვი უკვე 60 მილიონია.

დღეს მშობლები და აღმზრდელები ბავშვებს უნიკალურ შესაძლებლობებს ამჩნევენ, კერძოდ, ნათელმხილველობის, მკურნალობის და მაღალი ინტელექტის დონეს. **ინდიგოს უწოდებენ მათი აურის ფერის გამო**. ყოველწლიურად ეს რიცხვი უფრო მატულობს, მაგრამ დღეს საზოგადოება დადგა იმ ამოცანის წინაშე, თუ როგორ აღზარდონ ისინი.

ინდიგო ბავშვებს მეტად აქვთ განვითარებული ტვინის მარჯვენა ნახევარსფერო, რომელიც განაპირობებს ადამიანთა წარმოსახვით აზროვნებას, რომელიც აჭარბებს ლოგიკურ აზროვნებას. ისინი თანამედროვე ინფორმაციული ეპოქის შვილები არიან. ამ ბავშვებს არ სჭირდებათ ლოგიკური აზროვნების ჯაჭვის აშენება, რომელიც ახასიათებს მარცხენა ნახევარსფეროს აზროვნების ბავშვებს. ინდიგოები მომენტალურად წვდებიან საკითხის არსს – აცალკევებენ სიმართლეს ტყუილისგან, საკითხებს სწვდებიან ინტუიციურად, მომენტალურად პირდაპირ გამოიცნობენ – ამოიცნობენ საკითხის სიღრმეს. ასეთი ბავშვების აღზრდას განსაკუთრებული მეთოდი სჭირდება. მათ აღზრდაში დიდი მნიშვნელობა აქვს არა იმას, რასაც სიტყვიერად გადმოსცემენ, არამედ საქციელსა და აზროვნებას. ასეთ ბავშვებთან ურთიერთობისას უნდა გახსოვდეთ, რომ თქვენ ურთიერთობთ ძირითადად მათ ქვეცნობიერთან. ამასთანავე, ისინი თქვენს აზრებს კითხულობენ. აღმზრდელის ფიქრი, საქციელი და ლაპარაკი ერთი უნდა იყოს. **ინდიგო ბავშვები უნდა აღზარდონ სუფთა და გახსნილი სულის და გონების ადამიანებმა. ტყუილს და ცრუ აზროვნებას ისინი აგრესიულად პასუხობენ ან ტირიან, ისინი სიმართლის მოყვარენი და სიმართლისთვის მებრძოლი სულისანი არიან.**

ინდიგო ბავშვები ბევრს სწავლობენ დამოუკიდებლად. მათ ყოველთვის იციან, რა უნდათ. ყურადღებით უსმინეთ და გულწრფელად უპასუხეთ. გაიაზრეთ: თქვენი შვილი თქვენზე გაცილებით ჭკვიანია. ხშირად

კითხეთ რჩევა, სთხოვეთ, გამოთქვას, საკითხთან დაკავშირებით, თავისი მოსაზრება. იმისთვისაც მზად იყავით, რომ მისი პასუხის შემდეგ ჩიხში აღმოჩნდებით. ეს პასუხებია იმ ცოდნის ყულაბიდან, რომელიც თქვენთვის მიუწვდომელია. არასოდეს არ დაამციროთ მათი თავმოყვარეობა, არ გაზარდოთ თქვენი სურვილების წნეხის ქვეშ და არ აკონტროლოთ მკაცრად. უნდა მიანდოთ მათ თავიანთი ცხოვრება ასაშენებლად ისე, რომ მან იგი მოაწყოს თავისი ცხოვრებისეული ამოცანის შესასრულებლად. ის, რისკენაც მიისწრაფვიან, კარგად აქვთ გაცნობიერებული. არასოდეს არ მოატყუოთ, ისინი სრულად აღიქვამენ თქვენს აზრებს და ჩანაფიქრს. მიეცით არჩევანის საშუალება, მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ მხოლოდ გააფრთხილეთ. თხოვნას ბრძანებად ნუ გამოხატავთ. გახსოვდეთ, რომ ჩვენი სტანდარტული აზროვნება მათ არ მოუტანს არც ბედნიერებას და არც ჯანმრთელობას. შეუქმენით შემოქმედებითი გარემო. მათ უყვართ ცეკვა, სიმღერა, ლექსების წერა და კითხვა. შეუქმენით ლამაზი და მყუდრო გარემო. ყველა საკითხზე ინფორმაცია ამომწურავად და სრულად მიაწოდეთ. ისინი იღებენ მხოლოდ იმას, რაც სჭირდებათ ახლა და მომავალში. თქვენ მათ უნდა აუხსნათ, საიდან და როგორ მიიღონ საჭირო ინფორმაცია. ისინი ეძებენ ნამდვილ და მყარ მეგობრობას, სიყვარულს ირგვლივ მყოფი ადამიანებისგან. ამით ხელს შეუწყობთ თქვენს ბავშვს, იპოვოს თავისი ადგილი ცხოვრებაში.

ცხოვრება გვამზადებს ახალი სამყაროსთვის, ახალ ცივილიზაციაში გადასასვლელად, რასაც დღევანდელი ადამიანის აზროვნება და ფიზიკური შესაძლებლობები ვერ მოერგება. მომავალი დედამიწაზე ინდიგო ბავშვებისაა.

ახალი ბავშვების თვისებები და შესაძლებლობები უფრო მეტად გამჟღავნდება, მათ ექნებათ ყველაფერი, რასაც მოისურვებენ – შეეძლებათ თავიანთი სურვილების გამატერიალიზება. სამყაროში ადამიანთა შორის და ბუნებაში თავს იჩენს ახალი ურთიერთობები. დროთა განმავლობაში არ დასჭირდებათ შრომა, ჭამა, კეთება, აშენება, მათი ყველა სურვილი გამატერიალიზდება ისევე, როგორც ზღაპრებშია.

მათ არ დასჭირდებათ გათბობა – მათი ტემპერატურა იქნება თვითრეგულირებადი, არ დასჭირდებათ წიგნი, კომპიუტერი, ტელევიზია – ყველაფერი ეცოდინებათ. იქნებიან ყველგან მყოფნი, სურვილის შემთხვევა-

ში, ე.წ. მესამე თვალით, ყველაფერს დაინახავენ იქიდან, სადაც იქნებიან; არ დასჭირდებათ ტრანსპორტი – შეეძლებათ ტელეპატიური გადაადგილება, ანუ აქ გაქრებიან და იქ გაჩნდებიან; იქნებიან ყველა სასურველი ინფორმაციის მფლობელები. დღეს ჩვენ არ შეგვიძლია სრულყოფილად წარმოვიდგინოთ მათი დიდი მეტაფიზიკური შესაძლებლობები, ვინაიდან წარმოდგენა არ გვაქვს იმ უდიდეს კოსმიურ პროცესებზე, რაც დღეს სამყაროში მეტაფიზიკურ დონეზე მიმდინარეობს. ახალი ტიპის ადამიანისთვის ეს ყველაფერი გახსნილი იქნება: არ დასჭირდებათ ანბანი საწერად და კითხვა, წიგნი, ინფორმაციის სხვა საშუალებები. ინდიგოები იყვნენ ჯერ კიდევ სამყაროს პირველი ადამიანები, რომლებსაც კაცობრიობა დღეს ციკლოპურ, მესამე – გონითი თვალგახსნილ ადამიანთა ცივილიზაციას უწოდებს და არის იბერიის ცივილიზაციის დიდი გენეტიკური ჯაჭვის შემადგენელი ერთი „რგოლი“ ისევე, როგორც ადამის ცივილიზაცია. ასეთმა „ადამიანებმა“ აღიქვეს და დააფიქსირეს დღემდე მოტანილი ბიბლიური „კაბალას“ დაშიფრული საიდუმლო ცოდნა ღმერთზე, ადამიანსა და სამყაროზე, როგორც ერთიან კოსმიურ სინთეზზე, რომელიც ქართული ანბანის, როგორც სამყაროს გენეტიკური კოდის სახით დაგვიტოვეს. მათ ადამის ცივილიზაციის პირველივე დღეებიდან დაიწყეს წელთაღრიცხვის ათვლა „ქართ ადამს აქათ“. თანამედროვე ინდიგო ბავშვები ახლანდელი, ჩვეულებრივი ადამიანების შთამომავლობაა. ასევე პირველი ადამიანები, რომელთაც დაიწყეს ადამის ცივილიზაცია, იყვნენ ჯერ კიდევ წინა, „ყოვლისშემძლე“ ცივილიზაციის შთამომავლები. ეს ცოდნა მომავალ თაობებს ზეპირსიტყვიერად გადაეცემოდათ. მათ იცოდნენ სამყაროში მიმდინარე ყველა კოსმიური პროცესი, იცოდნენ სამყაროს შესახებ ყველაფერი. პირველმა ადამიანებმა, რომელთაც ეს ცოდნა ჯერ კიდევ შენარჩუნებული ჰქონდათ, დაგვიტოვეს მითოლოგიის, ეთნოგრაფიის, არქეოლოგიური თუ ისტორიული სიმბოლიკის სახით.

ინდიგოები ჯერ კიდევ ბავშვები არიან, პატარები, რომელთაც არ შეუძლიათ თავის თავზე მუშაობა. მათ მიერ თავიანთი შესაძლებლობების გაცნობიერება მომავალში უფრო დაჩქარდება.

ადამის ცივილიზაციას, არსებობის ათასწლეულების მანძილზე, არ გაუწყვეტია სულიერი კავშირი წინა ცივილიზაციის ხალხთან. **კაბალას ცნობიერების პირველსაწყის საშუალოში – საქართველოში დაბრუნებამ განაპირობა ცეცხლის სტიქიის – ოქროს საწმისის ენერგიის მოსვლა, რაც ინდიგო ბავშვების – ახალი ტიპის ადამიანის დაბადების საფუძველი გახდა.** დღეს მხოლოდ ადამიანებს ვაკვირდებით. მალე შევამჩნევთ, რომ ეს ცვლილება დედამიწაზეც და მასზე არსებულ ყოველ მიკრო და მაკრო სამყაროზე აისახება. სამყაროში ყველა და ყველაფერი ინფორმაციულია და სამყაროს ეს თვისება მალე აშკარა გახდება – ყველა და ყველაფერი ერთმანეთთან ილაპარაკებს აზრის ენით, ერთი ენით და ეს იქნება ქართული ენა.

მომავალში შეიცვლება ადამიანთა დამოკიდებულება და ურთიერთობები საგნებთან, ბუნებასთან, ყველაფერთან. ისინი შეიცნობენ ბუნების დიდ კანონს – **სამყაროში ყველა და ყველაფერი ცოცხალია და მათ შორის ჰარმონიული თანაარსებობაა. მომავალში სამყაროში ყველაფერი ბუნების ერთ კანონზე იქნება აგებული – ჰარმონიული თანაარსებობის სამართლიანობის კანონზე.**

ყველა და ყველაფერი პირველსაწყისს უბრუნდება: სწორედ ადამის ცივილიზაციის დასაწყისში არსებობდა ისეთი ხალხი, როგორიც იქნება 2000 წლის შემდეგ. ისინი იქნებიან დღევანდელი ინდიგო ბავშვების შთამომავლები.

ინდიგო ბავშვების, ახალი ტიპის ადამიანების ხვედრი მარადიულ უკვდავებაში, ცათა სასუფეველში გადასვლაა.

რა ელოდება დედამიწას

სამყაროს „ყოველი საიდუმლო“ კოსმიური ცოდნა ქართულ ენასა და ანბანშია ჩადებული. ქართული ასომთავრული ანბანი წარმოაჩენს მამაღმერთის მიერ შექმნილ სამყაროს წინასწარი „ჩანაფიქრის“ – დაგეგმილის მიხედვით, სადაც აისახება ქალღმერთ ინანას მოგზაურობა „ქვესკნელის სამეფოში“. იგი არის დედოფალი ცისა და სურს გახდეს დედოფალი მიწისაც. ამ მიზნით ჩამოდის „ქვესკნელის სამეფოში“, რათა მოძებნოს თავისი კოსმიური მეუღლე და გახდეს დედოფალი მიწისა (ქალი დედოფალი ხდება მხოლოდ დაქორწინების დროს). კოსმიურ სურათში ასომთავრული

სვეტიცხოვლის ზოდიაქოს კალენდარი

ჩინეთი. კოსმიური და-ძმა

ასო-ნიშნები მამაღმერთს თავზე ადგას. მამაღმერთი მრავალსახაა. მისი ერთ-ერთი სახე არის კოსმიური მხედარი – წმინდა გიორგი, რომელსაც შუბლზე მხედრული ასო-ნიშნები აწერია. ქართული ანბანის ბიბლიური კოდის მიხედვით, ახ.წ. 2000 წელს შეესაბამება „ქართ ადამს აქათ“ 8000 წელი და შესაბამისად, მამაღმერთს თავზე ჰორიზონტალურად ადგას ასომთავრული „Ⴕ“ – ასო-ნიშანი – დიაგონალური ჯვარი, რომელიც ენერგეტიკულია, მბრუნავია და ერთი შეხედვით, სვასტიკის ფორმა აქვს, ხოლო კოსმიურ მხედარს შუბლზე აწერია მხედრული „ჯ“ ასო-ნიშანი; მაშასადამე, ახლა, ახ.წ. 2000 წელს, დამთავრდა „ქართ ადამს აქათ“ 8000 წელი,

რომელიც „ათასი ვითარცა ერთის“ მიხედვით არის 8 დღე. ამ პერიოდს, როგორც მნიშვნელოვან მოვლენას, წარმოაჩენს როგორც ქართული, ისე მსოფლიოს სხვა ხალხთა მითოლოგია.

მთავრდება თევზის ზოდიაქოს და იწყება მერწყულის ზოდიაქოს ორიათასწლეული. ეს საკითხი კარგადაა წარმოჩინებული მცხეთის სვეტიცხოვლის ზოდიაქოს კალენდარზე, სადაც გარე წრეზე ზემოთ – ცენტრში გამოსახულია მზე, რომელიც იცქირება მარცხნივ, საიდანაც მზისკენ მიემართებიან – მოძრაობენ ზოდიაქოს გამოსახულებები. სვეტიცხოვლის ეს კალენდარი ახ.წ. II ათასწლეულისაა – თევზის ზოდიაქოს პერიოდის. ამიტომაა მზესთან პირისპირ ორი თევზის გამოსახულება, რომელთა კოსმიური დროის დამთავრების შემდეგ, ანუ ახ.წ. 2000 წლიდან მზის პირისპირ აღმოჩნდება მერწყულის ზოდიაქო, რომელიც წელს ქვემოთ თევზის, ხოლო წელს ზემოთ ადამიანის სახითაა წარმოდგენილი. მერწყულის ზოდიაქოს ჩინელები კოსმიური და – ძმის სახით გამოსახავდნენ, ხოლო წელს ქვემოთ ორი კუდებგადაგრეხილი გველ-თევზების სახით.

მსოფლიოს ხალხთა მითოლოგიაში კოსმიური და-ძმა სიმბოლურად მზეს, ოქროს და ცეცხლს განასახიერებს. მაშასადამე, ახ.წ. 2000 წელს, რომელსაც ქართული ანბანის კოდით, „Ⴕ-ჯ-8000“ ასო-ნიშნის კოსმიურობა შეესაბამება, არის დედამიწაზე ცეცხლის სტიქიის მოსვლის კოსმიური პერიოდი.

ქართული მითების მიხედვით, დობილიანი იახსარი მის მოსაპოვებლად 7 დღე ებრძოდა დევებს და 1 დღე ქაჯებს, ე.ი. სულ 8 დღე, რაც იგივე 8000 წელია. იგივე აზროვნებაა ასახული შუმერთა ქვის ბეჭედზე (ძვ.წ. 3400 წ.). აღსანიშნავია სვეტიცხოვლის ზოდიაქოს კალენდარზე მეორე წრეში გამოსახულ ანგელოზთაგან ერთ-ერთი, რომელიც მდებარეობს მზის ქვემოთ. მას მარცხენა ხელში უჭირავს ნათელი სფერო, რომელზედაც გამოსახულია დიაგონალური ჯვარი – ცეცხლის სტიქიის სიმბოლო.

ცეცხლის სტიქია მოიცავს ოთხივე სტიქიას, რომელთა სიმბოლური გამოსახულებებია მიწა-ლომი, წყალი-ხარი, ჰაერი-არწივი, ცეცხლი-ქალი და ერთ კომპოზიციაში ქმნიან სფინქსს. სვეტიცხოვლის ზოდიაქოს კალენდარზე ცენტრში გამოსახულია ქრისტე, რომელსაც შუბლზე აწერია ქართული **37-ᲐᲬ-ᲝᲮ** ასო-ნიშნის შესატყვისი ბერძნული „ω“ ასო-ნიშანი,

ხოლო მის ირგვლივ გამოსახულია ოთხი სტიქიის შესაბამისი ცხოველი. ცეცხლის სტიქია არის სფინქსის ენერგეტიკული გამოვლინება.

ცეცხლის სტიქია ბიბლიაში, მითოლოგიასა და ეთნოგრაფიულ მასალებში მსოფლიოს ძველი ცივილიზაციის ყველა ხალხთან მოიაზრება, როგორც ბოლო ჟამის უფლის ენერგეტიკული გამოვლინება, რომელმაც მოქმედება დაიწყო ახ. წ. 2000 წლიდან. ეს პროცესი შემდეგში უფრო გააქტიურდება, მაქსიმუმს მიაღწევს ათასი წლის შემდეგ – ახ. წ. 3000 წელს, ანუ ქართული ანბანის კოდით, „ქართ ადამს აქათ“ „**ჰ—9000**“ ასონიშნის კოსმიურ პერიოდში.



ჩინეთი

მსოფლიოს ძველი ხალხები მნიშვნელოვნად წარმოაჩენენ, ქართული ანბანის კოდით, **„Ꭻ-Ꭾ“** კოსმიურ პერიოდს, რომლის დროსაც მთავრდება რაღაც მნიშვნელოვანი და იწყება ცეცხლის სტიქიის მოქმედების აქტივობის პერიოდი. ეს აზროვნება აისახება ჩინეთის „იძინის“ კლასიკურ წიგნში, სამყაროს ცვალებადობის შესახებ, სადაც პირველი ჰექსაგრამის შესაბამის იეროგლიფში არის ქართული ასო-მთავრული „Ꭻ-(ა)“ ასო-ნიშანი, ხოლო 64-ე ჰექსაგრამის შესაბამის იეროგლიფში არის „Ꭾ-(ჯ)“ ასო-ნიშანი. მაშასადამე, „იძინი“ მოიცავს ქართული ანბანის ბიბლიური კაბალას კოდის 8000 წელს. იგივე კოსმიურ პერიოდზე მიგვანიშნებს მაიას ტომების კოსმოგონიური ცოდნა სამყაროს შესახებ. გიგანტური „Ꭻ“ და „Ꭾ“ ასო-ნიშნებია გამოსახული დავით გარეჯის კლდეზე ამოკვეთილ გიგანტურ თევზზე. ძველი ცივილიზაციის ხალხმა იცოდა, რომ ახ.წ. 2000 წელს მოვიდოდა დედამიწაზე ცეცხლის სტიქიის, ოქროს საწმისის, კოსმიური მზის ხვთიური ენერგია და ამას სხვადასხვა სიმბოლოებით გამოსახავდნენ; ასევე ჰქონდათ ქართული ანბანის, როგორც სამყაროს გენეტიკური კოდის აღქმა. ქართული ენის და ანბანის მნიშვნელოვანი კვალია მათ მითოლოგიაში, ეთნოგრაფიასა და არქეოლოგიურ მასალაში.

კაბალას ბიბლიური ცოდნა თვალისათვის ხილულ სამყაროს უხილავ სამყაროსთან მიმართებაში წარმოაჩენს ორმაგად გადაბრუნებული სარკის პრინციპით მოწყობილს, ანუ ქვესკნელის სამყაროსთან მიმართებაში ორმაგად გადაბრუნებულია, რაც განაპირობებს კოსმიური პროცესების ერთი მიმართულებით მოძრაობას. ეს საკითხი კარგადაა წარმოჩენილი ეგვიპტური კაბალას არკანთა გამოსახულებებზე, ევროპელთა რუნებზე.

ცეცხლის სტიქია, რომელიც ენერგეტიკულად 2000 წლიდან იწყებს გამოვლენას, სამყაროში ყველაფერზე აისახება: პოლუსები კარგავენ პოლარობას; დნება პოლუსები; ელექტრო-მაგნიტური ენერგია, რომელიც გამოდიოდა სამხრეთ პოლუსიდან, გარს უვლიდა დედამიწას, მიემართებოდა ჩრდილო პოლუსისკენ, ჩადიოდა ჩრდილო პოლუსში, გაივლიდა დედამიწის ღერძს და ისევ გამოდიოდა სამხრეთ პოლუსიდან. ახლა ეს პროცესი შეიცვალა საწინააღმდეგო მიმართულებით, ენერგეტიკულად შეიცვალა ჩრდილოეთი და სამხრეთ პოლუსები. ეს მოვლენა ჩინელებისთვის ცნობილი იყო ჯერ კიდევ 5000 წლის წინ და დღემდეა შემონახული გამოსახულება, რომელზეც ასახულია სამყაროს წრებრუნვის კოსმიური სურათის ორმაგად გადაბრუნებული სარკის პრინციპით სქემატური გამოსახულება, შედგენილი ტრიგრამებით, რომელზეც ზემოთ სამხრეთია, ქვემოთ ჩრდილოეთი, მარცხნივ – აღმოსავლეთი, მარჯვნივ – დასავლეთი. ეს კი ორმაგად საპირისპიროა დედამიწაზე სამყაროს ოთხი კუთხის დღევანდელი აღქმის – ზემოთ ჩრდილოეთი, ქვემოთ სამხრეთი, მარცხნივ – აღმოსავლეთი, მარჯვნივ – დასავლეთი. სამყარომ ახლა, ცეცხლის სტიქიის ათასწლეულში, დაიწყო ისეთი კოსმიური პროცესი, **როცა აქეთა სამყარო შესაბამისობაში უნდა მოვიდეს იქითა სამყაროსთან**, **ანუ 2000 წლიდან თანდათან გაქრება ზღვარი და აღარ იქნება აქეთა და იქითა სამყარო, ის გახდება ერთი და ერთიანი.**

ახლა ვართ მერწყულის ზოდიაქოს ორიათასწლოვან პერიოდში, რომელიც დამთავრდება ახ.წ.4000 წელს და გადავალთ თხის რქის ზოდიაქოში, ანუ ზოდიაქოთა საწყისში. თუ განვიხილავთ დასავლეთის ზოდიაქოთა შესაბამისად ჩინურ ზოდიაქოთა კოსმიურ პროცესს, ახლა ვართ **ხარის** ზოდიაქოს 2000 წლოვან პერიოდში და **ახ.წ. 4000 წელს დაიწყება ვირთხის ზოდიაქოს ორიათასწლეული**. რა ხდება ამ დროს?! ამას კარგად წარმოაჩენს ჩინური კალენდრის მეტად საინტერესო გამოსახულება.

კალენდარი სამი წრისგან შედგება. გარე წრეში შავ ფონზე გამოსახულია ჩინური ზოდიაქოს **12** გამოსახულება, რომლებიც მიემართებიან საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით ისევე, როგორც სვეტიცხოვლის ზოდიაქოს კალენდარზეა, რომლის შიგნით გამოსახულია **8** სეგმენტისგან



ჩინური კალენდარი

შექმნილი მომწვანო ფერის წრე, რომელშიც ჩახატულია „ნეიტრალური“ – „უძრავი“ სიმბოლური ფიგურები, ანუ მათ მიმართულება არა აქვთ და ქმნიან ნეიტრალური ენერგეტიკის სიმბოლურ გამოსახულებას, შიგნით ჩახატულია წრე, სადაც არის საათის ისრის მიმართულებით მოძრავი სამი სტიქიის სიმბოლური გამოსახულება: ძაღლი – მიწა, გველი – წყალი, ფრინველი – ჰაერი, ხოლო თვით წრიული ყვითელი ფონი არის ცეცხლის, ანუ მზის სტიქია. აშკარაა, რომ ცენტრი ქმნის სამყაროს გულის სიმბოლურ ასახვას. მაშასადამე, ამ სამი წრით გამოისახება მიკრო თუ მაკრო სამყაროს ენერგეტიკა – საათის ისრის საწინააღმდეგოდ მიმართული, ნეიტრალური და საათის ისრის მიმართულებით მბრუნავი, რომელიც ემთხვევა დაგონების მითოლოგიას სამყაროს წარმოშობის და მოწყობის შესახებ, რომ **სამყარო განთავსებულია ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებით მბრუნავ ენერგიათა შორის და მათი ზემოქმედებით იქმნება სამყაროში ყველაფერი. ისინი ქმნიან ურთიერთსა-**

პირისპირო მიმართულებით მბრუნავ ორ მანდალას – დროის ბორბალს.

ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ გარე წრეზე გამოსახულ თორმეტ ზოდიაქოთაგან თერთმეტი მიმართულია საათის ისრის საწინააღმდეგოდ, ხოლო ერთი – შავი ვირთხა მიმართულია პირიქით – საათის ისრის მიმართულებით, რაც ემთხვევა კალენდრის ცენტრში განთავსებული ოთხი საწყისის მიმართულებას. **ეს ხდება მაშინ, როცა გარე და შიდა ენერგიათა მიმართულებები ერთმანეთს დაემთხვევა და ერთი – საათის ისრის მიმართულება ექნებათ, ანუ შეთავსებული ენერგიების მოქმედებათა გარემოში მოაქცევენ სამყაროს. ეს მოხდება ვირთხის ორიათასწლეულში, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დაიწყება ახ.წ. 4000 წელს.** სათანადოდ შეიცვლება სამყაროში ყველაფერი და სამყარო გადავა ცივილიზაციის ახალ ციკლში. სწორედ ეს კოსმიური პროცესია ასახული ამ ჩინურ კალენდარზე. ასე მარტივად და პრიმიტიულად ასახავდნენ წარსულის ადამიანები კოსმიურ პროცესებს, რომელთაც ღრმა კოსმოგონიური ცოდნა ჰქონდათ წარსულის, აწმყოსა და მომავლის შესახებ.

ამ თვალთახედვით თუ განვიხილავთ დედამიწას, ისიც ერთგვარი სამყაროა, რომელიც ძირითადად სამი ნაწილისაგან შედგება: დედამიწის ქერქი, დედამიწის გული – ლავა და გულისგული – ლავას ცენტრში არის ბირთვი, რომლის ტემპერატურა მზის ტემპერატურას უტოლდება და, რა თქმა უნდა, მასში იგივე კოსმიური პროცესები აისახება, რომელიც ჩინურ და სვეტიცხოვლის ზოდიაქოთა კალენდრებზეა წარმოდგენილი.



დედამიწა

ადამის ცივილიზაციის მთელ პერიოდში, რომელიც გრძელდება უკვე 38000 წლის მანძილზე და კიდევ გაგრძელდება 2000 წელი, დედამიწის გარშემო კოსმოსური მეტაფიზიკური ენერგია ტრიალებს საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით, ხოლო დედამიწის შიგნით – ცენტრში, სადაც არის მზის ტემპერატურის ლავა, ოთხი საწყისის ენერგია ბრუნავს საათის ისრის მიმართულებით, ანუ თვით დედამიწა და მასზე არსებული ყველა და ყველაფერი ორ ურთ-

იერთსაპირისპირო ენერგიათა ზემოქმედებას განიცდის. **სწორედ ამ ცნობიერების გამოვლინებაა, როცა ტაძარში რიტუალის დროს შიგნით უვლიან საათის ისრის მიმართულებით, ანუ მარცხნიდან მარჯვნივ, ხოლო გარედან უვლიან პირიქით – საათის ისრის საწინააღმდეგოდ.**

ქართული ანბანის ბიბლიური კაბალას კოდში ასახულია ინფორმაცია, თუ რა ელოდება დედამიწას ადამის ცივილიზაციის დარჩენილ ბოლო 2000 წელს. ეს საკითხი თვალსაჩინოა ე.წ. ეგვიპტური კაბალას ცოდნაში. განვიხილოთ 21-ე არკანი – საიდუმლო, რომელიც ქართული ანბანის 21-ტ-ტარ-300 ასო-ნიშნის კოსმიურობას შეესაბამება და მისი სახელია „გრალის მოპოვება“. ეს პერიოდი შეესაბამება „ქართ ადამს აქათ“ 300 წელს. აქ მოყვანილი კოსმიური სურათის მიხედვით, ნებისმიერი შემოსაზღვრული სამყარო ოთხი საწყისისგანაა შექმნილი (მიწა, წყალი, ჰაერი, ცეცხლი), რაზეც მიგვანიშნებს ამ სტიქიათა შესაბამისი 4 ცხოველი. გამოსახულების ცენტრში დგას ქალი – ანდროგენი, მას ყელთან გამოსახული აქვს სამკუთხედი წვეროთი ზემოთ, ქვემოდან ჯვარით. იგი მიგვანიშნებს, რომ ეს არის ერთგვარი სიმბოლური გამოსახულება სულის სხეულში გამატერიალიზებისა, მის ფონზე ჩანს ერთგვარი ყვითელი მზე – სამყაროს გული და მთლიანად ეს გამოსახულება ერთ წრეზე განლაგებულ ორ თორმეტ ზოდიაქოშია მოქცეული, ანუ სულ 24 ზოდიაქო, რომელიც შემოსაზღვრულია დრაკონით, რომელსაც საკუთარი კუდი პირით უჭირავს და ქმნის ერთგვარ ჩაკეტილ უსასრულო სამყაროს. დრაკონის გარე სივრცეში განლაგებულია ვარსკვლავთ სისტემები. მათი ცისფერი ფონი მიგვანიშნებს, რომ ეს არის ცა, სადაც სამყაროს ოთხი საწყისია განთავსებული და რომელიც არის ზეციური, ანუ მიღმა სამყარო, ხოლო გველის შიგნით შავი ფონი მიგვანიშნებს, რომ ეს არის მიწიერი სამყარო; ერთიანობაში ეს სურათი წარმოაჩენს ცისა და მიწის ერთიანობას, ხოლო მათ შორის არის გველი – ერთგვარი გამყოფი და ამავე დროს, დამაკავშირებელიც. ეს არის ორი ურთიერთსაპირისპირო საწყისის – მატერიის და სულის კავშირი. 21-ე არკანში წარმოჩენილი პროცესი მიჰყვება ქართული ანბანის დანარჩენი ასო-ნიშნების კოსმიურ პერიოდებს მცირე განსხვავებით.

2011 წლის 29 ოქტომბერს მქონდა გამოცხადება: ჩემი სამსახურის ეზოს კარებთან ახლოს, ღია ცის ქვეშ, ვიწექი საწოლში. ვიგრძენი, წელის ქვეშ მეწვა დიდი სქელი გველი, შავი ფერის. თავში ჩავავლე ხელი, გამოვაძრე და აღმოჩნდა, რომ რამდენიმე სამოსი ეცვა ერთმანეთზე, ზემოდან მუქი მოლურჯო-მოიასამნისფრო – ინდიგო ფერის. თავი მოვაგლიჯე ფეხის ქუსლით. ტანიდან გამოძვრა და თავს გაჰყვა ძალიან წვრილი, გრ-

არკანი №21

არკანი №78

ძელი სხეული. პირველად ნაწლავი მეგონა, მაგრამ შემდეგ აღმოჩნდა, რომ ეს იყო მისი ახალი, ნორჩი სხეული, რომელსაც თავი ისევ ძველი სხეულისა დარჩა. ნანახი ასე ავხსენი: ახლა, 2012 წლიდან მოიხსნება სქელი, გამყოფი, უხილავი „ფარდა“ საიქიოსა და სააქაოს შორის, რომელსაც ქმნიდა სქელტანიანი დიდი გველი, რომელიც ამიერიდან შეიცვლება უფრო წვრილი გველით – თხელი, გამყოფი, უხილავი „ფარდით“. ეს კოსმიური პროცესი გაგრძელდება კიდევ 2000 წელს.

ახ.წ. 2000 წლიდან ერთიანდება სამყაროს ოთხი საწყისი და წარმოქმნის ცეცხლის სტიქიის კოსმიურ ათასწლეულს. ეს არის **„ჰ-ჰაე-9000“** ასო-ნიშნის ათასწლეული, რომელსაც სათავეში უდგას **„ჯ-ჯან-8000“** ასო-ნიშნის კოსმიური ენერგია. ამ დროს იწყებს გაერთიანებას „ინ და

იან“ ორი პირველსაწყისი, ანუ კოსმიური მდედრი და მამრი, რომელიც, თავის მხრივ, ქმნის ოქროს საწმისის – ორი მზის გამთლიანებულ ცეცხლის სტიქიის კოსმიურ ენერგიას, რაც სამყაროში და დედამიწაზე ყველაფერში აისახება გენეტიკური კოდის დონეზე. აქ გამოსახული **78**-ე არკანი არის ქართული ანბანის **37-ჶ-ოხ-10000**-ის შესაბამისი, ანუ „ქართ ადამს აქათ“ 10000 წლის შესაბამისი კოსმიური პროცესის სიმბოლური გამოსახულებაა, რომელიც შეესაბამება ახ.წ. 4000 წელს.

კოსმიური პროცესის კოსმოგონიურ სურათში, რომელსაც კაბალას **78**-ე არკანი შეესაბამება, როგორც ვხედავთ, **აღარ არის გველით შემოსაზღვრული,** ანუ ბარიერი იხსნება სულსა და მატერიას შორის – აღარ იქნება იქითა სამყარო ადამიანის თვალისა და გონებისთვის დახურული. ასევე, 24 ზოდიაქო ერთმანეთთან შეთავსდება და აქ უკვე გამოსახულია 12 ზოდიაქო, რომელშიც განთავსებულია მატერიაში ნათელგამოვლენილი სული. ანდროგენი ქალის თავზე თქვენ ხედავთ სამკუთხედს წვეროთი ქვემოთ, რომელიც ფარგალთან ერთად ქმნის ცეცხლის სტიქიის ერთერთ სიმბოლურ გამოსახულებას და გვაწვდის ინფორმაციას, რომ ამ კოსმიურ პროცესს ცეცხლის სტიქიის მეტაფიზიკური ენერგია წარმართავს, რომელიც არის ორი პირველსაწყისის მთლიანობის ენერგეტიკული გამოვლინება. სურათის ქვედა ნაწილში ერთგვარი ფარდა გადაწეულია. ეს ნიშნავს, რომ გვახედებენ, თუ რა ხდება ამ კოსმიურ პერიოდში თვით შიგნით მატერიაში: მამრით გამოსახულია მეტაფიზიკური ოთხი საწყისის ერთიანობა, ამაზე მიგვანიშნებს ოთხი სიმბოლური გამოსახულება – ხმალი, საწმისი, კვერთხი, მონეტა და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ამ მამაკაცთან მისულია და მის მხარზე ზის თეთრი ვირთხა სახით მარჯვნივ, ანუ საათის ისრის მიმართულებით, რაც ემთხვევა ზემოთ აღწერილ აღმოსავლურ-ჩინურ კალენდარს, რომლის მიხედვითაც, ახ.წ. 4000 წელს დადგება ვირთხის ზოდიაქოს კოსმიური პერიოდი, რომელიც იქნება საათის ისრის მიმართულების ენერგიისა და დაემთხვევა დედამიწის „გულისგულის“ ენერგეტიკულ მიმართულებას. (მქონდა თეთრი ვირთხის გამოცხადება, რომელიც ჩემთან მოვიდა და მარცხენა თეძოსთან გაჩერდა. შეგახსენებთ, რომ ადამიანის მარცხენა ნახევარი მდედრია, ხოლო მარჯვენა ნახევარი მამრი). სწორედ ეს შეცვლის სამყაროში ენერგეტიკულად ყველაფერს. ასეთი ენერგეტიკით გადავა კაცობრიობა ადამის ცივილიზაციიდან ახალ

ცივილიზაციაში ახ.წ.4000 წელს და დამთავრდება დედამიწაზე ადამის ცივილიზაცია, შეიქმნება ახალი ენერგეტიკული გარემო, ახალი განზომილების დრო და სივრცე.

ამ საკითხთან დაკავშირებით, მოვიყვან ნაწყვეტს ამირანის მითიდან: „ყამარ ქალი ეუბნება ამირანს, რომ მისმა დედამ იგი თაგვების ანაბარა მიაგდო კუთხეში. ყამარმა ნახა, მისი ამირანი მკვდარია და გულამოსკვნით ატირდა. საიდანღაც თაგვის წრუწუნა გამოძვრა და მის სისხლს ლოკვა დაუწყო. ყამარი გაბრაზდა, ქოში წაიძრო, თაგვს დაჰკრა და მოკლა. სოროდან ამ წრუწუნას დედა გამოვიდა, მინდორში რაღაც ბალახი მოგლიჯა, შვილს მიუსვ-მოუსვა, გააცოცხლა და კინწისკვრით სოროში შეაგდო. ყამარმა იგივე ბალახი მოიძია და ამირანი და მისი ძმები გააცოცხლა“.

მსოფლიოს თითქმის ყველა ხალხშია მითი უკვდავების მაძიებელი გმირების შესახებ. უკვდავებას ეძებდა გილგამეში. უკვდავების მაძიებელია, ერთ-ერთი ქართული მითის მიხედვით, ჭაბუკი, რომელმაც მარადიული სიცოცხლე ცეცხლის სტიქიის ქალღმერთთან შეუღლებით მოიპოვა.

აღარ იარსებებს პოლუსები, ანუ ორი პოლუსის წარმომქმნელი ურთიერთსაპირისპირო ორი საწყისი ენერგია სამყაროში. ისინი ყოველთვის მიისწრაფვიან შეერთებისა და გამთლიანებისკენ, ანუ პირველსაწყისისკენ.

ახლა, დაახლოებით ახ.წ.2000 წლიდან, იბადებიან ინდიგო ბავშვები, რომელთა ენერგეტიკული ველი უკვე განსხვავებულია მათ მშობლებთან შედარებით. ასეთ ბავშვებს მომავალში გაეხსნებათ ე.წ. მესამე – გონითი თვალი. სულ სხვა იქნება მათი დამოკიდებულება სამყაროსა და ადამიანებისადმი, მომავალში დაინახავენ და აღიქვამენ სამყაროს სხვა თვალით, დღემდე არსებული ფიზიკის კანონები ძალას დაკარგავენ და ეს უკვე სახეზეა – დაიწყო დედამიწაზე ნანოტექნოლოგიების ერა, ეს უკვე მეტაფიზიკაა.

სამყაროს ყოველი საიდუმლო ქართულ ენასა და ქართულ ანბანშია, რომელიც ასახავს უფლის ჩანაფიქრს სამყაროს მოწყობისა და მასში მიმდინარე კოსმიური პროცესების შესახებ; სამყაროს გენეტიკურ კოდში მიმდინარე კოსმიური პროცესია ასახული მსოფლიოს უძველეს ხალხთა მითოლოგიაში, ეთნოგრაფიასა და არქეოლოგიურ სიმბოლიკაში. ადამი-

ანებმა უნდა შეიმეცნონ პირველ ადამიანთა ეს აზროვნება, რათა გააცნობიერონ, ვინ არის ადამიანი, საიდან მოვიდა, სად მიდის გარდაცვალების შემდეგ. ადამიანმა უნდა შეიცნოს თავისი თავი, გარე სამყარო და თავისი მისია ამ სამყაროში. სამყაროს ყოველი საიდუმლო ქართულ ენასა და ქართულ ანბანშია ჩადებული. ღმერთი ამბობს: „მე ვარ ანი და ოხი, დასაბამი და დასასრული“. ე.ი. ანბანი თვით ღმერთია, მისით იწყება და მისით მთავრდება სამყაროში ყველაფერი, მაგრამ ეს სიტყვები ყველა ანბანის შესახებ არ არის ნათქვამი, არამედ ეხება მხოლოდ იმ ანბანს, რომელშიც ასახულია ბიბლიური კაბალას გენეტიკური ცოდნა. ასეთი კი მხოლოდ ქართული ანბანია.

შეგახსენებთ გიორგი მერჩულეს (X ს.) სიტყვებს: „ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის“, რაც მიმანიშნებელია იმისა, რომ სამყაროში დრო-ჟამი ქართული ანბანის გენეტიკურ კოდს ექვემდებარება. ქართულ ასომთავრულ ანბანში **37** ასო-ნიშანია, თუმცა მასში ოთხი ათეული, ანუ **40** კოსმიური პერიოდი მოიაზრება – ერთეულების, ათეულების, ასეულების და ათასეულების სახით. თითოეული ათეულის მეათე, მომდევნო ათეულის პირველია. აქედან გამომდინარე, **10-100-1000**-ის შესაბამისი ასო-ნიშნები ორმაგი კოსმიური დატვირთვისაა და შესაბამისად, ერთდროულად საწყისის და სასრულის ენერგიას ასახავენ. მთლიანობაში ქართული ასომთავრული ანბანის **37** ასო-ნიშანი, რომელიც **10 000** მოიცავს, „ათასი ვითარცა ერთის“ მიხედვით, თავის მხრივ, არის კოსმიური **10** დღე ადამის ცივილიზაციის შემდეგი ციკლისთვის, რომელიც, კაბალას ცოდნის მიხედვით, არის **„ი-ინ-10“** – „ბედის ბორბალი“, „ქალბატონის მუდმივი ხელისუფლება“, ანუ ადამის ცივილიზაცია, რომელიც, თავის მხრივ, ოთხი მცირე ციკლისგან **4X10000** წლისგან შედგება, მთლიანობაში არის ცეცხლის ღვთიური ენერგიის გამოვლინება – პირველი **10** დღის ენერგეტიკული გამოვლინებაა და კიდევ უფრო დიდი ციკლის შემადგენელი ნაწილია, რომელიც ახალ ციკლში იწყებს განსხეულებას, **ის „გულია“ ახალი ციკლისთვის, რომელიც 2000 წლის შემდეგ ახალ „ფეთქვას – პულსაციას“ დაიწყებს.**

„ხვთაებრივი გონი“-ს კოსმიური მისია

„ჰე, ღმერთო ერთო,
შენ შეჰქმენ სახე ყოვლისა ტანისა“.
შოთა რუსთაველი

მეტაფიზიკური თვისებებით „გახსნილი“ ადამიანებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს „გამოცხადებას“. თითოეული მათგანი უდიდეს კოსმოგონიურ ცოდნას და წინასწარმეტყველებას გადმოგვცემს როგორც ვიზუალურად, ისე ინფორმაციულად.

ამ მხრივ, მეტად საინტერესოა ინდოელთა ხვთაებრივი გმირი „რამა“ – ღმერთი „ვიშნუს“ მეშვიდე „გარდამოსვლა“, სახე, გამოცხადება ინდურ რელიგიაში.

ინდური ეპოსით, ვიშნუ არის მზის ღმერთი, ქვეყნიერების მომწესრიგებელი, მებრძოლი ბოროტ ძალებთან. მას გამოხატავენ მსოფლიო ოკეანის შუაგულში მარადისობის სიმბოლურ გველზე წამოწოლილს, მძინარეს, სასთუმალთან თავაწეული კობრებით გარემოცულს. ვიშნუ სამყაროს წყობას მოიცავს და მის წესრიგს განაგებს (ქართველთა მორიგე ღმერთი). სხვა ვარიაციებით, ვიშნუ ინდრას სატახტო მთაზეა დაფუძნებული. იგი აწესრიგებს სიცოცხლის, სიკვდილისა და აღდგომის ერთიან კოსმიურ პროცესს. მას **ოთხი ხელი აქვს** და გამოსახავენ მეფური ლურჯი სამოსით (აქ გაგვახსენდება შუმერთა ოთხყურა და ოთხთვალა მარდუკი, ქართველთა დობილიანი იახსარის ოთხრქა და ოთხყურა ცხვარი), ანუ მასში გაერთიანებულია ორი პირველსაწყისი. როგორც კი ბოროტი ძალები ქვეყნიერების დაღუპვას მოიწადინებენ, ვიშნუ რომელიმე ცხოველის ან ავატარას სახეს იღებს, ღრუბლებიდან ეშვება და იხსნის ხოლმე სამყაროს.

ინდოელთა ხვთაებრივი გმირი **რამა** თავდაპირველად ადამიანი იყო. იგი მიისწრაფოდა სულიერი შემეცნებისკენ და ამ მიზნით მოგზაურობდა დედამიწაზე. შემდეგ ვიშნუ იღებს რამას სახეს და ერევა მიწიერ საქმეებში. ის ითვლება სამყაროს ყოვლისმომცველი პირველსაწყისის განსხეულებად. რამას ნახევარღმერთად თვლიდნენ (ქართველთა ხვთისშვილებიც ნახევარღმერთები არიან). „ხვთაებრივი მაცნე“ ყოველი გამოცხადებისას

რამას აძლევდა მნიშვნელოვან დავალებას, უხსნიდა მის მისიას დედამიწაზე. ერთ-ერთი გამოცხადების დროს იყო ღრუბლიანი დღე; მაღალ კლდეზე იდგა ქალი, ჩამოშვებული თმებით. მზად იყო სასიკვდილო დარტყმა მიეყენებინა მის ფეხებთან დაგდებული, ხელფეხშეკრული მეომრისთვის. რამამ დაუყვირა: „წინაპართა სახელით გთხოვ შეჩერდე“ და მივარდა ქალს. ამ დროს ტყის თავზე მოთარეშე ღრუბელმა დაიქუხა, გაიელვა და თვალისმომჭრელი გამოსახულება გამოჩნდა, მთელი ტყე განათდა. თმებჩამოშვებული ქალი ელვადარტყმული დავარდა, ხოლო შეკრულ ტყვეს ბორკილები დააწყდა. რამამ თვალისმომჭრელ ნათებაში ხვთიური არსება შეიცნო – **თეთრებში შემოსილი დიდი ადამიანი, ხელში კვერთხით**, მისგან სინათლე ასხივებდა. მაშინ **რამამ დაინახა, რომ ის იდგა გახსნილ ტაძარში, რომელიც რამდენიმე სვეტს ეყრდნობოდა**. მსხვერპლშეწირვის ადგილას აგებული იყო საკურთხეველი, რომლის გვერდითაც იდგა მეომარი, ძირს დავარდნილი მკვდარი ჩანდა, ხოლო თეთრი სამოსით წარმოგზავნილ „ხვთაებრივ მაცნეს“ მარჯვენა ხელში ეკავა ჩირაღდანი, მარცხენაში – თასი. მან უთხრა რამას: „მე მადლიერი ვარ შენი, ხედავ ამ ჩირაღდანს? ეს ხვთაებრივი სულის წმინდა ცეცხლია. ხედავ ამ საწმისს? ეს არის სიცოცხლისა და სიყვარულის საწმისი. მიეცი ჩირაღდანი კაცს, ხოლო საწმისი – ქალს“.

რამამ შეასრულა მაცნეს მითითება. როგორც კი ჩირაღდანს შეეხო მეომრის, ხოლო თასს – ქალის ხელი, წმინდა ხვთაებრივი ცეცხლი თვითონ აინთო საკურთხეველზე, ორივენი იდგნენ და გარდაისახნენ მისი ნათელისგან. ამავდროულად, ტაძრის კედლები გაიწ-გამოიწია, ხოლო სვეტები ცამდე აიზიდა, მისი თაღი გარდაისახა ვარსკვლავების ცად. ამ ხილვაში რამამ დაინახა თავისი თავი – იგი იდგა მთის კლდის თავზე **თეთრებში ჩაცმულ ხვთიურ მაცნესთან ერთად**, რომელიც მას უხსნიდა თანავარსკვლავედთა არსს.

რამამ ჰკითხა: „ვინ ხარ შენ?“ მან უპასუხა: „**მე ვარ ხვთაებრივი გონი**. შენ გაავრცელებ ჩემს სხივებს დედამიწაზე. მე მოვალ ყოველთვის შენი დაძახებისთანავე, ახლა კი წადი შენთვის წინასწარ დასახულ გზაზე“ და მან მიუთითა **აღმოსავლეთისკენ. რის შემდეგაც რამა წამოვიდა აღმოსავლეთში – „მისთვის წინასწარდასახულ გზაზე“, აზიის „გულში“, „ქალწულებრივ“ ქვეყანაში,** რომლის მცხოვრებთაც თავის ტაძრებში ჰყავდათ გიგანტური გველები და წარღვნამდელი იშვიათი სახეობის ცხოველები, რომლებსაც თაყვანს სცემდნენ, ჰქონდათ ციკლოპური ქალაქები. **რამა თავისი მისიის შესასრულებლად წამოვიდა კავკასიაში – ინდოეთში, იქ, სადაც არიული თეთრი რასის ცივილიზაცია წარმოიშვა,** რათა შეესრულებინა თავისი მისია-დავალება, რომელიც მიიღო „ხვთაებრივი მაცნესგან“ – სამყაროს „ხვთაებრივი გონისგან“. ის კავკასიაში მოვიდა ხალხთან, რომელთა კოსმოგონიურ ცოდნას თუ გავყვებით, მიგვიყვანს უფრო შორეულ წარსულში, როცა ორი ურთიერთსაპირისპირო ენერგიები – პირველსაწყისი ხვთიური ძალები იყვნენ შეერთებულნი დიდი ჰარმონიით; ეს არის **პირველყოფილი არიული ეპოქა**. **სწორედ იმ ხალხის აზროვნებაში იხატება რწმენის სისრულე, ძალა და სინათლე, რომლის დაბრუნება დღემდე ვერ შეძლო კაცობრიობამ**. ისინი განწყობილნი არიან სამყაროს ერთიანობის შეგრძნებით, რომელსაც მართავს ერთი „ხელი“ – სამყაროს „ხვთაებრივი გონი“, რომელიც აერთიანებს სამყაროს ერთ ჰარმონიულ ხვთაებრივ ორგანიზმად.

რამა დაჯილდოებული იყო ხვთიური უნარით, რომლითაც ჯილდოვდებიან უფლისგან ხელდებული ადამიანები. **იგი ცდილობდა წარმოეჩინა ხვთაებრივი აზრი ადამიანთა ცხოვრებისა და არსებობისა, უარყოფდა ადამიანთა მონობას, ავრცელებდა თანასწორუფლებიანობას, წმინდა ხვთიური ცეცხლის კულტს, როგორც „ხილული სიმბოლო უხილავი ღმერთისა“**.

ვინ არის ის ხალხი, ვისთანაც რამა მოვიდა კავკასიაში თავისი მისიის შესასრულებლად, ვისთანაც „ხვთაებრივი მაცნე“ – „ხვთაებრივი გონი“ აგზავნის წმინდა ხვთაებრივ ცეცხლს, რომელიც არის „ხილული სიმბოლო უხილავი ღმერთისა“ და ამავე დროს ეს მიწა-წყალი „ქალწულებრივ ქვეყანად“ და აზიის „გულად“ რომ მოიხსენიება?...

რამას აღმოსავლეთში მოგზაურობის შესახებ ეპოსში აღწერილია მისი მოსვლა კავკასიაში, მაგრამ აღარ არის აღწერილი მისი მოგზაურობა დღევანდელ ინდოეთში. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ძველი ინდური ენის – „სანსკრიტის“ (დევანაგარის) დიდი ნაწილი ქართული სიტყვებისგან შედგება როგორც გამოთქმით, ისე მნიშვნელობით, რამას მისიის დროს მოხსენიებული მაშ-

ინდელი **კავკასიის ინდოეთი სწორედაც ქართველი ხალხი და საქართველოა**.

ქართველი ხალხი ოდითგანვე დღევანდელი საქართველოს მკვიდრი მოსახლეობაა. ამას გვიდასტურებს **დავით გარეჯის კლდეებზე გამოკვეთილი გიგანტური გველები** და ქართული ასო-ნიშნები, შექმნილი ციკლოპურ ადამიანთა მიერ. რამა წამოვიდა კავკასიის ინდოეთის „ქალწულებრივ ქვეყანაში". საქართველოს მიწა-წყალი სამყაროს დედის – მარადქალწულის სამშობლოდ ითვლება ჯერ კიდევ შუმერთა მითოლოგიით, მოგვიანებით კი, მარად ქალწულის, ხვთისმშობელი მარიამის წილხვედრილად აღიარეს.

რამას მოგზაურობაში ნახსენები „ქალწულებრივი ქვეყანა", ზემოაღნიშნულის მიხედვით, არის კავკასია – საქართველო.

შუმერი ამ ქვეყანას სამოთხედ წარმოაჩენს და წარღვნამდელ ხალხს უწოდებს, რამას ეპოსი მას აზიის „გულად" მოიხსენიებს, შუმერები „დიდებულ წესთა ქვეყანა"-ს უწოდებენ, სადაც ბიბლიური კაბალას ცოდნის სამშობლო მოიაზრება. ბიბლიური კაბალა კი მსოფლიოში არსებული ანბანებიდან მხოლოდ ქართულ ანბანში აისახება.

სიტყვა „აზია" მომდინარეობს ქალღმერთ იზიდას სახელიდან, აღმოსავლეთ საქართველოში გვაქვს მდინარე „ალ-აზ-ანი", ამ სიტყვაში „აზ"-აზია არის მიწის ქალღმერთი, „ანი" ცის მამაღმერთი, ორივე ერთად კი ცისა და მიწის ერთობა, ხვთიური ცეცხლი – ალი, ოქროს საწმისი, კოსმიური მზე, რაც ორი პირველსაწყისის ერთობას წარმოაჩენს და სწორედ ამ ხვთიური ენერგიის გამომხატველია სიტყვა **„ალაზანი"**.

აღმოსავლეთი საქართველო ბიბლიური კაბალას სამშობლოა. აქ ძალიან ძლიერია ცეცხლთაყვანისმცემლობის კვალი. ეს ის ცეცხლია, რომელიც ქრისტიანულ რელიგიაში დღესაც უხილავი ღმერთის ხილულ გამოვლინებად ითვლება. აღმოსავლეთ საქართველოში მდ. ალაზნის „აუზში" მდებარეობს ნეკრესი – შორეული წარმართობის ცეცხლთაყვანისმცემლობის კულტმსახურების უდიდესი კომპლექსი; ცნობილია, რომ აღმოსავლეთ საქართველოში მოგზაურობის დროს, ბერძენი მოგზაური სტრაბონი (ახ. წ. I ს.) დაესწრო ქეზიყში (ქ. სიღნაღში) მზის ქალღმერთის ცეცხლთაყვანისმცემლობის რელიგიურ დღესასწაულს.

მაშასადამე, **რამა** წამოვიდა „ხვთაებრივი მაცნეს", თეთრი სამოსით შემოსილი თეთრწვერა მოხუცის, „ხვთიური გონის" მიერ წინასწარდასახულ გზაზე აღმოსავლეთში, „ქალწულებრივ ქვეყანაში", აზიის გულში, კავკასიის ინდოეთში. ამასთანავე, ამ ქვეყნის ხალხს აქვს პირველსაწყისი კოსმოგონიური ცოდნა, რომელშიც მოიაზრება ქართული ანბანი და რომელშიც „დამარხულია" ცოდნა სამყაროს ბიბლიური კაბალას კოსმიური კოდისა. ზემოთ აღნიშნულის მიხედვით, ის არიული ცივილიზაციის პირველსაწყისი ქვეყანაა, სადაც წამოვიდა რამა თავისი მისიის შესასრულებლად კავკასიაში. მაშასადამე, **საქართველო და ქართველი ხალხი სამყაროს პირველსაწყისიდანვე ითვლებოდა თეთრ არიულ რასად, რომელმაც დაიწყო დედამიწაზე ცივილიზაცია, სადაც რამამ ჩამოიტანა ხვთაებრივი ცეცხლი – „ხილული სიმბოლო უხილავი ღმერთისა"**.

მაიას ტომების შორეული წინაპრები თაყვანს სცემდნენ კეცალკოატლის, რომელიც მათთან „ამომავალი მზის ქვეყნიდან" მივიდა. **მას ეცვა გრძელი თეთრი სამოსი და თეთრ წვერს ატარებდა.** მან ადამიანებს ასწავლა მეცნიერება, გონივრული წეს-ჩვეულები და კანონები, გადასცა ღრმა კოსმოგონიური ცოდნა, რომელიც აისახა იმ პერიოდის ქალაქებსა და პირამიდებზე, გადასცა ცოდნა სამყაროს შექმნისა და მოწყობის შესახებ, რომ სამყარო ერთიანი, ცოცხალი, უსასრულო ორგანიზმია, **ქადაგებდა სიკეთეს და სამართლიანობას**. ერთი ლეგენდის თანახმად, ბოლოს იგი გავიდა ზღვის პირას, იტირა და თავი დაიწვა. მისი გული დილის ვარსკვლავად გადაიქცა. ამ ლეგენდის მეორე ვერსიით, ბოლოს კეცალკოატლიმ ხალხთან მიტანილი ცოდნა ისევ შეკრიბა და იმავე ქვეყანაში დაბრუნდა, საიდანაც მოვიდა. მას დაბრუნების აღთქმა დაუდვია.

სად არის **„ამომავალი მზის ქვეყანა"**, საიდანაც, ლეგენდის თანახმად, კეცალკოატლი მივიდა მაშინდელ ცენტრალური ამერიკის ხალხებთან?! თუ სამგანზომილებიანი თვალთახედვით ვიმსჯელებთ, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში არის მზის აღმოსავლეთი და დასავლეთი. აქ კი კონკრეტულად ერთ ქვეყანაზე მიგვანიშნებენ. კოსმიური აღმოსავლეთი თვით სამყაროს დიდი დედა – „სამოთხეა", რომელშიც ერთდროულად ორივე საწყისი – მდედრი და მამრია გაერთიანებული. ქალღმერთი ინანა, იშთარი, კიბელა, დალი, დღისით მამრი და მეომარია, ხოლო ღამით – სიყ-

ვარულის ქალღმერთია. **„ამომავალი მზე“ – „სამოთხე“ თვით სამყაროს დედაქალღმერთია. მისი წილხვედრი ქვეყანა, მისი სამშობლო კი საქართველოს მიწა-წყალია**, ხოლო მისი ხალხი ბიბლიური კაბალას ქართული ანბანის გენეტიკური კოდის მატარებელი ხალხია.

შუმერი „ამომავალი მზის ქვეყანას“ „დილმუნის“ სახელით მოიხსენიებს. ქართული ცნობიერებით, სიტყვაში „დილმუნი“ – „დილ-მ-უნი“, „დილ“ – დილას, დღეს, მზეს ნიშნავს, ხოლო „უნი“ ქართული ანბანის „22-უ-უნ“ ასო-ნიშანია, რომლის სახელი, შუმერული კაბალას მიხედვით, არის „წარღვნა“.

აი, რას მოგვითხრობს ერთ-ერთი შუმერული მითი: ზიუსუდრა (შუმერთა „ნოე“) წარღვნის შემდეგ განერთხა მზე „უთუს“ წინაშე და თაყვანი სცა; ღმერთებმა მას მარადიული სიცოცხლე მიანიჭეს და აიყვანეს „დილმუნში“, საიდანაც მზე ამოდის. შუმერული მითები „დილმუნს“ „ამომავალი მზის“, ანუ „მარადიული სიცოცხლის“ ქვეყანას უწოდებენ.

მაშასადამე, მაიას ტომებთან მოხსენიებული „ამომავალი მზის ქვეყანა“, საიდანაც მათთან ჩავიდა უზენაესი ღმერთი კეცალკოატლი, იგივე შუმერთა „ამომავალი მზის ქვეყანა“ – „დილმუნია“, იგივე კოსმიური აღმოსავლეთი – „სამოთხე“ – „სამყაროთა დედოფლის“ წილხვედრი ქვეყანა „არათა“ – საქართველოა, რომელსაც შუმერი **„მარადიული სიცოცხლის ქვეყანად“** მოიხსენიებს. (ნახეთ აქვე: „საქართველო – შუმერთა „უფლის წმინდა გულით არჩეული“ დიდებულ წესთა ქვეყანა“).

საქართველოს მიწა-წყალზე მცხოვრები ქართული გენის მატარებელი ხალხი იწყებს და ამთავრებს კაცობრიობის ყოველ ცივილიზაციას. ამიტომ, მაიას ტომების უზენაესი ღმერთის **კეცალკოატლის სამშობლო – „ამომავალი მზის ქვეყანა“, სწორედაც არის კავკასია – საქართველო**. დიდი და ღრმა პარალელებია ქართველ და მექსიკელ უძველეს ხალხთა კოსმოგონიურ ცნობიერებაში. მექსიკის ტერიტორიაზე აღმოვაჩინე ქართული ასო-ნიშნები მათი ღმერთების გამოსახულებებზე. ისინი ცეცხლის სტიქიას ქართული ასომთავრული **„Ჯ“** (ჯ) ასო-ნიშნით გამოსახავდნენ და **მზის ღმერთისადმი შეწირული ადამიანის თავს ორმაგად გადაბრუნებულ** (ეს სამყარო მიღმიურ სამყაროსთან მიმართებაში ორმაგად გადაბრუნებულია) **„Ჯ“ ასო-ნიშანს – ცეცხლის სტიქიის ენერგეტიკულ გაცხადებას სწირავდნენ** (ჩამოაცმევდნენ). აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეების ისტორიული სახელები ჰქვიათ დღესაც ცენტრალური ამერიკის სხვადასხვა ტერიტორიას, რის შესახებაც ამ წიგნის არაერთ თავში ვსაუბრობ.

თქვენს წინაშე მსურს წარმოვაჩინო ჩვენი ერისთვის მნიშვნელოვანი კიდევ ერთი საკითხი.

ქართველებს აღმოსავლეთის ხალხი **„გურჯებს“** გვიწოდებს. ამას უკავშირდება სიტყვები „გურია“ და „გურჯაანი“, რომელიც ორი ნაწილისგან შედგება – „გურ“ და „ჯან“, სადაც „გურ“ ნიშნავს „ქალწულს“, რომელიც მუდმივად **33** წლისაა, ე.ი. სიტყვა „გურ“ **33** წლის მარადქალწულს ნიშნავს, ხოლო „ჯან“ („ჯანუ“) – „სამოთხე“-ს („Мифы народов мира“, 1980г., Т.1, ст. 341, „Гурии“). ქართული ანბანის **„ჯ-ჯან-8000“** ასო-ნიშნის კოსმიურობა ცეცხლის სტიქიის, ოქროს საწმისის, კოსმიური ორი პირველსაწყისის, გამთლიანებული მზის გამოვლინებაა. ეს ის კოსმიური პერიოდია (ახ.წ.2000წ), როცა ხვთისმშობელი – „სამოთხე“ ბრუნდება ედემში და იკავებს ადგილს მამის მარჯვნივ. მაშასადამე, **სიტყვა „გურჯი“ მარადქალწულის – სამყაროს დედის – ხვთისმშობელი მარიამის – „სამოთხის“ არსის გამოხატულებაა**. ამას უკავშირდება სიტყვა „გურუ“, რომელსაც აღმოსავლეთის ქვეყნების ხალხი სულიერ მასწავლებელს უწოდებს. ეს საკითხი უკავშირდება იმას, რომ თვით ქალღმერთი არის სიბრძნის და პირველსაწყისი კოსმოგონიური ცოდნის მატარებელი. ვინაიდან ქართველებს ოდითგან კავკასიაში – ჩვენს ძირძველ მიწაზე მაცხოვრებლებს გვიწოდებენ „გურჯებს“ და „გურჯის-ტანს“ – მარადქალწულის – სამოთხის „სხეულს“, ეს ნიშნავს, რომ ჩვენ, **ქართველები, მსოფლიოს აღმოსავლეთის ხალხთა ცნობიერებით, ვართ მარადქალწულის – სამყაროს დედის – ხვთისმშობლის გენის მატარებელი ხალხი**. ამას უკავშირდება სიტყვები: ჯანმრთელი, ჯანგატეხილი, ჯანიანი და სხვა, სადაც „ჯან“ – ხვთიური ცეცხლი და ადამიანის სასიცოცხლო ენერგიაა. ჩვენი ქართული მიწა-წყალი – „გურჯისტანი“, მარად ქალწულის – სამყაროს დედის წილხვედრი ქვეყანაა. მაშასადამე, სიტყვა **„გურჯი“ მარადქალწულს – სამოთხეს ნიშნავს**.

აი, რას გვეუბნება ქართველი პოეტის შოთა ნიშნიანიძის შინაგანი ხმა ერთ-ერთი ლექსით:

„უკან დავბრუნდი სამოთხიდან ორი დღის მკვდარი,
ასე ამბობდა ერთი კაცი, სიტყვით ქველობდა.
კაცო, არავინ გამიღოო სამოთხის კარი -
შენ თვითონ ხარო სამოთხიდან, საქართველოდან!“

განსაკუთრებულ და აუცილებელ შემთხვევაში, „სამყაროული გონი“, რჩეულ ადამიანებს თეთრი სამოსით შემოსილი თეთრწვერა მოხუცის სახით, ხელში კვერთხითა და ოქროს ნამგლით ეცხადება, აკისრებს განსაკუთრებულ მისიას და აძლევს დავალებებს, რის შემდეგაც, მისგან ხელდებული ადამიანი აქტიურად ერევა სამყაროს კოსმიურ პროცესებში. ეს კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ სამყაროში უფლისგან შექმნილი ზედმეტი არაფერია, ყველა და ყველაფერი, ცნობიერად თუ ქვეცნობიერად, ასრულებს თავის მისიას უსასრულო კოსმიურ პროცესში. თითქმის 27 წელია ვიკვლევ ქართულ ანბანს და მასში ჩადებულ კოსმოგონიურ ცოდნას. ეს არ არის შემთხვევითი მოვლენა. ეს განაპირობა „გამოცხადებებმა“ და აქედან მიღებულმა კოსმიურმა ინფორმაციამ.

ყველაფერი ასე დაიწყო: ერთ დღეს, სრულიად შემთხვევით, აღმოვაჩინე, რომ შემეძლო ავადმყოფი ადამიანებისთვის დიაგნოზის დასმა და მკურნალობა, რომელიც ეფუძნებოდა ადამიანის უჯრედებთან ინფორმაციული კონტაქტის დამყარებას უსიტყვო, აზროვნებითი საუბრის სახით. თითოეული პაციენტი ჩემთვის იყო ადამიანის, როგორც სამყაროს შემეცნების გზა.

ერთ დილას, ნახევრად მძინარეს, მქონდა ხილვა: თითქოს ვიწექი იმ ოთახში და იმ საწოლში, რომელშიც სინამდვილეში ვიწექი. ოთახს ჭერის ნაცვლად ცა ჰქონდა. დავინახე ცის სიღრმიდან ჩემკენ დიდი სისწრაფით მოფრინავდა რაღაც გამოსახულება, რომელიც თავდაპირველად წერტილის სახით მოჩანდა, შემდეგ თანდათან გადიდდა და დავინახე, მიახლოვდებოდა ტახტზე მჯდომი მამაკაცის ხატი, შავი წვერით და სამეფო სამოსით; ტახტი, რომელზედაც ის იჯდა, ჰგავდა სვეტიცხოვლის და სამების ტაძრების საპატრიარქო ტახტს. ისე ახლოს მოვიდა ეს გამოსახულება, რომ **ხატის ჩარჩოს საზღვრები თანდათან ოთახის კედლებს გასცდა, მე აღმოვჩნდი ხატის შიგნით, ხოლო ტახტზე მჯდომი – ჩემს სასთუმალთან და უკვე ცოცხალი ადამიანის სახით მიყურებდა.** ბოლოს უსიტყვოდ – აზრებით მეკითხება: „როგორ იყენებ, რაც მოგანიჭეთ“?! მე ვპასუხობ, რომ „ადამიანებს ვმკურნალობ, ფულს არ ვიღებ მომსახურებაში. მადლიერების ნიშნად მხოლოდ ყვავილებზე არ ვამბობ უარს. ეს დარიგებები მივიღე **ესტონეთის ქ. ტარტუს უნივერსიტეტის პროფესორ აილი პაიუსგან**, რომელიც სწავლობს ჩემს „ფენომენს“ და მაძლევს სათანადო რეკომენდაციებს“ (მეც ასევე უსიტყვოდ-აზრებით ვესაუბრები). ამ სიტუაციაში შეჩერდა ჩემი ხილვა – მე დავრჩი მის გვერდით.

ეს ხილვა ბევრის მთქმელი იყო ჩემთვის. დავრწმუნდი, რომ მკურნალობის თვისებები მათ მომანიჭეს და ამავდროულად, თვალყურს მადევნებდნენ, თუ როგორ ვიყენებდი ყველაფერ ამას.

საკმაოდ დიდი შედეგები მქონდა: პაციენტთა დიაგნოსტიკისა და მკურნალობისთვის მანძილს არ ჰქონდა მნიშვნელობა. ტელეფონზე დარეკვითა და სურათით ვსვამდი დიაგნოზს და ვმკურნალობდი. ინფორმაციას პაციენტის ორგანიზმიდან ვღებულობ მორზეს ანბანის მსგავსი იმპუსლებით, რაც ყველას ესმის, ვინც ახლოს დგას. დამეწყო ინფორმაციის მიღება ვარსკვლავებიდან, პლანეტებიდან, წაიშალა ზღვარი იქეთა და აქეთა სამყაროს შორის. ჩემს ოჯახში გადაღებულ ფოტოსურათებზე ხშირად აღიბეჭდება თვალისთვის უხილავი დიდი მანათობელი სფერო. მოგვიანებით იგი ჩემი გულის ადგილას ვიხილე, რომელიც შემდეგ მზედ გარდაისახა. ზოგჯერ ადამიანის ორგანიზმში ორგანოებს ვხედავ. ვხედავ ადამიანთა და საგანთა ენერგიას და განვასხვავებ დადებითია ის თუ უარყოფითი – ვხედავ ამ ენერგიათა მოძრაობას. აღმოვაჩინე, რომ უარყოფითი ენერგიის მატარებელი კენტი რაოდენობის საგნები ან ადამიანები ერთად ქმნიან უარყოფით ენერგიას, ხოლო წყვილი უარყოფითი ენერგიის მატარებლები ერთად ქმნიან დადებით ენერგიას. სწორედ ამას ეფუძნება მათემატიკაში უარყოფით ნიშნიან სიდიდეთა გამრავლების და გაყოფის წესი – შედეგი ნიშნით უარყოფითია თუ დადებითი, ბუნებაში მეტაფიზიკურ დონეზე არსებულ კანონებს ემორჩილება. პირადად შემიყვანეს და მაჩვენეს, თუ რა არის „შავი ხვრელი“ – „დროის ბორბალი“, როგორ არის ის მოწყობილი და რა კოსმიური პროცესი მიმდინარეობს

მასში. ხილვებით გადმომცეს სამყაროს ორი პირველსაწყისის კოსმიური არსის და ქართული ანბანის საიდუმლო ცოდნა, კიდევ მრავალი სხვა საიდუმლო კოსმიური ხვთიური ცოდნა გამანდეს. სწორედ ამ საკითხებს ეძღვნება ეს წიგნი.

ერთი პერიოდი გადავწყვიტე, ჩემი საქმიანობით მთლიანად მედიცინაში გადართვა, მაგრამ ჩემმა სულიერმა მასწავლებელმა **აილი პაიუმ** ერთ-ერთი შეხვედრის დროს ასეთი რჩევა მომცა: **„შენ ეს ყველაფერი იმისთვის არ გეძლევა, რომ ხალხს უმკურნალო, არამედ ეს არის მოსამზადებელი პერიოდი. სულ მალე გაარკვევ თუ რისთვის მოგეცა ეს უნარი და ამის შემდეგ მთლიანად უნდა გადაერთო შენი ძირითადი მისიის შესასრულებლად“.**

დიდი ხანი არ იყო გასული ამ საუბრიდან, რომ დამეწყო არსთა წრებრუნვის კოსმიური სურათების – ღმერთის „ბეჭდების“ ხილვები, სადაც არის ღმერთთა სამყოფელი, სიცოცხლის ხე, საიქიო სასამართლო, სამოთხე – ხვთისმშობელი, მამაღმერთი, რომელიც, ერთი შეხედვით, არის კოსმიური მთა. იგი მრავალსახაა. ერთ-ერთი მისი სახე კოსმიური მხედარია. მამის მარჯვნივ ქრისტეა – კვირია კარავიანი. სულ სამი „ბეჭდის“ ხილვა მქონდა. ყოველი ხილვა დიდი ინფორმაციის გაცხადებისთვის მეძლეოდა. განსაკუთრებით გაამახვილეს ჩემი ყურადღება ქართულ ანბანზე. ქართული ასომთავრული ასო-ნიშნები მამაღმერთს თავზე ადგას, ხოლო მხედრული ასო-ნიშნები კოსმიურ მხედარს შუბლზე აწერია. ქართული ანბანი ბიბლიური კაბალა და სამყაროს გენეტიკური კოდია. თითოეული ასო-ნიშანი ღმერთის „ბეჭედია“ და თავისი კოსმიური პროცესი შეესაბამება, რომელსაც ექვემდებარება სამყაროში ყველა და ყველაფერი. აქედან დაიწყო ჩემი დაინტერესება ქართული ანბანით, მსოფლიოს მითოლოგია, ეთნოგრაფია, არქეოლოგიით. ისინი მე განსაკუთრებულ ინფორმაციას მაწვდიან. ამ საკითხებზე მუშაობის პროცესი მეტად საინტერესო და ბოლომდე ამოუხსნელია. აქ მუშაობს მეტაფიზიკა, ერთდროულადაა ჩართული ხილული და უხილავი სამყარო. ამის აღწერა და გადმოცემა ჩვეულებრივი გასაგები ენით ძალიან რთულია.

„ოქროს საწმისის“ კოსმიური საიდუმლო ერთი მნიშვნელოვანი გამოცხადებით გამემხილა. სამსახურში ვიჯექი ჩემს კაბინეტში, მოვიდა ინფორმაცია, რომ ცაზე უნდა მეხილა რაღაც, რაც მნიშვნელოვან ინფორ-

მაციას მომაწვდიდა. თავი არ უნდა მემოძრავებინა და უნდა აღმექვა ის, რასაც ფანჯრის ჩარჩოს არეში დავინახავდი. გამახსენდა ახალი აღთქმიდან იოანეს გამოცხადება, სადაც იქ მოყვანილი წინასწარმეტყველება ცაზე ღრუბლებით იხატება. მეც დამებადა აზრი, მიმექცია ყურადღება ამ საკითხისთვის. ვხედავ, ცა მოწმენდილია, მზიანია, მაგრამ ჩემი ხედვის არეში მზე არ ჩანს, ნიავიც არ მოძრაობს და ხის ფოთლებიც კი გაჩერებულია. უცებ, სხვადასხვა მხრიდან ცაზე გამოჩნდა პაწია თეთრი ღრუბლები, ჩემი ხედვის არეში შეგროვდა, ბრუნავდა, ბოლოს მიიღო რაღაც ფორმა და გაჩერდა. ამ გამოსახულებაში შევიცანი ჩემი თავი, სახით მარცხნივ, შემდეგ, თითქოს, შიგნიდან გამოვიდა პატარა მზე და საფეთქელთან შუბლზე მიებნია; ამ პატარა მზის სხივები ძალიან ძლიერი იყო და ჩემამდე აღწევდა. შემდეგ ამ გამოსახულებამ დაიწყო მობრუნება 180^0-ით და როცა მარჯვნივ შემოტრიალდა, მას ჰქონდა თეთრწვერა მამაკაცის სახე, რომელთანაც მარჯვენა მხრიდან მივიდა თეთრი ცხენი. ბოლოს გავაკეთე ასეთი დასკვნა: მე ვიხილე ერთარსება წელს ზემოთ, ერთი თავით და ორსახა, რომლის მარცხენა მხარე ქალია და ჩემი სახე აქვს საფეთქელთან მიბნეული მზით, ხოლო მარჯვენა სახე არის თეთრწვერა მამაკაცის, რომელთანაც მივიდა თეთრი ცხენი. ინფორმაციულად მეუწყა, რომ ეს არის **„ოქროს საწმისი“ – ცეცხლის სტიქია, რომელიც არის ორი პირველსაწყისის – მდედრის და მამრის ერთიანობა – ერთარსება. ისინი დაცილდნენ ერთმანეთს ადამის ცივილიზაციის დასაწყისში და კვლავ უნდა გაერთიანდნენ. ამაშია ადამის ცივილიზაციის მთელი კოსმიური პროცესის არსი.**

ჩემი კვლევების კოსმოგონიური ცოდნის ძირითადი ამოსავალი ქართული ენა და ქართული ანბანია. რამას მსგავსად, მეც მქონდა თეთრწვერა მოხუცის გამოცხადება: უცებ აღმოვჩნდი დიდ ტაძარში, რომლის თეთრ ქათქათა კედლებზე დაწერილი იყო ქართული ანბანი ვერტიკალურად და ჰორიზონტალურად. ტაძარში ვარ მარტო, ვიხედები აქეთ-იქეთ, ავიხედე ზემოთ და ვხედავ ტაძარს ჭერი არა აქვს, ტაძრის კედლები ისე მაღალია, რომ კოსმოსის უსასრულობაში იკარგება.

ტაძრის ღია კარებში, ჩემს ზურგს უკან, ვიგრძენი ვიღაცის შემოსვლა. მივიხედე და დავინახე **გრძელი თეთრი სამოსით, ხელში თეთრი კვერთხით, თეთრწვერა მოხუცი.** მომიახლოვდა, შემახედა კედლებზე

გამოსახულ ანბანზე და მითხრა (საუბარი მიმდინარეობდა უსიტყვოდ – აზრებით): **„ანბანს შენ გაბარებთ, შენ უნდა უპატრონო“**. შემდეგ **მარჯვენა ხელში გადმომცა თეთრი კვერთხი**. ასე დამთავრდა ჩემი ხილვა. თეთრწვერა მოხუცი დარჩა ჩემს გვერდით და არსად წასულა. ერთ-ერთი დიდი სასწაული ჩემს ცხოვრებაში ის იყო, რომ ეს თეთრწვერა მოხუცი, რომელმაც ქართული ანბანი „ჩამაბარა“ და „კვერთხი“ გადმომცა, დაახლოებით **15 წლის შემდეგ აღმოვაჩინე შუმერთა ერთ-ერთ ქვის ბეჭედზე** (ძვ.წ.3400წ.) – ცეცხლის სტიქიის გამოსახულება – ერთარსი, რომელსაც ერთი თავი, ერთი ტანი და ორი სახე აქვს – მარცხენა ქალია, ხოლო მარჯვენა სახე თეთრწვერა მამაკაცია – სახით ზუსტად ის თეთრწვერა მოხუცია, რომელმაც თეთრი კვერთხი გადმომცა და ქართული ანბანი „ჩამაბარა“.

მხატვარი ვარდუმიანი ლილითი. 1998წ.

ამის შემდეგ განსაკუთრებულად ღრმა კოსმოგონიური ცოდნა გამეხსნა ქართული ანბანის და ქართული ენის მიმართ. 2004 წლის შემოდგომაზე სამების ტაძრის კურთხევას დაუკავშირდა იოვანე-ზოსიმეს (X ს.) „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“-ს კოსმიური საიდუმლოს გახსნა, რომელიც ძირითადად შეიცავდა წინასწარმეტყველებას ქართული ანბანის საიდუმლოს გახსნის თარიღზე და ახ.წ. 2000 წლისთვის, რაც, თავის მხრივ, უკავშირდება ამ პერიოდისთვის ოქროს საწმისის, გამთლიანებული მზის, ხვთაებრივი ცეცხლის სტიქიის – სამყაროს IV საწყისის კოსმიური პერიოდის მობრძანებას, რომელიც არის „ხილული სიმბოლო უხილავი ღმერთისა“. სწორედ ამ დროს მოვიდა და გაიხსნა ქართული ანბანის კოსმოგონიური ცოდნა სამყაროს ბიბლიური გენეტიკური კოდის შესახებ, რომელიც აისახება და დღემდეა მოსული ბიბლიური კაბალას სახით.

ბიბლიური კაბალას ცოდნა თავის სამშობლოს – საქართველოს დაუბრუნდა. სწორედ ეს არის ის დიდი კოსმიური საიდუმლო, რაზეც მიგვანიშნებს იოვანე-ზოსიმე „ქებაჲ“-ს ტექსტში. ამ საკითხს მივუძღვენი ჩემი პირველი წიგნი **„შესხმაჲ ქართველთაჲ და ქართველთა ენისაჲ“** (ამ სათაურითაა შეტანილი „ქებაჲ“-ს ტექსტი სინური მრავალთავის ნუსხაში – საძიებელში თვით იოვანე-ზოსიმეს მიერ), რომელიც 2004 წელს გამოქვეყნდა.

იბერიის ცივილიზაცია მიკრო ცივილიზაციათა უსასრულო ჯაჭვია, რომლის ერთ-ერთი შემადგენელი „რგოლია“ ადამის ცივილიზაცია. იგი, თავის მხრივ, ოთხი მიკრო ცივილიზაციის პერიოდისგან შედგება და კაცობრიობა მას შემდეგნაირად ახასიათებს: შავი, წითელი, ყვითელი და თეთრი ენერგეტიკული პერიოდები (და არა რასები). თითოეული 10000 წლის პერიოდს მოიცავს და უკვე 38000 წელია გრძელდება. მის დასრულებამდე დარჩა 2000 წელი. ახ.წ. 4000 წელს დამთავრდება ადამის ცივილიზაცია და დაიწყება იბერიის ცივილიზაციის ახალი ციკლი. **ქართული გენით დაიწყო ადამის ცივილიზაცია და ისევ ქართული გენით დამთავრდება. შემდეგი ცივილიზაციის ახალი ციკლი ისევ ქართული გენით დაიწყება**. სამყარო კვლავ ღმერთების ენაზე – ქართულ ენაზე ალაპარაკდება. ეს იქნება აზროვნების ენა. უსაზღვრო იქნება მათი მეტაფიზიკური ცნობიერება და ფიზიკური შესაძლებლობები.

„იბერიის“ ცივილიზაციას ეს სახელი პირველსაწყის ენაზე – ქართულ ენაზე მოლაპარაკე ხალხმა დაარქვა და მისი სახელი **„ბერს“, თეთრწვერა მოხუცს – „სამყაროულ გონს“ დაუკავშირა**, რომელიც „წესრიგს“ აძლევს სამყაროს, არის სტიქიათა (მიწა, წყალი, ჰაერი, ცეცხლი) მბრძანებელი, **„ხვთაებრივი ცეცხლი“ – „ხილული სიმბოლო უხილავი ღმერთისა“**.

რამდენიმე წლის წინ ჩემთან მოვიდა ქალბატონი ნ.შ.-ქ. (არ მაქვს მისგან თანხმობა, რომ სრულად მოვიხსენიო მისი სახელი და გვარი), რომელმაც მაცნობა, რომ, უფლის ნებით, უფლის ანგელოზის შთაგონებით, დააწერიეს ჩემთვის გადმოსაცემი ინფორმაცია, რომელიც ეხება ჩემს მეტაფიზიკურ ცნობიერებას, ჩემს მისიას და შეიცავს მითითებებს ჩემი მოღვაწეობის შესახებ. ხშირად, ჩემი თანდასწრებით, ხდებოდა პირდაპირი კონტაქტის დამყარება. იყო მომენტები, როცა ფიქრში რაღაც აზრი

გამიელვებდა. ისინი უკვე პასუხს მაძლევდნენ. „კონტაქტის“ შედეგად დაიწერა საზოგადოებისთვის დღემდე უცნობი სვეტიცხოვლის ისტორია – **„სახელდებითისა წიგნთთას პირველთაითისადმნსს: ჯუართა, კუართთა, მცხეთადმნს სუეტისა ცხოველისსას იბერიელთა სდროითთისსსდგანს. ამინ, უფლის წყალობანი“**, რომელიც ცალკე წიგნად გამოიცა 2010 წელს. აქ გადმოცემული ინფორმაციის მიხედვით, სვეტიცხოვლის ტერიტორია საკულტო თაყვანისცემის ადგილია ადამის ცივილიზაციის დასაწყისიდან.

უფლის ანგელოზი არაერთხელ გვამცნობს, რომ იბერიელები ქართველთა წინაპრები არიან. მათგან ერთ-ერთი რჩევა ჩემს მიმართ ასეთია: **„ხეთური მითოლოგია ისწავლე და იბერიელი წინაპრები გეტყვიან ხეთების პირველსამყოფელთა საგანძურთთ“.** მივყევი მათ რჩევას და აღმოვაჩინე, რომ „ხეთები“, რომლებსაც მთელი მსოფლიო ეძებს, სინამდვილეში **იბერიელთა შთამომავლები – ქართველები არიან. ასევე ქართველები არიან ქანაანელი ხეთებიც.**

ამ კონტაქტებით დაწერილი ინფორმაციის ნაწილი ჩემთან ინახება, ხოლო დიდი ნაწილი – თვით ქალბატონ ნ.შ.-ქ.-სთან. მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, ჯერ არ დამდგარა ის დრო, როცა ეს ნაწერები მე უნდა გადმომეცეს, თუმცა უკვე თითქმის, ყველა ხელნაწერს გავეცანი. ერთ-ერთ ხელნაწერში დამევალა, დამეწერა ეს წიგნი, რომლის სათაური უკვე პირადად მე მაცნობეს: **„ქართული გენი იბერიის ცივილიზაციათა სათავეებთან“**. ამ წიგნში გადმოცემული მასალა 27 წლის მანძილზე პერიოდულად იბეჭდებოდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში. გამოქვეყნებული მაქვს 60-ზე მეტი სტატია-ნაშრომი. რამდენიმე საერთაშორისო კონფერენციაზე წავიკითხე მოხსენება.

რამდენჯერმე შევხვდი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ვესაუბრე, მივართვი ჩემი წიგნები და სტატიები. საქართველოს ბევრი მეცნიერი იცნობს ჩემს კვლევებს. ბევრი მათგანი ხელს მიწყობდა ამ წიგნში გამოყენებული არქეოლოგიური, ისტორიული, ეთნოგრაფიული, მითოლოგიური, ჩემთვის საინტერესო, მასალების მოძიებაში.

უდიდესია ჩემი პასუხისმგებლობა ამ ნაწერების, ქართველი ერისა და კაცობრიობის წინაშე. ეს წიგნი სწორედ ახლა უნდა დაწერილიყო. სამყაროში ყველას და ყველფერს თავისი დრო აქვს.

ამ წიგნში გადმოცემულია ქართული ანბანის კოსმიური არსის მეტაფიზიკური სიღრმეები და მოიცავს მთლიანად სამყაროს ყველა განზომილებათა ერთიან კოსმიურ პროცესს, წარმოაჩენს ერთიან უწყვეტ გენეტიკურ ჯაჭვს, საქართველოს და ქართული გენის მისიას კაცობრიობისა და სამყაროს წინაშე. ეს ცნობიერება არის საფუძველი მომავლის ცივილიზაციისა, რომელიც კაცობრიობას დაუმკვიდრებს გზას მარადისობაში და შექმნის „მართალის“ ენერგიას.

იოანეს გამოცხადება „ბოლო ჟამისთვის“ წინასწარმეტყველებს:

„...ვიხილე წმინდა ქალაქი, ახალი იერუსალიმი, ღმერთისაგან ზეცით ჩამომავალი, გამზადებული, როგორც სასძლო, და სასიძოსათვის შემკული“ (21-2). **„და მომესმა მგრგვინავი ხმა ზეცით, რომელმაც თქვა: აჰა, კარავი ღმრთისა კაცთა თანა, და დაემკვიდრება მათთან და ისინი იქნებიან მისი ხალხი, და თვით ღმერთი იქნება მათთან“** (21-3).

უფლის ანგელოზი გვამცნობს:

„...იბერიელთთას არსსნსს ძლიერსს შტოთაგანს ვითარ ქართუელთთას წინაპართთას, უფლის ჩანაფიქრთათვსს მომავალსს მშვენიერსსა ედემისსას შექნისსას. მეორედს იერუსალიმს ვითარ ქმნისს“.

სარჩევი

1. მსოფლიოს უდიდესი მოაზროვნეები ქართული გენის, ქართული ენისა და ანბანის შესახებ 5
2. ქართული ანბანი სამყაროს გენეტიკური კოდია. ბიბლიური კაბალას ცოდნა თავის სამშობლოს – საქართველოს დაუბრუნდა..... 8
3. მანათობელი სფერო ჩემი ინფორმაციის წყაროა..... 21
4. რა არის ცივილიზაცია? „ადამის“ და „იბერიის“ ცივილიზაციები 29
5. ქართული წელთაღრიცხვა „ქართ ადამს აქათ“ და „დასაბამითგან“ .. 34
6. „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“..... 45
7. ქართული ანბანი მსოფლიოს ძველი ცივილიზაციის ყველა ხალხის კუთვნილებაა/ანბანი ქართველებს 8000 წლის წინ ჰქონდათ/..... 56
8. სამყაროს შექმნის 6 დღე..... 67
9. რა არის „დრო“ და „განზომილება“ 70
10. არსთა წრებრუნვის კოსმიური სურათები – „ღმერთის ბეჭდები“..... 77
11. სამყარო ქართულ ენაზე ლაპარაკობს..... 84
12. რატომ აცვეს ანდრია პირველწოდებული დიაგონალურ ჯვარზე?! ... 97
13. ქართული ანბანი სომხების შექმნილი არ შეიძლება იყოს!..... 104
14. დავათის სტელა ქართული ანბანით და მისი პარალელები ჩინეთის „დაო“-ს კოსმოგონიურ ფილოსოფიასთან..... 113
15. საქართველოს მთის ხალხთა უძველესი კოსმოგონიური აზროვნება 128
16. ქალი — მარადიული კოსმიური საიდუმლო..... 136
17. ქართველთა „კოპალა ... იახსარის“ მითი შუმერების ქვის ბეჭედზე 149
18. „გონიო“ — მართლმადიდებლობის სიმბოლო..... 164
19. ოქროს საწმისი — ორი მზის საიდუმლო..... 168
20. თრიალეთის ოქროს და ვერცხლის თასები..... 187
21. ზოგიერთ სიმბოლოთა კოსმიური არსი 195
22. სამყაროს ოთხი საწყისი — მიწა, წყალი, ჰაერი, ცეცხლი. სფინქსის ფენომენი საქართველოში..... 203
23. ვინ არის მიჯაჭვული ამირანი?! 210
24. „სამოთხე“ — სამყაროს დედის უძველესი გამოსახულებები. „გული“ და „გულისგული“ 218
25. დავით გარეჯი, ვარძია, უფლისციხე — ციკლოპური ცივილიზაციის ქალაქები..... 228
26. „ალვანეთი“ კავკასიის ალბანეთის ისტორიული სახელია. თანამედროვე „უძველესი ქართული“ ხელნაწერები. „ქანწილი“..... 242
27. „შავი ხვრელი“ — პარალელურ სამყაროში გასასვლელი სარკმელი..... 252
28. კონტაქტი მიცვალებულებთან..... 269
29. „კოსმოსი ქართულ ენაზე ლაპარაკობს“ /ვანგას გამოცხადება/..... 280
30. ვინ იბადება საქართველოში?! სალვადორ დალის „გეოპოლიტიკოსის“ მიხედვით 286
31. ყაჩაღანის ჯვარი ადამიანის სამყაროს შექმნა..... 293
32. საქართველო — შუმერთა „უფლის წმინდა გულით არჩეული“ „დიდებულ წესთა ქვეყანა“ 304

33. „ქართველობა ძნელია, მაგრამ აუცილებელი“ /მამა გიორგი/ 315
34. კეთილისა და ბოროტის არსი ადამის ცივილიზაციაში 333
35. შეიცანი თავი შენი და შეიცნობ სამყაროს
გენეტიკური კოდის სამი სპირალი..... 355
36. ქრისტიანობა — მართლმადიდებლობა კაცობრიობის
მარადიული და საყოველთაო რელიგიაა..... 361
37. ნოსტრადამუსის წინასწარმეტყველებით ბოლო ჟამის
მოვლენებიდან მხოლოდ საქართველო გადარჩება 377
38. ინდიგო ბავშვები — ახალი ტიპის ადამიანები..... 388
39. რა ელოდება დედამიწას 394
40. „ხვთაებრივი გონი“-ს კოსმიური მისია 405

ქართული გენი
იბერიის ცივილიზაციათა
სათავეებთან

ნაზი ხანიაშვილი
ტელ: 236-10-17
მობ: 558-25-52-97

კორექტორები: ია კუპრაძე
ნელი ბეჟუაშვილი

კომპიუტერული მომსახურება:
ალექსანდრე კუზანაშვილი

ოპერატორები: მაია ლაჭყეპიანი
ზურაბ რატიანი

თბილისი
2012